ალ. ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

VII

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1978

8 Г 1
899 962. !. 09
ბ 255

„ნარკვევების“ VII წიგნიც წარმოადგენს ავტორის უკანასკნელი დროის ნაშრომების კრებულს, რომელიც აშუქებს ძველი ქართული საერო მწერლობის რიგ აქტუალურ საკითხებს. შრომების დიდი ნაწილი განეკუთვნება რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას (რუსთველოლოგია დღეს, ახალი რუსთველოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა, პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების გარშემო და სხვ.) შრომების მეორე ნაწილი ეძღვნება ვეიანფეოდალური ეპოქის ქართულ მწერლობას („შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVII—XVIII საუკუნეებში. ვახტანგ VI და სხვ.) შრომების ერთი რიგი მოძმე ხალხების გამოჩენილ პოეტთა ლიტერატურული პორტრეტებია (ავეტიქ ისააკიანი, დიმიტრი გულია, შანდორ პეტეფი). წიგნის ბოლო ნაწილია „მოგონებანი“, რომლებიც აგრეთვე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს შეეხება (უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე, ფირდოუსის იუბილე, ბესიკის გამოცემა, ჭილილა და დამანა). წერილების ნაწილი ქვეყნდება რუსულ ენაზე.

„ნარკვევები“ განკუთვნილია სტუდენტობისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ბ 70202 / M 607 (06) — 78 114 — 78 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე

1935 წელს ივანე ჯავახიშვილი წერდა: „შოთა რუსთველის დიდებული ქმნილების შესწავლა წარსულთან შედარებით გაცხოველდა, ძალიან დაწინაურდა“-ო, მაგრამ იქვე სინანულს გამოთქვამდა ტექსტოლოგიის სფეროში რუსთველოლოგიის ჩამორჩენილობის გამო. დიდი მეცნიერის სიტყვით, სხვადასხვა მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის გარშემო „პოემის აღუდგენელ ტექსტზეა დამყარებული“. „სწორედ გასაცარიაო“. განაგრძობდა ივ. ჯავახიშვილი, რომ: „ამ გაცხოველებულმა მუშაობამაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულ აღდგენასა და გამოცემას მაინც ვერაფერი უშველა“[1].

სახელოვანი მკვლევარი დიდი გულისტკივილით ამბობდა თავის საბედისწერო მოხსენებაში 1940 წლის 18 ნოემბერს: „დღემდე ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც-კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვქონდეს აღბეჭდილი“[2]. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა უეჭველად სამაგალითო, უზადო გამოცემა იქნეს“.

ამ მაღალი მოთხოვნილების მინიმუმი ერთგვარად შესრულებულია. 1966 წელს დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი ტექსტი (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), რომელიც სწორედ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. რაც შეეხება მოთხოვნილების მაქსიმუმს („ვეფხისტყოსნის გამოცემა შეუძლე-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, იხ. აბულაძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1956, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 14.

ბელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა უეჭველად სამაგალითო, უზადო გამოცემა იქნეს“), ამისათვის მოწოდებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია“ და მისი მთავარი რედაქცია. მიზანი ნათელია. სხვა საქმეა, რამდენად მოხერხდება მისი განხორციელება.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია და მისი მთავარი რედაქცია ჩამოყალიბდა 1962 წლის შემოდგომაზე. კომისიას გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი საფუძვლიანობით, აუჩქარებლად და კონკრეტული ვადით შეუზღუდავად მოემზადებინა და გადაეცა საგამომცემლო ორგანოებისათვის ვეფხისტყაოსნის კრიტიკული (აკადემიური) ტექსტი სრული ვარიანტებით, ვრცელი ლექსიკონით და ფართო კომენტარებით. კომენტარებში დასაბუთებული უნდა ყოფილიყო ტექსტის იმ მნიშვნელოვან წაკითხვათა უპირატესობა, რომლებსაც მთავარი რედაქცია ძირითადად ცნობდა, ხოლო განსხვავებულ წაკითხვებს გადაიტანდა ვარიანტებში. კომენტარები უნდა შეხებოდა აგრეთვე ბუნდოვანი, ორაზროვანი, რთული კონსტრუქციისა და ისტორიულ-ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი ხასიათის მანიშნებელი რეალიების მქონე ტექსტებს. რამდენადაც კი შეიძლებოდა, ლექსიკონი უნდა ყოფილიყო ამომწურავად სრული.

ვეფხისტყაოსნის ამგვარი გამოცემის მომზადება, რასაკვირველია, დიდ დროს მოითხოვდა, ამიტომაც პრეზიდიუმის დადგენილებით (27. IX. 62) ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებს ა. შანიძესა და ა. ბარამიძეს დაევალათ მოემზადებინათ ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილების ასე თუ ისე დასაკმაყოფილებლად პოემის მორიგი, გაუმჯობესებული, ე. წ. შუალედი გამოცემა, რომელსაც დაერთვებოდა ძირითადი ვარიანტები, მოკლე კომენტარები და ლექსიკონი. 1966 წელს, როგორც აღვნიშნეთ, გამოვიდა კიდევაც ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი გამოცემის პირველი ტომი. სამწუხაროდ, მას არ მოჰყოლია II ტომი (ჩანართები, კომენტარები, ლექსიკონი), ხოლო აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომელთა ჯგუფმა გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის მეთაურობით მოამზადა და იმავე 1966 წელს გამოსცა პოემის ტექსტი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ). ტექსტს ვარიანტები არ აქვს. სარედაქციო შენიშვნები მოიპოვება გ. წერეთლის ბოლოსიტყვაში.

მცირეოდენი რედაქციული სხვაობით წერეთელ-აბაშიძის გამოცემას იმეორებს 1966 წლის საიუბილეო გამოცემა. საიუბილეო გამოცემას სამეცნიერო აპარატი არ ახლავს.

1973 წლის სექტემბრამდე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი მთავარი რედაქცია მუშაობდა გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით (მთავარი რედაქტორობით). გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ (1973 წლის ოქტომბრიდან) მთავარ რედაქციაში მოხდა ნაწილობრივი ცვლილება. ამ დროიდან მთავარი რედაქციის წევრები არიან: ალ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ი. აბაშიძე, შ. ძიძიგური, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე). ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, გ. კარტოზია (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი).

გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადდა აკადემიური ტექსტის პირველი ტომი — 162 ძირითადი და 96 ჩანართი სტროფი შესაფერისი სამეცნიერო აპარატით. ვამოცემის ხასიათზე სრულ წარმოდგენას იძლევა სასინჯი სანიმუშო ნაკვეთი (პროლოგის 15 სტროფი), რომელიც 1969 წ. გამოქვეყნდა.

მთავარმა რედაქციამ მოგვიანებით ორი სიახლე შეიტანა თავდაპირველად შემუშავებულ გეგმაში:

1) 1974 წლიდან მოკიდებული დგება და სისტემურად იბეჭდება ჟურნალ „მაცნეს" ენისა და ლიტერატურის სერიაში მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები და დადგენილი ტექსტები. დაინტერესებული მკითხველი საზოგადოება ამით ეცნობა მთავარი რედაქციის მუშაობის შინაარსს. ხშირია გამოხმაურებანი. ყველა საქმიან შენიშვნას სარედაქციო კოლეგია მხედველობაში ღებულობს და გულისხმიერად იხილავს.

2) მთავარი რედაქციის მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ზოგჯერ სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ერთი შეხედვით თითქოს გასაგებად მარტივი ტექსტიც კი (რომ არაფერი ვთქვათ რთულ ტექსტზე). არის შემთხვევები, როდესაც შაირის ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა ცილობას არ იწვევს, კონტექსტის კვალობაზე უცილობელი ჩანს პოეტური ნაწყვეტების საერთო შინაარსიც, მაგრამ ძნელდება მისი ზუსტი, სიტყვასიტყვითი ადექვატური გადატანა თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე. ამას წინათ გაიმართა საინტერესო კამათი „Нужно ли переводить с древнерусского" („Литературная газета", 17.XI.76). თარგმანის მომხრე სპეციალისტი ოლეგ ტვოროგოვი

(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი) წერილში „Кажущаяся простота“ სხვათა შორის შენიშნავს: „Понять смысл текста и перевести его — далеко не одно и тоже“, რომ ხშირად მკითხველი „понимает смысл в общих чертах“, თუმცა „порой совершенно неверно“. ამან შეაპირობა მთავარი რედაქციის გადაწყვეტილება (14. XI. 76 სხდომაზე, 464-ე სტროფის განხილვისას) თანამედროვე ქართულზე გადმოიტანოს და დადგენილ რედაქციასთან ერთად გამოაქვეყნოს იგი.

დავიმოწმებ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს.

1) „სიარული დაითმინა“ (595)[3] ნათქვამია გაგულისებულ ფრიდონზე. დათმენა მოთმენაა. „სიარული დაითმინა“ ნიშნავს: შეჩერდა, გაჩერდა. თითქოს სურათი ნათელია, მაგრამ ვეფხისტყაოსნის ისეთი დახელოვნებული კომენტატორი, როგორიცაა ვ. ბერიძე, ამ ტექსტს სხვაგვარად განმარტავს — „სიარულს უკლო, გაანელაო“[4]. სიარულს უკლო ერთია და გაჩერდა მეორე. აქ არა მარტო ნიუანსური, არამედ თვალში საცემი არსებითი ხასიათის შინაარსობრივი სხვაობაა.

2) ნესტანის გათხოვების შესახებ გამართულ თათბირზე მეფესა და დედოფალს უთქვამთ (502):

> აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
> რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ.

ეს ტექსტი ასეა თარგმნილი და განმარტებული:

> Нынче нужен супруг нашей дочери, — где найти нам его
> Чтобы трон ему нам отдать, к лику нашему приобщить[5].

„ახლა ჩვენი ქალისათვის გვინდა ქმარი და სად მოვნახოთ (იმისთანა), რომ მივსცეთ ჩვენი ტახტი და ჩვენგვარ სახედ დავსახოთ“ (ვ. ბერიძე).

მოყვანილი ტექსტისათვის გადამწყვეტია სად სიტყვის მნიშვნელობა. ლექსიკოგრაფებს ის გაუგიათ ჩვეულებრივი მნიშვნე-

---

[3] შაირის ნუმერაცია ყველგან 1937 წლის გამოცემის მიხედვითაა მითითებული.

[4] აქაც და ქვემოთაც ყველგან ოგულისხმება ვეყოლ ბერიძის შრომა — „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს სარგის ცაიშვილმა და გურამ შარაძემ. სარგის ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1974.

[5] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского С. Норданишвили. Подстрочный перевод сверен с оригиналом, исправлен, отредактирован комиссией в составе: Ш. Апхандзе, Л. Каландадзе, М. Заверина, А. Бестаташвили, Тбилиси, 1966.

ლობით — სად (где), ამიტომაც ლექსიკონში არც შეუტანიათ. ჩვენი მთავარი რედაქციის გაგებით, **სად აქ** ნიშნავს **სადმეს** და ტექსტიც ასე განიმარტა: „ახლა ჩვენი ქალისათვის გვინდა **სადმე** მოვნახოთ ქმარი...“ რასაკვირველია, გვინდას შემდეგ ჰოიხსნება სასვენი ნიშანი (,). სად სადმეს მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად (985):

ვაზრობ ოდეს დაშვაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად[6].

3) ტექსტის გაგებისა და განმარტების მხრივ ზოგჯერ გვაქვს რთული ვითარება. ასე, გამარჯვებული ტარიელი ხატაეთიდან წერდა ფარსადან მეფეს (464):

რა ველაი დავიურვე. ხატაეთით ვევემგზავრე.
წამოვიხვენ საჭერკლენი სახელმწიფო დავიავრე.

პირველი ტაეპის შინაარსი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. **დაურვება** გარიგებას, მოგვარებას ნიშნავს. „ყოველივე საქმე... გავარიგეო (თ. ბატონიშვილი): „როდესაც ყველაფერი მოვაგვარე, წამოვედით ხატაეთიდან“ (ვ. ბერიძე). სადაა მეორე ტაეპის **დავიავრეს** მნიშვნელობა. ამ სიტყვას არ განმარტავენ არც ვახტანგი, არც თეიმურაზ ბატონიშვილი, არც ბროსე. არც ჩუბინაშვილი. იუსტინე აბულაძის თვალსაზრისით, დაიავრება არის აკლება, იავარყოფა. ა. შანიძე: დაიავრება — იავარის ალება, ნატყვევნავის ალება, დატყვევნა, ხოლო თვითონ ეს განსამარტავი იავარყოფა ნიშნავსო დატყვევნას, გაჩანაგებას. კ. ჭიჭინაძითაც დაიავრება აკლებაა, ვ. ბერიძით — იავარყოფა, ე. ი. ისევ აკლება, გაჩანაგება. ერთი სიტყვით, თუ ტრადიციულ განმარტებას ვერწმუნებით, ტარიელს ხატაეთის საქმეები ისე მოუგვარებია, რომ ქვეყანა აუკლია. გაუჩანაგებია. საბელოვანი ჯაბუკი კი თვითონ აცხადებდა (451) რამაზის „სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით“. დამარცხებულმა რამაზმა მას უყოყმანოდ ჩააბარა თავისი ციხე-სიმაგრენი და განძეულობა (458—469). ყველაფერი რომ მიითვალა, ტარიელმა დააწყნარა. დააშოშმინა ქვეყანა, მცხოვრებლებს დაუბრუნა თავიანთი სახლკარი, უშიშრად იყავითო. „ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: იყვენით თქვენ უკრძალავად“ (ს. ორბელიანიშვილის ბწკარედით „Жителей страны я вернул к очагам, я им приказал: живите без страха“).

[6] შდრ. აგრეთვე 1116: „მისთეის არცა სად სამარე, არცა სათხარად ბარია“.

ახალგაზრდა მხედართმთავარი ისე მოიქცა, როგორც შეშვენოდა გონიერ, შორსმჭვრეტელ და ჰუმანურ სახელმწიფო მოღვაწეს. ამის შემდეგ როგორღა მისწერდა იგი ფარსადან მეფეს, ხატაეთი ავიკელი და გავაჩანაგეო. გაუგებრობა იმან წარმოშვა, რომ უმართებულოდ იქნა გაგებული დ ა ვ ი ა ვ რ ე. სწორია, რომ ეს სიტყვა წარმოშობით სპარსულია, ნაწარმოებია ავარ-ისაგან, რომლის პირველი მნიშვნელობა მართლაც აკლებაა: несправедливость притеснение, тиранство (Ягелло). მაგრამ იმავე ლექსიკოგრაფ იაგელოს მიხედვით ავარს აქვს სხვა მნიშვნელობაც, სახელდობრ — счисление, вычисление, исчисление, расчет, счет რუსთველს სწორედ ამ მეორე მნიშვნელობით აქვს ნახმარი დავიავრე. მაშასადამე: ტარიელი ატყობინებს მეფეს, ხატაეთის საქმეები მოვაგვარე, ნაალაფევი საგანძურები წამოვიღე, სახელმწიფო წესითა და რიგით) მივითვალეო[7]. მართლაც-და, ტარიელმა ხომ რამაზს მოთხოვა ყველაფერი უომრად „ხელთა მომათვალეო" (456). რამაზმა ბრძანება შეასრულა. ტარიელიც ხატაეთის ციხე-ქალაქებში შევიდა არა ასაკლებად და მცხოვრებთა დასარბევად, არამედ „მოვლად და მისათვალავად", მოსავლელად და მისათვლელად. აი, ამ მითვლაზე, თვლით, ანგარიშით ჩაბარებულ საჭურჭლეზე იწერებოდა ამირბარი და არა ქვეყნის აკლებასა და გაჩანაგებაზე.

4) „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი დადგენილი ტექსტის შინაარსის გაგებამ აზრთა სხვადასხვაობა დაბადა მთავარი რედაქციის წევრთა შორის, რაც აღნიშნულია ოქმებში. მათ შესახებ საუბარი იქნება კომენტარიებში. სანიმუშოდ შევეხები ერთ ამგვარ შემთხვევას.

ტარიელი გვიამბობს ფრიდონის შესახებ (595):

ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა,
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა.
მერმე ეკითხე: ვინ ხარ, ანუ მკლავმან შენმან ვისგან ივნა?
საჭმობლად დამიროდა, თავი მისი გამაჩივნა.

ერთი შეხედვით ამ მაირის შინაარსი ადვილი გასაგებია, მაგრამ მესამე ტაეპმა, ნაწილობრივ მეოთხემაც დიდი დავა გამოიწვია.

[7] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ს. ორდანიშვილს თუმცა უთარგმნელად დაუტოვებია დავიავრე, გუმანით ტექსტის შინაარსი სწორად გაუგია: «Усмирив, я покинул Хатай, умиротворив государство, увез сокровища». ყოველ შემთხვევაში აკლებაზე აქ არაფერია ნათქვამი.

ს. იორდანიშვილის თარგმანის მიხედვით ფრიდონი ხელში იყო დაჭრილი („Затем я спросил его: кто ты и кем была ранена рука твоя?"). ვ. ბერიძეს ტექსტის ზოგადი შინაარსი აქვს გადმოცემული („მერმე ვკითხე: ვინ ხარ და ვისგან მოგეცა ვნება?"). მკლავზე არაფერი აქვს თქმული. ჩემი, ივანე გიგინეიშვილის, ელენე მეტრეველისა და ცოტნე კიკვიძის ფიქრით, ტარიელს აინტერესებს ვინ სძლია ფრიდონს, კონკრეტულად მკლავში დაჭრაზე კი არ უნდა იყოს საუბარი. თანამედროვე ქართულზე მესამე და მეოთხე ტაეპების შინაარსი ასე გავიაზრეთ:

მერმე ვკითხე: ვინ ხარ, ან ვინ გძლია (შენი მკლავი ვისგან დაზიანდა?)

მბობაზე დამეთანხმა. ჩივილი დაიწყო (მოჩივარი გახდა).

ფრიდონი დაჭრილი იყო, სისხლი ჩამოსდიოდა („ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა", 593). მაგრამ არ არის მინიშნებული თუ სახელდობრ სად იყო დაჭრილი, სხეულის რომელი ნაწილიდან ჩამოსდიოდა სისხლი. საანალიზო სტროფის მიხედვით ტარიელი იმას უნდა კითხულობდეს, თუ ვინ მიაყენა მას (ფრიდონს) ვნება, ვინ სძლია. ტექსტი არ უნდა გულისხმობდეს მაინცდამაინც კონკრეტულად მკლავის დაზიანებას, მკლავში დაჭრას, როგორც ეს აქვს გააზრებული ს. იორდანიშვილს. მთავარი რედაქციის წევრის შ. ძიძიგურის მოსაზრებით არც ძველ ქართულში, არც დიალექტებში და არც ვეფხისტყაოსანში მკლავის ვნება ძლევას (დაჯაბნებას) არ ნიშნავს, ტექსტი უნდა გავიგოთ პირდაპირი, კონკრეტული მნიშვნელობით, ე. ი. მკლავში დაჭრის აზრით. შ. ძიძიგურს დაეთანხმნენ ს. ცაიშვილი და გ. კარტოზია.

მეოთხე ტაეპის შინაარსი დავას არ იწვევს მთავარი რედაქციის წევრთა შორის. სწორად არ მიგვაჩნია ვ. ბერიძის ინტერპრეტაცია, თითქოს ფრიდონი საამბობლად მოემზადა. ნამდვილად ფრიდონი დაურიგდა, დაეთანხმა, შეპირდა თავგადასავლის თხრობას. ტექსტისათვის უცხოა ვ. ბერიძის მოხმობილი სიტყვები „გვერდს დამისვა".

დიდი გულისყურით ეკიდება მთავარი რედაქცია პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, რაც კი ამ მხრივ უკვე არის გაკეთებული. მისაღებს ვიღებთ, უარსაყოფს, უარვყოფთ ხოლმე. მთავარმა რედაქციამ რიგი საყურადღებო შესწორება შეიტანა პოემის ტექსტში წინანდელ გამოცემებთან შედარებით. თვალსაჩინოებისათვის ჩვენ დავიმოწმებთ

ტექსტის გასწორების რამდენიმე მაგალითს 1966 წლის გამოცემებთან შეპირისპირებით.

1. ტარიელმა ავთანდილს შეახსენა წყლის პირას შეხვედრისა და კონფლიქტის გარდასული ამბავი (294):

მოვიხედენ, მომჭირა პატრონი შენი, ენახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოგექეც, მეტი არა შევუზრახე.

ასეა ტექსტი დაბეჭდილი ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში. გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის გამოცემაში შაირის მეოთხე ტაეპი ნაწილობრივ სხვაგვარად იკითხება:

თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე.

მთავარმა რედაქციამ მომავალი აკადემიური გამოცემისათვის საანალიზო ტექსტი შემდეგნაირად გამართა:

თვალთა წინა გამოვექეც. მეტი არა შევუზახე.

„გამოვექეც“ რამდენიმე ხელნაწერშია. ეს სწორია. ამას ადასტურებს შაირის მთელი შინაარსი, აზრის განვითარების ლოგიკა. ტარიელი შენიშნავს, შენი პატრონი რომ დავინახე, ხელმწიფობის გამო შემებრალა, ხელი არ შევახე, და თვალწინ გამოვექეციო. თხრობა ეხება მესამე პირს. მეორე ტაეპში პირის შეცვლა („გამოგექეც“ შენ) მოსალოდნელი არ არის. უფრო არსებითი ხასიათისაა შევუზრახე-ს გასწორება სიტყვით შევუზახე. ზრახვა საერთოდ ნიშნავს ძრახვას (ა. შანიძე), დაწამებას, დაბრალებას, მხილებას (იუსტ. აბულაძე), ან ლაპარაკს (ვ. ბერიძე). მეორე მნიშვნელობის კვალობაზე (პირველი მნიშვნელობა აქ აბსოლუტურად გამორიცხულია) შევუზრახე უნდა გაგვეგო, როგორც გაველაპარაკე (არა შევუზრახე — არ გაველაპარაკე). მაგრამ ლაპარაკი საანალიზო შემთხვევაში უადგილოა. ტარიელმა მეფისგან მიგზავნილ პირებს არ მოუსმინა, არ დაელაპარაკა, სიტყვა არ დაძრა, პასუხი არ ვასცა. ამან გააგულისა მეფე და მის შესაპყრობად განაწყო. ტარიელს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. რიგი ხელნაწერი შევუზრახე-ს სანაცვლოდ გვთავაზობს შევუზახე (არ შევუზახე). ეს კი ნამდვილად სწორია. ტარიელმა მეფეს არ შეუტია (საბრძოლოდ არ შეუძახა, საბრძოლო ყიჟინა შეწყვიტა), არაფერი ჰკადრა, თავი აარიდა და გაუჩინარდა. საეჭვო აღარაფერი რჩება. სწორია იმ ხელნაწერთა წაკითხვა, რაც ამდენხანს ვარიანტად იყო მიჩნეული. ნამ-

დვილად ეს ვარიანტი დედნისეულია, დედნისეულად ჩათვლილი კი ვარიანტი.

2. ავთანდილმა იპოვა ტარიელი. მან მოკლედ გააცნო თავისი ვინაობა თანამოძმეს და საძებნელად წამოსვლის მიზეზიც აუხსნა. ტარიელმა შენიშნა (296):

> აწ ვაშად მოხვე, მეამა ნახვა შენისა პირისა!
> ტანად სარო და პირად მზე, მაპაცად ჩსგავსი გმირისა,
> მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჰირისა:
> ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა.

ასეა შაირი დაბეჭდილი 1966 წლის გამოცემებში. რიგ ხელნაწერსა და წინანდელ გამოცემებში (მათ შორის 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში) მესამე ტაეპის გახაზული სიტყვები გადასმულ-გადმოსმულია: „გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჰირისა". სიტყვების ამგვარი შენაცვლებით და სასვენი ნიშნების შესაფერისად მოწესრიგებით ტაეპის შინაარსი იცვლება და, რაც მთავარია, უფრო აზრიანი და ლოგიკური ხდება: შ ე ნ გ ა რ ჯ ი ლ ხ ა რ (ეუბნება ტარიელი ავთანდილს), მ ა გ რ ა მ გამოვლილი ჰირი გარდაუხდელი, აუნაზღაურებელი არ არის (რადგანაც გიპოვნივარ, მიჯნური ქალის დავალება შეგისრულებია, ვაქკაცობა და გმირობა დაგიმტკიცებია). ამ შემთხვევაში მაგრა-ს ფუნქცია სავსებით ნათელი და ბუნებრივია, მკაფიოა და გამართლებული: გარჯილხარ, მაგრამ სამაგიეროდ გიპოვნივარ. სიტყვების გადაუსმელად („მაგრა გარჯილხარ") მხოლოდ კონსტატაციაა ფაქტისა: მაგრამ გარჯილხარ და ჰირი გინახავს. აქედან აღარ ჩანს ის ღრმა შინაარსი, რაც ტარიელმა თავის სიტყვებს ჩააქსოვა და რამაც შეაპირობა ვეფხისტყაოსნის ერთი ძირითადი დებულება — ღმერთი კაცს საბოლოოდ მაინც არ გაწირავს („ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა"). ყოველივე აღნიშნულის გამო მთავარმა რედაქციამ აღადგინა ხელნაწერებით შემონახული და ძველი გამოცემებით დადასტურებული ტექსტი: გარჯილხარ, მაგრა...

3. თავდაცვის მიზნით ტარიელი იძულებული გახდა მათრახით გამასპინძლებოდა თავდამსხმელ ხატაელ (თურქ) მონადირეს (209):

> მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა,
> ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დააბიწა,
> მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
> თვალთა წინა წაკვეთიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა!

პოტანილი შაირიდან უნებლიე ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ მეორე და მესამე ტაეპებში არსებითად ერთი და იგივე სარითმო სიტყვებია: დაამიწა, მოამიწა, რაც უთუოდ გარკვეულ უხერხულობას ქმნის და ლექსის ღირსებას ამცირებს. ამავე დროს ორ, შედარებით ძველ ხელნაწერში (S 4988, H 2610) **მოამიწა**-ს სანაცვლოდ იკითხება **მოაწიწა**, ნიშნავს — დაამშინა, შეაშინა, რაც სავსებით ეთანხმება წინამორბედი, სინონიმური პარალელიზმის რიგის სიტყვას **მოამდაბლა** (დაამდაბლა, დაამცირა). ამგვარად ტექსტი ფორმითაც გაიმართა და შინაარსითაც უნაკლო გახდა. საბოლოოდ მესამე ტაეპმა ასეთი სახე მიიღო:

მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა[1].

4. ვეფხისტყაოსანში მოთხრობილია, რომ ნესტანის ხილვამ ტარიელი ბოხიბლა და დაბნიდა. სამი დღე მეფის სასახლეში იწვა უგონოდ. მკურნალობამ არ გაჭრა, ექიმები გაკვირვებული იყვნენ („...ესე სენი რაგვარია? სამკურნალო არა სჩირს რა, სევდა რამე შემოჰყრია", 352). სამი დღის შემდეგ ტარიელს ცნობა დაუბრუნდა, შეშინდა, აქ ყოფნა გამიმჟღავნებს მიჯნურობის ამბავსო. ღმერთს შეევედრა, ნუ გამწირავ, მომეცი დათმობის, გაძლების ძალა, რომ ფეხზე წამოვდგე და „სახლსა ჩემსა **მიმაწვინე**":

ვთქვი, თუ: ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე.
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვთმა აღმდგინე.
აქა ყოფა გამამჟღავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე!
მანვე ქმნა და მორევჯობდი, გული წყლული გავარკინე (354).

ამ ტექსტის მესამე ტაეპის გახაზული სიტყვები შეუფერებელი ჩანს, მაშინ როდესაც სტროფის საერთო შინაარსი სავსებით ნათელია. ტარიელი ღმერთს თხოვს ფეხზე წამოდგომას, რათა როგორმე თავის სახლამდის მ ი ა ღ წ ი ო ს. „მიწვენა" აქ არ გამოდგება, არ შეეფერება ტარიელის მაშინდელ მდგომარეობას და ვედრებას (ღმერთს რომ თხოვს ფეხზე წარმოდგომას შინამდის მისაღწევად). ირღვევა ტაეპის მწყობრი შინაარსობრივი აღნაგობა. ამავე დროს ტექსტი დამოწმებული სახითაა ყველა გამოცემაში და თითქმის ყველა ხელნაწერში. თითქმისო იმიტომ ვამბობთ, რომ გურგინასეულ ხელნაწერში (R) იკითხება „მიმაწივნე", მეორე გვიანდელ (XIX ს.) ხელნაწერში კი დადასტურებულია „მიმწივ-

[1] მოაწიწაა „ვეფხისტყაოსნის" სასკოლო გამოცემაშიც (თბილისი, 1974, 1976).

ნე". „მიმაწივნე" შინაარსობრივად თავის ადგილასაა, სწორედ „მიმაწევინეს" ნიშნავს. მაშასადამე, ტაეპი გაიმართა შინაარსობრივად და სტრუქტურულად. მაგრამ აქ თავი იჩინა ახალმა დაბრკოლებამ, მიმაწივნე არღვევს სტროფის რითმას (შემასმინე, აღმადგინე, გავარკინე, მიმაწივნე). საგულისხმოა, რომ ე. წ. ინდოხატაელთა ამბავში მოიპოვება ამ სიტყვიდან ნაწარმოები ფორმა მოგაწინა, ე. ი. მოგაწევინა. ამის კვალობაზე 354-ე სტროფში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „სახლსა ჩემსა მიმაწინე". ვეფხისტყაოსნისათვის ეს სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი ფორმაა. ამით საუცხოოდ გაიმართა ტაეპის მთელი სტრუქტურა, შინაარსი ნათელი გახდა და რითმა გასწორდა:

აქა ყოფა გამამეღვნებს, სახლსა ჩემსა მიმაწინე[9]:

5. ნესტანზე გაშმაგებით შეყვარებულ ტარიელს ერთხელ ასმათის სააშიკო წიგნი მოუვიდა. მან ძლიერ გაიკვირვა. აშიკობის თავი სად ჰქონდა, მაგრამ გაიფიქრა (360): „მიუყოლობა არ ვარგა, დამწყნარებს უზრახობასა", და მისწერა, „რაცა პასუხი ჰმართებდა აშიკობასა". შემდეგ ასმათი პირადად ეწვია ტარიელს. ჭაბუკი „სამიჯნუროდ" განეწყო, მაგრამ აოცებდა აშიკი ქალის შეუფერებელი ქცევა. უნდა ვიცოდეთ, რომ ასმათი შენიღბული იყო, ნესტანისაგან დაკისრებული ჰქონდა პატრონის სიყვარულის დასაფარავად გაეთამაშებინა მიჯნური ქალის როლი. ტარიელმა ეს არ იცოდა. ასმათი შეეცადა აეხსნა შექმნილი დელიკატური ვითარება (374):

მითხრა: დღე ეგე სირცხვილად მედების, გულსა ალობა:
ვჰონია ჩემგან წინაშე მაგისთვის მომავალობა.
მაჭრა ან მიდებს იმედსა შენგან ცდისაღა მალობა.
ჰკას თუ ღირსვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა.

ასე იკითხებოდა ეს შაირი ყველა ხელნაწერსა და ბეჭდურ გამოცემაში. აკაკი შანიძის ვარაუდით, აქ ტექსტი დამახინჯებული უნდა იყოს. რადგანაც რა იმედი უნდა მიეცა ასმათისათვის ტარიელის მხრივ „ცდისაღა მალობას", ე. ი. წადილის შესრულების დაჩქარებას. ა. შანიძემ წარმოადგინა კონიექტურა: „ცდის არღა მალობა". ვითომც ასმათი, პირიქით, დაიმედა წადილის შეს-

[9] უფრო დაწვრილებით ამ გასწორების თაობაზე იხ. ივანე გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი, 1975, გვ. 261–264.

რულების დაყოვნებამ, აუჩქარებლობამ. ამ კონიექტურით დაიბეჭდა პოემის ტექსტი 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი მთავარი რედაქციის მოსაზრებით, კონიექტურა საჭირო არ არის. გულთამხილავი პოეტის მონათხრობით, ასმათის ქალურ თავმოყვარეობაზე ზემოქმედება მოახდინა ტარიელის მოწონებამ, რომ მშვენიერი ჭაბუკი მზად იყო შეესრულებინა მისი „მიჯნურული“ წადილი. შეკეკლუცებულ-შეხუმრებული კილოთი ეუბნება ასმათი ტარიელს: შენის მბრივ ჩემს მოწონებას, ჩემდამი მოსწრაფებას, თუ ღირსვარ, ვერ ვიტყვი, რომ ღვთის წყალობა მაკლიაო.

ჩვენ უცვლელად დავტოვეთ ტრადიციული ტექსტი, მაგრამ მას სხვაგვარი შინაარსობრივი განმარტება მივეცით. შეუფერებლად გვეჩვენება ს. იორდანიშვილის თარგმანი და ვუკოლ ბერიძის გაგება: «Однако меня обнадеживает твое старание вести себя сдержанно. Достойна ли я того, — сказать не могу, — мне не хватает божьей милости».

„მაგრამ ახლა მე იმედს მაძლევს ის გარემოება, რომ შენ ცდილობ, რაც შეიძლება მალე გაიგო საიდუმლო ამბავი. და თუ ეს აგრეა, ვერ ვიტყვი, რომ მაკლია ღვთის წყალობა (ვ. ბერიძე)[10].

6. ფრიდონმა ტარიელს გააცნო ბიძაშვილებთან კონფლიქტის ამბავი. მოყმემ გულისყურით მოუსმინა, აღუთქვა დახმარება, თანაც შეპირდა, შესაფერისი დრო თუ გვექნება, ჩემს თავგადასავალსაც ვიამბობო. ფრიდონი დიდად მოხარული დარჩა და უპასუხა (610):

> მან ვითხრა: ღხინი საჩემო მაგას არ შეეწონების,
> დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემო დაგემონების.

ასეა ტექსტი დაბეჭდილი 1966 წლის გამოცემებში. რიგ ხელნაწერთა და ბეჭდურ გამოცემაში (მათ შორის ვახტანგისა და 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში) **არ შეეწონების** ნაცვლად იკითხება **რა შეეწონების**. ჩვენმა სარედაქციო კოლეგიამ აღადგინა ეს წაკითხვა **რა შეეწონების** („არ შეეწონების“ კი ვარიანტში გადაიტანა). საქმე იმაა, რომ **არ/რა** გადაწერისა თუ კორექტურის

---

[10] უფრო ახლოსაა სინამდვილესთან ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემის განმარტება: „შენ რომ ასე ჩქარობ ჩემთან ვაარშიყებას, ეს იმედს მაძლევს, რომ არც ისე უღირსი ვყოფილვარ“.

ნიადაგზე ხშირად ირევა ხოლმე[11]. დამოწმებული ტექსტისათვის „რა შეეწონების“ ზედ გამოჭრილია (თუ შენ თავგადასავალს მიამბობ, მაგას ჩემი რა ლხინი შეედრება, უთქვამს ფრიდონს ტარიელისათვის). ტექსტი გაიმართა, აზრი მკაფიო, ნათელი და სიტუაციისათვის მორგებული გახდა[12].

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ განხილულთ ვიკმარებ.

მთავარი რედაქცია განსაკუთრებული სიფრთხილით და გულისყურით ეკიდება ვეფხისტყაოსნის ტექსტის ძირითადობისა და ჩანართობის საკითხს. დადგენილი მონაკვეთიდან (ექვსასამდე სტროფიდან) 1966 წლის გამოცემასთან შედარებით ჩვენ ძირითადად ვცანით და პოემაში კუთვნილი ადგილი მივუჩინეთ ანუ აღვადგინეთ ხუთი სტროფი (304, 305, 320, 323, 335, (A 450). დავადასტურეთ სამი სტროფის ჩანართობა (70, 150, 191).

სამწუხაროდ, წინა გამოცემებს კომენტარები არ ახლავს და ძნელია იმის ზუსტად გათვალისწინება, თუ რით ხელმძღვანელობდნენ რედაქციები, როდესაც ჩამოთვლილი შაირები ინტერპოლაციებად მიიჩნიეს. ჩვენ შევეცდებით ძალიან მოკლედ დავასაბუთოთ მათი პოემისათვის საჭიროება და, მაშასადამე, მათი ნამდვილობა, დედნისეულობა.

1) პირველ რიგში უნდა შევეხოთ (A 450) სტროფს:

რა მინდორს შევჯდი, ზარითა ხმა იყვის ბუკთა ცემისა;
თანა ჰყვის სპისა სიმრავლე მსგავსი ფუტკრისა რემისა;
ჰვრეტად ქალ-ყმები დაჯრილა, დგას თემისა და თემისა;
ვ ი ნ ც მ ნ ა ხ ი ს, ე ყ ვ ი ს ე რ თ წ ლ ა მ დ ი ს კ ვ ე ხ ა.
ნ ა ხ ვ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა.

ამ სიტყვებს ამბობს ტარიელი. წინა სტროფით ვტყობილობთ, რომ იგი მაშინ იყო 15 წლისა, ძალით ლომს ჰგავდა და თვალად მზეს, აქებდნენ მის მოისრობასა და ასპარეზობას. ეს შინაარსი განვითარებულია და გავრცობილია საანალიზო სტროფში: ტარიელი სანადიროდ დადიოდა ზარ-ზეიმით და დიდძალი ამალით, მის

[11] შდრ. განსწორება: რა უმძიმდა დამძიმდა (ალ. ბარამიძე. ხმა წარსულიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 10. IX. 76).

[12] 1937 წლის გამოცემაზე დაყრდნობით შინაარსი ასეთად აქვთ გადმოცემული ს. ორდანიშვილსა და ვ. ბერიძეს: Он сказал: какая радость может сравниться с этим! (ს. ორდანიშვილი); „მან (ფრიდონმა) მითხრა: „საჩემო ლხინი მაგას რა შეედრებაო“ (ვ. ბერიძე).

საჭვრეტლად ეშურებოდა სხვადასხვა თემის ქალი და კაცი. თავისა ლაღი რუსთველური ჰიპერბოლით საკვირველია მეოთხე შაირის დამაგვირგვინებელი ტაეპი: „ვინც მნახის, ეყვის ერთ წლამდის კვეხა ნახვისა ჩემისა“.

335 სტროფს ვერავითარ წუნს ვერ უპოვით, არის ყველა ხელნაწერში. როგორც ჩანს, დაეჭვება იმას გამოუწვევია, რომ ტექსტი აკლია ვახტანგის გამოცემას. ვახტანგის წყალობით კი ის უარყო შემდეგროინდელმა გამოცემებმაც, თუმცა მას მხარი დაუჭირა ჯერ კიდევ ბროსემ და ბოლოს ვარიანტებიანი გამოცემის რედაქციამ 1966 წელს. ვახტანგის გამოცემა ანგარიშგასაწევია, მაგრამ მისი ხარვეზებიც ხომ საყოველთაოდ ცნობილია. ვახტანგის გამოცემისათვის უცნობმა რამდენიმე სტროფმა მტკიცე ადგილი დაიკავა პოემაში, ყოველ შემთხვევაში 1937 წლის საიუბილეო გამოცემის შემდეგ. 335 (A 450) სტროფი ჩვენ დავუბრუნეთ „ვეფხისტყაოსანს“.

2) ფრიად საინტერესოა 305-ე სტროფი (არის ყველა ხელნაწერში):

მაგრა ღმერთმან მოწყალემან მათ ცნობითა ერთით შზითა
ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა:
პირველ, შეჰყრის მოყვარულთა ჩემთ რითმე მიზეზითა,
კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა.

ამ შაირს წყალგამყოფი ადგილი უკავია ავთანდილისა და ტარიელის თავგადასავალთა შორის. ავთანდილმა იპოვა და გაიცნო ტარიელი, მოკლედ მოუთხრო მისი ამბავი და მოსვლის მიზეზი. არაბი ჭაბუკი მოწყურებულია მოისმინოს ახლად შეძენილი მოძმის ამბავი. ტარიელს ეს ძალიან უჭირს, მაგრამ მოიკრებს ძალღონეს და იწყება მისი დრამატიული თავგადასავლის თხრობა. ამ ორი ამბის შუა არის მოქცეული 305-ე შაირი. მთავრდება ერთი ამბავი (ავთანდილის ამბავი) და იწყება მეორე (ტარიელის ამბავი).

ტარიელმა დაასკვნა, რომ ერთი მზის (— ავთანდილის) გაცნობით მან ღვთისაგან მიიღო ორი მოწყალება: — პირველი. მისი მეზეზით (მისი პოვნით) შეიყრება ორი მოყვარული არსება (თინათინი და ავთანდილი), რამდენადაც ავთანდილმა ვაჟკაცურად სრულყო მიჯნური ქალის დავალება და მოიპოვა მისი ხელის თხოვის უფლება; მეორე. სიცოცხლემობეზრებულ ტარიელს იმედი აქვს, რომ მოვიდა მისთვის სანატრელი აღსასრული, და რომ სრუ-

ლად დაიწვება სიყვარულის აღგზნებულ ცეცხლში[13]. ამრიგად, 305-ე სტროფი თავისი შინაარსითა და იღეით აუცილებელი რგოლია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის გაშლისათვის, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური კონსტრუქციისათვის. ფორმის მხრივ ტექსტი უზადოა.

3) 323-ე სტროფი აგვიწერს ნესტანის შობით გამოწვეული სიხარულის, სადღესასწაულო „ძეობის" საყოფაცხოვრებო სურათს. მისი ტექსტიდან ამოღება პოემას დააკლებს ერთს ნიშანდობლივ შინაარსობლივ შტრიხს, ცხოვრებისეულ რეალიას და ამ მხრივ მას გააღარიბებს. ამიტომაც 323-ე სტროფის რუსთველურობა ცილობას არ უნდა იწვევდეს. აი მისი ტექსტი (არ იცნობს ერთი ხელნაწერი და ვახტანგის გამოცემა):

წუხანი წიგნსა ეცნობოდა, დღეთფალი ოდეს შობდა,
მოციქული — მოციქულსა, ინდოეთა სრულად სცნობდა;
მზე და მთვარე ანცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა;
ყოველი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა.

4) ტარიელმა დაიწყო თავისი თავგადასავლის მბობა და ამ ამბის საუკეთესო მცოდნე ასმათი საგანგებოდ გააფრთხილა (320):

ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა,
ხეთისა წულსა შევ ჭირნ მსგავსი ვარდისა შლილისა;
ჭირად არ ვიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სილისა;
არ გაჰვიდოდის ფარსადანს მისი არასმა შვილისა.

მოტანილ ტექსტს არ იცნობს რამდენიმე ხელნაწერი, მაგრამ იგი შეტანილია ყველა ბეჭდურ გამოცემაში, გარდა წერეთელ-აბაშიძისა და 1966 წლის საიუბილეო გამოცემისა. ფორმით უზადო ეს შაირი, ალბათ, იმიტომ უარყვეს, რომ არაჩვეულებრივადაა გაზვიადებული პატარა ტარიელის საარაკო ძალ-ღონე. მაგრამ ჰიპერბოლა, თუ გინდ უაღრესი გაზვიადება, ვეფხისტყაოსნის პოეტური ენის ნიშანდობლივად დამახასიათებელი თვისებაა. აკადემიური ტექსტის დადგენის დროს პოემის ამ თვისებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ჩავიდენთ თვითნებობას და პოეტური ენის ბუნების შეუფასებლობას. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ შაირის მეოთხე ტაეპში ხაზგასმულია პოემის იდე-

[13] სრულიად სხვაგვარად ესმის ტაეპის აზრი ვ. ბერიძეს: „ეგებ მეც არ დამწვას ღერთმა ცხელი ცეცხლით, ეგებ მეც მუშველოს რამე". ს. ორდანიშვილის ბეჭდურ ბწყარედში ეს სტროფი არ არის.

ურ-შინაარსობრივი მხარის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი: ნესტანის გაჩენის გამო ფარსადანი აღარ ნაღვლობდა ვაჟიშვილის უყოლობას.

5) 304-ე სტროფი ყველა ხელნაწერშია და ყველა ძველ გამოცემაში (გარდა ქართველიშვილისა და კარიჭაშვილის გამოცემებისა. კარიჭაშვილი ჩვეულებრივ მისდევს ქართველიშვილის გამოცემას):

კაცმან ვით ჰპოვოს, ღმრთისაგან რაცა არ-დანაბადია!
მით გული ჩემი სევდამან აწ ასრე დანაბა დია,
კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე დანაბადია;
აწ ხელთა, ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბადია.

ეს არის მაჯამური სტროფი, რუსთველის ერთი საუკეთესო მაჯამათაგანი, სადაც ომონიმურ სიტყვას (თუ ომონიმურად შეკრულ სიტყვებს) დ ა ნ ა ბ ა დ ი ა ოთხივე შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. 1. დაბადებულია, 2. დიახ დააბა, 3. (შეკრული ვარ) დაქსელილი ბადით. აქ დანაბადია ნაწარმოებია სიტყვისაგან ბადე. 4. და ნაბადია. ამ მაჯამური სტროფის პოემიდან ამოღება უბრალო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, განხილული ხუთივე სტროფი სერიოზულ ცილობას თუ დაეჭვებას არ უნდა იწვევდეს. ყველა მათ ბუნებრივი ადგილი აქვს მიჩენილი ვეფხისტყაოსანში და მათი პოემიდან ამოღება არ იქნებოდა გამართლებული. ყოველ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა მთავარმა რედაქციამ ერთსულოვნად დაუბრუნა ისინი რუსთველის პოემას[14].

ორიოდე სიტყვა ჩანართებად აღიარებულ სამ სტროფზე.

პირველი — ორი სტროფი (70, 150) ერთმანეთთან არის უშუალოდ დაკავშირებული და ერთად მოვიტან ტექსტებს:

კვლა ბრძანა: მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად,
თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმეველად, მოსახმარებლად, —
ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად, —
ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად. მიუმცდარებლად.
ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული,
თანაშეზრდილი, ერთგული და მისთვის თავდადებული.
მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული,
აწ გაუცხადა სიტყვები მის ზნისა იმედებული.

[14] 320-ე სტროფს მთავარი რედაქციის წევრი ს. ცაიშვილი თვლის ჩანართად.

საგულისხმოა, რომ 70-ე სტროფს არ იცნობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი, ე. წ. გურგინასეული ნუსხა (R). 150-ე სტროფი ყველა ხელნაწერშია. ამ სტროფის პირველი ტაეპის შენიშვნა „ესეა მონა შერმადინ ზემოთცა სახელდებული“ 70-ე სტროფს გულისხმობს. ოღონდ თვითონ 70-ე სტროფში შერმადინი მოხსენიებული არაა მოულოდნელად. ახალი პერსონაჟი შემოყვანილია პოემაში თვითონ ამ პოემისათვის უჩვეულო, არაბუნებრივი გზით, უმოტივოდ. მეფე როსტევანი და ავთანდილი სანაძლეოზე შეთანხმდნენ, ვინც დამარცხდებოდა შეჯიბრებაში (ნადირობაში), ის „თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“ (69). „ერთაი შენი შერმადინ არს მათად (ე. ი. თორმეტი მონის) დასადარებლადო, 70-ე სტროფით რომ ეუბნება როსტევანი ავთანდილს, მკითხველმა არაფერი იცის ამ შერმადინის თაობაზე. შერმადინი ბუნებრივად ჩნდება პოემაში გვიან, როდესაც უცხო მოყმის საძებრად გამზადებულმა ავთანდილმა თადარიგის დასაშერად „გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა სავაზიროსა“ (149). ნადირობის ეპიზოდიდან არ ჩანს, რომ შერმადინი იმ როლს ასრულებდა, რაც მას თითქო დაეკისრა 70-ე სტროფის მიხედვით. მეტიც, შერმადინი საერთოდ არ ჩანს ნადირობის მონაწილედ. ხოლო 70-ე სტროფში მოთხრობილი ამბავი უფრო მწყობრად არის გადმოცემული 74-ე სტროფში:

> უბრძანეს: მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
> მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმ იდითა,
> ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!
> დაიწყო მოსლვა ნადირჰან ყოვლთა მინდორთა კიდითა.

ამ სტროფიდან ჩანს, რომ მეფისა და ავთანდილის ერთობლივი განკარგულების თანახმად („უბრძანეს“) მათი მომარაგება ისრებით, ნაკრავთა შედარება და ნასროლთა დათვლა, ერთი სიტყვით, ნადირობის მეთვალყურეობა და, ცხადია, შეჯიბრების შედეგის შემოწმება დაკისრებული ჰქონია საგანგებოდ შერჩეულ თორმეტ მონას, შერმადინზე არაფერია თქმული. 174-ე სტროფის ნამდვილობაში დაეჭვება გამორიცხულია. თავის მხრივ კი ეს სტროფი საეჭვოდ ხდის 170-ე სტროფის ნამდვილობას, ამ სტროფების მონაცემები ერთმანეთს მთლიანად არ ემთხვევა. ასე და ამგვარად, სანაძლეოს პირობას გადმოგვცემს 69-ე სტროფი, 71-ე აგვიწერს სანადიროდ მზადებას („მონადირეთა უბრძანა: მინდორ-

ნი მოიარენით...“), ხოლო შემდეგ ამბავი ბუნებრივად მიმდინარეობს. ამ ამბიდან ზედმეტი და საერთო სიტუაციისათვის შეუთანხმებელი ჩანს 70-ე სტროფი. ყოველივე ზემოთქმულის გამო მთავარი რედაქციის წევრთა უმრავლესობამ 70-ე სტროფი ჩათვალა ჩანართად. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 150-ე სტროფი ორგანულ კავშირშია 70-ე სტროფთან და მან (150-ე) სტროფმა 70-ე სტროფის ბედი უნდა გაიზიაროს. ისიც აღსანიშნავია, რომ 150-ე სტროფის შინაარსი საუცხოოდაა განვითარებული 151-ე სტროფში:

უბრძანა:[15] აჰა, შერმადინ, ამად მე შენკან მრცხვენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდინიან!
მე ვისგან მჭონდეს პატიჟნი, აწ მასვე მოულხენიან.

ავთანდილისაგან ტარიელის ძებნის ვადა მიიწურა, როდესაც მას შეხვდა „წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა“ (184), საიდანაც გამოჩნდა დიდი მინდორი. ავთანდილს საგონებელი შეექმნა, დაბრუნდეს თუ განაგრძოს გზა. ფიქრებით გათანგული „მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია“ (193). გარკვეული ყოყმანის შემდეგ მან განაგრძო ძებნა. საქმის ამ ვითარებას არ ეგუება საეჭვოდ ქცეული 191-ე სტროფი:

თავს უთხრა: მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა,
მიხვალ, დაგხვდების თინათინ, — ანათებს დღესა მზიანსა, —
გკითხოს მის ყმისა ამბავი რა გმართებს ვაგლახიანსა?
იგონებს წამ-წამ, მიჰყვების ტყის პირსა შაბნარ-წყლიანსა.

ვეფხისტყაოსანში დახატული სურათის მიხედვით, მთის ძირას დიოდა პატარა მდინარე („მის მთისა ძირსა წყალი დის არად სანდომი ხიდისა“, 184). მდინარის ნაპირებს მიჰყვებოდა ტყე. 193-ე სტროფით ავთანდილი ჩამოვიდა მთიდან, გავლო წყალი და ტყე. ხოლო წინა, 191-ე სტროფი მოგვითხრობს, თითქო ავთანდილი უკვე „მიჰყვების ტყის პირსა შაბნარ-წყლიანსა“. კი მაგრამ იგი ხომ ჯერ მთის წვერზეა, მთიდან ჩამოსვლა და ღელის გავლა მომდევნო 193-ე სტროფშია გადმოცემული. მერე და, 186-ე სტროფით ავთანდილმა მოათავა არაბეთში გაწბილებით დაბრუ-

[15] ავთანდილმა ტარიელის ძებნად წასვლის წინ

ნების საძრახისი მხარის ანალიზი, რა უნდა უთხრას თინათინს, რით იმართლოს თავი („ჩემსა რა ვჰკადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა მლეველად?“). 191-ე სტროფში უალაგოდ ისევ ამოტივტივდა იგივე კითხვა: „მიხვალ, დაგხვდების თინათინ... გკითხოს მის ყმისა ამბავი“). აი, ამ შინაარსობრივმა შეუსაბამობამ გაუტეხა სახელი 191-ე სტროფს და იგი ჩანართად იქნა მიჩნეული. აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო 191-ე სტროფს არ იცნობს რამდენიმე ხელნაწერი ნუსხა[16].

მ ი ნ ა წ ე რ ი. შენიშვნა 177-ე შაირის თაობაზე.

ამ საქმესა მეპოწმების დიონოსი. ბრძენი ეზროს:
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, დაცაეზროს.
ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწმი ტანად ეზროს,
იგი სადმე გაღარიბდეს. სამყოფთაგან იაბეზროს.

ეს არის პირველი სტროფი — შესავალი იმ კარისა, რომელსაც ეწოდება „ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასლვა“.

პირველ ტაეპში სასვენი ნიშნების განლაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მსაზღვრელი ბ რ ძ ე ნ ი დიონოსს განეკუთვნება, თუ ეზროსს. რიტმული თვალსაზრისით აჯობებს მძიმე დასვას დიონოსის შემდეგ, მაშინ ბრძენი გამოვა ეზროსი, თუმცა 1492-ე სტროფში ბრძენი მიემართება დიონოსს (ბრძენ დიონოს, ბრძენი დიენოს). ოღონდ არსაიდან ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე პირი იგულისხმებოდეს.

რიგი მკვლევარი (ვახტანგ VI-დან მოკიდებული) 177-ე სტროფის დიონოსსაც თვლის დიონისე არეოპაგელად. 1492-ე სტროფის შინაარსი სავსებით შეეფერება ფსევდო დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას სიკეთის არსობაზე (სუბსტანციურობაზე) და ბოროტების არარსობაზე (არასუბსტანციურობაზე), მაშინ როდესაც 177-ე სტროფის შინაარსის მაგგვარი რამ არეოპაგიტულ კორპუსში არ იძებნება. სამართლიანად არის აღიარებული (ა. გაწერელია), რომ რუსთველი ჩვეულებრივ ზუსტად და შეუმცდარად იმოწმებს ხოლმე თავის წყაროს. ზოგმა მკვლევარმა (ა. შანიძე,

[16] 191-ე სტროფის ჩანართობის თაობაზე უფრო ვრცლად არის საუბარი ს. ცაიშვილის წიგნში — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, I, თბილისი, 1970, გვ. 131—132.

პ. ინგოროყვა, ა. გაწერელია) დიონოსი მიიჩნია ეზრას (ეზროსის) თხზულების დამახინჯებულ სახელწოდებად. ა. შანიძის მიერ აღდგენილი წაკითხვაა (მას მიემხრო ა. გაწერელია): „დიაღნოსი (დიაღნოზი) ბრძნისა ეზროს“. ეზროსი აქ გაგებულია ფსევდო ეზრა წინასწარმეტყველად, „დიაღნოსი“ კი ასტროლოგიურ თხზულებად[17]. ა. გაწერელიას მიერ მოხმობილი პარალელები კომპენდიუმიდან და ვეფხისტყაოსნიდან უთუოდ საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი, მაგრამ საკითხი მაინც საცილობლად მეჩვენება. პ. ინგოროყვა საანალიზო ტექსტს გვთავაზობს შემდეგი რედაქციით:

ამ საქმესა შემოწმების მე დ ი ვ ა ნ ი ბ რ ძ ნ ი ს ა ე ზ რ ო ს[18].

ეზროდ აქ გააზრებულია XI—XII საუკუნის ებრაელი პოეტი ესპანეთიდან იბნ ეზრა, რომლის ყარიბობისდროინდელი განწყობილება ეხმაურებაო ვეფხისტყაოსნის 177-ე სტროფის სულისკვეთებას („იგი სადმე გ ა ღ ა რ ი ბ დ ე ს, სამყოფთაგან იაბეზროს“)[19]. პ. ინგოროყვას ამ მოსაზრებას არსებითად იზიარებს შ. ნუცუბიძე („Мудрый Эзрос в „Дионисе“ сам свидетельствует мне“).[20] უკანასკნელის წყალობით ივი გავრცელდა სხვა თარგმანებითაც. პ. ინგოროყვას თვალსაზრისი მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდია (ვეფხისტყაოსნის ტექსტი გასწორებულია თვითნებურად).

სრულიად შეუწყნარებელია დ. ქუმსიშვილის ფიქრი, თითქო 177-ე სტროფის დიონოსი ბერძენთა წარმართული ღმერთი დიონისეა[21].

---

[17] ა. შანიძის მიხედვით ესაა „კალანდაჲ, ქმნული ეზრა წინაჲსწარმეტყველისაჲ“. ა. გაწერელიათი — ასტროლოგიურ თხზულებათა ის კომპენდიუმი, სადაც შესულია ეს „კალანდაჲც“, სახელდობრ: I — სიბრძნისაგან ფილოსოფოსთა საწინაჲსწარმეტყუელებად ქამთა და შენებათა წელიწდისა მოწევნადთათვის, თუ ვითარ იყვნენ; 2. კალანდაჲ, ქმნული ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲ; ძვრისა და ქუხილისა გამოცხადებისაჲ (ა. შანიძე, დიონოსი, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 8, გვ. 48—52; ვეფხისტყაოსნის საკითხები, I 1966, გვ. 192—196; ა. გაწერელია, რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1970, № 7, გვ. 140—150; № 8, გვ. 112—125)

[18] ვეფხისტყაოსანი პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1970, სტროფი 144.

[19] იქვე, გვ. 75—76.

[20] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, 1958, с. 416.

[21] ვეფხისტყაოსანში „დიონოსის“ და „დვნოსის“ საკითხისათვის, ჟურნ „მნათობი“, 1969, № 8, გვ. 158—169).

ამრიგად, ჩემი აზრით, ვეფხისტყაოსნის 177-ე სტროფის პირველი ტაეპის დიონოსისა და ეზოსის ვინაობის (თუ რაობის) საკითხი ჯერჯერობით გარკვეული არ არის და კვლავ საძიებელი რჩება[22].

---

[22] საანალიზო ტექსტის (177-ე სტროფის) საკითხს საინტერესო წყრილი მიუძღვნა სტუდენტმა დარეჯან მენაბდემ — „ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული ზოგიერთი პირის ვინაობისათვის“, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1975, № 1, გვ. 22—26.

რუსთველის დასაცავად

„მნათობის“ 1973 წლის მეხუთე ნომერში დაბეჭდილია დიმიტრი ქუმსიშვილის წერილი „ისტორიზმის პრინციპის უგულვებელყოფის სამწუხარო შედეგი“ (გვ. 160—172).

წერილის ავტორი ბრალს გვდებს ვითომც ჩვენს რუსთველოლოგიურ ნაშრომებში, კერძოდ, მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (თბილისი, 1966) ვავითარებთ ა ნ ტ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ, ა ნ ტ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ, ა ნ ტ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის თაობაზე, რომ ჩვენი რუსთველოლოგიური შეხედულებანი „სხვა არაფერი არაა, გარდა პრაგმატიზმისა და პრეზენტიზმის გამოვლენისა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში“ (გვ. 171—172). სქოლიოში განმარტებულია, რომ პრაგმატიზმისა და პრეზენტიზმის ბურჟუაზიული სუბიექტურ-იდეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენელნი ფაქტობრივ უარყოფენ ობიექტური ისტორიული შემეცნების შესაძლებლობას და აყალბებენ ისტორიულ წარსულს.

ეს მძიმე ბრალდებანი წამოყენებულია შემდეგი ოთხი უძირითადესი პრინციპული საკითხის გამო:

1. „ალ. ბარამიძე შოთა რუსთაველს მიაწერს კაცისა და ქალის საყოველთაოდ გათანაბრების იდეის ქადაგებას“ (გვ. 161), ქალთა ემანსიპაციას (გვ. 162).

2. ალ. ბარამიძე ცდილობს XII საუკუნის პოეტს თავზე მოახვიოს მეცნიერული სოციალიზმის იდეები საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლების თაობაზე (გვ. 163—164).

3. ალ. ბარამიძის თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ხალხთა მეგობრობის იდეა (გვ. 166—169).

4. მისივე შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით (გვ. 166—169).

ძალიან მოკლედ განვიხილავთ თითოეულ ამ ბრალდებას.

ჩვენ არსად არ გვაქვს ნათქვამი, რომ რუსთველი ქადაგებს უფლებრივ ნიადაგზე ქალისა და კაცის საყოველთაოდ გათანაბრებას, ქალთა ემანსიპაციას.

ამ საკითხში ჩვენ ვაკითარებთ თანამედროვე მეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებას: „რუსთველმა დედაკაცი მამაკაცს გაუთანაბრა მორალურად და ინტელექტუალურად. გარკვეულ პირობებში პოეტს შესაძლებლად ეჩაჩნია გამამაცისა და დედაკაცის პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობაც“ (შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 141, 142, 144). მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსთველი ქალთა საკითხს არ ზღუდავს მარტოოდენ სამეფო ოჯახის ფარგლებით, ის უფრო შორს იხედება. აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილს, რასაც დ. ქუმსიშვილი მკითხველს უმალავს. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ზოგიერთი მკვლევარი „ვიწროდ შეპოფარგლულ მოსაზრებას ხედავს“ ქალის საკითხის შოთასეულ გაგებაშიო და თავის მხრივ ასკვნის: „რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა ეფიქრა ადამიანს, რომ შოთას თავის პოემაში სუფრაჟიზმის მსგავსი ღებულება ჰქონდეს წამოყენებული. მაგრამ არც ის მოსაზრებაა მართალი, თითქოს აქ მხოლოდ ცალკეული შემთხვევა იყოს ნაგულისხმევი (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 27). ივ ჯავახიშვილი იმასაც ამბობს, რომ ვეფხისტყაოსნის აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ არის საზოგადოდ „признание автором принципа равенства полов в политической жизни“ (იქვე, გვ 15). როგორც ცნობილია, სპარსულიდან მომდინარე „ვისრამიანი“ ქალს თვლის ზნეობრივად და გონებრივად შეზღუდულ, უსრულ არსებად. ვეფხისტყაოსანი კი მხატვრული ენით ასაბუთებს, რომ ქალი სრულყოფილი ადამიანია, დედაკაცია მამაკაცის მსგავსად. მართლაც-და რუსთველმა შექმნა არა მარტო ნესტანისა და თინათინის მომხიბლავი სახეები, არამედ მან სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა ასმათი და ფატმანი. დავუშვათ, რომ ასმათი არ არის „მდაბიო“ წარმოშობისა თანამედროვე გაგებით, ის ხომ არ იყო სამეფო ოჯახის წევრი? ასმათის მაღალ ზნეობრივ-გონებრივი თვისებები რაიმე ცილობას ვერ გაუწევს. ვაჭრის ცოლი ფატმანიც, მიუხედავად საჩოთირო ზნეობრივი ხასიათისა, გონებრივად გამჭრიახი და კეთილი გულის პატ-

რონი ქალია. რომელმაც თავი გამოიდო ნესტანის დასახსნელად (ნესტანი ფატმანს უწოდებს დედის უმჯობეს დედას). რუსთველმა დაარღვია შუასაუკუნეობრივი შეხედულება ქალის უსრულობაზე, მან ქალი მამაკაცს გაუთანაბრა ზნეობრივი და გონებრივი, ზოგჯერაც პოლიტიკურ-უფლებრივი ასპექტით. რუსთველმა გაუსწრო თავის დროს. მცდარზე მცდარია დ. ქუმსიშვილის მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანში ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა ეხება მხოლოდ მეფეთა საგვარეულოს ჩამომავლებს, მეფეთა ასულებს", ხოლო ჩვენი დებულება დედაკაცისა და მამაკაცის მორალურ-ინტელექტუალური თანასწორობის თაობაზე „ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსნის მთელ შინააარსს" (გვ. 162). ეს არის პირწავარდნილი ვულგარული სოციოლოგიზმის გამოვლინება ვეფხისტყაოსნის შეფასებაში.

2. დ. ქუმსიშვილი აყალიბებს ჩვენს მოსაზრებას რუსთველის სოციალური მრწამსის თაობაზე. იგი წერს, რომ ალ. ბარამიძეს პოემის 1664 სტროფის შინაარსი, კერძოდ „ფიგურალური გამოთქმა" თხა და მგლის ერთად ძოვის შესახებ „სამწუხაროდ, პირდაპირ გაუგია და რეალობად მიუჩნევია", რის შედეგად იგი (ალ. ბარამიძე) „სერიოზულად ფიქრობს, რომ XII საუკუნეში, ფეოდალიზმის გაფურჩქვნის პერიოდში, შოთა რუსთაველი იბრძოდა საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლებისათვის და რომ მის მიერ დახატულ სახელმწიფოებში პრაქტიკულად მოისპო ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმა" (გვ. 163—164). როგორც ვთქვით, დ. ქუმსიშვილი აყალიბებს ჩვენს თვალსაზრისს. 1664-ე სტროფის დამოწმების შემდეგ ჩვენ სიტყვასიტყვით ვწერთ (რასაც ქუმსიშვილი მკითხველს უმალავს): „ამ პოეტურ-ფანტასტიკური აპოთეოზით რუსთველი ხატავს ადამიანთა სოციალური ბედნიერებისა და თავისუფლების უტოპიურ სურათს. რასაკვირველია, ეს სურათი ზღაპრული ია, ოღონდ სურათის ზღაპრულობაც იმას ამტკიცებს, რომ პოეტს არ აკმაყოფილებდა მისდროინდელი საზოგადოებრივი წყობილება, იგი ოცნებობდა უკეთეს მომავალზე (გვ. 192). აღნიშნულ მოვლენას ჩვენ ანალოგიას ვუძებნით დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის შემოქმედებაში და ასე განვაგრძობთ მსჯელობას: „XII საუკუნის ქართველი და აზერბაიჯანელი დიდი პოეტი — მოაზროვნენი გრძნობდნენ იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლს, ოც-

ნებობდნენ ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებაზე, ადამიანთა თანასწორობასა და თავისუფლებაზე. მართალია, ეს მომავალი მათ ესახებოდათ ბუნდოვნად და უტოპიურად, მაგრამ მშვენიერი ოცნებით დიდებული პოეტები ამჟღავნებდნენ არსებული სინამდვილით უკმაყოფილებას“ (გვ. 192—193).

რუსთველმა, როგორც მოწინავე მოაზროვნემ, გაუსწრო თავის ეპოქას. იგი ოცნებობდა „ცხოვრების სამართლიან სოციალურ მოწყობაზე“ (გაზ. „პრავდა“). ეს შოთა რუსთველის დიდი ღირსებაა, დიდი დამსახურება.

3—4. მესამე და მეოთხე პუნქტები მოიცავს უმთავრეს ბრალდებას. ამ პუნქტების ბრალდებანი დ. ქუმსიშვილს გაერთიანებულად აქვს წარმოდგენილი. დ. ქუმსიშვილი მომაკვდინებელ ცოდვად, ეულგარიზაციად და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უგულებელყოფად გვითვლის იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსანში ჩვენ დავინახეთ ხალხთა მეგობრობის იდეისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების გამოხატულება.

მოვიყვანთ რამდენიმე ციტატს დ. ქუმსიშვილის წერილიდან: „ალ. ბარამიძე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ რუსთაველი გამოიყვანა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლად. მისივე აზრით, შოთა რუსთაველი უდიდესი ინტერნაციონალისტი იყო, რომელმაც მხატვრულად დაასაბუთა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა“ (გვ. 166). „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნულ საკითხზე ვერ შეიწყნარებს XII საუკუნეში ხალხთა შორის საერთაშორისო სოლიდარობის იდეის არსებობას, რადგან არსებობს მხოლოდ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და ხალხთა შორის სოლიდარობა“ (გვ. 167). დ. ქუმსიშვილი კატეგორიული ფორმით მოითხოვს: „ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ამდაგვარი ხასიათის ვულგარიზაციას, მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში არ არსებული ეს საკითხი ფართოდ არის გაშლილი. უფრო მეტიც, ხშირად სტუდენტებსა და მოწაფეებს აძლევენ დასაწერად თემას: „ხალხთა ძმობა და მეგობრობა ვეფხისტყაოსანში (გვ. 167).

რაც მართალი მართალია. ჩვენ მართლაც ბეჯითად ვიცავთ იმ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანში მკაფიოდ არის გამოხატული ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა და პოემას მსჭვალავს ინ-

ტერნაციონალიზმის სულისკვეთება. მაგრამ ეს არის არა მარტო ჩვენი ოვალსაზრისი, ესაა მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და მთელი განათლებული საბჭოთა საზოგადოების თვალსაზრისი.

ამაოდ ცდილობს დ. ჭუმბიშვილი კ. კეკელიძის გადაბირებას. კ. კეკელიძეს პირდაპირ უწერია, რომ: „ვეფხისტყაოსანში უნებლიეთ იპყრობს ყურადღებას საშუალო საუკუნეებისათვის არაჩვეულებრივი ერთა სოლიდარობა... აქ მთავარი მოტივი არის არა ეროვნული პარტიკულარიზმი, არამედ ინტერნაციონალური სოლიდარობა; აქ მთავარია საერთაშორისო თანამშრომლობა“ (კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, 1971, გვ. 129: კურსივი ჩვენია. — ა. ბ.). სამამულო ომის პერიოდის ერთ წერილში („შოთა რუსთაველი და ხალხთა მეგობრობა“) კ. კეკელიძე ხაზგასმით ამბობს: „ვეფხისტყაოსანი ქადაგებაა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა“[1]. თუ არ ვცდებით, ივ. ჯავახიშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც ვეფხისტყაოსანში ამოიკითხა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა. მეტიც, ივანე ჯავახიშვილს ხალხთა ძმობის იდეა მიაჩნია ვეფხისტყაოსანის უძირითადეს იდეად. დიდი ქართველი მეცნიერი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს თავის მსჯელობას ხალხთა მეგობრობის საკითხზე: „ხალხთა ძმობა ჩვენთვის განსაკუთრებით უფრო გასაგებია, ვიდრე გასაგები იყო მაშინ, როდესაც რუსთაველი წერდა თავის პოემას. ჩვენთვის ეს გასაგები და ძვირფასია, იმიტომ რომ საბჭოთა დიპლომატია, თავიანი მთავრობის დავალებით ყოველთვის იცავს ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ცდილობს ყოველთვის დაეხმაროს იმ ჩაგრულ სახელმწიფოებს, რომელთა უფლებებს ფეხქვეშ სთელავს უხეში სამხედრო ძალა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 18—19). პ. ინგოროყვას შეხედულებითაც, „ვეფხისტყაოსანი აღბეჭდილია ინტერნაციონალური სულით“, „რუსთაველი ქადაგებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ძმობას ხალხთა შორის. რუსთაველის პოემაში მოცემულია უდიადესი მთელს მსოფლიო პოეზიაში — პოეტური გამოხატვა ხალხთა ძმო-

[1] კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 195.

ბ ი ს ი დ ე ი ს ა“ (ვეფხიტყაოსნის 1970 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. 125, 160; კურსივი ჩვენია, — ა. ბ.).

ანალოგიური თვალსაზრისი განვითარებულია პარტიულ დოკუმენტებშიც. ამ თვალსაზრისის ნიშნის ქვეშ ჩატარდა რუსთველის 800 წლის იუბილე საქართველოში, მოსკოვში და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში. სანიმუშოდ საკმარისი იქნება მოვიტანოთ ორიოდე ამონაწერი გაზეთ „პრავდას“ მოწინავედან (25. 9. 66); «Выступая страстным поборником раскрепощения разума и чувств, он (т. е. Шота Руставели) в эпоху средневекового мракобесия поднял знамя гуманизма и человеколюбия. Священные идеалы патриотизма и братства народов, возвышенные чувства любви и дружбы, жизнеутверждающий оптимизм, прославление мужества и отваги — все это составляет идейно-художественное богатство шедевра мирового поэтического эпоса «Витязя в тигровой шкуре»... «Героический пафос, идеи патриотизма и интернационализма, воплощенные в поэме Руставели, близки духовному миру советских людей, свободолюбивых народов земли» (კურსივი ჩვენია.—ა. ბ.).

„პრავდას“ იმავე ნომერში დაბეჭდილია ნიკოლოზ ტიხონოვის სტატია «Бессмертие поэта», რომელშიაც რამდენიმეჯერ არის ხაზგასმული ვეფხისტყაოსნის ის იდეები, რაც საცილობლად გაუხდია დ. ქუმსიშვილს. 1966 წლის 25 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა რუსთველის ძეგლი, იმავე დღეს დიდი თეატრის შენობაში შედგა საზეიმო სხდომა. ამ სხდომის ანგარიშშიც („პრავდა“, 26. X. 66) წინა პლანზეა წამოწეული ქუმსიშვილის მიერ ანაქრონიზმად მიჩნეული რუსთველური იდეები ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე. რუსთველის დაბადების 800-ე წლისთავს მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობების გაერთიანებული საიუბილეო სხდომა. ამ სხდომამ წერილით მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. წერილში ნათქვამია: «Вместе с братским грузинским народом мы чувствуем здесь великого мастера поэтического слова и выдающегося мыслителя, возвестившего из глубины веков бессмертные идеи гуманизма и дружбы народов». (გაზ. «Заря Востока», 27.9.66; კურსივი ჩვენია — ა. ბ.).

სხვათა შორის დ. ქუმსიშვილი ერთმანეთში ურევს ცნებებს: ე რ ი და ხ ა ლ ხ ი.

ამრიგად, დ. ქუმსიშვილი რევიზიას უწევს და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებად აცხადებს საბჭოთა მეცნიერის მიერ გამოთქმულ და საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის პროგრესული იდეური შინაარსის შესახებ. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა შოთა რუსთველის თხზულებას უწოდა „древній и вечно юный эпос". დ. ქუმსიშვილი კი ფიქრობს, რომ შოთა რუსთველი ჩაკეტილია შუა საუკუნეებში, წინ ვერ იხედება, მხოლოდ ფეოდალური საზოგადოების შეზღუდული თვალთახედვით აზროვნებს, ოცნებაშიც არ შეუძლია სოციალური უსამართლობის უარყოფითად შეფასება, ქალთა საკითხს მხოლოდ მეფის ოჯახის ინტერესებით ზომავს, მისთვის უცხო ხილი ყოფილა ხალხთა მეგობრობის იდეა და ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთება.

აბა, რითაა ვეფხისტყაოსანი ესოდენ შთამბეჭდავი «вечно юный эпос».

დ. ქუმსიშვილი ცდილობდა ჩირქი მოეცხო ქართველი საბჭოთა მეცნიერისათვის, ნამდვილად კი მან დაამცირა და შეურაცხყო შოთა რუსთველი.

დასასრულ, უნდა შევეხოთ უდიერი ხასიათის ორ გამოხდომას. პირველი შეეხება ნიზამი განჯელის „ხოსროვ-შირინიანის" საკითხს. დ. ქუმსიშვილი ამბობს, რომ ჩვენ ნიზამის პოემაში დავინახეთ ის, „რაც მასში სულაც არ არის" და ნიზამის მივაწერეთ, თითქოს შირინი ეროვნებით იყო სომეხი და მის სამფლობელოში შედიოდა საქართველო. სიტყვა სომეხი ქუმსიშვილს ხაზგასმით აქვს დაბეჭდილი. ჯერ ერთი, ჩვენ გვიწერია „სომხეთის მეფის ასული, ეროვნებით თითქო სომეხი" (ხაზგასმა აქ ახალია — ა. ბ.), გამოთქმას თ ი თ ქ ო ს ჩვენ იმიტომ ვხმარობთ, რომ ზოგი მკვლევარი (მაგალითად, პროფესორი რაფილი) მას თვლის აზერბაიჯანელად, ხოლო როგორც მცატერული სახე, იგი ქართული სინამდვილით არის შთაგონებული (ამაზე ქვემოთ). უახლესი სპეციალური ლიტერატურით, შირინი ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მიჩნეულია სომხად. ასე, შუა საუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის საუნივერსიტეტო კურსში (ამ კურსის რედაქტორები არიან განთქმული საბჭოთა მეცნიერები აკად. ნ. კონრადი, ტაჯიკეთის აკადემიის წევრ-კორ. პროფესორი ი. ბრაგინსკი და პროფ. ლ. პოზდნეევა) ვკითხულობთ: «Поэма (Хосров и Ширин) со-

держит трагическую историю любви персидского царевича, ставшего царем Хосровом II Парвизом, к армянской царевне Ширин» (Литература Востока в средние века, ч. II, М., 1970, გვ. 134, კურსივი ჩვენია, — ა. ბ.). შირინის სომხობა ჩვენ არ მოგვიგონია. ახლა შირინის სამფლობელოს შესახებ; დ. ჭუმსიშვილი ამბობს, რომ შირინის მამიდა შამირას და თვითონ შირინს „სამეფო არ ჰქონიათ. მაშინ როგორღა გამოდის, რომ მათ სამფლობელოში საქართველოც შედიოდა. ეს დასკვნა ალ. ბარამიძემ მხოლოდ იმის საფუძველზე გააკეთა, რომ შამირა თურმე საქართველო'ში (!) დადიოდა საგარაკოდ და სანადიროდ“ („მნათობი“, № 5. 169). დ. ჭუმსიშვილი ქვევითაც ასე განაგრძობს: „ალ. ბარამიძემ ნიზამი განჯელს მიაწერა ის, რაც არ არის „ხოსროვშირინიანში“. ერთი ქვეყნიდან მეორეში საგარაკოდ წასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ქვეყანა, სადაც აგარაკი იმყოფება, იმ ქვეყნის ნაწილია, რომელიდანაც მოაგარაკეა“ (იქვე).

ნიზამის პოემის მიხედვით, შამირას დიდი სამფლობელო ჰქონდა, სადაც ის შეუვალად მბრძანებლობდა. ამბაკო ჭელიძის ქართული თარგმანის მიხედვითაც „ყოველი მხარე არანისა თვით სომხეთამდე იმ ქალის ნებას აღასრულებს, მხარეს ფლობს ამდენს“. თავისი სამფლობელოს ყოველი მხრიდან შამირა იღებდა ხარკს. ოღონდ დიდი მიწა-წყლის მფლობელსა და მბრძანებელს არ ჰქონდაო ტახტი და გვირგვინი, ე. ი. არ ყოფილა სკიპტროსან-გვირგვინოსანი. თუმცა შამირას გარდაცვალების შემდეგ შირინი გამეფდა კიდევაც. სპარსულ დედანში საგანგებო თავია: „შირინის მეფედ დაბრძანება მოჰინბანუს (შამირას) ადგილზე“, ანუ ამბაკო ჭელიძის თარგმანის მოკლე დასათაურებით „„შირინის გამეფება“ (ხოსროვი და შირინი, თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ, თბილისი, 1964, გვ. 189). აქ ვკითხულობთ: „როცა შირინი იმ დიდებულ ტახტზე აბრძანდა... მთელმა სამეფომ გაიხარა... მეფობდა, მაგრამ გული მისი მწარედ იწვოდა“. სიყვარულით გაშმაგებულმა შირინმა ტახტი ხელქვეითს ჩააბარა, ხოლო თვითონ მადაინს გაემგზავრა. მოჰინ-ბანუმ კი „წაიღო ბარგი შავ მიწაში მეფის ტახტიდან“ (გვ. 186).

მაშასადამე, მოჰინ-ბანუსაც (შამირას) და შირინსაც (მოჰინ-ბანუს მემკვიდრეს) სამეფოც ჰქონდა, საეფო ძალა-უფლებაც. ძლევა-მოსილებაც. მათი სამფლობელო მთელ ამიერკავკასიაზე იყო გადაჭიმული, ამიტომაც პროფ. ბოლდირევი შამირას უწოდებს „могущественная кавказская царица“ (Два Ширванских поэта

Низами и Хакани, Сбор. „Памятники эпохи Руставели", Л., 1938, с. 119). დიდი მიწა-წყლის მფლობელ შამირას წლის ოთხ დროს შესაფერისად ოთხი სადგომი რეზიდენცია ჰქონდა: სომხეთში, საქართველოში (აფხაზეთში), მუღანში და ბარდავში. ცნობილი ირანისტის იური (გიორგი) მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „Шамира четыре раза в год меняет свою резиденцию" (Хакани, Низами, Руставели, Л., 1935, с. 9, прим. 1.). შამირა ერთი ქვეყნიდან მეორეში საგარაკოდ კი არ დადიოდა (როგორც ქუმსიშვილი ამბობს), არამედ თავისი დიდი სამფლობელოს სხვადასხვა რეზიდენციაში ატარებდა დროს. რასაკვირველია, ნიზამის მოთხრობაში ზღაპრული და ფანტასტიკური ბევრი რამაა. მაგრამ ეს კი არაა მთავარი. მთავარია შამირასა და შირინის მხატვრული სახეების გახსნა, ნიზამის მხატვრული ჩანაფიქრის ამოცნობა. ჩვენს შეხედულებას ამის თაობაზე დ. ქუმსიშვილი ჩვეულებისამებრ უმალავს მკითხველს. ჩვენ კი აღნიშნული გვაქვს, რომ „მეცნიერთა ერთი რიგის აზრით, შირინის მხატვრული სახე შთაგონებულია თამარით" (შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 272)[2], ხოლო პროფ. ე. ბერტელსის მოსაზრებით — „создать образ Ширин ему (т. е. Низами) в значительной степени помогла близость к христианским кругам, при смешанном характере населения Гянджи и ее близости к Грузии поэт не мог не знать о том, что женщина там была свободна и не подвергалась тому унижению, которое было обычно в стране мусульман» (იქვე).

მოტანილი მასალების საფუძველზე ჩვენ ვასკვნით: „ერთი სიტყვით, შირინის პოეტურად მიმზიდველი, ღრმად იდეური ადამიანური სახე ან კონკრეტულად თამარის, ან საზოგადოდ, ქართველი ქალის ანალოგიით არის შექმნილი. შირინი გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის მანდილოსანთა ზნეობრივ სიფაქიზესა და თავისუფლებისმოყვარეობას. მშვენიერი შირინის ბუნებას ადიადებს მისი უალრესი პრინციპულობა და მაღალზნეობრივი სიყვარულის ერთგულება. შირინი არ მიჰყვა და არც დაემორჩილა ხოსროვის ავხორცულ წადილს. ის ხოსროვს დაუახლოვდა მხოლოდ როგორც მეუღლე, როგორც დედოფალი. ამ მხრით შირინს არაფერი აქვს საერთო

[2] სქოლიოში დამოწმებული გვაქვს ი. მარის, ა. ბოლდირევისა და დ. კობიძის შრომები.

ირანული ტიპის სულწასულ, უნებისყოფო, ინერტულ ანდა ქვეწნა გრძნობების მონა დიაცთან“ (გვ. 272—273; დაყოფა ახალია, — ა. ბ.).

ჩვენ ვრცლად ვახასიათებთ შირინს, ვუდარებთ მას ნესტანს, ვცდილობთ ვაჩვენოთ ნესტანის ხასიათის განუმეორებელი სიდიადე და თავისებურება შირინთან შედარებით და ვწერთ: „შირინისა და ნესტანის ხასიათების სხვაობა..., ასე თუ ისე, გამოხატავს ამ სახეთა შემქმნელი ავტორების მსოფლმხედველობრივი სხვაობის მხარეს“ (გვ. 274). ამის შემდეგ საგანგებოდ ვიხილავთ ნიზამისა და რუსთველის სამოყვარულო კონცეფციათა რაობას და ვასაბუთებთ, რომ ნიზანი განჯელის თვალთახედვით „სიკვდილმა უკვდავყო სიყვარულის მარადისობა... რუსთველმა (კი) სიყვარულის უკვდავება სიცოცხლით დააგვირგვინა... რუსთველის (მიერ ასახული) სიყვარული დედამიწაზე ზეიმობს თავის გამარჯვებას. ნიზამის (მიერ ასახული) სიყვარული კი საიმქვეყნო ზღვევის მომლოდინეა“ (გვ. 274—275). დასასრულ ვაანალიზებთ რუსთველური სიყვარულის ბალმონტისეულ ცნობილ გაგებას და დავძენთ: „კ. ბალმონტს კარგად აქვს შენიშნული და შეფასებული რუსთველის სიყვარულის იდეის თავისებურება. ვფონებ, ბალმონტი არ იცნობდა ნიზამის, თორემ, ეჭვი არაა, დიდ აზერბაიჯანელ პოეტსაც მოაქცევდა იმ მოაზროვნეთა წრეში, რომელნიც სიყვარულის გაგების მხრით უპირისპირდებიან რუსთველის პოზიციას“ (გვ. 275—276).

ჩვენ გადმოვეცით ჩვენი გამოკვლევის შინაარსობრივი სქემა. აქედანაც მკაფიოდ ჩანს, რომ დ. ქუმსიშვილი უღვთოდ ამახინჯებს ჩვენს შეხედულებებს. ჩვენ მიგვაჩნდა. და მიგვაჩნია, რომ შირინის უაღრესად მიმზიდველი სახე ქართული სინამდვილით შთაგონებული და შექმნილი მხატვრული სახეა, რომელიც საუცხოოდ გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მანდილოსანთა ზნეობრივ სიფაქიზესა და თავისუფლებისმოყვარეობას, თუმცა ნესტანთან ის ახლოს ვერ მივა.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა დ. ქუმსიშვილი, როდესაც ასე ამახინჯებდა ჩვენს თვალსაზრისს „ხოსროვ-შირინიანის“ საკითხებზე. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დ. ქუმსიშვილი უბრალოდ არც იცნობს „ხოსროვ-შირინიანის“ შინაარსს ქართული თარგმანის მიხედვითაც, ვინაიდან პოემა მას ბოლომდე წაკითხული არ ჰქონია.

მეორე გამოხდომა ისაა, რომ დ. ჭუმსიშვილი ტენდენციური მიზნით იმოწმებს ციტატებს ჩემი „ნარკვევების“ პირველი წიგნის პირველი გამოცემიდან, რომელიც 41 წლის წინათ დაიბეჭდა. ამ წიგნში შესამჩნევია ვულგარული სოციოლოგიზმის ნაკვალევი. ეს არის იმდროინდელობის ხარკი, სწორედ ისტორიული კანონზომიერებით გამოწვეული ხარკი. მაგრამ ეს „საყმაწვილო სენი“ ჩვენ კარგა ხანია რაც მოვიხადეთ. 1938 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ჩვენ ვწერდით: „ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აღვნიშნო: „ნარკვევები“ ამჟამად ჩვენთვის წარმოადგენს უკვე განვლილ ეტაპს. ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას, სამწუხაროდ, მოჭარბებულად მაქვს გამოყენებული სოციოლოგიზმის თვალსაზრისი. განსაკუთრებით ითქმის ეს „ნარკვევების“ შესავალ წერილზე და ვეფხისტყაოსნის სოციალურ გარემოზე“ (იხ. ტარიელი, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 93, შენ. 1). ვულგარული სოციოლოგიზმის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ ძირ-ფესვიანად გადავამუშავეთ „ნარკვევების“ ეს პირველი წიგნი და ისე გამოვეცით 1945 წელს. უბრალო ლიტერატურული ეთიკა მოითხოვდა დ. ჭუმსიშვილს დაემოწმებინა „ნარკვევების“ პირველი წიგნის მეორე გადამუშავებული გამოცემა. როგორც ჩანს, ლიტერატურული ეთიკა ჭუმსიშვილისათვის ქაჯის სავარცხელია. მისი მთავარი იარაღია ცილისწამება და სიყალბე. ისიც ნიშანდობლივია, რომ დ. ჭუმსიშვილი ვეფხისტყაოსანში დღეს ავითარებს უკიდურესი ვულგარული სოციოლოგიზმის თვალსაზრისს.

ამრიგად, დ. ჭუმსიშვილი არა მარტო ცილს წამებს საბჭოთა მეცნიერს, არამედ არ ერიდება ჩვენი „წმინდათა წმინდა ეროვნული რელიქვიის“ — ვეფხისტყაოსნის ხელყოფას.

ჩვენ არ გვიკვირს დ. ჭუმსიშვილის გამოხდომა. ეს გამოხდომა ნაკარნახევია მდაბიო შურისძიების გრძნობით. ჩვენ ის გვიკვირს, რომ დ. ჭუმსიშვილის წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“.

მ ი ნ ა წ ე რ ი. დ. ჭუმსიშვილი ფილოლოგიის სპეციალურ საკითხებშიც ცოდვილობს. მას ჰგონია, თითქო ვეფხისტყაოსანში სიტყვა უცხო გვხვდება მარტოოდენ უ ც ნ ო ბ ი ს და არამცდა-არამც უ ც ხ ო ე ლ ი ს მნიშვნელობით (ჟურნ. „მნათობი“, გვ. 167). ნამდვილად კი პოემაში უცხო იხმარება სამი მნიშვნელობით: უცნობი: საუცხოო. ძვირფასი. უცხოელი. პირველ მნიშვნელობაზე აღარ შევჩერდებით. მეორე მნიშვნელობის კარგ მაგალითს იძლევა 502-ე სტროფი. ტარიელის რიდეზე (ნესტანს რომ

მიუძღვნა) ნათქვამია: „იგი უცხო და ღარიბი". უცხო აქ ღარიბის სინონიმია და ნიშნავს საუცხოოს, ძვირფასს. ისიც ცხადია, რომ საუცხოობა უცხოეთიდან წარმოშობილობაზე მიუთითებს. ახლა საკუთრივ მესამე მნიშვნელობის შესახებ. ავთანდილმა და ტარიელმა გაიცნეს ერთმანეთი. ტარიელმა მოისმინა ავთანდილის ამბავი და დაწვრილებით გააცნო მას მთელი თავისი თავგადასავალი. ავთანდილი ეუბნება ტარიელს, რომ თანახმად პირობისა ეახლება მიჯნურს, მოაბსენებს დავალების შესრულებას და კვლავ უკან დაბრუნდება, რომ შეუდგეს ძმობილის სამსახურს. („კელა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო, ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ეგრე არ გატირო"). სწორედ ამაზე მიუგო ტარიელმა „უცხოს უცხო ეგრე ვითა შეგვყვარდი" (666,1). რა თქმა უნდა, ტარიელი და ავთანდილი მაშინ ერთმანეთისათვის უცნობნი არ ყოფილან, უ ც ხ ო აქ უეჭველად უ ც ხ ო ე ლ ს, უ ც ხ ო ე თ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ვ ი ლ ს ნ ი შ ნ ა ვ ს. და ბოლოს მოვიგონოთ ეპილოგის სტრიქონები (1667): „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი... ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ". ამგზობის არსებითი ვნიშვნელობა არა აქვს იმას, დამოწმებული ტექსტი ეკუთვნის თვითონ რუსთველს თუ მის მბაძველს. აშკარაზე აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს უცხონის მესამე მნიშვნელობასთან (უცხოურნი, უცხოეთისანი)[3].

ჩვენს მონოგრაფიაში ვამტკიცებთ, რომ ვეფხისტყაოსნის მიხედვით სავსებით შესაძლებელია ბედისწერის გადალახვა, რომ „რუსთველის გმირები ებრძვიან ბედის მკაცრ განაჩენს, ებრძვიან და იმარჯვებენ კიდევაც. პოეტს სჯერა, რომ ცდით, მოქმედებით, ბრძოლით სავსებით შესაძლებელია ბედის განაჩენის დაძლევა. რუსთველის თვალსაზრისით, ყოველი გამარჯვების, მათ შორის ბედისწერაზე გამარჯვების პირობა და საწინდარია აქტიური ბრძოლა" (შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 207). საბუთად მოტანილია რუსთველური ფორმულა" ბედი, ცდა და გამარჯვება", სჭოლიოში ნაჩვენებია ახალი გამოცემის (ა. შანიძისა და ა. ბარა-

---

[3] ასევეა ინდო-ხატაელთა ამბავში — „უ ც ხ ო უ რ ა დ ეუბნების" (1581, 3), უ ც ხ ო ე ლ ს უნდა ნიშნავდეს „ნახეს უ ც ხ ო მოყმე ვინმეს" უცხო. ს. ორდანიშვილი ამას ასე თარგმნის: «Увидел некоего витязя ч у ж е с т р а н ц а».

ბაძის რედაქციით) წაკითხვა: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს. პოეტგვხვდების“ (იქვე, შენ. 12). დ. ჭუმსიშვილი აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსანში ჩვენი გაგების „სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისია განვითარებული“ (გვ. 163) და ვითომც ალ. ბარამიძემ „ტექსტიც კი შეცვალა ახალ გამოცემაში“ და მიუღებელი შესწორება შეიტანა — „ბედი ცდაა“. ჯერ ერთი, ჩვენ პიროვნულად და თვითნებურად არაფერი შეგვიცვლია, საუკეთესო ხელნაწერებზე დაყრდნობითა და ივ. გიგინეიშვილის სპეციალური გამოკვლევის გათვალისწინებით რედაქციამ მიიღო წაკითხვის ახალი ვარიანტი (ასეთი სახით არის ეს ტექსტი დაბეჭდილი წერეთელ-აბაშიძის გამოცემაშიც და საერთო საიუბილეო გამოცემაშიც). ამ მაგალითშიც გარკვევით იჩენს თავს ჭუმსიშვილის ტენდენცია — ყველაფერი, მისი თვალსაზრისით მიუღებელი, უსათუოდ პირადად ჩვენ მოგვაწეროს... დ. ჭუმსიშვილი ამბობს, რომ ვეფხისტყაოსნის კვალობაზე „ბედისწერის, განგების შეცვლა, დაძლევა ძე ხორციელს არ ძალუძს... ყველაფერი საბოლოოდ ღმერთზეა დამოკიდებული“. (გვ. 163).

დღეს აღარავინ დაობს იმის თაობაზე, რომ რუსთველი საზოგადოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის თვალსაზრისზე დგას რელიგიის საკითხში. უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტიანობა აღიარებს ცოდო-მადლსა და საიმქვეყნიო ზღვევას (ჯოჯოხეთი, სამოთხე), მართალია, ქრისტიანული თვალთახედვით ღმერთი ყოვლის შემძლეა და ყოვლის მცოდნე, მაგრამ ადამიანის მხრივ ცოდო-მადლის არჩევის საკითხში პირდაპირ არ ერევა, ქრისტიანობა აღიარებს ნ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს. ამიტომაც ქრისტიანობა სრულიადაც არ ზღუდავს ამ მხრივ ადამიანის მოქმედებას. ეს აზრი საუცხოოდ აქვს გადმოცემული სულხან-საბა ორბელიანს თავის ერთ პატარა, ცნობილ იგავ-არაკში (პირობითი სათაურით „უგუნური მცურავი“): „მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა: ღმერთო მიშველეო! მეორე ამხანაგმა უთხრა: ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველი იქნებიო“. ამგვარი პრინციპი უდევს საფუძვლად ნესტანის მოქმედებას (1191) „ვ ე ც ა დ ო რა, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!.. რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!“ ამრიგად, ვეფხისტყაოსნის მიხედვითაც ღმერთი მაშინ გიშველის, თუ თვითონ გამოიჩენ გონიერებას, ხელს არ ჩაიქნევ, ბრმად არ მიენდობი ბედს, და იბრძოლებ შენივე სიკეთისათვის. წინააღმდეგ მცონარეობისა და მშვრეტელობის ფილოსოფიისა,

გამარჯვების პირობად (საწინდრად) რუსთველი თვლის თაოსნობას, მოქმედებას, ბრძოლას. არა მჭვრეტელობითა და ღვთაებაზე დანდობით, არამედ გმირული ბრძოლის შედეგად შემუსრეს ვეფხის-ტყაოსნის ძმადნაფიცებმა ქაჯეთის ციხე და იხსნეს ნესტანი (სიკეთის სიმბოლო) გველეშაპის ტყვეობიდან. ამ საკითხებში დ. ქუმსიშვილი სრულიად ვერ ერკვევა.

ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო

წარშან. წლის მიწურულში, გამოქვეყნდა პეტრე შარიას მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხი“[1]. აქ განხილულია რუსთველოლოგიის უაღრესად საჭირბოროტო აქტუალური სადღეისო მრავალი საკითხი. ამ საკითხებს იკვლევს და აშუქებს შუასაუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა და ლიტერატურის სფეროში განსწავლული სპეციალისტი, როძელიც კარგა ხანია მუშაობს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე. პ. შარიას უკვე გამოქვეყნებული აქვს რიგი საყურადღებო რუსთველოლოგიური ნაშრომები. ამჟამად მას შეუჯამებია და განუზოგადებია თავისი უწინდელი ნარკვევები, ჩამოუყალიბებია ერთი მონოგრაფიული გამოკვლევის სახით.

მკვლევარი ხშირად ჩივის „ადგილის შეზღუდულობაზე“ (გვ. 29, 33, 65, 92, 182 და სხვ.) რის გამო, ეტყობა, ჭას მოუხდა მასალის შემჭიდროვება და შეკუმშვა. ზოგჯერ დამოწმებულია მისივე უფრო სრულად გამოქვეყნებული ნაშრომები (გვ. 149, 168, 183).

პ. შარიას მონოგრაფია მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. ავტორი დიდი მონდომებითა და გულისყურით ცდილობს გაარკვიოს რუსთველის სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-ესთეტიკური და ზოგჯერ ტექსტოლოგიური საკითხებიც კი. ავტორისეული რიგი დაკვირვება შესაფერისად არგუმენტირებულია და სავსებით დამაჯერებელია, რიგი სადაოა, რიგიც მცდარი და მიუღებელია, მაგრამ ყველა მოსაზრება დამაფიქრებელია და ანგარიშგასაწევია. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ მკვლევრის კილო რამდენადმე გამომწვევია, დასკვნები

---

[1] თბილისი, 1976, 230 გვ., გამომცემლობა „მეცნიერება“, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რედაქტორი აკ. გ ე წ ე რ ე ლ ი ა.

კატეგორიული, პოლემიკა ზოგიერთი ავტორის მიმართ (მაგალითად ნ. მარისა და შ. ნუცუბიძის მიმართ) ზომაზე მეტად მწვავეა.

დამარწმუნებელია პ. შარიას მოსაზრებანი ვითომცდა ვეფხისტყაოსანში ჩაქსოვილი პესიმისტური სულისკვეთების, ნეოპლატონიზმის, ცნიქეიზმის, სუფიზმის, პაგანიზმის, სოლარიზმის, სტოიციზმის, მატერიალისტური პანთეიზმისა და ზოგიერთი სხვა „იზმის“ შესახებ. თუმცა ეს „იზმები“ უკვე გაკრიტიკებულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მაგრამ პ. შარიას ახალი საბუთებიც მოაქვს მათ უარსაყოფად. პრინციპულად მართებულია შენიშვნები რენესანსის თაობაზე საზოგადოდ, კერძოდ კი ე. წ. აღმოსავლურ რენესანსზე, საინტერესოა მოსაზრებანი შუასაუკუნეების რეალიზმზე და რუსთველის შემოქმედების მეთოდზე. უდაოა პ. შარიას მხრივ იმ დებულების კრიტიკა, თითქოს ქართული კულტურა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა „სინთეზს წარმოადგენს“ (გვ. 15) და არა თვითმყოფ უნიკალურ მოვლენას. მნიშვნელოვანწილად მისაღებია და გასაზიარებელი მკვლევრისეული შეპირისპირება რუსთველური და კურტუაზიული სიყვარულისა, საინტერესოდაა გაანალიზებული (ვეფხისტყაოსანთან შეპირისპირების მიზნით) კრეტიენ დე ტრუას, ვოლფრამ ეშენბახელისა და გოტფრიდ სტრასბურგელის შემოქმედება.

ვფიქრობთ, აღნიშნული საკმარისია იმის საბუთად, რომ პეტრე შარიას მონოგრაფია დადებითად იქნას შეფასებული. პ. შარიამ თავისი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის რიგი ურთულესი საკითხების ახალი კუთხით დასმასა და ზოგჯერ გადაწყვეტაშიც.

კ. შარიას ნაშრომი იწვევს სერიოზულ შენიშვნებსაც. ჩვენი ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია სარეცენზიო წიგნის სადაო და ნაკლოვან მხარეებზე.

წიგნში ყველაფერი რიგზე არ არის წყაროების დასახელებისა და გამოყენების მხრივ. მომყავს ავტორის პატარა ბოლოსიტყვაობის ტექსტი:

> „ეს წიგნი წარმოადგენს უაღრესად შემოკლებულ ვარიანტს 1966 წლის გაზაფხულზე დამთავრებული ერცელი მონოგრაფიისა «ვეფხისტყაოსანი როგორც ქართული ნაციონალური ეპოსი». ნაშრომის ტექნიკური მიზეზებით რადიკალურმა შემოკლებამ (32 თაბახიდან 10 თაბახამდე) არ მომცა შესაძლებლობა არა თუ გამეთვალისწინებინა უკანასკნელი ათწლეულის მან-

ძილზე გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ნაშრომები, არამედ ყველა საჭირო შემთხვევაში შემენარჩუნებინა ამ წიგნში ვაკრიტიკებული ან ვაზიარებული შეხედულებების ავტორების სათანადო შრიფტით მითითება და დახასიათება“ (გვ. 221).

საპატიოა და მოსაწონი ბოლოსიტყვაში გამოხატული ავტორის გულწრფელი აღსარება, მაგრამ მკითხველი როგორ გაერკვეს, რა არის ამ ნაშრომში ახალი, ორიგინალური და რა არის გაზიარებული და განმეორებული სხვა მკვლევართა ნააზრევიდან. თქმულს ის უნდა დავუმატოთ, რომ პ. შარია ჩვეულებრივ უხვია უცხოური და რუსული წყაროების დამოწმებისას (იზიარებს მათ თუ უარყოფს), ხოლო შესაფერისად ძუნწია ქართველი მკვლევარების მიმართ. როგორც იტყოდნენ ხოლმე. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. თანაც შრომას დასტყობია რუსული წყაროების პირდაპირი ზემოქმედება ქართულის საზიანოდ. მაგალითად, მკვლევარი ერთგან (გვ. 55) ასახელებს ცნობილ საეკლესიო მწერალ გრიგოლ **ნოსელს**, როგორც **ნისელს**. ცხადია, ეს ფორმა (ნისელი) მომდინარეობს რუსულიდან (შდრ. Нисский). რუსულისავე ანარეკლია ისკენდერი (უნდა ისქანდერი, ან ისქენდერი), ფერხადი (უნდა ფარჰადი ან ფერჰადი) და სხვ.

სარეცენზიო მონოგრაფიისათვის დამახასიათებელია უმისამართო დამოწმებანი და უმისამართო კრიტიკა. ასე, მაგალითად: „ყოველად შეუსაბამოდ გვეჩვენება რუსთველოლოგიაში გამოთქმული აზრი. თ ი თ ქ ო ს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ან ფ რ ა დ ო ნ ი ტ ა რ ი ე ლ ი ს ვ ა ს ა ლ ე ბ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ“ (გვ. 126, დაყოფა ჩემია — ა. ბ.). კრიტიკა მართებულია, მაგრამ ვინ წამოაყენა ეს ახირებული მოსაზრება, სად დაიბეჭდა, როდის, არაფერია თქმული. ასევე მართებულია კრიტიკა უმისამართოდ დატოვებული იმ მოსაზრებისა, თითქოს რუსთველმა „თავისი უკვდავი პოემით უმღერა ჰიმნი სავაჭრო კაპიტალსა და ვაჭართა წოდებას“ (გვ. 133). ასეთი შემთხვევები არაიშვიათია. ზოგჯერ მისამართი აღნიშნულია, მაგრამ კონკრეტული წყარო არ არის დამოწმებული. მაგალითად, მკვლევარი ეკამათება ბროსეს მიერ „გამოთქმულ და ზოგიერთების მიერ გაზიარებულ აზრს“ (გვ. 155), თუმცა არც ბროსეს შრომაზე მიუთითებს და არც „ზოგიერთების“ ვინაობას ამხელს. დამოწმებული წყარო და მისი გააზრება ყოველთვის ზუსტი არ არის ასე, მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „ცნობილია ვახტანგ მეექვსის

იცნობს არც „ნავრუზობას“, არც „მულებს“ და არც „მუყრიბებს“. რუსთველის სტრიქონია (351):

სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანში გვაქვს **მუყრი** (და არა მუყრიბი) და **მულიმი** (და არა მული). მკვლევარი სხვაგანაც იმეორებს: „მულთა და მუყრიბთა ცნობილი ხსენება ტარიელის დაბნედასთან დაკავშირებით ლაპარაკობს არა წირვა-ლოცვის სასარგებლოდ“ (გვ. 61). ვეფხისტყაოსანში ორჯერ გვხვდება „ნავროზობა (დღე მოვიდა ნავროზობა“; „დღესა მას ნავროზობასა“). თავის მხრივ პ. შარიაც ორჯერ უცვლის ფორმას ამ სიტყვას და გვთავაზობს — ნავრუზობას (გვ. 48, 53).

სარეცენზიო წიგნის ავტორი შესაძლებლად თვლის ნებისმიერად შეასწოროს ვეფხისტყაოსნის ნაანდერძევი ტექსტი, ანდა ინტერპოლაციად (ჩანართად) მიიჩნიოს უდაოდ რუსთველური შაირი, თუ იგი არ ეგუება მკვლევრის მიერ წინასწარ შემუშავებულ შეხედულებას, ანგარიში არ ეწევა არც გამოცემების ტრადიციას და არც ხელნაწერების მონაცემებს. დავიმოწმებ ორ მაგალითს: მკვლევრისეულ გაგებას არ ეთანხმება პროლოგის ერთი განთქმული სტროფის („შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“) სიტყვა „აქაცა“ („კვლა აქაცა ეამების“). «აქაცას» ნაცვლად რაღაც სხვა იქნებოდა პოემის ორიგინალში. შეიძლება «კვლა აქაცას» ნაცვლად ყოფილიყო «კიდევაცა», რაც კარგად ეთანხმება მთელს კონტექსტს“-ო (გვ. 164). ტექსტის ნებისმიერი ხელყოფა დაუშვებელია. მკვლევრის ვარაუდით თურმე პროლოგში „ყველაფერი რიგზე არ არის“, კერძოდ, მიჯნურობის გამომხატველი სტროფების ჯგუფში, საფიქრებელია არევაც, დანაკლისიც (94—96). ეს უპრეტენზიო ვარაუდია და სასაყვედურო არაფერი მაქვს, ოღონდ უსაფუძვლოა დიდი დაეჭვება პროლოგის „ორიოდე სტროფის“ ავთენტიკურობაში, რომლებიც აგრეთვე არ ეთანხმება მკვლევრისეულ თვალსაზრისს. ეს ის „ორიოდე“ სტროფია, რომლის მიხედვითაც თურმე მავანი ვინმე ვეფხისტყაოსანს თვლის სახოტბო ჟანრის ნაწარმოებად (გვ. 168). კონკრეტულად საქმე შეეხება მესამე და მეოთხე სტროფებს:

ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიშველისა (3).
თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული (4).

მე არ ვიცი, ვინ თვლის ვეფხისტყაოსანს სახოტბო ნაწარმო-

ებად, მაგრამ მისი პროლოგი (დამოწმებული ორი სტროფი) რომ ავტორის მეფე-პატრონთა ქება-მიძღვნას წარმოადგენს, ეს საეჭლობელი არ არის. სხვათა შორის, ამ სტროფების გამო პ. ინგოროყვა ერთ დროს დამარწმუნებლად ამბობდა, მათი „ყალბად გამოცხადება — ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი ვეფხისტყაოსნის ყალბად გამოცხადება“[2].

„მეთერთმეტე სტროფი („რაცა ვისცა ბედმან მისცეს...“) ჩვენ ინტერპოლაციად მიგვაჩნია“, წერს პ. შარია (გვ. 81) რატომ, რა საბუთით?

სარეცენზიო შრომის თანახმად, რუსთველი რამაზისთვისაც „იმეტებს ჰუმანისტურ შტრიხს: რამაზი მიმართავს ტარიელს თხოვნით, როგორც სურს ისე დასაჯონ თვითონ ის, ოღონდ არ აუწიოკოს უდანაშაულო ხალხი“ (გვ. 85). ეს დებულება განმეორებულია შემდეგაც: „თვით რამაზიც კი თავის ვერაგობასთან ერთად კეთილშობილურ ნიშანსაც (თუ თვისებას?) ავლენს. ის თხოვს ტარიელს როგორც უნდა დასაჯოს იგი, ოღონდ უდანაშაულო ხალხი არ აუწიოკოს“ (გვ. 156). მეფე რამაზის დამოწმებულ მოქმედებას იცნობს მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც ჩანართად არის მიჩნეული და ბოლოდროინდელ გამოცემებში არ მოიპოვება. სხვათა შორის, ამ რამაზის ხასიათის პოემის ძირითადი ნაწილის რამაზის ხასიათთან შეუთავსებლობა ერთ-ერთი თვალსაჩინო საბუთია ინდო-ხატაელთა ამბის გვიანდელი წარმოშობის თუ რესტავრაციის დასამტკიცებლად. რასაკვირველია, პ. შარიას უფლება აქვს ირწმუნოს ინდოხატაელთა ამბის რუსთველურობა და იგი შესაფერისად გამოიყენოს, მაგრამ ეს გარემოება საგანგებოდ უნდა აღენიშნა და თანაც უნდა აეხსნა, მაშინ რამ გამოიწვია რამაზის ხასიათის ასეთი უცნაური მეტამორფოზა. მკვლევარი ანგარიშს არ უწევს ინდო-ხატაელთა ამბის გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობას და მისდა უნებურად საქმეს ისე იხილავს, თითქოს აქ საკდაო და საჩოთირო არა იყოს რა. ინდო-ხატაელთა ამბის ნამდვილობა თუ ჩანართობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი გაიოლება არ შეიძლება.

უფრო მეტი პასუხისმგებლობით და სიფაქიზით უნდა მოვეპყროთ ვეფხისტყაოსნის ტექსტს.

---

[2] რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო, ეურნ. „მნათობი“, 1927, № 4, გვ. 197.

პ. შარია მარჯვედ აკრიტიკებს იმ მკვლევარებს, რომლებიც უსაფუძვლოდ მიაწერენ რუსთველს სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსის მიმდევრობას, მაგრამ, ჩემი აზრით, მას უმართებულო დასკვნა გამოაქვს რუსთველის პოზიტიური სარწმუნოებრივი აღმსარებლობის უძირითადეს საკითხზე. მართალია, მკვლევარი საერთოდ სწორად თვლის, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი რელიგიის სფეროშიც თავისუფალი მოაზროვნეა, რომ „პოემის მთელი სულისკვეთება ქრისტიანულია“ (48), რომ „ქრისტიანობის ზოგადი არსის თვალსაზრისით მთელი ვეფხისტყაოსანი სუნთქავს ქრისტიანული სულისკვეთებით“ (გვ. 49). მაგრამ ყველაფერი ეს მაინც წყდებაო „ზოგადქრისტიანული ორიენტაციის ნიადაგზე“ (54), ხოლო არსებითად თითქო „რუსთაველს არც პიროვნული ღმერთი სწამდა და არც ღმერთი-ბუნება... მას უდავოდ სწამდა რაღაც ღვთაებრივი უზენაესი ძალა, რომელიც განაგებს სამყაროს, განსაკუთრებით ადამიანის ცხოვრებას“ (გვ. 62). „რუსთაველის ღმერთი — განაგრძობს მკვლევარი — არც სამყაროს შემქმნელია, ის მხოლოდ მისი უზენაესი განმგებელი ძალაა“ (65). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პ. შარია უარყოფს ვეფხისტყაოსნის ღმერთის ე. წ. კრეაციონიზმს, შემოქმედის ნიჭს, რომ ღმერთი სამყაროს შემოქმედი („შემქმნელი“) კი არ არის, არამედ განმგებელი. მაგრამ ეს დებულება არ ეგუება პოემის პირველსავე სტროფს. პოემა იწყება ავტორის განცხადებით, რომ ღმერთმა „შექმნა სამყარო“, „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა“, „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“. მეორე სტროფში პოეტი ვედრებით მიმართავს ამ ღმერთს:

ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც ღათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა.
ცოდვათა შესუბუქება. მუნ თანა წასატანისა.

როგორადაც უნდა გავიგოთ „სახე ყოვლისა ტანისას“ მნიშვნელობა. ღმერთი მისი შემქმნელია. ამ შემოქმედ ღმერთს სთხოვს პოეტი მფარველობას, ეშმაკის დათრგუნვას და ცოდვათა შემსუბუქებას „მუნ (ე. ი. სიქიოში) თანა წასატანისა“. აქ ღმერთის შემოქმედი ძალის აღიარებაც არის და სააქაო-საიქიო ცხოვრებათა დაპირისპირებაც.

ცნობილია, რომ შ. ნუცუბიძის კონცეფციით, რუსთველის ღმერთი პანთეისტურია, იგიც უარყოფდა ამ ღმერთის შემოქმედ ბუნებას და მან ბევრი უტრიალა ვეფხისტყაოსნის დამოწმებულ სტროფებს, მაგრამ იქიდან პანთეისტური მატერიალიზმის მასალა ვერ გამოადნო. აღსანიშნავია, რომ თავისი თარგმანის ადრეულ გამოცემებში შ. ნუცუბიძე ხაზს უსვამდა ღვთაების შემოქმედ თვისებას („Тот, кто создал мироздание"). ბოლო დროის გამოცემებში სურათი ოდნავ შეცვლილია („Кто создателем вселенной был всесильно—всемогущим"), თუმცა ამ თარგმანითაც ღმერთი მაინც შემოქმედ არსებად გამოიყურება. მეორე სტროფი კი შ. ნუცუბიძემ ავტორისეულ ჩანართად მიიჩნია, რომელიც თითქო უკვე სხვა დროსა და სხვა მორალურ-ინტელექტუალური სიტუაციის ვითარებაში დაიწერა, ამან შეაპირობა ის „შინაგანი შეუთანხმებლობა" (внутренняя неувязка), რაც ცხადლივ საგრძნობიაო პოემის მკითხველისათვის[3]. ერთი სიტყვით, რუსთველის ღმერთი კეთილი, სახიერი, ადამიანებისათვის ზრუნველი შემოქმედი ქრისტიანული ღმერთია.

პ. შარია მკაცრად აკრიტიკებს იმ მოსაზრებას, თითქო „რუსთაველმა პოეტურად განასახიერა არეოპაგიტიკის იდეათა სისტემა (გვ. 32,50). კრიტიკა სწორია, მაგრამ დამოწმებულ წყაროში შ. ნუცუბიძე, Руставели и Восточный Ренессанс, 1947, გვ. 280) ლაპარაკია არა საერთოდ მთელ პოემაზე, არამედ 1492-ე სტროფით („ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს") გამოხატულ იდეაზე. ეს კი სხვა საქმეა.

სარეცენზიო ნაშრომში ვრცლად არის გაშუქებული რუსთველური სიყვარულისა და მეგობრობის საკითხი. მკვლევარი თავიდანვე შენიშნავს: „რუსთველოლოგიაში დღესაც არსებობს დავა იმის თაობაზე, თუ რომელი მოტივია წამყვანი ვეფხისტყაოსანში: სიყვარულისა თუ მეგობრობისა" (გვ. 107). თავის მხრივ ფიქრობს, რომ: „თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ ვეფხისტყაოსანში საერთოდ სიყვარულსა და მეგობრობას, რა თქმა უნდა, წამყვანად მოგვევლინება სწორედ სიყვარულის მოტივი" (გვ. 109). ოღონდ პ. შარია დაუშვებლად თვლის ამ მოტივების დაპირისპირებას, რადგანაც „მეგობრობა იმავე სიყვარულის გამოვლენის ერთ-

[3] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тбилиси, 1958, с. 105, 107, 268—274, 285, 338—339, 367—368.

ერთი, თუმცა უმნიშვნელოვანესი, სახესხვაობაა“ (108) „რუსთაველის უკვდავ ქმნილებაში, — წერს პ. შარია, — სიყვარული და მეგობრობა ისე განუყოფლად არიან შერწყმულნი მაღალი ზნეობრივი საწყისით, რომ თვით ანალიზის მიზნითაც ძნელია სიყვარულისა და მეგობრობის მოტივების ერთმანეთისაგან გამოყოფა და შეპირისპირება“ (111).

დასკვნა სავსებით სწორია. ჩვენ ის დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ ანალოგიური დასკვნა ადრეც იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ სიყვარული და მეგობრობა ვეფხისტყაოსნის მიხედვით სრულიადაც არ უპირისპირდება ერთიმეორეს, რომ „რუსთველისათვის სიყვარული და მეგობრობა ერთურთისაგან განუყოფელი და განუკვეთელი გრძნობებია, განუყოფელი და განუკვეთელი მთლიანობა. სიყვარულმა დაბადა მეგობრობა, მეგობრობამ უკვდავყო სიყვარული“[4]. ეს გარემოება არ უნდა გამორჩენოდა მკვლევარს.

მეგობრობის როლის დიდ შეფასებასთან ერთად პ. შარიას რატომღაც „წყლის ნაყვად“ ეჩვენება ვეფხისტყაოსნის „ძმადნაფიცობის ვერსია“ (გვ. 111). ეს ვერსია გაჩნდაო რუსთველოლოგიაში „ისტორიული ანალოგიებით და კომპარატივიზმით გატაცების შედეგად“ (110). როგორც კომპარატივიზმის, ისე კოსმოპოლიტიზმის ცოდვას პ. შარია მიაწერს ნიკო მარს (იქვე). შოთა რუსთველი რომ დიდებულ ჰიმნს უგალობს ძმობას, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ვეფხისტყაოსნის იდეალური ძმობილნი სწორედ „ძმად-ფიცნი“, ძმად ნაფიცარნი და „ძმად-შეფიცებულნი“ მეგობრები არიან. აი, საბუთებიც: ავთანდილი იყო „ძმად-ფიც ტარიელისი“ (984,4) ანუ „ძმა-შეფიცებული“ (1272,1. 1383,3). ასევე იყო ის „ძმად-ფიცი“ ფრიდონისაც (946,4). თავის მხრივ „ძმად-ფიცნი“ ან „ძმად-ნაფიცარნი“ გახდნენ ავთანდილი და ფრიდონი (1024,3: 1317,4). ქაჯეთისაკენ მიმავალ გმირებზე რუსთველი ამბობს (1390,1):

ზღვა ვაიარეს სამთავე ერთგან ძ მ ად შ ე ფ ი ც ე ბ უ ლ თ ა.

იგივე გზა გამოვლეს ქაჯეთიდან გამობრუნებულებმა (1448,1):

გამოვლნეს ზღვანი სამთავე. ერთ-ან ძ მ ად შ ე ნ ა ფ ი ც ა რ თ ა.

მაშასადამე, აღარავითარი ეჭვი არ არის, რომ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი იყვნენ ძმად-ფიცნი, ძმად-შეფიცებულნი,

[4] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 68 (იგივე 1966 წ. გამოცემა, გვ. 101; იგივე 1975 წ. გამოცემა, გვ. 92).

ძმად-ნაფიცარნი. ნ. მარი ამბობდა, რომ: „У грузинского поэта источником этого братства выставляется не ислам, вообще не религия, а народный грузинский институт — побратимства"[5]. ნ. მარი სხვაგანაც იმეორებდა: „შოთა... თავის პოემას აგებს ქართულ ხალხურ საფუძველზე, ძმადნაფიცობის პრეისტორიულ ჩვეულებაზე"[6]. ვგონებ, აქ დასაძრახი, კომპარატივისტული და კოსმოპოლიტური არა არის რა. პირიქით, ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის ამ ერთერთ ნიშანდობლივ მხარეს ნ. მარმა ეროვნული ქართული ძირები მოუძებნა და მისი ხალხურ ნიადაგზე წარმოშობილობა დაასაბუთა. უსამართლობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობის მოტივის ამოკითხვა ნ. მარს შთააგონა სკანდინავურსა და კელტურ საგებში ანალოგიური მოტივების არსებობამ და კომპარატივიზმით გატაცების მიდრეკილებამ[7].

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს პ. შარია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების საკითხისადმი. ამის გარკვევას ის ბევრგზის უბრუნდება და დიდ დროს ანდომებს. მკვლევარი ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის „პერსონაჟების ხასიათების მრავალფეროვნებას" და იმას თვლის რუსთველის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის რეალისტურობის ერთ-ერთ უცილობელ ნიშნად (გვ. 155). ამასთან დაკავშირებით ნაშრომში საბუთიანადაა გაკრიტიკებული ბროსეს „მიერ გამოთქმული და ზოგიერთების მიერ გაზიარებული აზრი, თითქოს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები რომელიმე ცალკე იდეის განსახიერებას წარმოადგენენ" (155). სწორედ პირიქით, წერს მკვლევარი, „პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნება წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ და მნიშვნელოვან თავისებურებას რუსთაველის თანამედროვეობის ეპიკურ ნაწარმოებებთან შედარებით" (იქვე). მონოგრაფიაში გაანალიზებულია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა თითქმის მთელი გარემო. როგორც მოსალოდნელი იყო, მკვლევარი საგანგებოდ იხილავს ტარიელისა და ავთანდილის სახასიათო თვისებებს, არკვევს ამ პერსონაჟი-ხასიათების რაობას რუსთველის მსოფლმხედველობრივი ზოგადესთეტიკური ასპექტით.

---

[5] Грузинская поэма Витязь в барсовой шкуре Шоты из Рустава (ИАН, 1917, გვ. 426).

[6] Н. Марр, Грузинский язык, «Язык и история», I, 1936, с. 39.

[7] სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 110.

პ. შარიას გამოკვლევის თანახმად, ვეფხისტყაოსანში არსებითად მკვეთრად არის დაპირისპირებული იდეალიზებული გმირის ეს ორი სახე. ამასთან, ცოტა არ იყოს, გამომწვევი კილოთი განცხადებულია: „ვისაც არ შეუძლია მკვეთრად განასხვაოს ტარიელისა და ავთანდილის სახეები, მან არც კი უნდა მოჰკიდოს ხელი პოეტური ნაწარმოების კვლევას“ (გვ. 97). თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ არა ერთ რუსთველოლოგს აეკრძალება ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევა-ძიება. მე, მართალია, ერთგვარად ვუპირისპირებ ერთმანეთს ტარიელისა და ავთანდილის ინდივიდუალურ მხატვრულ სახეებს, მაგრამ მკვეთრად მათ ვერ ვასხვავებ. ამისდა მიუხედავად, ვბედავ და აღნიშნულ საკითხზე ჩემს მოსაზრებას ვუზიარებ როგორც სარეცენზიო მონოგრაფიის ავტორს, ისე ყველა დაინტერესებულ მკითხველს. წყაროების დაუმოწმებლად და უმისამართო პოლემიკით პ. შარია აცოცხლებს ძველ დავას ტარიელის ხასიათის თაობაზე. მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც (ვლ. ნორაკიძის სიტყვები რომ ვიხმაროთ) შეეცადა „ტარიელის რეაბილიტაციას“[8]. საქმე ისაა, რომ ერთ დროს რუსთველოლოგიაში თითქმის გაბატონებული იყო ტარიელზე უარყოფითი შეხედულება. ამ შეხედულების გაბათილებისათვის საკმაოდ ცხარე ლიტერატურული პაექრობის ჩატარება მომიხდა[9], თქმულსა და დაწერილს ახლა, რასაკვირველია, აღარ გავიმეორებ, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ტარიელი და ავთანდილი გამოკვეთილად ინდივიდუალიზებული სახეებია, რომლებსაც ბევრი საერთო თვისება აქვთ, მაგრამ ისინი არც „ერთნი“ არიან თავიანთი ხასიათებით და არც მკვეთრად განსხვავებულნი. ტარიელი უპირატესად ემოციური პიროვნებაა, გულისთქმას მიყოლილი ჭაბუკი, რომლის დევიზია: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“ (883,4). ავთანდილი ასევე უპირატესად ინტელექტუალური საწყისის გამომხატველი ინდივიდუმია, უფრო თავდაჭერილი და წინდახედული, რომელიც გულისთქმის წადილს უმორჩილებს გონებრივ განსჯას. ავთანდილის სამოქმედო პრინციპია — „რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ (880,3)[10].

[8] ვლ. ნორაკიძე, ადამიანობის იდეა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1966, გვ. 149.

[9] ტარიელი („რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 85—106; ნარკვევები, 1, 1945, გვ. 181—203), Образ Тариэла, журн. «Литературный критик», 1937, № 12, გვ. 90—104 და სხვ.

[10] აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 76; იგივე, 1966, გვ. 111; იგივე, 1976, გვ. 101.

პ. შარიას თვალსაზრისით, ტარიელმა რომ ნესტანდარეჯანის პოვნის იმედი დაკარგა, „ის ზნეობრივადაც დაკნინდა“ და ესთეტიკური ასპექტით „უკვე მშვენიერი არ არის“ (152). „ტარიელი უკვე არ არის ის მშვენიერი, ჰარმონიული პიროვნება, როგორადაც თვითონ გვიხატავს თავის თავს“, — ამბობს მკვლევარი სხვაგანაც (გვ. 98). „რითი შეიძლება, — კითხულობს პ. შარია, — გამართლდეს, რომ მან მიატოვა ძებნა?... ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ტარიელის «მართლება», თვით ავტორი ამტყუნებს მას ავთანდილის სახით“ (გვ. 98). კიდევ მეტი, თურმე რუსთველი „სისტიკად ჰკიცხავს ტარიელის ზნეობრივ პროსტრაციას“ (გვ. 152). ნამდვილად ასე არ არის. რუსთველმა მართლაც შექმნა ისეთი სიტუაცია, თითქო მისმა საყვარელმა გმირმა სიტყვა გატეხა, ძმობილს (ავთანდილს) უმტყუნა და მის დასახმარებლად არაბეთიდან გამოშურებულს ქვაბებში არ დახვდა. ამან ავთანდილი აღაშფოთა და საერთოდ თავდაჭერილმა მოყმემ ასმათს მიახალა (845):

ჭალსა ეტყვის: აჰა, დაო, ეგეთიცა კაცი ნუა!
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა?
ვერ იქმოდა, რად ჰიქადა? თუ მიჭადა, რად მიტყუა?

უნდა ვიცოდეთ, რომ ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სიცრუე არის „თავი ყოვლისა უბადობისა“ (790,1). მით უფრო მძიმეა ავთანდილის ბრალდება. ასმათმა მოუსმინა ავთანდილს და განმაცვიფრებლად ღრმა, ბრძნული პასუხი გასცა ტარიელის გასამართლებლად (847—850). ეს პასუხი იმდენად მოსწრებული და დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ ავთანდილს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მან ქედი მოიხარა სიმართლის წინაშე და ასმათს მოახსენა (855):

ყმამან უთხრა: უმართლე ხარ, არ მაქართლო მდურვად მისად.

ავთანდილმა ჯერ იყო და თავი შეაბრალა მამხილებელს, შემდეგ კი თავის ბედს შეუკურთხა და ცხარე ცრემლების მფრქვეველმა ღმერთს შეუტია, მწარე სამდურავი აჟაღრა გამჩენს და სიკვდილი ინატრა (861, 865):

იტყვის: ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა,
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა?
ერთი ორთა მვონებელი ვარ საქმისა წასაწყმედსა,
მოვკვდე, თავი არ მეწყალების, სიხსნენი ჩემნი ჩვენსა ქედსა!

იტყვის: ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე?
რად შემასწარ ბედსა ჩემსა? რა სასჯელი მომივლინე!
გამკითხველო, ყამიყითხე, აჯა ჩემი შეისმინე,
დამოკლენ დღენი ჩემნი, ჰირი ჩემი გამილხინე!

თავის დროზე მე აღმინიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, ავთანდილს სულმოკლეობას ვერ დავწამებთ. მართალია, მას ნაკლები უფლება ჰქონდა საყვედურისა და სამდურავისათვის, მაგრამ „ისიც ხომ ადამიანი იყო, კაცობრივი გრძნობით შეპყრობილი, ნამდვილი ცოცხალი ადამიანი და არა განყენებული ლიტერატურული ჩქემა“[11]. რუსთველი თავის იდეალიზებულ გმირებს ერთხაზოვანად კი არ გვიხატავს, არამედ წინააღმდეგობრივი თვისებებით, რეალური ადამიანური სისუსტით. ესაა რუსთველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, უზარმაზარი ღირსება.

მალე გაირკვა, რომ ტარიელს ფორმალურადაც არ დაერღვია აღთქმული სიტყვა, ქვაბებს არ გაშორებოდა, მის მიდამოებში ლომ-ვეფხს შებმოდა, დამაშვრალიყო და მიბნედილი, „უსულოდ მდებარე“ იპოვა იგი ავთანდილმა შამბის პირად. საგულისხმო ისაა, რომ თვითონ ტარიელს ერთხელაც არ დაცდენია ღვთის სამდურავი, უმძიმესი სულიერი დაძაბულობის მომენტშიც უთქვამს (588,4):

ვთქვი. თუ: ღმერთსა ვერას ვჰკადრებ. რაცა სწადდეს, ეგრე ვყოცა.

მიუხედავად სულიერი დეპრესიისა, ტარიელმა მაინც მოიკრიბა ძალ-ღონე და საოცრად ბრძნული პაექრობა გაუმართა თავის ძმობილს. როგორც ვთქვით, პ. შარია გვიმტკიცებს, თითქოს რუსთველი „სასტიკად ჰკიცხავს ტარიელის ზნეობრივ პროსტრაციას“. არ არის მართალი. რუსთველი პირადად, როგორც ავტორი, ლირიკული წიაღსვლით უშუალოდ ერევა საქმის ვითარებაში და ტარიელის სასარგებლოდაც პირდაპირ აფრთხილებს პოემის მკითხველს (942):

ლექსთა მკითხველო, შენნიმცა თვალნი ცრემლისა მღვრელია!
გულმან. გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გულსა გული ელია?
მოშორვება და მოყვრისა ვაყრა კაცისა მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგვარ ძნელია!

ასე და ამრიგად, რუსთველი არა თუ „სასტიკად ჰკიცხავს“ ტარიელს, არამედ იშვიათი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიხა-

[11] ტარიელი, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 99.

ტავს ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფი მისი სათაყვანებელი გმირის ნებისყოფის საარაკო ძალას, მორალურ სიმტკიცეს, გრძნობების სიღრმესა და გონებრივ სიფხიზლეს. ნურც ვეფხიტყაოსნის პროლოგის სიტყვებს დავივიწყებთ (7): „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!» იგივე პროლოგი გვასწავლის რომ ტარიელს „ტურფადცა უნდა ხსენება“.

ვერასგზით ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ჰ. შარიას, თითქო ტარიელი რაიმე კუთხით ემსგავსებოდეს, ან ენათესავებოდეს ნიზამი განჯელის სალოსად ქცეულ მაჯნუნს (98). უკან დასახევი ხასიათის შენიშვნა „თავისთავად ცხადია, რომ რუსთველი ტარიელს მთლიანად კი არ ამსგავსებს მეჯნუნსო“ (იქვე), საერთო სურათს კიდევ უფრო ამუქებს.

რუსთველის კონცეფციით, როგორც ვიცით, სიყვარული და ძმობა-მეგობრობა თავის ბუნებით ერთიანი, განუყოფელი მთლიანობაა. სიყვარულისა და მეგობრობის ამ ერთიანობამ შეაპირობა თუ განსაზღვრა ტარიელ-ავთანდილის ფუნქციური როლები ვეფხისტყაოსნის სახეობრივ სისტემაში. ერთ-ერთი თავისი გმირი რუსთველს უნდა ჩაეყენებინა მძიმე ვითარებაში, რომ მოტივუ-რად საჭირო გამხდარიყო მისთვის მეგობრული დახმარების ხელის გაწვდენა, რადგანაც (662):

> რა აჭმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
> მან სხვა იხსოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი,
> მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
> სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ზევით ციტირებული რუსთველის ლირიკული რეპლიკა („ლექსთა მკითხველო“) საეჭვოს ხდის მკვლევრის განცხადებას, ვეფხისტყაოსანში „თითქმის არ ჩანს ლირიკული გადახვევები და ავტორისეული მედიტაციები-ო“ (გვ. 3).

ჰ. შარია საერთოდ სწორად აანალიზებს ვეფხისტყაოსნის სხვა პერსონაჟების ხასიათებს. ოღონდ, ვფიქრობ, ღირსებისამებრ ვერ აფასებს ნესტანს, ვერ უძებნის მას კუთვნილ ადგილს პოემაში. საეჭვოდ მეჩვენება მოსაზრება თითქო თინათინი „გვევლინება მთავარ დირიჟორად პოემაში გაშლილ მოქმედებათა მთავარი ხაზისა, სიკეთისათვის ბრძოლის მთავარ მამოძრავებელ ძალად“ (გვ. 156). არსებითად ნესტანია სიკეთისა და სილამაზის ჭეშმარიტი სიმბოლო, რომელიც მოვლენათა უკეთური მსვლელობის გამო ქა-

ჯეთის საშინელ ციხეში აღმოჩნდა გამომწყვდეული. ნესტანის დაკარგვა, მისი ძებნისა და განთავისუფლების ამბები შეადგენს ვეფხისტყაოსნის შინაარსს. „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ეს ნესტანის განთავისუფლებაა. ვეფხისტყაოსნის აპოთეოზი (ვეფხისტყაოსნის ფინალი) ნესტანის დახსნაა და სიყვარულის ზეიმი.

სარეცენზიო შრომის ავტორს ბეჯითად შეუსწავლია ნიზამი განჯელის შემოქმედება და იგი ასევე ბეჯითად შეუპირისპირებია რუსთველის ვეფხისტყაოსნისათვის. ეს კანონზომიერია. ნიზამი იყო რუსთველის უფროსი თანამედროვე. ქართველი პოეტი ასახელებს კიდევაც ამ სახელმოხვეჭილი სპარსულენოვანი დიდი აზერბაიჯანელი პოეტ-მოაზროვნის პერსონაჟებს და, მაშასადამე, იცნობდა კიდევაც თავისი თანამოძმის ნაწერებს. ნიზამისა და რუსთველის შესაძლებელი ლიტერატურული ურთიერთობის თაობაზე საკმარისი მეცნიერული ლიტერატურაც მოიპოვება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პ. შარია უმეტეს წილად თავის დასკვნებს გვთავაზობს ზოგადი მოსაზრებების კვალობაზე. მაგალითად, მკვლევარი ერთგან წერს: „კატეგორიულად უნდა იყოს უკუგდებული ნიზამის სუფისტობის ვერსია“ (გვ. 173). მეტიც, „ნიზამის სუფისტობის (თუნდაც ნაწილობრივი) ვერსია მოკლებულია საფუძველს“ (გვ. 179). ვფიქრობ, რომ ეს კატეგორიული დასკვნა არ შეიძლება გავრცელდეს ნიზამი განჯელის მთელ შემოქმედებაზე, თუმცა იგი მართებულია პოეტის ზოგიერთი ნაწარმოების მიმართ. მართებულია, ვთქვათ, „ისქანდერ-ნამესა“ და „ხოსროუ-შირინიანის“ შესახებ. ნიზამის ზემოქმედების განხილვისას საჭიროა ამ პრობლემისადმი დიფერენცირებული მიდგომა. ნიზამის ერთი უმთავრესი ნაწარმოებია პოემა „ლეილი და მაჯნუნი“ (ლეილ-მაჯნუნიანი). ზევით დამოწმებული კატეგორიული ხასიათის დებულება ვერ გავრცელდება ამ პოემაზე. ეს სადაოდ ჯერ არავის გაუხდია. არც სარეცენზიო წიგნის ავტორს მოუტანია რაიმე დამაჯერებელი საბუთი. მკვლევრის შენიშვნა, „ლეილ-მაჯნუნიანის“ დამუშავებასას ნიზამი მისდევს თვით ლეგენდის ტრადიციასო“ (175), საქმეს ვერ შველის. ვერ შველის იმიტომ, რომ ნიზამი შეგნებულად სწორედ ისე მოიქცა, რომ გაამძაფრა სიყვარულის საიმქვეყნიო ზღვევის მისტიკურ-სუფისტური მოტივი.

„ვეფხისტყაოსანში სახეები და ხასიათები დინამიურად იშლებიან მოქმედების პროცესში. ამ მხრივ მარტო ნიზამი უახლოვდება რუსთველს“, წერს პ. შარია (157). ჩვენი აზრით მოხმობი-

ლი კუთხით ნიზამი კი არ უახლოვდება, არამედ ძალიან შორდება ქართველ პოეტს. ნიზამის „სახეებსა და ხასიათებს“ სწორედ დინამიურობა აკლია. ცნობისათვის სიტყვას მივსცემ ნიზამის პოეზიის საუკეთესო მცოდნე რუს მეცნიერ ა. ბოლდირევს:

«Действие в поэмах Низами очень замедленна, что дает возможность несложному сюжету быть развитым на протяжении нескольких тысяч стихов. В поэме Руставели наблюдается противоположная картина:; там сложный запутанный сюжет развивается в очень энергичном темпе на протяжении всей поэмы»[12].

პ. შარიას დაკვირვებით, ნიზამის შემოქმედებაში „სიყვარულის ხორციელ საწყისს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სულიერ-ზნეობრივს“ (გვ. 179). ეს მოსაზრება მართებულია „ხოსროვ-შირინიანის მიმართ, მაგრამ იგი ვერ მოერგება „ლეილ-მაჯნუნიანს“. აქ სწორედ ის დიფერენციული მიდგომაა საჭირო, რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ.

„გამოთქმულია აზრი,— ამბობს შკლევარი,— რომ სიყვარულმა აამაღლა ხოსროვიც, მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ აზრს. ხოსროვის შინაგანი ზნეობრივი განათება ხდება მხოლოდ სიკვდილის წინ, რაც უკარგავს მას პრაქტიკულ-ცხოვრებისეულ მნიშვნელობას... თვით სიკვდილის წინაც ხოსროვს თვალი აუხილა უფრო გარეგნულმა ამბებმა, ვიდრე შინაგანმა ევოლუციამ“ (გვ. 159, შნშ). „გამოთქმული აზრი“ მე მეკუთვნის[13] (აქაც ჩვეულებრივ უმისამართო პაექრობაა). რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრება ემყარება საკითხის სიღრმისეულ პრინციპულ მხარეს და არა მის პრაქტიკულ-გამოყენებითს მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უკიდურესი ეგოიზმის გრძნობით გამსჭვალული, ავხორცულ ჟინს აყოლილი, ზნეწამხდარი კაცი ქალის ფაქიზმა სიყვარულმა ისე გარდაქმნა და აამაღლა, რომ სიკვდილის წინ ნამდვილ კეთილშობილ ადამიანად იქცა, ხოსროვი ახლად დაიბადა, სიყვარულმა მას ახალი სული შთაბერა. მართალია, ეს მოხდა გვიან, ხოსროვი მაშინ სიკვდილის აგონიას განიცდიდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სიყვარულის გარდამქმნელმა ძალამ საბოლოოდ თავისი გაიტანა. ხოსრო-

---

[12] А. Болдырев. Два ширванских поэта. Памятники эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 117.

[13] შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 228 (ოცეე, 1966, გვ. 274; ოცეე 1975, გვ. 248.

ვი მოკვდა, როგორც თანაგრძნობისა და სიბრალულის ღირსი ადამიანი. როგორც ცნობილია, ბალმონტმა რუსთველის უპირატესობად დიდ ევროპელ მწერლებთან შედარებით ის მიიჩნია, რომ ვეფხისტყაოსნის სიყვარული სიცოცხლეში და სიცოცხლისათვის ზეიმობს გამარჯვებას[14]. ამიტომაც უმართებულოა რუსთველური და ნიზამისეული სიყვარულის კონცეფციათა რაიმე სიახლოვეზე ფიქრი, მით უფრო შეუფერებელი იქნებოდა ამ კონცეფციათა „თითქმის იდენტურობაზე" სიტყვის ჩამოგდება (გვ. 177), თუმცა რასაკვირველია, საერთო ასპექტით „ორივეს ახასიათებს ამაღლებული ჰუმანიზმი" (იქვე).

არა მგონია, სწორი იყოს მოსაზრება, თითქო ნიზამი „რუსთაველზე უფრო მეტ პოლიტიკურ ალღოსა და გამოცდილებას იჩენს" (გვ. 174). საკვირველია, რომ სარეცენზიო მონოგრაფიაში არაფერია თქმული რუსთველისა და ნიზამის პოეზიის ისეთ საერთო მოტივებზე, როგორიცაა ხალხთა მეგობრობა (ხალხთა მეგობრობის იდეა გატარებულია ნიზამის პოემაში „ისქანდერ ნამე"). მონოგრაფია დუმს აგრეთვე ქართული სინამდვილის ანარეკლის თაობაზე ნიზამის შემოქმედებაში (განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ „ისქანდერ-ნამესთან" ერთად „ხოსროვ-შირინიანი"). ბოლოსა და ბოლოს ნიზამის პოეზიის მშვენება — შირინის სახე ხომ აზერბაიჯანელ პოეტს საქართველოს სინამდვილემ შთააგონა.

„რომანტიკული ჟანრის წამომწყები მსოფლიო ლიტერატურაში" არის არა ნიზამი განჯელი, როგორც ფიქრობს პ. შარია, არამედ „ვის-ო-რამინის" (ვისრამიანის) ავტორი პოეტი გურგანი.

ამ შენიშვნების მიუხედავად, როგორც წერილის თავშიც აღვნიშნე, პ. შარიას მონოგრაფია უთუოდ მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომია.

---

[14] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, Перевод с грузинского К. Д. Бальмонта, М., 1936, с. XXIII.

ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემა

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ მივიღეთ ცნობილი რუსთველოლოგის პავლე ინგოროყვას ნაშრომი: შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1970. ტექსტი პავლე ინგოროყვას რედაქციით, ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, ო რ წ ი გ ნ ა დ. წიგნი პირველი: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი. პავლე ინგოროყვა. შოთა რუსთაველი (1166—1250), 484 გვ. (წიგნი ფაქტობრივ გამოვიდა 1971 წლის პირველ მეოთხედში).

განსახილავი პირველი წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილია მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (გვ. 7—169), შემდეგ მოდის პოემის ტექსტი (გვ. 171—408). ამას მოჰყვება ტექსტოლოგიური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლო-თქმა“ (გვ. 409—459). ბოლოს ერთვის ნარკვევი — რამდენიმე ახალი ფურცელი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან: შოთა რუსთაველის ახლობელნი: შოთა და ცოტნე დადიანი. პოეტი ქალი ბორენა (გვ. 461—482). წიგნს ახლავს ავტორისეული მოკლე „შენიშვნები“ (გვ. 485—489).

პ. ინგოროყვას ახალი ნაშრომი გარეგნულად საუცხოოდაა გამოცემული. დიდი ფორმატისაა, დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, ჩასმულია მშვენიერ ყდაში. მხატვარია ლადო გრიგოლია. რედაქტორები — სიმონ ყაუხჩიშვილი და ბესარიონ ჟღენტი. წიგნი დიდი ტირაჟითაა დაბეჭდილი (30,000) და ღირს 2 მ. 71 კ., გამომცემლობა „მერანი“.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ პ. ინგოროყვას ნარკვევის დიდი ნაწილი დაიბეჭდა რუსულადაც (журн. „Литературная Грузия“, 1971, № 11, 12; 1972, № 1, 2). თუმცა ბეჭდვა ჯერ არ დამთავრებულა. პუბლიკაცია შეწყდა შენიშვნით „Окончание следует“ (журн. „Литературная Грузия“, 1972, № 2, გვ 92). გამოქვეყნებული რუსული ტექსტი უდრის ქართულის გვ. 7—142,

ე. ი. არ დაბეჭდილა გამოკვლევის ბოლო თავი, ძირითადად „რუსთაველის მსოფლმხედველობა“ (გვ. 143—158).

განსახილავი წიგნის ავტორისეული შენიშვნები იწყება განცხადებით: „წყაროები, რომლებიც საფუძვლად დაედვა მონოგრაფიას „შოთა რუსთაველი“, დეტალურად არის განხილული ჩვენს შრომაში: რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ა (თხზულებათა კრებული, I, გვ. 7—252) და რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ას ე პ ი ლ ო გ ი“ (გვ. 525—864). ეს განცხადება ძირითადად სწორია. წიგნის მონოგრაფიული ნაწილი „შოთა რუსთაველი“, ისე როგორც დანართი“ რამდენიმე ახალი ფურცელი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“, ძირითადად მართლაც არის „რუსთველიანას“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ შემოკლებული, უკეთ, შემცირებული ვარიანტი. მაგრამ ამასთან ერთად მკვლევარს ზოგი არსებითი ხასიათის ცვლილება შეუტანია თავის ნარკვევში, რასაც შემდეგ საგანგებოდ შევეხები.

ამგზობის ჩემს ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ თავისი მონოგრაფია პ. ინგოროყვამ თავის დროზე წარუდგინა გამოსაქვეყნებლად რუსთაველის საიუბილეო კომიტეტს (ტექსტის ნაწილი კიდევაც დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, 1966, № 3, გვ. 99—131). საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით ჩატარდა მონოგრაფიის საჯარო განხილვა მწერალთა კავშირში. ეს მოხდა 1966 წლის აპრილის შუა რიცხვებში. განხილვის შედეგები გამოქვეყნდა პრესაში (ლიტერატურული საქართველო, 22. IV. 1966. № 17). განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მ. ლორთქიფანიძემ, დ. მუსხელიშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ვ. დონდუამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. ბარამიძემ, ს. კაკაბაძემ, ს ცაიშვილმა, ბ. ჟღენტმა და ს. ჭილაიამ. დისკუსია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა რუსთველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. სტურუამ, ხოლო შეაჯამა დისკუსია მწერალთა კავშირის მაშინდელმა მდივანმა და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი აბაშიძემ. გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნულია (ამ ცნობის სიტყორეს მეც ვადასტურებ, როგორც დისკუსიის მონაწილე), რომ „კამათში გამოსულმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საფუძვლიანად გააკრიტიკა პ. ინგოროყვას მონოგრაფიის მცდარი დებულება შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ“. თავის მხრივ „კამათის დასასრულს პ. ინგოროყვამ აღიარა შეცდომები და გაიზიარა კრიტიკოსთა ძირითადი დებულებები რუსთაველის ვინაობის შესახებ და უარყო თავისი მცდარი კონცეფცია ამ საკითხზე“.

თქმულს ისიც უნდა დავსძინო, რომ აღნიშნულ დისკუსიამდე ბევრი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ გამო, მათ შორის ჩვენი ვრცელი ნარკვევი (იხ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1964, გვ. 369—437).

პავლე ინგოროყვას ყურადღება კრიტიკული შენიშვნები მხოლოდ ნაწილობრივ (წყაროს დაზუსტებლად), ხოლო მთლიანად უცვლელად დაუტოვებია გამოკვლევის კონცეფციური მხარე, რაც მან თითქოს უარყო, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაზე.

მაშასადამე, ვიმეორებთ, პ. ინგოროყვას აწინდელი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“, მისი „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ შემცირებულ-შეკუმშული რედაქციაა რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებით.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ჩვენ უკვე მიეძღვენით პ. ინგოროყვას „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგს“ სპეციალური წერილი, ამიტომაც თქმულს აღარ გავიმეორებთ, ოღონდ ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ საყურადღებო მომენტზე, განსაკუთრებით ახალი მონოგრაფიის იმ მხარეებზე, სადაც გარკვეული ცვლილებებია შეტანილი აღრინდელ ნარკვევში.

როგორც ცნობილია, ბევრზე ბევრი ითქვა და დაიწერა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის რაობაზე, გაირკვა ამ რედაქციის კრიტიკული ხასიათი. თითქოს არაფერი მომხდარაო, პ. ინგოროყვა კვლავინდებურად თავისას განაგრძობს და ბეჯითი ფორმით გვიცხადებს: „ყველაზე აღრინდელი ჩვენ დრომდე მოღწეული დედანი ვეფხისტყაოსნისა არის ვახტანგისეული დედანი, რომლის პირველწყარო XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის“ (გვ. 411), ანდა „როგორც დადგენილია, ვახტანგისეული დედანი XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის“ (გვ. 435). ყოველ შემთხვევაში ახლა, განსაკუთრებით აკაკი შანიძისა და სარგის ცაიშვილის გამოკვლევების შემდეგ, ეს განცხადება ნამდვილად საფუძველს მოკლებულია. ამავე დროს პ. ინგოროყვას ტექსტოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი ვეფხისტყაოსნის თაობაზე მნიშვნელოვანწილად სწორედ დამოწმებულ წანამძღვარს ემყარება. ტექსტის ინგოროყვასეული პუბლიკაცია ყველაზე მოკლეა არსებულ გამოცემათა შორის: საკუთრივ პოემის ტექსტი მოიცავს 1510 სტროფს, ამას უნდა დაემატოს პროლოგის 10 და ეპილოგის

ერთი სტროფი, ე. ი. სულ 1521 სტროფია[1]. შედარებისათვის საკმარისი იქნება დავასახელოთ სტროფული შემადგენლობა ვახტანგისეული (I), პირველი საიუბილეო (II), შანიძე-ბარამიძის (III), წერეთელ-აბაშიძისა (IV) და მეორე საიუბილეო (V) გამოცემებისა: I—1587, II—1669, III—1598, IV—1587, V—1587.

სარეცენზიო წიგნში განხილულია ვეფხისტყაოსნის მხოლოდ პროლოგ-ეპილოგის ტექსტოლოგიური საკითხები. საკუთრივ პოემის ტექსტის თაობაზე საუბარი იქნება, ალბათ, მეორე წიგნში. ამჟამად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პ. ინგოროყვას თავის გამოცემაში არ შეუტანია პოემის ზოგიერთი უბრწყინვალესი ტექსტი, მაგალითად 558-ე სტროფი:

> კარვის კარი ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
> ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.
> წინა მწოლთა დაეზახნეს, გლოვა მიეხვდა საარაკე;
> ცხენსა შევჯე, ვამო-ცა-ვე; ჯაჭვი მეცვა საკურტაკე.[2]

პ. ინგოროყვას თვალსაზრისით, პროლოგი არ არის „ერთი მთლიანი უნიტარული ტექსტი“, იგი „შეიცავს სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებს“ (გვ. 423). თითოეული ეს დამოუკიდებელი ნაწარმოები შედგებაო ხუთ-ხუთი სტროფისაგან, ხ უ თ ე უ ლ ი ს სალექსო ფორმისაგანო:

> პირველი პოეტური ტექსტი: ა მ ბ ა ვ ი ს ა დ ა ს ა წ ყ ი ს ი პ ი რ ე ლ ი.
> მეორე პოეტური ტექსტი: ს წ ა ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს მ ო შ ა ი რ ე თ ა.
> მესამე პოეტური ტექსტი: ქ ა რ ი მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ი ს ა.

უნდა ვიცოდეთ, რომ პროლოგის ტრადიციული ტექსტი, ჯერ კიდევ ვახტანგიდან მომდინარე, 31 სტროფია. ამ 31 სტროფიდან პ. ინგოროყვას პროლოგის შემადგენლობაში დაუტოვებია 15 სტროფი, უფრო სწორად 10 სტროფი. უფრო სწორადო იმიტომ ვამბობთ, რომ პროლოგის მესამე ტექსტი („ქარი მიჯნურობისა“) ჩვენ მკვლევარს შემდეგი დროის დანართად და რუსთველის სკოლის უცნობი პოეტის ნაწარმოებად მიაჩნია. საგულისხმო ისაა,

---

[1] ტექსტს დართული აქვს ვეფხისტყაოსნის „მეორე ბოლო-თქმა“ („გასრულდა მათი ამბავი“... „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“...), რასაც ახლავს შენიშვნა სქოლიოში: “დასასრული სტროფები ვეფხისტყაოსნის დამატებისა: „სიკვდილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა, ავთანდილისა და თინათინისა, ფრიდონისა“ (გვ. 408)

[2] ბოლოდროინდელ გამოცემებში (III, IV, V), აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოცემაში არ არის ინდოხატაელთა ამბავი, 59 სტროფი.

რომ ასეთი მოსაზრება პ. ინგოროყვას გამოთქმული აქვს თავისი წიგნის შესავალ ნაწილში. იქ ვკითხულობთ: „პირველი და მეორე პროლოგი ეკუთვნის შოთა რუსთაველს; ისინი აღბეჭდილია შოთას ბრწყინვალე, განუმეორებელი ხელოვნებით. მესამე პროლოგი ეკუთვნის რუსთველის სკოლის უცნობ პოეტს". (გვ. 128, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩვენია, — ა. ბ.). შემდეგაც საუბარია პროლოგის პირველ-ორ ტექსტზე და აღნიშნულია: „ამას გარდა შესავალში დამატებულია, არა ჩანს ვის მიერ და როდის, მესამე ლექსი, წარწერით: «ქარი მიჯნურობისა», რომელიც ეკუთვნის რუსთველის სკოლის უცნობ პოეტს" (გვ 131—132).

პ. ინგოროყვას წიგნის პირველ ნაწილში მხოლოდ განცხადებაა მესამე პროლოგის, თუ პროლოგის მესამე ტექსტის („ქარი მიჯნურობისა") დანართობისა და უცნობი პირისადმი კუთვნილების თაობაზე. მოსალოდნელი იყო, რომ წიგნის მეორე ნაწილში, სადაც საგანგებოდაა განხილული ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის საკითხები, პ. ინგოროყვა შეეცდებოდა წიგნის პირველ ნაწილში, ასე ვთქვათ, ანონსის სახით გამოცხადებული თეზისის დასაბუთებას. ეს ასე არ არის. არც კვლევითს ნაწილში და არც დასკვნებში (გვ. 457—459) ამაზე აღარაა სიტყვა ჩამოგდებული. მკვლევარი კვლავ ზოგადი სიტყვებით კმაყოფილდება: „დადგენილ იქნა პირველადი სახე ვეფხისტყაოსნის შესავალის სამი პოეტური ტექსტისა" (დასკვნები, გვ. 457). ამასთან ერთად შესაფერის ადგილას შენიშნულია: „ისტორიული და ლიტერატურული საკითხები ვეფხისტყაოსნის შესავალის სამი პოეტური ტექსტის შესახებ ჩვენ უკვე განხილული გვქონდა მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი" (იხ. გვ. 127—142) და ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით" (გვ. 424).

მართალია, დამოწმებულ გვერდებზე ნამდვილად არის საუბარი ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე, მაგრამ იქ არაფერია თქმული მესამე პროლოგის („ქარი მიჯნურობისა") ტექსტოლოგიურ მხარეზე გარდა ზემოთ მოყვანილი ციტატებისა. წიგნის მეორე, სპეციალურ ნაწილში დაბეჭდილია თვითონ ამ მესამე შესავალის ტექსტი — „ქარი მიჯნურობისა" (—1. რაცა კის რა ბედმან მისცეს. 2. მიჯნურობა არის ტურფა. 3. არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა. მალვა, 4. ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა, 5. მიჯნურსა თვალად სიკეთე ჰმართებს. მართ ვითა გზეობა).

ეს არის და ეს. არავითარი კომენტარი ტექსტს არ ახლავს (გვ. 45i). მხოლოდ სტროფების სათვალავს აქვს ვარსკვლავები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტექსტი ავტორს რუსთველის შემოქმედების ნაყოფად არ მიაჩნია (ვარსკვლავები აქვს ამ სტროფებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის მთლიან ნაწილშიც). ამრიგად, „კარი მიჯნურობისა“ პ. ინგოროყვამ დეკლარაციულად გამოაცხადა დანართად, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უცდია მისი ინტერპოლაციურობის დასაბუთება. სამაგიეროდ მკვლევარი საკმარისად ვრცლად მსჯელობს „მიჯნურობის კარის“ შემატებათა შესახებ (გვ. 452—456). გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პ. ინგოროყვა „მიჯნურობის კარს“ თვლის რუსთველის ნაწარმოებად და მხოლოდ მისი ჩანართების ანალიზს ისახავს მიზნად. საქმეში ღრმად ჩაუხედავი მკითხველი შესაძლებელია ამან შეცდომაშიც შეიყვანოს. ყოველ შემთხვევაში დამაფიქრებელია შემდეგი. თავის ტექსტოლოგიურ ნარკვევში პ. ინგოროყვას მოჰყავს „მიჯნურობის კარის“ სამი შ ე მ ა ტ ე ბ უ ლ ი სტროფი (1. მიჯნური შმაგსა გვიქვიან, 2. ეთქვა მიჯნურობა პირველი, 3. მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიჰხვდებიან). მკვლევარი ამტკიცებს, რომ: „ამ სტროფებში გ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს დ ი ა მ ე ტ რ ა ლ უ რ ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ გ ო ი დ ე ე ბ ი. ვეფხისტყაოსნის გმირთა მიჯნურობას ამ დამატების ავტორი უპირისპირებს საღმრთო მიჯნურობას «საღმრთო სიახლეს». ხოლო ის „შორით ბნედა“, რომელიც გადმოცემულია ვეფხისტყაოსანში, ინტერპოლატორის აზრით არის იგივე მდაბალი «ქვენა» გრძნობა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება «სიძვიდან» (453).

მოყვანილი ციტატის მიხედვით პ. ინგოროყვა თითქო ერთი მეორეს უპირისპირებს რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობას ი ნ ტ ე რ პ ო ლ ა ტ ო რ ი ს მსოფლმხედველობას და ადგენს მათ შორის დიამეტრალურ წინააღმდეგობას. „შორით ბნედის“ თვალსაზრისი მიჩნეულია ვეფხისტყაოსნის ავტორის თვალსაზრისად, ხოლო „ვთქვენ ხელობანი ქვენანი“ კი — ი ნ ტ ე რ პ ო ლ ა ტ ო რ ი ს შეხედულებად. მაგრამ პ. ინგოროყვას თანახმად, „შორით ბნედის“ ავტორიც ინტერპოლატორია. მაშასადამე, მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებს არა რუსთველისა და ინტერპოლატორის კონცეფციებს, არამედ სხვადასხვა ინტერპოლატორის (თუმცა მაინც ინტერპოლატორების) მსოფლმხედველობას. აი. ეს გარემოება ვერ გაუთვალისწინებიათ, ან არ გა-

უთვალისწინებიათ ჩვენს ცნობილსა და პატივცემულ კრიტიკოსებს ლავროსი კალანდაძესა და გიორგი ნატროშვილს პ. ინგოროყვას შრომისადმი მიძღვნილ წერილში „წიგნი და ავტორი“ (კომუნისტი, 23, 12. 71).

სხვათა შორის დამახასიათებელია, რომ ვეფხისტყაოსნის სამიჯნურო კოდექსის თაობაზე მსჯელობისას პ. ინგოროყვა მასალებს თვითონ პოემიდან იხმობს და არა პოემის პროლოგიდან (შდრ. გვ. 130—132). მკვლევარმა იცის „მიჯნურობის კარის“ ფასი და ძალიან ფრთხილობს, ვერაფერს მის სააუგოდ ვერ ამბობს, გვერდს უვლის ტექსტის ანალიზს, საკითხს ჩრდილში ტოვებს, მკითხველს გაურკვეველ ვითარებას უქმნის. პროლოგის განხილვის წინ პ. ინგოროყვა ამბობს: „პირველი და მეორე პროლოგი ეკუთვნის შოთა რუსთაველს; ისინი აღბეჭდილია შოთას ბრწინვალე განუმეორებელი ხელოვნებით“ (გვ. 128). მესამე პროლოგი („კარი მიჯნურობისა“)? ამაზე მკვლევარი დუმს, არც კარგს ამბობს, არც ცუდს. საქმე კი შეეხება ისეთ უმშვენიერეს სტროფებს, როგორიცაა, მაგალითად (23—24 სტროფები, ინგოროყვათი 5,2):

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვით მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიდიდრე, სიყმე და ჩოცალეობა.
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.
მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი ჭვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვის დასადარი:
ორი სხვაა, სიძვა სხვაა, შენა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევეთ ერთმანეთსა, გესმის ჩემი ნაუბარი?

პ. ინგოროყვა მოვალე იყო ამ ტექსტების იდეურ-მხატვრული ანალიზი ჩაეტარებინა. რატომ დაუშვა გამონაკლისი? რატომ უვლის გვერდს ამ სტროფების რაობის საკითხს? დამაფიქრებელია! აქ იჩენს თავს გარკვეული ტენდენცია, აშკარა სუბიექტივიზმი. ვეფხისტყაოსნის სამიჯნურო კოდექსს პ. ინგოროყვა ადგენს პოემის ნარატიული მხარის მონაცემების კვალობაზე. ეს კარგია, მაგრამ იგივე პრინციპები უდევს საფუძვლად (უდევს უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად), ასე ვთქვათ, თეორიული განზოგადებით, თეორიულ ასპექტით „მიჯნურობის კარსაც“. მაშ, რა დააშავა ამ კარმა? რა და, ის, თურმე, რუსთველს არ ჰკუთვნებია, ის თურმე შეუთხზავს ვიღაც უცნობ პირს. საკომპენსაციოდ მკვლევარი

მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ ეს უცნობი პირი ყოფილა „რუსთაველის სკოლის“ პოეტი (128) და, წარმოიდგინეთ, „შოთას უახლოესი მეგობარი“ (131). სამწუხაროდ, მკვლევარი მკითხველს არ უმჟღავნებს, საიდან იცის მან ასეთი საინტერესო ამბები. ვეფხისტყაოსნის „შიფრის“ ამომხსნელი ამ საიდუმლოებას გაუმჟღავნებლად ტოვებს. ერთი რამ სრულიად ბეჯითად შეგვიძლია ვთქვათ, თუ „მიჯნურობის კარის“ ავტორი უცნობი პირია, მაშინ ჩვენ გვყოლია მეორე შოთა რუსთველი[3].

ვეფხისტყაოსნის პროლოგი მთლიანად, კერძოდ, პროლოგის ის ნაწილი, რომელსაც პ. ინგოროყვა უწოდებს „ამბვისა დასაწყისი პირველი“ ყოველმხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ძველ რუსთველიანაში ეს ნაწილი ხუთ სტროფს მოიცავდა (1. რომელმან შექმნა, 2. ვის ჰშვენის, 3. თამარს ვაქებდე მეფესა, 4. თვალთა, მისგან უნათლოთა, 5. ჩემი ან ცანით ყოველმან). მაშინ პ. ინგოროყვა გადაჭრით ამბობდა: „ეს ხუთი სტროფი არის ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელიც ორგანულად არის დასრულებული თავის რკალში. .. ეს ტექსტი თვითონ რუსთველს ეკუთვნის“ (რუსთველიანა 1, 109, შენ.). მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ხუთეული შეიცავდა „მეფეების თამარის და დავითის ხოტბას“ (იქვე, გვ. 108). მეორე სტროფის „მეფე-მხედარი, „ლომი“ ...არის მეფე დავით სოსლანი“ (იქვე, გვ. 110). „აღსანიშნავია აქ ისიც, — განმარტავდა პ. ინგოროყვა, — რომ დავითის შესახებ რუსთველი აღნიშნავს იმავე ხაზებს, და ზოგჯერ იმეორებს იმ ეპითეტებსაც კი, რომლითაც იგი ცნობილი იყო თანამედროვეთა შორის. თვით სახელწოდება «ლომი», რომლითაც იწყებს პოეტი თავის ხოტბას, არის მუდმივი ეპითეტი ornans დავითისა ამ ეპოქის პოეტურ თხზულებებში“ (იქვე, გვ. 121, შენ. 1). გრამატიკული ნორმებით, ლექსიკონით, სტილით, მთელი პოეტური ენით, ყველაფრით ეს სტროფი არისო „წმინდა რუსთველური“ (იქვე, გვ. 122). ასევე აფასებდა ვეფხისტყაოსნის ამ „პირველ პროლოგს“ პ. ინგოროყვა კ. კეკელიძესთან პაექრობის დროს. მეფეთა ხოტბა ატარებსო, „სინამდვილის ყველა ნიშანს“. რომ განსაკუთრებით ნიშანდობლივიაო მეორე სტროფი („ვის

---

[3] უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პროლოგს პ. ინგოროყვა ყალბად თვლიდა თავის ძველ „რუსთველიანაში“ (თბ., 1926 გვ 108, შენ. 1). ახალ რუსთველიანაში ამაზე არაფერია ნათქვამი. „კარი მიჯნურობისა“ აქ თითქოს რუსთველის ნაწარმოებად არის მიჩნეული (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, 1963, გვ. 45—47).

ჰშვენის") თავისი „წმინდა რუსთველური ლექსის ინსტრუმენტაციით" (შნათობი, 1927, № 4, გვ. 188, 197). მოყვანილი დახასიათების მიუხედავად, ახალი რუსთველიანათი ეს სტროფი მიჩნეულია შემდეგი დროის უცნობი ავტორის დანართად (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, 1, 45—53). მაშინ საბუთი მოხმობილი არ ყოფილა. ამ ხარვეზს თითქო ავსებს სარეცენზიო წიგნი. ტექსტის ანალიზის დროს პ. ინგოროყვა გრძნობს გარკვეულ უხერხულობას. ის უკან იხევს, მაგრამ იხევს ფრთხილად. „ავტორი ამ სტროფისა („ვის ჰშვენის") არ არის ცუდი ვერსიფიკატორიო", შენიშნავს და განაგრძობს „პოეტიკა ამ სტროფისა, მთელი პოეტური ლექსიკონი, დიდად დაშორებულია რუსთველსო" (გვ. 443). სტროფის მეორე ნახევარი („მას არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა, მისთა მპვრეტელთა ყანდისა მირმა ხამს მართ მიშერისა") იმდენადაა დაშორებული რუსთველის პოეტურ ენას, რომ „დღემდე საკამათოდ ითვლება, თუ როგორ უნდა იქნას წაკითხული და გაგებული" იგიო. ვთქვათ, მკვლევარნი კამათობენ ტექსტის ამათუიმ სიტყვის დაწერილობის ხასიათზე, ან მისი შინაარსის გააზრებაზე, განა ეს შეიძლება გამოდგეს თვითონ ამ ტექსტის სიყალბის ოდნავ დასაშვებ რაიმე საბუთად? „ლექსიკონი ამ სტროფისა საერთოდ არაა რუსთველურიო" (გვ. 446). მაგალითად დასახელებულია „შიმშერი", „შიმშერი სპარსული სიტყვაა, აღნიშნავს ხმალსო". შემდეგ მსჯელობა ასეა წარმართული: „პოემაში ხმალი (ხრმალი) მოიხსენება 41-ჯერ, ხოლო შიმშერი არ გვხვდება არც ერთხელ. უფრო მეტიც. სიტყვა შიმშერი საერთოდ არ იხმარებოდა ქართულშიო" (გვ. 446). სიტყვა შიმშერი რომ ქართულში იხმარებოდა, ამას ამტკიცებს თვითონ დამოწმებული სტროფის ტექსტი, სულ ერთია, ამ ტექსტს მივაწერთ რუსთველს თუ ინტერპოლატორს. განა სპარსულიდან მომდინარე ცოტა სიტყვა იხმარება ვეფხისტყაოსანში, ვისრამიანში, ამირანდარეჯანიანში, თამარიანში და კლასიკური პერიოდის კიდევ ზოგიერთ სხვა ძეგლში? სრულიად პუნებრივია და ნორმალური შემოქმედი-მკვლევრის მხრივ მერყეობა ამათუიმ საკითხში, ახალი დაკვირვების შედეგად საკითხის განსხვავებული კუთხით გაშუქება, ან სრულიად შეცვლა აზრისა. მაგრამ ჩვენ არაბუნებრივად გვეჩვენება, როდესაც მკვლევარი ერთიდაიმავე მხატვრული ნაწყვეტის გამო ჯერ კატეგორი-

ულად ასკვნის პოეტიკის თვალსაზრისით „წმინდა რუსთველურიაო“, ხოლო შემდეგ კი მკითხველს არწმუნებს — არა, „პოეტიკა ამ სტროფისა, მთელი პოეტური ლექსიკონი, დიდად დაშორებულია რუსთაველსო“. მეტიც, „ამ ტექსტის რომელი ვარიანტიც არ ავიღოთ, არაფერი აქვს საერთო რუსთაველის პოეტიკასთანო“ (ლაპარაკია საანალიზო სტროფის მეორე ნახევარზე, გვ. 444).

რამდენიმე წლის წინათ პ. ინგოროყვა გვაუწყებდა: „პრეციზული ფილოლოგიური და პოეტური ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ სამივე პროლოგის პირვანდელი სახე... თვითეული პროლოგი წარმოადგენს სალექსო ფორმას «ოთხეულს» (ოთხი სტროფი, ყოველ სტროფში ოთხი ტაეპი)“ (პ. ინგოროყვა. თხზულებანი 1, 1963, გვ. 45). ახლა მკვლევარი გვარწმუნებს: „სამივე პროლოგი დაწერილია ძველ ქართულ პოეზიაში მიღებული ფორმით, რომელსაც ერქვა «ხუთეული», თვითეული ნაწარმოები შედგება ხუთი სტროფისაგან“. (გვ. 128, 429).

სამი ოთხეული 12 სტროფია, სამი ხუთეული — 15. „პრეციზული“ ანალიზი ხან ერთ შედეგს იძლევა, ხან მეორეს. ამ ანალიზის სისწორეზეა დამოკიდებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბედი. ჩვენ საგონებელში ვრჩებით, როდის იყო ჩატარებული პროლოგის ტექსტების „პრეციზული“ ანალიზი, წინათ თუ ახლა. პ. ინგოროყვა მეტისმეტად თავისუფლად და ნებისმიერად ეპყრობა ვეფხისტყაოსნის ნაანდერძევ ტექსტს. სანიმუშოდ ავიღოთ კიდევ პროლოგის განთქმული სტროფი:

ჰე ღმერთო ერთო შენ შეჰქენ სახე ყოველსა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრუნვად მე სატანისა.
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ადრე ამ სტროფს პ. ინგოროყვა ყალბად თვლიდა და თავის „ოთხეულში“ არ შეიტანა, „ხუთეულში“ კი სტროფმა ნაანდერძევი ტრაღიციული ადგილი დაიკავა პროლოგში და რუსთველისეულად იქნა აღიარებული. მეორე სტროფს დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველის რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისის გასარკვევად. მას ბევრი უტრიალა შალვა ნუცუბიძემ. საქმე ისაა, რომ შ. ნუცუბიძე ვეფხისტყაოსანს თვლის ისეთ ნაწარმოებად, რომელიც გამსჭვალულია პანთეიზმის, პანთეისტური მატერიალი-

ზმის იდეებით, რასაც არ ეგუება პროლოგის მეორე სტროფი („ჰე ღმერთო ერთო“) და ზოგიერთი სხვა ტექსტი. აღნიშნულ ნიადაგზე შეიქმნაო «Разрыв в миропонимании Руставели», «внутренняя неувязка в идеологии поэмы». წინააღმდეგობა, შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, იმით აიხსნება, თითქოს ვეფხისტყაოსანი იწერებოდა „სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მორალურ-პოლიტიკური სიტუაციის პირობებში“. ვითომც შემდეგ, გვიან, რუსთველმა თვითონ ჩაურთო პანთეისტული სულით გამსჭვალულ ნაწარმოებში ანტიპანთეისტური სტროფები. ეს ჩანართები, მათ შორის მეორე სტროფი, არისო ავტორისეული ინტერპოლაციები. ამგზობის არ ვჩერდებით იმაზე, რამდენად საბუთიანია შ. ნუცუბიძის მოსაზრებანი. ყოველ შემთხვევაში, მკვლევარი შეეცადა ერთგვარად დაებღალა მის წინაშე წამოჭრილი წინააღმდეგობანი[4].

პ. ინგოროყვამ გაიზიარა ნუცუბიძისეული თეორია ვეფხისტყაოსნის პანთეიზმზე. ახალ „რუსთველიანაში“ პ. ინგოროყვას უწერია: „შოთას ფილოსოფიური კონცეფცია სამყაროს წყობისა — ეს არის თანმიმდევრული პანთეიზმი ანუ წმინდა სახის პანთეიზმი, ღვთაების ყოვლადობა ბუნებაში“ (თხზულებანი, 1, 159, 161). პ. ინგოროყვა ახლაც იმეორებს ამას, ოღონდ ამოუღია ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები „თანმიმდევრული“ და „წმინდა სახისა“ (გვ. 156—157). ე. ი. შოთა ყოფილა უბრალოდ პანთეისტი (ვთქვათ, არა წმინდა სახისა და არა თანმიმდევრული, მაგრამ მაინც პანთეისტი). ამავე დროს მეორე სტროფი სრულიად გარკვეულად, მკაფიოდ და ცხადად ღმერთს აღიარებს შემოქმედად, კრეაციონური ნების პატრონად, ტრანსცენდენტურ პიროვნულ ძალად, რომელმაც შექმნა „სახე ყოვლისა ტანისა“. პოეტი აღიარებს საიქიო სამყაროს და ღვთაებას სთხოვს მიწიერ „ცოდვათა შემსუბუქებას“ „მუნ თანა“ წასატანად. სადღაა აქ „ღვთაების ყოვლადობა ბუნებაში“? სადღაა აქ პანთეიზმი? შ. ნუცუბიძის მსჯელობა, მიუხედავად მისი საბუთიანობის რაობისა, ლოგიკურია და, თუ გნებავთ, თანმიმდევრული. პ. ინგოროყვას თვალსაზრისს კი აკლია ეს თანმიმდევრობა და ლოგიკურობა.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის (აგრეთვე, რასაკვირველია, ეპი-

---

[4] ამის თაობაზე იხ. ჩვენი „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ თბ., 1966, გვ. 208—211; აგრეთვე, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 433—434.

ლოგის) პრობლემა ურთულესი რუსთველოლოგიური პრობლემაა. პროლოგ-ეპილოგის თითოეული სტროფის ავკარგიანობის, ნამდვილობა-ნატყუარობის დადგენა, უპირველესი მნიშვნელობის პრინციპული საკითხია. კრიტიკულად მისაჩნევ გამოცემაში ამათუიმ სტროფის შეტანა-ამოღებას დიდი სიფრთხილე და საბუთიანობა სჭირდება. არა გვგონია სწორი იყოს მკვლევრის თავდაჯერებული აღიარება, თითქო აწინდელი გამოცემის შემდეგ ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგი, „პოეზიის (ეს) დიადი ქმნილება ისევ აელვარდა თავისი პირველადი სინათლით“ (სარეცენზიო წიგნი, გვ. 458).

ძველ „რუსთველიანაში“ პ. ინგოროყვა ამბობდა, ვითომც პროლოგში რუსთველი თავისუფლად და კადნიერად მიმართავს თამარს. ეს იმას ნიშნავსო, რომ რუსთველი სამეფოს უმაღლეს არისტოკრატიას, დიდებულთა უმაღლეს წრეს ეკუთვნოდაო (რუსთველიანა, 1, 1926, გვ. 146, შენ. 1). ძველი თეზისი მკვლევარმა განავრცო და გააფართოვა ახალ „რუსთველიანაში“ და „რუსთველიანას ეპილოგში“. ახალ „რუსთველიანაში“ ვკითხულობთ: რუსთველი „თავისუფლად საუბრობს თამარის, დედოფლის შესახებ, მიმართავს თამარს, როგორც თანასწორი თანასწორს“, ხოლო თუ გავითვალისწინებთ „საშუალ საუკუნეთა გარემოს, ცხადია, რომ რუსთველი, რომელიც თავის თავს თამარის გვერდით აყენებს, უნდა ყოფილიყო არა თუ უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, არამედ თვით სამეფო გვარეულობის წევრი“ (1, 82—83, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია — ა. ბ.). „რუსთველიანას ეპილოგშიც“ პ. ინგოროყვა აგონებს მკითხველს: „მკითხველმა მოიგონოს.... პოემის შესავლის სტროფები, სადაც პოეტი მიმართავს თამარს, როგორც თანასწორი თანასწორს“ (1,530). განსახილავი წიგნის ტექსტოლოგიურ ნაწილში პ. ინგოროყვა შენიშნავს: „ჩვენ ვნახეთ, რომ ვეფხისტყაოსნის შესავალში შოთა მიმართავს თამარს როგორც თანასწორი თანასწორს“ (გვ. 434). პატივცემული მკვლევრის შენიშვნაზე უნდა შევნიშნოთ, რომ აწინდელ ნაშრომში ჩვენ ერთი სიტყვაც არ გვინახავს აღნიშნულ საკითხზე. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ პ. ინგოროყვას

თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსანში თამარი მიჩნეულია ღმერთად. იგი ამბობს: „შოთა თვით თამარ მეფეს... უწოდებს ღმერთს“ (გვ. 158). იგივე მოსაზრება განმეორებულია ნაშრომის ტექსტოლოგიურ ნაწილში: „ვეფხისტყაოსნის მოთხრობას შოთა რუსთაველი ამთავრებს ბოლოთქმით, რომელიც შეიცავს თამარის აპოთეოზს, წარმოგვიდგენს თამარს, როგორც ღვთაებას, ნათელთა სახეს“ (გვ. 413), „აქ არის თამარის აპოთეოზი, გაღმერთება თამარისა“ (გვ. 415).

საკვირველზე საკვირველია, როგორ წარმოიდგინა რუსთველმა თავისი თავი ღმერთად აღიარებული თამარის სწორად! ამაზე მეტს ვეღარაფერს ვიტყვით. კომენტარი ზედმეტია.

უცნაურად გვეჩვენება პ. ინგოროყვას ის მოსაზრებაც, თითქო ვეფხისტყაოსანი მისმა ავტორმა გამოაქვეყნა „ყოველგვარი შესავლის გარეშე“ (გვ. 131). ამას მკვლევარი იმით ხსნის, რომ შესავალში შოთამ გაამჟღავნა „თავისი უიმედო მიჯნურობა თამარის მიმართ“ (გვ. 130). პირველი პროლოგი, მკვლევრის სიტყვით, „არის მონოლოგი თავის-თავთან და არავითარ შემთხვევაში არ იყო დანიშნული გამოსაქვეყნებლად“ (გვ. 131). „ყოვლად წარმოუდგენელია, — წერს პ. ინგოროყვა, — რომ შოთას ეს ლექსი, სადაც იგი ამჟღავნებს თავის უიმედო მიჯნურობას თამარის მიმართ, გამოექვეყნებია თამარის სიცოცხლეში, და საერთოდ დაეწერა იგი გამოსაქვეყნებლად. ეს არის **პოეტის მონოლოგი თავის თავთან**“ (გვ. 130, კურსივი ავტორისაა, — ა. ბ.). პ. ინგოროყვას დაკვირვებით, თავისი უიმედო მიჯნურობის გამო შოთა „თვითმკვლელობაზედაც კი ფიქრობდა“ (გვ. 131). მკვლევრის ვარაუდით, „ვეიან, თამარისა და შოთას გარდაცვალების შემდეგ. შოთას უახლოესმა მეგობარმა (როგორც იყო ავთანდილისათვის შერმადინი) ვეფხისტყაოსანს დაურთო შესავალი“, რომელშიც შეეიდაო პირველი და მეორე პროლოგი (გვ. 131). ამას გარდა, — განაგრძობს იგი, — „შესავალში დამატებულია, არა ჩანს ვის მიერ და როდის, მესამე ლექსი, წარწერით «კარი მიჯნურობისა», რომელიც ეკუთვნის რუსთაველის სკოლის უცნობ პოეტს (შესაძლოა სწორედ უცნობი პოეტი იყო რუსთაველის ის შერმადინი, რომელმაც გადაარჩინა ზემოთ დასახელებული ორი ლექსი“[5]. (გვ. 131—132).

---

[5] ნაგულისხმევია „პირველი“ და „მეორე“ პროლოგი.

ვარაუდებზე ეერაფერს ვიტყვით. პ. ინგოროყვა აქ არაფერს ამტკიცებს, იგი გვაყვება თავის, თავისთავად ძალიან საინტერესო შთაბეჭდილებებს, ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუსაბუთებელია პროლოგის ტექსტების შედგენილობა, და, მით უფრო, მესამე პროლოგის, ე. ი. „მიჯნურობის კარის“ უცნობი პოეტისადმი მიკუთვნება. ის ავტორები (ფირდოუსი, გურგანი, ნიზამი), რომელთაც რუსთველი იმოწმებს, პოემებს უშესაველოდ არ აქვეყნებდნენ. რაღა რუსთველმა გამოაქვეყნა თავისი პოემა ასე უთაოდ?

გარკვეული ევოლუცია განიცადა პ. ინგოროყვას შეხედულებამ ვეფხისტყაოსნის დაწერის გარემოების შესახებ. ადრე მას მიაჩნდა, რომ პოემა რუსთველმა დაწერა უცხოეთში (თითქო ბასრაში). დევნილობის დროს, (რუსთველიანა, 1,1926, გვ. 302, 318, შენ. 2). ახალი „რუსთველიანათი“ ვეფხისტყაოსანი „თუ მთლიანად არა, ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ მ ა ი ნ ც, დევნილებაში ყოფნის დროს არის დაწერილი“ (თხზ. 1, გვ. 66, 213, 216). ორივე მოსაზრებას საფუძვლად ედო პ. ინგოროყვას თეორია რუსთველის მანიქეველობის თაობაზე. ამ თეორიიდან ახლა თითქმის აღარაფერი დარჩა. სარეცენზიო ნაშრომში გვხვდება ასეთი ცნობა. „შოთას ს წ ა მ ე ბ დ ნ ე ნ «მანის ფერობას», გადახრას მანის ფილოსოფიისადმი (ე. ი. ემპედოკლეს ფილოსოფიისადმი)“ (გვ. 148). უნდა პირდაპირ ითქვას, რომ შოთა რუსთველს მანიქეველობას (თუ მანის ფილოსოფიისადმი გადახრას) სწამებდა მხოლოდ პაველ ინგოროყვა. რუსთველის მანიქეველობის თეორიის ერთგვარი გადმონაშთები განსახილავ წიგნშიც იგრძნობა. ჰკვლევარი მთლად ვერ ელევა მანის და მის მოძღვრებას, ოღონდ მანი შეცვალა ემპედოკლემ. „შოთა იცნობდა მანის... მაგრამ შოთა იცნობდა თვით პირველწყაროს მანის ფილოსოფიისა, — ემპედოკლესო“ (გვ. 150). ემპედოკლედან მოხმობილი პარალელი იმდენად უღიმღამოა, რომ ლავრსი კალანდაძე და გიორგი ნატროშვილი შენიშნავენ: „ეჭვს იწვევს თვით ჩვენი მკვლევარის (ე. ი. ინგოროყვას —ა. ბ.) პარალელიც რუსთაველის სტროფისა ემპედოკლესთან“ (წიგნი და ავტორი, გაზ. „კომუნისტი“, 23, 12. 71), საერთოდ რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ა ს პათოსს შოთას მანიქეველობის თეორია შეადგენდა, ამ პათოსის შენელებამ ძლიერ იმოქმედა მისი ავტორის შეხედულებათა სხვა მხარეებზე. ასევე მოუვიდა ვეფხისტყაოსნის დაწერის საკითხს, მოიხსნა მესოპოტამია, მოიხსნა ბასრა, მოიხსნა პოემის უცხოეთში შექმნის თვალსაზრისი. ახლა გვეუბნებიან: „ვეფხის-

ტყაოსანში, როგორც ირკვევა, არის სტროფები, რომლებიც პოეტს ჩაურთავს პოემაში, როდესაც იგი მოშორებული იყო სამშობლოს და უცხოეთში ყარიბად იმყოფებოდა“ (გვ. 75).

რუსთველის რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებასთან დაკავშირებით ბევრი რამ არის სადაო, მაგრამ მათ აქ არ ვეხებით. ავტორი არსებითად იმეორებს ახალ „რუსთველიანაში“ გამოთქმულ შეხედულებებს, რაც ჩვენ განხილული გვაქვს „ნარკვევების“ IV წიგნში. შევჩერდებით მხოლოდ ერთ დეტალზე. განსახილავ წიგნში აღნიშნულია. „შოთას პოემაში მოიხსენებიან «ფილოსოფოსნი», მოიხსენებიან აგრეთვე «მოაბადნი» (ამ მეორე სახელით აღინიშნებიან აღმოსავლეთის ფილოსოფოსნი — მოძღვარნი“) (გვ. 153). ახალ „რუსთველიანაშიც“ წერია: „შოთას პოემაში მოხსენებული ყავს «მოაბადნი». თვით ტერმინის «მოაბადნის» სადაურობა გვაჩვენებს, რომ აქ იგულისხმება აღმოსავლეთის ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებანი“ (1,180). ამ სიტყვის («მოაბადნის») საფუძველზე პ. ინგოროყვას გამოაქვს გარკვეული დასკვნები რუსთველის განსწავლულობის სპეციფიკური ხასიათის თაობაზე. ჩვენ კვლავ უნდა გავიმეოროთ[*], რომ დამოწმებულ საინტერესო სიტყვას (მოაბადნი) ვერ იპოვით პოემის ვერცერთ ბეჭდურ გამოცემაში, მათ შორის პ. ინგოროყვას როგორც უწინდელ, ისე ახლანდელ გამოცემაში. დაინტერესებულ მკითხველს აქაც საგონებელში ვტოვებთ.

თავის ახალ ნაშრომში პ. ინგოროყვას შემოკლებულად აქვს გადმოცემული ყველაფერი ის, რაც მოთხრობილია მის „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგში“. იქ, ასე თუ ისე, მკვლევარი ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი მოსაზრებანი შოთას ბიოგრაფიაზე. აქ კი ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, თითქოს მონათხრობი იყოს უცილობელი ჭეშმარიტება. მონათხრობი შემაგრებულია ჩვეულებრივი ენერგიული განცხადებით: „რუსთაველის საკითხი ამჟამად გადაჭრილია მეცნიერული მუშაობის შედეგად, რომელიც ჩატარებული იყო რუსთველოლოგიაში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, დადგენილია ვინაობა დიდი ქართველი პოეტისა“ (გვ. 50, დაყოფა ჩემია— ა. ბ.). მკითხველი შეცდება თუ იფიქრებს, რომ პ. ინ-

[*] ნარკვევები, IV, გვ. 383—384.

გოროყვა გულისხმობს რუსთველოლოგიაში საზოგადოდ მიღებულ შედეგს. არა, პ. ინგოროყვას მხედველობაში აქვს კვლევა-ძიების საკუთარი შედეგები. იგი უყურადღებოდ ტოვებს და გვერდს უვლის ქართველი ისტორიკოსების საფუძვლიან კვალიფიციურ კრიტიკას[7] (რომ არაფერი ვთქვათ სხვების შენიშვნებზე, მათ შორის ჩვენს ვრცელ ნარკვევზე[8]). მხოლოდ აქა-იქ ზოგიერთი რამ, შედარებით წვრილმანი, შეუსწორებია კრიტიკის ზემოქმედების შედეგად. ეს კია, რომ პ. ინგოროყვა ახლა აღარ ამბობს: „ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა“ (თხზულებაში, 1, 857).

განსახილავ მონოგრაფიაში პ. ინგოროყვა იმეორებს ცნობილ, თუმცა საცილობელ მოსაზრებებს ლეონტი მროველზე, გრიგოლ ხანძთელზე, ორ შავთელზე, თამარის პოეტობაზე, რუსთველის არმოღწეულ თხზულებებზე (ქებანზე და იოსებ მშვენიერზე) და სხვ. ამათ აქ აღარ ვეხებით, ოღონდ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ მეთოდოლოგიურად შეუწყნარებელ დებულებას, თითქო ქართული კულტურა მსოფლიო ორი კულტურის „დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე კ უ ლ ტ უ რ უ ლ გ ა ვ ლ ე ნ ა თ ა“ შეჯვარებას წარმოადგენს (გვ. 38—39, დაყოფა და კურსივი ჩემია — ა. ბ.).

რა თქმა უნდა, პ. ინგოროყვას ნაშრომში ბევრი რამეა მოსაწონი და დიდი კმაყოფილების გრძნობის აღმძვრელი. საერთოდ შთამბეჭდავად არის დაწერილი მონოგრაფიის ის თავები, რომლებიც შეეხება საქართველოს ისტორიულ წარსულს და მიზნად ისახავს ძველი ქართული კულტურის საკითხების ფართოდ გაშუქებას. უღრმად მიგვაჩნია პ. ინგოროყვას მოსაზრებანი რენესანსული სულის მატარებელი ქართული ჰუმანისტური მოძრაობის თაობაზე, რუსთველის პოემის ჰუმანისტურ და ინტერნაციონალურ სულისკვეთება-

---

[7] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I, 1964, გვ. 332; ვ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ გამო, ჟურნ. „მაცნე“, 1964, № 6-307—336. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ჟურნ. „ცისკარი“, 1965, № 2, გვ. 140—141; ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1965, № 9, გვ. 141—151.

[8] პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოქვეყნების გამო, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 368—437.

ზე, რაინდობასა და ქალის კულტზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, პოემის მხატვრულ მხარეებზე. მახვილგონივრულია მკვლევრის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის აპოლონურ და დიონისურ საწყისებზე. კარგია ნაკვეთი ბორენა დედოფალზე და მის საგალობელზე. მიუხედავად სადაო და მიუღებელ დებულებათა სიუხვისა, ნაშრომი მთლიანად დიდ ინტერესს იწვევს და რუსთველოლოგიური მეცნიერების შემდგომ წინსვლას ემსახურება. პ. ინგოროყვას ნაშრომი ბადებს ახალ საკითხებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზრის განვითარებას და ამ საკითხების შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის განაწყობს დაინტერესებულ პირთ. ესაა სარეცენზიო ნაშრომის უცილობელი ღირსება.

რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო

(მცირე განმარტება)

„ლიტერატურულ საქართველოში“ (17.5.74) გამოქვეყნდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ბორის კანდელაკის პოლემიკური წერილი „კვლავ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ“. იგი უბრუნდება მეცნიერთა ერთი ჯგუფის კოლექტიურ წერილს, რომელიც რუსთველის პორტრეტის კანდელაკისეული პუბლიკაციის გამო დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ 1958 წელს (12.X) — „სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ“ (ხელს აწერდნენ გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე და ილ. აბულაძე[1]). ბ. კანდელაკი მკითხველებს აუწყებს, რომ მეცნიერთა ეს ჯგუფი შეეცადა გაეუფასურებინა მისი პუბლიკაცია, ხოლო შემდეგ ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა, კერძოდ, ალ. ბარამიძემ (აგრეთვე შ. ამირანაშვილმა) გაიმეორა ის მოსაზრება, რაც მან (ე. ი. ბ. კანდელაკმა) ცხრა წლით ადრე გამოთქვაო.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დამოწმებული წერილის შედგენის თაოსნობა ეკუთვნოდა განსვენებულ ილია აბულაძეს (ჯერ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელს, შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს). მანვე დაწერა ტექსტი, რომელსაც ჩვენც ვაწერთ ხელს. ჩვენ ყველანი ერთი აზრისანი ვიყავით ბ. კანდელაკის პუბლიკაციის თაობაზე, თუმცა სხვადასხვა შეხედულებას ვიზიარებდით რუსთველის პორტრეტის თარიღის შესახებ. წერილის ავტორები მიესალმნენ რუსთველისა და სხვა პირთა სურათების გამოქვეყნების ფაქტს, ოღონდო, ურთავდნენ, „პუბლიკაციას თან ახლავს ზოგი ისეთი რამ, რაც ყალბ წარმოდგენას ქმნის საქმის ნამდვილი ვითარების

[1] ეს წერილი შემდეგ გადაბეჭდა ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ (1960, № 12, გვ. 7—8).

შესახებ". საგანგებო ყურადღება დაეთმო იმას, რომ „სინამდვილეს არ შეეფერება სენსაციური სათაური ხსენებული სურათების ახლად „აღმოჩენის" შესახებ" (ხაზგასმა ახალია. — ა. ბ.). მართლაც, ბ. კანდელაკის წერილს სათაურად ჰქონდა: „აღმოჩენილია შოთა რუსთველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები. 1. „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან". კოლექტიური წერილის ავტორები შენიშნავდნენ „ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერი და სურათები დიდი ხანია ცნობილიაო" და მიუთითებდნენ შესაფერის წყაროზე. საქმე ისა, რომ ჩუბინაშვილის კრებული (და შიგ ჩართული სურათები) მეცნიერული სიზუსტით იყო აღწერილი, ხოლო აღწერილობა ბეჭდურად გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1955 წელს[2]. ამისდა მიუხედავად, რუსთველის სურათის შესახებ ბ. კანდელაკი წერდა: „ამ პორტრეტის პირი ახლახან ხელნაწერების გადათვალიერების დროს საბედნიეროდ მე შემხვდა" (ხაზგასმა აქაც და ქვევითაც ჩემია — ა. ბ.). ნამდვილად ხელნაწერების გადათვალიერების დროს შემთხვევით კი არ წააწყდა ბ. კანდელაკი რუსთველის პორტრეტს, არამედ იგი ამ პორტრეტამდე მიიყვანა ხელნაწერთა აღწერილობის დამოწმებულმა წიგნმა. ბ. კანდელაკი აღწერილობას იცნობდა და ერთგვარად კიდევაც ასახელებს მას. ერთგვარადო ინიტომ ვამბობთ, რომ ბ. კანდელაკი აღწერილობას იქ არ ასახელებს, სადაც ეს აუცილებელი იყო, როცა მან სიტყვასიტყვით გაიმეორა პრინციპული მნიშვნელობის მქონე ტექსტი აღწერილობისა. თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს პარალელური ტექსტები:

„კრებულს ერთვის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობა, რაც შესრულებული უნდა იყოს პეტერბურგში ჩანახაზებისა და ნ. ჩუბინაშვილის ზემოთ დასახელებული აღწერის მიხედვით. თვითეულ პორტრეტს აქვს წარწერა რუსულ ენაზე". (აღწერილობა, 1955, გვ. 248).

„კრებულს თან ერთვის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობა, შესრულებული, ალბათ, პეტერბურგში იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჩანახაზებისა და ნიკოლოზ ჩუბინაშვილის აღნიშნული ნაშრომის მიხედვით. თვითეულ პორტრეტს აქვს წარწერა რუსულ ენაზე".

(ბ. კანდელაკის წერილი, 1958 წ.).

[2] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). აღ. ბარამიძის რედაქციით, ტომი V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბილისი, 1955, გვ. 238—248.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ შენიღბვის მიზნით ბ. კანდელაკს დაუმატებია ორიოდე სიტყვა და აღწერილობის გამოთქმა „შესრულებული უნდა იყოს“ შეუცვლია გამოთქმით „შესრულებული, ალბათ“.

სწორედ ამის გამოა კოლექტიურ წერილში ნათქვამი, აღწერილობაში გამოთქმულ მოსაზრებას ბ. კანდელაკი „თავისად ასაღებს, წყაროს მოუხსენებლადო“.

საპასუხო წერილში ბ. კანდელაკი ჩივის, კოლექტიური წერილის ავტორებმა უსაფუძვლო ბრალდება წამომიყენეს, თითქო აღწერილობას არ ვასახელებო. არა. ეს ბრალდება არავის წამოუყენებია. კოლექტიურ წერილში ისაა საგანგებოდ აღნიშნული, რომ რუსთველის ჩუბინაშვილისეული სურათი კარგად იყო ცნობილი და ბ. კანდელაკს აღარ სჭირდებოდა ბედნიერი შემთხვევის მომადლება მისი ხელმეორედ აღმოსაჩენად. წერილში იკითხება: „ამგვარად, ბ. კანდელაკის სიტყვები შ. რუსთველის პორტრეტის შესახებ: — „ახლა აღმოჩნდა ამ პორტრეტის ასლი“, „ამ პორტრეტის პირი ახლახანს ხელნაწერების გადათვალიერების დროს საბედნიეროდ მე შემხვდა“, — სინამდვილეს ამახინჯებს. შეიძლება თქმულიყო მხოლოდ, რომ რუსთველის პორტრეტის ჩანახატი ახლა პირველად ქვეყნდება“.

რუსთველის იერუსალიმური პორტრეტის თარიღის შესახებ კოლექტიურ წერილში ნათქვამია: „ჯვარის მონასტერი XVII საუკუნეში თავიდან მოიხატა, ასე რომ ყველა იქაური პორტრეტი ანუ სულ ახლად, XVII ს. არის შესრულებული, ანდა ხატულია ხელმეორედ“. როგორც ზემოთაც შევნიშნე, სურათის თარიღის გამო სხვადასხვა აზრი სუფევდა. ეს აღბეჭდილია მოყვანილ ციტატაშიც. ზოგი სპეციალისტი ახლაც ფიქრობს, რომ რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი XVII საუკუნეშია შექმნილიო. მაგალითად, ამგვარი თვალსაზრისია გატარებული თინათინ ვირსალაძის მონოგრაფიაში «Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели», (Тбилиси, 1973), რომელიც გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული რედაქციით გამოვიდა. პირადად მე იმთავითვე ვთვლიდი (ალ. ცაგარლის ცნობებზე დაყრდნობით), რომ ჯვარის მეორედ მომხატველი მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იყო და რუსთველის პორტრეტის საკითხიც ამ კუთხით უნდა განხი-

ლულიყო[3]. ქართველ მეცნიერთა (ი. აბაშიძის, ა. შანიძის, გ. წერეთლის) იერუსალიმური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალების წყალობით საშუალება მომეცა არგუმენტირებული მოსაზრება წარმომედგინა საცილობელ საკითხზე. ასე რომ მე არც შეხედულება შემიცვლია და არც, მით უფრო, ბ. კანდელაკის თვალსაზრისზე დავმდგარვარ. არსებითად, ბ. კანდელაკს არავითარი კონკრეტული მოსაზრება არ გამოუთქვამს რუსთველის პორტრეტის თარიღის შესახებ. მას უწერია: „ხალხური ზეპირგადმოცემის მიხედვით, რუსთველი მოხუცებულობის ჟამს იერუსალიმში წასულა და ქართველთა მონასტერში (ჯვარის მონასტერში) ბერად შემდგარა. შოთას თან წაუღია თავისი ქონება და აღნიშნული მონასტრისათვის შეუწირავს. მონასტერი შეუკეთებიათ და შენობის ერთ სვეტზე წესისამებრ შოთას პორტრეტი დაუხატავთ“. მაშასადამე, ბ. კანდელაკი გვთავაზობს ხალხური ზეპირი გადმოცემის შინაარსს. იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ამ გადმოცემას (არ მართლდება, მაგალითად, გადმოცემა, თითქოს რუსთველი ბერად შემდგარა ჯვარის მონასტერში), ან „წესისამებრ“ როდის დაუხატავთ შოთას სურათი.

მე აღარაფერს ვამბობ სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტებზე, კოლექტიურ წერილში გარკვევით არის აღნიშნული: „მათ შესახებ ცნობები მოთავსებულია ხელნაწერთა აღწერილობის ხსენებულ ტომში (გვ. 248). ამის გარდა, ზოგი პორტრეტის ჩანახატი, შესრულებული ალ. ცაგარლის მიერ, ადრევე იყო გამოქვეყნებული“. ბ. კანდელაკის წერილში ჩართული კაკაბაძისეული კომენტარი საკითხის გაშუქებას ვერაფერს მატებს.

დასასრულ, მოგვაქვს იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეთა აზრი კოლექტიური წერილისა და ბ. კანდელაკის პუბლიკაციის თაობაზე: „ავტორები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული პორტრეტი (შოთა რუსთველისა) შესრულებულია ნ. ჩუბინაშვილის ჩანახაზების მიხედვით პეტერბურგში, მხატვრის მიერ, რომელსაც ორიგინალი არასდროს არ უნახავს. და რომ ეს პორტრეტი არ წარმოადგენს ჯვრის მონასტრის ფრესკის პირს და ამის მიხედვით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ორიგინალზე“ „(საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 12, გვ. 9).

[3] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 37—38.

საკვირველი ის არის, რომ იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციამ თურმე შოთა რუსთველის პორტრეტი გამოავლინა ბ. კანდელაკის მიმანიშნებელი მითითებების წყალობით „იმ ადგილზე და იმ ფერებში, რომელიც აღნიშნული მჭონდა ჩემ წერილშიო“, გვაუწყებს ბ. კანდელაკი („ლიტერატურული საქართველო“). ექსპედიციას მეგზურობას უწევდნენ ნ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი და პ. კონჭოშვილი და არა ბ. კანდელაკი. არ არის სწორი ბ. კანდელაკის ინფორმაციული ცნობა, თითქოს ცაგარელს შოთას პორტრეტის პირი არ გადმოუღია და თითქოს პ. კონჭოშვილს 1899 წელს პორტრეტი ადგილზე ვეღარ უნახავს. პ. კონჭოშვილი პირდაპირ ამბობს თავის „მოგზაურობის“ წიგნში: „გულით ვეძებე შოთა რუსთველის სურათი და ძ ლ ი ვ ს შ ე ვ ნ ი შ ნ ე მარჯვენა მხარეს სვეტზედა“[1]. ამრიგად, პ. კონჭოშვილს დიდი ძიების შედეგად ბოლოს და ბოლოს მაინც შეუნიშნავს შოთას პორტრეტი და მისი ადგილმდებარეობაც ჩაუნიშნავს („მარჯვენა მხარეს სვეტზედა“). ლალი ქუთათელაძემ მოიპოვა ალ. ცაგარლის წერილი, რომელშიც აღნიშნულია შოთას პორტრეტის გადმოხატვისა და პეტერბურგში ჩატანის გარემოებანი. მართალია, ლ. ქუთათელაძის პუბლიკაციამდის ეს ცნობილი არ იყო. არც ის არის სწორი, თითქო ბ. კანდელაკმა გამოაქვეყნა შოთას იერუსალიმური პორტრეტის „ასლი“ თუ „პირი“. ნამდვილად მან გამოსცა ნ. ჩუბინაშვილის ჩანახაზების მიხედვით უცნობი პეტერბურგელი მხატვრის მიერ შესრულებული სურათის პირი. უსაფუძვლოდ მიაწერს ბ. კანდელაკი იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს მოსაზრებას შოთას პორტრეტის 12—13 საუკუნეებით დათარიღების შესახებ. ისინი ამბობენ: „უფრო სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ე ს პ ო რ ტ რ ე ტ ი თ ა ვ ი ს ი წ არ წ ე რ ი თ ა ნ ა რ ი ს გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ ი XVII ს ა უ კ უ ნ ე შ ი, ა ნ გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ა რ ა ი მ ე უ ტ ყ უ ა რ ი მ ო ნ ა ც ე მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 12, გვ. 7. ხაზგასმა ავტორებისაა. — ა. ბ.),

სამწუხაროდ, ბ. კანდელაკი ვერც პირველ და ვერც მეორე (საპასუხო პოლემიკურ) წერილში ვერ იჩენს საჭირო პასუხისმგებლობას და დამახინჯებულად გვიხატავს შოთა რუსთველის იერუსალიმურ სურათთან დაკავშირებული საკითხის ვითარებას.

---

[1] მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კ ო ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1901, გვ. 82.

ხმა წარსულიდან

(კ. ჩარკვიანის წერილის გამო)

გაზ. „ლიტერატურულ საქართველოს“ 1976 წ. 13 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კანდიდ ჩარკვიანის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსნის პირველი იუბილეს გახსენება“. წერილს გარკვევით აჩნია ორპლანიანობის ნაკვალევი.

პირველი პლანის სქემა ასეთია: 1937 წელს დიდი წარმატებით ჩატარდა ვეფხისტყაოსნის შექმნის 750-ე წლისთავის იუბილე. წარმატებანი შეაპირობა ენერგიულმა ხელმძღვანელობამ. გარკვეული დროიდან კი ჩვენს რესპუბლიკაში დამყარდა „მოშვებულობის“ ხანა. ამ „მოშვებულობის“ დროს მოეწყო რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე. თუმცა იგი „მასშტაბურად და აღმავლობით“ ჩატარდა, ამბობს წერილის ავტორი, „მაგრამ ვერ ვიტყვით, — ურთავს, — რომ თვით ვეფხისტყაოსნის გარშემო მეცნიერულ მუშაობას იუბილეს მზადების წლებში საჭირო ჰარტიული ხელმძღვანელობა ეწეოდა“. კ. ჩარკვიანი ჩივის, რომ „1934—1937 წლების სათანადო გამოცდილებას პირწმინდად ხაზი გადაესვა და საიუბილეო ტექსტის მომზადება მთლიანად და უკონტროლოდ მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიენდო“. ამას, რაღა თქმა უნდა. „უარყოფითი შედეგი მოჰყვა“. აღნიშნული მით უფროა საგრძნობი, რომ სწორედ „ახლო წარსულის მოშვებულობის ვითარებაში მეცნიერთა ერთ ნაწილში“ დამკვიდრდაო „ამჭრელი მონოპოლიზმისა და ცოდვების ურთიერთშენდობის განწყობილებანი“. მარქსისტულ-ლენინური თეორია ვერ ითმენსო, განმარტავს კ. ჩარკვიანი, დოგმატიზმს, სუბიექტივიზმს, „მეცნიერთა ჯგუფების კასტურ კარჩაკეტილობას“ და „მონოპოლიური უფლებების პრეტენზიებს“. კ. ჩარკვიანი ასკვნის, რომ დროა ბოლო მოეღოს უკონტროლობასა და მონოპოლიზირების ხანას რუსთველოლოგიაში და ეს საქმე მოაწესრიგოს „კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ“.

წერილის მეორე პლანი ატარებს პირადულობის დაღს. კ. ჩარკვიანი მკითხველს აუწყებს, რომ 1937 წლის საიუბილეო ღონისძიებათა პარტიულ ხელმძღვანელობას ის თვითონ პირადად ახორციელებდა. „მაშინ ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგე და შეთავსებით მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვიყავიო“, მოგვითხრობს. კ. ჩარკვიანი იმასაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საიუბილეო პერიოდში მასზე ადრე „საქართველოს კპ (ბ) ცკ დავალებით ლიტერატურის საქმეებსაც ხელმძღვანელობდა“ განათლებული მარქსისტ-ლენინელი მალაქია ტოროშელიძე. კ. ჩარკვიანის მოწმობით, საიუბილეო კომიტეტის „ერთ-ერთი მთავარი“ საზრუნავი ყოფილა „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულად დადგენა, მისი აკადემიური და პოპულარული გამოცემების განხორციელება“. ხოლო ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებში სწორედ მალაქია ტოროშელიძე გამოხატავდაო „ოფიციალურ თვალსაზრისს“. კ. ჩარკვიანის დახასიათებით, „საიუბილეო კომიტეტში, მთავრობაში, მწერალთა კავშირში, არ მოიპოვებოდა სხვა მისი მასშტაბის ფართოდ განათლებული მარქსისტ-ლენინელი, რომელიც რუსთველოლოგთა ზოგიერთ მცდარ შეხედულებებს საბუთიანად გააკრიტიკებდა და უკუაგდებდა“. ასეთი ავტორიტეტული პირი მოულოდნელად ჩამოსცილდა სამოღვაწეო ასპარეზს. მისი სარბიელი დატოვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე გერმანე მგალობლიშვილმაც. გ. მგალობლიშვილს შეენაცვლა ვალერიან ბაქრაძე, მალაქია ტოროშელიძეს — კანდიდ ჩარკვიანი. ვ. ბაქრაძე საიუბილეო კომიტეტის ორგანიზაციულ და ფინანსიურ-მატერიალურ მხარეს კარგად უძღვებოდა, მაგრამ „ლიტერატურულ და მეცნიერულ ღონისძიებათა ხელმძღვანელობა კი უჭირდაო“, დასძენს კ. ჩარკვიანი. ამ დროიდან, მისივე განცხადების თანახმად, საიუბილეო ღონისძიებათა მეცნიერულ-ლიტერატურული ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე და „ოფიციალური თვალსაზრისის“ გატარება კ. ჩარკვიანს დაკისრებია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო 1937 წლის იუბილეს მაღალი იდეურ-მეცნიერული დონე უზრუნველჰყო სწორედ კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობამ. ასე მეჩვენება პატივცემულ კ. ჩარკვიანის წერილის მეორე პლანის შინაარსი.

კ. ჩარკვიანის წერილის ქვაკუთხედია ვეფხისტყაოსნის დაბოლოების ანუ. ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბის საკითხი. ჩვენც სწორედ

ამ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. კ. ჩარკვიანი სამართლიანად ამბობს, რომ აღნიშნულ საკითხში ერთიმეორეს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: ერთს ადგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის უმრავლესობა (კომისიას ხელმძღვანელობდნენ კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე), მეორეს — კომისიის წევრი, ცნობილი პოეტი და რუსთველოლოგი კონსტანტინე ჭიჭინაძე. კ. ჭიჭინაძემ 1934 წელს გამოაქვეყნა მის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი ვეფხისტყაოსნისა, რომელიც წინა გამოცემებთან შედარებით შეიცავდა ბევრ ახალ ცალკეულ სტროფს და ერთ მთელ ეპიზოდს — ინდო-ხატაელთა ამბავს. ინდო-ხატაელთა ამბის ნამდვილობა-ჩანართობის გარშემო გაჩაღდა დიდი ბრძოლა როგორც კომისიაში, ისე მის გარეთ. თუ ჩარკვიანის გამოთქმას ვიხმართ, კომისიამ ბრძოლა წააგო. მართალია, კომისიის წევრთა უმრავლესობა ინდო-ხატაელთა ამბავს ჩანართად (ინტერპოლაციად) თვლიდა, მაგრამ საიუბილეო კომიტეტმა მხარი დაუჭირა კ. ჭიჭინაძის წინადადებას, „რომელიც მაშინდელ ოფიციალურ თვალსაზრისსაც ემთხვეოდა“ (ხაზი ჩემია — ა. ბ.). გამოცემის საბოლოო რედაქცია საიუბილეო კომიტეტმა მიანდო სარედაქციო კოლეგიას. მის შემადგენლობაში იყვნენ: იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ე. ბურჯულაძე, გ. კიკნაძე, კ. ჩარკვიანი. კოლეგიამ კომისიის მიერ მომზადებულ ტექსტში შეიტანა რიგი ცვლილებები, პირველ რიგში ნან პოემისეულად ცნო ინდო-ხატაელთა ამბავი.

მკითხველს უეჭველია აინტერესებს, რას ნიშნავს „ოფიციალური თვალსაზრისი“. საქმე ის არის, რომ ინდო-ხატაელთა ამბის საკითხში კ. ჭიჭინაძის პოზიციას თავგამოდებით იცავდა მ. ტოროშელიძე. მ. ტოროშელიძის მეცადინეობით ინდო-ხატაელთა ამბავი შეიტანეს ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეულ რუსულ გამოცემაში (ტექსტი ათარგმნინეს ე. ტარლოვსკაიას). ბალმონტისეულ გამოცემას ხელმძღვანელობას უწევდა ალექსანდრე სვანიძე. ეს გამოცემა პირველად დაიბეჭდა მოსკოვში 1936 წელს. ამრიგად, შემუშავდა „ოფიციალური თვალსაზრისი“, რომლის თანახმად ინდო-ხატაელთა ამბავი მიჩნეულ იქნა რუსთველის პოემის უდაო ნაწილად. რაღა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის საიუბილეო ქართულ გამოცემასაც ეს თვალსაზრისი დაედო საფუძვლად. თუმცა სარედაქციო კოლეგიამ ერთგვარი კორექტივიც შეიტანა ამ გამოცემაში.

ინდო-ხატაელთა ეპიზოდში მოთხრობილია ნესტანის განთავი-

სუფლების შემდეგ ძმადნაფიცებისა და არაბთა დიდი ლაშქრის თანხლებით ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და ქვეყნის გაწმენდა მოძალადე ხატაელთაგან. ინდოეთში მიმავალ ჯაბუკებს შემოეყარნენ შავებში გამოწყობილი ინდოეთიდან მომავალი მოქარავენი. ტარიელმა თავისი ვინაობა არ გაამჟღავნა და ვაჭართაუხუცესს გამოჰკითხა ინდოეთის ამბები. ვაჭარმაც მოუთხრო მათივე (ე. ი. ნესტანის, ტარიელისა და ფარსადანის) ამბავი. ისინი სულგანაბული უსმენდნენ. როდესაც ვაჭარმა სიტყვა ჩამოაგდო ფარსადანის სიკვდილის თაობაზე, ნესტანმა თავი ვერ შეიკავა, „ქალმან დიდნი დაკარგნა“, ჰწარედ ატირდა ტარიელიც („ნარგისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა, თოვლი გადნა“). მათ აჰყვნენ ავთანდილ და ფრიდონი:

ა. მაშინ გახდეს ყველაკანი მტირალად და ცრემლთა მღვრელად,
დიდი ხანი მოიტირეს თავის თავის გაუყრელად.
ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულ-სადაგად, არა ჭრელად,
მაგრა ექმნეს სულის-მღებლად, კ ა თ ა ლ ი კ ო ზ - მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ა დ.

ბ. ზე ადგეს და მოახსენეს: ჰე, მნათობნო, ცისა მზენო,
დათმეთ, გული დაიწყნარეთ, ქვენით, რაცა მოგახსენო:
ოგი ღმერთმან გაამაღლა, ვითა ორბი მისნო ფრთენო.
აქა ყოფნა არა გვმართებს, არცალა გვცალს გლოვად ჩვენო.

გ. მადლი უბრძანეს, აწვივნეს, ქვე დასხდეს ზე-ადგომილნი.
მუნვე დღეს ოგი ვაჭარნი ჰრისა ქვე ჰაერ-კრთომილნი,
შეშინებულნი საბრალოდ, მართ ვერას ვერ მიხდომილნი.
უბრძანეს: ძმანო, რას გიკვირს, ჩვენ ვართო ოგ წახდომილნი.
1594. კვლა უბრძანებდეს: გვიამბეთ ამბავი დანარჩომია...

ა, ბ და გ სტროფებში აღნიშნულია, რომ ნესტანთან და ტარიელთან ერთად დიდხანს გულწრფელად („არა ჭრელად“) ტიროდნენ ავთანდილი და ფრიდონი, მათ ნუგეში სცეს ჰრისუფლებს როგორც კ ა თ ა ლ ი კ ო ს მ ა და მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ მ ა (ა წ ყ უ რ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს მ ა), აქ ყოფნა არ შეგვეფერის. ხანგრძლივი გლოვისათვის არ გვცალია, მოვუსმინოთ დანარჩენ ამბებსო. გაოცებულმა და შეშინებულმა ვაჭრებმაც გაიგეს ანაზღეული გლოვის მიზეზი და თხრობა განაგრძეს. ა სტროფში ავთანდილი და ფრიდონი შედარებული არიან კათალიკოსთან და აწყურის ეპისკოპოსთან. შედარება საჩოთირო ჩანს. ეს უგრძვნია რუსული თარგმანის რედაქციას და ქართული ტექსტის შინაარსი ასე გადაუცია:

Не смолкают их рыданья, долго длится плач страданья;
Будто нет им оправданья, — слезы льют они рекой.
Все в отчаяньи унылом о царе горюют милом,
Но Фридоном с Автандилом был совет им дан такой:

შემდეგ ტექსტი უფრო ზუსტადაა გადაღებული. მაშასადამე, რუსული გამოცემის რედაქციას თუმცა დაუტოვებია სამივე დაწოწმებული სტროფი, ამოუკვეთია ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი იერის მქონე შედარების ნაკვალევი. უფრო შორს წავიდა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის ქართული გამოცემის რედაქცია. ამ რედაქციამ მთლიანად ამოიღო ტექსტიდან სამივე სტროფი. ამგვარად კი მაძლის კუდი დაიფარა, მაგრამ დაირღვა ამბის ბუნებრივი მიმდინარეობა.

ჯერ კიდევ 1949 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვწერდი, რომ ა, ბ, გ სტროფები „ინდო ხატაელთა ამბის უცილობლად განუყოფელი და ორგანული ნაწილებია. ან ამ სტროფებით უნდა დარჩეს ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსნის შემადგენლობაში, ან ინდო-ხატაელთა ამბავს უნდა ეწიროს ამ სტროფების ბედი. მათი დაშორიშორება, მით უმეტეს მათი გათიშვა აბსოლუტურად შეუძლებელია“[1]. მე მაშინ არ მოვერიდე იმ გარემოებას, რომ გამოცემის ნამდვილი ერთპიროვნული ხელმძღვანელი იყო კ. ჩარკვიანი (პარტიის ცკ პირველი მდივანი) და რედაქციის ნაბიჯი შევაფასე როგორც „ნებისმიერი, ხელოვნური, ტენდენციური, არამეცნიერული“ (იქვე). საქმე ისაა, რომ ინდო-ხატაელთა ეპიზოდის დაწუნებული სამი სტროფი არის ყველა იმ ხელნაწერში, სადაც კი ეს ეპიზოდი მოიპოვება. ხელნაწერების ტრადიცია, ნაწყვეტის აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე, ამბის ბუნებრივი მიმდინარება უცილობელყოფს ამ სტროფების საჭიროებას. ჩვენთვის აშკარაა-თქო, ეწერდით, რომ: „საიუბილეო გამოცემის რედაქცია, ალბათ, კარგად გრძნობდა ბ, გ სტროფების საჭიროებას, რედაქციისათვის ოდიოზური იყო მხოლოდ ა სტროფი, მაგრამ დასახელებული სტროფების შინაგანი კავშირის ძალამ ისინი ერთად იმსხვერპლა, ა სტროფმა გადაიტანა ბ, გ სტროფებიც“ (იქვე. გვ. 158). „ამრიგად, ვასკვნიდით, ა, ბ, გ სტროფები უნდა დარჩეს ინდო-ხატაელთა ამბის შემადგენლობაში და იმათ თანაბრად უნდა გაინაწილონ ეპიზოდის საერთო ხვედრი“ (იქვე, გვ. 159). რა თქმა უნდა, კ. ჭიჭინაძე ცამდე მართალი იყო, როდესაც ინდო-ხატაელთა ამბავს ერთ გა-

[1] ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949. გვ. 157.

ნუკვეთელ მთლიანობად წარმოიდგენდა. (ასევე თვლიდა მას ტარლოვსკაიასეული თარგმანის რედაქციაც). კ. ჩარკვიანი ფიქრობს, რომ ა სტროფი ინდო-ხატაელთა ამბის ჩანართია, „უთუოდ ინტერპოლატორის“ ნახელავია, 1937 წლის გამოცემის რედაქცია სწორად მოიქცა, რომ იგი უარყო, „თუმცა მან კათალიკოზისა და მაწყვერლის ოდიოზურ სახელებს რამდენიმე, ჩემი აზრით, კარგი და საჭირო სტროფიც მიაყოლა“-ო. ეს კი არის უკიდურესი სუბიექტივიზმის გამოხატულება. თურმე, ნუ იტყვით, დასაშვები ყოფილა ხელნაწერთა ტრადიციისა და კონტექსტის აზრობრივ-შინაარსობრივი მხარის გაუთვალისწინებლად ნაწარმოების ამა თუ იმ ნაწილის მექანიკური ამოღება თუ დატოვება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა ემოციებს იწვევს ეს ტექსტი სუბიექტივისტური სულისკვეთებით გამსჭვალული მკვლევარის წარმოდგენაში.

კ. ჩარკვიანი ახლა აკრიტიკებს 1937 წლის სარედაქციო კოლეგიას იმის გამოც, რომ ინდო-ხატაელთა ამბავში დატოვებულია „ეკლესიური იერის მატარებელი“, „მხატვრულად მეტად სუსტი“ და „უხეირო რითმებით“ გამართული ერთი სტროფი. „ამ სტროფის საკითხს ფხიზლად 1937 წლის საიუბილეო გამოცემის რედაქციაც ვერ მიუდგა. იგი დატოვებულია პოემაში 1613 ნომრით და უცხო სხეულად ჩანს შის მხატვრულ ქსოვილში-ო“, წერს კ. ჩარკვიანი[2] (ხაზი ჩემია. — ა. ბ.). 1613-ე სტროფი რომ მხატვრულად სუსტია და რუსთველის მსოფლგაგების საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამომხატველია, ამაზე მეც ვწერდი ზემოდასახელებულ გამოკვლევაში (გვ. 165—166). მაგრამ გაოცებას იწვევს კ. ჩარკვიანის ახლანდელი შენიშვნა. ფიცი მწამს, მაგრამ სად იყო კ. ჩარკვიანი, როდესაც სარედაქციო კოლეგია ინდო-ხატაელთა ამბიდან თურმე რამდენიმე კარგა და საჭირო სტროფს აძევებდა, ხოლო განუკითხავად სტოვებდა უხეიროსა და მხატვრულად სუსტ შაირს. საქმეს ვერ უშველის კ. ჩარკვიანის ნაგვიანევი განცხადება, თითქო 1937 წლის საიუბილეო გამოცემასთან მას მხოლოდ ერთგვარი უბრალო „დამოკიდებულება“ ჰქონდა („ვეფხისტყაოსნის პირველ საიუბილეო გამოცემასთან მჭონდა დამოკიდებულება“-ო). არა! მისივე აღიარებით, 1937 წელს კ. ჩარკვიანს მიენდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელმძღვანელობა, კერძოდ, იუბილეს „ლიტერატურულ და მეცნიერულ ღო-

[2] ეს 1613-ე სტროფი მოიპოვება ტარლოვსკაიას რუსულ თარგმანშიც.

ნისძიებათა“ მეურვეობა. ამ სფეროში მან შეცვალა მალაქია ტოროშელიძე და მასვე დაევალა ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმეში „ოფიციალური თვალსაზრისის“ გატარება. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ პოემის საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა. სულ ექვსნი იყვნენ: იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ე. ბურჭულაძე, გ. კიკნაძე და კ. ჩარკვიანი. პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე და ი. აბულაძე ინდო-ხატაელთა ამბავს მთლიანად ჩანართად თვლიდნენ. მათთვის ყალბი იყო ა, ბ, გ სტროფებიც, 1613-ე წლისაც და ყველა სხვა დანარჩენი ტექსტიც. ე. ბურჭულაძე და გ. კიკნაძე თანამდებობრივად იყვნენ კოლეგიის წევრები (როგორც განათლების სახალხო კომისარი და უნივერსიტეტის რექტორი)[3]. არა მგონია, ბურჭულაძესა და კიკნაძეს დამოუკიდებელი აზრი ჰქონოდათ შემუშავებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის თაობაზე. მით უფრო ისინი ვერ წავიდოდნენ „ოფიციალური ხაზის“ წინააღმდეგ. კოლეგიის შემადგენლობიდან ერთადერთი კ. ჩარკვიანი იყო, რომელიც შეუვალი უფლებებით სარგებლობდა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემაზე მთლიანად და საესებით პასუხისმგებელია კ. ჩარკვიანი, რამდენადაც საქმე შეეხება პოემის სტროფულ შედგენილობას. ტექსტის წაკითხვათა რედაქტირება, ორთოგრაფიულად გამართვა და გამოცემის საერთო ტექნიკური ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა პ. ინგოროყვას[4]. ასეთია საქმის ნამდვილი ისტორია. ისტორიას კი, როგორც ცნობილია, არც შელამაზება სჭირდება და არც შეკეთება.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე აღვნიშნავ, რომ ინდო-ხატაელთა ამბავს შინაარსობრივად და სიუჟეტურად მე იმთავითვე ვეფხისტყაოსნის ორგანულ ნაწილად ვთვლიდი. ჩემი დაკვირვებით ამ ამბავს შიგადაშიგ შემონახული აქვს ბევრი ბრწყინვალე პოეტური ტექსტი. ასეთია, მაგალითად, განთქმული აფორიზმი „შიში ვერ გრისნის სიკვდილსა“. აგრეთვე უებრო მეტაფორული მწკრივები;

> ნარგისთაგან ნარვიშარი ღვარი ადგა, თოვლი ვადნა (1537),
> ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხარხაჩოსა (1538),
> გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია (1571).

---

[3] ვეფხისტყაოსნის საიუბილეო ტექსტის გამოცემა დავალებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტს.

[4] მით უფრო საკვირველია პ. ინგოროყვას საყვედური, თითქოს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ „გაუსჯელად შეიტანა რუსთველის პოემაში ინდო-ხატაელთა ამბავი და ამით დაზიანა შოთას წმინდა წიგნი“ (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, თბილისი, 1963, გვ. II, სქოლიო).

ჩემი ფიქრით, „ინდო-ხატაელთა“ ეპიზოდს ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრული აზროვნებისა და მხატვრული მეტყველების ნიშანდობლივი თვისებები“ (იხ. მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1936 წლის 7 მარტს წარუდგინე ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას; ჩემივე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის, თბილისი, 1949, გვ. 153—154). ამასთან იმასაც მივაქციე ყურადღება, რომ: „ინდო-ხატაელთა ამბავს ეტყობა იდეური უწონასწორობისა, ვეფხისტყაოსნის მთლიან სხეულთან შეუთანხმებლობის, აზრობრივი სიღატაკისა და ენობრივ-სტილებრივი, საერთოდ მხატვრული, უსუსურობის წარუხოცელი ბეჭედიც“ (იქვე, გვ. 155). ერთგან ინდო-ხატაელთა ამბავში პირდაპირ ციტირებულია ვეფხისტყაოსნის ძირითადი ნაწილის ტექსტი (შდრ. 468—1562 სტროფები). ყოველივე აღნიშნულის გამო ინდო-ხატაელთა ამბავს მივიჩნევდი ვეფხისტყაოსნის რ ე ს ტ ა ვ რ ი რ ე ბ უ ლ ტექსტად და მოვითხოვდი მთელი ეპიზოდის პოემაში შეტანას, მაგრამ დავსძენდი: „ოღონდ მკითხველი უნდა იყოს ორიენტირებული საქმის ნამდვილ ვითარებაში“ და „ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებული შრიფტით. პრინციპული და ტექნიკური საკითხი უნდა მოგვარდეს პოემის ამბის (სიუჟეტის, ფაბულის) მთლიანობის დაუზიანებლად“ (იქვე, გვ. 170). ჩემი ეს დებულება დამოწმებულია კიდევაც მალაქია ტოროშელიძის მოხსენებით ბარათში, რომელსაც აქვეყნებს კ. ჩარკვიანი.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს დაავალა გაემზადებინა გამოსაცემად 1937 წლის საიუბილეო ტექსტი, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავზე, 1951 წელს. ტექსტის საფუძვლიანად შესწავლამ გამოარკვია, რომ მასში მოიპოვებოდა ბევრი შეცდომა რედაქციული, ორთოგრაფიული და კორექტურული ხასიათისა. რიგ შემთხვევაში კორექტურული შეცდომა გადაზრდილი იყო მძიმე რედაქციულ შეცდომად და აზრს ამახინჯებდა. სანიმუშოდ მოვიტან ერთ მაგალითს. სამეფო კარზე გამართული ნადიმისა და ნესტანთან პირისპირ შეყრის თაობაზე ტარიელი გვიამბობს (484):

> მე მუნა ვყოფი მიღეცი შვებასა მეტის-მეტასა
> არ შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლ[ი]ან დამიწყის შრეტასა.

წინა, 482-ე სტროფით კი ხაზგასმულია, რომ ტარიელს სატრფო „პირისპირ უყდა", „მალვით ეუქვრეტდი, მიქვრეტდაო". მაშასადამე, 484-ე სტროფის აზრი დამახინჯებულია. „არ შემომხედნის" ნაცვლად უნდა „რა შემომხედნის". რა/არ სიტყვების შენაცვლება სრულიად განსხვავებულ შინაარსს იძლევა (სულერთია ამ შეცდომას კორექტურულს ვუწოდებთ, თუ რედაქციულს). ამგვარი შეცდომები 1937 წლის გამოცემაში ბევრია. შემდეგდროინდელი გამოცემები კი მექანიკურად იმეორებდა ამ შეცდომებს, რამდენადაც საიუბილეო გამოცემა ოფიციალურ, ხელშეუხებელ, კანონიკურ გამოცემად ითვლებოდა.

ფრიად დამახასიათებელია კ. ჭიჭინაძის ერთი მოწმობა. 1941 წელს მისი პასუხისმგებლობით დაიბეჭდა 1937 წლის გამოცემის ტექსტი. აქაც ავტომატურად განმეორებულია ძველი შეცდომები. ჩვენთან კამათში კ. ჭიჭინაძე გამოტყდა და მან აღიარა: „მიუხედავად ჩემგან მიღებული განსაკუთრებული ზომებისა, არ მომეცა ნება, გამესწორებინა უბრალო შეცდომა — „მუშა მიწყივ მუშაობდეს" (უნდა ყოფილიყო — მუშაკობდესო")[5]. აი, ეს არის ის პირწავარდნილი დოგმატიზმი, რის ნიადაგზე დგომას კ. ჩარკვიანი სრულიად უსაფუძვლოდ უკიჟინებს ქართველ მეცნიერებს. როგორც მკითხველი ხედავს, „ოფიციალურმა თვალსაზრისმა" და პარტიული ხელმძღვანელობის მაშინდელმა სტილმა საქმე იქამდის მიიყვანა, რომ მიუხედავად მიღებული „განსაკუთრებული ზომებისა" თვითონ კ. ჭიჭინაძემაც ვერ მოახერხა უბრალო შეცდომის გასწორება. ნუ დავივიწყებთ, რომ კ. ჭიჭინაძე დიდი უფლებებით სარგებლობდა და მას ყველგან მიესვლებოდა. ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხის გარშემო გამართულ „ბატალიებში" ხომ, კ. ჩარკვიანის სიტყვით, სწორედ კ. ჭიჭინაძემ გაიმარჯვა, გავიდა მისი წინადადება, „რომელიც მაშინდელ ოფიციალურ თვალსაზრისსაც ემთხვეოდა". კაცმა რომ თქვას, გამოთქმა „ემთხვეოდა" შეუფერებლად არის ნახმარი. ნამდვილად კ. ჭიჭინაძის თვალსაზრისს „დაემთხვა", უკეთ, დაეფუძნა „ოფიციალური თვალსაზრისი".

მაშ, ასე. ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოარკვია, რომ 1937 წლის გამოცემაში დაშვებული იყო შეცდომები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორებულიყო. ამის უფლების მოსაპოვებლად

---

[5] კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რუსთველი და მისი პოემა, თბილისი, 1960, გვ. 190 (ხაზი ჩემია — ა. ბ.).

1950 წლის ივნისში ოფიციალური წერილით მივმართეთ და გასწორებათა ნიმუშებიც ვაახელით კ. ჩარკვიანს (რასაკვირველია, სტროფულ შედგენილობაზე სიტყვა არ დაგვიძრავს). პასუხად შემოგვითვალეს, საკითხი განიხილეთ სპეციალისტთა ფართო წრეში და შედეგი გვაცნობეთო. ასეც მოვიქეცით. მოვიწვიეთ მეცნიერული და ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თათბირი, გავაცანით გასწორებათა პროექტი. განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ა. შანიძემ, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ვ. ბერიძემ, პ. შარიამ, ვ. თოფურიამ, ი. გიგინეიშვილმა, გ. ქიქოძემ, ი. გრიშაშვილმა, ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მეცნიერმა თანამშრომლებმა და სხვებმა (მე ვიყავი მომხსენებელი). პროექტი თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა. თათბირის ვრცელი ოქმი გავუგზავნეთ კ. ჩარკვიანს, ამას მოჰყვა უკვე წერილობითი, მაგრამ არსებითად და კონკრეტულად არაფერის მთქმელი ზოგადი გადაწყვეტილება: „ახალ გამოცემაში შეტანილ იქნას მხოლოდ ისეთი შესწორებანი, რომლებიც უდაოდ დასაბუთებულია მეცნიერულად. რაც კი საეჭვოა და გასარკვევია, გადავდოთ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე, ე. ი. ახალ გამოცემაში დარჩეს ძველი რედაქცია. 8. III. 1951“.

როგორ მოვქცეულიყავით? რომელი გასწორება ჩაგვეთვალა დასაბუთებულად და რომელი საეჭვოდ? ჩვენ ჩვენი ყველა გასწორება უდაოდ და დასაბუთებულად მიგვაჩნდა... ასეთ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა კ. ჩარკვიანი ვეფხისტყაოსნის გამოსაცემი ტექსტის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის საქმეში.

როგორც ცნობილია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია. მის განკარგულებაში მყოფი დიდძალი მასალის მხოლოდ ყოველმხრივ კომპლექსურად შესწავლის შემდეგ ადგენს კომისია ტექსტის საბოლოო რედაქციას, მის ძირითადობასა თუ ჩანართობას. კომისია დიდი სიფრთხილითა და გულისყურით მოეკიდება, კერძოდ, ინდო-ხატაელთა ამბის საკითხის გადაწყვეტას. კომისიის მუშაობა არც კასტურია და არც კარჩაკეტილი. ახლა სისტემურად იბეჭდება კომისიის ოქმები და დადგენილი ტექსტი. ხშირია გამოძახილი. ყველა გამოძახილს კომისია ანგარიშს უწევს. ჩვენ გულწრფელად მივესალმებით ამ საქმეშიც (ე. ი. აკადემიური ტექსტის დადგენის საქმეშიც) პარტიული კონ-

ტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებას, ოღონდ ვერ ვასურვებდით ხელმძღვანელობის იმ წესების აღდგენას, რასაც თავის დროზე ახორციელებდა კ. ჩარკვიანი.

კ. ჩარკვიანი არ არის მართალი, თითქოს 1934—1937 წლების „სათანადო გამოცდილებას პირწმინდად ხაზი გადაესვა". მე ერთი იმათთაგანი ვარ, მგონი ერთად-ერთიც, რომელიც მონაწილეობას ღებდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ თითქმის ყველა კომისიაში (მათ შორის 1937 წლის კომისიაში). მე სრულიად გულწრფელად ვამბობ, რომ ყოველთვის ღირსებისამებრ ვაფასებდით და ვაფასებთ, თუმცა კრიტიკულად ვუდგებოდით, ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო პერიოდის შედეგებს, დიდ ანგარიშს ვუწევდით და ვუწევთ „სათანადო გამოცდილებას", შეძლებისდაგვარად ამ გამოცდილებათა საფუძველზე ვცდილობდით დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. შეცდომები კი ნამდვილად საგრძნობი იყო.

პირველი საიუბილეო გამოცემის ტექსტს უთუოდ მნიშვნელოვანი ხარვეზი დაჰყვა. ეს ტექსტი შორს იყო სრულყოფისაგან სტროფული შედგენილობის მხრივაც და რედაქციულ-ორთოგრაფიული თვალსაზრისით გამართვის მხრივაც. ამას გარკვეული ობიექტური გარემოებაც აპირობებდა. მაშინ, 1935—1937 წლებში, ტექსტის დამდგენი კომისიისათვის ხელმიუწვდომელი იყო საზღვარგარეთ გატანილი რამდენიმე საუკეთესო ხელნაწერი ვეფხისტყაოსანისა, ხელმიუწვდომელი იყო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ბოდლეს სახელობის წიგნთსაცავის ნუსხებიც. არ იყო ჩატარებული წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები. მომდევნო წლებში კი ჩვენ მივიღეთ ჩვენამდის მოღწეული ყველა ხელნაწერის ფოტო-პირი, ჩატარდა ამ ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა, დაზუსტდა მათი თარიღები, დადგინდა რედაქციული ნაირსახეობანი. მომზადდა და გამოიცა ხუთ წიგნად ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერისა და ძირითადი ბეჭდური გამოცემების ვარიანტები, გამოქვეყნდა პოემის ჩამატებიან-დამატებიანი სრული ტექსტი, გამოვიდა ტექსტის სრულიად სიმფონია, რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ვეებერთელა ტომი (84 თაბახის მოცულობისა), შედგა სხვადასხვა ხასიათის საჭირო ცნობარები და მრავალრიცხოვანი კართოთეკები, გამოქვეყნდა ტექსტოლოგიური ხასიათის რიგი საინტერესო ნაშრომი... რა დასამალია, გამოცდილებაც მეტი შევიძი-

ნეთ. გაძლიერდა საკვლევაძიებო მუშაობა. ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა რუსთველოლოგის სპეციალური განყოფილება, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იქნა რუსთველოლოგიის სპეციალური კურსი, უნივერსიტეტში გაიხსნა რუსთველის კაბინეტი[6]. ცხადზე უცხადესია, გაიზარდა მომთხოვნელობაც.

დაბოლოს, უყურადღებოდ ვერ დავტოვებ კიდევ ერთ საკითხს. კ. ჩარკვიანი უდიერად იხსენიებს ჩვენს დიდად ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს კორნელი კეკელიძეს. კ. კეკელიძეს, ისე როგორც სხვებსაც (მათ შორის ამ წერილის ავტორს). რასაკვირველია, ჰქონდა დაშვებული შეცდომები (აბა, ვინ არის დაზღვეული შეცდომებისაგან). კ. ჩარკვიანი თვითონ გვიმოწმებს. რომ კ. კეკელიძე ახალ ნაშრომებში ზონდომებით ასწორებდა ძველ შეცდომებს, ანგარიშს უწევდა კრიტიკას. მიუხედავად მისდამი დიდი პატივისცემისა და მოწიწებისა, არა ერთჯერ გამიკრიტიკებია კ. კეკელიძის ესა თუ ის მოსაზრება მის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. მაგალითად, სულ ბოლო დროს საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან პაექრობისას მომიხდა კ. კეკელიძის საკმაოდ მწვავედ გაკრიტიკება ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხში (წერილი გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე). კ. კეკელიძის (და არა მარტო კეკელიძის) შეცდომების დაუფარავი, თავაზიანი და საქმიანი კრიტიკა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია კრიტიკის ის ფორმა, რომლის გამოყენება იკადრა პატივცემულმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა.

დასასრულ, მინდა მკითხველს ისიც ვაუწყო. რომ ამ წერილის დაწერა გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური ვითარების აღდგენის სურვილმა. რაც შეეხება თვით წერილის ავტორს, საჭიროდ ვთელი დავსძინო, რომ პირადად ჩემთან დამოკიდებულების მხრივ კ. ჩარკვიანისაგან ბევრი კარგი მახსოვს. მაგრამ, გურამიშვილის თქმისა არ იყოს, „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“.

---

[6] დასანანია, რომ 1937 წლის საიუბილეო დღეების დამთავრების უმალვე, ნაჩქარევად დაიხურა რუსთველის ეპოქის კულტურისადმი მიძღვნილი მშვენიერი გამოფენა და გაუქმდა ამ გამოფენის ბაზაზე შექმნილი რუსთველის სახელობის მუზეუმი (დირექტორად იყო ივანე ჯავახიშვილი).

ЯЗЫК ПОЭТИЧЕСКОЙ МЕТАФОРЫ И ВОПРОС О ДАТИРОВКЕ ПОЭМЫ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Английский грузиновед Давид Маршалл Ланг неоднократно касался вопроса о датировке «Витязя в барсовой шкуре». В 1963 г., на XXV Международном конгрессе ориенталистов в Москве он выступил с докладом «Проблемы грузинской литературы Средних веков»[1] в котором рассмотрены такие памятники средневековой грузинской литературы, как «Мудрость Балавара» и «Амиран-Дареджаниани». Остановившись в заключение на «Витязе в барсовой шкуре», Д. Ланг назвал поэму величайшим памятником, романтическим эпосом, «который *приписывается* Шота Руставели, певцу эпохи царицы Тамар (1184—1213)».

О самой поэме Руставели Ланг говорит скупо, однако отмечает, что «основные вопросы, касающиеся Руставели и его произведения, еще нуждаются в уточнении». В частности, пишет он, существуют утверждения, что «Витязь в барсовой шкуре» «был написан не в эпоху царицы Тамар, что автором его не являлся Руставели и что пролог и эпилог были написаны значительно позднее самой поэмы». «Нужно надеяться, — добавляет Ланг, — что специалисты всех стран тщательно изучат основные проблемы, подобные вышеперечисленным».

К сожалению, Д. Ланг конкретно не говорит по существу историко-литературных вопросов, связанных с датировкой произведения и ее автора. Выступившие в прениях по его докладу И. Орбели, А. Чикобава, Е. Метревели справедливо потребовали обосновать выдвинутые Д. Лангом положения.

Более подробно Д. Ланг касается датировки «Витязя» в лекции «Вехи развития грузинской литературы», где отмечено, что сведения о личности автора «Витязя в барсовой шкуре» скудны, но определенные данные все же содержатся в

[1] «Труды XXV Международного Конгресса востоковедов», III, М., 1963, с. 492—494.

прологе и эпилоге, которые он считает более поздними добавлениями к поэме. «Есть исследователи, — продолжает Д. Ланг, — считающие сомнительными все традиционные сведения, касающиеся личности Руставели и его биографии»[2]. В подтверждение Д. Ланг ссылается на частное письмо чешского ученого и поэта Яромира Йедлички (переводчика Руставели на чешский язык) от 31 марта 1959 г. В еще более общей форме и вскользь высказывает Д. Ланг свою точку зрения по вопросу о датировке поэмы в очерке «Народные и куртуазные элементы грузинского эпоса», опубликованном почти одновременно в Париже и Риме[3]. И в данном случае он ссылается на частное письмо Я. Йедлички. Та же точка зрения высказана в энциклопедическом справочнике[4], в редакции которого Д. Ланг возглавляет отделение литературы народов стран Востока и Африки, являясь в то же время автором статей о грузинской литературе.

Таким образом, Д. Ланг в ряде своих работ подвергает сомнению подлинность пролога и эпилога «Витязя в барсовой шкуре», а следовательно, и ценность историко-литературных сведений, которые дает их текст. Однако Ланг не обосновывает эти свои скептические соображения. Более того, он как бы уклоняется от высказывания собственных взглядов, опираясь на мнение других авторов, не называемых им, за исключением Яромира Йедлички, которого английский грузиновед не без основания называет «выдающимся ученым».

Никто, конечно, не усомнится в искренности соображений, высказанных Йедличкой в частном письме, как и не осудит Д. Ланга за опубликование его. Однако Йедличка не высказал подобного мнения в своем обширном предисловии к чешскому переводу «Витязя в барсовой шкуре» (Прага, 1958). Правда, относя создание поэмы Руставели к эпохе царицы Тамар, Йедличка ссылается на литературную традицию: «Прямое и косвенное отношение пролога и эпилога «Витязя в барсовой шкуре» к царице Тамар, искусственно распространенное на всю поэму, подкрепило литературную традицию, которая относит все произведение к эпохе ее царствования, т. е. к отрезку времени между 1184—1213 гг.» (стр. 18). Достоверность же литературной традиции Я. Йедличка принимает без всяких колебаний и четко заключает:

---

[2] «Landmarks in Georgian Literature». L., 1966, p. 18—19.

[3] «Revue de Kartvélologie», XXVII, P., 1970, p. 143—160; «La Poesia epica e la sua Formazione», Roma, Accademia nazionale dei lincei, 1970, Estratto, 697—712.

[4] «The Penguan Companion to Literature», v. 4. L., 1969, p. 302.

«Необходимо вспомнить, какая политическая и культурная ситуация имела место в Грузии в то время, к которому литературная традиция относит создание поэмы. И действительно, невозможно представить себе более подходящего времени для создания такого важного памятника грузинской культуры, чем эпоха царицы Тамар» (стр. 19).

Я. Йедличка вместе с Юлиусом Ассфальгом намеревался обработать и издать на немецком языке второй том «Истории древнегрузинской литературы» проф. К. С. Кекелидзе. В 1963 г. он обратился за разрешением к ректору Тбилисского университета (как издателю книги Кекелидзе), поскольку самого автора тогда уже не было в живых. Разрешение Йедличка, разумеется, получил. Однако тогдашний ректор университета проф Е. К. Харадзе сообщил чешскому ученому, что при освещении руставелологической проблематики необходимо учесть современный уровень исследования этих проблем, поскольку некоторые положения К. С. Кекелидзе нуждаются в пересмотре в свете новых данных, добытых Иерусалимской экспедицией грузинских ученых в 1960 г. Я. Йедличка согласился с нашими предложениями и не проявил никаких сомнений в правильности нашей позиции по вопросам авторства и датировки «Витязя в барсовой шкуре».

Все исследователи, преимущественно иностранные, высказывая скептические соображения по поводу «Витязя», обычно основываются на мнении К. С. Кекелидзе, высказанном им в разное время и впоследствии неоднократно им же самим отвергнутом. При этом они либо прямо ссылаются на первоисточник, либо не упоминают его[5]. Действительно, трудно оспаривать авторитет такого компетентного ученого, каким является К. С. Кекелидзе. Между тем, ряд его соображений несомненно требует критического подхода. В частности, это относится к датировке «Витязя в барсовой шкуре». В трудах последнего времени К. С. Кекелидзе развивал ту точку зрения, согласно, которой поэма Руставели была написана после царствования Тамар, а именно, в конце 20-х годов XIII в., около 1230 г., когда в Грузии царствовала дочь Тамар, Русудан, «не ранее вторжения в Грузию монголов и хорезмийцев»[6].

---

[5] См., например, рецензию Г. Деетерса на немецкий перевод поэмы Руставели, выполненный Г. Гуппертом («Orientalistische Literaturzeitung», 1958, № 1/2, S. 57—59).

[6] «История грузинской литературы». Тбилиси, 1941, с. 132, 136, 141; изд. 4, 1958, с. 152, 156, 159.

По заключению К. С. Кекелидзе произведение Руставели как будто проникнуто пессимистическим духом. «в поэме громко слышатся осуждения и упреки в адрес бренного мира и жалобы на то, что он — кровопийца, безвременный, заставляющий проливать слезы, изменчивый, беспощадный, коварный, лживый, враждебный и невыносимый»[7]. Ученый задается вопросом: «как согласовать такое настроение, такие мысли и взгляды на бренный мир со свободным и живительным мировоззрением эпохи Тамар, когда, по сведениям историка, все считали себя счастливыми, все радовались жизни, все благодарили свою судьбу, везде слышалась похвала Тамар?» На поставленный вопрос дается решительный ответ: «Вывод сам по себе ясен: дата написания поэмы не совпадает со временем царствования Тамар»[8].

В основу этого мнения К. Кекелидзе легла неправильная, на наш взгляд, интерпретация метафорического выражения в прологе поэмы Руставели (4, 1):

Восхвалим царицу Тамар, проливая кровавые слезы.
Подстрочный перевод С. Орданишвили

По словам К. С. Кекелидзе, Руставели якобы потому проливает слезы, что он считает Тамар *«уже скончавшейся»*[9].

Итак, для восхваления Тамар Руставели проливает *«кровавые слезы»*. Однако эта поэтическая метафора нисколько не связана со смертью царицы. На поэтическом языке Руставели она означает выражение безграничного, доходящего до самозабвения преклонения и любви. Так, после задушевной беседы Тинатин и Автандил расстались. Витязь едет, «обезумев сердцем», а «солнце (т. е. Тинатин. — *А. Б.*) *плачет кровавыми слезами*, превосходящими море» (712, 3). Не вызывает никакого сомнения, что влюбленным не угрожала смерть, а кровавые слезы были вызваны разлукой. Вот еще примеры: перед бегством из Аравии Автандил, прощаясь с Шермадином, «обнял его и заплакал *кровавыми слезами*» (808, 4). Славный витязь сам подтверждает это (1003, 3): «Я ушел тайком, прервал поток *кровавых слез*». Сообщая об Автандиле, отправившемся на поиски Тариэла, поэт отмечает (840, 2—3):

Соскочил с коня у речки, блеск воды — для глаз отрада,
В реку льет с озер кровавых слезы струями каскада.
Перевод Ш. Нуцубидзе

[7] «История грузинской литературы», Тбилиси, 1941, с. 131; изд. 4, стр. 151.

[8] «История грузинской литературы», Тбилиси, 1941, с. 131—132; изд. 4, с. 151.

[9] Там же, с. 129 (149). Подчеркнуто нами — А. Б.

Расставшийся с Тариэлом Автандил «плачет, голос его достигает небес; он говорит: *«Потоки крови*, которые я проливал, снова льются» (952, 1—2).

Много горючих слез пролил Автандил и при разлуке с Придоном (1022, 3); «Там пролился *ручей крови из озера слез»*. Автандилу тяжело было «покинуть» и опечаленную Фатьму. Говоря словами Руставели (1325, 4), «разлучившиеся с ним проливали *ручьи крови»*.

И Тариэл обычно проливал кровавые или смешанные с кровью слезы (88, 4): «Кровь мешалась со слезами», его *«кровавые слезы* вплелись в гишеровые дуги (черные ресницы)» (267, 4).

Таким образом, проливание «кровавых слез» в цитированных текстах не имеет ничего общего с траурным настроением, вызванным смертью[10].

Сильная любовь заставляет лить кровавые слезы и персонажей «Висрамиани» (это произведение переведено на грузинский язык в эпоху Руставели).

Вот несколько примеров:

1) Вис «непрестанно обращалась лицом к стене, и источала *озеро кровавых слез»*;

2) Вис «то посыпает себе голову пеплом, то вытирает полою *кровавые слезы»*;

3) Влюбленный, который узнает историю Вис и Рамина, будет лить из глаз *«кровавые слезы»*;

4) Рамин «столько плакал *кровавыми слезами*, что утопал в них»;

5) «Наконец Рамин обнял ее (кормилицу), окропил *«кровавыми слезами»*;

6) *«Проливая кровавые слезы*, Вис положила себе на голову руку кормилицы»;

7) Сказав это, он (Рамин) стал *проливать потоки кровавых слез»*;

8) «Много видела я несчастных, безумно влюбленных, у которых сердце пылало в огне, а из очей текли *кровавые слезы»*:

9) «О глаза мои, проливайте *кровавые слезы»*[11].

Число примеров можно значительно увеличить. Но и так картина совершенно ясна: *кровавые слезы* связаны с сильными любовными переживаниями. Невольно вспоминаются вызванные чувством безмерной любви к родине бессмертные сло-

[10] Значение этой метафоры по существу правильно толкует Ш. И. Нуцубидзе (Творчество Руставели, Тбилиси, 1958, с. 216, 217, 287—288.

[11] «Висрамиани». Перевод С. Нодарашвили, Тбилиси, 1960, с. 35—36, 42, 43, 49, 52, 57, 63, 81 .

ва Акакия Церетели: «Не смог я вынести сиротства, *пролил поток кровавых слез*».

Таким образом, прологом поэмы в целом, как и вызвавшей споры строкой в нем (4, 1), Руставели не оплакивает уже скончавшуюся Тамар, а славославит живую царицу вместе с ее достойным супругом Давидом Сосланом, метафорически представленным в поэме в образе льва (3, 1). Следовательно, поэма «Витязь в барсовой шкуре» написана в эпоху царствования Тамар и Давида, т. е. в 1189—1207 гг. Датировка произведения Руставели основывается именно на этой конкретной и незыблемой исторической реалии.

Не станем подробно останавливаться на мнении К. С. Кекелидзе, будто содержащиеся кое-где в поэме сетования по поводу бренного мира также указывает на ее более позднее происхождение. Согласно мировоззрению Руставели, «никому не достается жемчуг даром» (162, 3), и «никто не срывал розу без шипов» (877, 4). Иначе говоря, предпосылкой каждого успеха, а тем более большой победы являются неустанный труд и борьба: «Кто же будет веселиться не познав сперва беды?» (879, 2). «Лишь тому веселье в радость, кто страданья претерпел» (1533, 4); «не познает в жизни радость человек, не знавший горя» (1637, 4).

Именно трудности закалили мужественных героев поэмы Руставели, которые преодолели непреодолимое, сокрушили все преграды и добились желанной победы, получив в награду земное счастье. В неустанной борьбе, в преодолении препятствий славные герои «Витязя» претерпели страшные страдания. Поэтому совершенно естественно, что они иногда проклинали этот мир, проливали горькие слезы. Однако они не предавались отчаянию, не склонялись перед несправедливостью. Они боролись и победили. По мнению автора «Витязя в барсовой шкуре», «бог щедр, хотя мир скуп» (931, 3), «бог не обречет человека, обреченного миром» (589, 4). Это также стимулировало героев «Витязя» на великие подвиги, прибавляло им силу в борьбе с несправедливостью и злом. Эта борьба завершилась полным успехом: были сокрушены врата зла, повержена в прах Каджетская крепость — символ земного ада. Нестан вызволена из «пасти дракона», любовь отпраздновала победу: «зло сразив, добро пребудет в этом мире беспредельно» (1361, 4).

Таково оптимистическое мировоззрение автора «Витязя в барсовой шкуре». Пессимистическое же настроение чуждо Руставели.

Было бы ошибкой на основании не характерных для поэмы мотивов решать проблему ее датировки.

საკვალიფიკაციო რუსთველოლოგიური შრომები

1. ივანე გიგინეიშვილი.

ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები[1]

სარეცენზიო ნაშრომის კვლევით ნაწილს უჭირავს 377 გვერდი. შემდეგ საცნობარო მასალებია: შენიშვნები (373—377), შემოკლებანი (378—381), უახლესი გამოცემები პოემისა (382), ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ლიტერები (383), პირთა საძიებელი (384—387), განხილული სტროფების საძიებელი (388—394 გვ; განხილულია 425 სტროფი), სიტყვა-ფორმათა საძიებელი (394—414), დამოწმებული ლიტერატურა (415—430).

თვითონ კვლევითი ნაწილი წინასიტყვაობის გარდა რვა თავისაგან შედგება: 1. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე) (1—62), 2. ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები (63—142), 3. ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის ვეფხისტყაოსანში (პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით) (142—163), 4. ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ქართულში ზედსართავ სახელთა შედარებით — აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით (164—202), 5. მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ ვეფხისტყაოსნის ენაში (203—239), 6. ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში (240—305), 7. რთული წინადადების ერთი თავისებურება ვეფხისტყაოსნის ენაში (306—322), 8. სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და ამასთან დაკავშირებული საკითხები ვეფხისტყაოსნის ტექსტისა (323—372).

---

[1] თბილისი, 1975, 430 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილი).

სარეცენზიო ნაშრომის შვიდი თავი რვიდან გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოში. გამოუქვეყნებელი ბეექვსე თავის შინაარსი აგრეთვე კარგად არის ცნობილი მკითხველი საზოგადოებისათვის (იხ. გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 7. V. 1967; დენის დგებუაძე, ლევან მენაბდე. რუსთველოლოგიური სემინარი (თუშ. 8—9, 1974, გვ. 441—442). სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული თავისი რუსთველოლოგიური შრომები ავტორს ამჟამად შეურჩევია, დაუხვეწია, გაუმთლიანებია და ერთი წიგნის სახით ჩამოყალიბებული წარმოუდგენია განსახილველად. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო მან „ვერ შეძლო სრულად წარმოედგინა ის მასალა, რომლის წარმოდგენაც მას უნდოდა. სადისერტაციო ნაშრომი მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს იმ გამოკვლევებისას, რომლებიც ავტორს შესრულებული აქვს ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის აქტუალურ საკითხებზე“ (გვ. 03).

ნაშრომის წინასიტყვაში დისერტანტი სავსებით სამართლიანად წერს, რომ: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად“ (01). ამიტომაცაა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი სპეციალური კომისია (ჩვენი დისერტანტი ამ კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი ბრძანდება). სარეცენზიო ნაშრომი ეძღვნება რუსთველოლოგიის სწორედ ამ ძირითად ტექსტოლოგიურ პრობლემას. დისერტანტის შენიშვნის თანახმად, მას „პირველ ყოვლისა ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები აინტერესებდა.. რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია ვეფხისტყაოსნის ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება“ (02). ივანე გიგინეიშვილი ვაჟკაცდილი, მაღალკვალიფიციური ენათმეცნიერია, ქართული ენის თვალსაჩინო სპეციალისტი მკვლევარი, რომელიც ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს. მოკლედ რომ მოვჭრათ, იგი ღართო ინტერესების პატრონი განსწავლული ფილოლოგია, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, რაც სამაგალითო ცოდნით, სიღრმით და გულმოდგინებით იკვლევ-იძიებს ვეფხისტყაოსნის უალრესად რთულსა და საჭირბოროტო ენობრივ-ფილოლოგიურ საკითხებს. ივანე გიგინეიშვილის მთელი რიგი დასკვნები და რეკო-

შენდაციები ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტის დასაღგენად გაზიარებულია შესაფერისი სამეცნიერო წრეების მიერ და უკვე პრაქტიკულადაც არის დანერგილი ჩვენს წარმოებაში (თუ შეიძლება ასე ითქვას), ე. ი. ი. გიგინეიშვილის რეკომენდაციებს კვალობაზე გასწორებულია ვეფხისტყაოსნის არა ერთი და ორი ტექსტი, რომლებიც ხელნაწერებისა თუ გამოცემების სახით გვაქვს შემონახული.

სარეცენზიო ნაშრომი აჯამებს და აზოგადებს ივანე გიგინეიშვილის ხანგრძლივ, სისტემატურ კვლევა-ძიებით საქმიანობას რუსთველოლოგიის დარგში. ერთი მხრივ იგი აშუქებს ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდოლოგიის პრინციპებს, მეორე მხრივ გვიდგენს ამ კვლევა-ძიების გზით მოპოვებულ თვალსაჩინო შედეგს. ივ. გიგინეიშვილის სადისერტაციო გამოკვლევას ერთსა და იმავე დროს ზოგად-თეორიული მნიშვნელობაც აქვს და პრაქტიკულ-გამოყენებითიც. ივ. გიგინეიშვილის გამოკვლევა მით უფროა ყურადსაღები და დასაფასებელი, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გასწორების, აღდგენისა თუ დაღგენის ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევას იგი უძებნის ყოველმხრივი სკრუპულოზური ანალიზის გზით არგუმენტირებულ მყარ საფუძველს. მკვლევარი სამართლიანად ჩივის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ვეფხისტყაოსნის თანამედროვე გამოცემებსაც აკლია ტექსტის შესწორებისათვის საჭირო დაბაბუთება (იხ. სადისერტაციო ნაშრომის გვ. 01, 216, 304--305, 354 და სხვ.).

ივ. გიგინეიშვილი ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსნის ენას ახასიათებს როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის, ისე ახალი ქართულის ნიშნები, რომ პოემაში ძველი და ახალი ქართულის ნორმები მოიპოვება პარალელურად (33), რომ იქ ძველი ქართულის ნორმები ირღვევა და ახალი ქართულისაკენ მიდრეკილების ტენდენცია იჩენს თავს. კერძოდ, სიტყვათა წყობის საკითხში, დისერტანტის სიტყვით, ვეფხისტყაოსანი „აღარ წარმოგვიდგენს ძველი ქართულის ნორმებს, იგი პრინციპულად ახალ ქართულს ეკედლება“ (გვ. 324). აქედან მას გამოაქვს ბუნებრივი დასკვნა, რომ პოემის ტექსტის დადგენისას ამაო იქნებოდა ძველი ქართული ენის ნორმებით ხელმძღვანელობა (209). დისერტანტი გაფაჩრით ამბობს: „ძველი ქართულის ნორმების უყოყმანოდ გავრცელება ვეფხისტყაოსნის ტექსტზე არ შეიძლება, რომ პოემის ენაში უკვე დაწყებულია ამ ნორმების რღვევა...“ (212). მით უმეტეს

დაუშვებელია, სამართლიანად ამბობს ი. გოგინეიშვილი „პოემაში ძველისძველი ფორმების ძიება“ (გვ. 211).

ივანე გოგინეიშვილი, რასაკვირველია, დიდ ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ენა ლექსის ენაა და არა პროზისა, რომ ლექსის მეტრული ჩარჩოები გარკვეულ ზღუდეებს ჰქმნიდა, მაგრამ ეს ოდნავ არ ნიშნავსო, თითქოს, რუსთველი ლექსის საჭიროების გამო ხელოვნურად ქართული ენის ბუნებრივ ფორმებს. „ვეფხისტყაოსნის ენა უბრწყინვალესი და უთამამესი ლექსის ენაა“, ამბობს დისერტანტი (გვ. 324, აგრ. 328), რომ რუსთველმა „სიტყვისათვის უთამამესი მოპყრობა იცოდა, ნეოლოგიზმებიც და პოეტური ლიცენციებიც მასაც მოეპოვება და უხვადაც. მაგრამ პოეტური ლიცენცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს პოეტი ქმნიდეს, თხზავდეს ენისათვის შეუძლებელ ფორმებს ან ნებისმიერად ეპყრობოდეს არსებულ ფორმებს“ (236). „პოეტური თავისუფლება არასგზით არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პოეტის თვითნებური ძალდატანება ენობრივ ფაქტებზეო“, აცხადებს დისერტანტი ზოგიერთი მკვლევრის საყურადღებოდ (229). თავისი, თავისთავად სავსებით სწორი შეხედულების შესამაგრებლად იგი იმოწმებს არნოლდ ჩიქობავას ზუსტ ფორმულებს:“ ენაში არსებულ შესაძლებლობებს პოეტი ისე იყენებს, როგორც ამას პოეტური სიტყვის საჭიროება მოითხოვს“, „პოეტური სიტყვის საჭიროება განსაზღვრავს გრამატიკულ ფორმათა ვარიანტების შერჩევას“ (გვ. 238)[2]. ი. გოგინეიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს რუსთველის შაირის რითმების საკითხს (44, 47, 237) და სალექსო ტაეპებში სიტყვათა წყობის ინტონაციურ მხარესაც კი (349). საგანგებოდ ჩერდება დისერტანტი პუნქტუაციის საკითხზე. იგი საბუთიანად ფიქრობს, რომ სასვენი ნიშნის თავის ადგილას დასმას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის დადგენისათვის და მისი აზრობლივი მხარის მართებული გაგებისათვის (გვ. 346, შნშ. 21; გვ. 350, შნშ. 29).

თავის მოსაზრებებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ამათუიმ ადგილის გასწორების თაობაზე ი. გოგინეიშვილი ყოველთვის ამ ტექსტის ფაქიზი ანალიზის გზით ასაბუთებს. საილუსტრაციოდ მე მოვიტან მხოლოდ ერთადერთ მაგალითს, ეს ის გასწორებაა, რო-

---

[2] არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის ვეფხისტყაოსნის ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბილისი, 1966, გვ. 239.

მელიც ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ მიიღო ივანე გიგინეიშვილის წინადადების თანახმად თავის ერთ უკანასკნელ სხდომაზე ამა წლის თებერვლის თვეში. გასწორების საჭიროება ვრცლად არის დასაბუთებული სარეცენზიო ნაშრომში (274—277). მე ძალიან მოკლედ გაგაცნობთ მის შინაარსს.

ვეფხისტყაოსანში მოთხრობილია, რომ ნესტანის ხილვამ ტარიელი დაბნიდა, სამი დღე მეფის სასახლეში იწვა უგონოდ, მკურნალობამ არ გაჭრა, ექიმები გაკვირვებულნი იყვნენ „...ესე სენი რა გვარია? სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია". 352). სამი დღის შემდეგ ტარიელს ცნობა დაუბრუნდა, შეშინდა, აქ ყოფნა გამიმჟღავნებს მიჯნურობის ამბავსო. ღმერთს შეევედრა, ნუ გამწირავ, მომეცი დათმობის, გაძლების ძალა, რომ ფეხზე წამოვდგე და „სახლსა ჩემსა მიმაწვინეო". მოგვყავს 354-ე სტროფი (სათვალავი ნაჩვენებია პოემის 1937 წლის გამოცემის მიხედვით):

ვთქვი, თუ: ღმერთო, ნუ გამწირავ, აჰა ჩემი შეისმინე,
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე,
აქა ყოფა გამამჟღავნებს, **სახლსა ჩემსა მიმაწვინე!**
მანვე ქმნა და მო-რე- ვჯობდი, გული წყლული გავარკინე.

ი. გიგინეიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მესამე ტაეპის გახაზული სიტყვები შეუფერებელი ჩანს, მაშინ როდესაც სტროფის საერთო შინაარსი საესებით ნათელია. ტარიელი ღმერთს სთხოვს ფეხზე წამოდგომას, რომ როგორმე თავის სახლამდის მ ი ა ღ წ ი ო ს. „სახლში მიწვენა არ შეიძლება, სახლში დააწვენენო", ამბობს მკვლევარი და დასძენს:" მიწვენა არ შეეფერება მნიშვნელობით ტარიელის მაშინდელ მდგომარეობას, არღვევს მთელი ტაეპის აზრობრივ აღნაგობასაც, ამ ტაეპის პირველი და მეორე ნაწილის აზრობრივ დაპირისპირებულობასაც" (გვ. 274). ამავე დროს ტექსტი მოტანილი სახითაა ყველა ძველსა და ახალ გამოცემაში და თითქმის ყველა ხელნაწერშიო. თითქმის იმიტომ, რომ სადაო „მიმაწვინეს" სანაცვლოდ XVII საუკუნის ერთ ხელნაწერში (ე. წ. გურგენასეულ ნუსხაში, ლიტერით R) იკითხება „მიმაწივნე". მეორე გვიანდელ (XIX ს) ხელნაწერშიც დადასტურებულია „მიმწივნე". „მიმაწივნე" ნამდვილად თავის ადგილასაა, ნიშნავს მიმაწევინე. ამით „გაიმართა ტაეპის სტრუქტურა და შინაარსი" (გვ. 275), სამაგიეროდ თავი იჩინა ახალმა დაბრკოლებამ. მიმაწივნე-მ დაარღვია სტროფის რითმა (შეისმ ი ნ ე, აღმადგი-

ნ ე. მ-მაწივ ნ ე. გავარკ ი ნ ე). მკვლევარი აგრძელებს ძიებას. ე. წ. რნდო-ხატაელთა ამბავში მან მოიპოვა ამ სიტყვიდან ნაწარმოები ფორმა **მოგაწინა**, ე. ი. მოგაწევინა. მაშასადამე, ამის კვალობაზე 354-ე ტაეპში თავდაპირველად უნდა გვქონოდა „სახლსა ჩემსა **მიმაწინე**“. ეს სრულიად ბუნებრივი და ვეფხისტყაოსნისათვის კანონზომიერი ფორმაა. ამით საუცხოოდ გაიმართა ტაეპის მთელი სტრუქტურა, შინაარსი ნათელი გახდა და რითმაც გასწორდა.

ამრიგად, სამაგალითო კრიტიკული ალღოს წყალობით და ზუსტი მეცნიერული ანალიზით ი. გიგინეიშვილმა დაასაბუთა, რომ განხილული ტექსტის საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული ვარიანტი მცდარია, შეცდომას უშვებს ყველა გამომცემელი (მათ შორის ვახტანგიც) და ხელნაწერთა აბსოლუტურზე აბსოლუტური უმრავლესობა. ამ კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ერთხელ კიდევ ადასტურებს ცნობილ ტექსტოლოგიურ კანონს: „ის ფაქტი, რომ რომელიმე წაკითხვას ხელნაწერთა უმრავლესობა უჭერს მხარს, არასგზით არ შეიძლება ამ წაკითხვის სისწორის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგეს“ (გვ. 368).

ი. გიგინეიშვილი დიდად აფასებს ვეფხისტყაოსნის პირველი, 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის მნიშვნელობას, ყოველ ცალკე შემთხვევაში ითვალისწინებს (ითვალისწინებს კრიტიკულად) მის მონაცემებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ: „ვახტანგ VI-ის გამოცემისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებამ საკმაოდ შეაფერხა პოემის ტექსტის შესწავლის საქმე“ (20). დისერტანტი უყურადღებოდ არ ტოვებს ვახტანგისეული რედაქციის აღდგენილ გამოცემას (ვახტანგის გამოცემის ტექსტი 1937 წელს აღადგინა აკაკი შანიძემ) და რამდენიმე კრიტიკული შენიშვნით მასაც ეხმაურება (გვ. 25—26,39).

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ივანე გიგინეიშვილის მხრივ ვეფხისტყაოსნის გასწორების ერთი ტიპური ნიმუში. ანალოგიური ხასიათის გასწორებანი მას სხვაც ბევრი აქვს. რა თქმა უნდა, დისერტანტის ყველა გასწორება უდაო არ არის. ოღონდ მაშინაც კი, როდესაც მისი ზოგიერთი გასწორება ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება, გვხიბლავს მკვლევრის ერუდიციის სიფართოვე, მეცნიერული არგუმენტირების ძალა და კრიტიკული განხილვის სიღრმე. ამ მხრივ სამაგალითოა ანალიზი ვეფხისტყაოსნის განთქმული აფორიზმისა „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“. ამ აფორიზმის ტექსტის საკითხს სადისერტაციო შრომაში დიდი ად-

გილი აქვს დათმობილი, ეს ვრცელი, სპეციალური გამოკვლევაა (გვ. 355—372). ავტორი ცდილობს დაგვისაბუთოს, რომ მცდარია აფორიზმის ტრადიციული ვარიანტი, თითონ ადგენს აფორიზმის ამგვარ რედაქციას:

მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად.

მკვლევრის ფიქრით, პოეტური ფრაზის თითქოს უჩვეულო წყობამ („მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად") შეაპირობა აფორიზმის ამ ვარიანტისადმი უნდობლობა. იგი თვლის (და თავის თვალსაზრისს მრავალი მაგალითით ასაბუთებს), რომ სიტყვათა სადაოდ ქცეული წყობა ნამდვილად და ნიშანდობლივად რუსთველურია.

სამაგალითოა ი. გიგინეიშვილის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე. უდაოა მისი განმარტებანი ისეთი იშვიათი სიტყვებისა, ცნებებისა და სპეციალური გამოთქმებისა, როგორიცაა წვერგაწო (63—80), უაუკო (81—99), ჩჩნდე (130, 141) წინამდგომელი, წინაშემდგომელი (142—158), წინამწოლი (157—158), საწოლის მეკრე (159—163), აშოროს, ღმერთმან აშოროს (332—333) და სხვ.

სანიმუშოდ აქ შევეხები ივანე გიგინეიშვილის მხრივ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გაგების და გასწორების ერთ ისეთ შემთხვევას, რომელიც მართებულად არ მიმაჩნია, თუმცა ტრადიციული ტექსტის დატოვებას და შესაფერისად მისი აზრობრივი მხარის გაგებას მკვლევარი უწოდებს „უხეშ შეცდომას" (გვ. 271). სწორედ ეს მკაცრი გამოთქმა („უხეში შეცდომა") იწვევს ჩემს ამ შენიშვნას.

ტარიელმა ხატაეთი დაიმორჩილა, დიდძალი ნაალაფევი წამოიღო, მრავალი ტყვე წამოასხა, ტყვედ წამოიყვანა რამაზ მეფეც. ფარსადანი რამაზს „ტკბილად" შეხვდა. ტარიელმა უამბო ავთანდილს (469—470):

მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.
ცისკრად მიხვეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ღმობიერსა:
„შ ე უ ნ დ ო ბ ო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?"
მე ვჰკადრე: ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა.

ი. გიგინეიშვილი უხეშ შეცდომად თვლის 469-ე სტროფის მეოთხე ტაეპის ბოლოს კითხვით ნიშნის დასმას („შ ე უ ნ დ ო ბ ო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?"). მკვლევრის შეხედულებით

კითხვითი ნიშანი სრულიად ცვლის და, რაც მთავარია, ამრუდებს მთელი ამ ეპიზოდის შინაარსობლივ-აზრობრივ მხარეს. იგი წერს: „ფარსადანი არ შეიძლებოდა შეჰკითხებოდა ტარიელს — შეუნდობ თუ არა რამაზ მეფესაო. იგი კი არ ეკითხება ტარიელს, არამედ ამცნობს მას თავის გადაწყვეტილებას, თავის ნებას, როგორც მეფე: შენდობის უფლება მხოლოდ მას აქვს“ (გვ. 271). მაშასადამე, კითხვითი ნიშნის დასმა თურმე არღვევს ვეფხისტყაოსანში ასახული პატრონყმური წესრიგის, პატრონყმური სუბორდინაციის ფორმას. არა მგონია, ასე იყოს. ტარიელმა მაშინ შეუნდო რამაზ მეფეს, როცა შეიპყრო, სიცოცხლე შეუნარჩუნა, ორგული და მოღალატე ნამსახურს დააგვანა. ტარიელი დამსახურებულად მიიწერს რაინდული ქველობის პატივს (468,3—4):

ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!

ფარსადან მეფე გაახარა ტარიელის მხედართმთავრულმა მოქმედებამ, მამაცობამ, რაინდულმა კეთილშობილებამ („რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია! მიალერსებდა...“). ამ შემთხვევის გამოა, რომ ტარიელი ფარსადანს უწოდებს „ტკბილ გამზრდელს“ (465,2): „ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილი“. ნესტანის გათხოვების ამბით გამოწვეულ კონფლიქტამდე ფარსადანსა და ტარიელს შორის არ ყოფილა ისეთი დამოკიდებულება, რომ ფარსადანს თუ გინდ მინიშნებით ეგრძნობინებინა ტარიელისათვის მისი მეფური მდგომარეობა და ამის შესაფერი პატივი მოეთხოვა. საანალიზო ეპიზოდშიც ფარსადანს სრულიად არ სჭირდებოდა თავისი ძალისა თუ უფლების გამოყენება. თავისი მხედართმთავრისა და შვილობილის ქველობით ფრიად კმაყოფილი ფარსადან მეფე, ტკბილად, მშობლიურად ეკითხება ტარიელს, ხომ არ შეუნდობო შენს საპატიო ტყვეს. ეს არის და ეს. აქ არც პატრონყმური სუბორდინაციის წესია დარღვეული და არც სამეფისკარო ეტიკეტი. მეფის ამ წინდახედულ, ტაქტიან შეკითხვას ტარიელმაც შესაფერისადვე ზრდილობიანი პასუხი გასცა („ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა“). ასე ტკბილი მუსაიფის, ურთიერთპატივისცემის წესით გადაწყდა ეს დელიკატური სახელმწიფო საქმე. საგულისხმოა, რომ ნესტანის გათხოვების თაობაზედაც კი დაეკითხა ფარსადანი თავის ამირბარს და იმისაგან ყოველ შემთხ-

ევაში ფორმალური დასტური მიიღო („მოწმობა დავჰრთეო"; ამბობს ტარიელი). ასეთი ფაქიზი ფორმით ხორციელდება სუბორდინაციის წესი მეფესა და მის უახლოეს კარისკაცს შორის. ამიტომ უმართებულოდ მეჩვენება ჩვენი დისერტანტის მხრივ, მაპატიეთ, ცოტა არ იყოს მაღალფარდოვანი განცხადება, მეფე „კი არ ეკითხება ტარიელს, არამედ ამცნობს მას თავის გადაწყვეტილებას, თავის ნებას". არა, მსჯელობის ასეთი კილო არ შეშვენის ვეფხისტყაოსნის ენის და მთელი მისი სულისკვეთების საუკეთესოდ მცოდნე ჩვენ პატივცემულ დისერტანტს.

დასასრულ, ისიც ნიშანდობლივია, რომ მთელ ამ მსჯელობასა და აზრთა პრინციპულ სხვადასხვაობას იწვევს სასვენი ნიშნის საკითხი.

დისერტანტთან სადაოდ და საკამათოდ გვეჩვენება ხატაეთში ლაშქრობის ეპიზოდიდან ერთი მომენტიც (გვ. 299—305). ტარიელი საბოლოოდ დარწმუნდა რამაზის ღალატში, დაიჭირა თანდარიგი, საქმის ვითარება გააცნო თავის მეწინავე რაზმს, სწრაფად დაიძრა მტერთან შესახვედრად („წავე დიდითა სწრაფითა") და რაინდული ენით შეუთვალა რამაზს: „ბრძანეთ, მოდით, შემებენით, ვითა წესი და რიგია" (443,3). მუხანათი მტერი გამოვიდა სამალაეიდან, „შექმნა რაზმი მრავალკეცი" და მოემზადა ტარიელის დასახვედრად. ტარიელი გვიამბობს" (445):

> სამარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
> ერთსა წ ა ვ ს წ ყ დ ი უტევანსა, წავჩრძელდი და წავე გრძელად.

წ ა ვ ს წ ყ დ ი ნიშნავს მოვწყდი (იგულისხმება ძირითად ლაშქარს), დავწინაურდი. ვახტანგის დედანში და ყველა ძველ გამოცემაში ნაცვლად წაკითხვისა „წ ა ვ ს წ ყ დ ი" იკითხება „წავსწვდი". როგორც დისერტანტი აღნიშნავს, სიტყვა „წავსწყდი" მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გამოქვეყნდა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები" (2. თბ, 1961; სადისერტაც. შრ. 303). წ ა ვ ს წ ყ დ ი მოეპოვება ვეფხისტყაოსნის რიგ პირველხარისხოვან ხელნაწერს, კერძოდ, ხელნაწერთა იმ ჯგუფს (ABC), რომელსაც განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა შანიძე-ბარამიძის 1966 წლის გამოცემის რედაქცია. ამიტომაც აქ სწორედ „წავსწყდი" ვარიანტი მოხვდა ძირითად ტექსტში, თუმცა თავისთავად „წავსწვდი" ვარიანტიც არ არის უაზრო და ერთი ხელის აღებით უკუსაგდები. მკვლევარი ა. ჭინჭარაული შეეცადა დაესაბუთებინა „წავსწყდი" ვარიანტის

მართებულება, მაგრამ გადააჭარბა და უაზრობად მიიჩნია ტრადიციული ვარიანტი („წავსწყდი"). ამას ერთგვარად გაუცხარებია საერთოდ დინჯი და თავშეკავებული ჩვენი დისერტანტი, ა. ჭინჭარაულის მტკიცებისათვის სუბიექტური უწოდებია (303—304). რა თქმა უნდა, სადაო თუ საჩოთირო მოსაზრების დასაბუთებას მეტ-ნაკლებად სუბიექტური მომენტი ყოველთვის ახლავს. სხვა საქმეა კვლევას სუბიექტური მეთოდით (სუბიექტივიზმით) ხელმძღვანელობა. არსებითად სწორედ ამას უსაყვედურებს დისერტანტი ა. ჭინჭარაულს. ეს უსაფუძვლოდ გვეჩვენება: მე არ მაკმაყოფილებს ა. ჭინჭარაულის არგუმენტები „წავსწყდის" სასარგებლოდ, მაგრამ არც კონტრარგუმენტები გამოიყურება, ჩემი აზრით, შეუვალად და უცილობლად. სხვათა შორის, იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ გადამწერლები ჩვეულებრივ (ამას დისერტანტი არაერთგზის აღნიშნავს) მათთვის გაუგებარ სიტყვას, თუ შესიტყვებას, ცვლიდნენ უფრო გასაგებით, რითაც ნებსით თუ უნებლიეთ ამახინჯებდნენ ტექსტს. საანალიზო შემთხვევაში „წავსწვდი" უფრო გასაგებია, სამაგიეროდ შედარებით საკირკიტო ჩანს „წავსწყდი", ამიტომაც საფიქრებელია, რომ „წავსწყდი" პირველადია, ხოლო „წავსწვდი" მეორეული. ასეა თუ ისე, საკითხი სადაოა და დისერტანტის პოლემიკური სიცხარე გაუმართლებელი.

ავთანდილზე ერთგან ნათქვამია (ტარიელის ნაკვალევს როგორ მიაგნო და საგულვებელი საბუდარისკენ მიმავალი რომ დაინახა):

ვითა გაეზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა (214,2).

ეს ადგილი ჩვენ ასე გვესმის: სწრაფად გაფრინდა როგორც, ასე ვთქვათ, თავისუფალი, ველური მიმინო და არა მოთვინიერებული, თოკით (ხეზით) ნაბამი ფრინველი. ი. გიგინეიშვილი კი ჩვენს: „რაღა სისწრაფეა, თუ ისე გაფრინდა, როგორც ხეზით (-ხეზიდან) არ-გაშვებული (-გაუშვებელი, ხეზით დაბმული, ხეზ-შეუხსნელი) გავაზი?" (გვ. 107). არა, ასეთი აზრი არ მოუვა არცერთ ჰკუათამყოფელ რუსთველოლოგს. ი. გიგინეიშვილი აქაც დამოწმებული ვარიანტის მომხრეთ პოლემიკური გაცხარებით მიაწერეს მათთვის უცხო შეხედულებას.

შედარებებისათვის ამოსავალ გამოცემად ი. გიგინეიშვილს აუღია 1951 და 1957 წლების გამოცემები (ალ. ბარამიძისა, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით რომ დაიბეჭდა). ოღონდ დი-

სერტანტს მხედველობიდან გამორჩენია, რომ 1951 წლის გამოცემა ორ გამოშვებად გამოქვეყნდა. რედაქციულად ორივე ერთნაირია, ესენი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმატით, შრიფტით, ტირაჟით და სამეცნიერო აპარატით. მხოლოდ დიდ ფორმატიან, ბჭიდრულ გამოშვებას ახლავს სარედაქციო შენიშვნები. ეტყობა, ი. გიგინეიშვილის განკარგულებაში ეს, შენიშვნებიანი გამოშვება ყოფილა. ერთგან ის ამბობს, რომ ვეფხისტყაოსნის 934-ე სტროფის მეოთხე ტაეპის ტექსტის სწორი ვარიანტია:

შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!

„1951 წლის გამოცემის რედაქცია, როგორც ჩანს, დაეჭვდა ამ წაკითხვის (საუბარია გახაზულ სიტყვებზე „მე გარგებ" — ა. ბ.) სისწორეში და კონიექტურა შემოიტანა: „შენ ვერას ირგებ, მე ვირგებ..." (გვ. 241—242) სქოლიოში მკვლევარი წერს: „რედაქციის შენიშვნებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი" (იქვე, შნშ 2). ამ გარემოებას უფრო საფუძვლიანად უნდა დაეფიქრებინა დისერტანტი. ყოვლად შეუძლებელია, რედაქციას კონიექტურა შემოეტანა და ამის თაობაზე არაფერი ეთქვა შენიშვნებში. სამწუხაროდ, აქ კორექტურული შეცდომაა გაპარული, მეორე გამოშვებაში კი სწორი ტექსტია დაბეჭდილი.

ივანე გიგინეიშვილი ვარლამ თოფურიასთან ერთად არის ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის ავტორი. იგი ხელმძღვანელი წევრია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიისა. შესანიშნავი მოქართულე მკვლევარია. ამისდა მიუხედავად, ასე მგონია, თითქო სადისერტაციო ნაშრომში ყოველთვის სწორად არ არის გამოყენებული მიმართულების მიმანიშნებელი ნაწილაკი მო. დისერტანტს უწერია: „ავთანდილმა ასმათი თავის მხარეზე ვადმოიბირა" (გვ. 111). ვეფიქრობ, უფრო სწორი იქნებოდა: გადაიბირა. ყოველ შემთხვევაში საკითხს ვსვამ. მეორეგანაც ნათქვამია, რომ პოემის ერთ-ერთმა გამომცემელმა სწორი წაკითხვა „სქოლიოში ჩამოიტანა" (280, შნშ 19). ჩამოიტანა თუ ჩაიტანა? აქაც მხოლოდ კითხვას ვსვამ.

ამით ვამთავრებ ჩემს შენიშვნებს. რასაკვირველია, შენიშვნები სრულიად უმნიშვნელოა. მე გულწრფელად ვლიარებ, რომ ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკაში იშვიათად მიმიღია ის სიამოვნება, რაც ივანე გიგინეიშვილის სარეცენზიო შრომის კითხვამ მაგრძნობინა.

ეს შრომა ნამდვილად პირველხარისხოვანი გამოკვლევაა და მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია. მონოგრაფია ოფიციალურად წარმოდგენილია საკვალიფიკაციოდ, ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად. ეს მხოლოდ გარეგნული, ფორმალური მომენტია. არსებითად კი თავისი კვლევაძიებითი საქმიანობით და პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობით უმაღლეს სკოლაში ივანე გიგინეიშვილი დიდიხანია არის დოქტორიც და პროფესორიც. მან ძალზე დააგვიანა შრომითა და რუდუნებით მოპოვებული უფლების გაფორმება. მაგრამ ერთი რუსული თქმისა არ იყოს, „лучше поздно, чем никогда". როგორც საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილი ამ შრომის ოფიციალურმა რეცენზენტმა, უნდა განვაცხადო, რომ მისი ავტორი სავსებით იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

2. სარგის ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია[1]

სარგის ცაიშვილის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი მონუმენტური ნაშრომი (ორ წიგნად) ეძღვნება ვეფხისტყაოსნის ისეთ „ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას", როგორიცაა „პოემის ტექსტის ისტორიის შესწავლა" (I, გვ. 1). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ განსახილავი პრობლემის გარშემო ბევრია გაკეთებული, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში (გვ. 3), რომ პირველი მეცნიერული რუსთველოლოგიური ნაშრომი ვახტანგ მეექვსისა ტექსტოლოგიურ პრობლემას ეხება უპირატესად. ეს პრობლემა შეუნელებელი ყურადღების საგანი იყო რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარების მთელ შემდგომ პერიოდში. სარგის ცაიშვილი ერთი იმათთაგანია, რომელმაც რუსთველოლოგიის სწორედ ეს დარგი გაიხადა თავისი მუშაობის უმთავრეს სფეროდ და არა ერთი და ორი ნარკვევით გაგვიმასპინძლდა. სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი ავტორის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შეჯამების ნაყოფს წარმოადგენს (გვ. 3) და ვეფხისტყაოსნის

[1] წიგნი I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები, თბ., 1968, 492 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილი); II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1968, 310 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილი).

ტექსტის ისტორიის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა (გვ. 17,177). სარეცენზიო მონოგრაფიას აქვს არა მარტო თავისთავადი მეცნიერულ-თეორიული, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც. ავტორი გვთავაზობს გარკვეულ რეკომენდაციებს ვეფხისტყაოსნის აკადემიური, მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის სახელმძღვანელოდ (შდრ. გვ. 392—401).

ამთავითვე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. ცაიშვილის მონოგრაფიის ორივე ნაწილი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, მწყობრია კომპოზიციურად, ორიგინალურია შინაარსით, მნიშვნელოვანია მეცნიერული შედეგებით და, მიუხედავად ერთგვარი ვიწრო-სპეციალური ხასიათისა, თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით იკითხება.

სარეცენზიო მონოგრაფია ბუნებრივი გაგრძელებაა იმავე ავტორის ადრინდელი გამოკვლევისა „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, რომელიც ბეჭდურად გამოქვეყნდა 1957 წელს და რომელმაც ს. ცაიშვილს მაშინ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოუპოვა.

სადისერტაციო მონოგრაფიის პირველი წიგნი ათი თავისაგან შედგება. პირველი შესავალი კარის (შესავლის მაგიერ“) შემდეგ მოდის ერცელი განყოფილება „ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიიდან“ (გვ. 18—178), რომელიც თავის მხრივ რვა ქვეთავად იყოფა. აქ კრიტიკულად მიმოხილულია ვახტანგამდელი პერიოდი რუსთველოლოგიაში (გვ. 18—84). მოკლედ აღნიშნულია საკუთრივ ვახტანგის ღვაწლი (გვ. 25—27), შედარებით ერცლად არის გარჩეული თეიმურაზ ბაგრატიონისა და მისი მოწაფეების (მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, პლატონ იოსელიანის) მოღვაწეობა (გვ. 28—40). ამას მიჰყვება რევოლუციამდელი პერიოდის ტექსტოლოგიური მუშაობის ანალიზი (გვ. 40—71) და ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები ქართულ მეცნიერებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (გვ. 72—178). მკვლევარი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება და საფუძვლიანად იხილავს ვეფხისტყაოსნის ე. წ. ქართველიშვილისეულ გამოცემას, აგრეთვე დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, კ. ჰიჰინაძის, პ. ინგოროყვას და 1937 წლის გამოცემებს, ალ. სარაჯიშვილისა და ნ. მარის ტექსტოლოგიურ ნაშრომებს. ეს თავი დაწერილია დიდი საფუძვლიანობით, ცოდნით, დაკვირვებით, კრიტიკული სიმახვილითა და აკადემიური სიდინჯით.

მონოგრაფიის მესამე თავში „ვეფხისტყაოსნის რედაქციები“ (ზოგადი მიმოხილვა) გაშუქებულია, თუ რა ისტორიულ ვითარებაში იქმნებოდა ვეფხისტყაოსნის ინტერპოლირებული რედაქციები. გამოძიებულია (რა თქმა უნდა, გამოყენებულია წინამორბედთა ნამუშევრები) ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციების წყაროები (შაჰნამეს ქართული ვერსიები, ქართლის ცხოვრება, სასულიერო მწერლობის ძეგლები — პირველ რიგში ბიბლიური წიგნები და სხვა). დისერტანტი ასაბუთებს ხალხური ტარიყლიანის ნაკვალევის არსებობას ვეფხისტყაოსნის ტექსტის ზოგიერთ ვარიანტში (გვ. 194—196). ეს ძალიან საყურადღებო დაკვირვებაა.

მონოგრაფიის ცენტრალური ნაწილია მეოთხე თავი — „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“ (გვ. 204—360) ეს ნაწილი ადრე ბეჭდურადაც გამოქვეყნდა (ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, 140 გვ.). აწინდელ ტექსტში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი.

ავტორს მიზნად აქვს დასახული ხელნაწერების შესწავლის ნიადაგზე მოახდინოს მათი კლასიფიკაცია და დააჯგუფოს ისინი ძირითად რედაქციულ ტიპებად (გვ. 205). ამისათვის განხილულია პოემის სტროფული შედგენილობა პროლოგის, საკუთრივ პოემისა (ანუ პოემის „შუა მონაკვეთისა“) და გაგრძელებათა მიხედვით. საკუთრივ პოემად ანუ პოემის შუა მონაკვეთად ს. ცაიშვილი თვლის პოემის ტექსტს პირველი თავიდან მოკიდებული ე. წ. „ხვარაზმელთა ამბამდე“ (გვ. 242). ვეფხისტყაოსნის სამი ნაწილიდან, დისერტანტის სიტყვით, ხელნაწერთა რედაქციული კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოემის შუა მონაკვეთის სურათს. პროლოგის მიხედვით „არ შეიძლება ხელნაწერთა რედაქციულ ჯგუფებად დაყოფა“ (გვ. 242). მით უფრო სათუოა პოემის დაბოლოება, რადგანაც „პროლოგითა და ძირითადი ტექსტებით (პოემის შუა წელით) დაახლოებით მსგავს ხელნაწერებს სრულიად სხვადასხვა მოცულობის დასასრული ახლავთ“ (გვ. 205). ხელნაწერთა მთელ მემკვიდრეობას (იგულისხმება ისეთი ხელნაწერთა მემკვიდრეობა, რომლებიც გამოცემებიდან არ მომდინარეობს) პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით ს. ცაიშვილი ყოფს სამ ძირითად რედაქციულ ჯგუფად (გვ. 252). თუ ვჰედველობაში არ მივიღებთ ცალკეული ხელნაწერების ინდივიდუალურ, სპეციფიკურ თვისებებს, შეშხვევითს ხარვეზებსა თუ გამონაკლისებს, ყველა ხელნაწერი „ან პირდაპირ თანხვდება რომე-

ლიმე ამ ტიპის რედაქციას, ან, ყოველ შემთხვევაში, საგრძნობლად უახლოვდება მას" (გვ. 252).

პირველ რედაქციულ ჯგუფს (EFY და სხვ.) ვეფხისტყაოსნის საიუბილეო 1937 წლის გამოცემასთან შედარებით ჰქონია დამატებითი ჩანართი 54 სტროფი (გვ. 253). რაც დისერტანტს ა რუბრიკით აქვს აღნიშნული (გვ. 254). ეს არისო ვეფხისტყაოსნის პირველი უმოკლესი რედაქცია (გვ. 255).

მეორე რედაქციულ ჯგუფს შეადგენს D — ზაზასეული, L, G, H და სხვ. ხელნაწერები. ამ ჯგუფის ხელნაწერებს შემოუნახავთ გარდა ა. რუბრიკის 54 ჩანართი სტროფისა კიდევ 70-მდე ახალი ჩანართი სტროფი. ეს დამატებითი ჩანართი ტექსტი გამოყოფილია ბ რუბრიკით. მაშასადამე, მეორე ჯგუფის ხელნაწერებს აქვს ა და ბ რუბრიკის ჩანართი სტროფები: 54+70=124. დისერტანტს ეს ციფრი დამრგვალებული აქვს „ასოცამდე" (გვ. 266, 267).

მესამე რედაქციული ჯგუფი (BAC და სხვ.) შეიცავს პირველი ორი ჯგუფის ჩანართებს (ა და ბ რუბრიკის პლასტებს) და დამატებით კიდევ ჩანართთა ახალ პლასტს 47 სტროფის რაოდენობით (გ რუბრიკი). მთლიანად მესამე ჯგუფის ჩანართები აღწევსო 170 სტროფამდე (გვ. 279). ეს არის ხელნაწერთა უვრცელესი რედაქციაო.

დისერტანტი ფიქრობს, რომ თვითოეულ ამ რედაქციულ ჯგუფს უნდა ჰქონოდა თავისი საერთო დედანი (პროტოგრაფი).

აღნიშნულის გარდა ს. ცაიშვილს გამოცალკავებული აქვს ხელნაწერთა კიდევ ერთი ჯგუფი (JKOT და სხვ.), რომელიც განსხვავდება ყველა სხვა ჯგუფისაგან, მაგრამ შედარებით მაინც უფრო უახლოვდებაო პირველ რედაქციას. მოპოვებაო პირველი უმოკლესი რედაქციის 54 ჩანართი სტროფი და „დაახლოებით 50-მდე ახალი ჩანართი შაირი (გვ. 268). ეს ახალი ჩანართი პლასტი დ რუბრიკით არის სახელდებული. ხელნაწერთა ამ ჯგუფს დისერტანტი **პირობითად** ეწოდებს **მეოთხე რედაქციას** (გვ. 291). მეოთხე რედაქციის ხელნაწერები „დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ერთმანეთთანო" (გვ. 288). დ რუბრიკის პლასტის ზოგიერთი ჩანართი სტროფი მკვლევრის დაეჭვებას იწვევს (გვ. 290).

დისერტაციის მომდევნო მუხუთე თავში გაანალიზებულია და განზოგადებული მეოთხე თავის მონაცემები. ასე ვთქვათ, სტატისტიკური მასალა და წარმოდგენილია ხელნაწერთა ოთხივე რედაქ-

ციული ჯგუფის გენეალოგიის სქემა (სტემა) თავიანთ სავარაუდებელ დედანზე (პროტოგრაფზე) მინიშნებით.

ს. ცაიშვილი არ უარყოფს ემპირიული, სტატისტიკური მასალის მნიშვნელობას ტექსტოლოგიის საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ თვლის, რომ მკვლევარი უნდა გაცდეს კლასიფიკაციის ფორმალურ ფარგლებს და ისტორიული კლასიფიკაციის პრინციპებს დაემყაროს (გვ. 386). მისი სამართლიანი შენიშვნით, „ხელნაწერის სიძველე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტექსტის სიძველეს“ (გვ. 387). ამიტომაც ამა თუ იმ ხელნაწერის რაობას მასში დაცული ტექსტის რედაქციათა ისტორიული განვითარების ვითარება განსაზღვრავსო. ხელნაწერთა ტექსტის **რედაქციათა კლასიფიკაციის ყველაზე საიმედო საყრდენად** ს. ცაიშვილი თვლის **სტროფულ შედგენილობასა და თანმიმდევრობას.** მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას მ ო შ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი „სხვა კომპონენტები, კერძოდ, ცალკეული ტექსტების «მსგავსი» და «განსხვავებული» წაკითხვების ანალიზი, სტილისტური ერთიანობა თუ დაშორება და ა. შ.“ (გვ. 361). „როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, — ამბობს ს. ცაიშვილი ხელნაწერების დაჯგუფებაზე სტროფული შედგენილობის მიხედვით, — სხვა კომპონენტებთან ერთად ეს არის ყველაზე მყარი საფუძველი, რომელსაც უნდა დაემყაროს ხელნაწერთა კლასიფიკაცია და აღდგეს პოემის ტექსტის თანდათანობითი განვითარების მეცნიერული სურათი“ (გვ. 379—380). ამ შეხედულების კვალობაზე ს. ცაიშვილი ფიქრობს, რომ ხელნაწერთა პირველი რედაქციული ჯგუფი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის „შედარებით ძველ რედაქციას“ (გვ. 387), ან „უფრო არქაულ რედაქციას“ (გვ. 392). „პირველი რედაქციის სიძველე, — განაგრძობს მკვლევარი — უწინარეს ყოვლისა ეყრდნობა იმ დებულებას, რომელიც ალიარებს სწორედ ტექსტის თანდათანობითი გავრცელების ტრადიციას“ (გვ. 388); მეორე და მესამე რედაქციები კი „ტექსტის განვითარების შედარებით მომდევნო ეტაპებს წარმოგვიდგენენო“ (გვ. 391). იგი იმასაც საგანგებოდ შენიშნავს, რომ: „პოემის ტექსტის ცალკეული რედაქციები მეტნაკლებად დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდაო“ (გვ. 392).

ხელნაწერების **ვარიანტულ წაკითხვებს** ს. ცაიშვილი მხოლოდ დ ა მ ხ მ ა რ ე კომპონენტის პატივს ანიჭებს რედაქციულ ჯგუფებად დახარისხების საქმეში; „ნაირკითხვაობათა გათვალისწინება მხოლოდ დამხმარე ხერხია და მისი ყოველი მონაცემი კონ-

კრეტული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და ასე შეუფარდდეს შედგენილობის მიხედვით სავარაუდებელ რედაქციულ ჯგუფებს" (გვ. 380). დისერტანტი შემდეგაც იმეორებს: „ხელნაწერთა ცალკეული წაკითხვების ანალიზი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ტექსტის საერთო ისტორიის აღსადგენად რედაქციათა ძირითადი ჯგუფების გამოყოფის დროს იგი მხოლოდ დამხმარე საბუთებად უნდა იქნეს გამოყენებული" (გვ. 384).

განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ ს. ცაიშვილის სიტყვით, ხელნაწერთა რედაქციულ კლასიფიკაციას შედგენილობის მიხედვით ფაქტიურად მხარს უჭერს კლასიფიკაცია ვარიანტების კვალობაზეცო. მკვლევარი ამბობს: „ზოგადად უნდა შევნიშნოთ, რომ ფაქტიურად ამასვე (ე. ი. სტროფული შედგენილობის მიხედვით ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების დანაწევრებას, — ა. ბ.) უჭერს მხარს ხელნაწერთა ნაირკითხვაობაზე დამყარებული კლასიფიკაციაც და ამის შემოწმება შეიძლება მთელი ტექსტის მანძილზე" (გვ. 380).

მიღებული დასკვნების საფუძველზე ს. ცაიშვილი სვამს პრაქტიკული მნიშვნელობის კითხვას, ხომ არ უნდა მიეცეს „პრიორიტეტი" ხელნაწერთა რომელიმე ჯგუფს ტექსტის დამახინჯებული წაკითხვების გამართვის დროს (გვ. 393). კითხვას ავტორი ხაზგასმულად იქვე უპასუხებს: „ვეფხისტყაოსნის წაკითხვათა გამართვის დროს თ ა ნ ა ბ ა რ ი უ უ რ ა დ ღ ე ბ ი თ უნდა მოვეპყრათ ოთხივე რედაქციასა და მათში შემავალ ხელნაწერებს (რასაკვირველია, ხელნაწერის ზოგ ინდივიდუალურ თვისებათა გამორიცხვით) და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულმა ანალიზმა უნდა გვიჩვენოს ტექსტის აღდგენის რეალური გზებიო" (გვ. 393).

თავისთავად ამ სწორი დებულების მოყვანის შემდეგ ს. ცაიშვილს საჭიროდ დაუნახავს შეენიშნა: „ზოგი ჰკვლევარი ვეფხისტყაოსნის ტექსტზე მუშაობის დროს აშკარად წინ წამოსწევს ხელნაწერთა ერთ ჯგუფს, რომელსაც ჩვენი კლასიფიკაციით მესამე რედაქცია ეწოდება" (გვ. 393). მართალია, ხელნაწერთა ამ ჯგუფში ორთოგრაფია „შედარებით უკეთ არის დაცული" (გვ. 395). „მესამე რედაქციის ნუსხებმა შემოგვინახეს ბევრი ორთოგრაფიულად გამართული ადგილი და აშკარად ავთენტიკური წაკითხვები. აქ შეიძლებოდა ამის სანიმუშოდ მრავალი მაგალითის მოტანა, მაგრამ ეს იმდენად ცხადია და ბაკლებად საკამათო, რომ ჩამოთვლა ზედმეტად მიმაჩნიაო" (გვ. 395), მაგრამ სხვა რედაქციის

ხელნაწერებშიაც მოიპოვება „ბევრი უნიკალური და უცილოდ მართებული წაკითხვაო“ (გვ. 395) და ამიტომაც „სწორედ ყველა რედაქცია (და მათში შემავალი ნუსხები) უნდა იქნას სათანადოდ გამოყენებული ტექსტის დადგენის პროცესშიო“ (გვ. 394). „მხოლოდ მესამე რედაქციის ნუსხებზე დაყრდნობა უეჭველად მცდარი გზით წაგვიყვანდაო“, ამბობს ს. ცაიშვილი. ამ მოსაზრების დამადასტურებელ საბუთებს მკვლევარი იმოწმებს ვეფხისტყაოსნის შანიძე-ბარამიძის გამოცემიდან (გვ. 399—401).

ერთი სიტყვით, ს. ცაიშვილი წინააღმდეგია იმისა, რომ ვარიანტულ წაკითხვათა კვალობაზე ხელნაწერთა რომელიმე ჯგუფს მიენიჭოს გარკვეული უპირატესობა, ანუ პრიორიტეტი (გვ. 399). ამავე დროს ტექსტობრივი შედგენილობის თვალსაზრისით იგი „აშკარა პრიორიტეტს“ ანიჭებს „ვეფხისტყაოსნის შედარებით მოკლე (პირველსა და მეოთხე) რედაქციებს“ (გვ. 401). „თუმცა ამ თვალსაზრისით ხელნაწერთა შეჯერების დროს მთლიანად არც მესამე და განსაკუთრებით მეორე რედაქციის მონაცემები უნდა იქნას უგულვებელყოფილი“-ო, ურთავს (იქვე).

ს. ცაიშვილის მონოგრაფიის პირველი წიგნის უკანასკნელი ხუთი თავი (მე-6— მე-10) წარმოადგენს არსებითად ტექსტოლოგიური ხასიათის საინტერესო პატარ-პატარა ნარკვევებს. ამ ნარკვევების ერთი ნაწილი, სახელდობრ მეექვსე, მეცხრე და მეათე თავები შეტანილია ცაიშვილისეულ წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“ (თბილისი, 1966). აი ეს ნარკვევები:

6. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია (წყაროების საკითხი. ამ რედაქციის გავლენა ხელნაწერთა მემკვიდრეობაზე), გვ. 402—420).

7. ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის შესახებ (გვ. 421—434).

8. ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემა (გამოცემის თავისებურებანი, წყაროები, ამ გამოცემის გავლენა ხელნაწერებზე). გვ. 435—446.

9. 1712 წლის გამოცემის კომენტარები (გვ. 447—463).

10. პირველი ლექსიკოგრაფიული შრომები ვეფხისტყაოსანზე (გვ. 464—492).

მე-6 თავში ს. ცაიშვილი დამარწმუნებლად ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყარო უნდა ყოფილიყო ე. წ. ზაზასეული ხელნაწერი (D), მაგრამ სწავლული მეფე „სხვა ხელნაწერებიდანაც იღებდა მისი თვალსაზრისით უმ-

ჯობეს წაკითხვებსო“ (გვ. 415, 418). მკვლევარს მოტანილი აქვს იმისი მაგალითები, თუ როგორ გადასულა ვახტანგის გამოცემაში მისი წყაროს უბრალო კორექტურული შეცდომები (416—418). „ზაზასეული ხელნაწერის შემოკლების შედეგად შემუშავდა 1712 წლის გამოცემაო“, ასკვნის ს. ცაიშვილი (გვ. 419).

საყურადღებოა, რომ მისივე სიტყვით, თავის დროზე ანალოგიური მოსაზრება გამოუთქვამს პლ. იოსელიანს (იქვე). შემდეგ მკვლევარი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის იმ 162 ხელნაწერიდან, რომელიც ახლა ცნობილია, 90 ვახტანგისეული გამოცემებიდან მომდინარეობს (გვ. 420). ასე დიდი იყო ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ავტორიტეტი და მნიშვნელობაო. როგორც ცნობილია, დიდი იყო ვახტანგისეული რედაქციის გავლენა პოემის ბეჭდურ გამოცემებზედაც.

მე-7 ნარკვევში ს. ცაიშვილი ავითარებს და ზოგ შემთხვევაში აზუსტებს იმ მოსაზრებებს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტის შესახებ, რაც გამოთქმული აქვთ ალ. სარაჯიშვილს, ექ. თაყაიშვილს და ამ სტრიქონების ავტორს.

მე-8 თავში ს. ცაიშვილი ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ 1712 წლის გამოცემასთან შედარებით 1841 წლის გამოცემის დაახლოებით 50 სტროფიდან ოთხი ბროსეს მიუღია თეიმურაზ ბაგრატიონის რეკომენდაციის თანახმად, ხოლო დანარჩენი 46 სტროფი პეტრე ქებაძის მიერ მიწოდებული მასალებიდან. თავის მხრივ პეტრე ქებაძეს ეს მასალები (ვეფხისტყაოსნის ჩანართი სტროფები) ამოუწერია თარხან-მოურავისეული ხელნაწერიდან (Z), რომელიც ამჟამად ოქსფორდშია დაცული, ბოდლეს ბიბლიოთეკაში (W—27). ს. ცაიშვილი ასკვნის: „1841 წლის გამოცემა ობიექტურად წარმოადგენს ვახტანგის გამოცემასა და პოემის პირველი რედაქციის შემცველი ხელნაწერის (Z) შეჯერების ნაყოფს და ამდენად, აქ უკვე საგრძნობლად დარღვეულია 1712 წლის გამოცემის მიერ დამკვიდრებული პოემის მოკლე რედაქციის შედგენილობა“ (გვ. 445).

ს. ცაიშვილი იზიარებს იმ მოსაზრებას (მე-9 თავი), რომ თავისი კომენტარებით ვახტანგს „უნდოდა რუსთველის დაცვა კლერიკალური წრეების თავდასხმისაგან“ (გვ. 454). მაგრამ ამასთან ერთად ფიქრობს, რომ: „კომენტარებში გამოთქმული მოსაზრებები სიყვარულის ქრისტიანულ გაგებაზე, რაც ასე მექანიკურად მიუყენა ვახტანგმა რუსთაველს, გამოწვეული იყო არა მარტო პოლემიკური მოსაზრებით, არამედ იმითაც, რომ რუსთაველის მიჯნუ-

რობის თეორიის, და საერთოდ სიყვარულის თეორიის, ერთადერთი სწორი ახსნა ამგვარად წარმოედგინა მასო“ (გვ. 463). საქმე ისაა, რომ თავის საკუთარ შემოქმედებაში ვახტანგი იმავე ალეგორიულ-მისტიკურ თვალსაზრისს ავითარებს მიჯნურობაზე, რაც კომენტატორმა რუსთველს მიაწერა.

მე-10 თავში დისერტანტი აშუქებს ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის სამაგალითო თანამშრომლობის ისტორიას ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის ჩამოყალიბების საქმეში (გვ. 477—478). ამავე თავში გარკვეულია ვეფხისტყაოსნის ლექსიკონების შედგენის შემდგომი ცდების საკითხი. კერძოდ, დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება პეტრე ლარაძეზე და A — 855 ხელნაწერის ლექსიკონის უცნობი ავტორის საქმიანობაზე. განსაკუთრებით საინტერესოა A — 855 ხელნაწერის ლექსიკონი (ეს ნუსხა გადაწერილია 1790 წელს). ამ ხელნაწერის ლექსიკონში განმარტებული ყოფილა 700-მდე სიტყვა, „რითაც იგი თვით ვახტანგის განმარტებასაც კი აღემატება“ (გვ. 482). ლექსიკონის უცნობი ავტორი ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას, ს. ცაიშვილის გამოკვლევის თანახმად, „ხან საბას მიმართავს, ხან ვახტანგს“, ზოგჯერ ორივეს სხვადასხვაგვარ ახსნას იმოწმებს (გვ. 482). მთავარი ისაა, რომ უცნობი ლექსიკოგრაფი „საკმაოდ ხშირ შემთხვევაში“ გვაწვდის სხვა ლექსიკონებით უცნობ საკუთარსა და სწორ ახსნა-განმარტებებს (გვ. 482—486). „A — 855 ხელნაწერი ლექსიკონის ავტორის სახით — ამბობს ს. ცაიშვილი, — ჩვენ გვაქვს რომელიღაც უცნობ, ძალზე განსწავლულ ლექსიკოგრაფთან, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოგვცა ვეფხისტყაოსნის არაერთი სიტყვის მართებული განმარტება“ (გვ. 486). შემდეგ ს. ცაიშვილი აჩვენებს, რომ ამ უცნობი ლექსიკოგრაფის მასალებით ფართოდ უსარგებლია პეტრე ლარაძეს (გვ. 487). დასასრულ, დისერტანტი მოკლედ ეხება ე. წ. ყარაბაღული ვეფხისტყაოსნის ლექსიკონს (გვ. 488—489) და თეიმურაზ ბაგრატიონისა და დ. ჩუბინაშვილის სალექსიკოგრაფიო მოღვაწეობას (გვ. 490—492).

ს. ცაიშვილის მონოგრაფიის მეორე ტომის შესავალ კარში საუბარია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვითარებაზე, ჩანართთა წარმოშობის გზებზე, ზოგიერთ ბეჭდურ გამოცემაზე და აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ამოცანებზე. ავტორი საგანგებოდ ჩერდება პლ. იოსელიანის ცნობებზე ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერების შესახებ, გამოთქვამს ეჭვს (ჩემი აზრით, სამართლიანს), რომ წერეთლიანთ ვითომც ეტრატის ხელნაწერი უნდა

იყოს კარგად ცნობილი დასურათებული ხელნაწერი U (S — 5006). ს. ცაიშვილს გარკვეული აქვს, რომ ე. წ. გურგენასეული ხელნაწერი (R) არის პოემის სწორედ ის ნუსხა, რომელიც თავის დროზე ხელთ ჰქონია და საფუძვლიანადაც აღუწერია გიორგი საძაგლიშვილს (კათალიკოზ კირიონს) (გვ. 33). გურგენასეული ხელნაწერი ახლა დაზიანებულია, ამდენად კირიონის აღწერილობა „კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას“ ხელნაწერის ადრინდელი სახის წარმოსადგენად (გვ. 33—34).

დისერტანტი სრული უფლებამოსილებით აცხადებს, რომ მისი ნაშრომი („ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა“) პირველია რუსთველოლოგიის ისტორიაში, სადაც „ერთად არის თავმოყრილი და სათანადო რედაქციების მიხედვით დალაგებული ვეფხისტყაოსნის ყველა ის ხელნაწერი, რომელზედაც ჩვენს მეცნიერებას ხელი მიუწვდება“ (გვ. 13). ამას ისიც უნდა დავძინო, რომ ს. ცაიშვილს აღწერილი აქვს არ მარტო საკუთრივ ის ხელნაწერები, რომლებიც მთლიანად ვეფხისტყაოსნის ტექსტს შეიცავს, არამედ ისეთებიც, რომლებსაც მინაწერებისა თუ სხვა სახით შემოუნახავს პოემის ფრაგმენტები. ნაშრომში სპეციალურად არის განხილული ვანის ქვაბთა კედელზე მიწერილი ორსტროფიანი ტექსტი პოემისა (გვ. 281—297).

ს. ცაიშვილის ეს ნაშრომი ნამდვილად წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ტექსტების შემცველი ყველა ხელნაწერი თუ ეპიგრაფიკული ძეგლის სისტემურ და თანმიმდევრულ მეცნიერულ აღწერილობას. ამ ნაშრომის დიდი მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება სრულიად უდაოა. სხვათა შორის, ავტორი ბევრგზის ასწორებს ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ აღწერილობათა ცალკეულ შეცდომებსა თუ უზუსტობათ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციებისა და დათარიღების თაობაზე.

ს. ცაიშვილის მიერ საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილი ორტომეულის ფასი ჩემთვის, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, უდაოა. მაქვს რამდენიმე შენიშვნა.

1. დისერტანტი სავსებით სწორად ამბობს, რომ ტექსტოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია „კომპლექსურობა და საკვლევი ობიექტის ყოველმხრივი შესწავლა“ (გვ. 16). ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციულ ჯგუფებად დასანაწევრებლად იგი თვითონ იყენებს ორ კომპონენტს: ტექსტის სტროფულ შედგენილობასა და თანმიმდევრობას (როგორც საყრდენს) და წაკითხვათა ნაირსახეობას (ვარიანტულ ვითარებას). მაგრამ მას

სრულიად არ მიუქცევია ყურადღება ვეფხისტყაოსნის დასათაურების სისტემისათვის ან. უბრალოდ, დასათაურების საკითხისათვის. ეს პრობლემა საერთოდ არ არის დასმული სარეცენზიო შრომაში. ეს ვიმაჩნია აქ შრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად.

II. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ხელნაწერული მემკვიდრეობა დისერტანტმა რედაქციულ ჯგუფებად დაჰყო პოემის სამი მონაკვეთის — პროლოგის, „შუა წელისა“ და დასასრულის მიხედვით. იგი შენიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს, მათ შორის ისეთ განათლებულსა და დახელოვნებულ პოეტს, როგორიც იყო თეიმურაზ პირველი, ვეფხისტყაოსანი წარმოედგინა ერთ მთლიან ამბად, რომელიც გმირთა სიკვდილით სრულდებოდა (გვ. 308—310). დისერტანტი იმასაც კი ამბობს, რომ შესაძლებელია თეიმურაზი არც იცნობდა ინტერპოლატორთა საქმიანობას და არა მარტო ინდო-ხატაელთა ამბავს, არამედ ე. წ. გაგრძელებებსაც (ე. ი. ხვარაზმელთა ამბავს, გმირთა ანდერძებსა და სიკვდილს რუსთველს მიაწერდაო (გვ. 310). თუ ასეა, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობა პოემის ყველა მონაკვეთში ერთიან რედაქციულ ჯგუფებად დალაგდებოდა. ს. ცაიშვილის შრომის მიხედვით ისე გამოდის, რომ სტროფული შედგენილობის კვალობაზე ერთ სურათს იძლევა პოემის პროლოგი, მეორეს — პოემის ძირითადი ნაწილი და მესამეს — პოემის დაბოლოება. ამავე დროს დისერტანტისავე სიტყვით, ხელნაწერთა სტროფულ შედგენილობაზე დამყარებულ კლასიფიკაციას „უპერს მხარს ხელნაწერთა ნაირკითხვაობაზე დამყარებული კლასიფიკაცია და ამის შემოწმება შეიძლება მ თ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე-ო (გვ. 380, დაყოფა ჩემია — ა. ბ.). აქ ორი რამ არის საყურადღებო: 1. სტროფულ შედგენილობაზე დამყარებულ კლასიფიკაციას მხარს უპერს ნაირკითხვაობაზე დამყარებული კლასიფიკაცია; 2. ასეთი ვითარება ყოფილა მთელი ტექსტის მანძილზე. ე. ი. ნაირკითხვაობა მყარი ყოფილა მთელი პოემისათვის, სტროფული შედგენილობის სურათი კი ცვალებადი პოემის სხვადასხვა ნაწილებს შორის. არსებული ვითარება მკელევარს უკარნახებდა უფრო მეტი ანგარიში გაეწია ნაირკითხვაობისათვის, როგორც უფრო მყარი საფუძვლის მქონე ფაქტორისათვის, ვიდრე ამას ადგილი აქვს სადისერტაციო შრომაში (მხოლოდ დ ა მ ხ მ ა რ ე კომპონენტიაო). ამასთან ერთად ს. ცაიშვილი საჭირო ანგარიშს არ უწევს ც. კარბელაშვილის შესანიშნავ ნარკვევს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი“ (კრ. შოთა რუსთველი, 1966, გვ. 339—350), სა-

დაც მოცემულია საინტერესო ცდა ვეფხისტყაოსნის ნუსხათა კლასიფიკაციისა ტექსტების სტილისტური სისტემის საფუძველზე. ც. კარბელაშვილის გამოკვლევით ისიც ირკვევა, რომ ხელნაწერთა ნაირკითხვაობაზე დამყარებული კლასიფიკაცია ყოველთვის როდი უპყრია მხარს სტროფული შედგენილობის კლასიფიკაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა JKOT ჯგუფის ხელნაწერთა სურათი. ამ ხელნაწერების ტექსტი, ნაშეტნავად JT-ს ტექსტი, ძალზეა ნასწორები და რედაქციულად მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელნაწერთა სხვა ჯგუფებისაგ-ნ. ს. ცაიშვილის სქემის მიხედვით კი ხელნაწერთა ეს ჯგუფი შედარებით ახლოსაა პირველ რედაქციულ ჯგუფთან. მაშასადამე, ნაირწაკითხვები იძლევა ერთ სურათს, სტროფული შედგენილობა — მეორეს. ნაირწაკითხვებზე დამყარებული კლასიფიკაცია არ უპყრია მხარს სტროფულ შედგენილობაზე დამყარებულ კლასიფიკაციას.

ჩვენი ფიქრით, ს. ცაიშვილი უმართებულოდ უპირისპირებს ერთი მეორეს კლასიფიკაციის სხვადასხვა ამოსავალ თვალსაზრისს ერთი რომელიმეს სასარგებლოდ. ამით ის არღვევს კომპლექსურობის იმ პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობას სავალდებულოდ უთვლის ყველა თანამედროვე ტექსტოლოგს.

III. ვეფხისტყაოსნის ტექსტი საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით იცვლებოდა, კერძოდ, მატულობდა ტექსტის შედგენილობა. ეს სადაო არ არის. საკითხავია, რამდენად ასახავს ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერი მემკვიდრეობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ზრდის სურათს. რა თქმა უნდა, ზოგადად და ერთგვარად განყენებულად რომ ვიმსჯელოთ, მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერები უფრო ახლოს უნდა იყოს საგულვებელ პირველ დედანთან, ვიდრე ვრცელი რედაქციის ხელნაწერები. ამ ზოგად მოსაზრებას სჭირდება დასაბუთება კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე. ისე როგორც ხელნაწერთა ქრონოლოგიური სიძველე არ გამოდგება მისი ტექსტის, ვთქვათ, ენობრივ-ორთოგრაფიული სიძველის საზომად, ასევე ხელნაწერის ტექსტის რედაქციული სიმოკლე არ კმარა მისი წარმოშობის სიძველისა და პირველადობის დასამტკიცებლად. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა ბორის დარჩიამ. მას ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხები «ხვარაზმელთა ამბის» მიხედვით“. ამ ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ბეჭდურადაც გამოქვეყნდა (ჟურნ. „მაცნე“, 1967, № 2, 4). ბ. დარჩიას გამოკვლევის თანახ-

მად, „ხვარაზმელთა ამბის“ შემცველი ხელნაწერები რედაქციულად იყოფა ხუთ ჯგუფად (ა, ბ, გ, დ, ნარევი). ამ დაჯგუფებას საფუძვლად უდევს ტექსტის როგორც შედგენილობა, ისე ნაირკითხვათა ვითარება. ს. ცაიშვილის კლასიფიკაციით „ხვარაზმელთა ამბავი“ იყოფა ორ რედაქციულ ჯგუფად. ბ. დარჩია ადასტურებს ცაიშვილის მიერ ცალკე (პირველ) ჯგუფად გამოყოფილი რედაქციის სინამდვილეს, მაგრამ ტექსტის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად მას სხვა რედაქციული ჯგუფებიც აქვს დასახელებული. ამგზობის ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ბ. დარჩია სრული უეჭველობით ამტკიცებს, რომ „ხვარაზმელთა ამბის“ მოკლე რედაქციის ტექსტი წარმოადგენს ვრცელი რედაქციის ტექსტის შემოკლებას. ტექსტის ადრინდელი სახე შენარჩუნებული აქვს ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერებს. მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერები ატარებს გასწორების, რედაქციული პრესის უცილობელ დაღს. „ხვარაზმელთა ამბის“ ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას ბ. დარჩია აზოგადებს და მას ავრცელებს ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტზე. ე. ი. ბ. დარჩია აპირებს „ხვარაზმელთა ამბის“ რედაქციული სურათის მიხედვით გადაწყვიტოს მთელი კეფხისტყაოსნის ბედი. ეს დასკვნა სადაოა. „ხვარაზმელთა ამბავს“ სპეციფიკური ხასიათი აქვს. ეს ამბავი შეიქმნა ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის ჩამოყალიბების შემდეგ, ინტერპოლატორობით გატაცების პერიოდში. ამიტომაც არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით „ხვარაზმელთა“ ამბის რედაქციული დამუშავების ისტორია თავზე მოვახვიოთ საკუთრივ ვეფხისტყაოსანს. თუმცა ბ. დარჩიას მოსაზრება ანგარიშგასაწევია. სწორედ ისე უნდა დამუშავდეს ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის მოკლე და ვრცელი რედაქციების შემცველი ხელნაწერების ურთიერთმიმართება, როგორც ეს დარჩიამ გაარკვია „ხვარაზმელთა ამბის“ მაგალითზე. ჩემი აზრით 1. ს. ცაიშვილი ცოტა მკაცრად აფასებს ბ. დარჩიას მუშაობის შედეგს (გვ. 394—395, სქოლიო): „ახალგაზრდა მეცნ. მუშაკი ბ. დარჩია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აღნიშნავს: «წაკითხვების მხრივ შედარებით პირველადი ტექსტი რომ უფრო ABC და მასთან ახლო მდგომ ხელნაწერებშია შემონახული, ეს ჩანს მთელი ვეფხისტყაოსნის მაგალითზეც და. მათ შორის, „ხვარაზმელთა ამბის“ მონაცემთზეც». უფრო მეტიც, ამის აღიარებით ისიც დაასკვნა, რომ თურმე მოკლე ხელნაწერები (ჩვენი აღნიშვნით პირველი რედაქციისა, — ს. ც.) ვრცელი ხელნაწერების შემოკლებას წარმოადგენენ. ეს გაბედული დასკვნა მან ისე მიიღო, რომ არც კი განუხილავს

ამ თვალსაზრისით პოემის შუა მონაკვეთი და მსჯელობა «ხვარაზმელთა ამბის», ისიც არასწორად გაგებულ, ტექსტუალურ თავისებურებებს დააყრდნო. ბ. დარჩიას ძიერ წამოყენებული მოსაზრება ვერც ერთ პუნქტში კრიტიკას ვერ უძლებს და სრულიად უგულებელჰყოფს ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარების რეალურ ვითარებას“ (ჟურნ. „მაცნე“, № 2, 1967).

IV. როგორც აღვნიშნეთ, ს. ცაიშვილი გარკვეულ პრაქტიკულ რეკომენდაციებს გვთავაზობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის სახელმძღვანელოდ. იგი თვლის, რომ უპირატესობა (თუ პრიორიტეტი) არ უნდა მიეცეს ხელნაწერთა არც ერთ რედაქციულ ჯგუფს, რომ ყველა ჯგუფი და ყველა ცალკეული ხელნაწერი თანაბარი ყურადღებით უნდა სარგებლობდეს, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ყოველმხრივმა კონკრეტულმა ანალიზმა უნდა ცხადყოს ამა თუ იმ სტროფის ძირითადობა-ჩანართობა თუ ამა თუ იმ წაკითხვის მართებულობა. ყველაფერი ეს საერთოდ სწორია. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ს. ცაიშვილი მაინც საჭიროდ თვლის შენიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის საფუძვლად უნდა მივიღოთ არა მოკლე რედაქციების შემცველი ხელნაწერების ტექსტი, არამედ ვრცელი რედაქციების შემცველი, მისამე ჯგუფის ხელნაწერთა ტექსტი (გვ. 219). ს. ცაიშვილის მოსაზრებით, ეგევე „ჯგუფი უნდა მივიღოთ საკითხის კვლევის ბაზად“ პოემის დაბოლოებისათვის (გვ. 319). ამრიგად, სარეცენზიო შრომის ავტორი თვლის, რომ ვეფხისტყაოსნის თავ-ბოლო ნაწილებისათვის საკვლევ „ბაზად“ უნდა მივიღოთ ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერები ABC და მისთანანი. თუ ასეა, რა დაამავა პოემის „შუა წელმა“? ლოგიკური იქნებოდა პოემის ამ ნაწილის „ბაზადაც“ ხელნაწერების ეს ჯგუფი მიგვეჩნია, მით უფრო, რომ ს. ცაიშვილის დასკვნით სწორედ ამ ჯგუფის ხელნაწერებმა „შემოგვინახეს ბევრი ორთოგრაფიულად გამართული ადგილი და აშკარად ავთენტიკური წაკითხვები“ (გვ. 395). ს. ცაიშვილი ამ არ იქცევა. იგი საყვედურის კილოთი შენიშნავს, რომ ზოგი მკვლევარი ამ ჯგუფს წინ წამოსწევს ხოლმეო (გვ. 393) და ამით თითქოს წონასწორობას არღვევს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი მემკვიდრეობის შეფასების მხრივ. საინტერესო ის არის, რომ აღნიშნული გარემოების გამო ს. ცაიშვილი აკრიტიკებს ბ. დარჩიას და ერთგვარად კენწლავს ც. კარბელაშვილს („ABC ხელნაწერებით ზედმეტი გატაცება ჩანს, მაგალითად, ც. კარბელაშვილის ნაშრომშიც“-ო, გვ. 395, შნშ). ჩვენ ვფიქრობთ, რომ

დღესდღეობით არსებული მასალები, მათ შორის, ს. ცაიშვილის სადისერტაციო ნაშრომი უეჭველად ცხადყოფს, რომ ABC ხელნაწერებს შედარებით უკეთ აქვს შემონახული პოემის ტექსტი, კერძოდ და განსაკუთრებით, ამ ტექსტის ენობრივ-სტილისტური მხარე და სწორედ ეს ჯგუფი გამოდგება ვეფხისტყაოსნის ავთენტიკური ტექსტის დასადგენ საუკეთესო „ბაზად".

V. მე უკვე აღვნიშნე, რომ ვეფხისტყაოსნის მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობის მეცნიერული აღწერილობით ს. ცაიშვილმა უეჭველად საშური და სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ აღწერილობანი საერთოდ ძალზე მოკლეა, და, რაც მთავარია, ყოველთვის სისრულით, მით უფრო ამომწურავი სისრულითა და საჭირო სიზუსტით ვერ გვისურათებს და ვერ გვახასიათებს აღწერილი ხელნაწერების რაგვარობას. სანიმუშოდ შევამოწმოთ ვეფხისტყაოსნის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი E (H — 599) გადაწერილი ოდიშში ლევან დადიანის კარზე მამუკა მდივნის მიერ 1646 წ.

ს. ცაიშვილი გვაუწყებს, რომ E ხელნაწერის გადამწერი არის ცნობილი პოეტი და კალიგრაფი იმერეთის მეფის მდივანი მამუკა თავაქარაშვილი (ხოგი წარწერით: თავქარაშვილი), რომელსაც ვეფხისტყაოსანი გადაუწერია და ილუსტრაციებით შეუმკია სამეგრელოში, ლევან მეორესთან ტყვეობის ჟამს" (გვ. 86, დაყოფა ჩემია — ა. ბ.), მკითხველი და მსმენელი იფიქრებს, რომ ხელნაწერის გადამნუსხავი ყოფილა მდივანი მამუკა, გვარად თავაქარაშვილი, რომელიც ზოგი „წარწერით" თურმე თავქარაშვილადაც იწოდება. მსგავსი რამ საანალიზო ხელნაწერში არ არის. გადამწერის გვარი აქ საერთოდ არ არის მოხსენიებული (მით უფრო საგანგებო „წარწერითა" და ნაირი ფორმით). მამუკა მდივანს თავაქარაშვილობა (უკეთ — თავაქალაშვილობა, დამყარებულია გარკვეულ ვარაუდზე (თუმცა საესებით დასაბუთებულ ვარაუდზე). დისერტანტი ამ ვარაუდის პირველწყაროს არც ახსენებს და არც ლიტერატურაში იმოწმებს. არსებითად კი გვაწვდის არასწორ ცნობას, თითქოს „წარწერით" (რა წარწერით? ხელნაწერის რომელ გვერდზეა ეს „წარწერა"?) გადამწერის გვარი ყოფილა თავაქარაშვილი (თავქარაშვილი).

მამუკა თავაქარაშვილს ხელნაწერი გადაუწერია და „ილუსტრაციებით შეუმკიაო", ამბობს აღმწერელი. ხელნაწერი მართლაც დასურათებულია. სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა

რმის თაობაზე, თუ ვინაა დამსურათებელი. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ მამუკა მდივანი გადამწერიც იყო და დამსურათებელიც. ლ. შერვაშიძის სპეციალური გამოკვლევის თანახმად, მამუკა მხოლოდ გადამწერია, ხოლო ილუსტრატორია სხვა[2], ს. ცაიშვილმა ლ შერვაშიძის მიერ დასმულ საკითხს გვერდი აუარა და მისი ნაშრომი არც მოიხსენია ლიტერატურის ინდექსში.

ს. ცაიშვილს მოჰყავს მამუკა მდივნის რამდენიმე მინაწერი, მაგრამ არაფერს ამბობს ერთ ჩანაწერზე, რომელიც სხვადასხვა გარემოების გამო დიდ ინტერესს იწვევს. ამ ჩანაწერს რუსთველოლოგი ს. კაკაბაძე შემდეგნაირად კითხულობს: „(აქა) (ა)შორთან რუსთველი ამ წიგნსა სწერს“ (სარგის კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 98). ს. კაკაბაძე საგანგებოდ შენიშნავს, იმის გამო, რომ მამუკასეული ხელნაწერი ერთ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ამ ხელნაწერის ადრინდელ წაკითხვაში შეცდომა მომხდარა და ნაცვლად სახელისა ა შ ო რ თ ა ნ, ამოუკითხიათ ა შ ო თ ა ნ (იქვე, შნშ 1). აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე ს. კაკაბაძეს შემუშავებული აქვს შოთა რუსთველის ბიოგრაფიის ფანტასტიკური კონცეფცია. შ. ამირანაშვილი სხვაგვარად კითხულობს ამ ჩანაწერს. „(მამუკა მდი)ვანთან რუსთველი ამ წიგნ(ს)...“ (შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში, საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 155). ჩვენ შევამოწმეთ ჩანაწერი გადიდებული და ინფრაწითელი სხივებით გამოვლინებული (გამოშუქებული) ფოტო-პირის მიხედვით (ფოტო-პირი თავაზიანად მოგვაწოდა გიორგი წერეთელმა). შემოწმებით აშკარა გახდა კაკაბაძისეული წაკითხვის მცდარობა. ამგზობის ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ ს. ცაიშვილი ყოველივე აღნიშნულის შესახებ ღუმს. ეს კი არ ეპატიება ხელნაწერის მეცნიერული აღწერილობის ავტორს. აღწერილობისათვის დართული ლიტერატურის სიაც უკმარია.

VI. ს. ცაიშვილი მეტად გრძნობიერია სხვების მიმართ წყაროების დასახელების საკითხში (შდრ. I, 111, 1; II, 105, 1; I; 173, 1; I, 296,1) თუმცა თვითონ როდია ამ მხრივ უცოდველი. მთავარი მაინც ისაა, რომ ს. ცაიშვილი იჩენს დაუდევრობას და წყარო-

---

[2] იხ. ლ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მ ო ა მ ბ ე, ტ. XVI № 6, 1955, გვ. 487—494; მ ი ს ი ვ ე, О грузинской светской миниатюре, Тб. 1964, გვ. 127—136).

ებს ყოველთვის სწორად ან ზუსტად არ იმოწმებს. დაუდევრადაა შედგენილი დამოწმებული ლიტერატურის სია (II, 298—310). ასე:

1. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926 წ., ჟურნ. „მნათობი", 1927, № 3, № 4 (გვ. 300). აქ ერთ ერთეულად (სია დანომრილი არ არის) დასახელებულია ორი სხვადასხვა ხასიათის და სხვადასხვა სათაურის მქონე ნაშრომი.

2. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, გიორგი წერეთლის, სარგის ცაიშვილის, გურამ (დაბეჭდილია გერამ) კარტოზიას რედაქციით, 1966. პოემის ასეთ გამოცემას ჩვენ არ ვიცნობთ. სამაგიეროდ, არსებობს პოემის გამოცემა, რომელსაც სატიტულო ფურცელზე აწერია: ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, თბილისი, 1966.

ესენი სხვადასხვა გამოცემებია?

3. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ჩანართებითა და დანართებით. ს. ყუბანეიშვილის რედაქციით (?!), 1956 წ. ამის გვერდით დამოწმებულია: ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებისა (?!), 1956.

ვითომ სხვადასხვა წიგნებია? ს. ყუბანეიშვილი ავტორია, რედაქტორია თუ ტექსტის გამოსაცემად მომამზადებელი?

4. ერთგან (გვ. 215) საგნის ლიტერატურაში დასახელებულია: გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერი, გაზ. „კოლხეთის ცისკარი", 1965, № 128 (გადმობეჭდილია გაზეთ „თბილისიდან"). ინდექსში იგივე წერილი დამოწმებულია მხოლოდ „კოლხეთის ცისკრით" (გვ. 302). ჯერ ერთი, „თბილისის" პასპორტი მოტანილი არაა. მეორე, თუ წერილი „თბილისიდან" გადაიბეჭდა, პირველად ყოვლისა სწორედ ის უნდა ყოფილიყო დასახელებული. „კოლხეთის ცისკარი" ეგზოტიკისათვის ხომ არ არის მოხმობილი?

5. „ლიტერატურული მემკვიდრეობა" ხან კრებულადაა აღიარებული, ხანაც ჟურნალად (გვ. 301), ხან უწერია ტ. პირველი (გვ. 221, 301), ხან მეორე (იქვე), ხანაც საერთოდ არა აქვს რაიმე აღმნიშვნელი ნომერი (გვ. 120).

6. Платон Исселиани. Закавказский вестник, 1845, № 1 (გვ. 308). როგორ, „ზაკავკაზსკი ვესტნიკი" პ. იოსელიანის ნაშრომის სათაურია? (შდრ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე, „საისტორიო მოამბე", ტ. I—II).

7. მკითხველი ვერ გაიგებს, თუ რას ნიშნავს, მაგალითად, ასეთი დასახელება: ალ. ბარამიძე, მცირე შენიშვნები, ტ. V, 1936.

VII. სარეცენზიო ნაშრომის ორივე წიგნში დაშვებულია მეტად უხეში ხასიათის კორექტურული შეცდომები, რომლებიც ზოგჯერ აზრს ამახინჯებს და ლაფსუსის ხასიათს ატარებს.

VIII. წიგნში ბევრია განმეორება.

შენიშვნები შენიშვნებია, მაგრამ სარეცენზიო შრომა, როგორც თავშიც აღვნიშნე, სერიოზული, სოლიდური გამოკვლევაა. ამ გამოკვლევის საფუძველზე მისი ავტორი სავსებით იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი ათასხუთასი წლისაა

ეს ძეგლია „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ ანუ „შუშანიკიანი“, რომელიც დაწერილია ჩვენი წელთაღრიცხვის 476—484 წლებს შუა.

„შუშანიკიანი“ მოგვითხრობს ჩვენი შორეული წარსულის ნამდვილ ისტორიულ ამბავს. 467 წელს სპარსეთში გამგზავრებულა ქართლის დიდი სახელმწიფო მოხელე, პიტიახში (მთავარი) ვარსქენი. ანგარების მიზნით მას ღარუყვია მშობლიური ქრისტიანული სჯული და მიუღია მაზდეანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა). ამასთან ვარსქენ პიტიახშს აღუთქვამს სპარსეთის შაჰისათვის, რომ მაზდეანობაზე მოაქცევდა მის ცოლს შუშანიკს და შვილებს. გახარებულ შაჰს შესაფერისად დაუჯილდოვებია პიტიახში, ცოლად მიუცია მისთვის საკუთარი ასული და დიდი პატივით გამოუსტუმრებია სამშობლოში. როგორც კი შუშანიკ დედოფალს გაეგია ქმრის განდგომა, დაუტოვებია სასახლე და შვილებითურთ დასადგურებულა ერთ პატარა სენაკში. ვარსქენი აღუშფოთებია დედოფლის საქციელს და ყოველმხრივ ცდილა მის დაბრუნებას და შემორიგებას. ნებაყოფლობით რომ ვერ დაიყოლია დედოფალ, მაშინ უმკაცრესი ძალადობა იხმარა, რამდენიმეჯერ მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას, შემდეგ ბორკილები დაადო და საპყრობილეში გამოამწყვდია. ექვსი წელი დაჰყო შუშანიკმა საპყრობილეში, დასნეულდა, „დადნა ვითარცა ავლი“ და მოწამებრივად აღესრულა 475 წელს.

ეს შინაარსობრივი სქემა „შუშანიკიანში“ გაშლილია მძაფრი, ექსპრესიული მოთხრობის სახით.

ჯერ იმის თაობაზე თუ ვინაა ამ თხზულების ავტორი. იგი ყოფილა წამებული დედოფლის თანამოღვაწე, მისი სულიერი მოძღვარი და საპიტიახშოს კარის ხუცესი იაკობი, რომელიც იაკობ ცურტაველის სახელით არის ცნობილი (ცურტავში იყო პიტიახშის რეზიდენცია). როგორც შუშანიკის პირად მოძღვარს, იაკობს

კარგად სცოდნია შუშანიკის ცხოვრების გარემოებანი და მისი სახასიათო თვისებები. იაკობს ეშვი არ ეპარებოდა შუშანიკის რწმენის სიმტკიცეში. იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ დედოფალი თავს გამოიდებდა ქვეყნისა და ქრისტიანული რჯულისათვის, არ მიენდობოდა განდგომილ ვარსქენს, წამებით აღასრულებდა სიცოცხლეს. ვარსქენი ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული ცურტავში, რომ იაკობს გამოუკითხავს დედოფლისათვის მისი ცხოვრების საიდუმლოებანი, „რაითა უწყოდი და აღვწერო შროშაი შენიო". მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, იაკობი ჰარნც ახერხებდა ნაცემ-ნაგვემი, ჯერ სენაკში გამოკეტილი და შემდეგ საპყრობილეში გამოწყვდეული დედოფლის ნახვას, მისთვის სულიერი და მცირეოდენი ხორციელი საზრდელის მიწოდებას. ასე რომ იაკობ ცურტაველი იყო უშუალო მოწმეც და მოწამეც იმ უბედურებისა, რაც თავს დაატყდა შუშანიკ დედოფალს. იაკობმა სამაგალითო პირუთვნელობითა და სიმართლით აღწერა მისთვის ასე კარგად ნაცნობი ტრაგიკული ამბავი. შუშანიკი აღესრულა 475 წელს. მაშასადამე, მისი თავგადასავალიც აღწერილია ამის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 484 წლისა, როცა ვახტანგ გორგასალმა მოღალატე ვარსქენი სიცოცხლეს გამოასალმა. თხზულებაში ვარქსენი ცოცხალ, მოქმედ, აქტიურ პირად არის გამოყვანილი.

აი, ამ უტყუარ წანამძღვრებს ემყარება „შუშანიკიანის" წარმოშობის მიღებული თარიღი.

გარეგნულად, ფორმალურად, „შუშანიკიანი" განეკუთვნება ე. წ. აგიოგრაფიული მწერლობის ჟანრს. ნამდვილად და არსებითად ეს არის მხატვრულ-ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები, რომელიც ვერ მოთავსდება აგიოგრაფიული ჟანრის ვიწრო ფარგლებში. უკვე აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე გადაჭრით ამბობდა, რომ შუშანიკის წამება „არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილი, ისიც აგიოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტული პროზის ხასიათი აქვსო". აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „შუშანიკიანი" საისტორიო დანიშნულების თხზულებაა, რომლითაც „მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება". ივანე ჯავახიშვილის ფიქრით, შუშანიკის დევნა და სასჯელი გამოუწვევია სამთავრო ოჯახის საფუძვლების დარღვევას და არა სარწმუნოებრივი უთანხმოების ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტს. ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერს: „თუ მკითხველი იაკობ ხუცესის მოთხრობაში აღწერილს საქმის მთელს გარემოებას ჩაუკვირდება,

ადვილად დაინახავს, რომ ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახითგან, რაც ვარსქენს თავის თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია". მართლაც-და, ვარსქენმა ხელი უდიერად მან-ნ მიჰყო დედოფალს და უმოწყალოდ, მხეცურად სცემა, როცა შუშანიკმა ოჯახური პურობის დროს მისი რძლის მიერ მოკრძალებითა და თავაზიანობით მიწოდებული „ჭიქაი" ღვინითა პირსა შეალეწა და ღვინოი იგი დაითხია". ამ პურობის დროს (ზოგჯერ სხვა დროსაც) შუშანიკმა გამოამჟღავნა თავისი ფიცხი, თავშეუკავებელი ხასიათი. რა თქმა უნდა, შუშანიკის ხასიათის სიფიცხეს აპირობებდა და ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ვარსქენმა დაამდაბლა და მიწასთან გაასწორა მტკიცე სარწმუნოებრივი გრძნობის პატრონი დედოფლის მეუღლეობრივი, ქალური, ადამიანური ღირსებანი, ახალი ცოლი მოიყვანა და თანაც შუშანიკთან შერიგებასა და მეუღლეობრივი ურთიერთობის გაგრძელებას აპირებდა. ეს იყო შენილბული მზაკვრობა. შუშანიკი შეუპოვარი იყო და უკომპრომისო, როცა საქმის ადამიანურ ღირსებასა და სარწმუნოებრივ გრძნობას შეეხებოდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ძველ საქართველოში ქრისტიანული რჯულის ნიადაგზე ურყევად დგომა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგულებას მოასწავებდა, დამპყრობლის რჯულზე გადასვლა კი ნიშნავდა სამშობლო-ქვეყნის ღალატს. გადარჯულება — ქვეყანას უქმნიდა ეროვნული გადაგვარებისა და გადაშენების რეალურ საფრთხეს. აღმოსავლელი აგრესორები (სპარსელი მაზდეანები, არაბი მუსლიმანები, ყიზილბაშები და ოსმალები) თავიანთ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას ჩვეულებრივ იყენებდნენ ხოლმე ჩვენი ქვეყნის დამორჩილებისა და დამონების ბასრ იარაღად. ქართველობას კარგად ჰქონდა შეგნებული მოძალეე ძტრების მუხანათობის ეს მხარე. ყველა, ვინც თავს სწირავდა ქრისტიანობას, ამით ემსახურებოდა დიდ ეროვნულ, პატრიოტულ საქმეს. ქრისტიანობისათვის წამებული ობიექტურად ეროვნული გმირის შარავანდედით იმოსებოდა.

შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტი ერთი შეხედვით ხითქოს ოჯახური დრამის ხასიათს ატარებს, მაგრამ ნამდვილად ეს იყო ორი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის მწვავე ბრძოლით გამოწვეული კონფლიქტი. მტრების მხარეზე გადასული, გადარჯულებული, გალაღებული და აღზევებული პიტიახში გამოხატავს ქვეყნის მოღალატე შაჰის აგენტს, პოლიტიკურ რენე-

გატს. შუშანიკი ეროვნული გმირია, რომელიც არ დაემორჩილა განდგომილი მეუღლის განაჩენს, ქედი არ მოიხარა, უზრუნველ ცხოვრებას ამჯობინა ჯოჯოხეთური ტანჯვა და მოწამებრივი სიკვდილი. ამით შუშანიკმა სულიერი მხნეობისა და მამაცობის საშვილისშვილო მაგალითი მისცა მის თანამედროვეებსაც და შთამომავლობასაც. შემთხვევითი როდია, რომ შუშანიკი იყო თავის მაზლთან, ჯოჯიკთან ერთად ქართლის ათაბაგიანში კარზე აღზრდილი პატრიოტი, ანტისპარსული აჯანყების მოთავე, თავისი სახელოვანი მამის, ვარდან მამიკონიანის საყვარელი ასული და მისი ტრადიციების მიმდევარი.

იაკობ ცურტაველმა გამოკვეთილად, დიდი მგზნებარებითა და ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა ორი დაპირისპირებული ხასიათი — სამარცხვინო მოღალატურ საქმეთა მოქმედი და თვალთმაქცი ვარქსენი, ერთი მხრივ, და უაღრესობამდე სიმპათიური, მიმზიდველი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებისათვის მებრძოლი და თავდადებული შუშანიკ-დედოფალი, მეორე მხრივ. ეს დაპირისპირება ედევს საფუძვლად იაკობ ცურტაველის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. ხაზგასასმელი ის არის, რომ ცურტაველი დაეუფარავად ბატავს თავისი პერსონაჟი-ქალის ხასიათის ზოგიერთ საჩოთირო, თუ გებავთ, უარყოფით მხარეს, რითაც გვიმტკიცებს თავის მწერლურ-შემოქმედებითს იშვიათ ობიექტურობას. ცურტაველის შუშანიკი სრულიადაც არ ჰგავს აგიოგრაფიული მწერლობის მიერ შაბლონად ქცეულ უსიცოცხლო ასკეტს, უდრტვინველ, სიკვდილს მონატრებულ ინერტულ „წმინდანს“. შუშანიკი იყო სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, რომელიც როდი ფარავდა თავის ღრმა გულისწყრომას, რომ მტარვალმა ქმარმა „უეამოდ ნაყოფნი მისნი მოისთულნა და სანთელი მისი დაშრიტა და ყუავილი მისი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა მისისაი დააბნელა და დიდებაი მისი დაამდაბლა“. შუშანიკს სრულიადაც არ მიუხაროდა საიმქვეყნოდ, გული მას აქ, დედამიწაზე რჩებოდა. საგულისხმო ის არის, რომ შუშანიკი თავს მარტოდ გრძნობდა (ყოველ შემთხვევაში მას ასე ეჩვენებოდა) სარწმუნოებრივი სიწმინდისა და ზნეობრივი ღირსებისათვის მის მიერ წამოწყებულ უთანასწორო ბრძოლაში. იგი დიდი გულისტკივილით შესჩიოდა გამჩენს: „უფალო ღმერთო არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“. ასევე საყვედურის სიტყვებით მიმართავ-

და შუშანიკი ჯოჯიკსა და მის მეუღლეს: „არა ვინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაი და ტკივილი ჩემთვის". ცხადია. საყვედურის წილი მოდიოდა იაკობ ცურტაველზეც. ესეც იაკობ ხუცის პირუთვნელობაზე მეტყველებს. შუშანიკის სიტყვით, ვარსქენ პიტიახში ბოროტად იყენებდა თავის პოლიტიკურ უფლებებსა და მამაკაცურ ძალას ყველასაგან მიტოვებული, სუსტი და უძლური დედაკაცის მიმართ. წამებული დედოფალი იმედოვნებდა, რომ ღმერთი სამაგიეროს მიუზღავდა მას უსამართლოდ მტანჯავ მტარვალს: „განვისაჯნეთ მე და ვარქსენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალღებაი (პირფერობა), წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა მის მეუფეთაისა. სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა". ამ ციტატიდან ისიც კარგად ჩანს, რომ შუშანიკი ვერ უერთგდებოდა ქალის უუფლებო მდგომარეობას საზოგადოებასა და ოჯახში, ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა ქალი და მამაკაცი თანაბარ უფლებებით ისარგებლებდნენ. რა ეუყოთ, რომ V საუკუნის მოღვაწე ქალს ასეთად საიქიო ცხოვრება ეჩვენებოდა. მთავარი ისაა, რომ შუშანიკი გმობდა არსებულ სოციალურ უსამართლობას და ქალთა თავისუფლების მოსარჩლედ გამოდიოდა.

ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, თითქოს ზოგჯერ ვარსქენიც ამჟღავნებდა ადამიანურ თვისებებს, სიბრალულსა და ლმობიერებას იჩენდა შუშანიკის მიმართ, სარწმუნოებრივ ნიადაგზე მას არ ავიწროებდა და მხოლოდ სახლის ღირსებაზე ზრუნავდა. მართალია, ვარსქენმა ჯერ მისანდო ხუცები მოუგზავნა შუშანიკს, შემდეგ საპიტიახშო კარის ეპისკოპოსი და ჯოჯიკი ცოლითურთ და დაჟინებით ითხოვდა დედოფლის შინ დაბრუნებას. ბოლოს, საპყრობილეში გამოწყვდეულს ძუძუის-მტე (ძუძუს მოზიარე) აახლა და იმის პირით შეუთვალა: „ნუ აოხრებ სახლსა მას თქუენსა", ოჯახსა და სახლ-კარს მიხედეო. მაგრამ შუშანიკმა კარგად იცოდა, რომ ეს იყო თვალთმაქცური მზაკვრობა, „რამეთუ მაგით საბით ეგულებოდა შეტყუვილი (მოტყუება)... და მას სხუაი ზრახვაი გულსა მოეხადა (მოუვიდა) სიბოროტისაი". ამგვარი მუხანათური ხერხით უნდოდა ვარქსენს „მონადირებაი ნეტარისაი".

„შუშანიკიანის" ყველა პერსონაჟი (მათ შორის მეორეხარისხოვანიც) დახატულია ნიშანდობლივად სახასიათო შტრიხებით. თხრობა ვითარდება დინამიკურად, მწყობრად, ლოგიკური თანამიმდევრობით, მთავარი სასიუჟეტო ხაზიდან გადაუხვეველად, გა-

უჭიანურებლად. თხზულების მიხედვით, შუშანიკს მხოლოდ ორიოდეჯერ წარმოუთქვამს ლოცვა, და ისიც საოცრად მოკლე. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „შუშანიკიანის“ ქართული დედნიდან გადაღებული მისი სომხური ვერსია ლოცვების სწორედ უაღრესობამდე გაერცობილ ტექსტებს შეიცავს. ამასთან ერთად „შუშანიკიანისათვის“ სრულიად უცხოა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და კონფესიურ-აღმსარებლობითი რაიმე ტენდენცია, მაშინ როდესაც სომხური ვერსია ძლიერად არის გამსჭვალული ამ ტენდენციის სულისკვეთებით. სხვათა შორის, ეს გარემოებაც იმაზე მიუთითებს, რომ იაკობ ცურტაველის „შუშანიკიანი“ სომხურ-ქართული საეკლესიო გათიშულობაზე ადრინდელია, სომხურ ვერსიას კი გათიშულობის შემდეგდროინდელი ვითარების იერი დაჰკრავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „შუშანიკიანის“ ქართული ტექსტი ყოველ ეჭვს გარეშე პირველადია წარმოშობილობის მხრივ, სომხური — მეორადი. იაკობ ცურტაველი იმთავითვე საგანგებოდ ხაზს უსვამს შუშანიკის სომხურ წარმომავლობას, იგი გულწრფელი სიმპათიით იხსენიებს სომეხთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლის, შუშანიკის მამის ვარდან მამიკონიანის სახელს. „შუშანიკიანიდან“ მკაფიოდ გამოიკვეთება სომხურ-ქართული ისტორიული ძმობის შორეული გამოძახილი.

იაკობ ცურტაველის თხზულების ენა ხატოვანია, გამომეტყველი, სტილი — ლაპიდარული, ფრაზები მოკლე, მოკვეთილი, მტკიცედ შეკრული, სიტყვები ეკონომიურად შერჩეული, ემოციური და შინარსობრივად მაქსიმალურად დატვირთული. თავის აზრებს ავტორი გამოთქვამს ნათლად და გამჭვირვალედ. ზომიერად და მოხდენილად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს (მეტაფორას, შედარებას, ალეგორიას, დაპირისპირებას, პარალელიზმებს, მიმართვებს და ა. შ.). საუცხოოა „შუშანიკიანის“ ცოცხალი დიალოგები. ერთი სიტყვით, იაკობ ცურტაველი მხატვრული თხრობისა და მხატვრული ენის დახელოვნებული ოსტატია, ნამდვილად დახვეწილი მხატვრული გემოვნების პატრონი. თქმულის საილუსტრაციოდ ჩვენ აქ მოვიტანთ საოჯახო პურობის ცნობილ ეპიზოდს თითქმის მთლიანად:

> „და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მველი იგი (ვარსქენი) ტაძრად (სასახლეში) და ჰრქუა მსახურთა თჳისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ. ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიდ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაჟამს შემწუხრდა (შეღამდა), მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა

და ინებეს ერთად პურისა ჭამაი, რაითამცა მოიყვანეს წმიდაი შუშანიკაცა და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაი, შეევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა (უპმელად) გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად (სასახლეში), ხოლო გემოი არა რაისაი იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“ და განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა და ღვინოი იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი (რკინის მაშა), და უხეთქნა მათ თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი... და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მოხრებელად სახელსდებდა მას. და უბრძანა შეკრვაი მისი და ბორკილთა შეჰხმაი ფერხთა მისთა“.

იაკობ ცურტაველი ბუნების ბრწყინვალე მხატვარია. აი, როგორ აგვიწერს იგი ცხელი ზაფხულის ყოვლის შემწველი ჰავის საშინელებას:

„ქამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ბორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დაჭვნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათ ჭუეყანათა“.

მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, რომ ასეთი შემზარავი ჰავის დროს შუშანიკი ნესტიან საპყრობილეში იყო გამომწყვდეული და ბორკილებით შეკრული. აბა, რა ჯანი გაუძლებდა ბუნების ამ მძვინვარებას!

თუმცა, „შუშანიკიანის“ თხრობა მძაფრი დრამატიზმით ვითარდება, ავტორს ზოგჯერ ეფექტურად შემოაქვს ჰუმორული დეტალი (ამას პირველად ყურადღება მიაქცია პავლე ინგოროყვამ.) ასე, ერთხელ ვიღაც დიაკონი თურმე აპირებდა შუშანიკის გამხნევებას და საამისოდ უნდა ეთქვა „მტკიცედ დეგ! „მაგრამ ანაზდეულად მან თვალი მოჰკრა პიტიახშს, შეშინებულს სიტყვა გაუწყდა პირველ მარცვალზე („მტკი-“) და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას („სივლტოლად იწყო სწრაფით“)[1].

[1] ისიც მართალია, რომ ამ, თითქოს კომიკური სცენაში დიდი ტრაგიკული ვანცდაა ჩაქსოვილი (რ. ბარამიძე, ქართული მწერლობის დრამატული პროლოგი, ჟურნ. „განთიადი“, 1976, № 6, გვ. 116).

„შუშანიკიანი“ პირველხარისხოვანი საისტორიო ძეგლია, რომელიც რეალისტურად ასახავს V საუკუნის ქართლის რთულ პოლიტიკურსა და სოციალურ სინამდვილეს, კულტურულ ვითარებას, საყოფაცხოვრებო დეტალებს. განუზომელია „შუშანიკიანის“ მნიშვნელობა ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მოთხრობის ტექსტი ჩვენამდის ნაკლულად არის მოღწეული. თხრობა იწყება მოულოდნელი განცხადებით: „და აწ (ახლა) დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. მაშასადამე, შემორჩენილია თხზულების ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია შუშანიკის აღსასრულის ამბავი. ადრე კი ტექსტი უფრო სრული უნდა ყოფილიყო. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ცოტათი ქვემოთ იკითხება, შუშანიკი იყოო „მოშიში ღმრთისაი, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“. შუშანიკის სიყრმის თაობაზე კი ტექსტის გადარჩენილ ნაწილში არაფერია თქმული. ისიც ცხადია, რომ „შუშანიკიანის“ დიდებულ ავტორს სხვაც რამ ექნებოდა დაწერილი, მაგრამ მათ ჩვენ დროზედის არ მოუღწევია. „შუშანიკიანი“ იმოწმებს მთელ რიგ ლიტერატურულ ძეგლებს, რომლებიც მაშინ, V საუკუნეში, გავრცელებული ყოფილა ჩვენში, ასეთებია „ე ვ ა ნ გ ე ლ ე“ (სახარება, ახალი აღთქმის უმთავრესი წიგნი), „დ ა ვ ი თ ნ ი“ ანუ „ფ ს ა ლ მ უ ნ ნ ი“ (ძველი აღთქმის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც მიეწერება დავით წინასწარმეტყველს), „წმინდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ (ავიოგრაფიული თხზულებანი).

„შუშანიკიანის“ მაღალ-იდეური და მაღალ-მხატვრული ღირსებანი გამოხატავს ქართული მწერლობის განვითარების მაღალ საფეხურს და არა მის საწყის ფაზას. „შუშანიკიანი“ გვიმტკიცებს, რომ ქართული მწერლობის სათავეები შორეულ წარსულშია საძებნელი, წარმართობის ხანაში და ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა საუკუნეებში.

„შუშანიკიანი“ ბევრჯერ არის გამოცემული. საუკეთესოა ილია აბულაძის გამოცემანი 1938 და 1963 წლებისა. ქართული ტექსტი რუსულად გადათარგმნა და გამოსცა კორნელი კეკელიძემ, ლათინურად — პაულ პეეტერსმა.

ქართული მწერლობის სათავეების თაობაზე

(ჟურნალ „განთიადის“ რედაქციას)

თქვენს შეკითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს:

ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხს, თუმცა ანბანის შემოღებას განგებოდ სწავლობს ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც ეწოდება დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია.

ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხისადმი ჩემმა დამოკიდებულებამ მომაგონა ერთი შემთხვევა, რომელიც სპეციალისტებისთვისაც კი უცნობია და, ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება ჟურნალის მკითხველებისათვის.

1941 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა პროფესორ კორნელი კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის მეორე გამოცემა. მე ვიყავი მისი რედაქტორი. როცა წიგნის პირველი-ორი თაბახი დაიბეჭდა (1940 წლის გვიან შემოდგომაზე), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორ ვარლამ მიქაძესთან ერთად მიხმეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მიგვიღო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია თავაძემ. მასთან კაბინეტში იმყოფებოდა პროფესორი სიმონ ჯანაშია (იგი ფაქტობრივ უკვე მეთაურობდა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ფრონტს). ილია თავაძემ საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო ბ-ნ კორნელის წიგნის მეორე თაბახის ანაბეჭდი, მოძებნა თავი „ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა“. ჩაათვალიერა და საყვედური გამოთქვა ქართული მწერლობის წარმოშობის თაობაზე იქ გატარებული ცნობილი თვალსაზრისის გამო. სიტყვა აიღო და კრიტიკული მოსაზრება განავითარა სიმონ ჯანაშიამაც. როგორც რედაქტორს, მომთხოვეს განმარტება. მე აღვნიშნე, რომ გულდაგულ წავიკითხე წიგნი ხელნაწერში, შევასწორე ზოგიერთი ნებსითი თუ უნებლიე უზუსტო-

ბა, ტექსტს გავკარი ოდნავი ჩალხი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შევხებივარ ნაშრომის კონცეფციურ მხარეს. კონცეფციის შესწორება არ შეიძლება, კონცეფციისათვის პასუხს აგებს ავტორი-მეთქი. თქვენ მართალი ხართო, მითხრა ილია თავაძემ, პროფესორ კეკელიძეს სრული უფლება აქვს, რომ ჰქონდეს საკუთარი შეხედულება ქართული მწერლობის ყველა საკითხზე. მაგრამ მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი და, რაც მთავარია, ის ასრულებს სახელმძღვანელოს როლს სტუდენტობისათვის. ქართული მწერლობის წარმოშობის შესახებ პრინციპულად მოულებელი თვალსაზრისის პროპაგანდას სახელმძღვანელოს მეშვეობით ჩვენ ვერ დავუშვებთო, დასძინა და მთხოვა მოვლაპარაკებოდი ამის თაობაზე პროფესორ კეკელიძეს, ხოლო ვ. მიქაძეს დაავალა მეორე თაბახის გადასინჯული ტექსტის ხელახალი აწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდებით შევაჩეროთ წიგნის გამოშვებაო.

იმ დღესვე ვინახულე ბ-ნი კორნელი და გავაცანი საქმის ვითარება. რასაკვირველია, თქმული არ ეჭაშნიკა. ვიფიქრებო, მითხრა უკმაყოფილო კილოთი. მეორე დღეს ბატონმა კორნელიმ მომიტანა ანაბეჭდის გადახაზულ-ჩასწორებული ტექსტი. მთლიანად ამოეღო ყველაფერი, რაც ეხებოდა ანბანის შექმნასა და მწერლობის წარმოშობას, ამის სანაცვლოდ ჩაეწერა: „რა დროიდან შეიძლება დაწყებულ იქნეს ქართული მწერლობის ნამდვილი, ფაქტებით გამართლებული ისტორია? ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევჩერდებით სადისკუსიო საკითხზე ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, რადგანაც ეს უფრო დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, პალეოგრაფიის, საგანია, ვიდრე ლიტერატურის ისტორიისა“. მოტანილი ამონაწერის გამო სქოლიოში შენიშნულია: „ამის შესახებ (ე. ი. „სადისკუსიო“ საკითხის შესახებ, — ა ბ.) იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“, გვ. 188—230 და კ. კეკელიძის „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“, მ ნ ა თ ო ბ ი, 1929, № 5—6, გვ. 151—167; № 7, გვ. 135—150). ძირითად ტექსტში კი საუბარია ქართული დამწერლობის (ხ უ ც უ რ ი ს ა და მ ხ ე დ რ უ ლ ი ს) შესახებ და გამოტანილია საბოლოო დასკვნა: „რამდენადაც არც ერთი ლიტერატურული ძეგლი, არცერთი უტყუარი და ეჭვმიუტანელი ლიტერატურული ფაქტი მეხუთე საუკუნემდე ჩვენ არ მოგვეპოვება,

მწერლობის ნამდვილი, მეცნიერული ისტორია მხოლოდ ამ საუკუნიდან შეგვიძლია დავიწყოთ".

მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ტექსტი დაიბეჭდებოდა ახლად შემოთავაზებული რედაქციის მიხედვით. მე შევინახე ძველი რედაქციის ერთი ანაბეჭდი და ჩავაკარი ავტორისაგან ნაჩუქარ წიგნში (წიგნის ეს უნიკალური ცალი ამჟამად ინახება ჩემს ბიბლიოთეკაში). ნაჩირნახულევი წიგნი ბ-ნმა კორნელიმ მომიძღვნა საგულისხმიერო წარწერით: „ჩემს ძვირფას მოწაფეს მადლობის ნიშნად იმ დიდი შრომისათვის, რომელიც მან გასწია ამ წიგნის კარგად გამოცემისათვის. ავტორი. 1941, III, 4".

ჩემი თვალსაზრისი ქართული მწერლობის წარმოშობის თაობაზე გამოთქმულია რუსულად გამოქვეყნებულ კოლექტიურ ნაშრომში „ქართული ლიტერატურის ისტორია" (თბილისი, 1958), რომლის პირველი ნაწილი (ძველი მწერლობა) ჩემი დაწერილია. „ნარკვევის" პირველივე აბზაცი ასე იკითხება (დოკუმენტური სიზუსტისათვის ტექსტები მომაქვს რუსულად): «Вопрос об истоках грузинской письменности не вызывает в настоящее время серьезных споров. Академик И. А. Джавахишвили убедительно обосновал тезис об ее дохристианском происхождении. Более того, он предполагал, что грузинская книжная письменность существовала за несколько веков, до нашей эры. (გვ. 7). შემდეგ ვამბობ, რომ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებანი გაამაგრა არმაზულმა ბილინგვამ, რომლის რაობა გიორგი წერეთელმა გაარკვია. დასასრულ ვასკვნი: «Полностью соглашаясь с доводами И. А. Джавахишвили и Г. В. Церетели, мы можем уверенно сказать, что у картвельских (грузинских) племен существовала задолго до нашей эры, наряду с богатой народной поэзией, развитая книжная письменность (с. 8).

ჩვენს ნარკვევში აღნიშნულია, რომ თუმცა წარმართობის დროინდელ ლიტერატურას ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, მისი ნაკვალევი მკაფიოდ აღბეჭდილია უძველესი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნ (ბიბლიური ტექსტები), ისე ორიგინალურ (მაგალითად, „შუშანიკის წამება") ძეგლებში. ამით აიხსნება ამ ძეგლების ენობრივ-სტილებრივი სრულყოფილება.

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVII—XVIII საუკუნეებში

(თვალის ერთი გადავლებით)

თათარ-მონგოლთა კირთების შედეგად გაწყვეტილმა რუსულ-ქართულმა ურთიერთობამ განახლება დაიწყო XV—XVI სს-ში. XVII-ში ეს ურთიერთობა ღებულობს საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს, ხოლო XVIII-ში აღწევს მაღალ საფეხურს. ამისი გვირგვინია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი.

საქართველოს ისტორიული წარსულის ერთი თავისებური მოვლენა ის არის, რომ პოლიტიკური ცხოვრების მესვეურნი ჩვეულებრივ თვითონვე იყვნენ კულტურული საქმის უშუალოდ გამძღოლნი — მწიგნობრები, მეცნიერები, მწერლები (უპირატესად პოეტები). მოვიგონოთ ცნობილი სახელები: თეიმურაზ პირველი (1589—1663), არჩილი (1647—1713), ვახტანგი (1675—1737), თეიმურაზ მეორე (1700—1762), ბატონიშვილები — ალექსანდრე არჩილის-ძე, ვახუშტი, იოვანე, თეიმურაზი და სხვ. ქართველი პოეტი-მეფეები ერთნაირი მონდომებით უძღვებოდნენ ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული ცხოვრების სფეროს. ჩვენი ქვეყნის მესვეურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ჭადაჭრით და უყოყმანოდ ადგნენ რუსული ორიენტაციის პროგრესულ გზას, რამაც საბოლოოდ გვიხსნა ყიზილბაშთა და ოსმანთა ბარბაროსული ბატონობის საშინელი უღლისაგან.

რა თქმა უნდა, რუსული ორიენტაციის საიმედო გზას მრავალი დაბრკოლება და ხიფათი ელობებოდა წინ. გარეშე მტრის ავანტურა და შინაგანი გამთიშავი ფეოდალურ-რეაქციული წრეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ქვეყანა კვლავ აღმოსავლეთის აგრესორთა გარემოცვაში დარჩენილიყო. ვახტანგ VI ერთ თავის ლექსში ამბობს: „მეფეს არჩილსა სძრახვედენ, სხვას თემს (ე. ი. რუსეთს, — ა. ბ.) რომ იყო მვლელია.. მეც მასვე მძრახვენ". ვახტანგის ამგვარი ძრახვა, სამწუხაროდ, არც ჩვენ დროში შეწყვეტილა. მართალია, ქართლის განათლებული მეფის საგარეო პოლიტი-

კა მეტად ჯიქური იყო და აკლდა დახვეწილი დიპლომატიური მოქნილობა, ზოგჯერ ერთგვარი გულუბრყვილობის დაღიც დაჰკრავდა. მაგრამ საერთოდ და პრინციპულად ვახტანგის პოლიტიკური ალღო უთუოდ იყო შეუმცდარი და სავსებით სწორი, ისტორიული პერსპექტივით გამართლებული. ათასჯერ მართალი იყო ვახტანგ VI, როცა გადაჭრით გმობდა ყიზილბაშებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. განა ცხადი არ უნდა ყოფილიყო, რომ სწორედ ასეთმა თანამშრომლობამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა გადარჯულების, გადაგვარების, გადაშენების უფსკრულის პირას. ქართველობის ფიზიკური გადარჩენის გზა ნამდვილად რუსეთზე გადიოდა. ისიც ცხადია, რომ გულუბრყვილობა და საბედისწერო შეცდომა იქნებოდა მხოლოდ რჯულის ერთობის ვარაუდს რომ დაფუძნებოდა ქვეყნის მესვეურთა საგარეო პოლიტიკური კურსი. რომანტიკოსმა ბარათაშვილმაც კარგად იცოდა, რომ „სახელმწიფოსა ერთობა რჯულის არარას არგებს, ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ურთიერთობის მყარ საფუძველს ჰქმნიდა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ინტერესების საერთო ნიადაგი. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეს ბევრი სიძნელე ახლდა, მტკივნეულმა მოვლენებმაც იმთავითვე მძლავრად იჩინა თავი. ყველაფერი ეს საფიქრებელიც იყო და მოსალოდნელიც. მთავარი მაინც ისაა, რომ რუსეთთან და რუს ხალხთან მჭიდრო კავშირმა იხსნა ქართველობა გადაშენების რეალური ხიფათისაგან და საბოლოო ანგარიშით დიდი ოქტომბრის მადლს აზიარა. ეს სიმართლე უნდა პირდაპირ ითქვას. იგი გასაგებს გახდის როგორც ვახტანგის, ისე იმის მსგავს მოღვაწეთა საგარეო პოლიტიკური კურსის უცილობელ გონივრულობას.

უკვე XVII საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურმა თეიმურაზ პირველმა აიღო გეზი რუსეთზე. იგი არ დაკმაყოფილდა მარტოოდენ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით მოსკოვის სახელმწიფოსთან. ალექსი მიხეილის ძის თხოვნით მან მოსკოვის სამეფო კარზე გაგზავნა თავისი საყვარელი შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე ერეკლე (რუსეთში მას ეძახდნენ ნიკოლოზს) დედით და საკმარისად დიდი ამალით. ერეკლე მოსკოვში ჩავიდა 1653 წლის მიწურულში. რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1658 წელს თეიმურაზი პირადად ეახლა მეფე ალექსი მიხეილის-ძეს მოსკოვში და თავისი სარჩელი აუწყა. საგულისხმოა, რომ თეიმურაზის ოფიციალურ მიმოწერაშიც ჰპოვა

გამოძახილი მისი პოეტური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელმა სასოწარკვეთილების გრძნობამ და სოფლის სამღურავის მოტივმა. რუსულად შემონახულ ერთ ასეთ დოკუმენტში თეიმურაზი იწერება: «Солнце уж нас не греет, и месяц нас не осветит, и день наш светлой учинился ночью... Лутчи бы у матери моей утроба пересохла и яз бы не родился».

თეიმურაზის გზას გაჰყვა არჩილი. ამან კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა. მთელი მისი ოჯახით გადავიდა რუსეთში და უკეთესი მერმისის მომლოდინე იქ დაესახლა. 1682—1685 წლების მანძილზე არჩილი ცხოვრობდა ქალაქ ასტრახანში. 1685 წლის დეკემბერში არჩილი მოსკოვშია. იქ დარჩა სამი წელი, ეს სამი წელი არჩილმა ნაყოფიერად გამოიყენა კულტურული საქმიანობისათვის. კერძოდ, მაშინ მოსკოვში მყოფი სწავლული შვედის იოჰან შპარვენფელდის მეშვეობით დაუკავშირდა ბეჭდვის საქმის ცნობილ უნგრელ სპეციალისტ მიკლოშ კიშს (1650—1702) და მას დაამზადებინა ამსტერდამში ქართული შრიფტი. საქმე ისე ეწყო, რომ 1688 წელს არჩილი დაბრუნდა საქართველოში და სტამბის გაწყობის საკითხი დროებით გადაიდო. 1699 წელს არჩილი საბოლოოდ დამკვიდრდა რუსეთში. პეტრე პირველმა მას უხვი წყალობა მიაგო და დიდძალი მამულები უბოძა. საცხოვრებლად არჩილმა სოფელი ვსეხსვიატსკოე („სესენწკა") აირჩია, მოსკოვის მახლობლად. ვსეხსვიატსკოე მალე გადაიქცა დედა-საქართველოს სიმბოლოდ, პატარა საქართველოდ დიდი რუსეთის მიწა-წყალზე, ქართული მოსახლეობით, ეროვნული ხელისუფლებით, ეკლესიით, სკოლით და სტამბით. არჩილის ანდერძის თანახმად, „სესენწკას" კარი მუდამ ღია იყო თავშესაფარის მაძიებელი ქართველებისათვის.

ვსეხსვიატსკოე პირველი ქართული ახალშენია მოსკოვში, ქართული კულტურის პირველი მოსკოვური კერა. არჩილმა კულტურული საქმიანობა გააჩაღა. უწინარეს ყოვლისა შეუდგა წიგნების ბეჭდვას. 1705 წელს «в царственной московской типографии» დაიბეჭდა ქართული „დავითნი". ყველაფრიდან ჩანს, რომ პატარა, ასე ვთქვათ, კერძო სტამბა უნდა ყოფილიყო ვსეხსვიატსკოეშიც. ყოველ შემთხვევაში არჩილის ასულის, დარეჯან ბატონიშვილის ვსეხსვიატსკოეს სასახლეში დაიბეჭდა 1739 წელს ცნობილი რუსი განმანათლებლის თეოფანე პროკოპოვიჩის (1681-1736) სახელმძღვანელო — „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა

შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა“. იგი „რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანის მოლარეთხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან, და ქართულს ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს და მის დიდებულის ბატონიშვილის დარეჯანის სასახლეში“[1]. არჩილის მიზანი იყო შაჰ-აბას პირველის ძძლავრობით გაჩანაგებული ქვეყანა მოსკოვიდან მოემარაგებინა ქართული წიგნებით. სხვათა შორის, არჩილი ბევრს ზრუნავდა ქართული ბიბლიის („დაბადების“) გამოსაცემად. არჩილის წამოწყებული ეს დიდი საქმე 1743 წელს დააგვირგვინა ბაქარ ბატონიშვილმა. საერთოდ მოსკოვში ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა ქართული წიგნების ბეჭდვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც განადგურდა ვახტანგისეული თბილისის სტამბა. ქართული წიგნების ბეჭდვას მოსკოვში ხელმძღვანელობდნენ მესტამბეები — ქრისტეფორე გურამიშვილი (დავით გურამიშვილის ღვიძლი ძმა), იოსებ სამებელი, ათანასი ამილახვარი და სხვ. მოსკოვის გარდა ქართული წიგნები იბეჭდებოდა პეტერბურგში, მოზდოკში და ზოგჯერ სხვაგანაც.

ჯერ ასტრახანში, შემდეგ კი მოსკოვში (ვსეხსვიატსკოეში) არჩილი ინტენსიურ მწიგნობრულ-შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. 1703/1705 წლებში მოსკოვში მომზადდა და გადაიწერა არჩილის თხზულებათა ორი დიდი ნუსხა, რომელსაც თვითონ ავტორმა შეარქვა „არჩილიანი“. მოსკოვური ნუსხები ფაქტობრივ წარმოადგენს „არჩილიანის“ ავტორიზებულ ხელნაწერ გამოცემას. „არჩილიანის“ მნიშვნელოვანი ნაწილი შეთხზულია რუსეთში, ასტრახანსა და მოსკოვში. ერთ ასეთ თხზულებაში („სამიჯნურონი“) არჩილი შენიშნავს:

ამად მივჰყავ შაარს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა.

„საქართველოს ზნეობებში“ კი იკითხება:

აბა, გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაც არი,
ეგება კიდევ სხვაც რამ ვთქვა, სულ რუსთა ენახო რა ცარი.

არჩილის ნატვრა ასრულდა. მოსკოვში შეთხზულ მოზრდილ პოეტურ ნაწარმოებში („მეფეთა საქაბელნი და სამხილებელნი“) იგი წერს:

თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არი,
დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი.

[1] ქართული წიგნი. I, თბილისი, 1941, გვ. 37—39.

პოლიტიკური იმედების გაცრუებამ, უცხოეთში ხანგრძლივად ყარიბობამ, მშობლიური ქვეყნისაგან მოწყვეტამ, პირადულმა განსაცდელმა და ოჯახურმა უბედურებამ შეაპირობა არჩილის ერთ უბრწყინვალეს შაირში გამოხატული ტრაგიკული სულისკვეთება. აი, ამ შაირის ორი ტაეპი:

> თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა,
> შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიჩებსა.

მოსკოვში ყოფნის დროს არჩილმა საკმაოდ შეისწავლა რუსული ენა. მან რუსულის საშუალებით ქართულად გადმოთარგმნა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული „ალექსანდრიანის“ სერბული ვერსია. ამ თარგმანის ნიადაგზე ჩვენში შემდეგ შეიქმნა „ალექსანდრიანის“ რამდენიმე ახალი რედაქცია. არჩილის დავალებით ბაგრატ სოლოღაშვილი შეუდგა ვიორგი ამარტოლის ცნობილი საისტორიო თხზულების („ხრონოღრაფის“, მსოფლიო ისტორიის) უფრო გასაგები ენით ხელახლა თარგმნას ბერძნული ენიდან (ადრინდელი თარგმანის ავტორი იყო არსენ იყალთოელი). „ხრონოღრაფის“ თარგმანი არჩილმა თვითონ დაასრულა. მისეული თარგმანი შესრულებულია რუსული ენიდან. რუსული ენიდანვე თარგმნა არჩილმა საქრისტიანო-სარწმუნოებრივი ხასიათის რამდენიმე საყურადღებო ძეგლი. მათ შორის ცალკე აღსანიშნავია „პროლოღ-სვინაქსარი“, რომელიც ძირითადად შეიცავს მსოფლიო და რუსი საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრებათა საკითხავებს. ეს პოპულარული კრებული არჩილს გადმოუქართულებია ისე, რომ შიგ ჩაურთავს ქართული ეკლესიის მოღვაწეთა მოსახსენებელნიც[2].

საგანგებო ლექსით მიუღოცა არჩილმა პეტრე დიდს პოლტავის ველზე მოპოვებული სახელოვანი გამარჯვება.

უმნიშვნელო გარემოება არაა, რომ ენის სიწმინდის მქადაგებელი და პურიზმის მიმდევარი არჩილის გვიანდელ (რუსეთის დროინდელ) შემოქმედებაში თავს იჩენს ლექსიკური რუსიციზმები.

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არჩილის უფროსმა

---

[2] ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., თბილისი, 1960, გვ. 155—170; Р. Д. Мирианашвили, Переводческая деятельность Арчила Багратиони, Автореферат, Тбилиси, 1973, с. 13—15.

ვაჟმა, პეტრეს სახელმოხვეჭილმა სამხედრო თანამოსაგრემ ალექსანდრე ბატონიშვილმა (1674—1711)[3]. იგი სიყრმის დროიდანვე დაიახლოვა პეტრემ და შემდეგ თან წაიყვანა ევროპაში. ალექსანდრემ მიიღო სოლიდური ევროპული განათლება, საგანგებოდ დაინტერესდა არტილერიის დარგში. მოსკოვში დაბრუნებული ქართველი ბატონიშვილი პეტრემ დანიშნა გენერალფელდცეხმაისტერად (თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, არტილერიის ნაწილად, არტილერიის სატყმის უფროსად). თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პეტრე დიდი ომებისათვის ემზადებოდა ევროპისაკენ „ფანჯრის გასაჭრელად", მაშინ გასაგები გახდება ალექსანდრე ბატონიშვილის დაწინაურების დედააზრი (მომავალ ომებში არტილერიას უნდა შეესრულებინა გადამწყვეტი როლი). სამწუხაროდ, ნარვასთან გამართულ ბრძოლაში 1700 წელს რუსეთის არმია დამარცხდა და მისი გენერალიტეტი, მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილი, ტყვედ ჩაუვარდა შვედებს. მთელი ათი წლის განმავლობაში იტანდა ალექსანდრე ტყვეობის მძიმე რეჟიმს და ხშირად ავადმყოფობდა. შვედეთის მეფემ კარლოს XII-მ კარგად იცოდა ქართველი უფლისწულის ფასი და არამცდაარამც მას არ ელეოდა, გაცვლის არავითარ პირობაზე არ თანხმდებოდა. ალექსანდრეს განთავისუფლების საკომპენსაციოდ ერთხელ კარლოსმა ვერაგულად მოითხოვა ათი კასრი ოქრო. პეტრე დაეკითხა თვითონ ალექსანდრეს, თუმცა ამდენი ოქროს გაღება ისედაც დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინიდან შეუძლებელი იყო. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მოტივით ალექსანდრეს უარი უთქვამს კარლოსის წინადადებაზე: «На то мы званы: терпеть и умереть за интерес государя и отечества»[3] სხვა გამოსავალი რომ არ რჩებოდა, პეტრეს თანხმობით, იქნებ პირდაპირი მითითებითაც, არჩილს რამდენიმეჯერ პირადი წერილით უთხოვია კარლოსისათვის შვილის განთავისუფლება. ბოლოს და ბოლოს მამის თხოვნამ გასჭრა. მოსკოვს გამოშურებული ალექსანდრე გზაში გარდაიცვალა 1711 წლის თებერვალში. არჩილის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა (ორი უმცროსი ვაჟიშვილი მას ადრე დაეღუპა).

ვანმაცვიფრებელი ის არის, რომ იმთავითვე სამხედრო უწყებაში განწესებული და შემდეგ ხანგრძლივ ტყვეობაში მყოფი ალექსანდრე ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა..

[3] Вл. Татишвили, Грузины в Москве, Тбилиси, 1959, с. 188.

მას მშვენიერი ქართულით უთარგმნია რუსული ენიდან (ნაწილობრივ ფრანგულიდანაც) სხვადასხვა ხასიათის რიგი ლიტერატურული ძეგლი. აქედან საგანგებო ყურადღებას იპყრობს ბასილ მაკედონელის „ტესტამენტი“, რომელიც დაიბეჭდა კიდევაც მოსკოვში 1739 წელს. „ტესტამენტი“ მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი დიდაქტიკურ-ზნეობრივი ხასიათის ნაშარმოებია. თავისი თარგმანის დედნად ალექსანდრეს გამოუყენებია „ტესტამენტის“ სიმეონ პოლოცკისეული საუკეთესო რუსული რედაქცია[4]. ერთ დროს, სახელდობრ 1680 წელს, არჩილს ამ გავლენიანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისათვის წერილით უთხოვია დახმარება მისი სარჩელის გამო სამეფო კარზე[5].

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ რუსეთის მთავრობამ თავის დროზე ფაქტობრივ არჩილს მიანდო მეურვეობა რუსული კულტურის ისეთი დიდებული ძეგლისა, როგორიც არის მოსკოვის დონის მონასტერი. 1705 წლიდან ამ მონასტერს განაგებდა არჩილის ერთგული თანამოსაგრე ქართველი არქიმანდრიტი ლავრენტი. არქიმანდრიტი ლავრენტი ითვლება დონის მონასტრის სამაგალითო მშენებლად და ორგანიზატორად. მონასტრის მთავარი კორპუსის გვერდით არჩილმა ააგებინა საძვალე, რომელიც შემდეგ ერთგვარ ქართულ პანთეონად იქცა, სადაც დაკრძალულან არჩილი და მისი ოჯახის წევრები, ბაქარ ბატონიშვილი, ვახუშტი და ბევრი სხვა ისტორიული პირი.

როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში არჩილის საქმის გამაგრძელებელი იყო ვახტანგ VI. ისტორიამ ისე ინება, რომ ვახტანგი დიდძალი ამალით, რომელიც დედაწულითურთ ორათასამდე სულს ითვლიდა, რუსეთში გახიზნულიყო 1724 წელს და დამკვიდრებულიყო მოსკოვის აწინდელი წითელი პრესნიას მიდამოებში (იქ, ახლა რომ ჭაჭებია «Большая Грузинская», «Малая Грузинская», «Грузинский вал»). ვახტანგის მხლებელთაგან ბევრი იყო მწიგნობარი, მწერალი, მეცნიერი. ვახტანგის მოსკოვში დამკვიდრებით შეიქმნა ქართული კულტურის მეორე, ახალი კერა, „პრესნის კერა“. ეს ის პრესნაა, რომლის გამო პოეტმა დიმიტრი სააკაძემ სოფელს დააყვედრა:

ნახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები.

---

[4] Н. Г. Надибаидзе, Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони. Автореферат. Тбилиси, 1975.

[5] Переписка грузинских царей с российскими государями, СПБ, 1861, с. 110—112.

ვსეხსეიატსკოესა და პრესნის კერების გაერთიანების ნიადაგზე მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართული კულტურის მძლავრი ცენტრი, რომელმაც უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთ გაცნობის, დაახლოების, დამეგობრების და დაძმობილების საშვილისშვილო საქმეში. უწინარეს ყოვლისა სწორედ მოსკოვურმა ქართულმა კოლონიებმა შეამზადეს იდეურ-პოლიტიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ნიადაგი საქართველოს შესასვლელად რუსეთის სახელმწიფოში. მოსკოვის ქართული კოლონიები ამაგრებდა და აღრმავებდა მოწინავე ქართველი საზოგადოების რწმენას რუსეთთან მტკიცე პოლიტიკურ-კულტურული კავშირის საჭიროებაზე. მოსკოვის ქართული კოლონიები პრაქტიკულად ახორციელებდა ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ თანამშრომლობას მეცნიერებისა და მწერლობის ყველა დარგში. მოსკოვის ქართული კოლონიების თავისებურ ფილიალებს წარმოადგენდნენ ასტრახანის, მოზდოკის, ყიზლარის და ზოგიერთი სხვა მცირე ახალშენები. მალე მოსკოვის ქართულ კერას გვერდში ამოუდგა პეტერბურგისა და უკრაინის ანალოგიური კერები.

არჩილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ მოსკოვის ქართული კულტურული ცენტრის სული და გული გახდნენ ვახტანგი და მისი შვილები — ბაქარი, ვახუშტი, გიორგი. (ამ გიორგი ბატონიშვილმა ახლად დაარსებულ მოსკოვის უნივერსიტეტს შეწირა ათი ათასი მანეთი ნაღდი ფული). მოსკოვში გაიშალა ვახუშტი ბატონიშვილის დიდი სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა, აქ გაასრულა მან თავისი საქვეყნოდ ცნობილი ისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომები. ნაწილობრივ ვახტანგმა, უმთავრესად კი ვახუშტმა ცოცხალი მეცნიერული კონტაქტი დაამყარა პეტერბურგის აკადემიურ წრეებთან. განთქმულმა აკადემიკოსმა დელილმა რუსულად და ფრანგულად ათარგმნინა ვახუშტის გეოგრაფიული ატლასები. ამ თარგმანების საშუალებით ვახუშტის ნაშრომს პრაქტიკულად იყენებდნენ როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში.

პოლიტიკური საქმიანობისაგან მოცალეობის დროს ჩვეულებრივი სიბეჯითით განაგრძობდა მეცნიერებისა და მწერლობის სამსახურს თვითონ ვახტანგი. მის პოეზიას შეემატა ახალი მოტივები, ახალი სახეები. თავისი ბედით უკმაყოფილო და სოფლის მომდურავი ვახტანგი ახლა იმასაც ამბობს, რომ „რუსთ ზაფხულისებრ მოკლეა“ ჩვენი ცხოვრებაო. მოსკოვში გალექსა ვახტანგ-

მა პოემა „ამირ-ნასარიანი“ და დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი შინაარსის მჭონე ნოველებისა და ბრძნული სენტენცია-აფორიზმების კრებული „სიბრძნე მალალობელი“, რომლის პროზაული დედანი ნათარგმნი ყოფილა „რუსულისაგან ქართულად“ ერასტი თურქესტანიშვილის მიერ.

მოსკოვის ქართულ კოლონიაში შეიქმნა პირველი ქართული ნორმატიკული პოეტიკის ანხელმძღვანელო — „ჭაშნიკი“ მამუკა ბარათაშვილისა („ჭაშნიკი“ დაწერილია მოსკოვში 1731 წელს). მოსკოვში მოღვაწეობდნენ დავით გურამიშვილის მოქიშპე პოეტი ჯავახიშვილი, თომა ბარათაშვილი, მამუკა გურამიშვილი, დიმიტრი საააკაძე, ვახტანგ, დიმიტრი, ნიკოლოზ და ზოსიმე ორბელიანები, პოემა „ვახტანგიანის“ ავტორი ფაკლენიშვილი. ონანა ქობულაშვილი, გაბრიელ გელოვანი და ბევრი სხვა. მოსკოვში გაშალა ფრთები დავით გურამიშვილმა, რომელიც პათეტიკურად წერდა: „მოსკოვს მყოფნი მზეს ველოდით“.

რუსეთის ქართულ კოლონიებში მხატვრული მწერლობის ძეგლების გარდა ბლომად ითარგმნებოდა სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები. პრაქტიკული საჭიროება აპირობებდა ლექსიკონების, თვითმასწავლებლების, საცნობარო (საისტორიო-გეოგრაფიული) წიგნებისა და მისთანათა შექმნას.

რუსულის „«Прения живота и смерти»-ს გავლენით უნდა გავრცელებულიყო ქართულში პოპულარული „გაბაასება კაცისა და სოფლისა“.

ერთი სიტყვით, რუსეთის ქართულ კოლონიებში ძლიერი ბიძგი მიეცა ქართველობის გონებრივ მოძრაობას, შემოქმედებით მეცნიერულ და ლიტერატურულ საქმიანობას, ფართო მასშტაბით გაშლილ მთარგმნელობას. ყოველივე ამან გაამდიდრა ქართული სულიერი კულტურის საგანძური, აამაღლა სწავლა-განათლების ღონე, ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულად დაწინაურებას. რუსულის საშუალებით და ზოგჯერ პირდაპირი გზითაც ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში შემოიჭრა ევროპეიზმის განმაახლებელი სიო.

რუსეთისა და უკრაინის ქართული კულტურული კერების პოეზიას ძლიერად მსჭვალავს მძაფრი სევდა-ნაღველის გრძნობა. სპეციფიკური პატრიოტული მელანქოლია, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში Heimweh სახელწოდებით არის ცნობილი (რუსულად „тоска по родине“).

რუსული კულტურის კეთილისმყოფელი ზემოქმედება თვალსაჩინო ხდებოდა შიდა საქართველოშიც. რუსულის გავლენით შეიქმნა ქართული პროფესიული თეატრი და დრამატურგიული მწერლობა. ქართული თეატრის რეპერტუარი შეამაგრა დავით ჩოლოყაშვილის (1735—1809) მიერ რუსულიდან გადმოკეთებულმა რასინის ტრაგედიამ „ეფიღენია“. მისი მთავარი გმირი აგამემნონი ავტორს ერთგვარად მიუსადაგებია ერეკლე მეორისათვის. გიორგი ავალიშვილმა (1769—1850) წარმატებით გადმოთარგმნა სუმაროკოვის თხზულებანი. ქართულად ითარგმნა ლომონოსოვის, დერჟავინის და სხვების ლექსები. რუსულ-სლავური ტიპის სემინარიები დაარსდა (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) თბილისსა და თელავში. ამ სემინარიებისათვის ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სახელმძღვანელო წიგნები ითარგმნა რუსულიდან (მაგალითად, ბაუმაისტერის „ლოღიკა“, ვოლფის „ფიზიკა“ და სხვ.). დიდი შრომა გაწიეს სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნაზე ანტონ პირველმა (1720—1788), გაიოზ და დავით რექტორებმა (გაიოზი — 1746/1821; დავითი — 1749/1824). ერთი ცნობით, მარტო გაიოზ რექტორს უნდა ეთარგმნა ძირითადად რუსულიდან ოთხასამდე სახელწოდების წიგნი, მათ შორის, „ზნეთსწავლულება“ მარკ ავრელიუსისა და „ველიაზარი“ მარმონტელისა.

საკმაოდ ითარგმნებოდა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ძირითადად რუსულის საშუალებით ფრანგი განმანათლებლების ნაწერები და ვოლტერიანული ლიტერატურა[6]. XVIII საუკუნის რუსულ-ევროპული მეცნიერების დონეზეა შეთხზული იოვანე ბატონიშვილის (1768—1830) ცნობილი მხატვრულ-ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა“.

სხვათა შორის, 1761 წელს პეტერბურგში მყოფ თეიმურაზ მეორეს გრძნობიერი სატრფიალო ლექსები შეუთხზავს კოპწია ფრეილინა ბარბარე ალექსანდრეს ასულ ბუტურლინას მისამართით. მეფე-პოეტი ირწმუნება, რომ განათლებითა და კეკლუცობით „არ არის სწორი იმისი ევროპიაში ქალია“. თეიმურაზს თურმე ის ადარდებდა, რომ „ლამაზთ თვალთ მოვეშორები, როს წავალ საქართველოსაო“. საქართველოში წასვლა კი აღარ დასცალდა, 1762

[6] ალექსანდრე ამილახვარის (1750—1801) „ბრძენი აღმოსავლეთისა“ შეთხზულია ფრანგი განმანათლებლების დიდი ზეგავლენით. განსაკუთრებით ეტყობა მონტესკიეს „გულისხმის ყოფისათვის სჯულთასას“ ზემოქმედება (ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 58).

წლის დასაწყისში გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალეს ასტრახანის მიძინების ტაძარში ვახტანგ VI-ის გვერდით.

რუსულ-ქართულ ურთიერთობას კულტურის სფეროში არ ჰქონია ცალმხრივი ხასიათი. ქართულსაც თავისი, მართალია, შედარებით მოკრძალებული წვლილი შემოჰქონდა რუსულ კულტურაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახუშტის გეოგრაფიული ატლასი ითარგმნა რუსულსა და ფრანგულ ენებზე. ქართულიდან რუსულად ითარგმნა რიგი საყურადღებო მხატვრული და ისტორიოგრაფიული ნაწარმოები, როგორც, მაგალითად: «Похождение новомодной красавицы Гуланданы и храброго принца Барама» (ე. ი. ბარამ-გულანდამიანი), СПБ, 1773; История георгианская о юноше князе Амилахорове, с кратким прибавлением истории тамошней земли от начала нынешнего века. СПБ. 1770; В Астрахане (დიალოგიური ხასიათის ნაწარმოები).

ქართული თემატიკა ადრევე შეიჭრა რუსულ მწერლობაში («Сказание о Вавилонском царстве», «Повесть о грузинской царице Динаре»).

ვახტანგ მეექვსის გარდაცვალების უმალვე მის ყოფილ მხლებელთა ერთი ნაწილისაგან შედგა ქართველ ჰუსართა ასეული, რომელიც მალე გადაკეთდა ათასეულად. ქართველმა ჰუსარებმა საცხოვრებელი მიწები მიიღეს უკრაინაში, უმთავრესად დღევანდელი პოლტავის ოლქში. ასე წარმოიშვა უკრაინის ქართული ახალშენები, რომელთაგან განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში მირგოროდის ახალშენმა. მირგოროდში გაიფურჩქნა დიდი ქართველი პოეტი-მამულიშვილის დავით გურამიშვილის უზადო შემოქმედებითი ნიჭი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით გურამიშვილმა პირველად უკვდავყო ქართულ პოეზიაში უბრალო რუსი კაცის მაღალი კაცურკაცობა და სამაგალითო ადამიანური კეთილშობილება. ლეკთა ტყეობიდან გამოპარული მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი დავითისათვის თავშესაფარი მიუცია, მშობლიური მზრუნველობა გაუწევია და სიკვდილისაგან დაუხსნია ერთ უცნობ ყაზახ-რუსს ჩრდილოეთ კავკასიიდან. რუსი კაცის ეს საკვირველი ამაგი დავით გურამიშვილს ბოლომდე ჩარჩენია გულში და ლექსით გამოუთქვამს დიდებული საპადლობელი ჰიმნი:

> როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ გამიარაო,
> როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო,
> შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო.

დავით გურამიშვილმავე უკვდავყო პოეზიაში უკრაინელი ქალის გარეგნული სილამაზე და სულის სიფაქიზე. ესაა მისი წარმტაცი ზუბოვკელი ქალი. (სოფელი ზუბოვკა მირგოროდის მახლობლად მდებარეობს. იქ გურამიშვილს ჰქონდა პატარა მამული);

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
ჰეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი;
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი.
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემომუსრა ძვალი.

„ზუბოვკათი“ გურამიშვილმა პუშკინის „პოლტავაზე“ გაცილებით ადრე შექმნა უკრაინელი ქალის იშვიათად მომხიბლავი და შთამბეჭდავი მხატვრული სახე. გურამიშვილის პოეზიაში მკაფიოდ არის ასახული უკრაინის ყოფითი სინამდვილის მრავალი ნიშანდობლივი მხარე. პირველ რიგში აღსანიშნავია უკრაინული სიმღერის ხმაზე შეწყობილი მშვენიერი ბუკოლიკური პოემა „ქაცვია მწყემსი“ ანუ „მხიარული ზაფხული“. ამ პოემაში საოცარი ჰარმონიულობით არის შერწყმულ-შენივთებული ქართული და უკრაინული მოტივები, ქართული და უკრაინული ხმები, ქართული და უკრაინული ფერები. გურამიშვილმა მამუკა ბარათაშვილთან ერთად დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში მშობლიურ ქართულ ხალხურ კილოსთან ერთად რუსული, უკრაინული და ნაწილობრივ პოლონური ხალხური სასიმღერო ლექსების კილო. მაგალითად, „ზუბოვკა“ დაწერილია რუსულ-უკრაინული სიმღერის ხმაზე „კაზაკ დუშა პრავდივაია“, მისივე „ვარდი და ბულბულის“ ხმაა „ულეტელა ზაზულინკო[7] ჩერეზ დუბინუ“, „ქაცვია მწყემსისა“ — „ვესელა ვესნა“.

გურამიშვილი არ ყოფილა მარტოოდენ ტკბილ ხმას მიყოლილი პოეტი-მოაზროვნე და პოეტი-მომღერალი. როგორც თვითნასწავლი მეცნიერი, გურამიშვილი ბევრს ზრუნავდა უკრაინელი გლეხკაცის („მხვნელ-მთესველის“) კეთილდღეობისათვის. ამისათვის გამოუგონებია მას წყლის ასამაღლებელი და წისქვილის დასადგმელი მანქანები...

დავით გურამიშვილი როგორც პოეტი, მეომარი და საზოგადო მოღვაწე ცოცხლად ასახიერებს და სიმბოლურად გამოხატავს ქართველების, რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ძმობა-მეგობრობის სიმართლეს. ამას უმადლის გურამიშვილს ქართველობა, ამას უმადლის ქართველ პოეტს უკრაინელი ხალხი. ჩვენ

[7] ზაზულინკო უკრაინულად ეწოდება გუგულს, რუსულ „კუკუშკას“.

პირადად არაერთგზის ვყოფილვართ მოწმე როგორი ღირსებით აფასებს უკრაინელი ხალხი გურამიშვილის მაღალ პოეზიას და როგორი მოწიწებით ინახავს მის ხსოვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, დასასრულ, ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ერთ მტკივნეულ საკითხს. როგორც ცნობილია, XVII—XVIII საუკუნეების ბევრი მოწინავე ქართველი მოღვაწისა და მწერლის ნაშტი მიიბარა რუსულმა და უკრაინულმა მიწამ, რაც შეაპირობა ქართულ-რუსული პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის კონკრეტულმა ისტორიულმა გარემოებამ. ქართველ მოღვაწეთა საფლავები უტყუარად ღაღადებს ჩვენი ხალხების საერთო ბრძოლასა და შემოქმედებით შრომაზე, ჩვენი ხალხების კულტურულ ურთიერთობაზე, მათ ისტორიულ ძმობასა და მეგობრობაზე[8]. ჩემი ფიქრით, უმართებულო იქნებოდა ამ საფლავების მოშლა. ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა გავუფრთხილდეთ მათ, მოვუაროთ და ვეჰირისუფლოთ, მაგრამ დავტოვოთ კი თავის ადგილზე.

---

[8] რუსეთის არმიის ბანაკში, ქალაქ იასში დაიღუპა 1791 წელს ბრწყინვალე ქართველი პოეტი-ლირიკოსი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). ბესარიონ გაბაშვილის ხსოვნა ადუღაბებს ქართულ-რუმინული ძმობის საფუძვლებს.

ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

ბულგარეთისა და საქართველოს ისტორიული ცხოვრების ბედი ბევრ რამეში ერთმანეთს ემსგავსება. ბულგარეთმაც და საქართველომაც ერთნაირად იწვნია ბარბაროსული თუ ცივილიზებული დამპყრობლების (მონგოლების, თურქების, ბიზანტიელების...) შემოსევებისა და თარეშის მსახვრალი ძალა. ორივემ მწარედ იგემა ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა და ძალმომრეობის მთელი სიმძიმე. ორივეს მფარველად მოევლინა დიდი რუსეთი და იხსნა გადაშენების საფრთხისაგან. ბულგარეთიც და საქართველოც საუკუნეების მანძილზე ძირითადად კულტურის ერთი საერთო წყაროდან იკლავდა სულიერ წყურვილს. მიუხედავად გეოგრაფიული მანძილების დიდი სიშორისა (რაც განსაკუთრებით შუასაუკუნეებში იყო საგრძნობი), ბულგარელებსა და ქართველებს მაინც ჰქონდათ საერთო სამოქმედო სარბიელი, შეხვედრებისა და კონტაქტების ხელსაყრელი გარემონი. ამიტომაც სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ მათ ძალიან შორეულ წარსულიდან გაუცვნიათ ერთი-მეორე. უგრძვნიათ ერთგვარი სულიერი ნათესაობა და კულტურული ურთიერთობა დაუმყარებიათ. ქართველებისა და ბულგარელების კულტურული ურთიერთობის შესაძლებლობას ბევრ წილად აპირობებდა მათი საერთო სარწმუნოებრივი აღმსარებლობა და ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირი.

ქართველობა შედარებით ადრე ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ახალი ცივილიზაციის მშენებლობის ორომტრიალშიც იმთავითვე აქტიურად ჩაება. ბულგარეთმა ქრისტიანობა მიიღო IX საუკუნეში და იმავე საუკუნიდანვე დაიწყო მისი მწერლობის აღმოცენება. საკუთარი, ეროვნული მწერლობის ინტერესებმა შეახვედრა ბულგარეთი საქართველოს და ამ შორეული თანამოძმის გამოცდილება თავისი საქმის სასიკეთოდ გამოაყენებინა. საქმე ისაა, რომ იმდროინდელი დიდმპყრობელური დასავლეთი მწერლობის სფეროშიც აცხადებდა თავისი შეუვალი ბატონობის პრეტენ-

ზიებს. აქაო და, საქრისტიანო მწერლობა მხოლოდ სამ ენაზე შეიძლება განვითარდესო — ბერძნულზე, ლათინურზე და ებრაულზე (ამ ენებზე იყოო შესრულებული გოლგოთის ჯვარის წარწერა). ასე დაუსვამთ კითხვა ვენეციაში სლავი ხალხების განმანათლებლის კირილეს წინაშე იქაურ კლერიკალებს. კირილეს თავი დაუცავს და სლავური ანბანის შემოღების კანონიერება იმით დაუსაბუთებია, რომ ჩვენ სხვა ხალხებიც ვიცით, რომელთაც თავისი მწერლობა აქვთო. ამ ხალხთა შორის კირილეს მოუხსენებია იბერის ხალხი. ეს მაგალითი მშვენივრად ცხადყოფს ქართული მწერლობის იმდროინდელ საერთაშორისო ავტორიტეტს და ამავე დროს ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ფიქსაციის უძველესსა და უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს. კირილე განმანათლებელს ასე მოხდენილად გამოუყენებია ბულგარული ეროვნული მწერლობის პოზიციების გასამაგრებლად ქართული მწერლობის მაშინდელი კარგი ავტორიტეტი.

არანაკლები მნიშვნელობისაა XVI საუკუნის ერთი ბულგარელი მწერლის ჩვენება. ის აღნიშნავს, რომ მსოფლიოში 72 ენააო და მართლმადიდებელი ხალხებიდან საგანგებოდ ასახელებს ბულგარელებს, ბერძნებს, ასურელებს, იბერებსა და რუსებს. ხოლო ამ ხუთი მართლმადიდებელი ხალხიდან ცალკე გამოყოფს სამს — ბერძნებს, ბულგარელებსა და ქართველებს (იბერებს). ბულგარულ წყაროს ემთხვევა და მისსავე ტენდენციას გამოხატავს სერბული წყარო XV საუკუნისა — ზეციური სამების შესაბამისად ქვეყანაზედაც სამი სამეფო სუფევსო, საბერძნეთის სამეფო, ბულგარეთის სამეფო და ქართველთა (იბერთა) სამეფო. საბერძნეთი ესაბამისება მამა ზეციერს (მამა ღმერთს), საქართველო — ძე ღმერთს (იესო ქრისტეს), ბულგარეთი — სული წმიდას. რა კვალიფიკაციაც არ უნდა მივცეთ ამ მწიგნობრულ ფაქტებს, რა ზღაპრული ფანტაზიის ნაყოფად არ უნდა ჩავთვალოთ ისინი, ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ორივე წყარო (ბულგარული და სერბული) ბულგარული ეროვნული ტენდენციით არის გამსჭვალული, ორივე სლავური წყარო ბულგარეთს თვლის რჩეულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ქვეყნად, რომელსაც ღირსებისამებრ თავისი მწიგნობრობა აქვს და ზეციური იერარქიის კვალობაზე დედამიწაზედაც მეორე თუ მესამე ადგილი უჭირავს ბიზანტიისა და საქართველოს გვერდით. სლავი მწიგნობრები გადაჭრით ავითარებენ ბულგარეთის ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რჩეულობის იდეას, ისინი ბულგარეთს უტოლებენ საბერძნეთს

(ბიზანტიას), მსოფლიოს ამ მოწინავე ცივილიზებულ სახელმწიფოს და ამით, რასაკვირველია, უდიდეს ფასს ანიჭებენ სლავურ ქვეყანას. ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ საბერძნეთისა და ბულგარეთის სწორფასოვნად მიჩნეულია საქართველო. საქართველოც აღიარებულია ზეცისური თუ ამქვეყნიური სამების სწორუფლებიან წევრად. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი, შედარებით პატარა ქრისტიანული ქვეყნის, ბულგარეთისა და საქართველოს დიდი ბიზანტიის გვერდში ამოყენება და ამით მათი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის უცილობლობის ხაზგასმა. აღნიშნულთან დაკავშირებით უნებლიეთ გვაგონდება VIII საუკუნის ჩინებული ქართველი მწერლისა და მოაზროვნის იოვანე საბანის ძის ცნობილი განცხადება: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკუიდრთა..., აჰა, ესე რა ქართლისაცა მკუიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა“.

ამრიგად, სლავი ავტორების მსგავსად, ქართველ მწერალს თავი მოაქვს თავისი ქვეყნის დამსახურებით მსოფლიო ქრისტიანობის წინაშე და ამ მხრივ თვითონ ბიზანტიასაც კი ეჯიბრება. როგორათაც უნდა იყოს, სლავი მწიგნობრების თანმხვედრი მოწმობანი გვიდასტურებს, რომ საქართველო ადრე შუა საუკუნეებში კარგად ყოფილა ცნობილი და მისი კულტურა დიდად მიჩნეული მთელ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში.

ბულგარელები და ქართველები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ერთმანეთს ეცნობოდნენ და ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობით იმსჭვალებოდნენ იერუსალიმში, პალესტინაში, სინას მთაზე, კონსტანტინოპოლში, ათონზე (უწმანარეს ყოვლისა, ათონზე) და, ბოლოს, თვითონ საკუთრივ ბულგარეთის მიწა-წყალზე აღმოცენებულ ისეთ კულტურულ ცენტრში, როგორიც იყო სახელგანთქმული პეტრიწონი (აწინდელი ბაჩკოვო). ჯერ კიდევ პეტრიწონის პერიოდამდე, უნდა ვიფიქროთ, ათონის მწიგნობრულ წრეში, ალბათ ბულგარელთა ზოგრაფის მონასტერში ითარგმნა ბულგარულ ენაზე ჩვენი „სიბრძნე ბალავარისი“ ანუ სულისმარგებელი რომანი „ვარლაამი და იოასაფი“. მსოფლიო ლიტერატურის ამ დიდებული შედევრის ბერძნული ვერსიის წყარო რომ ქართული იყო, ეს ბულგარელ მეცნიერებს სადაოდ არ მიაჩნიათ. ეჭვთიმე ქართველისეული ბერძნული ვერსია კი ბულგარული ოარგმანის დედანია. მეორე მხრივ, სადღაც იმ პერიოდში, ქართუ-

ლად უთარგმნიათ თეოფილაქტე ბულღარელის თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებანი.

რამდენადაც სიტყვა ათონზე და ათონელებზე ჩამოვარდა, უინტერესო არ იქნება მოვიგონოთ ერთი ეპიზოდი გიორგი მცირის თხზულებიდან „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“, რომელიც გიორგის ბულგარელებთან ურთიერთობის კონკრეტულ ფაქტს შეეხება. ათონზე, მონასტრების მახლობლად, ყოფილა ბულგარელებით დასახლებული სოფელი ლივიზდია. სოფლელები თურმე ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე თაყვანს სცემდნენ ქალის სახედ გამოქანდაკებულ წარმართულ კერპს. ეს ამბავი შეუტყვია გიორგის. იგი ქართველი ბერების თანხლებით სწვევია ლივიზდიას და საკუთარი ხელით მოუსპია ეს მაცთური კერპი. დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად ნამდვილია, გიორგის „ცხოვრებაში“ მოთხრობილი ეს ეპიზოდი, ის მაინც გვითვალისწინებს ბულგარელი მცხოვრებლებისა და ჩვენი სახელოვანი მწერლის უშუალო კონტაქტისა და კეთილი დამოკიდებულების, ვთქვათ, გაზვიადებულ-გაზღაპრებული შემთხვევის ამბავს. გაზვიადება და გაზღაპრება აგიოგრაფიული მწერლობის ნიშანდობლივი თვისებაა, თუმცა „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“ დიდი რეალისტურობით აღბეჭდილი პირველხარისხოვანი ისტორიულ-მხატვრული ძეგლია, რომელიც ოდნავადაც ვერ თავსდება აგიოგრაფიული ჟანრის ძეგლთა ვიწრო ფარგლებში.

თუკი ათონის ქართველობა გარკვეულ ინტერესს იჩენდა ლივიზდიის ბულგარელი მოსახლეობის მიმართ, მით უფრო უშუალო, ცოცხალი და მჭიდრო უნდა ყოფილიყო ქართველთა და ბულგარელთა ურთიერთობა ქართული კულტურის იმ აღიარებულ ცენტრში, რომელიც XI საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში შეიქმნა და რომელსაც პეტრიწონი ეწოდება.

პეტრიწონი მდებარეობს ბულგარეთის მიწა-წყალზე, ძველი ფილიპოპოლის (აწინდელი პლოვდივის) მახლობლად, როდოპის მთების კალთებზე. იქ, პეტრიწონში, დიდებული მონასტერი ააგო გამოჩენილმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ, ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა (მხედართმთავარმა) გრიგოლ ბაკურიანის-ძემ თავისი საკუთარი ხარჯით და მისი ძმის, აგრეთვე ბიზანტიის დიდი მოხელის, მაშინ უკვე გარდაცვლილი აბასის წარსაგებელით. პეტრიწონის მშენებლობა დამთავრდა 1083 წელს. სამი წლის შემდეგ (1086 წელს) მისი კტიტორი გრიგოლ ბაკურიანის ძე დაიღუპა პაჭანიკებთან (პეჩენეგებთან) გააფთრებულ ბრძოლაში. მაგრამ

პეტრიწონი უკვე მტკიცედ იყო მწყობრში ჩამდგარი. ამასთან მას გამოუჩნდა ისეთი გულუხვი ჰზრუნველი ქართული კულტურული კერების მიმართ, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი (1089-1125). „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობის თანახმად, დავითმა „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თავისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, აღავსნა კეთილითა“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, თბილისი, 1955, გვ. 352). საგულისხმო ისიც არის, რომ აქ პირდაპირ არის დასახელებული ბორღალეთის (ბულგარეთის) ქართული მონასტერი, ე. ი. უეჭველად ჩვენი პეტრიწონი.

პეტრიწონი ქართული სულიერი და მატერიალური (ხუროთმოძღვრული) კულტურის უდიდესი ძეგლია, რომელიც საქმით ღაღადებს, თუ რა ძალისა იყო ქართველთა შემოქმედებითი გენია ადრე შუა საუკუნეთა მიწურულში. სწორედ პეტრიწონში მოღვაწეობდა ძველი საქართველოს ბუმბერაზი მოაზროვნე, „საღმრთო ფილოსოფოსი“ იოანე პეტრიწი. უწინარეს ყოვლისა, პერტიწონში განვითარდა ის თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობა, რამაც ქართული აზროვნება არა თუ გაუთანაბრა მაშინდელი დასავლეთ-ევროპის აზროვნებას, არამედ თითქოს იმაზე წინაც კი დააყენა. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება აქ დავიმოწმოთ აკადემიკოს ნიკო მარის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: «В XI—XII веках грузины интересовались в области философии теми же вопросами, какие занимали передовые умы тогдашнего христианского мира как на Востоке, так и на Западе, с тем отличием от других, например, от европейцев, что тогда грузины отзывались раньше других на наиболее новые течения философской мысли и работали во всеоружии образцовой для своего времени текстуальной критики непосредственно над греческими подлинниками».

გრიგოლ ბაკურიანის ძემ პეტრიწონის მონასტერს რომ ღვთისმსახურებისა და მწიგნობრობის განვითარების დიდი ამოცანები დაუსახა, ამას ადასტურებს ამ მონასტრის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საკმაოდ ვრცელი ნუსხაც. (წიგნები მონასტერს უანდერძა ვისმა კტიტორმა. ნუსხა დაუცავს მონასტრის ტიბიკონს, რომელიც საუცხოო გამოკვლევითა და რუსული თარგმანის დართვით ახლად გამოსცა აკაკი შანიძემ 1971 წელს). მეორე მხრივ პეტრიწონი იყო, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, განსწავლუ-

ლი კადრების სამშენებლო. მონასტერთან მოქმედებდა სასწავლო სემინარია, რომელიც ამზადებდა და წვრთნიდა ღვთისმსახურებისა და მწიგნობრობისათვის სანაღვაწეოდ განკუთვნილ ქართველ ახალგაზრდობას.

მე აქ ვერ შევუდგები პეტრიწონის მნიშვნელობის უფრო საფუძვლიან დახასიათებას. საამისო სპეციალური ლიტერატურა საბედნიეროდ, საკმარისად მოგვეპოვება. განსაკუთრებით ფასეულია აკაკი შანიძის დასახელებული შრომა. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძეს და მის ძმას აბასს, რომელთა წარსაგებელით დაარსდა ქართული კულტურის სასიქადულო კერა, დიდძალი მამულები ჰქონდათ ბიზანტიისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ბიზანტიის სახელოვან დომესტიკოსს განზრახული ჰქონია შეექმნა სიბერის ჟამის განსასვენებელი მყუდრო სავანე. სწორედ ამისათვის შეურჩევია მას ბულგარეთის „შუენიერი“ სოფელი პეტრიწონი (პეტრიჩკა) და აუგია იქ სამონასტრო შენობათა დიდი კომპლექსი. ნაწილობრივ აღსრულდა მისი ოცნება. თუმცა შრომით, რუდუნებითა და უსასრულო ბრძოლებით დაღლილმა ქართველმა პატრიოტმა სიბერის მშვიდი ცხოვრებით ვერ გაიხარა, მისმა ნეშტმა მაინც მოიპოვა მუდმივი ბინა მისსავე საძმო საძვალეში. ბაკურიანის ძეთა პეტრიწონის დიდი სავანე ქართველთა და ბულგარელთა ისტორიული ძმობა-მეგობრობის ცოცხალ სიმბოლოდ იქცა აწინდელ დროში.

პეტრიწონის ქართველთა მონასტერმა , საქართველოს უკუღმართი ისტორიული ბედი გაიზიარა. უკეთესი ისტორიული ხვედრი არც ბულგარეთს ერგო. პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის კედელს ახლა მემორიალური დაფა უკეთია. დაფაზე მშრალი ფაქტების ენით მოკლედ აღწერილია მონასტრის სევდიანი თავგადასავალი ჭრავალ უცხო ენაზე. აი, მემორიალის რუსული ტექსტის ერთი ამონაწერი: «Бачковский монастырь основан братьями грузинами — Григорием и Абасием Бакуриани в 1083 году. Разрушен завоевателями турками в XV веке». ძველ დროსთან შედარებით პეტრიწონში ბევრი სიახლეა. განახლებულია სამონასტრო ნაგებობანი, ფრესკები, ინვენტარი. პირვანდელი სახით გადარჩენილია მხოლოდ ბაკურიანის ძეთა საგვარეულო საძვალე და მთავარი ტაძრის გუმბათზე ამაყად აღმართული ჯვარი ქართული წარწერით „ჲესუს ქრისტეს ძლევაჲ“. ბევრმა ქართველმა საბჭოთა მოქალაქემ მოინახულა მისი ძველი კულტურის ეს ბრწყინვალე ძეგლი, ბევრმა

ქართველმა მეცნიერმა გამოიძია მისი ასავალ-დასავალი, ბევრი უცხოელიც აღაფრთოვანა ძველი დიდების ამ ცოცხალმა ნაშთმა. დიდი მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბევრრიგად ზრუნავს ქართული კულტურის ამ უნიკალური ძეგლის საკადრისი ღირსებით დასაცავად და შესასწავლად. ვიბეორებთ, პეტრიწონი ჩვენი ორი სოციალისტური ქვეყნის და ხალხის გულითადი ძმობა-მეგობრობის წარმტაცი სიმბოლოა დღეს.

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ქართველთა და ბულგარელთა ურთიერთობის ისტორიიდან გვიანფეოდალურ ეპოქაში (ვიცით კი მხოლოდ, რომ ორივე ხალხი ოსმალთა ბარბაროსული ბატონობის უღლის ქვეშ იყო მოქცეული, შემზარავ ბატონობას ვერ ურიგდებოდა და თავგამოდებით იბრძოდა მძიმე უღლისაგან თავის დასახსნელად.). ბულგარეთს ისტორიულად კეთილი ურთიერთობა ჰქონდა თავის უახლოეს მეზობელ რუმინეთთან. არსებობს წერილობითი ცნობა, რომ რუმინეთის დიდ განმანათლებელს, ანთიმოზ ქართველს (იბერიელს) მისსავე სნაგოვის სავანეში სტამბურად დაუბეჭდავს სლავური ენის გრამატიკა, რომელიც ბალკანეთის სლავური მოსახლეობის, კერძოდ, ბულგარელების საანბანო სახელმძღვანელო წიგნად ყოფილა თურმე დანიშნული[1].

რევაზ სირაძემ, ძველბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემის სერიოზულმა მკვლევარმა, დააყენა გადასაწყვეტად მეტად ძნელი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ამ ურთიერთობათა შესაძლებელი ერთი სიღრმისეული კავშირისა[2]. საქმე ეხება ბიზანტიური, ბულგარული, რუსული და ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის ეტაპური მნიშვნელობის ლიტერატურულ-სტილურ მოვლენას, რომელიც შინაარსობრივად არსებითად ერთი და იგივეა, ხოლო სახელს სხვადასხვას ატარებს. ეს არის (თუ ბულგარულიდან დავიწყებთ) XIV საუკუნის განთქმული ბულგარელი მწერლის ეკვთიმე ტირნოველის (1320—1402) მიერ ჩატარებული მწიგნობრულ-სტილური რეფორმა, რომელიც ე ქ ს პ რ ე ს ი ულ-ე მ ო ც ი უ რ ი სტ ი ლ ი ს სახელით არის ცნობილი. ეკვთიმე ტირნოველმა მის წინადროინ-

---

[1] გიორგი ლეონიძე. ანთიმ ივერიელი, ჟურნ. „დროშა", 1951, № 2.

[2] იხ. მისი „ძველბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები", ჟურნ. „მნათობი", 1972, № 10, გვ. 179—192.

დელ ბულგარულ აგიოგრაფიულ ძეგლთა ახალი რედაქციები შექმნა. ძველი რედაქციები დაწერილი ყოფილა უბრალო, მარტივი, ანუ ლიტონი ენით და ხშირად მწვალებლური ხასიათის იდეებსაც შეიცავდა თურმე. ექვთიმე ტირნოველს აგიოგრაფიულ თხზულებათა ეს ძველი მარტივი სტილი შეუცვლია ენაწყლიანი რიტორიკული სტილით და ტექსტები იდეურ-შინაარსობრივადაც შესაფერისად გაუწმენდია. ექვთიმე ტირნოველის რეფორმამ უდიდესი გავლენა მოახდინა ბულგარული მწერლობის შემდგომ განვითარებაზე და მან ახალი ეპოქა შექმნა ძველი რუსული მწერლობის ისტორიაში. ექვთიმე ტირნოველის რეფორმის ზეგავლენის შედეგად ძველ რუსულ მწერლობაში ფეხი მოიკიდა (და მტკიცედ დამკვიდრდა კიდევაც) ამ ექსპრესიულ-ემოციურმა სტილმა ანუ რუსული სპეციფიკური გამოთქმით „плетение словес". რუსული ლიტერატურის ისტორიკოსნი აღნიშნულ ლიტერატურულ მოვლენას თვლიან მეორე სამხრეთ-სლავურ გავლენად რუსულ ლიტერატურაზე (второе южнославянское влияние на русскую литературу). ეს ყველაფერი ფართოდ ცნობილი ამბავია. მაგრამ ვინც ძველი ქართული მწერლობის საკითხებში ოდნავ მაინც ერკვევა, მისთვის ადვილად შესამჩნევია, რომ სლავური (ბულგარულ-რუსული) ექსპრესიულ-ემოციური სტილი სხვა არა არის რა, თუ არა ე. წ. მეტაფრასული სტილი მწერლობისა. მეტაფრასული სტილის სწორუპოვარი ისტორიკოსი, ჩვენი ეფრემ მცირე, გვიმოწმებს, რომ გარკვეული პერიოდიდან ბერძნულ (ბიზანტიურ) მწერლობაში დაიწყეს ადრინდელი, უბრალოდ, ლიტონად და „უშუერად" შეთხზული აგიოგრაფიული ტექსტების ახალ ყაიდაზე „აღკაზმვა" და „გაწმენდა", ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენაწყლიან-რიტორიკულად გაწყობა. რათა ისინი (ძველი ტექსტები) „არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშთესო". ძველი, ლიტონი აგიოგრაფიული ტექსტები შეყვანილი ყოფილა იდეურ-მწვალებლური „ღუარძლისაგან" და საჭირო გამხდარა მათი ამ თვალსაზრისით გაცხრილვა და გაწმენდა. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირის მონათხრობის თანახმად, ბიზანტიელმა მწერალმა სიმეონ ლოღოთეტმა „ორნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა წავებასა წმიდათასა, რამეთუ იფქლი განწმედილიყო ღუარძლისაგან და ყოვლად შუენიერად შეცუალნა უშუერებისაგან".

ეფრემ მცირის ციტირებული ნაწყვეტი საცნაურ-ყოფს იმ ლიტერატურული მოვლენის ეკვმიუტანელსა და განმაცვიფრებელ ურთგვარობას, რომელსაც ბერძნულსა და ქართულში მეტაფრასი,

ხოლო ბულგარულსა და რუსულში ექსპრესიულ-ემოციური სტილი თუ «плетение словес» ეწოდება. მეორე მხრივ, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ მეტაფრასული სტილის ხასიათი და მისი შინაარსი ძველქართულ წყაროებზე დამყარებით ნათლად და მკაფიოდ გაარკვია ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. ამ წყაროების გამოქვეყნებამ რუსულ ენაზე მაშინ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია რუსულ აკადემიურ წრეებში. კ. კეკელიძის მასალები, მაგალითად, იოვანე ქსიფილინოსის შესახებ, დიდმა რუსმა აგიოლოგმა, აკადემიკოსმა ლატიშევმა შეაფასა, როგორც «откровение в исторіи византійской литературы». სამწუხაროდ, ეს საოცარი „ხილვანი“ შემდეგ სრულ დავიწყებას მიეცა. საჭირო კია, რასაც სამართლიანად ამბობს რევაზ სირაძე, მათი გაცოცხლება და ბულგარულ-რუსული ლიტერატურის ისტორიის აღნიშნული საკვანძო საკითხის საძიებლად გამოყენება. საგანგებო ყურადღების ღირსი ისიცაა, რომ ექვთიმე ტირნოველის ლიტერატურული მოღვაწეობა მიმდინარეობდა ათონზე, მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის ამ მაორგანიზებელ ცენტრში. აქ ყვაოდა ქართული მწერლობაც, აქ შრომობდნენ იოვანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, აქ იყო ქართულ-ბერძნულ-სლავურ (ბულგარულ-რუსულ) მწერლობათა კონტაქტების ბუნებრივი გარემო. ვინ იცის, რა როლი შეასრულა ქართულმა ელემენტმა ექვთიმე ტირნოველის მიერ ფუძედებული ლიტერატურული მოძრაობის ისტორიაში! ამისმა გულდასმითმა გამოძიებამ იქნებ კიდევაც გადაგვიშალოს მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის ისტორიის ახალი, საყურადღებო ფურცელი და, კერძოდ, შუქი მოფინოს ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ერთ ურთულეს საკითხს. რევაზ სირაძე კარგა ხანია ბულარეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება სამეცნიერო მივლინებით, ის საგანგებოდ სწავლობს და იკვლევს დასახელებულ პრობლემებს და გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში მას სპეციალურ ნაშრომს მიუძღვნის. მე სრული იმედი მაქვს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი წარმატებით გაართმევს თავს ამ საპასუხისმგებლო ამოცანას.

ბულგარულ-ქართულ ურთიერთობათა ახალი ეტაპი მოდის XIX საუკუნის სამოციან-ოთხმოციან წლებზე. ესაა ბულგარეთსა და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის წლები. თითქმის სრული ხუთასი წელი განუკითხავად ბატონობდა ბულგარეთზე ოსმალო-თურქი. ოსმალეთის ბატონობას

ჰქონდა უკიდურესად ველური, ყაჩაღური ფორმა. ბულგარელი ხალხი იმყოფებოდა ეროვნული გადაგვარების, გადაშენებისა და გადარჯულების რეალური საფრთხის წინაშე. ოსმალები უღვთოდ და უმოწყალოდ არბევდნენ, აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ ბულგარელ მოსახლეობას, ამცირებდნენ, აბუჩად იგდებდნენ მათ ეროვნულ-სარწმუნოებრივსა და, უბრალოდ, ადამიანურ ღირსებას. ოსმალთა შემზარავი ბატონობის უღლის მთავარ სიმძიმეს, რასაკვირველია იტანდა ბულგარეთის მშრომელი მოსახლეობა. მემამულეები და ჩარჩ-ვაჭრები (ეგრეთწოდებული ჩორბაჯიები) ადვილად ახერხებდნენ დამპყრობლებთან საერთო ენის გამონახვას და პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნებას. არც ბერძენი სამღვდელოება (ბერძენი ფანარიოტები) აყრიდა ხელს ბულგარელ მშრომელს (საქრისტიანო ღვთისმსახურება ბულგარეთში ბერძნულად წარმოებდა). ერთი სიტყვით, ყოველგვარი გაღაჭარბების გარეშე, მურდალი ოსმალო მოხელეები, შინაური წურბელა ჩორბაჯიები და მსუნაგი ბერძენი მღვდლები უკანასკნელ სარჩო-საბადებელს ართმევდნენ, სისხლს სწოვდნენ, სულსა და ხორცს უგინებდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ ბულგარელ ხალხს. მაგრამ გამრჯე, შრომისა და თავისუფლების მოყვარე და დიდი კულტურის პატრონი ხალხი არაოდეს შერიგებია მონობის უღელს. აჯანყება აჯანყებას ცვლიდა. მარცხი ადიდებდა მსხვერპლს და აძლიერებდა გამარჯვებულთა ძალმომრეობას. დროებით დამარცხებულნი ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ, ქედს არ იხრიდნენ, იმედიანი მომავლის მომლოდინენი განაგრძნობდნენ შეუპოვარ ბრძოლას. დადგა განთავისუფლების ჟამიც. XIX საუკუნის სამოციან-სამოცდაათიან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ღებულობს ფართო მასშტაბის ორგანიზებული, სახალხო-რევოლუციური მოძრაობის ხასიათს. ამ მოძრაობას სათავეში უდგანან მღნე, მამაცი, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებული ხელმძღვანელები (გიორგი რაკოვსკი, ვასილ ლევსკი, ლუბენ კარაველოვი, ქრისტო ბოტევი, ივანე ვაზოვი და სხვ.). ზოგმა მათგანმა სახრჩობელაზე დაამთავრა თავისი სიცოცხლე, მაგრამ ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არ ნელდებოდა. „თავისუფლება ან ვაჟკაცური სიკვდილი“, „სიკვდილი სჯობს საძაგელ, დამამცირებელ სიცოცხლეს“, „თავისუფლებისათვის ბრძოლაში სანატრელია ტკბილი სიკვდილი“, „იგი არ კვდება, ვინც თავი თვისი მსხვერპლად შესწირა თავისუფლებას“. ასეთი იყო ბულგარელ მეამბოხეთა საბრძოლო ლოზუნგები. „გაუმარჯოს თავისუფალ ბულგა-

რეთს“, ქუხდა ეს შეძახილი ეშაფოტის წინაც. ბულგარეთის ისტორიის ამ ჰეროიკულმა პერიოდმა წარმოშვა ბევრი ნამდვილად თავდადებული სახალხო გმირი. საგულისხმო ისაა, რომ ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უწინარეს ყოვლისა მწერლები, პოეტები და პუბლიცისტები ხელმძღვანელობდნენ. ასეთები იყვნენ უკვე მოხსენებული რაკოვსკი, ლევსკი, ბოტევი, კარაველოვი, ვაზოვი. ივანე ვაზოვი ჩვენი გრიგოლ ორბელიანის მსგავსად კითხულობდა: „სხვა ბულარეთი სად არის, ასე უხვი და ფერადი?“. (შდრ. ორბელიანის— „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“). როგორადაც ლიტერატურის ტიპოლოგიური ერთობის კანონზომიერებამ ერთმანეთს შეახვედრა და დაანათესავა ნიკოლოზ ბარათაშვილი და შანდორ პეტეფი, ასევე ერთობლივ ჰანგზე აამღერა ამ კანონზომიერებამ გრიგოლ ორბელიანი და ივანე ვაზოვი. და განა მარტო ესენი? ბულგარელ მებრძოლთა ლოზუნგი „თავისუფლება ან კაჟკაცური სიკვდილი“, „სიკვდილი სჯობს დამამცირებელ სიცოცხლეს“ ხომ ყველას მოაგონებს რუსთველის უკვდავ აფორიზმს „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ბოტევის ლექსი „იგი არ კვდება, ვინც თავი თვისი მსხვერპლად შესწირა თავისუფლებას“, სამაგალითოდ ეხმაურება ილიას სიტყვებს „არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია“. და რამდენი სხვა მაგალითის დამოწმება შეიძლებოდა! ასეთია ტიპოლოგიურ მოვლენათა მხატვრული ასახვის კანონზომიერებათა ლოგიკა.

ბევრი რამ აქვს ნიშანდობლივადაც საერთო და ნათესაური ბულგარეთსა და ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისითაც. ქართველი და ბულგარელი ხალხები ერთნაირად განიცდიდნენ ეროვნულსა და სოციალურ ჩაგვრას, ერთნაირი სატკივარი აწუხებდა მათ. („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“). ქართველი და ბულგარელი მოაზროვნენი ერთნაირად იკვებებოდნენ რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების საგანძურიდან. იყო ერთი თვალსაჩინო სხვაობა, რომელსაც მართალია კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში არც ჰქონდა პრინციპულად არსებითი მნიშვნელობა. ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომაც მეფის მთავრობა ძალღონეს არ იშურებდა ამ მოძრაობის ჩასახშობად. ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კი იგივე მეფის რუსეთი დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა. მეფის რუსეთი გარეგნულად სლავ

თანამოძმეთა განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს ისახავდა მიზნად, თუმცა არსებითად კი ოსმალეთის განდევნით ბალკანეთიდან გზა ეხსნებოდა მის კოლონიურ ექსპანსიას ბოსფორისაკენ. ასეა თუ ისე, რუსეთი ობიექტურად ბულგარეთის მფარველის როლში გამოდიოდა და ანტითურქულ მოძრაობას ყოველმხრივ ჭიმაგრობდა. 1877—1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომმა სათავე დაუდო ბულგარეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამ ომის შედეგმა დიდი სიხარული მოუტანა ქართველობასაც. ქართველობას მან დაუბრუნა მისი მშობლიური აჭარა...

გარკვეული მიზეზების გამო მეფის რუსეთი ხელს არ უშლიდა ბულგარეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი საქმის პროპაგანდას საქართველოში. ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და ძმანი მათნი მოხერხებულად იყენებდნენ შექმნილ მდგომარეობას და ბულგარეთის მებრძოლთა აღტაცებული ქება-დიდებით ორმხრივად გამოხატავდნენ თავიანთ სანუკვარ წადილს: ბულგარელებსაც უცხადებდნენ გულწრფელ თანაგრძნობას და არაპირდაპირ თავიანთ საოცნებო გულის ნადებსაც ცხადლივ ამქღავნებდნენ. ქართული პრესა („ივერია", „დროება", „მოამბე") იშვიათი გულმოდგინებით, გულისხმიერებითა და სისრულით აშუქებდა ბულგარეთის შორეულ ამბებს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ქართულად სრულად გამოქვეყნდა ბულგარეთის ცენტრალური რევოლუციური კომიტეტის პროგრამა-მანიფესტი და ი. ივანოვიჩის შესანიშნავი ნარკვევი „ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი და წამებულნი" („მოამბე", 1896, IX, X, XI). საკმარისია დავიმოწმოთ ამ პროგრამა-მანიფესტის მეხუთე მუხლი, რომ კარგად შევიცნოთ მისი შთამაგონებელი მნიშვნელობა ქართველობისათვის: „თვითეულმა ერმა თავისი თავისუფლება თვითონვე უნდა დაიცვას და თავისი საქმეები თავისი სურვილისამებრ ჰმართოს..." მეორე მხრივ ქართველებისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობითაა გამთბარი ბულგარეთის უდიდესი პოეტისა და რევოლუციონერის ივანე ვაზოვის მეცნიერულ-პუბლიცისტური ნარკვევი „ქართველთა ერის ისტორიული ცხოვრების მიმოხილვა". ივანე ვაზოვის ბრწყინვალე რომანი „კირთების ქვეშ", რომელიც ბულგარეთის 1876 წლის აჯანყების ამბავს ასახავს, „დამონებულნის" სათაურით ქართულად თარგმნა თ. საბოკიამ. ეს წიგნი ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ საარაკო სიყვარულით აიტაცა. აღფრ-

თავანებული ლექსი მიუძღვნა ბულგარეთის თავისუფლებისათვის ბრძოლთ რაფიელ ერისთავმა („მოძმეთადმი", 30. VIII. 1876). თავის მხრივ ბულგარულად ითარგმნა და გამოქვეყნდა (ცოტა მოგვიანებით) აკაკის უკვდავი „განთიადი".

ბულგარულ ქართულ ურთიერთობას ახალი ბიძგი მისცა ბულგარეთის სოციალისტურმა რევოლუციამ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამ, რის 30-ე წლისთავს ჩვენ დღეს აღვნიშნავთ.

ამ დროიდან გაძლიერდა და გაფართოვდა უშუალო, ცოცხალი კონტაქტები ორ მოძმე ხალხს შორის. ურთიერთ ყოფაცხოვრების შესწავლის საქმე გაღრმავდა და მკვიდრ ნიადაგზე დადგა. კულტურულ ურთიერთობასაც თვისობრივად ახალი შინაარსი და დროის საკადრისი ფორმა მიეცა. ლიტერატურა ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებისეულ აჩქარებულ რიტმს და მკაფიოდ გამოხატავს ურთიერთობის აწინდელ ვითარებას. დავიმოწმებ ბულგარელი პოეტის ნიკოლო კინჩევის შთამბეჭდავ სიტყვებს (კინჩევმა 1964 წელს რამდენიმე თვე გაატარა საქართველოში და მოამზადა ქართული პოეზიის ანთოლოგია). «Я стал горячим поклонником грузинской поэзии еще до начала переводческой деятельности. Познакомившись с грузинской поэзией по русским переводам, я сразу же ощутил ее удивительную прелесть и очарование. По моему глубокому убеждению, между грузинской и болгарской поэзией есть определенное духовное родство. Возможно, это объясняется сходными географическими условиями или близостью темперамента и мироощущения наших народов (Литературная Грузия, 1964). თვითონ ნიკოლო კინჩევის ლექსების წიგნი „მარადისობა" ქართულად თარგმნეს და გამოაქვეყნეს (1973 წელს) ჩვენმა შესანიშნავმა თანამედროვე პოეტებმა. ნიკოლო კინჩევის კრებულიდან დიდ ინტერესს იწვევს ლექსი „ტიციან ტაბიძე". ბულგარელ პოეტს მთელი სიმძაფრით განუცდია ქართველი პოეტის ტრაგიკული ხვედრი.

საკმარისად ხანგრძლივი დრო დაჰყო ბულგარეთში ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა, ბევრი ნამდვილად დაძაბული და გატაცებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფია ფაქიზად შესრულებული თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია (თბილისი, 1974), რომელიც ამ დღეებში გაჩნდა წიგნის ბაზარზე. მინიატურულ პოეტურ წინასიტყვაობაში მუხრან მაჭავარიანი აუწყებს მკითხველს: „ეს ლექსები ნახევრად მაინც, სისხლნი და ხორცნი არიან ჩემნი. სამ წელიწადზე მეტხანს ვგეშავდი ქართულ

სიტყვას, რათა ცოტათი მაინც გამეჩემებინა სულისკვეთებანი სხვათანი. გავართვი თუ არა ამ ძნელ საქმეს თავი, და, თუ გავართვი, — როგორ, ამას მკითხველი განსჯის. თუ ღმერთი შემეწია და ჩემმა თარგმანებმა ქართველ მკითხველს ოდნავ მაინც მიანიშნა დედნის სიკარგეზე — ხომ კარგი, თუ არა და — რა გაეწყობა! — „თავსა ახლად ვერვინ იშობს".

ჩვენ, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, გულწრფელად ვიღიარებთ, რომ მუხრან მაჭავარიანის „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგიამ" ნამდვილად გვაგრძნობინა ბულგარული პოეზიის შნო და ლაზათი და მისმა კითხვამ დიდი ესთეტიკური სიამოვნებაც განგვაცდევინა.

კინჩევისა და მაჭავარიანის ანთოლოგიები ბულგარელ და ქართველ ხალხთა სულიერი ძმობის მშვენიერი დოკუმენტია. ჩვენს დროში ქართულად ითარგმნა და გამოიცა ნაბატვრული სიტყვის ბულგარელ ოსტატთა ბევრი ნაღვაწი. ყველას ვერ დავიმოწმებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ირაკლი აბაშიძემ და გრიგოლ აბაშიძემ სანიმუშოდ თარგმნეს და გამოაქვეყნეს ბულგარეთის ღიდი პოეტი-რევოლუციონერების ქრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის ლექსების წიგნი 1955 წელს. ორჯერ გამოიცა საბჭოთა პერიოდში ივანე ვაზოვის განთქმული რომანი „დამონებულნი". ქართულად გამოვიდა ბულგარული მოთხრობები (თარგმანი ოთარ გვინჩიძისა), ბულგარული ზღაპრები და ბევრი სხვაც. ზოგი რამ ქართული (გარდა ანთოლოგიის ლექსებისა) ითარგმნა ბულგარულ ენაზეც. კერძოდ, დასრულდა ვეფხისტყაოსნის ბულგარული თარგმანი. მთარგმნელია ხალგაზრდა ნიჭიერი პოეტი სტოიან ბაკირჯიევი. თარგმანი შესრულებულია დედნიდან ბულგარელი ლიტერატურათმცოდნის ივანე ბიწაძის დახმარებით (ივანე ბიწაძე ბულგარელი ქართველია, მეცნიერული წრთობა მიიღო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში). ვეფხისტყაოსნის ბულგარული თარგმანის გამოქვეყნებული ნაწყვეტები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს[3].

ქართველობისადმი უზომო სიყვარულის გრძნობითაა გამსჭვალული ვასილ ცონევის წერილი „ქართული სადღეგრძელოები" (კომუნისტი, 9. VII. 70). თავის შთაბეჭდილებებს ბულგარეთში მოგზაურობაზე გვთავაზობს სერგი ჭილაია („ჩვიდმეტი დღე ბულგა-

---

3 ბაკირჯიევის თარგმანის სრული ტექსტი ცალკე წიგნად გამოცემულია (სოფია, 1975).

რეთში“). დიდი შთაბეჭდილება ბულგარეთში მოგზაურობიდან მეც შემრჩა (თუმცა წერილობით ეს ჯერ არ გამომიხატავს).

საკმაოდ ცხოველია კონტაქტები ქართველ და ბულგარელ მეცნიერთა შორისაც. მე უკვე მოვიხსენიე ივანე ბიწაძე, რომელიც ბევრ კეთილ ქართულ საქმეს აკეთებს ბულგარეთის რესპუბლიკაში. ასევე, უკვე აღვნიშნე, ბულგარეთში ხანგრძლივი მივლინებით იმყოფება თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ნიჭიერი მკვლევარი რევაზ სირაძე, რომელიც საგანგებოდ სწავლობს ძველ ბულგარული და ძველქართული კულტურული ურთიერთობის საკითხებს. ქართველმა პროფესორმა მიხეილ კვესელავამ გამოაქვეყნა ბულგარული ლიტერატურის ისტორიის სოლიდური კურსი (თბ., 1953). ბულგარეთში, სამეცნიერო ექსპედიციაში იმყოფებოდნენ სხვადასხვა დროს აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი ურუშაძე, ოთარ გიგინეიშვილი. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს 1972 წლის ივნისში ეწვია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლიტერატურათმცოდნე გიორგი ცანევი. ჩატარდა ორივე მხარისათვის სასარგებლო საქმიანი მეგობრული საუბარი. 1973 წლის 10 ოქტომბერს იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ბულგარეთის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა გიორგი დიმოვმა — «Проблемы современной болгарской литературы». სოფიის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის თანამედროვე ვითარებაზე მოხსენებით გამოვიდნენ 1968 წლის ნოემბერში სიმონ ყაუხჩიშვილი და აკაკი ურუშაძე.

ბულგარულ-ქართული კონტაქტები თვალსაჩინოა სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მომავალში ეს კონტაქტები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, გაღრმავდეს და გაფართოვდეს. ამას უთუოდ ხელს შეუწყობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აწინდელი საზეიმო დღეები ჩვენს ქვეყანაში[4].

---

[4] ჩვენი მოხსენებისათვის ძირითად წყაროებად გამოყენებულია: კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, I; მ. კვესელავა, ბულგარული ლიტერატურა (თბ., 1953); ა. შანიძე, პეტრიწონის ქართული მონასტერი (თბ., 1971); რ. სირაძე, ძველ ბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, ჟურნ. „მნათობი“, 1972, № 10; ა. ურუშაძე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969.

უნგრულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

(უნგრეთის განთავისუფლების 30-ე წლისთავის გამო)

ოთხი აპრილი უნგრეთის დიდი ეროვნული დღესასწაულია. ოცდაათი წლის წინათ, 1945 წლის 4 აპრილს, ძლევამოსილმა საბჭოთა ჯარებმა უნგრელი მშრომელი მოსახლეობის აქტიური მხარის დაჭერით საბოლოოდ გაწმინდეს უნგრეთის ტერიტორია ფაშისტ-დამპყრობელთა შეირაღებული ძალებისაგან. ამ დღეს უნგრელმა ხალხმა თავი დაიხსნა ჰიტლერელთა მონობისაგან და მოიპოვა სანუკვარი თავისუფლება. აქედან დაიწყო უნგრელი ხალხის ახალი ისტორიული ეპოქა. ქართველი ხალხი, საბჭოთა ქვეყნის ყველა სხვა ხალხთან ერთად, იზიარებს მოძმე უნგრელი ხალხის დიად სიხარულს და გულმხურვალედ ულოცავს მას ამ ეროვნული დღესასწაულის დღეს.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ უნგრეთის განთავისუფლების 30-ე წლისთავს ერთგვარად დაემთხვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძეს ბრეჟნევის მეთაურობით. ყველა ჩვენგანის სიამოვნებას იწვევს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შედიოდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე. ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვით, სწორედ უნგრეთის განთავისუფლების 30-ე წლისთავის სადღესასწაულო თარიღმა „განსაკუთრებული ჟღერადობა“ მისცა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ევროპის ცენტრში მდებარეობს, დუნაის შუაწელის ორივე სანაპიროზე. მისმა მოსახლეობამ 10,5 მილიონს მიაღწია. 3,5 მილიონი უნგრელი ცხოვრობს სამშობლოს გარეთ. უნგრელები თავიანთ თავს უწოდებენ მადი-

არებს. აწინდელ მიწა-წყალზე უნგრელები დასახლდნენ მე-9 საუკუნის მიწურულში (ზოგიერთი უნგრელი ისტორიკოსის ფიქრით, უნგრელთა წინაპრები თავდაპირველად თითქოს საქართველოს მთიანეთში ბინადრობდნენ, შავი ზღვის სიახლოვეს).

მადიართა მომთაბარე მეომარმა ტომმა ევროპაში ბრძოლით მოიპოვა სამკვიდრებელი. აქ შექმნა თავისი სახელმწიფო ორგანიზაცია. მიიღო ქრისტიანობა, საუკუნეების მანძილზე ღირსეულად ხვდებოდა იგი მტერსა და მოყვარეს.

მეტისმეტად მძიმე ისტორიული ცხოვრების გზა განვლეს მადიარებმა. 1241—1242 წლებში უნგრეთი აიკლეს და მისი მოსახლეობა გაჟლიტეს მონღოლებმა. მონღოლების შემოსევის შემდეგ ქვეყანამ წყლულები მოიშუშა და XIV—XV საუკუნეებში დიდ აღორძინებას მიაღწია. XV საუკუნე უნგრული რენესანსის დიდებული ხანაა. მაგრამ სწორედ ეს დრო იყო, როდესაც ევროპის შუაგულისაკენ ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა გზას ბარბაროსული ოსმალეთი. უნგრეთი ერთხანს გმირულად უმკლავდებოდა მოზღვავებულ მტერს. XVI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს (1526 წელს) უნგრელებმა ომი წააგეს. მათ ქედზე დაადგეს ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელი. საუკუნენახევარი გაგრძელდა თურქთა ბატონება. XVIII საუკუნის დასაწყისიდან (1711 წლიდან) ოსმალები შეცვალეს ავსტრიელმა ჰაბსბურგებმა. ახალი დამპყრობლები ძალმომრეობის ცივილიზებული ხერხებით ცდილობდნენ უნგრელების დამორჩილებას. ხალხი აჯანყებით ხვდებოდა მორიგ ტირანიას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაება უნგრეთის მთელი მოსახლეობა, ქალი. კაცი. 1848 წელს იფეთქა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამ. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სახელმოხვეჭილი პატრიოტები ლაიოშ კოშუტი (1802—1894) და მადიართა უდიდესი ეროვნული პოეტი-რევოლუციონერი შანდორ პეტეფი (1823—1849). გაჭირვებაში ჩავარდნილ ვერაგ მოძალადეს ჯარით მიეშველა და აჯანყებას ბოლო მოუღო იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა. ჯალათებთან ბრძოლაში დაეცა შანდორ პეტეფი. კოშუტი უცხოეთში გადაიხვეწა. უღვთო იყო გამარჯვებული ჰაბსბურგელების შურისძიება. უნგრელ ხალხს იარაღი მაინც არ დაუყრია და ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საჭელოვანი მესვეურები სრულ თანაგრძნობას უცხადებდნენ უნგრელ თანამოძმეთა საბრძოლო საქმეს. ილია ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტს ამშვენებდა ლაიოშ კოშუტის სურათი შესანიშნავი წარ-

წერით: „არასოდეს ჰეშმარიტებას ამ ქვეყნად ასე მძლავრად არ დაუქუხია". აკაკი წერეთელი კი გრძნობით ამბობდა: „კოშუტი ყოველი შეგნებული ქართველი პატრიოტის იდეალია".

როგორც აღვნიშნე, ლაიოშ კოშუტი უცხოეთში გაიხიზნა. კოშუტის ოჯახის ერთმა შტომ სამკვიდრებელი დაიდვა საქართველოში. ქართველი კოშუტების ორი შთამომავალი, ინჟინერი სტანისლავ კოშუტი და მისი ასული, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, მშვენიერი მოქართულე სვეტლანა კოშუტი — ჩვენთან ერთად ზეიმობს უნგრეთის ეროვნულ დღესასწაულს.

პირველმა მსოფლიო ომმა (1914—1918) უნგრეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნა შეაპირობა. 1919 წელს, 133 დღის განმავლობაში (მარტი — ივნისი), უნგრეთი საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენდა. იგი ჩაახშო მტარვალმა ჰორტიმ. მიკლოშ ჰორტის დიქტატურულ-შოვინისტური რეჟიმი გერმანული ფაშიზმის ბუნებრივი მოკავშირე და საყრდენი ძალა გამოდგა უნგრეთის სახელმწიფოში. ჰიტლერს მიჰყვა ჰორტიც და მისი მემკვიდრე, უნგრელი მარკის ფაშისტი სალაში. 1944 წლის სექტემბერში უნგრეთის მიწა-წყალზე ფეხი შედგა საბჭოთა განმათავისუფლებელმა არმიამ. 1945 წლის 13 თებერვალს განთავისუფლდა ბუდაპეშტი. ბუდაპეშტისათვის ბრძოლის საქმეში თავი ისახელა ბევრმა ქართველმა მეომარმა. 4 აპრილისათვის დამთავრდა ბრძოლა უნგრეთისათვის. გაავებული მტერი ბრძოლით იხევდა უკან. ანგრევდა და მიწასთან ასწორებდა ყოველივე კარგს და მნიშვნელოვან ნაგებობას, არბევდა და ანიოკებდა, ძარცვავდა და ქლეტდა მოსახლეობას, წინ ერეკებოდა მშვიდობიან ათასობით ტყვეს.

ცხოვრებამ თავისი გაიტანა. დიდი საბჭოთა ქვეყნის ძმური დახმარებით უნგრელი ხალხი ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა, თანდათანობით მოიშუშა მძიმე წყლულები და ახალ, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას შეუდგა. 1948 წლის 18 თებერვალს დაიდვა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ისტორიული ხელშეკრულება. რამაც უზრუნველჰყო უნგრეთის საგარეო უშიშროება და მისი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა. მართალია, 1956 წლის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ დროებით შეაფერხა ქვეყნის ეკონომიური წინსვლა, მაგრამ ამ აჯანყების

დროულმა ლიკვიდაციამ უნგრეთი კვლავ დააყენა აღმავლობის გზაზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ამჟამად სოციალისტური ბანაკის ხალხთა მოწინავე რიგებში იმყოფება თავისი მძლავრი ინდუსტრიით, ინტენსიური სოფლის მეურნეობით და დიდი კულტურით. უკვე 1964 წელს, მაგალითად, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს. უნგრეთში მტკიცედ არის ჩაყრილი სოციალიზმის საძირკველი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად იქ ახლა ინტენსიურად გრძელდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა. სრულიად უმნიშვნელოა კერძო სექტორის წვლილი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. უნგრეთს არა აქვს დაუმუშავებელი და დასვენებული, ანუ ყამირი მიწები. მოსავლიანობის ზრდა ხდება ინტენსიფიკაციის ხარჯზე. საგულისხმოა, რომ 1964 წლიდან მოკიდებული რესპუბლიკა სავსებით იკმაყოფილებს თავს საკუთარი ხორბლეულით. მას აქვს საკმარისი ჭორცის პროდუქტი და ბოსტნეული. მაღალია უნგრეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე, მაღალია მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებაც.

უნგრეთის რესპუბლიკაში ძლიერ დაწინაურდა სახალხო განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება (მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, თეატრი, კინო), სპორტი. უნგრეთს ჰყავს მუშურ-გლეხური წარმოშობის სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი, დიდებული კადრი, შესანიშნავი ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც წარმატებით ეუფლება მარქისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, მტკიცედ დგება სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე. უნგრეთის ბევრ სწავლულს მსოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი. საყოველთაოდ ცნობილია უნგრული მუსიკისა და მხატვრობის მიღწევები. მუსიკის სფეროდან საკმარისია მოვიგონოთ ფერენც ლისტის (1811—1886) და ბელა ბარტოკის (1881—1945) უკვდავი სახელები. გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ უნგრეთის ეროვნული თეატრი და კინოხელოვნება (რესპუბლიკაში 4500-ზე მეტი კინოთეატრია), უნგრულმა ლიტერატურამ, უწინარეს ყოვლისა, უნგრულმა პოეზიამ ვნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მწერლობის ისტორიაში. 1966 წელს, რუსთველის საიუბილეო დღეებში, პოეტთა საერთაშორისო ფორუმზე ქალაქ ბორჯომში თანამედროვე გამო-

ჩენილი უნგრელი პოეტი დიულა იიეში აღნიშნავდა: „რამდენად უფრო მკაცრი და სასტიკია ბედი ამა თუ იმ ენისა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მისი პოეტის როლი. ხდება ხოლმე, რომ მთელ ერს წინ უძღვიან პოეტები. აქ, საქართველოში, ამის მაგალითია სწორედ რუსთაველი. ჩვენში, უნგრეთში, ამის მაგალითია უნგრული პოეზია".

მართლაც-და, მოწინავე უნგრული პოეზია, რომელი XVI საუკუნეში აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს, იმთავითვე ჰუმანისტური მსოფლმხედველობის, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლების იდეების გამომხატველ სულიერ საზრდოდ მოევლინა თვითმყოფობისა და პროგრესისათვის მებრძოლ, შედარებით მცირერიცხოვან ხალხს. ეროვნული და სოციალური თავისუფლების იდეოლოგია ასულდგმულებდა უნგრეთის უდიდესი პოეტი-რევოლუციონერისა და მამულიშვილის, შანდორ პეტეფის მგზნებარე პოეზიას. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პეტეფის შთამაგონებელი ლექსების დიდი ნაწილი მშვენივრად გადმოთარგმნა ქართულ ენაზე პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დაახლოების, თანამშრომლობისა და დამეგობრების კეთილშობილურ, ინტერნაციონალურ საქმეს დიდი წარმატებით მოთავეობს უნგრეთ-საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებანი. დიდი კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ისტორიული დამსახურებისათვის ჩვენი ხალხების წინაშე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით. ეს სასიხარულო ამბავი, როგორც ვიცით, პირადად აუწყა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობას ამ ყრილობაზე წარმოთქმულ თავის შესანიშნავ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა. ამხ. ბრეჟნევმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ, ძმური ურთიერთობა უნგრეთთან, ჩვენს მეზობელთან და მოკავშირესთან — საბჭოთა კომუნისტებისათვის ჯრის პრინციპის, რწმენისა და გრძნობის საქმე".

უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის დიად საქმეში

თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ განყოფილებას.

უნგრულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობას მოდგამს დიდი ტრადიცია. საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში გუტენბერგის გამოგონებამ. ისტორიული ცხოვრების უკუღმართობის გამო ბეჭდვის საქმემ საქართველოში დაიგვიანა. მხოლოდ XVII საუკუნის პირველ ნახევარში და ისიც უცხოეთში, შორეულ იტალიაში, გამოქვეყნდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. ქართული ეროვნული სტამბა ჯერ მოსკოვში დაარსდა, შემდეგ თბილისში. მოსკოვის სტამბა არჩილმა (1647—1713) გახსნა, თბილისის სტამბა კი მოაწყო ვახტანგ მეექვსემ. არჩილმაც და ვახტანგმაც თავიანთი საშვილიშვილო წამოწყება განახორციელეს უნგრელი სპეციალისტების (მიკლოშ კიშისა და მიხაი იშტვანოვიჩის დახმარებით).

უნგრულ-ქართული ძმური ურთიერთობის საქმეს აცისკროვნებს ჩვენი ეროვნული დიდების ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანისა და დასურათების დაუვიწყარი ისტორია. უნგრულ ენაზე მოიპოვება ვეფხისტყაოსნის სამი თარგმანი (ორი პოეტური და ერთი პროზაული). რევოლუციამდელი სრული პოეტური თარგმანის ავტორია უნგრელი მეცნიერი და პოეტი ბელა ვიკარი (1859—1945). რუსთველის პოემის თარგმნა ვიკარს შთააგონა მისმა გამოჩენილმა თანამემამულემ, მხატვარმა მიხაი ზიჩიმ (1827—1906). ბელა ვიკარმა შეისწავლა ქართული ენა, იგი გაეცნო ჩვენს ისტორიულ წარსულს და ისე შეუდგა პოემის თარგმნას. ვიკარისეული თარგმანი ერთი საუკეთესოთაგანია უცხო ენებზე არსებულ თარგმანთა შორის. იგი დაიბეჭდა ბუდაპეშტში 1917 წელს. ვეფხისტყაოსნის ახალი პოეტური თარგმანი შეასრულა სახელმოხვეჭილმა თანამედროვე პოეტმა შანდორ ვერეშმა. როცა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველ მწერალთა და მეცნიერთა საგანგებო კომისიამ ილია ჭავჭავაძის მოთავეობით ვეფხისტყაოსნის კრიტიკული გამოცემის თადარიგი დაიწყო, ისიც გადაწყდა, რომ გამოცემა მდიდრული ყოფილიყო და დასურათებული. მხატვარ-ილუსტრატორად მოიწვიეს პეტერბურგში მცხოვრები უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. ზიჩიმ კმაყოფილების გრძნობით იკისრა ეს დავალება. მან იმოგზაურა საქართველოში, გაეცნო მის ლამაზ ბუნებას, მის ხალხს. შეისწავლა ამ ხალხის ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, რამდენადმე წერა-კითხვა და სალაპარაკო ენა. ზიჩი არ ზოგავდა არც დროს, არც ენერგიას, არც ნიჭიერ სახსარს, რომ

შეექმნა რუსთველის პოემის საკადრისი მხატვრული სამკაული. ვეფხისტყაოსნის დასურათებას უნგრელმა მხატვარმა ჩააქსოვა უსაზღვრო შრომა, უზადო ნიჭი და უზომო სიყვარული. დიდმა სიყვარულმა დიდი ნაყოფი გამოიღო. ვეფხისტყაოსნის ზიჩისეულ ილუსტრაციებს დღემდის არ დაუკარგავს თავისი მაღალი ფასი. ვეფხისტყაოსნის სურათების ალბომი ზიჩიმ ქართველ ერს უსახსოვრა ამაღელვებელი წარწერით: „ქართველ ერს ჩემი თანაგრძნობისა და გულთბილი ერთგულების ნიშნად. ს. პეტერბურგი, 10 მარტი, 1889 წელი". ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ვეფხისტყაოსნის დასურათებისათვის საჭირო ხარჯი ზიჩიმ თვითონ გაიღო და სრულიად უსასყიდლოდ იშრომა. კარგად ამბობს ზიჩის მკვლევარი ბენო გორდეზიანი, რომ დიდ უნგრელ მხატვარს ნივთიერი ჰონორარის სამაგიეროდ ერგო ქართველობის ღრმა სიყვარული და გულითადი პატივისცემა.

უნგრელი და ქართველი ხალხების ჭეშმარიტი ძმობა-მეგობრობა თანდათანობით გაღრმავდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც უნგრეთი სოციალისტური ბანაკის ქვეყანათა რიგებში ჩადგა. ამ დროიდან მყარდება ცოცხალი კონტაქტები ჩვენი ხალხების საუკეთესო წარმომადგენელთა შორის, ხშირდება მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებათა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლა, ინდივიდუალური თუ კოლექტიური სტუმარ-მასპინძლობა ყველა დონეზე. უნგრელი და ქართველი მეცნიერები აწყობენ საერთო სიმპოზიუმებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები მართავენ საქმიან დიალოგებს.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების თაოსნობით დიდი წარმატებით ჩატარდა უნგრეთში (1968 წ.) ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ფერენც ერკელის სახელობის უნგრული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის გასტროლებს საქართველოში (1969 წ.), ფრიად შედეგიანი იყო უნგრული საბავშვო მუსიკის კვირეული საქართველოში (1968 წ.) და ქართული საბავშვო მუსიკის საპასუხო კვირეული უნგრეთში (1969 წ.).

დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრული კულინარიის დეკადამ საქართველოში და ქართული პურ-ღვინის დემონსტრაციამ უნგრეთის დედაქალაქში (1970.).

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში — ქართული კულტურის დღეები უნგრეთის რესპუბლიკაში (1966 წლის აგვისტოში) და უნგრული კულტურის

დღეები საქართველოში (1967 წლის სექტემბერში). ეს იყო ჩვენი ხალხების დიდი კულტურის, ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი დღესასწაული. საქართველოში ზეიმით აღნიშნა უნგრეთის ბევრი სახელოვანი შვილის საიუბილეო თარიღი (კომპოზიტორების ბელა ბარტოკისა და ფერენც ლისტისა, მწერლების ბელა ილეშისა, მათე ზალკასი და სხვ). არაჩვეულებრივი სითბოთი და ბრწყინვალებით ჩატარდა საქართველოში უნგრეთის უდიდესი ეროვნული პოეტისა და რევოლუციონერის შანდორ პეტეფის დაბადების 150-ე წლისთავი (1973 წ.). მოეწყო საგანგებო სამეცნიერო სესია ლიტერატურის ინსტიტუტში, ლიტერატურული საუბრები უმაღლეს სასწავლებლებში და ბიბლიოთეკებში, დასასრულ გაიმართა საზეიმო-საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შენობაში. პეტეფის დღეებში მონაწილეობა მიიღო უნგრეთის მწერალთა დელეგაციამ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი (და იშვიათად კვალიფიციური) უნგრული დელეგაცია დაესწრო რუსთველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულს საქართველოში. ფართო მონაწილეობა მიიღეს უნგრელმა სწავლულებმა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებაში.

ქართველი და უნგრელი ხალხების დაახლოება-დაძმობილების კეთილშობილურ საქმეს ძლიერ უწყობს ხელს სულიერი კულტურის მონაპოვართა, უწინარეს ყოვლისა, მხატვრული სიტყვის ნიმუშების საურთიერთო გაცნობა თავიანთ დედა ენაზე. ქართულ ენაზე თარგმნილია უნგრული ლიტერატურის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი. უნგრელ მკითხველს კი თავის მხრივ შეუძლია მის მშობლიურ ენაზე წაიკითხოს რუსთველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის და კიდევ ზოგიერთი სხვა ქართველი შემოქმედის ნაწარმოები. სულ ბოლო დროს, შარშან, მაგალითად, უნგრეთში გამოვიდა კარგი ცოდნითა და გემოვნებით მომზადებული ქართული პოეზიის ანთოლოგია (მთარგმნელ-შემდგენელია ცნობილი პოეტი ჟუჟა რაბი) და მოწინავე ქართველი საბჭოთა პროზაიკოსების მოთხრობები. ქართული პოეზიის ანთოლოგია უძველესი დროიდან დღემდის მოამზადა და სცემს შანდორ ვერეში. 1973 წელს ხელახლა გამოქვეყნდა შანდორ პეტეფის ნაწერების მშვენიერი ქართული თარგმანი, შესრულებული გრიგოლ აბაშიძის მიერ. დაიბეჭდა აგრეთვე უნგრელი

მწერლისა და მეცნიერის ლაიოშ ტარდის ისტორიული რომანი საქართველოს ცხოვრებიდან „იაკუბ პაკ“ (იაკობ რეინექსი). ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა თვალსაჩინო უნგრელი პროზაიკოსების იენე ჰელტაის და მორ იოკაის თხზულებანი („იაგუარი“ და „ოქროკაცი“).

წამოიზარდნენ და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ქართულის მცოდნე უნგრელები და უნგრულის მცოდნე ქართველები. თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა ოთხმა უნგრელმა სტუდენტმა. რომლებმაც ჩინებულად შეითვისეს ქართული. ქართულს თავისუფლად ფლობს და ქართულ ენაზე აპირებს საღოქტორო დისერტაციის დაცვას მარტონ ინტვანოვიჩი. უნგრულ-ქართული კულტურული ურთიერთობის საკითხებზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლაიოშ ტარდიმ (1973 წ.), ხელოვნების ინსტიტუტში მომზადდა ერქებეტ ჩემეგი ტომპოში, რომელმაც გამოსცა უბრწყინვალესი ფოტო-ალბომი „საქართველო“. სამხატვრო აკადემიაში სწავლობს უნგრელი ანდრაშ კუპერი. უნგრულ ენას კარგად ფლობს ჯუმბერ გაგნიძე (უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი), რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქართულ-უნგრულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე და მანანა სალაძე (ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი). უნგრეთში დაცული ქართული ძეგლების გამოსავლინებლად და შესასწავლად 1973 წელს უნგრეთს ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია არქეოლოგის, ეთნოგრაფის, ხელოვნებათმცოდნისა და ფილოლოგის შემადგენლობით. ექსპედიციამ გამოავლინა ბევრი საინტერესო ექსპონატი.

როგორც მოსალოდნელი იყო. უნგრელმა საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილისა და კობა გურულის ნამუშევართა პერსონალური გამოფენები. ქალაქ გიორში გაიმართა ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი (მონაწილეობა მიიღო კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ). შთამბეჭდავი დარჩა ქართული ჰედურობისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენაც. თბილისში მოეწყო უნგრული მხატვრული ფოტოს, კავშირგაბმულობის ტექნიკისა და ტრანსელექტორს გამოფენები. ქართულმა მასალებმა შუქი მოჰფინა განთქმული უნგრელი გამომგონებლისა და მეცნიერის ტივადარ პუშკაშის მოღვაწეობის რიგ მნიშვნელოვან მხარეს. ამ მასალებით, მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ პუშკაშის მიერ გამოგონებული სატელე-

ფონო ტრანსლაცია განხორციელებულა პეტერბურგსა (1882 წ.) და თბილისში (1893 წ.)

სადღესასწაულო ხასიათი მიიღო რუსთავის თეატრის გასტროლებმა უნგრეთში (1974 წ.). სხვადასხვა დროს საქართველოში სტუმრად იყოფებოდა უნგრეთის საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი. წელს, მაგალითად, მარტის პირველ რიცხვებში ძმობის მატარებლით გვეწვია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 330 აქტივისტი.

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ სამოგზაუროდ. სოციალისტურშიც და კაპიტალისტურშიც, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით იქ, უნგრეთში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ერთგვარად ყველაფერი დაჩრდილა. ხანმოკლე დროის მიუხედავად (1969 წ. აგვისტო) ჩვენ საკმარისად გავეცანით იშვიათად შრომისმოყვარე გამრჯე, ნიჭიერი და დიდად ცივილიზებული უნგრელი ხალხის ცხოვრებას სხვადასხვა მხარეს. ვინახულეთ რესპუბლიკის რიგი სამრეწველო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, დავათვალიერეთ დიდი მშენებლობანი ქალაქად და სოფლად. ვიყავით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სიძველეთსაცავებში, გამოფენებზე. საქმიანი საუბრები გვქონდა მეცნიერებთან, ჟურნალისტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან, ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებთან. შევხვდით უნგრელ მუშებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ გლეხკაცებს. ვიგემეთ მათი გემრიელი პურ-მარილის მადლი. უზომოდ გაგვეხარდა, როცა უნგრეთის უმშვენიერეს და უმდიდრეს ბოტანიკურ ბაღში (პეშტის ოლქის სოფელ ვაცრატოტში) გვიჩვენეს თბილისის ბოტანიკური ბაღის ნერგებისა და მცენარეული თესლების ფაქიზად დაცული კოლექციები. დუნაის ულამაზეს ხეობაში, ვიშეგრადის მახლობლად მწვანით დაფარულ სოფელ ზებეგენში, განთქმული უნგრელი მხატვრის იშტვან სენის სახლ-მუზეუმად ქცეულ კარ-მიდამოში, ღია ცის ქვეშ, ყოველწლიურად ზაფხულობით თურმე ეწყობა მხატვართა დახელოვნების ერთთვიანი კურსები. კურსებს უძღვებიან გამოჩენილი უნგრელი და უცხოელი დიდოსტატები. გვთხოვეს, რომ ამ კურსებზე ჩვენც მივავლინოთ საიმედო, ნიჭიერი ქართველი მხატვრები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ხანმოკლე სტუმრობამ ჩვენ დაგვიდასტურა, თუ როგორ ძლიერ უყვართ იქ ჩვენი ქვეყა-

ნა და ჩვენი ხალხი, როგორ აფასებენ ჩვენს დიდ კულტურას, როგორ გულით ცდილობენ დამყარებული მეგობრობისა და ძმობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და განტკიცებას.

ქართველობამ, რუსთველის ქვეყანამ, კარგად იცის ძმური სიყვარულის ძალა და ფასი. ქართველობა ახლაც არ არის ვალში. მომავალში კი, ცხადზე უცხადესია, ის ასკეცად გადაიხდის უნგრელთა სიყვარულის კუთვნილ საზღაურს.

ვახტანგ მეექვსე

(დაბადების 300 წლისთავის გამო)

ვახტანგ VI ძველი საქართველოს იმ სახელოვან ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, დიდი პატივისცემით, მოწიწებითა და სიყვარულით რომ იგონებს მადლიერი შთამომავლობა.

უაღრესად რთულსა და დაძაბულ ისტორიულ ეპოქაში მოუხდა მას ცხოვრება და სახელმწიფოებრივი ხომალდის მესაჭეობა. ძალზე გაძნელდა აღმოსავლეთის აგრესორთა მტრული გარემოცვის რკალის გარღვევა. საქართველოს სულს უხუთავდა ყიზილბაშური სპარსეთის მძიმე უღელი, ხოლო ოსმალური ტირანიის სიდუხჭირე ყიზილბაშობასაც სანატრელს ხდიდა, ლეკების აულაგმავი თარეში კი აჩანაგებდა და აპარტახებდა ქართლის მიწა-წყალს. მაინც ყველაზე მეტად ქვეყანას ზიანს აყენებდა და აძაბუნებდა უთავბოლო შინაგანი განხეთქილება, ფეოდალური აშლილობა, კუთხური განკერძოება, ურთიერთ შუღლი და მტრობა, „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახოგადოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობა.

უთუოდ ბედის დაცინვა იყო, რომ თავის დროისათვის საერთოდ უმძრახი სახელმწიფო მოღვაწეების — ვახტანგის ბიძის გიორგი XI-ის, ვახტანგის მამის ლევან ბატონიშვილისა და ვახტანგის ძმის მეფე ქაიხოსროს მეთაურობით ათასობით ქართველი ჭეომარი შორეულ ავღანეთს[1] და ბელუჯისტანში მსხვერპლად ეწირებოდა ჩვენი ქვეყნის დაჰაქცევარი ყიზილბაშური ირანის ძირმომპალი ტახტის გამაგრების განწირულ საქმეს. ვერაგი და მუხანათი შაჰების გულის მოგება მაინც არ ხერხდებოდა.

1709 წელს ყანდაარში ღალატით მოკლეს გიორგი XI, 1711 წელს დაიღუპა მეფე ქაიხოსრო. ამ ორივე მეფის მოადგილის ანუ ჯანიშინის როლს უნარიანად ასრულებდა ვახტანგ VI. 1703—1712 წლები, ვახტანგის ჯანიშინობის წლები, უნაყოფიერესი ხანა გამოდგა ერის ცხოვრებაში. ქართლის გამგებლის ერთი პირველი,

სამაგალითო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აქტი ის იყო, რომ მან მკაცრად აკრძალა ტყვეობით ვაჭრობის ფართოდ ფეხმოდგმული ველური წესი. ახალგაზრდული ენერგიითა და მონდომებით შეუდგა ჯანიშინი ქვეყნის მოშენებას, დანგრეულის აღდგენას, უკაცრიელად ქცეული ადგილების დასახლებას, ძველი, მოშლილი სარიგაციო ქსელის განახლებას და ახალი სარწყავი არხების გაყვანას. ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიკურად მოძლიერებას.

ვახტანგ VI-მ ბევრი იღონა შინაგანი სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საგარეო უშიშროების დასამყარებლად. შეიმუშავა და დააკანონა სამოსამართლო კოდექსი („ვახტანგის სამართალი"), რის გამოც დამსახურებისამებრ ეწოდა სჯულმდებელი (ვახტანგ სჯულმდებელი). მოაწესრიგა ადმინისტრაციული სისტემა და საგადასახადო მეურნეობა, საამისოდ შეადგინა „დასტურლამალი".

ვახტანგი შედარებით წარმატებით ებრძოდა ლეკიანობას და თავადაზნაურულ თავგასულობას, ქომაგობდა გლეხკაცობას, ხელს უწყობდა აღებმიცემობისა და ხელოსნობის განვითარებას, არც საეკლესიო სფეროს აკლებდა ფხიზელ ყურადღებას.

ვახტანგ VI-მ ნამდვილად ბევრი გააკეთა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ქართლის სახელმწიფოებრივი პრესტიჟის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ასამაღლებლად.

დიდ ყურადღებას უთმობდა ჯანიშინი კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის საკითხებს. ვახტანგის სამეფო კარი თავისებურ მცირე აკადემიას წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა საქართველოს (მთელი საქართველოს!) ინტელექტუალური ნაღები. ვახუშტის სიტყვით, ქართლის გამგებელს „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი". ვახტანგი სამოღვაწეოდ იზიდავდა უცხოელებსაც. მაგალითად, კარგად ცნობილია, რომ მის კარზე მოღვაწეობდა განთქმული სომეხი პოეტი ოვანათან ნაყაში (1661—1722), რომელმაც შეთხზა მშვენიერი ლექსი „ხოტბა ქართველ კეკლუცებს". აქ, ვახტანგის კარზე, ყველას მოწოდებითი შესაფერისი საქმის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა. ვახტანგის კულტურული წამოწყების სულის ჩამდგმელი იყო მისი აღმზრდელი და მასწავლებელი, საქართველოს მამად წოდებული, ბრძენი სულხან-საბა ორბელიანი.

ჯერ კიდევ ბატონიშვილობის პერიოდში შედგომია ვახტანგი მშობლიური ისტორიის შესწავლის საშვილიშვილო საქმის დაფუძნებას მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე. მოუწვევია „სწავლული კაცნი" და დაუვალებია მათთვის საისტორიო პირველ-წყაროების გამოძიება, შეგროვება, შეჯერება, წარყვნილის შესწორება, სა-

იმედო ტექსტების დადგენა და ამის საფუძველზე „ქართლის ცხოვრების“ ნაკლის შევსება, XIV საუკუნეზე შეწყვეტილი საისტორიო თხრობის გაგრძელება. ასე ჩამოყალიბდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია.

პირადად ვახტანგ VI, ან მის მიერ თანამშრომლებად შერჩეული მცოდნე პირები ამუშავებდნენ მედიცინის, ქიმიის, ასტრონომიის და მეცნიერების ზოგი სხვა დარგის სახელმძღვანელო წიგნებს. ვახტანგმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის გასრულებაში და სწორედ იმან შეარქვა ამ დიდებულ ნაშრომს „სიტყვის კონა“.

თვითონ დახელოვნებული მწიგნობარი და პოეტი, ვახტანგი გულით მფარველობდა ლიტერატურასა და პოეზიას, მხატვრობას, გადამწერლობას, კალიგრაფიას, ჰედურ ხელოვნებას...

ვახტანგის სახელის უკვდავსაყოფად მარტო ის კმარა, რომ მან გამართა დედაქალაქში ქართული ეროვნული სტამბა და წამოიწყო წიგნების ფართო მასშტაბით ბეჭდვა. ვახტანგის სტამბაში იბეჭდებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნები, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა. ვახტანგის სასტამბო-საგამომცემლო მოღვაწეობის გვირგვინია ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური პუბლიკაცია 1712 წლისა. ამას ჩააქსოვა ვახტანგმა თავისი უზადო ნიჭი, ცოდნა, საარაკო ენერგია და გულმოდგინეობა. ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა, რომელიც ვახტანგის სახელს ატარებს („ვახტანგისეული რედაქცია“), რუსთველის პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა და მაჩვენებელია ფილოლოგიური მეცნიერების მაშინდელი საკმარისად მაღალი დონისა. გამოცემას ამკობს სწავლული რედაქტორის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, როჟელმაც სათავე დაუდვა რუსთველოლოგიას, როგორც სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინას. თავის გამოკვლევაში (ავტორი მას „თარგმანს“ უწოდებს) ვახტანგი შეეცადა ნათელი გაეხადა უკვდავი პოემის იდეურ-მხატვრული შინაარსი, წარმოეჩინა მისი მაღალი ზნეობრივ-ეთიკური მხარეები და დაეცვა იგი კლერიკალური საზოგადოების თავდასხმისა და ხელყოფისაგან. რა ვუყოთ, რომ ვახტანგის ზოგი მოსაზრება საცილობელია. ამით არ მცირდება მისი გამოკვლევის არც მეცნიერული და არც პრაქტიკული ღირებულება. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა, ტექსტი და კომენტარი, დღემდის ინარჩუნებს დიდ შემეცნებით მნიშვნელობას. სწორედ ვახტანგი იყო პირველი ერუდიტი მკვლევარი, რომელმაც საქმიანად დაასაბუთა, რომ შოთა რუსთველმა

თავისი პოემის ამბავიც „თვითან გააკეთა“ და ლექსადაც „თვითან ძეაწყო“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვახტანგისეული საბუთიანობის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი, ვეფხისტყაოსნის შინაარსი ისევეა ორიგინალური, როგორც ორიგინალურია მისი წარმტაცი ლექსი. სანიმუშოა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა პოლიგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისითაც. საუცხოოა მისი შრიფტი, სამკაულები, მხატვრობა, ყდა, ტექნიკური რედაქციის ყველა წვრილმანი.

საგანგებო ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ყველა მნიშვნელოვანი საქმის შესრულებას ვახტანგი ამ საქმის მცოდნე კოლექტივებს ანდობდა. კოლექტიურად დამუშავდა და მომზადდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, სპეციალისტთა კოლექტივმა შეამზადა ვახტანგის სამართალი, კვალიფიციურ სპეციალისტთა კოლექტივი ხელმძღვანელობდა ვახტანგის სტამბას. სწავლული სპეციალისტების კადრებს იზიდავდა ვახტანგი სხვა მრავალ დავალებათა შესასრულებლად. ვახტანგ VI-მ დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში კოლექტიური და კოლეგიალური მუშაობის სტილი.

როგორც აღვნიშნეთ, 1711 წლის 25 თუ 26 ოქტომბერს ირანში დაიღუპა მეფე ქაიხოსრო. ქართლის ტახტი ამიერიდან კანონით ვახტანგს ერგებოდა, როგორც ქართლის ბაგრატიონთა ოჯახის წარჩინებულ წევრს და მეფის მოადგილის მაღალი თანამდებობის მფლობელს. ამას ფორმალურად სპარსეთიც ვერ უარყოფდა, მაგრამ ვახტანგისაგან გადაჭრით მოითხოვდნენ ქრისტიანული სჯულის დაგდებას და მაჰმადიანობის აღიარებას, ესე იგი „გათათრებას“ (როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე). ვახტანგმა უყოყმანოდ უარყო შაჰის წინადადება. სამაგიეროდ აჰყარეს ყველა პატივი („გაათახსირეს“). პატივაყრილი ჯანიშინი ერთხანს დაიტოვეს ისპაჰანში, შემდეგ კი ქირმანში გადაასახლეს. ვახტანგის ტყვეობიდან გამოხსნის, რთული საკითხის მოგვარება იტვირთა საბამ. სპარსეთში ნამყოფი მისიონერისა და დიპლომატის აბატ რიშარის თანამგზავრობით იგი ევროპაში გაეშურა. სამი წელი (1713—1716) დაჰყო საბამ ევროპაში. თავისი სარჩელით ორჯერ წარუდგა ლუი XIV-ს ვერსალის სასახლეში, შემდეგ რომში ჩავიდა და ვატიკანში „უწმინდესი“ პაპი ინახულა. ვახტანგმაც და სულხან-საბა ორბელიანმაც კარგად იცოდნენ, რომ ქრისტიანული ქვეყნების გამოდევნება სარგებელს ვერ მოუტანდა მათ მისიას და ამი-

ტომაც შემწეობის სამაგიეროდ ფრიად ხელსაყრელ ეკონომიკურ შეღავათებს სთავაზობდნენ კათოლიკური სამყაროს ნეგოციანტებს.

ქართველი დიპლომატი ოფიციალურად კარგად მიიღეს. რომის პაპს განმაცვიფრებელი ფარისევლური სიტყვაც კი უთქვამს: „ჩემი სისხლი რომ მთხოვო ვახტანგისა და შენი ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევად მოგცემდიო“. ნამდვილად სისხლი კი არა, საჭირო გროში არ გაიმეტა უწმინდესმა ფარისეველმა სა-პატიო სტუმრის საგზაო ხარჯად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სულხან-საბა ორბელიანის მისიის წარმატებისათვის მაშინ არ სუფევდა ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია, მაგრამ ფარისევლური ცინიზმი მაინც რა იყო?!

დიპლომატიური მისიის მარცხმა ვახტანგი იძულებული გახადა დროებით უკან დაეხია და კომპრომისის გზას დადგომოდა. გარეგნულად მან დააგდო ქრისტიანობა და აღიარა მუსლიმანობა. ამისათვის პირობისამებრ მიიღო ქართლის სამეფო ტახტი და ირანის სპასალარობა, სარჩოდ უბოძეს აგრეთვე თავრიზი და ბარდა.

ისპაჰანსა და ქირმანში ყოფნა ვახტანგმა ინტენსიური ლიტერატურული მუშაობისათვის გამოიყენა. აქ შექმნა რამდენიმე ლირიკული შედევრი, გადმოთარგმნა მსოფლიო მნიშვნელობის იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“, გადმოთარგმნა, მაგრამ მისი სრულყოფა ვეღარ მოასწრო. თარგმანის „გემოანი“ გაჩალხვა და ლექსების რიგით მისი გაწყობა ევროპიდან ახლად დაბრუნებულ საბას მიანდო. ეს დავალებაც საბამ სამაგალითოდ სრულყო. ვახტანგისა და სულხან-საბას შეწყობილი თანამშრომლობის შედეგად ქართულ ენაზე ჩამოყალიბდა „ქილილა და დამანას“ ბრწყინვალე ტექსტი.

მხოლოდ 1719 წელს მოახერხა ვახტანგმა ქართლში დაბრუნება. ძველებური გატაცებით განაახლა ქვეყნის სამსახური. ოღონდ ირანში ხანგრძლივად ყოფნამ, და იქ მიღებულმა გამოცდილებამ ვახტანგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ყიზილბაშურ სამყაროსთან თანამშრომლობა ქართლს დაღუპავდა, რომ ერთადერთ საიმედოდ დამხმარე რეალურ ძალად რჩებოდა მხოლოდ რუსეთი (ევროპამ ხომ იმედი გაუცრუა). ჯერ კიდევ ჰაბუკობის წლებში აპირებდა ვახტანგი არჩილთან ერთად რუსეთში წასვლას. ირანში ყოფნის დროს მან ფარული კავშირი გააბა რუსეთის ელჩ ვოლინსკისთან. თითქოს ბედმაც გაუღიმა. შვედებთან ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ პეტრე პირველმა აქეთ შემოსთავაზა ქართლის მპყრობელს მოკავშირეობა მეტისმეტად მაცთუნებელი პი-

რობებით. სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის საფასურად პეტრე სიტყვას იძლეოდა საქართველო დაეხსნა ყიზილბაშურ-ოსმალური მონობის უღლისაგან. ვახტანგის ოცნებას ფრთები შეესხა, თუმცა ქართველობის ერთი ნაწილი მაინც თავშეკავებას ამჯობინებდა.

პეტრე პირველთან შეთანხმების თანახმად მოკავშირეთა საშხედრო ნაწილები უნდა შეერთებულიყვნენ შირვანის ქალაქ შამახიის მიდამოებში. ლაშქრობა დიდი წარმატებით დაიწყო. პეტრემ შედარებით ადვილად დაიპყრო კასპიის ზღვის სანაპირო ზოლი. გულდაგულ მიიწევდა წინ ვახტანგ მეექვსეც (მის ლაშქარში იმყოფებოდნენ სომხური ნაწილებიც). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სომეხთა მოწინავე საზოგადოება ვახტანგის სახელს უკავშირებდა თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების განხორციელებას. საგულისხმიეროა, რომ მაგალითად სომეხთა ერთი სულიერი წინამძღვარი წერდა 1722 წელს, რომ მეფე ვახტანგის სახით სომხობას მოევლინა კეთილი მწყემსი, რომელმაც შემოკრიბა სომეხი ხალხი, მფარველობას უწევს და იცავს მტრებისაგან. სამწუხაროდ, ისტორიამ უმუხთლა ვახტანგს. სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზის გამო პეტრემ შეწყვიტა სამხედრო მოქმედება და უკან გაბრუნდა. გამძვინვარებულმა შაჰმა ვახტანგი დასაჯა. ქართლი ჩამოართვა და იგი კახეთის მეფეს „უწყალობა“. ეს იყო საშინელი პოლიტიკური პროვოკაცია. მუხანათურმა პროვოკაციამ გაჭრა. იმძლავრა კუთხურმა გათიშულობამ. ძმა ძმას გადაემტერა და ამ ნიადაგზე დაიღვარა დიდძალი სისხლი: „თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციეს“ (გურამიშვილი). ქვეყანა აიკლეს და მიწასთან გაასწორეს ჯერ ყიზილბაშთა და ლეკთა ბრბოებმა, შემდეგ კი ბოლო მოუღეს ოსმალო ყაჩაღებმა. გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რაც მოგახსენეთ, შოგეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა, ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი — ლეკთა მოლამა“.

ვახტანგს საქართველოში აღარ ედგომებოდა, თავისი მოკავშირის მოიმედე აიყარა და რუსეთში გაიხიზნა. სანამ ლტოლვილი მეფე მოსკოვს ჩააღწევდა, საუბედუროდ, პეტრე პირველი გარდაიცვალა. სპარსეთის საკითხიც ფაქტობრივ მოიხსნა საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან. ქართლის მეფეს და იმის ამალას ერთხანს კარგად უმასპინძლეს, მაგრამ ამაოდ ემუდარებოდა ერთგული მოკავშირე იმპერიის გავლენიან პირებს — „ამასა გთხოვ, შემიწყნარო, ბრძანო ჩემი ქვეყნის შველა“ (გურამიშვილი).

ისტორიის კანონები ულმობელია. გამწარებული და იმედგაცრუებული მეფე „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა". ბევრი იჩივლა, ბევრი იბრძოლა, მისი გამგონე კი, მით უფრო შემწყნე, აღარსად იყო. ბოლოს სასო წარეკვეთა, თავისებური პროტესტის ნიშნად დატოვა დედაქალაქი, თითქმის მარტოხელა გადასახლდა ქალაქ ასტრახანში, სადაც მალე გარდაიცვალა, კიდეც (1737 წლის 26 მარტს). გურამიშვილის მჭუხარე ლექსმა გამოიტირა ტანჯული მეფის ჩუმი სიკვდილი.

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!

თქმულს იმასაც დავძენთ, რომ ემიგრაციის პერიოდშიც ვახტანგი კალამს არ ელეოდა და მხატვრული სიტყვის მეშვეობით ნაწილობრივ მაინც ინელებდა მოწოლილ ბოლმას და გულის ზაფრას.

ერთს თავის ლექსში ვახტანგი ამბობს: „მეფეს არჩილსა სძრახევდენ სხვას თემს რომ იყო მვლელია... მეც მასვე მძრახვენ". ზემოთ აღვნიშნეთ. ვახტანგის ამგვარი ძრახვა არც ჩვენ დროში შეწყვეტილა. ჭართალია, ქართლის სამეფოს მესვეურის საგარეო პოლიტიკა ზომაზე მეტად იყო ჯიქური, მას აკლდა დახვეწილი დიპლომატიური მოქნილობა, ზოგჯერ ერთგვარი გულუბრყვილობის დაღიც დაჰკრავდა. მაგრამ საერთოდ და პრინციპულად ვახტანგის პოლიტიკური ალღო უთუოდ შეუმცდარი იყო, სავსებით სწორი, ისტორიული პერსპექტივით გამართლებული და პროგრესული. ათასჯერ მართალი იყო ვახტანგ VI, როცა გადაჭრით გმობდა ყიზილბაშებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. განა ცხადი არ უნდა ყოფილიყო რომ ასეთმა თანამშრომლობამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა გადარჯულების, გადაგვარების, გადაშენების უფსკრულის პირას. ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ფიზიკური გადარჩენის გზა. როგორც ვთქვით, რეალურად რუსეთზე გადიოდა. რაღა თქმა უნდა, სწორედ გულუბრყვილობა და საბედისწერო შეცდომა იქნებოდა მხოლოდ რჯულის ერთობის ვარაუდს რომ დაფუძნებოდა ქვეყნის მესვეურთა საგარეო პოლიტიკური კურსი. რომანტიკოსმა ბარათაშვილმაც კარგად იცოდა, რომ „სახელმწიფოსა ერთობა რჯულის არარას არგებს, ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს". ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ურთიერთობის საფუძველს ჰქმნიდა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური, და კულტურული ინტერესების საერთო ნიადაგი. რასაკვირველია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეს ბევრი სიძნელე ახლდა, მტკივნეულმა მხარეებმაც იმთავითვე მძლავრად იჩინა თავი. ყველაფერი ეს მოსალოდნელიც იყო და საფიქრებელიც. მთავა-

რი მაინც ისაა, რომ რუსეთთან და რუს ხალხთან მჭიდრო კავშირმა იხსნა ქართველობა გადაშენების ხიფათისაგან და საბოლოო ანგარიშით დიდი ოქტომბრის მადლს აზიარა.

ეს სიმართლე უნდა გადაჭრით ითქვას. იგი გასაგებს გახდის ვახტანგის საგარეო პოლიტიკური კურსის უცილობელ გონივრულობას.

მცდარზე მცდარია შეხედულება, რომელსაც შესაძლებელია მავანი ვინმე ახლაც იზიარებდეს, თითქოს ვახტანგი უიდეო და უშინაარსო ანუ „პიი-პუუს, პიი-პუუს“ ჰანგზე მღეროდა, მაშინ როდესაც მის ქვეყანას თავზე ატყდა ათასგვარი უბედურება. ჯერ ერთი, ვახტანგი ფაქტობრივ მწერლობდა იძულებით გამოწვეულ თავისუფალ დროს. ერთგან ის დიდი სინანულით წერს: „მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია“. ისპაჰანსა და ქირმანში ტყვეობისას უთარგმნია ვახტანგს, როგორც ვიცით, „ქილილა და დამანას“ წიგნი. მოვიგონოთ მისი ანდერძის ერთი ნაწყვეტი: „რა მიველ მუნ (ე. ი. ქირმანს), წიგნი სარგონი არ მახლდა. და ცუდათ ყოფნა სულისაც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შეჭცევას გამოვეკიდე... თუმცა დამეკლოს რამე. ნუ დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“.

მერე და ვინ იტყვის, რომ ვახტანგის ლექსებს სალაღობო პოეზიის ნირი დაჰკრავსო? ვახტანგს ეკუთვნის მაღალი ეთიკური იდეალების გამომხატველი ორი პოემა — „ამირან-ნასარიანი“ და „სიბრძნე მალაღობელი“. შიგნს რომ არ წავიდეთ და ამის თაობაზე სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, აქედან დავიმოწმებდით მხოლოდ ერთს სახალხოდ ქცეულ ცნობილ აფორიზმს — „ცემა გმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ნახო ავად ზრდილი“. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ეს აფორიზმი ისე გავრცელდა, რომ თითქმის დაიკარგა მისი წარმოშობის კვალი და ვინ იცის, ვის არ მიაწერდნენ მის ავტორობას!

ვახტანგის სტიქია ლირიკაა. ვახტანგმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ელეგიური ლექსის კულტურა. მისი ლექსების უმეტესობა დაწერილია სამშობლოს გარეთ, დევნილობისა და გარდახვეწილობის, „ჟამთა სიავის“ მძიმე პირობებში. ამიტომაც ამ ლექსებს მძაფრი კაეშნისა და ძლიერი სევდა-ნაღველის სულისკვეთება მსჭვალავს:

დამიმონა კაეშანმა, სევდა მოიხვდა მისთვის წამლად.
ნაღველს ეხმარობ ბუდამ მელნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად.

„ალმომართა კაეშანიო“, ამბობს ვახტანგი სხვაგან და ლექსის სტრიქონებს ანდობს მ:უსაფრობისა და უცხოეთში დაკარგულობის პირის სიმწარეს. ტკვეობისქამინდელი სულის შემხუთავ ატმოსფეროში პოეტს უზომო სიამეს ჰგვრიდა მშობლიური ქვეყნის სურათების შორით მოლანდება: აი თბილისი, ვარდობის თვის, მაისის თვის აყვავებული და დამშვენებული მისი თბილისი („რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარ'კვლავებრ ესხასა“). რა დაავიწყებდა მას თრიალეთის ამწვანებულ მთებს, ფარავნის ტბას, კოჯრის აგარებს, ბამბი:ნს, „ბდღვრიალა“ კალმახებით სავსე მდინარე ჭციას, სომხითს, ყარაიას, ქართლის ატეხილ ჭალებს, უნაპირო მინდვრებს და ველებს, იქაურ კაკბებს, ხოხბებს, შვლებსა და ხარ-ირმებს. აბა, გნოლი და ღალღა რა სათქმელია!

წარსულის ბედნიერი დღეების მოლანდება ვახტანგს კიდევ უფრო მწვავედ აგრ:ძნობინებდა აწმყოს სივაგლახეს. „აბედინას შვილის ამარ დარჩენილვარ, ეწ ეს ნახეო“, ჩივის ქირმანს გადაკარგული მეფე-პოეტი. მის სათაყვანებელ სამშობლოდან ცუდი ამბები მოდიოდა — ქვეყნის ბედ-იღბალი ხელში ჩაუგდიათო სხვადასხვა ჯურის გახრწნილ ნაძირალებს. სინდისისაგან გარეცხილი მედროვეები თურმე იმასაც ცდილან, რომ ცილისმწამებლურად სახელი გაეტეხათ ქვეყნის მოამაგე ხელმწიფისათვის. „მანდით ნასროლმა ისარმა გული მომიკლა მალ ამითო“, ურთავს მძაფრი კაეშანით შეპყრობილი უბედური ტყვე.

ვახტანგი პირველი პოეტი იყო საქართველოში, ვინც გამახელებელ გულისწორ-სატრფოდ დასახა მისი სამშობლო (ამ მხრივ აკაკი წერეთლის წინამორბედად მოჩანს). ვახტანგის სულიერ ურვას ბანს აძლევს გურამიშვილის სოფლის გოდება:

ჭრა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
წ:ქ:ონა რა მე სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
(ვახტანგი)

გული ღონდება, ვიწყო ვოდება, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
(გურამიშვილი)

ვგონებ ნათელია ვახტანგის ლექსის გურამიშვილის ლექსზე ზემოქმედების უეჭველობა. სოფლის სამდურავი საზოგადოდ მთელი ლიტერატურული ეპოქის, XVI—XVIII საუკუნეების მთელი ქართული პოეზიის ნიშანდობლივი საერთო მოტივია. შთამბეჭდავია სოფლის სამდურავის ვახტანგისეული ლექსების ბუნებრივი ხმა. უკუღმართი ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ვახტან-

გის პირადული ტრაგედია მშვენივრად აღიბეჭდა მის ერთ პატარა ლექსში, (რომელიც მთლიანად მოგვყავს).

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და. კარი, ბანი. და,
გათავდა ყოველი წერილი, ანი, ბანი, და განი, და...
ვიარე ყოველი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, ღა...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და.
ვაი, ვაჰ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და.

ეს მინიატურული ლექსი უნიკალურია ქართულ პოეზიაში თავისი ღრმა შინაარსით, პოეტური გამომსახველობის ჰეშმარიტი ორიგინალობით, ნოვატორული წყობით, უჩვეულო, მოულოდნელი რიტმითა და რითმით, საკვირველი მუსიკალობით. შინაარსის მიხედვით, ლექსი ებჯინება უსასოობის უმაღლეს მწვერვალს. ამ მიჯნის იქით. მოსალოდნელი იყო მხოლოდ თავშეუკავებელი წყევა და გოდება. ვახტანგი ასე არ მოქცეულა. მოლოდინის წინააღმდეგ მან საშვილიშვილოდ გვიანდერძა სიცოცხლისმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალული ბრძნული შეგონება:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღეთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი პყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის როგით რამე არგოს
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

ეს შეგონება ნებსით თუ უნებლიეთ ყველას აგონებს ბარათაშვილის ერთი განთქმული ლექსის („ფიქრი მტკვრის პირას") უკვდავ სტრიქონებს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სოფლის პრობლემის ბარათაშვილისეული გადაწყვეტა პირდაპირ ეხმაურება ამ პრობლემის ვახტანგისეულ ახსნას. ორივე შემთხვევაში ფილოსოფიური ჭვრეტის სიღრმითაა გაშუქებული წუთისოფლის რაობისა და ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ეს მარადიული თემა. არსებითად ერთი და იგივე პასუხია გამოძებნილი. ადამიანს, როგორც გარკვეულ სოციალურ არსებას, როგორც ბუნების გონიერ შვილს, არ შეჰფერის უმოქმედობა, განზე განდგომა, მცონარეობა და მჭვრეტელობა. ადამიანს მოეთხოვება საზოგადოებრივად სასარგებლო

საქმის მიდევნება, სოფლისათვის (საზოგადოებისათვის) ზრუნვა, შრომა და გარჯა კეთილი სახელის დასაგდებად ამ ქვეყანაზე.

ვახტანგ VI და ბარათაშვილი ერთგვარი პოეტური პათოსით და თითქმის ერთგვარი სიტყვიერი ფორმით აყალიბებენ ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ეთიკურ ნორმებს. მართალია, ვახტანგს არც საიმქვეყნო ცხოვრების სფერო ავიწყდება („კაცმან უნდა... იქაც ბარგი დაიბარგოს"). ნიკოლოზ ბარათაშვილს ადამიანის მხოლოდ საამქვეყნო დანიშნულება აინტერესებს. ამ მხრივ მისი ფილოსოფიური შეგონება უფრო თანამედროვეა, უფრო მიწიერი. ამისდამიუხედავად, ბარათაშვილის აზროვნება რაღაცნაირი კუთხით მაინც ვახტანგის თვალსაზრისს ებჯინება, ვახტანგის პოეზიით არის დავალებული.

ვახტანგ მეექვსე თავის დროისათვის იშვიათად თავისთავადი მოაზროვნე პოეტი იყო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართული მწერლობის ხნულში და გარკვეული ხასიათის ზემოქმედებაც მოახდინა მის შემდგომ მსვლელობაზე.

დიახ, ვახტანგ VI, ვახტანგ სჯულმდებელი, იყო დიდებული სახელმწიფო მოღვაწე, გამჭრიახი პოლიტიკოსი, დიდი განმანათლებელი, მაძიებელი სულის პატრონი მეცნიერი, გრძნობიერი პოეტი და საამაყო მამულიშვილი. საქმენი მისნი უკვდავია ერის ხსოვნაში.

თეიმურაზ მეორე

ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობის თითქმის ყველა წევრი მეტნაკლებად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. გამონაკლისი არც თეიმურაზ მეორე ყოფილა.

იგი იყო შვილიშვილის შვილი გამოჩენილი მეფისა და პოეტის თეიმურაზ პირველისა (1589—1663). ორივე თეიმურაზი ბაგრატიონთა ოჯახის კახეთის შტოს ეკუთვნოდა. თეიმურაზ მეორე დაიბადა 1700 წელს ერეკლე პირველისა (მაჰმადიანობაში ნაზარალი-ხანის) და ანა დედოფლის ოჯახში. პოლიტიკურ ცხოვრებაში თეიმურაზი ბავშვობიდანვე ჩაება. მისი ყრმობისა და ჭაბუკობის წლებზე მოდის ქართლ-კახეთის აფორიაქებული, შინაგანად გათიშული და მტრებისაგან გარემოცული ხანა. ეს სწორედ ის დროა, როდესაც ჩვენს ქვეყანას „სულ გარს შტრად ადგა თურქ-ყიზილბაში“, მოსვენებას არ აძლევდა ლეკიანობა, სულს უხუთავდა შინაგანი, კუთხური და თავადაზნაურული ამლილობა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით თეიმურაზს ადრე შერთეს ცოლი, ვახტანგ მეექვსის სათნო ასული თამარი. 24 წლისა იყო უფლისწული, მისი სახელოვანი სიმამრი რომ იძულებული გახდა სამშობლოს გაცლოდა და რუსეთში გახიზნულიყო, ქართლ-კახეთს კი ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელი დაადგეს. ოსმალური რეჟიმი იმდენად შემზარავი აღმოჩნდა, რომ ყიზილბაშობაც სანატრელი გახდა. ამიტომ იყო, როგორც კი ირანის პოლიტიკურ სარბიელზე გაჩნდა ნადირ-შაჰი (1736—1747). ქართველობის დიდი ნაწილი იმას მიემხრო. ასე იყო ქართლში, ასე იყო კახეთში. შაჰ-ნადირი ერთხანს ჩვეული ყიზილბაშური წესით ცდილობდა საქვეყნო საქმის გარიგებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და იძულებული გახდა უფრო მოქნილი (და ერთგვარად კომპრომისული) პოლიტიკის გზას დადგომოდა. 1731—1743 წლების მანძილზე თეიმურაზი ნომინალურად მაინც კახეთს განაგებდა და ნადირ-შაჰს მორჩილებდა. ჰირევული შაჰის გულის მოგება ძნელი აღმოჩნდა. შერისხული თეიმურაზი 1737 წელს ისპაჰანში ჩაიყვანეს. საბედნიეროდ, მო-

სალოდნელი სასჯელისაგან თავი აიცილა. ისპაჰანში გაიწვიეს თეიმურაზის ორივე შვილი, ერეკლე და ქეთევანი. ქეთევანს თავი ჰარამხანაში უკრეს. თეიმურაზმა და ერეკლემ იშვიათი სამხედრო ქველობა გამოიჩინეს, რითაც გულქვა შაჰის მადლობაც დაიმსახურეს. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ თეიმურაზი კახეთში გაბოისტუმრებს, ხოლო ერეკლე ნადირ-შაჰმა თან წაიყვანა ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

თეიმურაზი ენერგიულად შეუდგა ქვეყნის დამშვიდება-მომტკიცებას და ლეკების თარეშის ალაგმვას. მალე მას ერეკლეც წამოეშველა. მამა და შვილი მოხერხებულად იყენებდნენ ნადირ-შაჰის მხარდაჭერას და წარმატებებსაც მიაღწიეს. 1744 წელს ირანის მბრძანებელმა ქართლი სამეფოდ უბოძა თეიმურაზს, კახეთი კი ერეკლეს დაუმტკიცა. თეიმურაზი თვითონ გვიამბობს:

ორმოცდაოთხის წლისასა მერწმუნა მეფობანია.
ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰის მიზეზობით,
ჯერ მფლობელმყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით,
კახეთშია ჩემს ძეს დასვამს, ერეკლესა, მეფედ ხმობით.

თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფება იყო დიდი მნიშვნელობის ეროვნულ-პოლიტიკური მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ამით ფაქტობრივ გაერთიანდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთისაგან გათიშული ქართლი და კახეთი, მთელი აღმოსავლეთი საქართველო. ამასთან უმნიშვნელო გარემოება არ იყო ისიც, რომ ქვეყნის სათავეში დგებოდნენ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარი ქართველი ბაგრატიონები. როგორც ცნობილია, როსტომ-ხანის დროიდან მოკიდებული 1744 წლამდის ქართლ-კახეთის მეფობის პატივის მისაღებად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქრისტიანული სჯულის დაგდება და მუსლიმანობაზე გადასვლა, აქედან გამომდინარე ფრიად სახიფათო შედეგებით.

ძველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების შესაბამისად თეიმურაზი დიდი ზეიმით აკურთხეს მეფედ მცხეთას სვეტიცხოველში. თითქოს, ბოლო მოეღო პოეტის ჩივილს — „აღარ მოვიდა ქართლში მზე, აივსო ღრუბლით, ნისლითა". ნისლმა და ღრუბელმა გადაიარა დროებით მაინც. ვიმეორებთ, დროებით, რადგან არავინ იცოდა, თუ საბოლოოდ გულში რა ედო და რას ფიქრობდა ირანის მრისხანე შაჰი. ისიც ნამდვილია, რომ მიუხედავად გარეგნული ლოიალობისა, თეიმურაზი და ერეკლე, რა თქმა უნდა, არ ენდობოდნენ შაჰის წყალობას და ორივეს გულისყური ოდითგანვე ჩრდილოეთისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. დრო-

უცდიდნენ. ეს დროც დადგა. 1747 წელს მტარვალი შაჰი სიცოცხლეს გამოასალმეს. ირანში იფეთქა დინასტიურმა არეულობამ და ქვეყნის საქმეები აიწეწ-დაიწეწა. ქართლ-კახეთის მესვეურებმაც არ დააყოვნეს, რომ შექმნილი ხელსაყრელი ვითარება გამოეყენებინათ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. დიპლომატიური მისია აფრინეს პეტერბურგში. მისიას წარმატება არ ჰქონია. ბოლოს გადაწყდა თვითონ თეიმურაზი ხლებოდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

1760 წლის გაზაფხულზე თეიმურაზი გაუდგა შორეულ გზას საკმარისად დიდი ამალით. ოფიციალურად ქართლის მეფე აპირებდა ენახულა იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული, დაედასტურებინა მისადმი ერთგულება და თაყვანისცემა. ნამდვილად თეიმურაზს განზრახული ჰქონდა სამი რთული საკითხის მოგვარება: უწინარეს ყოვლისა თეიმურაზი ითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას ეცნო მისი ქართლში გამეფება. მეორე ამოცანა ის იყო, რომ მიეღო სამხედრო და ფინანსური დახმარება ლეკიანობის ასალაგმავად. დასასრულ, თეიმურაზი ურჩევდა საიმპერატორო მთავრობას ჩარეულიყო ირანის შინაურ საქმეებში და მიუთითებდა შაჰის ტახტზე დასასმელ სასურველ კანდიდატზე[1].

უნდა ითქვას, რომ თეიმურაზის ელჩობისათვის დრო ვერ იყო კარგად შერჩეული. რუსეთი მძიმე შვიდწლიან ომს ეწეოდა პრუსიის წინააღმდეგ. სახელმწიფო ხაზინა გამოფიტული იყო. რუსეთს არც ფინანსიური დახმარების გაწევა შეეძლო და ვერც ჯარს გაგზავნიდა ქართლ-კახეთისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ეს ცოტაა. დიდი ხიფათი იყო მოსალოდნელი ოსმალეთის მხრივ. შვიდწლიან ომში ოსმალეთი ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ირანისა და ამიერკავკასიის საქმეებს. რუსეთის მხრივ საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე. აღვილად მოსაგვარებელი არ იყო არც პირველი საკითხი. რუსეთში მაშინ ესახლა სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ვახტანგ მეექვსის შთამომავლობა. მართალია, რუსეთის მთავრობა ანგარიშს უწევდა ძალთა რეალურ შეფარდებას, მაგრამ ნაადრევად ვერ გაამჟღავნებდა ზრახვებს, ვახტანგის მემკვიდრეებს გზებს ვერ გადაუწურავდა და კახეთის დინასტიის წარმომადგენელს ვერ და-

[1] შესაფერისი პირველი წყაროები გამოაქვეყნა პროფ. იასე ციცაძემ (ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში, ცალკე ამონაბეჭდი, თბილისი, 1964, გვ. 152—265).

ულოცავდა ქართლის ტახტს. საგულისხმოა, რომ თეიმურაზს რუსეთში მეფის ტიტულით არ მოიხსენიებდნენ და მას მხოლოდ „მფლობელს“ (владелец-ს) უწოდებდნენ. ამის გამო ქართლის მეფეს ოფიციალური საყვედური გამოუთქვამს კიდევაც. მთავრობამ ეს საყვედური ერთგვარად წაიყრუა. ერთი სიტყვით, თეიმურაზი გარეგნულად დიდი პატივით მიიღეს პეტერბურგში, მოუწყვეს სამეფო აუდიენცია, გაუმართეს რაუტი. მიიპატიჟეს საკარო მრავალ წვეულებაზე, უმასპინძლეს მეცნიერებათა აკადემიაში, არ დააკლეს საქებური სიტყვები, გამოჩენილ მხატვარს დაახატვინეს მისი სურათი... თეიმურაზის ყურადღებას მაინც არ გამოეპარა გარკვეული გულგრილობის მომენტი. ქართლის მეფეს საკმარისად ბევრი სიკეთე აღუთქვეს, მაგრამ რეალურად ვერც ერთი სათხოვარი ვერ შეუსრულეს. 1761 წლის დეკემბრისათვის მოლაპარაკება დამთავრდა და თეიმურაზი უკან გამობრუნების სამზადისს შეუდგა. რომ მოულოდნელად რაღაც უკურნებელი სენი შეეყარა და 1762 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. „რუსეთის სამეფო კარს ახლა მიცვალებული თეიმურაზი გაუხდა სადარდებლად“ (ი. ცინცაძე). ცხედარს ბალზამი გაუკეთეს და საქართველოში წასასვენებლად შეამზადეს. სხვადასხვა მიზეზის გამო თეიმურაზის ნეშტის სამშობლოში ჩასვენება არ მოხერხდა, ის მიწას მიაბარეს ქალაქ ასტრახანში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, მისი სიმამრის, ვახტანგ VI-ის გვერდით. ორი წლის წინათ, 1973 წლის თებერვალში, საგანგებო კომისიამ ქართველი მეცნიერების გიორგი პაიჭაძისა და ვახტანგ ჯაფარიძის მონაწილეობით გახსნა ვახტანგისა და თეიმურაზის ძველი აკლდამები და ახალი, უკეთესი ბინა მიუჩინა ქართველი მეფეების ნეშტს მუზეუმად ქცეულ იმავე მიძინების ტაძარში. ახლო მომავალში იქ მოეწყობა გამოფენა, რომელმაც მკაფიოდ უნდა ასახოს ქართულ-რუსული ურთიერთობის სახელოვანი ისტორია და ის ფასდაუდებელი ღვაწლი, რაც ამ ურთიერთობის საქმეში მიუძღვით მოწინავე ქართველ მეფეებსა და მწერლებს, ვახტანგ მეექვსესა და თეიმურაზ მეორეს.

ლიტერატურული მოღვაწეობა თეიმურაზ მეორეს გვიან დაუწყია[2]. ყოველ შემთხვევაში მისი უმთავრესი ნაწარმოები „სარკე თქმულთა“ შეთხზულია არა უადრეს 1735—1737 წლებისა. „სარკე თქმულთას“ ეპილოგი, რომელიც რიგ ხელნაწერებში ცალკეა გამოყოფილი და მართლაც დამოუკიდებელი ნაწარმოების შთაბე-

[2] თეიმურაზ მეორის ნაწერები გამოსცა გიორგი ჯაკობიამ (თბილისი, 1939).

ჰდილებას სტოვებს, დაწერილია ყანდაარში 1738 წელს (მაშინ თეიმურაზი ტყვეობაში იმყოფებოდა):

ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვთქვი ლექსი მცირე რამე სვედისა მოსათმინობით.
ი ქ დ ა ვ ა ს რ უ ლ ე, ვინც ნახოთ, ნუვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი უნი, კანი და ვინობით.

მოხმობილი ქორონიკონი უდრის 1738 წელს. ეტყობა, იქ (ე. ი. ყანდაარში) დაუსრულებია ავტორს თავისი პოემა („სარკე თქმულთა“) და შეუთხზავს ეს ფრიად საინტერესო, ავტობიოგრაფიული ხასიათის სათავგადასავლო ლექსი. უფრო გვიანდელი უნდა იყოს „ქება სრისა“. „სალექსო დროები“ თეიმურაზ მეორესაც ცოტა ჰქონია. ვგონებ, ძლერ არ აჭარბებს, როდესაც ამბობს, „ვსწერდი ცხენს მჯდომიო“. საყურადღებო ლირიკული ლექსები დაუწერია თეიმურაზს პეტერბურგში ყოფნის დროს, 1761 წელს.

როგორც ვთქვით, თეიმურაზის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია პოემა „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“ (მეორე სათაური პოემას უფრო შეეფერება). ესაა გაბაასების ჟანრის მხატვრული თხზულება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი სასულიერო ნაწილია, მეორე საერო: პირველ ნაწილში მობაასენი პაექრობის წესით ერთმანეთს მოუთხრობენ იმ ამბებს, რაც ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით მომხდარა დღე-ღამის განმავლობაში. „გაბაასების“ ეს ნაწილი იხურება შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ამბებით (სიტყვა აქვს დღეს). დასასრულ მობაასე თავმომწონედ აცხადებს:

მე დავასრულე საღმრთო და სიტყვა ვიქვი მოსაწონი,
მართალი, სულ ჰეშმარიტი, კარგად რამ გასაგონი,
. . . . . .
საღმრთო გათავდა, აწ, ღამევე, მოგითხრა საერონი.

საერო ნაწილში დღე ბეჭერს ბაასობს მეჯლისის, ყაბახის აშფაშაგის, ბურთაობის, ასპარეზობის, ნადირობის, ყუმრის თამაშისა (ნარდი, განჯაფი, ჭადრაკი) და მისთანათა შესახებ. სამაგიეროდ ღამე იგონებს ქორწინებას მთელი თავისი მიმზიდველი, მოსალხენი რიტუალით.

ავტორი დაწვრილებით აგვიწერს აღმოსავლეთ საქართველოში, უფრორე კახეთში გავრცელებულ საყოფაცხოვრებო მოვლენებს. სხვათა შორის, არ ივიწყებს სამღვდელოების მსუნაგობას, ჯვრისწერის დროს ხუცესს „ცოტა თუ მისცენ, უწუნებსო“, შენიშნავს.

ღამე იკვეხის, ჩემი დრო ტრფიალებისათვის არის განკუთვნილი და დღეს უამბობს ლიტერატურით ცნობილ სხვადასხვა სამიჯნურო ისტორიას. აქ გადმოცემულია შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“, „ვისრამიანისა“ და თეიმურაზ პირველის მიერ გადმოკეთებული პოემებისა („იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამფარვანიანი“). ღამის სიტყვით, ლხინის გარდა ადამიანის ხვედრია ჭირიც. შესაფერისად მოთხრობილია ჭირის ამბებიც (სიკვდილი, გლოვა). „გაბაასების“ მეორე ნაწილშიც უკანასკნელი სიტყვა ეძლევა დღეა. მას თითქოს საგანგებოდ შემონახული აქვს თავისი უპირატესობის დამადასტურებელი უძლიერესი არგუმენტი და ამაყად ამბობს:

მე ნათელი ვარ, შენ ბნელი, ეს ჩემად ქებად კმარისო.

დღე არ ივიწყებს, რომ თუმცა წერილისამებრ მეორედ მოსვლა მოხდება ღამით, მაგრამ, ურთავს, „ასე ვთქვათ: „ღამით მოვიდეს, გინა ბნელოდეს ჟამითა, ბნელი განქარდეს ღვთის მოსვლით“. ამ შენიშვნით გამარჯვების სასწორი გარკვევით იხრება დღისაკენ. იგი არ აყოვნებს და ბეჯითად ასკვნის, როგორათაც უნდა იყოს, ღვთაებრივი განსჯა განხორციელდება ს ი ნ ა თ ლ ი თ და ს ი ნ ა თ ლ ე შ ი ო.

„გაბაასების“ ჟანრის შესაფერისად ავტორი თითქოს განზე დგას და მკითხველს თვითონ ანდობს მოპაექრეთა შორის ატეხილი დავის თაობაზე საბოლოო განაჩენის გამოტანის პატივს. ამისდა მიუხედავად, თეიმურაზიც ვერ მალავს თავის გუნება-განწყობილებას. პოეტს პაექრობა ისე მოჰყვარს, რომ შეუმჩნეველი არ რჩება მისი მიდრეკილება. საანალიზო შემთხვევაშიც საეჭვო არ არის, რომ გამარჯვება დღის მხარეზეა. დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის დაპირისპირებით ავტორმა აშკარად მიანიშნა მკითხველს თავისი შემოქმედებითი შთანაფიქრი. „დღისა და ღამის“ გაბაასება სინათლის აპოლოგიაა. თუმცა ეს პოემა განსაკუთრებული მხატვრულობით არ გამოირჩევა, მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა უმართებულო იქნებოდა. თეიმურაზი აქ ავითარებს არჩილისეული „სიმართლის თქმის“ თვალსაზრისს და რეალისტურად ასახავს (უკეთ, აღწერს) საზოგადოებრივი ყოფის საინტერესო და საყურადღებო სხვადასხვა მხარეს. შთამბეჭდავი ლირიკულობით გამოირჩევა „გაბაასების“ ეპილოგი, „თავგადასავალი“, რამდენადმე ავტობიოგრაფიულია „ქება სრისა“. დროის ხარკია თეიმურაზისეული „ხილთა ქება“. თავისი წვლილი შეუ-

ტანია თეიმურაზს მთარგმნელობითს საქმეში. ქართულად გადმოუღია იგავ-არაკთა ის კრებული, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია „დიდი სინდბადის“ სახელწოდებით („სინდბადი“ მთლიანადაა შესული „ათას ერთ ღამეში“). ამ კრებულს ქართულად შეერქვა „თიმსარიანი“.

საგანგებო ყურადღებას იქცევს თეიმურაზის ლექსების ციკლი, რომელიც შექმნილია პეტერბურგში. ამ ციკლში შედის სამი ნაწარმოები: „კიდურწერილობა“, „ანბანთქება“ და „გაბაასება რუსთველთან“. მიუხედავად ჟანრობრივი სხვაობისა სამივე ლექსი სატრფიალო ხასიათისაა და ეძღვნება პეტერბურგელ კეკლუც სეფე-ქალ ბარბარე ალექსანდრეს ასულ ბუტურლინას. ყველაფრიდან ჩანს, რომ ხანდაზმული მეფე ძალზე მოუხიბლავს ამ ლამაზ ქალს. იგი ყოფილა დიდი სამხედრო მოხელის, „სპასალარის“ ასული (მართლაც, ალექსანდრე ბუტურლინი იყო ცნობილი სარდალი), ნორჩი, კოპწია, წარმტაცი, განათლებული, ევროპული ენების მცოდნე („წარმატებულად ენები მან იცის ფრანციცულები. წერილი იტალიანთა, ნემენცურები“). თუმცა „ნატრული ესე ყვავილი“ აღმოცენებულია რუსეთში, „სწორი იმისი არ არის ევროპიაში ქალიო“. თეიმურაზი პოეტური აღტაცებით მიმართავს მშვენიერ სეფექალს: „ვკვირვარ შენ სილამაზესა, ტურფა ხარ, დია ნაზია“. ამ თავის აღტაცებას ის უზიარებს „კაცთა ძეთ“ და აღტაცებით კითხულობს: „ძენო კაცთანო, არ გიკვირსთ იმისი მშვენიერობა?“ საარაკო ყოფილა ბარბარე ალექსანდრეს ასულის ქცევა, ზრდილობა, დარბაისლობა (ალბათ, სეფე-ქალის დახვეწილი, მაცთური მანერები). მოხუცი პოეტის გული ძალუმად მოუჯადოებია ქალწულის ნარნარ ხმას და მისი ტანის მომნუსხავ „რხევას“. მას ახელებდა მოახლოებული გაყრის სიმწარე:

> როსცა რომ მოგეშორები ტურფასა, სასახელოსა,
> ეგრეცა, ვგონებ, გაყრამა მე ოქვენმა გამახელოსა,
> ღამაზთ თვალთ მოვეშორები, როს წავალ საქართველოსა.

საქართველოში წასვლა, როგორც ვიცით, თეიმურაზს აღარ დასცალდა.

მესამე სამიჯნურო ლექსის ფორმად თეიმურაზს გამოუყენებია ამ დროისათვის ტრადიციულად ქცეული გაბაასება რუსთველთან. ამ მხრივ ის ბაძავს არჩილს. თეიმურაზი დიდად აფასებს რუსთველის მაღალ პოეტურ ნიჭს და მისი უკვდავი პოემის ღირსებას ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში XVIII საუკუნის პოეტი ასე მიმართავს თავის თაყვანსაცემ წინამორბედს:

თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ, საკვირველია,
თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია,
ვეფხისტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამკრცხველია,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

არჩილის სკოლის სხვა პოეტთა მსგავსად, თეიმურაზიც უძებნის რუსთველს ვითომ საჩოთირო ნაკლს, ქართული პოეტური სიტყვის ტიტანი ვითომ „დაშვრა ტყუილზედ“. შეამკო უცხო, მოგონილი და ფანტასტიკური ამბები, გამოიყვანა მოგონილი, „ტყუილა“ პერსონაჟები. აბა, სად გაგონილაო (ისტორიულად) რესტან-დარეჯანისა და ტარიელის ინდოეთს ყოფნა ან ფარსადანის იმ ქვეყანაში მეფობა? ასევე შეთხზულიაო არაბეთის სამყაროს გმირების — როსტევანის, თინათინისა და ავთანდილის ამბებიო. თეიმურაზის მოსაზრებით, რუსთველს იკი უნდა შეემკო, „ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების“, ესე იგი ბარბარე ალექსანდრეს ასული ბუტურლინა. „ექვსასი წლის წინათ მკვდარ“ რუსთველს არ უკვირს მეფე თეიმურაზის ახირებანი, რადგან „ჩემმან ლექსებამან ერთს ჟამსა პაპაცა გაგიგულისაო“. აქ ნაგულისხმებია თეიმურაზ პირველის გამომწვევი განცხადება რუსთველის მისამართით:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

არა, თეიმურაზ მეორე სრულიადაც არ ჩემულობს თეიმურაზ პირველის მსგავსად რუსთველთან გაჯიბრებას, ის მხოლოდ სინანულს გამოთქვამს, რომ თითქოს მოგონილ და ფუჭ საქმეზე გარდაეგო რუსთველის დიადი ნიჭი. რუსთველი ერთგვარად ეთანხმება ახალ მოპაექრეს და თავის მხრით ამბობს, „თუ მე მაგ დროსა მეცოცხლა“, დიახაც ღირსეულად შევამკობდი იმას, „ვისაც შენ აქებო“. რადგან შენს საქებრად დარჩენილა, „მას არ ჰქონია ბედიაო“, ასკვნის რუსთველი.

ამრიგად, „მართლის თქმის“ მიმდევარ პოეტთა მრწამსის შესაფერისად თეიმურაზ მეორეც შეშოქმედებითი ბეთოდის კვალობაზე ემიჯნება რუსთველს, მაგრამ სრულიადაც საცილოდ არ თელის მის სწორუპოვრობას პოეტური სიტყვის სფეროში.

თეიმურაზ მეორემ ღირსებისამებრ დაიმკვიდრა თავისი გარკვეული ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მცირე განმარტება-შენიშვნა

1974 წლის მიწურულში გამოქვეყნდა მკვლევარ სარგის ცაიშვილის ნაშრომების მრავალჰხრივ საყურადღებო კრებული „შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი“ („ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“). კრებულს ახლავს ბოლოსიტყვაობა („ავტორისაგან“), სადაც საუბარია გამართული წიგნის ხასიათის შესახებ და პასუხია გაცემული რიგ აღრინდელ შენიშვნებზე (კრებულში შესულია ავტორის ახალდასხვა, ადრე დასტამბული ნაშრომი). ამ ბოლოსიტყვაში ერთგან ვკითხულობთ:

> ჩვენის აზრით, უმართებულოა ალ. ბარამიძის შენიშვნა იმის გამო, თითქოს ტიმოთე გაბაშვილი, იერუსალიმის პირველი ისტორიკოსი, არ ახდენდა შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაციას და თითქოს ეს მხოლოდ თანამედროვე რუსთველოლოგთა ვარაუდია“ (გვ. 344).

ს. ცაიშვილი იმოწმებს ჩემი „ნარკვევების“ V წიგნის 126-ე გვერდს და განაგრძობს: „მე უბრალოდ კიდევ ერთხელ გავახსენებ შენიშვნის ავტორს ნაწყვეტს ტიმოთე გაბაშვილის ცნობიდან: «ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუბატივინებია შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს(ს). თითონაც შიგ ხატია მოხუცებული» (იხ. მისივე სტატია, გვ. 80). მეორეგან კიდევ უფრო ლაკონურად: „ქ. მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ უხუცესი“ (გვ. 82).

ტიმოთე გაბაშვილის ცნობის შეხსენებისათვის პატივცემულ ავტორს მადლობას მოვახსენებ, თუმცა ამისი საჭიროება, კაცმა რომ თქვას, არ ყოფილა. ტიმოთეს სიტყვებს კარგად ვიცნობ და არაერთგზის მაქვს დამოწმებული ჩემს სხვადასხვა ნაშრომში[1]. მთავარი ის არის, რომ ს. ცაიშვილი ზუსტად არ იმოწმებს ჩემს მოსაზრებას, ეს კი ნებსით თუ უნებლიეთ ჰქმნის გაუგებრობას.

„ნარკვევების“ V წიგნის 126-ე გვერდზე მე ვიხილავ ჯვარის

---

[1] შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 37—38; შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 44, 46, 49, 50; შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, საიუბილეო კრებული, „შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 7 და სხვ.

მონასტრის მასალების ცაიშვილისეულ გაგებას და მომყავს მისი ნაშრომის[2] შემდეგი ტექსტი:

„მონასტრის პირველი აღმწერი ტიმოთე გაბაშვილი შენიშნავდა ამასთან, რომ მონასტერშივე არსებულ სააღაპე წიგნში მოხსენებული მეჭურჭლეთ უხუცესი არის იგივე შოთა რუსთაველიო“ (გვ. 134; კურსივი ჩემია — ა. ბ.) ს. ცაიშვილის დამოწმებული სიტყვების გამო მე შენიშნული მაქვს:

> „მართალია“, პოეტ შოთა რუსთველს ტიმოთე უწოდებს, მეჭურჭლეთუხუცესს, მაგრამ მწერალი-მოგზაური **პირდაპირ არაფერს ამბობს, თითქოს «მონასტერშივე არსებულ სააღაპე წიგნში მოხსენებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არის იგივე შოთა რუსთველიო». ეს** თანამედროვე რუსთველოლოგების ვარაუდია, რომელიც ტიმოთეს მონაცემებსაც ემყარება. **ტიმოთე საერთოდ არ ახსენებს სააღაპო წიგნს.** როგორც ცნობილია, ეს წიგნი პირველად მოიპოვა და გამოსცა კიდეც აკადემიკოსმა ნიკო მარმა“ (ნარკვევები, V, გვ. 126, კურსივი ახალია, — ა. ბ.).

მე ერთხელ კიდევ ბეჯითად უნდა განვაცხადო, რომ ტიმოთე გაბაშვილი არ ასახელებს რაიმე წყაროს, კერძოდ, ის არ ასახელებს სააღაპო წიგნს. ამ წიგნს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოეტ რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობის დასადგენად. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სააღაპო წიგნი („აღაპნი“) იერუსალიმში აღმოაჩინა და გამოსცა ნ. მარმა[3]. მეცნიერ გამომცემელს არაფერი უთქვამს სააღაპო წიგნში მოხსენიებულ შოთა მეჭურჭლეთუხეცესის ვინაობის შესახებ, ამასთან მან ბუნდოვნად დაახასიათა მოსახსენებლის პალეოგრაფიული მხარე, ჩანაწერი შესრულებულია «письмом древней части памятей, однако почерком менее архаичным». ნ. მარის ამ ბუნდოვანმა განმარტებამ დიდი გაუგებრობა წარმოშვა. ქ. კეკელიძის აღრინდელი მოსაზრების თანახმად, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენიებელი XIV საუკუნეზე უადრესი არ უნდა ყოფილიყო[4]. ამით ერთმანეთს დაშორიშორდა პოეტი რუსთველი და შოთა

---

[2] შოთა რუსთაველი, ბიოგრაფიული ესკიზი (ჟურნ. „მნათობი“, 1966, № 2).

[3] აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს. პეტერბურგი, 1914.

[4] რუსთველოლოგიური საკითხები, თუშ. X, 1939, გვ. 101—104; ეტიუდები, IV, 1957, გვ. 24—26; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 111—114.

მეჭურჭლეთუხუცესი. კ. კეკელიძე შემდეგაც კატეგორიულად უარყოფდა მათს იგივეობას[5].

საგულისხმო ის არის, რომ პირველ ხანებში შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობის ბეჯითი დამცველი შალვა ნუცუბიძეც მიემხრო სააღაპო მოსახსენიებლის კეკელიძისეულ დათარიღებას. მაგრამ თუ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენიებელი მართლაც XIV საუკუნეშია შესრულებული, მაშინ ნიადაგი ეცლება რუსთველისა და მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის შესაძლებლობას[6]. საბედნიეროდ, ამჟამად მკვლევართა განკარგულებაშია მოსახსენიებლის მიკროფილმი და ფოტო-პირი. ამ მასალის პალეოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით საგულდაგულოდ შესწავლამ ნათელყო, რომ ჩანაწერი ეკუთვნის XII—XIII საუკუნეთა მიჯნას. ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნის პირველ ნახევარზე არა უგვიანეს დროს[7]. ჩემი აზრით, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო ჩანაწერის ახლებურმა დათარიღებამ უკვე გადაწყვიტა იდენტურობის სადაო საკითხი, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მაინც უფრო ფრთხილად გამოთქმას ამჯობინებს. ასე მაგალითად, აკაკი შანიძე ამის თაობაზე წერს: «Весьма вероятно, что поэт Шота Руставели, автор поэмы «Витязь в тигровой шкуре», и есть тот самый министр финансов («мечурчлет-ухуцес») Шота, поминать которого полагалось в один из понедельников, согласно записи, сделанной почерком XII—XIII вв, в рукописи крестового монастыря»[8].

აი, ყოველივე ეს მაძლევს უფლებას დავასკვნა, რომ პოეტ შოთა რუსთველისა და მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის საკითხის გადაწყვეტა თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერების ღონაპოვარია, თუმცა ამ იგივეობის პირველი მაუწყებელი იყო მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი.

---

[5] Поиск новых сведений должен быть продолжен (газ. «Вечерний Тбилиси», 30, VI. 60).

[6] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, გვ. 12.

[7] ე. მეტრეველი, შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სმჯ მოამბე, 1961, № 3, გვ. 231. ე. მეტრეველის ეს ნაშრომი ოდნავი ცვლილებით მთლიანად შევიდა მის ერცელ გამოკვლევაში: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, 1962; ა. შანიძე, Поездка в Иерусалим, Вестник Академии наук СССР, 1961, № 8, გვ. 94, დაყოფა ჩემია — ა. ბ. სიმონ ყაუხჩიშვილი, შოთა რუსთაველი და ჯვრის მონასტერი, ჟურნ. „მნათობი“, 1961, № 2; ს. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 540—541.

[8] Поездка в Иерусалим, გვ. 94.

ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

(გამორჩენილი შენიშვნები)

დიდ დავას იწვევდა (ეს დავა ნაწილობრივ ახლაც გრძელდება) საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის ან და ვინ არიან შექებული „აბდულმესიანში“. ტრადიციული შეხედულების თანახმად „აბდულმესიანი“ უნდა აქებდეს დიდ თამარსა და იმის მეუღლეს, დავით სოსლანს. ეს თვალსაზრისი უარყო და „აბდულმესიანის“ ქების საგნად მიიჩნია მარტოდენ დავით აღმაშენებელი ნიკო მარმა (იხ. მისი განთქმული «Древнегрузинские одописцы», პეტერბურგი, 1902). ნ. მარს ბევრი მიემხრო. პირველი, ვინც მარის შეხედულება არ გაიზიარა, იყო აკაკი წერეთელი. მან გაზეთ „ივერიაში“ (21. VII. 1902, № 154) გამოაქვეყნა დიდად საყურადღებო წერილი „მცირე რამ პროფესორ მარრის უკანასკნელის თხზულების გამო“ (აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XIV, რედაქტორი გ. აბზიანიძე, თბილისი, 1961, გვ. 129—134, 616). აკაკი წერეთელმა საერთოდ ძლიერ მოიწონა მარის ნაშრომი („მართლაც რომ მოსაწონიაო“, წერდა), მაგრამ არ გაიზიარა მისი ძირითადი დებულება „აბდულმესიანის“ ქების ვინაობის თაობაზე. სხვა საბუთთა შორის აკაკი წერეთელს დამოწმებული აქვს „აბდულმესიანის“ სამოცდამეორე სტროფის ტაეპები:

გვრიტთა მართვისა
თვარ აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი
მეუღლობისა?

მოყვანილი ტექსტის გამო აკაკი წერეთელი შენიშნავს: „თუ არ თქვენ, მაშ სხვას ვისა აქვს თქვენებრი სურვილი გვრიტივით შეუღლებისაო. ნუთუ ეს დავით სოსლანზე და თამარზე არ არის ნათქვამი? და ეკუთვნის დავით აღმაშენებელს და მის ცოლს „ყივ-

ჩაყეთის მეფის ასულს გურანდუხტს? ეს სიტყვები მაშინ სრულებით უადგილოთ და უაზროთ მიწებებული იქნებოდა“ (გვ. 131).

აკაკი წერეთლის შენიშვნა სავსებით სამართლიანია. ამით დარღვეულია ნ. მარის მოსაზრება, რომ „აბდულმესიანში“ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მამაკაცი მეფეა შექებული. დამოწმებული ტექსტი ნამდვილად გულისხმობს მეუღლეობრივი კავშირით შეკრულ მოყვარულ ოჯახს, ქალსა და კაცს. (ე. ი. თამარსა და დავითს, დავით სოსლანს). ეს საბუთი შემდეგ არა ერთგზის იქნა გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ დავიწყებას მიეცა აკაკი წერეთელი. ამ მხრივ უცოდველი არც ჩვენ ვართ. დავიწყებული ნარკვევი მოგვაგონა აკაკის თხზულებათა აბზიანიძისეულმა გამოცემამ[1].

2

ნიკოლოზ ბარათაშვილის 1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ (წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანი): „მითამ როდის და რაში არ ვყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩ ი მ ი ქ უ ნ ი მ“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1939, გვ. 81: დაყოფა რედაქციისაა, — ა. ბ.). ციტირებული ტექსტის გამო 1947 წელს ჩვენ ვწერდით: „დაყოფილი „ჩიმიქუნიმ“ რ ო მ ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ჯ ე რ ა რ ა ვ ი ს უ ც დ ი ა, სრული და წესიერი ფორმის სპარსული გამოთქმაა, რაც ნიშნავს: რა ვქნათ („მაგრამ რა ვქნათ“). ფრაზა კონტექსტის მიხედვით აზრობრივად თავის ადგილასაა“ (ალ. ბარამიძე, ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, „ლიტერატურული ძიებანი“, III, თბ., 1947, გვ. 56, დაყოფა ახალია — ა. ბ.: იგივე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 379). ჩვენი შენიშვნა მთლიანად გაიზიარა და მთლიანადვე დაიმოწმა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი გამოცემის რედაქციამ (ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, ა. გაწერელიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით, თბილისი, 1972, გვ. 325). ამავე დროს ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნდა ვახუშტი კოტეტიშვილის „მცირე შენიშვნა“ (ლიტერატურული საქართველო, 30. 11. 73), სადაც ვკითხულობთ: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთ წერილში გრ. ორბელიანისადმი გვხვდება უცხო გამოთქმა რომელიც ყვე-

[1] შდრ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, VI, 1975. გვ. 126, შნ. 11.

ლა გამოცემაში დაყოფით არის აწყობილი, მაგრამ დღევანდლამდე განუმარტავია“ (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). შემდეგ მოტანილია ზევით დამოწმებული ფრაზა, სადაც გვხვდება „ჩიმიქუნიმ“ (ჩიმი ქუნიმ“). თავის მხრივ ვ. კოტეტიშვილი განმარტავს: „ეს გამოთქმა სპარსულია (ლიტერატურულად: ჩე მიქონიმ) და ნიშნავს: „რას ვიზამთ?. ნ. ბარათაშვილი ხმარობს ხალხურ, სასაუბრო ენაში გავრცელებულ გამოთქმას“. დასასრულ, მკვლევარი წერს: „ვფიქრობთ, აუცილებელია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მომავალმა გამომცემლებმა ამ გამოთქმის მნიშვნელობა და სათანადო განმარტება დაურთონ“. მიუხედავად ნიუანსური სხვაობისა, ბარათაშვილისეული „უცხო“ სიტყვის წარმომავლობის დადგენა და მნიშვნელობის განმარტება ორივე შემთხვევაში ერთგვარია.

სახელდახელო შენიშვნები

(ელგუჯა მაღრაძის „გოდების“ გამო)

1974 წლის „ცისკარში (№ 4, 5, 6, 7, 8, 9) დაიბეჭდა ელგუჯა მაღრაძის ნაშრომი „გოდება“, რომელიც ეძღვნება დავით გურამიშვილს. ნაშრომი საერთოდ საინტერესოდ არის დაწერილი და მკითხველს უქმნის შთაბეჭდავ წარმოდგენას XVIII საუკუნის ჩვენი დიდებული პოეტის ტრაგიკული ცხოვრებისა და მშვენიერი შემოქმედების თაობაზე. „გოდების“ ჟანრის განსაზღვრა ჭირს (თუმცა ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა). ტექსტში მას ქვესათაური არ აქვს. ჟურნალის სარჩევში კი იკითხება: „გოდება (ბიოგრაფიული რომანი)“. „გოდება“ ნაწილობრივ არის ბიოგრაფიული რომანი. გურამიშვილის ცხოვრების ამბავი მოთხრობილია ძირითადად „ცისკრის“ პირველ-სამ ნომერში (4, 5, 6), შემდეგ ასევე ძირითადად მისი შემოქმედების გარჩევაა. „გოდება“ ერთსა და იმავე დროს პოეტის თავგადასავალსაც გვაცნობს და მისი შემოქმედების კრიტიკულ ანალიზსაც გვთავაზობს. ორივე შემთხვევაში ე. მაღრაძე დოკუმენტურ წყაროებს ემყარება. იგი იკვლევს, იძიებს და მისეული გაგებით აშუქებს გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარეს, როცა დოკუმენტური წყარო ეწურება, მკვლევარი მწერლური ფანტაზიით ცდილობს შეავსოს საგრძნობი ხარვეზი. კვლევა-ძიების პროცესში ე. მაღრაძე ზოგჯერ ისეთ სკრუპულოზობას იჩენს, რომ უყურადღებოდ არ ტოვებს წყაროს კორექტურულ შეცდომასაც კი (ცისკარი, №. 6, გვ. 43) და საარქივო მასალის პასპორტს იმოწმებს (№ 6, გვ. 29), კაცმა რომ თქვას, საჭიროების გარეშე, რადგანაც ეს ჭასალა ბეჭდურადაც არის ცნობილი. საქმე შეეხება ქართველ ჰუსართა მამაცობას ბრძოლის დროს და ამის გამო სარდლობის მხრივ ქართველობის ქებით დახასიათებას. ე. მაღრაძის მიერ მოხმობილი ტექსტი ორჯერ ჰქონდა გამოქვეყნებული გიორგი ლეონიძეს (დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, 20. VIII; დავით

გურამიშვილი, „მნათობი“, 1965, № 9. გვ. 98). განსხვავება ის არის, რომ გ. ლეონიძეს ტექსტი მოჰყავს რუსულ ენაზე. ე. მაღრაძეს იგივე ტექსტი ქართულად უთარგმნია. წყაროს დამოწმებისას ერთგვარი უზუსტობაც არის დაშვებული. ე. მაღრაძეს უწერია: „ფონდი სენატი (!)...ЦГДА“, უნდა: „სენატის ფონდი,...ЦГАДА“. ეტყობა, მკვლევარს ტექსტი მოჰყავს გ. ლეონიძის პუბლიკაციის მიხედვით, ხოლო წყაროდ ასახელებს არქივის ფონდს. თუ ე. მაღრაძემ უშუალოდ არქივით ისარგებლა, გ. ლეონიძე მაშინაც უნდა დაემოწმებინა, როგორც ამ მასალის პირველი მომპოვებელი და პუბლიკატორი.

სხვა შემთხვევაში ე. მაღრაძე უფრო წინდაბედულად იქცევა. ასე, მაგალითად, ბროსეს შესახებ მკვლევარი-რომანისტი ამბობს:

> „1838 წელს ქართული ფილოლოგიის კათედრაზე მარი ბროსემ პირველი სიტყვა გურამიშვილს უძღვნა და თუმცა მისთვის „პირველი რიგის პოეტის“ პატივი არ გაუმეტა, მაგრამ შეუმჩნეველი არ დარჩენია „საღი ფილოსოფია, რითაც მისი თხზულებები სუნთქავენ. მისი „კეთილსახიერი მხიარულება, სიტყვის გულუბრყვილო უბრალოება“, და მაინც საპატიო ადგილი დაუმკვიდრა „მისი ხალხის მწერალთა შორის“ (ცისკარი, № 7. გვ. 7).

ე. მაღრაძეს ვეღარ შევედავებით, იგი ბროსეს სიტყვებს კი იმოწმებს, მაგრამ პირველ წყაროს (ე. ი. საკუთრივ ბროსეს შრომას) არ ასახელებს, თუმცა არც უშუალო წყაროზეა რაიმე მითითება. ხოლო უშუალო წყაროში ვკითხულობთ:

> „1838 წელს, აკად. მარი ბროსემ თავისი პირველი მხურვალე სიტყვა სამეცნიერო აკადემიის ახლად დაარსებული ქართული ფილოლოგიის კათედრიდან „დავითიანის“ ავტორს მიუძღვნა: «Хотя я далек от того, чтобы считать Давида поэтом первого разряда, однако здравая философия, которою дышат его произведения, его религиозные выражения, его благопристойная веселость, наивная простота его слога — все это назначает ему почетное место между писателями его народа».

აქაც რუსული ტექსტი ვადმოქართულებულია, დახასიათებიდან გამოტოვებულია „его религиозные выражения“ და სამაგიეროდ ჩართულია კომენტარული პასაჟები.

„გოდების“ ჟანრობრივი ხასიათის გამო მის ავტორს თამამად შეეძლო არ დაემოწმებინა პირველი წყაროები, მით უფრო პირველი წყაროების პასპორტები. იგი წყაროებს ზოგჯერ ასახელებს, ზოგჯერ არა. სიჭრელე და ცალმხრიობა მოსაწონი არ არის.

„გოდების“ ავტორი წარმატებით ეწევა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კვლევა-ძიებას. ხშირია ამა თუ იმ ისტორი-

ული მოვლენისა თუ ისტორიული პირის მოღვაწეობის მიმოხილვა (განსაკუთრებით ერცელი მსჯელობაა ვახტანგ მეექვსის გარშემო). ე. მაღრაძეს შეუსწავლია დიდძალი მასალა, იგი ასახელებს და იმოწმებს დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრ ძველსა და ახალ მკვლევარს (არა იშვიათად მოიპოვება უმისამართო დამოწმებანიც). ზოგ მოსაზრებას იზიარებს, ზოგს უარყოფს, ბევრს კამათობს, დაობს, პოლემიკურ ცეცხლს ანთებს. ე. მაღრაძე კარგი ცოდნითა და გემოვნებით (თუმცა, ჩემი აზრით, სადაოდ) აანალიზებს გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარეს. მე ძლიერ მომეწონა გურამიშვილის, ასე ვთქვათ, ღაღესტნური საგალობლების ერცელი და ფაქიზი ანალიზი. ავტორს უნდა დავეთანხმოთ, რომ გოდებითა და ვალალებით გამსჭვალული ეს საგალობლები ნამდვილად არის „სიცოცხლის სიყვარულის უმშვენიერესი ოდა“ (№ 5, გვ. 19). ჩვენ საეჭვოდ არ ვთვლით, რომ „ზუბოვკის“ სიუჟეტური სარჩული რეალურ ამბავს ემყარება, მაგრამ რეალური საწყისის რელიგიურ-მისტიკურ სფეროში გადაზრდის უარყოფა („ზუბოვკელი ბეატრიჩე“, № 6, გვ. 31—39) დაუსაბუთებელ აჩენებად გვესახება. რა თქმა უნდა, „გოდების“ ჟანრის ხასიათი ავტორს უფლებას აძლევს მისებურად გაიაზროს ამ საუცხოო ლექსის შინაარსი, ოღონდ მეტისმეტად ნატურალისტურად გვიხატავს მკვლევარი-რომანისტი „ზუბოვკელი ბეატრიჩეს“ ერთ მომენტს (№ 6, გვ. 34).

როგორც აღვნიშნეთ, ე. მაღრაძე მხატვრული გამოგონების წესით ავსებს და ავრცობს გურამიშვილის ცხოვრების ამბავს, შეიმოჰყავს რომანში არაისტორიული (მხატვრულად გამონაგონი) პერსონაჟები (მაგალითად, პავლე მღვდელი, ღმუილაანთ მოხა, გიორგი რატიშვილი, ცისიერი და სხვ.), ჰქმნის შესაბამის სიტუაციებს. ზოგი რამ ამ მხრივ არ სცილდება საეგებო შესაძლებლობათა ფარგლებს ზოგჯერ კი დარღვეული ჩანს ზომიერების საზღვარი. ასეთად გვეხატება, მაგალითად, ყრმა გურამიშვილის მოჯანურული ცთუნების ისტორია (№ 4, გვ. 67—76). ეს ერთგვარად დამოუკიდებელი ნოველა ორგანულად ვერ ერწყმის თხრობას. ამასთან აქ იგრძნობა ნატურალისტური საღებავების დიდი მოჭარბება (№ 4, გვ. 70).

რამდენიმე საერთო ხასიათის შენიშვნა.

ვფიქრობთ, „გოდება“ გადატვირთულია ზოგიერთი ისეთი მასალით, რაც შრომას ამძიმებს და კითხვას აბრკოლებს, ანელებს თხრობის დინამიკას და ხელს არ უწყობს ტექსტის ემოციურ აღქმას, ასეთია, მაგალითად, ქრისტიანული აღმსარებლობის შინაარ-

სის გადმოცემა და საამისოდ თეოლოგიური ლიტერატურიდან მრავალრიცხოვანი ციტატის მოტანა (№ 4, გვ. 58—61), მით უფრო, რომ ამ მასალის უმრავლესობა ამოკრებილი ყოფილა ცნობილი წყაროდან (იქვე, გვ. 60, შენ. II). ასეა სხვა შემთხვევაშიც.

თვითონ გურამიშვილის შემდგომ „გოდების“ მთავარი პერსონაჟია ვახტანგ VI. ეს სრულიად ბუნებრივია და კანონზომიერი. ავტორს დაწვრილებით აქვს მიმოხილული ვახტანგის მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში (ემიგრანტობის პერიოდში), გამოკვეთილადაა დახასიათებული ვახტანგი როგორც პიროვნება და როგორც სახელმწიფო მოღვაწე. ოღონდ, ჩვენი აზრით, ავტორი ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს მეფის როგორც პოლიტიკური კურსის, ისე ადამიანური თვისებების შეფასების მხრივ. უთუოდ სწორია, რომ ვახტანგის საგარეო პოლიტიკა იყო მეტისმეტად ჯიქური და მას აკლდა საჭირო მოქნილობა. მაგრამ უმართებულოდ გვეჩვენება ვახტანგის დასახასიათებლად ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „წინდაუხედავი“ (№ 4, გვ. 82, „სრულიად წინდაუხედავი და მოუფიქრებელი ნაბიჯის“ გადამდგმელი (№ 4, გვ. 99). ვახტანგი თითქოს იდუმალად გარდაიცვალა და „ბედის ანაბარა მიატოვა“ თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი (№ 4, გვ. 80, 99), „უგუნური კერპობის გზას დაადგა“ (№ 5, გვ. 43), „სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის ჟამს ჭკუით ის მუდამ მოიკოჭლებდა“ (№ 7, გვ. 21), „პოლიტიკაში ბეცი, უვარგისი მეფე აღმოჩნდა“ (№ 7, გვ. 18), „ეს მისი პოლიტიკის შედეგად მოხდა, რომ „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“ (№ 7, გვ. 11). მძიმეზე მძიმე ბრალდებებია წაყენებული. საგულისხმო ისაა, რომ ერთგან ელგუჯა მაღრაძე სავსებით მართებულად შენიშნავს: „იოლია მეოცე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნეში მომხდარი ამბების განსჯა და მსჯავრის დადება“ (№ 5, გვ. 34). ამ სწორ მოსაზრებას ე. მაღრაძე ყოველთვის არ ითვალისწინებს და თვითონვე არღვევს მას. ეტყობა, მკვლევარი-რომანისტი გრძნობდა მისი შეფასების სიმკაცრეს („ცხადია, იმ დროს ყოველივე ამის გათვალისწინება იოლი არ იყო“, № 7, გვ. 18). შეინიშნება წინააღმდეგობაც. ერთ შემთხვევაში ე. მაღრაძე ამბობს, რომ გურამიშვილი „ვახტანგის შორსმჭვრეტელურ საგარეო პოლიტიკას თანაუგრძნობს“ (№ 7, გვ. 12, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). როგორ შევუთავსოთ „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკოსის დახასიათებას გამოთქმები „ბეცი“, „უვარგისი“, „სრუ-

ლიად წინდაუხედავი", „უგუნური კერპობის გზაზე" მდგომი, ჰკუით რომ მოიკლებდა მუდამ?

ქვეყნის განმაახლებლური საქმის მეთაურისა და ყიზილბაშურ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლი შესანიშნავი მეფის პოლიტიკურ მოღვაწეობას სხვაგვარი დახასიათება შეეფერება. ვახტანგის დიდი ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ აქ მაინც დავიმოწმებ ორი გამოჩენილი ისტორიკოსის აზრს ამ ღვაწლის თაობაზე: „ვახტანგ VI-ის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1953, გვ. 60); „დაუფასებელია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანდროულსა და უმცროს თანამშრომლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე" (იქვე, გვ. 62); ვახტანგ მეექვსე იყო ჩვენი ქვეყნის „უერთგულესი შვილი, დიდი ქართველი მოღვაწე... ქართველი ხალხის საამაყო შვილი" (ვარლამ დონდუა. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, 1959, გვ. 61, 112).

მკაცრადვე გვეჩვენება ვახტანგის ამალის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილების შეფასება რუსეთში დარჩენისა და იქაური ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე (№ 6, გვ. 23), ანდა აღნიშნული აქტის მთლიანად ქართველ დიდკაცთა ეგოისტურ ნაბიჯად მონათვლა (იქვე, გვ. 41). ბოლოსა და ბოლოს ამ ნაბიჯს ხომ გურამიშვილმაც შეუწყო ფეხი!

ცოტა არ იყოს სახამუშოა, როდესაც ე. მაღრაძე განზოგადებით წერს ქართველობაზე. „რომლის უზარმაზარ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობას ყოველთვის ეღობება... წვრილმანი ქიშპი, შური, ხვანჯები, ინტრიგა, ძლიერთა უკადრისობა..." (№ 6, გვ. 51, დაყოფა ჩემია. — ა. ბ., მრავალწერტილი ავტორისა). ზნეობის მანკიერი თვისებები მეტნაკლებად შეიძლება ახასიათებდეს ყოველი დროისა და ყოველი ხალხის ცალკეული სოციალური ფენების წარმომადგენლებს თუ ცალკეულ პირებს. მაგრამ ამ მანკიერ თვისებათა რომელიმე ერისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ ნიშნად მიჩნევა უხერხულიც იქნებოდა და უმართებულოც.

ე. მაღრაძე ხშირად იმოწმებს (ხან ეთანხმება, ხან ეკამათება) და ასახელებს გურამიშვილის მკვლევართ, თუმცა დამოწმება-დასახელების არაცირდაპირ ხერხებსაც იყენებს („მკვლევრები",

„ზოგიერთი მკვლევარი“, „მკვლევართა ერთი ნაწილი“ და მისთანანი). მკვლევართა პირდაპირი დამოწმება-დასახელების მხრივ იგი ყოველთვის არ იჩენს საჭირო თანმიმდევრობასა და პირუთვნელობას. ზოგჯერ იგრძნობა გადაჭარბებული პოლემიკური საცხარე. ერთგან ე. მაღრაძე შენიშნავს: „მკვლევარები ბევრს წერენ გურამიშვილის მსოფლმხედველობის ქრისტიანულ-რელიგიურ ნიადაგზე, რაზედაც არის აღმოცენებული მისი დიდაქტიკური პრინციპებიც. მაგრამ ეს მსჯელობა ძალზე მომაბეზრებელია. ცხადია, გურამიშვილი ქრისტიანი პოეტია და მაშ მაჰმადიანური რელიგიის დოგმებს ხომ არ იქადაგებდა! გავიგეთ, ის არაა მეამბოხე, ქრისტიანულ კლემას ქადაგებს, მაგრამ ეს არ ამცირებს მისი პოეზიის არც მხატვრულ, არც აღმზრდელობით მნიშვნელობას“ (№ 7, გვ. 43—44): დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). აქ წარმოდგენილი დასკვნა სავსებით სწორია (ახლა ამაზე არავინ დაობს), მაგრამ ამისათვის ზედმეტია წანამძღვარი — „ეს მსჯელობა ძალზე მომაბეზრებელიაო“. მართალია, გურამიშვილის რელიგიური აზროვნების შეფასებაში ადგილი ჰქონდა უმართებულო თვალსაზრისის აჩემებასაც, გაზვიადებასაც და ა. შ. მაგრამ ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ თვითონ ე. მაღრაძე მეტისმეტად დიდ ადგილს უთმობს გურამიშვილის სწორედ ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი აღმასრულებლობის საკითხს. ამ საკითხს იგი მრავალჯერ უბრუნდება, ხოლო „ცისკრის“ მე-8 ნომერში სპეციალური თავია გამოყოფილი („პოეტის რწმენა“, გვ. 9—24). მკვლევრისეული თვალსაზრისი საერთოდ სწორია. „გურამიშვილი რომ ორთოდოქსალური, ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, ამაზე არ ვდავობთ. მაგრამ ეს პოეტს სულაც არ უშლის, რომ ამხილოს სასულიეროთა სიხარბე, გაუტანლობა და სიმდაბლე ყოველნაირი“, განზოგადებული დასკვნის სახით ამბობს ე. მაღრაძე (№ 8, გვ. 17). სრული ჭეშმარიტებაა! ოღონდ ამას როგორღაც ვერ ეგუება მისი ბოლო განცხადება: „გურამიშვილი, ერთი შეხედვით, უქრისტიანესი პოეტია და მაინც დიდი მეამბოხე წარმართი“ (იქვე, გვ. 24).

ე. მაღრაძე ერთგვარი ირონიული შენიშვნით იხსენიებს „პარალელების მაძიებელ მკვლევრებს“ (№ 7, გვ. 43), მაშინ როდესაც თვითონ დიდი გატაცებით უძებნის პარალელებს გურამიშვილის „ქაცვია მწყემსს“ ძველი და ახალი დროის მსოფლიო პოეზიაში („ქაცვია მწყემსი“. „დავით გურამიშვილი და ბუკოლიკური პოეზია“, „ცისკარი“, № 7, გვ. 23—42). ასეთი კვლევა მოსაწონია და მისასალმებელი. მკვლევრის მიერ მიკვლეული

ზოგი პარალელი დამაჯერებელია. დავას არ იწვევს, რომ „ქაცვია მწყემსი“ მის ავტორს შთააგონა მშობლიური ქვეყნის სინამდვილემ, პოემაში ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობებიც არის მოსწრებულად ჩართულ-ჩაქსოვილი, ოღონდ არ იქნებოდა საბუთიანი იმის თქმა, თითქოს პოემის „მოქმედება ხდება ქართულ სოფელში, ქართლისა თუ კახეთის მთა-ბარში“ (№ 7, გვ. 25). „ქაცვია მწევსში“ ბევრი რამაა უკრაინული პეიზაჟისა და უკრაინული ყოფა-ცხოვრებისა, რასაც გაკვრით ე. მაღრაძეც აღნიშნავს სხვაგან (№ 8, გვ. 16.).

მახვილგონივრულად არ გვეჩვენება ე. მაღრაძის ჭმისამართო გადაკრული სიტყვები: „ხანდაზმულობით დაბრძენებული ჩვენი მკვლევარები გულისხმაჰყო დავით გურამიშვილის პოეზიის სიბრძნემ და სიდინჯემ — სიბერის ბეჭედი ახისო ამ ლექსებს, თქვეს. მაგრამ მარტო სიბერით ვერ ავხსნით დავითის პოეზიის სიბრძნესა და სიღრმეს“ (№ 7, გვ. 48).

ე. მაღრაძემ სპეციალური თავი მიუძღვნა „დავითიანის“ ცნობილი ავტოგრაფიული ნუსხის შედგენისა და გადაწერის ისტორიას („გადარჩენილი განძი“, № 6, გვ. 45—54). საკვირველია, რომ მკვლევარი სრულიად არაფერს ამბობს „დავითიანის“ თანამედროვე გამოცემების თაობაზე და საერთოდ ტექსტოლოგიურ საკითხებზე. კერძოდ, ვფიქრობთ, რაღაც უნდა თქმულიყო გურამიშვილის იმ არზის მოპოვების შესახებ, რომელსაც სრულიად საქართველოს ე. მაღრაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს (№ 6, გვ. 53) და მთლიანად ბეჭდავს კიდევაც. თუმცა საწყუხაროდ, ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებით (იქვე, გვ. 53—54).

ე. მაღრაძის ნაშრომში შეინიშნება ცალკეული ფაქტობრივი შეცდომები (თუ ლაფსუსები) და უზუსტობანი. ვუჩვენებ უფრო თვალში საცემ მაგალითებს (პუბლიკაციის კვალდაკვალ):

1. ირანისა და თურქეთის ბრძოლა ამიერკავკასიის გამო 1639 წლისთავის არ დასრულებულა, როგორც ე. მაღრაძე ფიქრობს (№ 4. გვ. 93). ბრძოლა შემდეგაც გრძელდებოდა, კერძოდ, ვახტანგის დროს, როგორც ეს მასაც კარგად მოეხსენება.

2. ე. მაღრაძე სწორად შენიშნავს, რომ ასტრახანის გუბერნატორმა ვოლინსკიმ სამეფო კარის უკითხავად აღუთქვა ვახტანგს თანხმობა პეტერბურგში გაგზავნების შესახებ. ოღონდ სწორი არ არის, თითქოს ვოლინსკიმ „პეტერბურგს გაგზავნილ მოხსენებაში კი დასძინა: „მართალია, (ვახტანგი) გასაჭირშია, მაგრამ სიამაყეს არ სტოვებს და მეფურ პრეტენზიებს აცხადებსო“ (ცისკ-

რი, № 4, გვ. 100). ნამდვილად კი მკვლევრის მიერ მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის არა ვოლინსკის, არამედ თვითონ პეტრე პირველს, პეტრე აღუშფოთებია ვოლინსკის ნებართვას. — „Монарх (ე. ი. პეტრე, მონარქი, — ა. ბ.) негодовал за сие дозволение, приметив, что хотя царь (*Вахтанг*, — А. Б.) и в бедстве, но гордости не оставляет» (П. Бутков, Материалы по новой истории Кавказа, СПб, 1869, 1,63).

3. არჩილი (1647—1713) არასოდეს არ ყოფილა ქართლის მეფე (№ 5, გვ. 31). იგი სხვადასხვა დროს მეფობდა იმერეთსა და კახეთში, ქართლის მეფე იყო არჩილის ძმა გიორგი XI.

4. ალექსანდრე ბატონიშვილის ტყვეობიდან გამოსახსნელად შვედეთის მეფე კარლოსმა მოითხოვა არა სამოცი კასრი ოქრო (№ 5, გვ. 31), არამედ ათი კასრი (ვლ. ტატიშვილი, Грузины в Москве, 1950, стр. 116; იგივე, 1959 წლის გამოცემა, გვ. 188)[2].

5. ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა არა სტოკჰოლმის საპყრობილის დილეგში (!), როგორც ნათქვამია „გოდებაში“ (№ 5, გვ. 31), არამედ პიტეოში, როდესაც მოსკოვისაკენ მოდიოდა (ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937, გვ. 23; 35; ვლ. ტატიშვილი, Грузины в Москве 1959, გვ. 197). დილეგი იგივე საპყრობილეა.

6. პეტრე დიდს ქართველობისათვის არ უბოძებია დონის მონასტერი (№ 5, გვ. 31). დონის მონასტრის ერთი ენერგიული მშენებელთაგანი იყო ამ მონასტრის წინამძღვარი, ეროვნებით ქართველი, არჩილის მხლებელი არქიმანდრიტი ლავრენტი. არჩილნა დონის მონასტერში აავო სამეფო ოჯახის წევრთა საძვალე.

7. გურამიშვილის დროს „ჰონორარი არ არსებობდაო“ (№ 5, გვ. 32). არა, არსებობდა, რა თქმა უნდა, არა ისეთი, როგორც დღესაა. ამის საბუთია თვითონ ე. მაღრაძის მოწმობა. მისი სიტყვებით, ჯავახიშვილთან შეჯიბრებაში გამარჯვებულ დავით გურამიშვილს „უხვად ასაჩუქრებენ. პირველი არმაღანი — პირველი ჰონორარი მიიღო დავითმა მეფე პოეტის ხელიდან, რომლის სახელი იყო ვახტანგ სჯულმდებელი“ (№ 5, გვ. 34; ხაზგასმა ჩვენია. — ა. ბ.).

8. სვიმონ აბრამიშვილი არ ყოფილა „ვინმე“. იგი იყო რუსეთის ელჩი სპარსეთში (კ. კეკელიძე, „დავითიანის“ კომენტარები,

[2] თუმცა ქართულ გამოცემაში (ქართველები მოსკოვში, 1947) ოცი კასრია აღნიშნული (გვ. 120).

დავითიანი, 1955, გვ. 317; ვ. დონდუა. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, 1959, გვ. 110.

9. „გურამიშვილი ვახტანგ მეფის გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ უკვე რუსეთის არმიის შემადგენლობაშია“, ვკითხულობთ „გოდებაში“ (№ 6, გვ. 25). არა. ქართველობამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო ვახტანგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. საეჭვოა, რომ სამ დღეში ვახტანგის გარდაცვალების ამბავს ჩაეღწია ასტრახანიდან მოსკოვში. ქართველ ჰუსართა პირველი შენაერთი შეიქმნა 1738 წელს, როცა ქართველობამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

10. „გურამიშვილმა მირგოროდიდან ოციოდე ვერსის დაშორებით, მდორე ხოროლის პირას მიიღო სოფელი, რასაც უკრაინელებმა გურამოვჩინა უწოდეს, თვითონ კი ახალდაბას ეძახდა“-ო (№ 6, გვ. 25). ნამდვილი ისაა, რასაც ე. მაღრაძე სხვაგან აღნიშნავს. გურამიშვილს მამული ჰქონდაო ზუბოვკაში, ხოროლის პირას, ხოლო „მირგოროდიდან ზუბოვკამდე მანძილი ათი კილომეტრია“ (№ 6, გვ. 32). ე. მაღრაძე ხშირად უსვამს ხაზს, რომ მდინარე ხოროლი იყო „მდორე“, „მდორედ მავალი“. ამიტომაც ამ მდინარისათვის შეუფერებელია „მოდუდუნე“ („მოდუდუნე მდინარე“, № 6, გვ. 32). არც „ხოროლის მ დ ო რ ე ზ ვ ი რ თ ე ბ ი ა“ ზუსტი გამოთქმა (იქვე). მირგოროდი საგუბერნიო ქალაქი არ ყოფილა (№ 6, გვ. 26).

II. „დავით გურამიშვილის მეთაური ასეულში მამუკა დავითაშვილი დავიდოვად დაწერილაო“. ერთგვარი საყვედურის კილოთი შენიშნავს ე. მაღრაძე და განაგრძობს: „იგი ერთი ხეპრე, გაუთლელი, უბადრუკი პიროვნება ყოფილა, რომელიც თურმე ძალზე უხეშად ექცეოდა ხელქვეითებს. ასეთი რამ ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა. ვიღაც რეგვენი, მხოლოდ ჯარისკაცად გამოსადეგი პიროვნება უკვდავი კაცის წვალებით ერთობა და მერე შთამომავლობა მის სახელს ისევ მისი მსხვერპლის წყალობით იგებს და ინახავს. სახელგანთქმული შაჰ-ნამეს ავტორის — ფირდოუსის მტერი, მის დროს, ყველაზე დიდი კაცი თვითმპყრობელი შაჰი იყო. მაგრამ მისი სახელი ამჟამად იმითაა ცნობილი, რომ დიდ ფირდოუსს მტრობდა და იძულებული გახადა სამშობლოდანაც გადახვეწილიყო“ (№ 6, გვ. 25). ქართული გვარის რუსული ფორმით გამოხატვა მაშინ (და შემდეგაც) ჩვეულებრივი მოვლენა იყო, გურამიშვილიც ხომ გურამოვად იწერებოდა. დავიდოვი სრული-

ადაც არ ყოფილა გამონაკლისი. სპარსეთის ისტორიის ანალოგია ნაძალადევია. სულთანი (და არა შაჰი) მაჰმუდ ღაზნელი (999—1030), რასაკვირველია, მარტო ფირდოუსის დევნით არ არის ცნობილი.

12. მირიან ბატონიშილი ფელდმარშალ პოტიომკინთან კრემენჩუგში „სტუმრად“ კი არ იმყოფებოდა, როგორც „გოდების“ ავტორი წერს (№ 6, გვ. 53), არამედ ის იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საელჩოს მეთაური (რაც ე. მაღრაძესაც კარგად მოეხსენება). მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის საკითხებს პოტიომკინი განაგებდა. ამიტომაც იყო მის ბანაკში მირიანი და, სხვათა შორის, იმერეთის სამეფოს მისია ბესარიონ გაბაშვილის მეთაურობით.

13. ქართული მწერლობა არ იცნობს პოეტ მაჰუკა სააკაძეს (№ 6, გვ. 48). ლექსის ნაწყვეტი, რომელსაც ე. მაღრაძე იმოწმებს, ეკუთვნის დიმიტრი სააკაძეს (ანთოლოგია, II, 1928, გვ. 284). ეს ალბათ ლაფსუსია ან კორექტურული შეცდომა (საერთოდ „გოდებაში“ ბევრია მძიმე კორექტურული შეცდომები). დედნებთან შეჯერება და შესწორება სჭირდება ნაშრომში მრავლად ციტირებულ ტექსტობრივ მასალებს.

14. არ არის სწორი თითქოს რუსთველის „პოეზია ერთნაირ თანაბრად იყო დახუნძლული სასულიერო და საერო ნაყოფით“ (№ 7, გვ. 6).

15. იონა ხელაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის დრო XIX საუკუნის პირველი მესამედია (გარდაიცვალა 1837 წელს), ამიტომ იგი ვერ იქნებოდა ვახტანგ მეექვსის წრის წევრი (№ 8, გვ. 3).

ელგუჯა მაღრაძის „გოდება“, ალბათ, ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდება. ჩემი შენიშვნები, თუ მოისურვებს, ავტორს გამოადგება ტექსტის იმ გამოცემის მოსამზადებლად. საერთოდ კი, როგორც თავშიც აღვნიშნე, ჩვენთვის უდავოა „გოდების“ მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკითხველებისათვის. „გოდებით“ მაღრაძე უბრუნდება იმ ჟანრს, რასაც განეკუთვნება მისი ცნობილი ნაშრომი გრიგოლ ორბელიანზე.

ИССЛЕДОВАТЕЛЬ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Иван Александрович Джавахишвили — ученый широкого диапазона и широкого профиля. По призванию и узкой специальности историк, он очень много сделал и в области филологии, в частности в литературоведении, в изучении древнегрузинской литературы. Вместе с Н. Я. Марром он является признанным вожаком в развитии новой грузиноведческой науки вообще.

Иван Александрович был, так сказать, начинающим, еще складывающимся ученым, когда принял активное участие в известной марровской экспедиции на Востоке (на Синае) в 1902 году. «Предварительный отчет» Марра «о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джавахо-вым, и в Иерусалиме в поездку 1902 г.», опубликованный в 1903 году[1], вызвал подлинную сенсацию в западном научном мире[2]. Иван Александрович — автор научного описания одной, значительной части древнейших грузинских рукописей Синайского фонда[3].

Считая первейшей обязанностью всякого ученого филолога серьезное отношение к рукописному наследию и нелицеприятно критически оценивая имеющиеся в этой области работы М. Джанашвили, Ф. Жордания, А. Цагарели и других, И. А. Джавахишвили не скупился в нужных случаях и на похвальное слово. В отзыве на сочинение Е. Такайшвили «Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения» он писал: «Описание (Е. Такайшвили) составлено прекрасно; тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведений... В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровержимые выводы в области исторических и историко-литературных вопросов»[4].

---

[1] Сообщения Палестинского общества, т. XIV, ч. 2, СПб, 1903.

[2] См. например, A. Harnack. Forschungen aus dem Gebiete der alten grusinischen und armenischen Litteratur (Sitzungsberichte der Preuss. Akad. der Wiss. XXXIX, Berlin, 1903, S. 840).

[3] Описание грузинских рукописей Синая, Тб., 1947.

[4] Византийский временник, т. XI, СПб, 1904, с. 347.

По составленной Иваном Александровичем инструкции ведутся описания богатейших рукописных коллекций Института рукописей имени К. С. Кекелидзе АН ГССР.

Для истории грузинской литературы и всей грузинской духовной культуры имеют эпохальное значение открытые Джавахишвили в 1922 году древнейшие памятники грузинской письменности, так называемые палимпсестные тексты VI—VII веков[5]. Это открытие дало Ивану Александровичу ключ к разрешению ряда первостепенных вопросов из истории грузинской палеографии, языка и литературы. Весьма тщательное, скрупулезное изучение им же открытых материалов дало возможность И. А. Джавахишвили должным образом обосновать свою научную теорию об изобретении грузинского алфавита и возникновении грузинской письменности задолго до нашей эры.

Большая монография И. А. Джавахишвили «Древнегрузинская историография» (V—XVIII вв)[6] — бесценный труд по древнегрузинской художественной прозе. Хотя грузинскую агиографическую литературу (мученичества и жития святых) Иван Александрович и рассматривает в первую очередь как исторические памятники, он подробно анализирует их и с точки зрения художественности языка, стиля и писательского мастерства. В монографии, конечно, затрагиваются и соответственно разрешаются вопросы историко-литературного и мировоззренческого порядка, вопросы литературных взаимосвязей и т. д. В подобном плане изучены в труде Ивана Александровича произведения выдающихся представителей грузинской беллетристики — Якова Цуртавели (V в.), Иоанна Сабаниздзе (VIII в.), анонима, автора «Мученичества Константина-Каха» (IX в.), Стефана Мтбевари (X в.), Георгия Мерчуле (X в.), Басилия Зарэмели (XI в.), Евфимия и Георгия Афонели (X—XI вв.), Георгия Шавтели (XI в.), Ефрема Мцире (XI в.), Николоза Гулаберидзе (XII в.) и других. И. А. Джавахишвили перевел на немецкий язык и со вступительной статьей опубликовал «Мученичество Евстафия Мцхетели», произведение неизвестного автора VI века[7].

---

[5] И. Джавахишвили. Вновь открытые древнегрузинские рукописи и их значение для науки, Предварит. доклад с приложением образц. и рис, Вестник ТУ, т. II, Тб., 1922-23.

[6] Тбилиси, 1916, 1921, 1945.

[7] Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha (Sitzungsberichte der Preuss, Akad. der Wiss., Berlin, 1901).

С его помощью сделан и немецкий перевод «Мученичества Або Тбилели» К. Шульце[8].

Ряд статей, заметок, рецензий, отзывов и аннотаций опубликованы И. А. Джавахишвили в известных петербургских академических органах: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», «Христианский Восток», «Византийский Временник», «Записки восточного отделения русского археологического общества». Особо следует отметить его «Материалы для истории грузинской патристической литературы» (X В., т. I, 1912).

Еще совсем молодым ученым Иван Александрович внес свой вклад в изучение проблем «Варлаамовского периода русского востоковедения» (определение академика И. В. Крачковского). Это — его русский перевод знаменитой душеполезной повести средневековья «Мудрости Балавара», известной в мировой литературе под названием «Варлаам и Иоасаф»[9].

С большой тщательностью и глубиной рассматривал И. А. Джавахишвили и памятники древнегрузинской советской литературы. Специальные работы посвятил он героико-авантюрной повести «Амиран-Дареджаниани», грузинской редакции персидской поэмы Гургани «Вис-о-Рамин» («Висрамиани), грузинским версиям поэмы Фирдоуси «Шахнамэ и поэме Руставели «Витязь в барсовой (или тигровой) шкуре». Известны его суждения о древнегрузинских одописцах, Теймуразе I, Арчиле, Вахтанге VI, «Мудрости вымысла» Саба-Сулхана Орбелиани и других.

И. А. Джавахишвили — автор пятитомной истории грузинского народа. В каждом томе этого большого труда глубоко содержательный обзор литературной жизни соответствующих эпох. В 1913 году в энциклопедическом словаре «Гранат» опубликована его суммарно обобщенная статья о древнем периоде грузинской литературы.

Принципиально новое и, по моему мнению, совершенно правильное положение выдвинул И. А. Джавахишвили по спорному вопросу о культурно-литературных связях Грузии с персоязычными литературами народов Востока: «Если в политической сфере Грузия вела борьбу с разными мусульманскими ханствами и с Персией, поэзия и культура создавали духовное единство персов и грузин, и вместо вражды (и ненависти) закладывали основы любви. Для грузин персидско-

[8] K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis (Texste und Untersuchungen, N. Folge, XIII, 4).

[9] ЗВОРАО, т. XI, СПб, 1899.

мусульманская культура (никогда) не была чуждой, они с большим уважением относились к литературе, науке и искусству своих политических недругов»[10].

Блестящий ученый и как аналитик, и как синтетик, И. А. Джавахишвили был искусным полемистом, беспристрастным, высоко принципиальным и бескомпромиссным. С методологической и историко-литературной точек зрения исключительно большое значение имеет его незаконченное исследование «Задачи истории грузинской филологии и древнегрузинского художественного эпоса»[11].

Как ученый, И. А. Джавахишвили сложился в дореволюционную эпоху, но его огромные научно-творческие силы в полную меру раскрылись после Великой Октябрьской социалистической революции в стенах по его же инициативе созданного национального университета. Вокруг Ивана Александровича сгруппировались его коллеги, ученики и почитатели, развернувшие кипучую научно-исследовательскую деятельность во всех областях грузинской гуманитарной науки. Ивана Александровича глубоко тронуло и вдохновило известное постановление ЦК Компартии Грузии от 1934 года о всенародном праздновании 750-летия поэмы Руставели «Витязь в барсовой шкуре».

Под руководством Ивана Александровича была организована большая выставка, посвященная материальной культуре Эпохи Руставели. За сравнительно короткий срок он обнародовал ряд весьма ценных руставелологических работ: «По поводу празднования 750-летия «Вепхисткаосани»[12], «Личность и мировоззрение (Шота Руставели)»[13], «Социальная культура эпохи Руставели и поэма «Вепхисткаосани»[14], «Вокруг нового (1934 г.) издания «Вепхисткаосани»[15], «Вепхисткаосани»[16].

В своей научно-исследовательской деятельности руставелологические вопросы И. А. Джавахишвили, конечно, затрагивал и раньше и не раз возвращался к ним в дальнейшем. Джавахишвили-руставелолог — тема специального доклада.

---

[10] История грузинского народа, II, 1914, с. 651.

[11] И. А. Джавахишвили, Вопросы истории грузинской литературы и языка, под редакцией И. Абуладзе и А. Барамидзе, Тбилиси, 1956, с. 58—75.

[12] Там же, с. 5—12.

[13] Там же, с. 13—15 (на русском языке).

[14] Там же, с. 16—19.

[15] Там же, с. 20—30.

[16] Там же, с. 31—47.

Здесь я ограничусь беглыми заметками только о некоторых сторонах его работ по этой проблематике[17].

В статье «К 750-летию «Вепхисткаосани» И. А. Джавахишвили писал: «Изучение величественного творения Шота Руставели сравнительно с прошлым оживилось и очень продвинулось вперед». Однако, по его мнению, руставелологическая наука значительно отстала по части текстологии. Разные взгляды на бессмертную поэму «основываются на неустановленном тексте». «Странно, — подчеркивал ученый, — что и эта оживленная (исследовательская)работа не помогла делу критического восстановления и издания поэмы». С болью в сердце констатировал Иван Александрович: «До сих пор мы не только не можем издать полный критический текст («Вепхисткаосани»), но даже не имеем такого издания, которое содержало бы зафиксированные в рукописях все разночтения».

Таким образом, И. А. Джавахишвили совершенно справедливо упрекал руставелологов в пренебрежительном отношении к коренной, текстологической проблеме этой науки. Я рад сообщить, что первое требование И. А. Джавахишвили к настоящему времени выполнено: Институт истории грузинской литературы имени Шота Руставели в 1960—1964 годах выпустил в свет пять книг вариантных разночтений поэмы Руставели по всем ее рукописным спискам и основным печатным изданиям, а в 1966 году появилось издание «Вепхисткаосани», снабженное основными рукописными разночтениями. Это — так называемое вариантное издание поэмы Руставели (под редакцией А. Шанидзе и А. Барамидзе) и было посвящено памяти И. А. Джавахишвили. Но, по мысли Ивана Александровича, мало осуществить более или менее удовлетворительное («хорошее») издание, оно должно быть еще безупречно образцовым. До тех пор, пока не будет подобного издания, грузинская наука не сможет выполнить своего нравственного долга перед своим гениальным поэтом, указывал Иван Александрович. Как известно, при президиуме Академии наук Грузинской ССР функционирует Комиссия по подготовке к изданию научно-критического, академического текста «Вепхисткаосани». Комиссия призвана осуществить мечты незабвенного ученого. Нужно надеяться, что его заветы будут осуществлены.

Специальную работу посвятил И. А. Джавахишвили

[17] В дальнейшем все цитаты приводятся и ссылки делаются по указанному выше сборнику работ И. А. Джавахишвили «Вопросы истории грузинской литературы и языка».

первому печатному изданию «Вепхисткаосани» 1712 года, так называемой Вахтанговской редакции поэмы. По его заключению, это издание «основывается на древних рукописных традициях» (стр. 30). Ученый полагал, что, по всей вероятности, Вахтанг VI собрал известные в его время лучшие рукописи, выбрал из них наиболее старые и надежные списки, использовав их для своего издания. Вахтанг не мог допустить, — писал Иван Александрович, — «самовольного» подхода к тексту. Хотя просвещенный царь и изъял из своего издания последние главы рукописного «Витязя», в том числе и «Сказ об индо-хатайцах», но, по убеждению Ивана Александровича, это было сделано применительно к данным, имеющимся в рукописном наследии поэмы. Дальнейшее подробное изучение рукописных списков «Вепхисткаосани» полностью оправдало предположение И. А. Джавахишвили.

И в ранних своих руставелологических работах Иван Александрович придерживался мнения о том, что «Вепхисткаосани» отображает конкретно-историческую действительность Грузии XII века, а ситуация воцарения Тинатин, слова поэта, что аравийский царь Ростеван, «кроме дочери, владыка не имел другого чада»; изречение «льва щенки равны друг другу, будь то самка иль самец» прозрачно намекает на известные исторические события. В дальнейшем ученый-историк значительно расширил и углубил этот взгляд. В докладе на объединенном заседании правлений Союзов писателей СССР и ГССР в декабре 1937 года И. А. Джавахишвили говорил: «В героях Руставели бьется сердце грузина, их волнуют вопросы тогдашней Грузии» (стр. 19). Идею преклонения перед женщиной и возможность воцарения представительницы женского пола И. А. Джавахишвили считал краеугольным камнем социально-политической жизни Грузии времен царицы Тамар. «Борьба не угасла» и после решительного шага Георгия III, возведшего на грузинский престол юную Тамар, борьба эта приняла только другую форму. Шота Руставели, утверждает Иван Александрович, «проповедник равенства царственной дочери с царственным сыном». Еще, мол, грузинский историк XVII века Парсадан Горгиджанидзе подметил, что афоризм «льва щенки равны друг другу, будь то самка иль самец» имеет в виду факт воцарения Тамар[18]. Исследователь идет гораздо дальше, доказывая, что руставелевский афоризм («льва щенки...») подразумевает не только частный случай, но и представляет собой обобщенную

[18] Вопросы истории литературы и языка, с. 46.

идею равенства мужчин и женщин вообще в политическом смысле (с. 15, 27).

И. А. Джавахишвили придерживался теории Н. Я. Марра о рыцарской идеологии и возвышенной рыцарской любви «Вепхисткаосани», обоснованной в его замечательной монографии «Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шота из Рустави с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме» (ТР, XII, СПб, 1910). Об этой монографии Н. Я. Марра И. А. Джавахишвили писал: «Первая, прекрасно написанная монография о мировоззрении, целеустремленности и поэтических взглядах гениального автора «Витязя в барсовой шкуре» принадлежит академику Н. Марру. Это его исследование положило начало новой эпохе в изучении «Витязя в барсовой шкуре»[19]. Развивая марровскую теорию, И. А. Джавахишвили доказывал, что основной идеей поэмы Руставели является идея дружбы и братства, перерастающая в идею братства и солидарности народов[20].

По определению И. А. Джавахишвили, Шота Руставели «был в религиозных вопросах вольнодумцем», не признающим официальной христианской догматики и обрядности, «больше колеблющимся между признанием единобожия и пантеизмом, чем адептом какой-либо тогда господствовавшей религии» (с. 14—15). Этим обстоятельством объяснял он гонение на Руставели со стороны церковно-клерикальных кругов грузинского общества, И. А. Джавахишвили не подвергал сомнению сведения источников о гонениях на «Вепхисткаосани» со стороны главы грузинской христианской церкви католикоса Антония Первого (1720—1788).

Восхищают глубиной мысли, научной аргументированностью доводы И. А. Джавахишвили даже и в тех случаях, когда они кажутся спорными и не совсем убедительными.

Ярко выраженная антиперсидская тенденция «Вепхисткаосани», по меткому замечанию Ивана Александровича, исключает возможность персидского происхождения сюжета Руставели.

Не могу не процитировать в моем буквально подстрочном переводе вдохновенные слова И. А. Джавахишвили, замыкающие его доклад на писательском пленуме в декабре 1937 года: «Пока в человеческом организме бьется пульс благородного сердца, пока благородные чувства и любовь

[19] Там же, с. 10.

[20] Там же, с. 18.

будут иметь притягательную силу, не умрет Руставели, не умрет его величественная поэма «Вепхисткаосани».

Неутомимый исследователь древнегрузинской литературы, свое просвещенное внимание он уделял также вопросам новой грузинской литературы. В этом отношении особого внимания заслуживают две его работы: «Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке»[21] и «Илья Чавчавадзе и история Грузии»[22].

«Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке» — прекрасное исследование, имеющее большое научное значение и для истории общественной мысли данной эпохи. В этой работе И. А. Джавахишвили выражает свое полное сочувствие народно-революционному, антикрепостническому и антимонархическому движению грузинского крестьянства, подчеркивая, что раньше движение это носило неорганизованный, разрозненный и стихийный характер. «Временные вспышки и отдельные проявления брожения начали принимать всеобщий характер» с начала XX века и «все более и более это движение из аграрного стало переходить в политическое». К этому времени, по словам И. А. Джавахишвили, в стихийное крестьянское движение грузинский рабочий класс внес необходимый «организаторский дух».

Кстати, за явно крамольные мысли работа эта царской цензурой была запрещена и изъята из обращения, а ее автор подвергся административному взысканию.

И. А. Джавахишвили высоко ценил огромные заслуги перед родной страной признанного вождя национально-освободительного движения в Грузии XIX века Ильи Григорьевича Чавчавадзе. Он справедливо считал, что «Илья Чавчавадзе был велик не только в области поэзии и публицистики, но и в области грузинской историографии». Вместе с тем И. А. Джавахишвили с горечью отмечал, что в одно время разного рода нигилисты пытались не только умалить его значение, но и «полностью уничтожить» и «стереть с лица земли» его великие заслуги. И. А. Джавахишвили с глубоким удовлетворением и радостью заключал свой труд об Илье Чавчавадзе: «К счастью, этой беспримерной неблагодарности пришел окончательный конец, ...эта черная неблагодарность искоренена и великая заслуга Ильи Чавчавадзе перед Грузией оценена достойным образом».

---

[21] История грузинского народа, V, 1953, с. 98—129.

[22] Вопросы истории грузинской литературы и языка, с. 76—88.

Физически уже надломленный, но духовно твердый и непреклонный, обладающий поразительной силой воли и трудолюбием, маститый ученый в последние дни своей недолгой жизни напряженно работал над важнейшими проблемами грузинской филологической науки. К кругу этих вопросов относится и его незаконченный доклад, прочитанный в роковой день 18 ноября 1940 года. Благородное сердце великого человека и блистательного ученого навсегда перестало биться, когда он взволнованно рассуждал о проблемах грузинской богатырской повести «Амиран-Дареджаниани».

სიტყვა გალაკტიონ ტაბიძეზე

მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლების განვითარება ცნობილი ისტორიული მიზეზების გამო სწორხაზოვნად და, მით უფრო, უწყვეტი აღმავლობის გზით ვერ წავიდოდა. როგორც სულიერ, ისე მატერიალურ კულტურას საქართველოს წარსულში ჰქონდა დიდი აღმართები და დიდი დაღმართები. თუ თვალს გადავავლებთ ქართული კულტურის განვითარების ისტორიას, მისი დადგენის პერიოდიდან დღემდის, კარგად შევამჩნევთ მაღალ მწვერვალებთან ერთად ღრანტეების რიგს. გალაკტიონ ტაბიძის სქემით თუ ვიმსჯელებთ (გალაკტიონი კი ამ მხრივ ფრიად ავტორიტეტული, განსწავლული მოწმეა), ქართული სულიერი კულტურის მწვერვალებია შოთა რუსთველი და გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი. ვფიქრობთ, სამართლიანი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ მწვერვალების მოხსენიებულ რკალს აგვირგვინებს თვითონ გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონ ტაბიძეს უცდომლად ჰქონდა განსაზღვრული მისი ადგილი ქართული პოეზიის ისტორიაში და შთამომავლობის აზრი ამის თაობაზე. 21 წლის ჭაბუკი პოეტი წერდა:

დღეები ბრუნავს, ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა,
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ჭარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.

გალაკტიონ ტაბიძის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება იყო დაუცხრომელი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა ყოველივე დრომოჭმულის, რუტინისა და ხავსმოდებულის წინააღმდეგ პოეზიაში. ასევე დაუღლელი იყო და შეუპოვარი იგი ახლის ძიების გზაზე.

„მინდა ახალი გზები, მინდა ახალი რამე, გაბრწყინვებული მთები, განათებული ღამე“, ამბობს პოეტი ერთს, შედარებით ადრინდელ ლექსში „მგზავრის სიმღერა“. პოეტი ეძიებდა და პოულობდა თავის საწადელს. სიამის გრძნობით ავსებს პოეზიის ყველა ჭეშმარიტი დამფასებლის გულს გალაკტიონ ტაბიძის საოცარი პოეტური მიგნებანი და შთამბეჭდავი ხილვანი. ოღონდ ვერ დავივიწყებთ, რომ ახლის ძიებათა სტიქიას მიყოლილი გალაკტიონი უდიდესი პატივითა და მოკრძალებით ეკიდებოდა წარსულიდან ნაანდერძევ სასახელო მემკვიდრეობას. იგი სამაგალითო მეცნიერული სიღრმით სწავლობდა ამ მემკვიდრეობას, ნათელი გონების შუქით ამოწმებდა მის სიავკარგეს, ითვისებდა, აგრძელებდა, აღრმავებდა და ავითარებდა ძველი პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციებს. ჩვენ არ ვიცით სხვა მეორე თანამედროვე პოეტი, რომლის ნაფიქრ-ნააზრევი და მხატვრული ნასიტყვი ასე ძლიერად იყოს აღბეჭდილი წარსულის მადლით. ახალი დროის ქართველი პოეტებიდან გალაკტიონ ტაბიძემ ყველაზე უფრო უშუალოდ, ბუნებრივად და ფაქიზად განიცადა შოთა რუსთველის დიადი პოეზიის ცხოველმყოფელი შინაგანი ზემოქმედება. რუსთველის სახე, სახე რუსთველის გმირებისა, რუსთველური პოეტური სამკაულები გამჭვირვალედ თინათინობენ გალაკტიონის არაერთ ლექსში. რა სიხარული და ეროვნული სიამაყის რა საამო გრძნობა გაუცდია საბჭოთა პოეტს ერთი პარიზელი კოლეგის ბინის კედელზე რომ შეუნიშნავს შოთას პორტრეტი. „რა საოცრებას ფარავს პარიზი, ქვეყნად ყველაფრით უკმაყოფილო“, ვკითხულობთ ამ შემთხვევის გამო შეთხზულ მშვენიერ ლექსში „რუსთაველი პარიზში“. რვამარცვლიანი შაირის მეტრით არის დაწერილი გალაკტიონის „შოთა რუსთაველი შავიზღვის პირად“. სხვა იშვიათ ღირსებებთან ერთად ეს საუცხოო ლექსი ძალიან საინტერესოა რუსთველის ბიოგრაფიის ტაბიძისეული კონცეფციის თვალსაზრისითაც. რუსთველურად უქცევს ლექსის ლირიკული გმირი:

მე რუსთველი ამა ზღვიდან
შემოვდივარ, ჩემს ქვეყანას.[1]

გალაკტიონ ტაბიძე თვითონაა სამშობლოზე შეყვარებული ველად გაჭრილი შმაგი მიჯნური, ახალი დროის დიდებული მესხი მელექსე („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“):

[1] შდრ. მე, რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამა დარი.

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე ვინმე მესხი მელექსე.

გალაკტიონ ტაბიძე გვაიმედებს, რომ ადრე იქნება თუ გვიან იქნება, „ჩვენ აღმოვაჩენთ ძველი დროის ძველ წიგნსაცავებს, ომიანობის გამო სადმე გადამალულებს“. რა თქმა უნდა, იქ აღმოჩნდება შოთას პოემა, ვინც „საუკუნე გააუკვდავა“.

ცნობილზე ცნობილია გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ლოზუნგი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ოღონდ ამის ეროგვარ დაკონკრეტებას წარმოადგენდა მისივე აღსარებანი „მამულს გული უპირველეს ყოვლისა“, „სთქვა: სამშობლო უპირველეს ყოვლისა“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. „საქართველო, აი, რა არის შემოქმედება“, — გვიმხელს პოეტი თავის გულისთქმას. სამშობლო იყო გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიულად და შემოქმედებითად საფიცარი ცოცხალი კერპი თუ ხატი. ვინ დაივიწყებს:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას,
წ ი ნ ა პ ა რ თ ა ძ ვ ლ ებს დ ა ვ ი ც ა ვ.

საქართველო, მისი სასიქადულო დიდი წარსული, მისი ნათელი აწმყო, მისი საოცნებო მერმისი — ესაა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ნამდვილი შთაგონება. გ. ტაბიძე აღტაცებული უმღერო და ჯალალადინის, თემურლენგისა და აღამაჰმადხანის ურდოების წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ გმირ ქართველ ხალხს, ნარიყალის, გორის ციხისა თუ ნიკორწმინდის მშენებელ უცნობ ოსტატებს, ქართული ანბანის შემქმნელ ჯადოქარს, ვეფხისტყაოსნის გენიოს ავტორს და ქართლის ცხოვრების შემთხზველ მწიგნობართ კრებულს. „ბრწყინავს მისი ძველი-ძველი უძლეველი მთა და ველი, მისი წყალი, მისი სივრცე, მისი შოთა რუსთაველი“, გვიმხელს პოეტი მთვარის ჩვენებას. აბა, მოვიგონოთ გალაკტიონის უმხურვალესი „ჰიმნი ქართულ ანბანს“ და უბრწყინვალესი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

გალაკტიონ ტაბიძე შენატროდა ერთიან, მთლიან, განუყოფელ დედა-სამშობლოს, მისთვის ერთგვარად ძვირფასი იყო და პოეტური აღტყინების აღმძვრელი გურიის მთები თუ ალაზნის ველი, აწინდელი შინდისის ჭადრები თუ ძველი ბეთანია, აფხაზეთი თუ „ხორაგაულის სევდიანი სადგური“. გალაკტიონ ტაბიძემ

ულამაზესი საგალობელი უძღვნა მშობლიურ გრიგალს და წყალტუბოდან ქუთაისში მომავალ სიოს.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ამკობს და ადიადებს საქართველოს უბერებელი დედაქალაქის, თბილისის წარმტაცი სახე, ხან ეშაფოტი და გილიოტინა, ხან ძოალერსე, ტკბილი და ნაზი, ოღონდ ყოველთვის საოცნებო და სანეტარო საშშობლოს ხატი. მოვიგონოთ მღელვარე მოწოდება:

ავდგეთ ფეხზე! ჩვენ ტფილისი
ვაღვეგრძელოთ ჰაღარა!

ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე უწინარეს ყოვლისა მაინც ახალი, რევოლუციური, ინდუსტრიული, საბჭოური საქართველოს გატაცებული, დაუღლელი, სწორუპოვარი დიდი პოეტია, მგოსანთ-მგოსანი.

გალაკტიონ ტაბიძე ყრმობიდანვე მიენდო რევოლუციურ მოძრაობას, იგი დიდი სიხარულით შეეგება მონარქიის დაშხობას. მან საკუთარი თვალით იხილა და უშუალოდ განიცადა რევოლუციური პეტროგრადის ისტორიული დღეები. პირველმა ქართველი პოეტებიდან გულით იწამა და შემოქმედებითად აღიქვა მოსკოვი, კრემლი, ლენინი. გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიას შესძინა დიადი რევოლუციური ჰიმნი „დროშები ჩქარა". გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი, ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი. ისტორიული წარსულის დროსაც გალაკტიონის აზრით, პოეზიამ შეამჭიდროვა ქართველობა ერთ უძლეველ ძალად და ბრძოლის ცეცხლით განაწყო ულეველი მტრის წინააღმდეგ. „შიშის ზარს სცემდა პოეზია უფრორე მეტად, ვინემ ფერმკთალი შეთქმულება აჯანყებისთვის". გალაკტიონ ტაბიძის მელოდიურ ჩანგს „ხალხისთვის ბრძოლა" არ ზარებია. იგი პირველი ჩადგა დიდი ოქტომბრის და თებერვლის ერთგულთა რიგებში და, როგორც ყველასთვის ცნობილია, ვაჟკაცური ხმით შეაგონა თანამოკალმეთ:

დავდგეთ იქ, სადაც ჭარიხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ამაზე უფრო მგზნებარე, პოლიტიკურად უფრო მახვილი საბრძოლო პოეტური დეკლარაცია არა გვგონია მოიძებნოს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რა ისტორიულ ვი-

თარებაში იყო შექმნილი ეს პოეტური საგალობელი. მოქილიკე ნქირდავ ფილისტერებს მაშინ რა გამოლევდა. იმათ უმიზნებს გალაკტიონის გულის პასუხი:

მე მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
მე ქარში ვიყავ როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში
თბილად გეძინათ საქართველოში.

დიახ, ახალი, მებრძოლი, რევოლუციური საბჭოთა საქართველო იყო გალაკტიონ ტაბიძის მაღალი სიყვარულისა და აღმაფრენის უშრეტი წყარო.

საქართველოს საამაყო წარსულის დაჯერებული მეხოტბე გულწრფელად ასკვნის:

თვალწარმტაცია ახალი ხანა
და ისტორიის ახალი გვერდი!

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გალაკტიონი წავიდა ჩვენგან, მაინც თითქო ფიზიკური უშუალობით გვესმის დღეს მისი მგოსნური სადღეგრძელო:

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

გალაკტიონ ტაბიძე ქართული პოეზიის მშვენებაა. გალაკტიონ ტაბიძის დაბადების მე-80 წლისთავის იუბილე ქართული საბჭოთა კულტურის, ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულია, რომელიც ცხადლივ სცილდება ჩვენი სამშობლოს, დიდი საბჭოთა ქვეყნის უვრცელეს საზღვრებს. მაინც ქართველობა ვერ დაისაკუთრებს გალაკტიონ ტაბიძის დიდებულ სახელს, იგი ეკუთვნის მთელ განათლებულ კაცობრიობას. ჩვენი თანამედროვეობის, ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ლიტერატურული მეცნიერების უპირველესი ვალი ისაა, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის უცილობელი ეს მნიშვნელობა დამარწმუნებლად აგრძნობინოს პოეზიის ყველა მოყვარულს ჩვენი ქვეყნის შიგნით თუ მისი ფარგლების გარეთ.

ეჭვი არაა, მიმდინარე საიუბილეო დღესასწაული დიდად შეუწყობს ამას ხელს.

ЗВЕЗДА ВЕНГЕРСКОЙ ПОЭЗИИ

(Шандор Петефи)

Сверкающая звезда венгерской и всей мировой лирической поэзии Шандор Петефи родился в ночь на первое января 1823 года.

За три месяца до смерти Шандор Петефи бросил в лицо грубому и опесивому военному министру генералу Дьерду Клапке: «Если современники не выслушают меня, я подымусь на (высокую) трибуну истории и оттуда провозглашу свои обвинения. Справедливое потомство услышит меня».

Сегодня для всего прогрессивного человечества близки и понятны проникновенные слова поэта, направленные против старого мира. Ему внемлют, его ценят, отдавая должное этому поистине великому сыну венгерского народа.

Шандор Петефи был очень близок к своему родному народу, сочувствовал его горестям и печалям, прекрасным поэтическим словом описывал его переживания, выражал его идеалы. «Моя священная цель — служить родине, народу». — писал поэт. Он ревностно боролся со всякого рода насилием, беззаконием, социальной неоправедливостью и национальным гнетом. «Иди же, если ты поэт, с народом сквозь огонь и воду», — обращался Петефи к поэтам XIX века. «Да здравствует народ», «Народ — моя религия, мой бог», «Да славится имя народа ныне и присно и во веки веков» — провозглашал он. Поэт поклонялся трудовому народу, ему служил, его воспевал. Чванливую же и праздную аристократию, продажных и невежественных чиновников, лицемерных и алчных священнослужителей и другие паразитические слои общества он беспощадно разоблачал и пригвождал к позорному столбу.

Петефи был ненавистником тирании и деспотизма, ярым врагом цивилизованных царей-варваров, «коронованных разбойников».

В истории богатой многовековой венгерской поэзии Шандор Петефи признан самым национальным и самым популярным народным поэтом. Он был подлинным идейным

руководителем венгерского национально-освободительного движения: поэт-гражданин, поэт-трибун, поэт-революционер и поэт-воин. Восхитительны патриотические гимны Петефи, посвященные венгерской земле, ее горам и долам, ее рекам, дремучим лесам и бескрайним степям, ее трудолюбивому, доброму, талантливому народу. Вот несколько строк из стихотворения Петефи «Патриотическая песнь»[1]:

Я твой и телом, и душой,
Страна родная.
Кого любить, как не тебя!
Люблю тебя я!

Безграничная любовь к родной стране и родному народу давала ему право иногда с юмором, а иногда и с острой сатиричностью высмеивать некоторые отрицательные черты своих собратьев.

Патриотизм — основной мотив поэзии Петефи. Он горячо и страстно молился о своей родине, превозносил ее героическое прошлое, жаловался на ее безрадостное настоящее и мечтал о счастливом будущем. «Есть ли в Венгрии хоть горсть земли такая, что венгерской кровью не орошена». «Неужели, милая отчизна, нет в тебе былого героизма?.. Венгрия, достигнешь ли ты снова гордого величия былого?» (II, 266) — вопрошает с душевной болью великий поэт (II, 224). По определению Шандора Петефи, венгерский народ на протяжении столетий, опираясь на плуг и не выпуская из рук меча, отбивался от вражеских нашествий, отдавал жизнь, защищая свою священную землю, своих жен и матерей, свою великую национальную культуру, свой прекрасный язык (здесь полная аналогия с историей грузинского народа). Недовольный настоящим, Петефи разоблачал и осуждал духовную нищету значительной части общества, ее склонность к обособлению, индифферентность к общественному делу, пагубную тенденцию отдаваться всецело личным интересам и т. д. Он призывал своих современников пробудиться ото сна и ревностно защищать свободу. «Что ж вы рабство терпите такое? Цепи сбрось, народ, своей рукою!» (II, 370) — писал поэт и не раз повторял:

Встань, отчизна! Все вернуть ты можешь,
Только не робей в бою неравном!
«Победить иль умереть сражаясь!»
Начерти на нашем стяге славном.

[1] Тексты цитируются по четырехтомнику сочинений Петефи (Москва, 1952—1953).

Кто уцелеет? Я не знаю!
Но не умрет страна родная
Вперед, мадьяры! (II, 418).

Петефи непоколебимо верил что венгерский народ бессмертен, что он восстанет, проникнется чувством свободы и станет бороться с врагами не на жизнь, а на смерть. Для поэта борьба за национальную и социальную свободу была единым, неразделимым действием. Не случайно, что он стал не только идейным знаменосцем Венгерской революции 1848/49 годов, но и одним из ее фактических вождей. «Революция — моя стихия», — говорит поэт. Его революционно-патриотические стихи вдохновляли венгерский народ, наполняли его жаждой борьбы против контрреволюционной интервенции, внутренних реакционеров и оппортунистов самых различных мастей. «Национальная песнь» Петефи стала подлинным гимном венгерской революции (II, 480), его «Боевая песня» (II, 417—418) выполнила роль венгерской Марсельезы, «Гонвед» же являлся идейно-организующим поэтическим манифестом, который специально раздавался идущим на фронт воинам. В нужный момент поэт взялся за оружие и вступил добровольцем в революционную армию. «Я вместо лиры саблю в руки взял, я был поэтом — нынче я солдат» (II, 359).

По мнению Петефи, карательные экспедиции интервентов не добились бы успеха, если нация была бы единой и целеустремленной. Самыми отвратительными и злостными врагами поэт считал врагов внутренних, изменников родины и гражданского долга. Он проклинал жалких трусов, упавших духом и сеявших смуту (II, 18—19):

Проклятье всем, кто, кинув стяг,
Изменит своему народу!
Проклятье всем, кто отстает!
Проклятие трусости и лени,
И тем, кто, бросив свой народ,
Ушел искать прохладной тени!

Петефи жестоко разоблачал тех, кто колебался и добивался примирения с врагом. А таких, к сожалению, оказалось много не только в кругу высшей знати, но и среди широких слоев интеллигенции. Именно на почве бескомпромиссной принципиальности отвернулся Петефи от своего благодетеля, выдающегося венгерского поэта старшего поколения Михая Верешмарти (1800—1855) и друга юности известного романиста Мор Йокая (1825—1904). Поэт умел отстаивать свое мнение даже перед общепризнанным вож-

дем венгерской революции Лайошем Кошутом (1802—1894), не говоря уже о других известных венгерских политических или военных деятелях.

Петефи самоотверженно сгорал во имя счастья и величия Венгрии. В вопросах чести и свободы Венгрии он был непоколебим. Но ему была чужда национальная ограниченность. Петефи был передовым человеком, с широкими, подлинно интернационалистическими взглядами, поэтом-гражданином, ратующим за светлое будущее всего человечества. «Погибнуть ради человечества! Какая радостная смерть!» (I,427), — признавался поэт.

Петефи прошел очень тяжелый жизненый путь. Он сравнительно легко сносил голод и нищету, мужественно встречал несчастья, опасности, преследования. Но поэт был совершенно нетерпим к национальному нигилизму, общественному индиферентизму, примиренчеству и двойственной политике, а тем более — к явной измене всенародному делу и к предательству. И никто так бурно и с такой искренностью, как он, не радовался успехам революции и счастливым дням народной свободы.

Через всю поэзию Шандора Петефи красной нитью проходит мотив апологии вина и вакхических настроений. Подробно на этом останавливаться не будем, скажем только, что эти мотивы носят глубокий отпечаток патриотических переживаний поэта. Например, адресуясь к родной стране, он пишет:

Я пью вино. Горчит оно,
Но пью до дна я,—
Мои в нем слезы о тебе,
Страна родная!

Большой вдохновляющей силой поэзии Петефи является любовь, любовь к женщине. В излиянии интимных любовных переживаний он так же восхитителен, как и в поэтическом воплощении патриотических чувств. Любовь поэта — всеобъемлющий, мощный, бескрайний и безбрежный поток.

Люблю я милая!
Так люблю тебя,
Как никогда, нигде,
Никто не мог любить!

— обращается поэт к любимой. И еще: «Ведь это смерть почти! Не может это быть, что можно так любить, что можно воплотить все, все в лице одном» (II, 409). И все-таки Петефи был готов принести свою любовь к жертвенному ал-

тарю во имя счастья родной страны. Так и произошло. В дни смертельной опасности для родины и революции Петефи, как известно, без раздумий ушел на фронт добровольцем и горящее любовью сердце поэта перестало биться в схватке с врагами.

Поэт воспевал бесстрашие льва, воспевал царственного орла и гордого сокола, воспевал и певчего жаворонка, страстного глашатая рассвета. И глубоко характерно, что поэт-революционер отдавал предпочтение звонкому голосу жаворонка перед грустным пением соловья («Не соловьиная, о нет, а жаворонка песнь нужна всем людям в наши времена», I, 443).

Несколько слов об одном из шедевров Петефи, который в оригинале называется «Мой Пегас», а в прекрасном переводе Григола Абашидзе на грузинский язык получил название «Мерани» (с. 2, 146—147). Это великолепное лирическое стихотворение пронизано революционно-романтическим духом. Лирический герой — всадник на коне чистокровной венгерской породы, выросшем в степях родного края и там же пойманном. Быстрее молнии этот окрыленный конь «с огнедышащей пеной» мчится вперед, не зная устали. Пути-дороги Пегаса беспередельны и бесконечны, так как далека мечты всадника граница». Смелому всаднику предстоит проделать еще очень большой путь. И он подбадривает и веселит своего любимого крылатого четвероногого, чтобы он мог преодолеть непреодолимое:

Мчись, Пегас, скачи через овраги,
Удержу не зная никакого,
А противник встанет на дороге —
Растопчи такого и сякого!

Каждый внимательный читатель «Моего Пегаса» легко почувствует, какое идейно-художественное родство проявляется в этом замечательном стихотворении с поэтическими творениями аналогичного типа других народов и, в частности, с знаменитым «Мерани» Николоза Бараташвили. Конечно, сходство здесь не переходит границ типологических признаков. Но как раз и характерно то, что два поэта, отдаленные друг от друга исторически и географически и совершенно незнакомые между собой, дышат одинаковой идейно-эмоциональной атмосферой и свои поэтические устремления выражают в поразительно схожих художественных образах. Возможность такого типологического сходства обусловлена, конечно, близостью социально-политической и идеологически-

культурной действительности стран, превосходными духовными выразителями которых являются их поэты.

Петефи принадлежит выдающаяся роль в утверждении в венгерской литературе новых, революционно-демократических эстетических идей. Непосредственный руководитель радикально-демократического крыла Венгерской национально-освободительной революции, он и в литературе смело утверждал высокую идейность и народность. Поэт отверг господствовавшие в литературе аристократически-салонные, риторически-вычурные принципы и взял в родную поэзию народно-разговорный язык и народные поэтические размеры. Высокая идейность, правдивость переживаний и естественность, удивительная художественная простота и утонченность, характеризующие поэзию Петефи, основаны на глубокой народности. «Что правдиво — то естественно, что естественно — то и хорошо и, по-моему, красиво: вот моя эстетика», — писал поэт своему другу поэту Яношу Арани (IV, 247). «Поэзия — не зал и не салон, где избранное общество расселось, а храм, в который можно войти в лаптях и даже босиком» (II, 145, IV, 129). Художественная простота и ясность, сердечность и искренность, по мысли Петефи, являются неотъемлемыми свойствами и самой сущностью поэзии. Он называл себя глашатаем революции поэтом-буревестником. «Счастлив я, что родился в хижине», — с гордостью заявлял он (IV, 44). Согласно Петефи, поэзия должна служить народным интересам, быть доступной и понятной народу. «Если народ будет господствовать в поэзии, он приблизится и к господству в политике, а в этом — задача века» (IV, 241).

Радикально-демократическая направленность поэтического мировоззрения Петефи восстановила против него консервативно-реакционную и аристократически-либеральную общественность. Современные авторитетные литературоведы отмечают, что даже великий Верешмарти «не разделял плебейскую революционность Петефи»[1]. Поклонялась Петефи и обожествляла его революционная молодежь. Талантливейшему и популярнейшему поэту Венгрии (достоинств и популярности Петефи не отрицали и враги) приходилось в условиях крайней материальной нужды и тяжелого душевного состояния вести упорную борьбу против внутренних реакционных сил и контрреволюционной интервенции. И совсем еще молодой, 26-летний, но уже всемирно прославившийся

[1] Краткая история венгерской литературы XI—XX вв. (Будапешт, 1962 с. 121).

поэт и гражданин пал жертвой этой борьбы. Он трагически погиб на поле брани 31 июля 1849 года. Удивительно, что, несмотря на юношеский возраст, Петефи как бы инстинктивно чувствовал приближение конца жизни. «Чем мне меньше жить осталось, тем сильней моя любовь», — признается он и восторженно продолжает прославлять жизнь: «Как прекрасна земли и как жизнь хороша!» (II, 91). Петефи страшила перспектива «среди подушек умереть в постели» (I, 48), он хотел погибнуть в борьбе, в жестокой схватке с врагами и завещал, чтобы его останки были похоронены в просторных степях его родной страны где-то между Тиссой и Дунаем (IV, 40).

Путешествуя по родной стране, Петефи остановился как-то у заброшенной было могилы известного венгерского писателя Михая Чоконаи (1773—1805). Виденное больно пронзило сердце юного поэта. «Вероятно, когда-нибудь другой путник будет вот также задумчиво стоять над моей могилой», — подумал поэт (IV, 36). Однако предчувствие обмануло его. Могила Петефи неизвестна. Его останки бесследно исчезли где-то в далеких степях Эрдея (Трансильвания). Но его желание исполнилось: он погиб в борьбе с врагом, стремившемся поработить его страну. Светлая память о великом поэте навечно хранится в сердце венгерского народа.

Вступившая в новую жизнь народно-демократическая Венгрия с чувством глубочайшей любви вспоминает ныне своего бессмертного сына и в торжественной обстановке празднует 150-летие со дня его рождения. Вместе с Венгрией эту юбилейную дату отмечает советский народ и все передовое человечество.

ავეტიქ ისააკიანი

ახალი სომხური პოეზიის დიდი ქურუმი, მისი საყოველთაოდ აღიარებული დედაბოძი და წინამძღვარი ავეტიქ ისააკიანი პირადად გავიცანი 1945 წლის სექტემბერში. ეს-ეს იყო დამთავრდა დიდი სამამულო ომი და ქვეყანა წყლულებს იშუშებდა, როცა სომეხმა ხალხმა მაშინდელი პირობების კვალობაზე სანაქებო ზეიმით აღნიშნა საიათნოვას გარდაცვალების 150-ე წლისთავის იუბილე. სტუმრები ცოტანი იყვნენ. საქართველოს წარმოადგენდნენ პოეტი იოსებ გრიშაშვილი, პროფესორი ლეონ მელიქსეთბეგი და ამ სიტყვის ავტორი. სწორედ საიათნოვას იუბილემ შემახვედრა სომეხთა სახელგანთქმული მგოსანი.

ჩვენ საკუთარი თვალებით ვნახეთ და მოწამენი გავხდით იმისა, თუ რა სათუთი სიყვარულითა და თაყვანისცემის გრძნობით ეპყრობოდა მას მთელი სომხობა. დავესწარით ერთ სანადიმო თავყრილობას. წვეულების მონაწილე რჩეული საზოგადოება (მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკენი, მსახიობნი, ხუროთმოძღვარნი), ყველა მოწიწებით უკრავდა პოეტს მარჯვენას. მასპინძლებს არც ჩვენ ჩამოვრჩით. ჩვენმა ამბორმა კი წამიერად თითქოს შეაკრთო მგოსანთმთავარი, მაგრამ ანაზდეულად მან თავისკენ მიგვიზიდა, ორივე მკვლავი მოგვხვია და შუბლი დაგვიკოცნა. მე ასე მომეჩვენა — ორი მოძმე ხალხი სიყვარულში გაუტყდა ერთიმეორეს და ნებსით თუ უნებლიეთ გამჟღავნებული ეს სიყვარული მხურვალე კოცნით დააგვირგვინა.

უფაქიზესი სულის პატრონი სომეხთა დიდი პოეტი-მოაზროვნე იყო უჩინებულესი პოეტი-მოქალაქე, პოეტი-მამულიშვილი, რომლის უნატიფესი შემოქმედება უმხურვალესი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ავეტიქ ისააკიანს გულს უსერავდა და სულს უმწარებდა სომეხი ხალხის ეროვნული და სოციალური წყლულის მძიმე სატკივარი. კაიკაცობის და კაიპოეტობისათვის უღვთოდ დევნილი, უცხოეთში გარდაიხვეწა. ყარიბი და

მიუსაფარი უკიდეგანო ტანჯვით იტანდა სამშობლოს სევდის მოწოლილ ზაფრას.

აი, ასეთ კაცს და ასეთ პოეტს შეეძლო ნამდვილად ეგრძნო მისი ქვეყნისებრ მონობაში მყოფი სხვა ქვეყნის სიდუხჭირის საშინელება. ეროვნული და ინტერნაციონალური მომხიბლავი ბუნებრიობითა და უშუალობით არის შერწყმული ავეტიქ ისააკიანის ბრწყინვალე პოეზიაში. ამ პოეზიას ასხივოსნებს ხალხთა ძმობა-მეგობრობის რწმენა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის არის სასიხარულო, რომ ავეტიქ ისააკიანი გულის კარნახით ქადაგებდა სომეხთა და ქართველთა ძმობის იდეას. ოვანეს თუმანიანის მსგავსად იგიც მრავალგზის იმეორებდა, რომ ქართველებსა და სომხებს კარის-კარ უცხოვრიათ ასეული წლების მანძილზე, ერთად უბრძოლიათ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ, ერთად უტარებიათ ბარბაროს აგრესორთა კირთების ტვირთი და ერთადვე უგემებიათ გამარჯვების საამო სიტკბოც. დიდი სომეხი პოეტი არ ივიწყებდა, რომ გაჭირვების ჟამს ქართველი ხალხი ძმურ დახმარებას უწევდა სომხებს: „მოძალებულ მტრებს გამოქცეული ლტოლვილი სომეხი მშრომელები თავშესაფარს პოულობდნენ საქართველოში“.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ყარიბობიდან დაბრუნებული და საქართველოს გზით შინ მიმავალი პოეტის მდიდარმა შთაბეჭდილებამ შეაპირობა მისი ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოების „ქართველი მგოსნის სიმღერის“ შექმნა. ამ მგზავრობის დროს ნახულითა და მოსმენილით მონუსხული პოეტის წარმოდგენებში გაცოცხლებულან გმირული სახეები შოთა რუსთველისა და ალექსანდრე ყაზბეგისა. მას გახსენებია „არწივისებური ყივილი ვაჟა-ფშაველასი“ და ბარათაშვილის ფაფარაშლილი მერნის ჭიხვინი.

ავეტიქ ისააკიანს დიდ სიხარულს ჰგვრიდა მისი „აბულ-ალა-მაარის“ ამეტყველება შოთას ენაზე. თვითონ ეს უბადლო შედევრთ-შედევრიც ხომ მისი უფროსი ქართველი პოეტი-მოძმის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შთაგონებამ დააწერინა. თბილი სიტყვებით იგონებდა ისააკიანი აკაკი წერეთლის სახელს. ფრიად შთამბეჭდავი, ღრმაშინაარსიანი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა იგი ვეფხისტყაოსნის 750-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმზე 1937 წლის დეკემბერში (ამ სიტყვის ტექსტი გამოქვეყნდა მოსკოვის პრესაში). ავეტიქ ისააკიანმა ქართული პოეტური კულტურის ბევრი ჩინებული ძეგლი გადათარგმნა სომხურ ენაზე. ქართველობაც არ რჩება ვალში. ჩვენი ხალხი ღირსეულად აფასებს ისააკიანის

მშვენიერ პოეზიას. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სახელოვანმა საბჭოთა პოეტებმა ისააკიანის საკადრისად ააყღერეს ქართულ ენაზე მისი ლექსები.

ავეტიქ ისააკიანმა ზეაღმატებულად გამოხატა მისი მშობელი ხალხის წმინდა გულისთქმა და მსოფლიო პოეზიის საგანძურს საკუთარი წვლილი შემატა. მადლიერი კაცობრიობა ვერ დაივიწყებს მის დიდებულ პოეტურ სიტყვას და საქმეს.

ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტიკის ოკეანეში

1969 წლის ოქტომბერში გემით ვიმოგზაურეთ დასავლეთ აფრიკის გარშემო. ორადგილიან კომფორტულ კაიუტაში ერთად ვიყავით მე და ილია თავაძე. ჩვენი მეზობლები იყვნენ ვაჰან მამასახლისოვი და ბორის ფურცხვანიძე. ეს იყო გიბრალტარის სრუტეს გავსცდით და შევცურეთ ატლანტიკის ოკეანეში. მშვიდი დღე იყო. გემი რიტმულად ირწეოდა და ნელა მიაპობდა ტალღებს. ნასადილევს ილია თავაძე, ვაჰან მამასახლისოვი და მე ბარში შევედით, კუთხის მაგიდა დავიკავეთ, ლუდი და ყავა მოვითხოვეთ, წუსაიფი გავაბით. უცებ მოგვაახლოვდა უცნობი ახალგაზრდა კაცი, ასე 25 წლისა, ჯმუხი, შავგვრემანი, სახე შეწითლებული ჰქონდა, აღგზნებული ჩანდა, თავი ამაყად ეჭირა. მან საკმაოდ გამომწვევი კილოთი იკითხა რუსულად, თქვენს შორის ალმოსავლეთისმცოდნე ვინ არისო (ვაჰანმა წამჩურჩულა, ეს კაცი ნასვამი ჩანს და ფრთხილად იყავიო).

ალმოსავლეთისმცოდნის პატივს ვერ დავიჩემებ, მაგრამ მზად ვარ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო, — ვუპასუხე მორიდებულად. ვთხოვე დამჯდარიყო (მივუთითე თავისუფალ სკამზე) და ყავა შევთავაზე. ყავაზეც და დაჯდომაზეც უარი თქვა. ოვანეს თუმანიანის იუბილე თუ გადაიხადეთ საქართველოშიო, მომმართა მკვახედ. როგორ არა, მივაგებე პასუხი, მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ოვანეს თუმანიანის დაბადების ასი წლისთავი. მცირედი რამ მეც გავაკეთე, გასული თვის (სექტემბრის) 20 რიცხვს რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდა ჩემი წერილი თუმანიანზე, რადიო-მაუწყებლობამ მოაწყო სპეციალური გადაცემა ოვანეს თუმანიანზე სომხეთისათვის (24 სექტემბერს), გადაცემაში მეც მივიღე მონაწილეობა. უცნობს ერთგვარი გაკვირვება დაეტყო სახეზე. იცით, თუ არა, თქვენ, ჩემი მხრით შეეკითხა მას, რომ ოვანეს თუმანიანი დაიბადა საქართველოში, იქ გაატარა მთელი სიცოცხლე, იყო საქართველოს დიდი მეგობარი, მშვენიერი ლექსი მიუძღვნა ქართველ პოეტებს, დასაფლავებულია

თბილისში, მის ყოფილ სადგომს ამშვენებს მემორიალური დაფა, ერევანში, თუმანიანის მუზეუმში გამართულია მისი თბილისური კაბინეტის აბსოლუტურად ზუსტი ორეული ოთახი შესაფერისი ავეჯით. უცნობს რამდენადმე ფერი ეცვალა. მე განვაგრძე: ოვანეს თუმანიანის ხსოვნის აღსანიშნავად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოაწყო სამეცნიერო სესია, თბილისში და პერიფერიებშიც გაიმართა ლიტერატურული საღამოები, ჩვენმა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო ღონისძიებებში ერევანსა და მოსკოვში. და, ბოლოს, ოვანეს თუმანიანის დასკვნითი საიუბილეო საზეიმო სხდომა შედგა თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ამ სხდომას დაესწრო ზეიმის ყველა მონაწილე საზღვარგარეთიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან და სომხეთის დედაქალაქიდან-თქო.

უცნობი გაოგნებული იდგა. ეტყობოდა, რომ მან არაფერი იცოდა ოვანეს თუმანიანის საქართველოსთან კავშირის თაობაზე. შეცბუნებულმა დაბალი ხმით მკითხა, თქვენ ვინ ხართო. მეც არ დავაყოვნე და ვუპასუხე, რომ ვარ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. გავაცანი ჩემი კოლეგებიც. ილია თავაძე — პროფესორი, თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი, ვაჰან მამასახლისოვი — ცნობილი მეცნიერი-ფიზიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი. მამასახლისოვი ქართველი მეცნიერია, მაგრამ ეროვნული წარმოშობით სომეხი-თქო. ამან კიდევ უფრო გააცვიფრა უცნობი ახალგაზრდა. ერთხანს შეცბუნებული გვიყურებდა, შემდეგ ჩაილაპარაკა — მამასახლისოვი სომხური გვარი არ არისო. საუბარში ვაჰანი ჩაერთო. მართალიაო. განმარტა, მამასახლისოვი (მამასახლისი) ეტიმოლოგიურად ქართულია. როგორც ჩანს, ეს გვარი შეინარჩუნა სომხური (გრიგორიანული) აღმსარებლობის ჩვენმა ქართველმა წინაპარმაო. ორიოდე ფრაზა ვაჰანმა სომხურადაც სთქვა. სომხურად შეესიტყვა ჩვენი უცნაური სტუმარიც. იგი მთლად მოეშვა, სადღაც გაქრა მისი ქედფიცხელობა. ბაგეებზე დარცხვენილი კაცის ღიმილი აღებეჭდა. დაიბნა. აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედა. ახლა მე შევაშველე კითხვა, თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი. ერთხანს ჩუმად იყო, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მე სავაჭრო სისტემის მუშაკი ვარო, დაურთო. ჩვენც არ ჩავაცივდით და სახელიც აღარ გვიკითხავს. უცნობმა ბოდიში მოიხადა, ერთი წუთით დაგტოვებთ და უმალვე აქვე გავჩნდებიო. მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ

მობრუნდა, ახლა მეგობრული გამომეტყველება ჰქონდა. საუკეთესო მარკის სომხური კონიაკის ერთი ბოთლი მოიტანა, მაგიდაზე დადგა, ეს ოვანეს თუმანიანის გახსენებისა იყოსო. უარი არ გაეწყობოდა. შევაესეთ სასმისები და წრფელი გრძნობით დავცალეთ სომეხთა დიდი ეროვნული მგოსნის ოვანეს თუმანიანის შესანდობარი... შორს კი, თვალისსაწიერზე, ჩამავალი მზის უზარმაზარი წითელი დისკო ოკეანეში ინთქმებოდა.

დიმიტრი გულია

დიდ აფხაზ პოეტსა და მამულიშვილს დიმიტრი გულიას პირადად ვიცნობდი. იგი გამაცნო 1925 წლის შემოდგომაზე შესანიშნავმა ქართველმა ლინგვისტმა ვარლამ თოფურიამ. დიმიტრი გულია მაშინ აფხაზური ენის კურსს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში. სახელმოხვეჭილი აფხაზი პოეტი ტანმორჩილი მეჩვენა, მხცე-შერეული, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მის ნათელ სახეს. ტკბილმოუბარი იყო, დარბაისელი, ყურადღებიანი, მოალერსე. ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტიაო, წარმადგინა ვარლამ თოფურიამ. ეს მეტისმეტი იყო. შევცბი. გავწითლდი. მეცნიერული ცოდნის ანა-ბანასაც კი არ ვიყავი სინამდვილეში ჯერ კარგად დაუფლებული. სიტყვის დაძვრა ვერ მოვახერხე. ზრდილმა აფხაზმა თითქოს გამიგო, გამიღიმა, სასიამოვნოა, ჩაილაპარაკა, წამათამამა. „გეთაყვა ვეფხისტყაოსნის რომელ გამოცემას მირჩევდითო სახელმძღვანელოდ თარგმანისათვის“. ამან აღმიდგინა სულიერი წონასწორობა. საუბარიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

დიმიტრი გულიამ თითქმის სამი წელი დაჰყო თბილისში (1924—1926). გარდა სტუდენტებისა, აფხაზურის კურსს მისგან ისმენდნენ აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, ვარნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია. შესავალ ლექციას დაესწრო ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც საზოგადოდ დიდ მზუნველობას უწევდა მის მიერვე ლექტორად მოწვეულ სტუმარს. დიმიტრი გულია იმ წლებში ქართველი ინტელიგენციის, მწერლებისა და მეცნიერების წრეში ტრიალებდა. იღრმავებდა ქართულის ცოდნას. ეცნობოდა გადასათარგმნად გამიზნულ ტექსტებს. ბევრს მუშაობდა. დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრების რიტმს მიჰყვებოდა. მაშინ, 1925 წელს, გამოაქვეყნა მან აფხაზეთის ისტორია. ადრე, ჯერ კიდევ 1912 წელს აქვე, თბილისში, დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი წიგნი. ეს იყო აფხაზური ლიტერატურის დღესასწაული. იშვა და მსოფლიო ლიტერატურის დიდ ოკეანეს შეუერთდა ერთი ახალი ანკარა ნაკადული. თბილისმა განსაკუთრებული როლი შე-

ასრულა დიმიტრი გულიას შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიაში. წარუშლელი კვალი დასტოვა აფხაზი პოეტის ცხოვრებაში ქალაქმა გორმაც. დიმიტრი გულია ერთ დროს გორში სწავლობდა. მოხუცების ჟამს იგი კმაყოფილების გრძნობით იგონებდა:

ამ კარგ ქალაქში მე ვსწავლობდი დიდი ხნის წინათ,
აქვე გამეხსნა სანუკვარი ცოდნის კარები;
იქნებ იმიტომ
სიმღერების ცეცხლით რომ ბრწყინავს,
სცემს ჩემი გული ამ ქალაქში მეტ მგზნებარებით.

გაოცებს და გხიბლავს კულტურის ამ უანგარო სპეტაკი მშენებლის, დიდი განმანათლებლის, დიდი მოქალაქის, დიდებული მწერლის, პედაგოგისა და მეცნიერი-მკვლევრის საარაკო ღვაწლი მისი მშობლიური ხალხის წინაშე. აფხაზთა სახალხო საქმის ვერც ერთ წამოწყებას ვერ დაიმოწმებთ, რომ დიმიტრი გულია არ ყოფილიყო მისი სული და გული, მისი მოთავე, მოამაგე, ბურჯი თუ მტკიცე კედელი, დიმიტრი გულიამ შეუქმნა თავის ხალხს ეროვნული ანბანი, ეროვნული მწიგნობრობა, ეროვნული თეატრი, ეროვნული პრესა. ეროვნული მეცნიერება და ეროვნული მხატვრული ლიტერატურა. დიმიტრი გულიამ შეადგინა მისი ხალხის მეცნიერული ისტორია, გააშუქა მისი ენის საკითხები, შეკრიბა, შეისწავლა და მზის სინათლეზე გამოიტანა მისი მდიდარი ზეპირი სიტყვიერება.

მთავარზე მთავარი მაინც ისაა, რომ დიმიტრი გულია იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და მისი უებარი ცოცხალი კლასიკოსი. როგორც პოეტმა და პროზაიკოსმა, დრამატურგმა და პუბლიცისტმა დიმიტრი გულიამ მშვენივრად გამოხატა მისი მშობლიური ხალხის სატკივარი და სიხარული, მისი გულისთქმა, მისი სანუკვარი იდეალები, დიმიტრი გულია იყო წამომწყები და დამაგვირგვინებელი აფხაზური აღორძინებისა.

დიმიტრი გულია, რასაკვირველია, დიდი ეროვნული აფხაზი მოღვაწეა, უწინარეს ყოვლისა, მაგრამ მისთვის ვიწროა მშობლიური მხარის ფარგლები. დიმიტრი გულია ერთი უთვალსაჩინოესი დიდი დიაპაზონის, დიდი მასშტაბის საბჭოთა პოეტია საზოგადოდ, საბჭოთა სოციალისტური კულტურის დაუღალავი მშენებელი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ხალხთა ძმობის დაჯერებული მომღერალი. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია, რომ დიმიტრი გულია თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში გულმხურვალედ ემსახურებოდა აფხაზთა და ქართველთა ისტორი-

ული ძმობის და მეგობრობის საშვილიშვილო საქმეს. დიმიტრი გულია დაუფარავად აღიარებდა, რომ დიდ რუსულ მწერლობასთან ერთად, იგი ჩააგონა, მისი შემოქმედებითი ცხოვრების გეზი განსაზღვრა ქართულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ და მისმა ლიტერატურამ. დიმიტრი გულია ვალში არ დარჩა. მან აფხაზურად აამეტყველა რუსთაველი და ბარათაშვილი, ჭავჭავაძე და წერეთელი, ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, შანშიაშვილი და ლეონიძე. ადრე, რევოლუციამდე, დიმიტრი გულია ილიასებურად შესჩიოდა თავის სატრფო-სამშობლოს:

ნეტავ არ მოგეხურა
შენ ღრუბლების ჩადრი!
სთქვი, სამშობლოვ, რას ჰგოდებ?
გულს რად გაწევს დარდი?

აკაკი წერეთლის მსგავსად კი გულიამ შექმნა ჩვენი ამირანის ღვიძლი ძმის აბრსკილის წარმტაცი ჰეროიკული საგალობელი.

ქართველობამ თავისი თანამედროვე უპირველესი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის სახით (ლექსი „დიმიტრი გულიას“) ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა აფხაზთა ხალხის ჭეშმარიტად დიდ მგოსანთა მგოსანს.

დიდება მის ნათელ ხსოვნას!

დევიდ ლანგის ვიზიტის გამო

1974 წლის იანვარში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ მარშალ ლანგი. ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს და აფასებს დ. ლანგის ღვაწლს ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი მრავალმხრივი მკვლევარია — ისტორიკოსი, საკუთრივ ნუმიზმატიკოსი, და ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე. ლანგმა მშვენივრად იცის ქართული და რუსული ენები, გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ჩვენი მეცნიერების წინსვლას და რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობას. იშვიათი ბიბლიოფილია, წყაროების საუკეთესო მცოდნე. ცოცხალი კავშირი აქვს დამყარებული ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებთან, ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. საფუძვლიანად იცნობს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. ცნობილია დ. ლანგის წიგნი „ქართველები", რომელიც ჯერ ამერიკაში დაიბეჭდა და შემდეგ პოლონურად გამოქვეყნდა (ვარშავა, 1972). ამ ბატარა ნარკვევში ჩვენ ვეხებით დ. ლანგის ფილოლოგიურ ნაშრომებს. დასავლეთის სხვა ქართველოლოგებისაგან დ. ლანგი იმით გამოირჩევა, რომ ქართული სასულიერო მწერლობის გარდა სწავლობს და იკვლევს საერო მხატვრულ ლიტერატურას. საპატიოა ის ღვაწლი, რაც დ. ლანგს მიუძღვის „ბალავარიანის" მიმართ. მან მკაცრად გააკრიტიკა გერმანელი ბიზანტინისტის დელგერის ნიჰილისტური შეხედულება. ინგლისელი მეცნიერი ბეჯითად და საბუთიანად ამტკიცებს, რომ „სიბრძნე ბალავარისის" ბერძნული რედაქციის ავტორია ექვთიმე ათონელი და არა იოვანე დამასკელი. ფაქტობრივ ლანგმა გამოავლინა „სიბრძნე ბალავარისის" უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული იერუსალიმური ნუსხა და მისი ტექსტის ინგლისური თარგმანიც გამოსცა (ლონდონი, 1966). საგანგებო წერილით შეეხმიანა დ. ლანგი პეტრე იბერის საკითხს (1951).

მთელი რიგი ნარკვევები მიუძღვნა ლანგმა ქართული კლასიკური პერიოდის ეპიკურ ძეგლებს, კერძოდ, „ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანს".

დ. ლანგს დამსახურებად ჩვენდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ ბოდლეს ბიბლიოთეკის ეორდროპისეულ ხელნაწერ ფონდში იპოვა და შეისწავლა „ამირჰამზას“ ამბის უცნობი ქართული თარგმანი, რომელიც ახალ დროს, XIX საუკუნის პირველ მესამედს ეკუთვნის. აღნიშნული ძეგლის აღმოჩენისა და „ამირანდარეჯანიანის“ სტივენსონისეული ინგლისური თარგმანის გამოქვეყნების გამო დ. ლანგმა ინგლისელ ირანოლოგ გ. მერედიტ-ოუენსთან ერთად დაბეჭდა საინტერესო, მაგრამ ბევრ რიგად სადავო ხასიათის ნაშრომი (1959). ამ ნაშრომის თაობაზე უკვე გვაქვს გამოთქმული ჩვენი მოსაზრება (ნარკვევები, IV. 1964) და აქ აღარ გავიმეორებთ. საყურადღებოა დ. ლანგის გამოკვლევა „ხალხური და კურტუაზიული ელემენტები ქართულ ეპოსში“ (1970 წ.). აქ ავტორს გარჩეული აქვს ქართული ეპიკური სამწერლობო და ფოლკლორული ძეგლები უძველესი დროიდან გიორგი ლეონიძის პოემამდე „ბავშვობა და ყრმობა“. შიგადაშიგ მკვლევარი ეხება „ევფხისტყაოსნის“ რიგ პრობლემურ საკითხებს. არსებითად, ანალოგიურ საკითხებს მოიცავს მისი მოხსენება ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში „შუა საუკუნეთა ქართული ლიტერატურის პრობლემები“ (მოხსენების ტექსტი დაბეჭდილია ამ კონგრესის შრომებში, მოსკოვი, 1963). საგანგებო ინტერესს იწვევს დ. ლანგის შესავალი ლექცია, რომელიც მას წაუკითხავს ლონდონის უნივერსიტეტში 1965 წლის 2 ნოემბერს (ლექციის ტექსტი დაიბეჭდა ცალკე წიგნად, ლონდონი, 1966). ამ ლექციაში განზოგადებულია და თანმიმდევრულად განვითარებულია ქართული მწერლობის ისტორიაზე მისი თვალსაზრისი. ლექციის სათაურიც სავსებით გამოხატავს მისი შინაარსის ხასიათს — „ქართული ლიტერატურის განკითარების საფეხურები“. ლექციაში ავტორი ჩერდება ქართული მწერლობის სათავეებზე. მკაფიოდ აანალიზებს ქართული სასულიერო მწერლობის, უპირატესად ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებს. ამბობს, რომ იაკობ ცურტაველის „ცოცხალი რეალიზმის“ კვალობაზე მხატვრულად აღწერს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ასევე რეალისტურია და მძლავრი რელიგიურ-პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული იოვანე საბანისძის „აბოს წამებაო“. ღირსეულად აფასებს დ. ლანგი ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს, ათონელების, იოვანე პეტრიწისა და სხვა სახელოვან ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას. პეტრე იბერზე აქბობს, ეს სწორედ ის პეტრეა, რომელიც თავის დროის ერთ-ერთ უდი-

დეს თეოლოგად ითვლებოდა და რომელსაც განსვენებული ერნესტ ჰონიგმანი და შალვა ნუცუბიძე დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი შრომების ავტორად მიიჩნევენო.

ლექციაში შედარებით ვრცლად არის მიმოხილული კლასიკური პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება (კლასიკურ პერიოდს დ. ლანგი უწოდებს „ოქროს ხანას"). განსაკუთრებით შთამბეჭდავია „ვეფხისტყაოსნის" იდეურ-მხატვრული ანალიზი. ძალიან ცოტას ამბობს მკვლევარი ე. წ. აღორძინების პერიოდზე. ორიოდე სიტყვით იხილავს ნ. ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიას, გაცილებით უფრო მეტ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობის დახასიათებას. დასასრულ საუბარია მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიაზე. დ. ლანგი დიდად აფასებს ქართველი ხალხის შემოქმედებითს ნაყოფს როგორც წარსულში, ისე აწმყოში და დიდ წარმატებას უქადის ქართულ კულტურას სამერმისოდ.

ლექცია დ. ლანგს დაუმღერებია განცხადებით, რომ სანამ მას ლონდონის უნივერსიტეტში კავკასიათმცოდნეობის პროფესორის საპატიო პოსტი ექნება დაკავებული, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ „ორიგინალური და ჰეშმარიტად ჩინებული" ლიტერატურის სრულყოფილად შესწავლას.

ჩვენ ფრიად საყურადღებო გარემოებად ვთვლით ქართული სულიერი კულტურის მაღალ შეფასებას ლონდონის უნივერსიტეტის კათედრიდან. მაგრამ ნება ვაძლევთ ჩვენს თავს ორი რამ მაინც გარკვევით შევნიშნოთ პატივცემულ ინგლისელ მეცნიერს. პირველი: უსაფუძვლოდ გვეჩვენება ქართული დამწერლობის წარმოშობის მისეული ახსნა, მეორე: სრულიად დაუსაბუთებელია ლექციაში გატარებული თვალსაზრისი (ამ თვალსაზრისს ავითარებს იგი მის სხვა შრომებშიც) — თითქოს „ვეფხისტყაოსანი" განთქმული პროლოგ-ეპილოგი შემდეგდროინდელი დანართი იყოს და თითქოს ჩვენი უკვდავი პოემა დაიწერა თამარის შემდეგ.

ძვირფას საინფორმაციო ცნობებს შეიცავს დ. ლანგის ნარკვევი „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში", რომელიც ქართულადაც გამოქვეყნდა („ცისკარი", 1957, № 4).

დევიდ ლანგმა ბევრ ინგლისელ ახალგაზრდას შეასწავლა ქართული ენა და შეაყვარა ქართული მწერლობა. ქართველი საზოგადოება არ ივიწყებს მის ამაგს. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ კი დ. ლანგი უკვე 1968 წელს აირჩია თავის საპატიო დოქტორად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ელ. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათება

ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ელენე პავლეს ასული მეტრეველი 1944 წლიდან მუშაობს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. 1948 წლიდან კი ის სისტემატურად ბეჭდავს შრომებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. დღეისათვის მას აქვს 66 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 7 — ცალკე წიგნად. ამ ნაშრომებით ელ. მეტრეველმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის ისტორიის რიგი საკითხების შესწავლაში. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. „რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“ (საკანდიდატო დისერტაცია). აქედან დაბეჭდილია ორი ნარკვევი „მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის საერო ძეგლებში“ და „ნიზამის მხატვრული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“. სამივე ნაშრომში ავტორი იკვლევს კლასიკური ხანის საერო ძეგლების მხატვრულ სახეებს, პოეტურ ლექსიკას და ამის საფუძველზე მხატვრული ფორმების ევოლუციას რუსთველამდე. რიგი საერო ლიტერატურის ძეგლების ანალიზის შემდეგ ავტორი იხილავს „ვეფხისტყაოსანს“, არკვევს, თუ როგორ დაუპირისპირდა რუსთველი ახალი მხატვრული ფორმებისა და საშუალებების ძიებისას წინა ხანის საერო ძეგლებს და როგორ დაასრულა მან კლასიკური ხანის საერო ძეგლების მხატვრულ-სტილისტური ევოლუცია.

2. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობამ ბევრით განსაზღვრა ელ. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობის ხასიათი. 1950 წელს დაიბეჭდა მის მიერ შედგენილი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომი (ე. ვირსალაძის თანაავტორობით). ხელნაწერებზე მუშაობის დროს ელენე მეტრეველმა გამოავლინა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნუსხები და სპეციალური გამოკვლე-

ვებით გაარკვია მათი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება. 1957 წელს ელ. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის ავტორობით გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ახალი ფონდის აღწერილობა, ტ. I (45 თ.).

მისივე თანაავტორობით გამოქვეყნდა Q კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ტ. II, ხოლო თანაავტორობითა და რედაქციით ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციის I და II ტომები. ელენე მეტრეველი რედაქტორია S კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის 7-ვე ტომისა და A კოლექციის 1 ტომისა. მასვე ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (20 თ., გამოუქვეყნებელი) და სვანეთში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა (10 თ., გამოუქვეყნებელი).

დიდი სარედაქტორო მუშაობა აქვს ჩატარებული ელ. მეტრეველს (ც. ქურციკიძესთან ერთად) ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონზე (1973 წ.); ც. ჭანკიევასთან ერთად ილ. აბულაძის ქართული დამწერლობის ნიმუშების მეორე შევსებულ გამოცემაზე (1973 წ.) და ნ. მარის იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაზე (1955 წ.).

ელ. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობაში დიდი ადგილი უკავია საზღვარგარეთის ქართული სკრიპტორიუმების შესწავლას. ამ საკითხს მიუძღვნა მან რამდენიმე შრომა: ა. „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, „ძეგლი ერისთავთას“ ერთი ადგილის განმარტებისათვის“, „შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთაველის შესახებ“, „იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა“, „ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნის უძველესი ფენის დათარიღებისათვის“. იერუსალიმის ქართული კოლონიის შესწავლის შედეგებს ელ. მეტრეველმა თავი მოუყარა წიგნში: „იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მასალები XI—XVII ს. ს.“ (ტექსტები და გამოკვლევა. 25 თ.), სადაც დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზე განხილულია იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი. ამ შრომებმა მკვლევართა მაღალი შეფასება დაიმსახურა და ინტერესი გააღვივა ქართული კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი კერისადმი.

დასახელებულ ნაშრომებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიური საკითხების გასაშუქებლად. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ ელ. მეტრეველმა პირველმა დაადგინა შოთა მე-

ჭურჭელთუხუცესის იერუსალიმური საეკლესიო მოსახსენებელის სწორი თარიღი და მოგვცა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იდენტურობის სერიოზული მეცნიერული ცდა.

რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას განეკუთვნება ალ. ბარამიძესა და ს. ცაიშვილთან თანაავტორობით დასტამბული ნარკვევები შოთა რუსთველის ვინაობის თაობაზე („მნათობი", 1968, № 8; 1970, № 3).

აღსანიშნავია ელენე მეტრეველის შრომა, რომელიც მიეძღვნა შავი მთის (სირია) ქართული სამწერლობო კერის შესწავლას: „შავი მთის სამწერლობო კერის ისტორიისათვის XI ს. პირველ ნახევარში". შრომაში წერილობითი წყაროების მიხედვით დადგინდა XI საუკუნის პირველ ნახევარში შავ ანუ საკვირველ მთაზე მანამდე უცნობი ქართული სამწიგნობრო კერისა და მონასტრის არსებობა. გაირკვა ამ კერის კულტურული ორიენტაცია. დადგინდა ამ მონასტრის მაშენებელთა და მოღვაწეთა (ჯიბიძეთა) ვინაობა. წერილობითი წყაროების შესწავლაზე დამყარებული ვარაუდი რამდენიმე წლის შემდეგ დაადასტურა ამერიკელ მეცნიერთა მიერ შავ მთაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა.

ს. ს. ორბელიანის მეცნიერულ-შემოქმედებითსა და მთარგმნელობით მუშაობის შესწავლას მიეძღვნა ელ. მეტრეველის რამდენიმე ნარკვევი: ა) „ს. ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი". ავტორმა შეისწავლა ლექსიკონის დღემდე უცნობი ავტოგრაფი. გამოარკვია, რომ ეს ავტოგრაფი ყველაზე ადრეულია მანამდე ცნობილ ავტოგრაფებს შორის. ის წარმოადგენს ლექსიკონის პირველ რედაქციას და როგორც შედგენის პრინციპებით, ასევე მასალის რაოდენობით საგრძნობლად განსხვავდება მომდევნო ცნობილ რედაქციებისაგან.

ბ) „ს. ს. ორბელიანის მთარგმნელობითი მუშაობის შესწავლისათვის „ქილილა და დამანას" მაგალითზე" (ალ. გვახარიას თანაავტორობით). შრომაში შესწავლილია ს. ს. ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდი და ის საერთო მეცნიერული და ლიტერატურული პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედვა ს. ს. ორბელიანის ლიტერატურულ, მთარგმნელობით და მეცნიერულ საქმიანობას.

გ) ალ. ბარამიძესა და ალ. გვახარიასთან ერთად გამოაქვეყნა გამოკვლევა — „ისევ ქილილა და დამანას გარშემო", სადაც განხი-

ლულია ამ ძეგლთან დაკავშირებელი ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

დ) ალ. ბარამიძესთან ერთად მოამზადა და გამოაქვეყნა „ქილილა და დამანას“ აკადემიური გამოცემა (ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II_1—II_2, 1962).

ე) ს. ს. ორბელიანის დიპლომატიურ და კარტოგრაფიულ მოღვაწეობას მიეძღვნა ელ. მეტრეველის წერილი: „ს. ს. ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი 1723 წლის რუკა“.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ელ. მეტრეველის მეცნიერულ საქმიანობაში ქართული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის შესწავლას. 1956 წელს მან გამოაქვეყნა „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვა“. ნაშრომი შედგება „მიმოსლვის“ ტექსტისა და ვრცელი გამოკვლევისაგან. ელ. მეტრეველმა გამოიძია „მიმოსვლის“ სამი ავტოგრაფული ნუსხა. ამ ნუსხათა შესწავლის საფუძველზე გამოყო „მიმოსლვის“ სამი რედაქცია. გამოცემას საფუძვლად დაედო უკანასკნელი რედაქცია. ძირითად ტექსტს ერთვის რედაქციული სხვაობები სხვა ავტოგრაფებიდან. ტექსტს წინ უძღვის გამოკვლევა, სადაც განხილულია ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი.

1967 წელს ელ. მეტრეველმა გამოაქვეყნა გ. ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე 1819—20 წლებში“. გ. ავალიშვილი იყო XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის უაღრესად მრავალმხრივი, საინტერესო მოღვაწე-მოგზაური. დიპლომატი, მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი. როგორც რუსეთის მოხელეს, გ. ავალიშვილს მოგზაურობის დროს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა. შეხვედრები და საუბრები ეგვიპტის ფაშასთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან და დიპლომატებთან მას დიდ შესაძლებლობას უქმნიდა ღრმად გასცნობოდა თურქეთისა და ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას და ამასთანავე რუსეთისა და ევროპის პოლიტიკის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. მეტად მნიშვნელოვანია გ. ავალიშვილის ცნობები ეგვიპტესა და თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. გ. ავალიშვილი იყო მხატვარი, მხაზველი და კალიგრაფი. მან თავის „მგზავრობას“ დაურთო საკუთარი ხელით შესრულებული რუკა, გრავიურები და ნახატები. „მგზავრობა“ გამოქვეყნებულია ერთადერთი ავტოგრაფული

ნუსხის მიხედვით. ერთვის გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები.

ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას მიეძღვნა აგრეთვე ელ. მეტრეველის შემდეგი ნაშრომები: „ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი". ამ შრომაში ავტორმა დაადგინა, რომ ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის პირველი კრებული შეადგინა დომენტი კათალიკოსმა 1704-13 წლებში. ამ კრებულის შედგენის საჭიროებას ავტორი იხილავს ეპოქის ნაციონალურ-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა ასპექტით.

ნარკვევში „ეფრემ მცირის ავტოგრაფი" დამაჯერებლად არის დადგენილი ხელნაწერ S — 1276 ავტოგრაფულობა. ამის საფუძველზე მკვლევარი იხილავს ეფრემ მცირის თარგმანისა და მუშაობის ზოგ ხერხსა და მეთოდს. ელ. მეტრეველმა გამოავლინა ეფრემის მიერ თარგმნილი რამდენიმე ჰომილეტიკური ძეგლი.

ელ. მეტრეველის სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მდიდარი ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას. ამ საკითხებზე მან მუშაობა დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობის პირველსავე წლებიდან, ხოლო პირველი შრომა კი — „ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში" — გამოაქვეყნა 1951 წელს. აქ იგი იხილავს გიორგი მთაწმინდელის შედგენილ მაისის თვის თვენს (H — 1710). „თვენის" მასალაში მიაკვლია მანამდე უცნობ ქართველ „გამომთქუმელს" (ჰიმნოდს) ბასილი ბაგრატის ძეს, რომელსაც შეუთხზავს ექვთიმე ათონელისადმი მიძღვნილი „გალობანი". ამავე შრომაში მკვლევარი ჩერდება იოდასაფისადმი მიძღვნილ საგალობელზე. არკვევს მის ორიგინალობის საკითხს და ღნიშვნელობას „ქართული ბალავარიანის" პრობლემის შესწავლისათვის. ავტორის თვალსაზრისით, ორივე ახლად გამოვლენილი ორიგინალური საგალობელი მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული.

ე. მეტრეველის კალამს ეკუთვნის აგრეთვე X საუკუნის შესანიშნავი ქართველი „გამომთქუმელის" იქაელ მოდრეკილის იადგარის პირველი მეცნიერული აღწერილობა (1960 წ.); ვრცელი და ღრმად მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჰიმნოგრაფიული ტერმინების „მეხელისა" და „მეხურის" გაგებისათვის (1966) და ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა" და „მორთულის" გაგებისათვის" (1973 წ.). 1971 წელს ელ. მეტრეველმა გამოაქვეყნა ჰიმნოგრაფიულ საკითხებზე მისი ხანგრძლივი მუშაობის შემაჯამებელი

მონუმენტური შრომა „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი X—XI ს. ს. ხელნაწერების მიხედვით“ (30 თ.).

ამ შრომამ დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია ფართო მეცნიერულ წრეებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დასახელებულ ნაშრომში დასმულია და კონკრეტულ ქართულ მასალის საფუძველზე გაშუქებულია ისეთი საკითხები, რომელთაც მივყავართ დღემდე ნაკლებად შესწავლილი ბიზანტიური და ქართული პოეზიის სათავეებთან.

ბოლო წლებში ბერძნული ირმოლოგიონის („ძლისპირნის“) შესწავლას და გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი შეიცავს ბიზანტიური რიტმული პოეზიის ყველაზე ადრეულ ნიმუშებს და ბიზანტიური მუსიკის მდიდარ რეპერტუარს. ბერძნული ირმოლოგიონის ადრეულ ნუსხებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომ იმის გათვალისწინება, თუ როგორ ყალიბდებოდა ბერძნული ირმოლოგიონი და როგორ ვითარდებოდა ბიზანტიური პოეზია VIII—X ს. ს., შესაძლებელი ხდება, ძირითადად, ირმოლოგიონთა ადრეული თარგმანების შესწავლის საფუძველზე. ერთ-ერთი ასეთი ადრეული (IX—X სს.) თარგმანია ქართული „ძლისპირნი“, რომელსაც მიეძღვნა ელ. მეტრეველის შრომა.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. ქართულ ძლისპირთა პოეტური ტექსტები, გამოქვეყნებული რამდენიმე უძველესი ხელნაწერის (X—XI სს.) მიხედვით, პარალელური ბერძნული ირმოსებით. კომენტარებში, რომელიც ერთვის ტექსტებს, ასახულია ბერძნულ-ქართულ ძლისპირთა ურთიერთმიმართება. ტექსტს უძღვის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ქართული „ძლისპირნის“ ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ეტაპები და მისი მიმართება ბერძნულ და სლავურ „ირმოლოგიონებთან“.

ქართულ ძლისპირთა კრებულების შესწავლის შედეგები ავტორმა შემდეგი დებულებების სახით ჩამოაყალიბა: ქართულ ძლისპირთა პირველი კრებულების შექმნა განსაზღვრა ქართული ეკლესიის ლიტურგიკულმა მოთხოვნილებებმა. ქართული „ძლისპირნი“ უნდა შექმნილიყო პალესტინაში, კერძოდ, საბაწმინდის ქართველ მწიგნობართა წრეში IX საუკუნის დამლევსა და X საუკუნის დამდეგს. ქართული „ძლისპირნი“ არ წარმოადგენს ბერძნული ირმოლოგიონის თარგმანს. ის შექმნილია ბერძნული მოდელის მიხედვით, მაგრამ მასალად გამოყენებულია ადრე თარგმნილ გალობათა ძლისპირები. ამით ხსნის მკვლევარი იმ სხვაობას, რომელიც

არსებობს ბერძნულ-ქართულ ირმოლოგიონებს შორის აგებულებისა და მასალის თანმიმდევრობის თვალსაზრისით.

ელ. მეტრეველის ამ შრომით მკვეთრად გამოიყოფა, ვითარცა თვითმყოფადი ლიტერატურული მიმართულება, ქართველთა საბაწმიდური ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. ეს სკოლა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ტაო-კლარჯეთისა და ათონის ჰიმნოგრაფიულ სკოლათა გვერდით. ის გვევლინება როგორც ჰიმნოგრაფიული, ასევე ლიტურგიკული ლიტერატურის პირველსათავედ.

საბაწმიდური ქართული ჰიმნოგრაფიული სკოლის ძირითადი ამოცანა იყო ბიზანტიური პოეზიის უმაღლეს მიღწევათა შეწოვნებითი ათვისება. აქვე ეყრება საფუძველი ეროვნული ნაკადის შეჭრას ლიტურგიკულ და ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაში, რამაც თავისი დაგვირგვინება ჰპოვა უკვე ადგილობრივ, ტაო-კლარჯეთის X საუკუნის მეორე ნახევრის ჰიმნოგრაფიულ სკოლაში მიქაელ მოდრეკილის ცნობილი იადგარის სახით.

ცალკე ჩერდება მკვლევარი ძლისპირის კილოსა და ნევმების საკითხებზე. ავტორის დაკვირვებით ძლისპირთა უძველეს ტექსტებს არა აქვს არც რიტმული დაყოფა და არც ნევმები. თავდაპირველად ქართველმა მგალობელმა გალობის შესასრულებლად აუცილებელი ბერძნული ძლისპირის კილო ზეპირად იცოდა და ზეპირადვე უსადაგებდა მას ძლისპირის ქართულ ტექსტს, რომელიც იმ ვარაუდით იყო ნათარგმნი, რომ ქართულსა და ბერძნულს შორის სილაბური შესატყვისობა ყოფილიყო დაცული. ეს უკანასკნელი აუცილებელი პირობა იყო ბერძნული კილოს ქართულ ძლისპირზე გადმოტანისათვის. დროთა ვითარებაში ძლისპირთა რეპერტუარის სწრაფმა ზრდამ საჭირო გახადა ძლისპირის კილოს გრაფიკული ფიქსაცია ტექსტებზე, რამაც თავის მხრივ მოითხოვა ტროპარების რიტმული დაყოფა (რაც რიტმულ პუნქტუაციაში გამოიხატა) და ამ რიტმულ ერთეულებზე მელოდიური ფრაზების დატანება ნევმების საშუალებით. ამ დროიდან ჩნდება ძლისპირთა ტექსტებში რიტმული პუნქტუაცია და ნევმები. ამასთანავე, ადრეულ რედაქციებში ყოველ ძლისპირთან დასაწყისშივე მოტანილია შესატყვისი ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით, რითაც აგრეთვე მითითებულია ბერძნული ძლისპირის კილო. ეს მითითებანი საჭირო იყო მანამ, სანამ ქართული ტექსტი შეერწყმოდა ბერძნულ კილოს მგალობელის მეხსიერება-

ში. ამის შემდეგ მითითებებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა და, მართლაც, X საუკუნის მიწურულიდან ძლისპირთა ნევმირებულ ხელნაწერებში მათ ვეღარ ვხვდებით. ბერძნულ კილოს მიხედვით იგალობებოდა ქართული საგალობელი XI საუკუნის დასასრულამდე. გალობის კილოს გაქართულება და გახალხურება უნდა მომხდარიყო უფრო გვიან.

ერთ შემოქმედებით კერაში — საბაწმიდაში — შექმნილი ბერძნული და ქართული ირმოლოგიონების პარალელური შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევრებს არა მარტო ირმოლოგიონთა აგებულებისა თუ ბიზანტიური პოეზიის სილაბური სტრუქტურის შესწავლაში, არამედ პალეობიზანტიური და ქართული ნევმური სისტემების ამოხსნაშიც — ასკვნის შრომის ავტორი. ამიტომაა, რომ ამ შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ქართველოლოგთა, არამედ ბიზანტინისტთა, სლავისტთა და საერთოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის სპეციალისტთა შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს მაძლევს ელენე პავლეს ასული მეტრეველი წარმოვადგინო სავსებით შესაფერის კანდიდატად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ფილოლოგიის დარგში გამოცხადებული წევრ-კორესპოდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

მოგონებათა ფურცლები

პირველი ნაბიჯები

ა) ბესიკის გამოცემა

ჩემი პირველი ტექსტოლოგიური ნაშრომია „ანთოლოგიის“ მეორე წიგნი (XVI—XVIII სს.), რომელიც ოფიციალურად ია ეკალაძის რედაქტორობით დაიბეჭდა 1928 წელს. ფაქტობრივ კი ამ „ანთოლოგიის“ ტექსტის შემზადებაში და რედაქტირებაში ია ეკალაძეს მონაწილეობა არ მიუღია. ეს გარემოება ერთგვარად აღბეჭდილია ია ეკალაძის შენიშვნაში, რომელიც ერთვის ჩვენს ნარკვევს „ტექსტისათვის“. შენიშვნაში ცკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის „ანთოლოგიის“ გამოცემა განვიზრახეთ, აზრათა გვქონდა ქართველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რაც შეიძლება სრული და ვარვისი კრებული, ამიტომ როგორც ამ დარგში არა სპეციალისტმა დავიხმარე უფრო მცოდნენი. ეს წერილი გვიჩვენებს, თუ როგორის თავგამოდებით შეუსრულებია პატივცემულ ალექსანდრე ბ ა რ ა მ ი ძ ე ს ჩვენი დავალებანი. ია ეკალაძე“ (ანთოლოგია, II, 1928, გვ. V, შენ. 1).

ანთოლოგიის გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა ანდრო შალაკაძე. მეორე ტომის შედგენა თავდაპირველად სთხოვეს სერგი გორგაძეს, „ჩვენი ძველი მწერლობის“ ქრესტომათიის ავტორს. სერგი გორგაძემ დიდი პატივი დამდო და თავის მხრივ ჩემზე მიუთითა. მკითხველმა საზოგადოებამ ანთოლოგია კარგად მიიღო. დაიწერა რამდენიმე წამახალისებელი რეცენზია, მაგალითად, თედო ბეგიაშვილი წერდა: „ანთოლოგიის მეორე ტომი არსებითად განირჩევა მისი პირველი ტომისაგან. რამდენად პირველი დაუმუშავებელი, აჩქარებული და ზერელე გამოცემა იყო, იმდენად მეორე ტომი დამუშავებულია და მეცნიერულ იერსაც მოკლებული არ არის“ (გაზ. კომუნისტი“, 21. XI. 28). გიორგი ლეონიძეც

ხაზს უსვამს ანთოლოგიის მეორე ტომის გარკვეულ უპირატესობას პირველთან შედარებით (მასალის დამუშავების მხრივ), იძლევა საქმიან შენიშვნებს და ასკვნის: «Главное достоинство антологии в интересной разработке текста (принадлежащей А. Барамидзе), отличающей ее как от хрестоматии Чубинашвили, так и от I тома той же антологии» («Заря Востока», 8.III.29).

შედარებით უფრო ვრცლად იხილავს ანთოლოგიებს (I და II ტომებს) ვახტანგ კოტეტიშვილი. იგი საგანგებოდ აღნიშნავს ანთოლოგიების გამოცემის დროულობასა და დიდ საჭიროებას. ვ. კოტეტიშვილის სიტყვით, საანთოლოგიო მასალის შერჩევა რთულია, აქ „უნდა გამოჩნდეს შემდგენლის ნიჭიც, ცოდნაც და გემოვნებაც“. რეცენზენტის სიტყვით, პირველი ტომის მასალას აკლია რედაქციული დამუშავება, „საჭირო იყო ტექსტისათვის ისეთივე ხასიათის მუშაობის გაწევა, როგორც ეს მეორე წიგნისათვის გაუწევია და დიდის გულმოდგინებითაც ალ. ბარამიძეს“ (ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1929, № 3, გვ. 115—117. რეცენზია ხელმოწერილია ინიციალებით ვ. კ.).

მალე გამომცემლობა „ფედერაციამ“ დამავალა ჯერ გურამიშვილის, ხოლო შემდეგ ბესიკის თხზულებათა გამოცემა. ბესიკის ტექსტის დადგენა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თანარედაქტორად მოვიწვიე ვარლამ თოფურია. გამოცემას უნდა დართოდა გ. ლეონიძის ნარკვევი ბესიკის შემოქმედებითი ცხოვრების თაობაზე. მე და ვარლამ თოფურიამ დიდი შრომა გავწიეთ და მოვამზადეთ კრიტიკული ტექსტი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა წინა გამოცემებისაგან. წიგნი აწყობილი იყო მთლიანად და გამოქვეყნებას უცდიდა. არ ჩანდა გ. ლეონიძის ნარკვევი. ბოლოს წიგნმა იხილა მზის სინათლე. მას ახლდა გამომცემლობის საგანგებო განცხადება — „ბესიკის აკადემიურ გამოცემას თან უნდა დართოდა გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ი ს მონოგრაფია «ბ ე ს ი კ ი და მ ი ს ი დ რ ო», რომელიც სიდიდის გამო ცალკე წიგნად გამოდის“.

ბესიკის წიგნი ბაზარზე გამოვიდა 1932 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში. ჩვენ ოჯახს მაშინ დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. თბილისში მუცლის სახადის ეპიდემია მძვინვარებდა. ერთდროულად სახადით ავად გავხდით მე, ჩემი მეუღლე და ცოლისძმა (ინჟინერი არჩილ ელიაშვილი). განსაკუთრებით მძიმე ფორმის სახადი მე შემხვდა. სამკურნალოდ ყოფილი არამიანცის სახელობის

საავადმყოფოში მომათავსეს. როგორც შემდეგ გავიგე, ბესიკის გამოცემას დიდი მიჯქმა-მოთქმა მოჰყოლია...

საავადმყოფოში თავზე დედა მადგა და ის მელოდა. ცოტათი მომჯობინებული ვიყავი, როცა შევნიშნე, რომ გაზეთში გახვეული სანოვაგე მოეტანათ შინიდან. დედას ვთხოვე გაზეთი წაეკითხა ჩემთვის („სალიტერატურო გაზეთი" აღმოჩნდა, 1932 წლის 30 ოქტომბრის ნომერი). თავიდან დაიწყე-მეთქი. დედამ სათვალეები მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. დინჯად, გამომეტყველად და მონოტონურად კითხულობდა. აი, ყურში მესმის: „... აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ გაშლილი ბრძოლისა, რომელიც ჩატარდა ფედერალიზმის რეციდივების წინააღმდეგ, ამ ბოლო ხანებში ადგილი ჰქონდა მის ცალკე გამოვლენებს (ლ. ასათიანის წერილი „გ. წერეთელზე"). პირდაპირ დანაშაულია, როდესაც ბარამიძის ყოვლად უხსგავსო კომენტარებით იცემა კლასიკოსები („ფედერაციის გამოცემა „ბესიკი"). გამომცემლობა «ფედერაციამ» უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა ცეკას დადგენილების საფუძველზე, შემოიკრიბოს თავის გარშემო კვალიფიციურ მწერალთა კადრი, გამოუშვას იდეურად და მხატვრულად მაღალი ხარისხის ნაწარმოებები. ამ მხრივ კი ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული..." გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა, ბოლმა მომაწვა, დაღლილობა და თავის ტკივილი ვიგრძენი. დედას ვთხოვე კითხვა შეეწყვიტა. თვალები დავხუჭე და კედლისაკენ მივბრუნდი. დიდხანს ვიყავი გარინდებული, მხოლოდ გულის ბაგა-ბუგი მესმოდა. არ ვიცოდი, გაოგნებულმა დედამ გაიგო თუ არა დამოწმებული ნაწყვეტის შინაარსი. მოგვიანებით მხოლოდ ის მკითხა, ასათიანი ვინ არისო. ფეხზე რომ დავდექი და შინ დავბრუნდი, მაშინ გავიგე, რომ „სალიტერატურო გაზეთის" იმავე ნომერში დაბეჭდილი ყოფილა ჩემი განმაქიქებელი კიდევ ორი წერილი. ერთია კ. მელაძის „უთავბოლობის ნაყოფი" (ბესიკი, გამომც. «ფედერაცია», 1932). კ. მელაძის ვრცელი წერილი გაზეთის მომდევნო ნომერში დასრულდა. კ. მელაძე თავს ესხმის „ბესიკის" გამოცემას, რეაქციული კრიტიკის გამოცოცხლებად თვლის ჩემს ნარკვევს და თავის წერილს ასე ამთავრებს: „ერთი რუსი პოეტის თქმისა არ იყოს, «მკვდრები მისთვის გაცოცხლდნენ, რომ ისინი ხელმეორედ დავასაფლაოთ». სხვათა შორის, ეს ის მელაძეა, ჩემი ყოფილი მოწაფე, რომელმაც ე. წ. კონდრატიევშჩინის დროს ტრიბუნიდან კლასობრივი ზიზღი გამოუცხადა თავის მასწავლებლებს (მ. ზანდუკელს, ვ. კოტეტიშვილს, ალ. ბარამიძეს...).

მელაძის კრიტიკული შენიშვნის ნიმუშად მოვიტან ერთ მაგალითს. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ანა დედოფალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბესიკის პირველი ან ერთადერთი ტრფობის საგანი. ამის გამო კ. მელაძე ქედმაღლურად აცხადებდა „ეგ მარქსიზმი არ არისო“ და გამომწვევი კილოთი მეკითხებოდა: „რას ნიშნავს, მოქ. ბარამიძევ, იგივე «სევდის ბაღიდან» პოეტის შემდეგი სიტყვები «მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები». როგორ უნდა გავიგოთ ეს, რომელი «მკვლელი ბრჭყალების» შესახებ ლაპარაკობს ბესიკი?“ კითხვას თვითონვე აძლევდა იქვე პასუხს: „ბესიკი ლაპარაკობს არა ვარდზე და იაზე, როგორც ეს ბარამიძეს და მის მოწმეს დავით რექტორს ჰგონია, არამედ «სოფლის მკვლელ ბრჭყალებში» ბესიკი გულისხმობს იმ ახალ ძალას სავაჭრო კაპიტალიზმის სახით, რომელიც დეგრადაციის და დაშლის გზაზე აყენებდა ფეოდალურ საქართველოს“.

კ. მელაძის უმეცრულმა წერილმა აღმაშფოთა, მაგრამ გული ვერ მატკინა. გული მატკინა მეორე წერილმა, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი — „ფედერაციის მუშაობა უნდა გარდაიქმნას“. წერილში აღნიშნულია, რომ შემდგარა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა საბჭოთა მწერლობის აქტივთან ერთად. სხდომას მოუსმენია გამომცემლობა «ფედერაციის» დირექტორის იაკინთო ლისაშვილის მოხსენება და ბესარიონ ჟღენტის თანამოხსენება გამომცემლობა «ფედერაციის» მდგომარეობისა და მისი გარდაქმნისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებაში და მოხსენების გარშემო გამართულ კამათში «ფედერაციის» ცუდი მუშაობის ნიმუშად დაუსახელებიათ ბესიკის გამოცემა.

თანდათან მოჰყობინება დამეტყო. ქუჩაში გასეირნებაც შეეძელი, მაგრამ გუნება მჭონდა გაფუჭებული, გულაცრუებული და გულგატეხილი ვიყავი. მოულოდნელად მდგომარეობა შეიცვალა.

დეკემბრის დასაწყისი იყო (1932 წელია), ტელეფონმა დარეკა: თუ შეძლებთ მოსვლას. ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი ყურულაშვილს უნდა თქვენი ნახვაო. დაუყოვნებლად ვეახელი. ძალიან თავაზიანად მიმიღო, ჯანმრთელობის ამბავი გამომკითხა. თქვენს შესახებ უსიამოვნო და უსაფუძვლო ხმაური ესტეხესო, მითხრა. ჩვენ ამას ვწუხვართ. გაუგებრობა მოხდაო. თქვენ ალბათ იცით, განაგრძო მან, გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაცხადა, რომ აპირებდა თქვენზე ვრცელი წერილის გამოქვეყნებას. აი, ამ წერილის საკორექტურო ანაბეჭდიო, თქვა, და მთელი

საგაზეთო გვერდის სარდაფის ანაწყობი ტექსტი მაჩვენა. ეს წერილი არ დაიბეჭდებაო. ანაბეჭდს ცნობისმოყვარეობით შევავლე თვალი, წაკითხვის ნებართვა არ მითხოვია (გაოგნებული შევყურებდი მასპინძელს), ოღონდ ხელის მოწერას კი დავაკვირდი, კოლექტიური იყო, ხუთი კაცი აწერდა ხელს. რაც მოხდა, დაივიწყეთ, ისევ განაგრძო ყურულაშვილმა. მე უკვე გავაფრთხილე გამომცემლობა „ფედერაცია“, მიბრძანდით ამბ. იაკინთე ლისაშვილთან, ხელშეკრულებას დაგიდებს; რომელ ავტორსაც ისურვებთ, იმის ნაწერებს გამოსცემენ დაუბრკოლებლად. საერთოდ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს მუშაობაში ხელი არ შეგეშლებათ, დაამთავრა საუბარი. ახლა კარგად აღარ მახსოვს, მგონი მადლობის გადახდაც ვერ მოვახერხე, სასწრაფოდ გამოვეშვიდობე და გახარებულმა დავტოვე მისი კაბინეტი. მეორე თუ მესამე დღეს ვეწვიე იაკინთე ლისაშვილს, ის მართლაც გაფრთხილებული აღმოჩნდა. რის გამოცემას აპირებო, მკითხა. მე ვოცნებობდი თეიმურაზ პირველის ნაწერების გამოცემაზე. თეიმურაზის შესახებ ბჭონდა სადიპლომო შრომა. თეიმურაზის თარგმანებს სწავლობდა ჩემი მეგობარი გიორგი ჯაკობია. გეგმები მას გავაცანი. შევამხნაგდით. გატაცებით შევუდექით საქმეს და უკვე 1934 წელს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებული, მშვენივრად გაფორმებული ლადო გრიგოლიას მიერ.

გიორგი ყურულაშვილს უწინ შორიდან ვიცნობდი. ის იყო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, მე მაშინ საქმეთა მმართველად ვმსახურობდი განათლების მუშაკთა კავშირში. შემდეგ გ. ყურულაშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს კულტურის დარგში. კარგა ხანს ჟურნალ „მნათობს“ რედაქტორობდა. ამბობდნენ, რომ მწერლებთან კარგი ურთიერთობა აქვსო. მე არ ვიცი, როგორ დაინტერესდა გ. ყურულაშვილი ჩემი საკითხით. შესაძლებელია გარკვეული როლი შეასრულა სიმონ ხუნდაძემ ან იოსებ გრიშაშვილმა. იმ დროს ბევრი გამაბნევებელი წერილი მომდიოდა. კერძოდ, იოსებ გრიშაშვილი მწერდა კისლოვოდსკიდან: „ბესიკზე პირისპირ მოგელაპარაკები. ერთ პროლ. კრიტიკოსს სახელგამში ბურთი ჩავჩარე. სხვა? მორიგი გამარჯვება რა იქნება?... იმუშავე და «დუშმანთა ლაყბობას» გაუარე“. მე ვერასოდეს ვერ დავი-

ვიწყებ გიორგი ყურულაშვილის კარგ კაცობას და ჩემდამი გაწეულ სამაგალითო ამაგს[1].

ახლა მუშტრის თვალით რომ გადავიკითხე ბესიკის 1932 წლის გამოცემა, ბევრი რამე არ მომეწონა. ჩემი ნარკვევი „ღვლარჭნილი სტილითაა დაწერილი, ორიოდე შეუფერებელი გამოთქმაა გაპარული, ზოგი რამე დასაზუსტებელია და გასასწორებელი[2], მაგრამ ეს გამოცემა წინა გამოცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად წინ წადგმული ნაბიჯი იყო ბესიკის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით. ეს ვერ შეამჩნიეს (ან განზრახ მიჩქმალეს) სუბიექტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულმა რეცენზენტებმა. თუ არ გ. ყურულაშვილის ჩარევა ამ საქმეში, ვინ იცის რა შედეგს მოიტანდა რეცენზენტების გამოხდომები.

ეს მოგონება შეიძლება ერთგვარ გაკვეთილად გამოადგეს ზოგ ვინმე მეცნიერსა თუ ლიტერატორს.

ბ) ფირდოუსის იუბილე

1932 წლის ძლიერი სულიერი ტრავმა ერთგვარად მომიშუშა, ყოველ შემთხვევაში სულიერი ტკივილები შემომსუბუქა თეიმურაზ პირველის თხზულებათა გამოცემისათვის დაწყებულმა მუშაობამ. ჩვენ, მე და გიორგი ჯაკობია, შედარებით კარგად ვიცნობდით თეიმურაზის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს (ჩემი სადიპლომო შრომა თეიმურაზს მიეძღვნა, გ. ჯაკობიას გამოცემული ჰქონდა თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი"). ჩვენს განკარგულებაში იყო თეიმურაზის მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობა (მე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მცველი ვიყავი). სისტემური და ინტენსიური შრომის შედეგად 1933 წლის სექტემბერში წიგნი (ტექსტი, გამოკვლევა. შენიშვნები) მზად გვქონდა და წარმოებას გადავეცით. იმავე წლის 5 ნოემბერს თეიმურაზ პირველის შემოქმედების შესახებ მოხსენება წავიკითხე ენისა და ლიტერატურის ახლად დაარსებულ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში (ეს იყო

[1] სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ 1933 წლის ნოემბერში „ფედერაციის" დირექტორმა მწერალმა ი. ლისაშვილმა დაბეჭდა წერილი „ფედერაცია ოქტომბრის 16 წლის თავზე („სალიტერატურო გაზეთი", 25. XI. 33). „ფედერაციის" მიღწევათა შორის ი. ლისაშვილი ასახელებდა ბესიკის აკადემიურ გამოცემას „ახალგაზრდა ლიტერატურის მკვლევარის ალ. ბარამიძის რედაქციით და მონოგრაფიით".

[2] ბესიკის შევსებულ-შესწორებული გამოცემა ჩემი და ვარლამ თოფურიას რედაქციით დაიბეჭდა 1962 წელს.

ინსტიტუტის ლიტერატურის სექციაში წაკითხული პირველი მოხსენება). 1934 წლის მაისში თეიმურაზ პირველი სტამბიდან გამოვიდა. მკითხველმა და ლიტერატურულმა საზოგადოებამ იგი ჯარგად მიიღო. ეს იყო ჩემი, როგორც ლიტერატურის მკვლევრისა და ტექსტოლოგის, თავისებური რეაბილიტაცია.

1933 წლის ბოლოს თუ 1934 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მთელი კულტურული კაცობრიობა აპირებდა 1934 წელს აღენიშნა დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის დაბადების მეათასე წელი. ეს იყო დიდი პოეტის პირველი საერთაშორისო იუბილე. საბჭოთა კავშირი შეუდგა საიუბილეო სამზადისს (1934 წლის ოქტომბერში თეირანში დანიშნული იყო საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ფირდოუსის ეძღვნებოდა). საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ტაჯიკების შემდეგ პირველი სიტყვა ქართველებს ეკუთვნოდა. ქართულად შემონახულია ფირდოუსის განთქმული პოემის „შაჰნამესა“ და მისი ციკლის თხზულებათა ძველი თარგმანები. უკვე 1916 წელს იუსტინე აბულაძემ გამოაქვეყნა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების პირველი მონუმენტური ტომი. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით გადაწყდა საქართველოში ფართოდ აღნიშნულიყო ფირდოუსის იუბილე. შეიქმნა საიუბილეო სამუშაო კომისია უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ლევან აღნიაშვილის ხელმძღვანელობით. შემუშავდა გეგმა. სექტემბრისათვის უნდა გამოცემულიყო „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომი და მონოგრაფიული ნარკვევი ფირდოუსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოს მუზეუმში გამოფენის მოწყობას, ხოლო უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიის ჩატარებას. საიუბილეო დღეებს დააგვირგვინებდა საზეიმო სხდომა.

საქმე საშური იყო. სამკალი ბევრი ჩანდა, მომკალი კი ცოტა. „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტის მომზადება დაევალა კოლეგიას (იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), მონოგრაფიის დაწერა — ამ სტრიქონების ავტორს, გამოფენის მოწყობა — პ. ინგოროყვას და მე.

საქმეს ბეჯითად შევუდექით. „შაჰნამეს“ საკითხებში გაწაფული ვიყავი. ჩემი პირველი ნაშრომი, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა, „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებს მიეძღვნა. შემდეგაც განვაგრძობდი კვლევა-ძიებას. იმ დროისათვის მოპოვებული მქონდა „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის მანამდის უცნობი პროზაული ტექსტის მოზრდილი ფრაგმენტი, „შაჰნამეს“ ვიცნობდი სპარსულ

დედანშიც. ყოველივე ამან ხელი შემიწყო მუშაობა დამეჩქარებინა. გამოსაცემი ტექსტის საჩემო ნაწილი წარმოებას დროზე გადავეცი: ივნისის ბოლოს გამოვიდა ჩემი ნარკვევიც „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“ (თბილისი, 1934, გვ. 55). მოსაგვარებელი მრჩებოდა გამოფენის საქმე, ამის გარდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან დაკვეთილი მქონდა წერილები.

ივლისის მეორე ნახევარში ცოტა ხნით ქვიშხეთში წავედი. იქ მყავდა ცოლ-შვილი. ორიოდე დღის ჩასული ვიყავი, რომ პოეტი ალექსანდრე აბაშელი მეწვია, მალაქია ტოროშელიძე გკითხულობს, სასწრაფოდ თბილისში უნდა დაბრუნდეო (მალაქია ტოროშელიძე მაშინ იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი). რაღა გაეწყობოდა. გავემგზავრე თბილისში და ბინაზე ვეახელი ბ-ნ მალაქიას. მან ვრცლად მიამბო მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის სამზადისის ვითარება. გამაცნო ი. სტალინთან საუბრის შინაარსი და ქართული მწერლობის თაობაზე მომავალი მოხსენების ხასიათი, მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ამ საშვილიშვილო საქმეში და დამეწერა XV—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის მიმოხილვა. მთავარი ყურადღება უნდა დათმობოდა სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილსა და ბესიკს. რასაკვირველია, დავალება ვიკისრე და დათქმულ ვადაში ჩავაბარე. ამის თაობაზე აქ ვრცლად აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც მას საკმარისი სისრულით აშუქებს ბესო ჟღენტი — „დიდი ერთიანობის ყრილობა“ (ლიტერატურული საქართველო, 30. VIII. 74; 6. IX. 74; — „Съезд великого единства“ — журн. „Литературная Грузия“, IX, 1974). ოღონდ დავურთავ, რომ მ. ტოროშელიძემ გამომკითხა ფირდოუსის იუბილეს სამზადისის ვითარება. ეს საკითხი პირადად ი. სტალინს აინტერესებსო.

მწერალთა კავშირის ყრილობა დამთავრებული არ იყო, რომ გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (20 აგვისტოს თარიღით) შოთა რუსთაველის იუბილეს თაობაზე. დადგენილება ხაზს უსვამდა ვეფხისტყაოსნის უდიდეს ეროვნულსა და საერთაშორისო მნიშვნელობას. დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც“.

ამ დადგენილებამ ჩვენი ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ხალხის არაჩვეულებრივი აღტყინება და სულიერი აღმავლობა გამოიწვია. ვეფხისტყაოსანი ხომ ჩვენი სულიერი კულტურის ის ფასდაუდებელი განძია, რომელსაც მთელმა ქართველმა ერმა „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“ და რომლითაც ქართველობას თავი მოაქვს და სამართლიანად ამაყობს (ილია ჭავჭავაძე). ამისდა მიუხედავად, სხვადასხვა მიზეზის გამო ვეფხისტყაოსანი ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული. ახლა ერთბაშად მისი სამაგალითო ღირსება აღიარა საბჭოთა კავშირის მწერალთა უმაღლესმა ფორუმმა და დააგვირგვინა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ. ჩვენს სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მე ასე მეჩვენება, რომ ფირდოუსის იუბილემაც მისცა ერთგვარი ბიძგი რუსთველის ღირსებათა წინ წამოწევას და ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების გამოტანას. მაგრამ ასეა თუ ისე, დადგენილებამ ახალი, მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საზრუნავი გაგვიჩინა. იმ მრავალ ღონისძიებათაგან, რასაც დადგენილება ითვალისწინებდა, მთავარი მაინც ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის მომზადება და გამოცემა იყო, რაც ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს ეკისრებოდა.

ჯერ მაინც ფირდოუსის იუბილე გვქონდა კარზე მომდგარი. ჟურნალ-გაზეთების რედაქციები გასაქანს არ გვაძლევდა. ძალიან გვშველოდა იური (გიორგი) მარი, ჩინებული ირანისტი და ფირდოუსის შემოქმედების საუკეთესო მცოდნე. მაგრამ იგი მძიმე ავად იყო და აბასთუმანში ცხოვრობდა. ამასთან იური მარი თუმცა ფართოდ განსწავლული მკვლევარი იყო სპარსული მწერლობისა, ქართული მწერლობის საკითხებში ისე თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს. ავადმყოფობის მიუხედავად, იური მარმა ბევრი წერილი დაბეჭდა ფირდოუსის შესახებ თბილისის რუსულ პრესაში. განმაცვიფრებელი იყო ამ ავადმყოფი კაცის შრომითი ენერგია. შეუპოვრობა და თავგამოდება.

ფირდოუსის იუბილეს გამო საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა სახელგანთქმული სპარსელი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე საიდ ნაფისი.

13 სექტემბერს საქართველოს მუზეუმის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფირდოუსის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა. შეკრებილ საზოგადოებას მბურვალედ მიესალმა სპარსელი

სტუმარი. 14 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში (ყოფილ მუშტაიდში) გაიმართა საიუბილეო-საზეიმო სხდომა. სხდომა ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. სიტყვები წარმოთქვეს საიდ ნაფისიმ, კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ და ა. შანიძემ. ირანის საკონსულომ მოაწყო მიღება. 16 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სპეციალური სამეცნიერო სესია. საიდ ნაფისის შეხვედრები ჰქონდა მწერალთა კავშირში და სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფილიპე მახარაძემ აგვისტოს ბოლოს გაიგო, რომ მას ევალებოდა ფირდოუსის საიუბილეო სხდომის გახსნა და შესავალი სიტყვის წარმოთქმა. თავისთან მიმიხმო მთავრობის სასახლეში საკონსულტაციოდ. გამომიტყდა, რომ დავალება მოულოდნელად დაატყდა თავს და მთხოვა დავხმარებოდი საჭირო ლიტერატურით. მივართვი ჩემი ბროშურა და ზოგი სხვა წყაროც (აბულაძის, კეკელიძის, მარის, კრიმსკის შრომები) შევაძენინე. ამ მასალებს საფუძველზე საკმაოდ კვალიფიციური სიტყვა მოამზადა (ამ სიტყვის ტექსტი ალბათ არქივში იქნება დაცული, ტექსტი მე პირადად წინასწარ გამაცნო).

ფირდოუსის იუბილე მაღალ დონეზე ჩატარდა. გვიან შემოდგომაზე ჩვენი გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარმა ბუბნოვმა და მოითხოვა მისი მოსკოვში გადატანა. მე და პ. ინგოროყვას სასწრაფოდ მოგვიხდა გამოფენის კატალოგის შედგენა ქართულსა და რუსულ ენებზე. 1935 წლის დასაწყისში გამოფენა ექსპონირებული იქნა მოსკოვში, აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში, კატალოგი კი ბეჭდურად გამოქვეყნდა.

ფირდოუსის იუბილესადმი მიძღვნილ კონგრესზე თეირანში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია. დელეგაციაში შევიდა იური მარიც. მას მოხსენება უნდა წაეკითხა „შაჰნამეს“ პოეტური მეტრის მუთაყარიბის შესახებ. იური დაგვპირდა, რომ კონგრესზე გამოაქვეყნებდა მასალას „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებზე, ამისათვის მომიხდა პატარა, მაგრამ ტევადი, შემაჯამებელი ხასიათის ნარკვევის მომზადება ფრანგულ ენაზე „ფირდოუსის შაჰნამე ქართულ მწერლობაში“. ტექსტი დაიბეჭდა თბილისში ქართულად (მნათობი, 1934, № 9) და ფრანგულად (საქართველოს

ბუზეუმის მოამბე. IX—B, 1936). საწუხაროდ ი. მარმა ვერ შეძლო ჩემი ნარკვევის გამოქვეყნება[3].

ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ერთი კურიოზული ფაქტი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ დათქმულ ვადაზე გამოსცემდა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების წიგნს. ამ წიგნს უნდა დაემშვენებინა ფირდოუსის გამოფენა, რომელიც 13 სექტემბერს იხსნებოდა. წიგნზე მომუშავე კოლექტივმა და სტამბამ სიტყვა შეასრულეს, საუცხოო ყდაში ჩასშული ქართული „შაჰნამეს“ პირველი ეგზემპლარები უკვე მზად იყო. ლევან აღნიაშვილმა გადმომცა დაბეჭდილი წიგნის ორი ცალი და მთხოვა მიმეტანა ცენტრალურ კომიტეტში პეტრე აღნიაშვილთან (პეტრე აღნიაშვილი ლევანის ძმა იყო, ცეკას მეორე მდივანი). მეგზურად გამატანა განათლების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი შ. ს-ძე, ალექსანდრეს წაჰყევი, საშვებზე რაიმე დაბრკოლება არ შეხვდესო. ცეკას შენობის შესავალ კარებს რომ მივადექით (რუსთაველის პროსპექტზე ახლა რომ კულტურის სამინისტროა), ჩემმა მხლებელმა მითხრა, თქვენი შეწუხება არ ღირს, საშვების მიღება რთულია, წიგნებს სამდივნოს ჩავაბარებ დანიშნულებისამებრ გადასაცემადო. მე გულუბრყვილობა გამოვიჩინე და შემოთავაზებულ წინადადებას დავეთანხმე. მეორე დღეს რექტორმა დიდი საყვედური მითხრა. წიგნების გაგზავნას ჩვენც როგორმე მოვახერხებდით, მე მინდოდაო, რომ თქვენ, უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოცენტი და წიგნზე მომუშავე პირი, პირადად ხლებოდით ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას და უნივერსიტეტის სახელით მოგეხსენებინათ („გეპატაკათ“) პი-

---

[3] თავის გამოუქვეყნებელ მოხსენებაში ი. მარი წერს: «Перед отъездом я получил от доцента А. Барамидзе грузинский и французский текст: резюме докладов оглашенных на торжественном заседании Госунта. Я посоветовался с остальными товарищами по делегации (გარდა მარისა დელეგაციაში შედიოდნენ ი. ორბელი, ბერტელსი, ფრეიმანი, რომასკევიჩი, ბოლოტნიკოვი — დელეგაციის ხელმძღვანელი) и было признано, независимо от большой трудности получить лишнее время на выступление, неудобным зачитывать это резюме на конгрессе, ввиду того, что обещанные подарки Грузии— грузинские версии Шахнаме, о которых знали несколько представителей конгресса, получены не были. Грузинский же текст я отправил И. А. Орбели в Ленинград для всесоюзной сводки о проведении торжеств. Эту сводку предположено издать по французски и английски и отправить в Англию и Париж на торжество».

რობის შესრულება. თქვენ შეცდომაში შეგიყვანათ შ. ს-ძემ, რისთვისაც ის კარგად დავტუქსეო.

ლევან აღნიაშვილი მაინც კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით და ორთვიანი სამეცნიერო მივლინებით დამაჯილდოვა (მაშინ სამეცნიერო მივლინება იშვიათი ხილი იყო, მივლინების ნივთიერი მხარე კი სახარბიელო). ნოემბერ-დეკემბერი ლენინგრადსა და მოსკოვში გავატარე, დრო კარგად გამოვიყენე და ბევრი საინტერესო მასალა მოვიპოვე.

ნოემბრის შუა რიცხვებში თეირანიდან ახლად დაბრუნებულმა იოსებ ორბელმა ფირდოუსის საიუბილეო დღესასწაულის შესახებ მოხსენება წაიკითხა ლენინგრადის მეცნიერთა სახლში ხალტურინის ქუჩაზე. მოხსენებას მეც დავესწარი, დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გავაცანი, თუ როგორ ჩატარდა ფირდოუსის დღეები საქართველოში და მომხსენებელს მივართვი ჩვენი „შაჰნამე“ და ჩემი პატარა წიგნი. მოხსენებელიც და აუდიტორიაც თბილად შეხვდა ჩემს გამოსვლას. მადლობის ნიშნად იოსებ ორბელმა მეორე დღისათვის ერმიტაჟში მიმიწვია (ორბელი იყო სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი). დანიშნულ დროს ვეახლე. მახლდნენ შეუღლე და პროფესორი ვარლამ დონდუა. ორბელმა ხალისიანად მიგვიღო თავის კაბინეტში, ბევრი გვემუსაიფა, ჩაით გაგვიმასპინძლდა და შემოგვთავაზა დაგვეთვალიერებინა ერმიტაჟის „სარდაფები“. ბევრი რამ საოცრება ვნახეთ იქ (გიდად მიჩენილი გვყავდა პროფესორი ტრევერი), მათ შორის რომანოვების უმდიდრესი სამეფო განძი, კერძოდ. გვიჩვენეს გრიბოედოვის სისხლის საფასურად შაჰისაგან მიღებული საარაკო სიდიდის ბრილიანტი. კიდევ ბევრი, ბევრი უნიკალური მხატვრული ნივთი ვიხილეთ და ძლიერ კმაყოფილებმა დავტოვეთ ერმიტაჟის ზღაპრული „სარდაფები“. ვარლამ დონდუა ხუმრობდა, მგონი ქართველთაგან ეს „სარდაფები“ დღემდის არავის უნახავსო.

იოსებ ორბელს ამის შემდეგ მოგვიანებით შევხვდი ერევანში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. სესიამ საორგანიზაციო საკითხებიც განიხილა და აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია მწერალი დერენიკ დემირჭიანი (აკადემიის წევრი უკვე იყო პოეტი ავეტიქ ისააკიანი). ჩვეულებისამებრ გაიმართა ბანკეტი. განრიგის შიხედვით მეც მომცეს სიტყვა. ვისარგებლე შემთხვევით და დერენიკ დემირჭიანის არჩევა დავუკავშირე დიდი სომხური მწერლობის აწინდელ წარმატებებს. ცოტა რამ ვთქვი სომხური მწერლობის დიდ ტრადიციებზე, პირველად, რასაკვირ-

ველია, ლირსებისამებრ მოვიხსენიე გრიგოლ ნარეკელი. სიტყვა დავასრულე სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მწერლობის სადღეგრძელოთი. თასი დავცალე, სკამზე დავეშვი, სხეული დავასვენე და რაღაც შინაგანი შვება ვიგრძენი, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე. გვერდით მისხდნენ რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე, ჟესტით მანიშნეს, რომ გამოსვლა მომიწონეს და გამამხნევეს. ერთგვარ ბურანში ვიყავი, რომ ვიღაცამ მძლავრი მკლავები მომხვია, მიმიზიდა და ყურისძირში მეამბორა, დიდი წვერ-ულვაშის შარი-შურიც ვიგრძენი. უკან რომ მოვიხედე, შევიცანი, იოსებ ორბელი იყო. მომესალმა, მომიალერსა. თქვენმა სიტყვამ გამახარაო, მითხრა. ვინ, თუ არა, ქართველი კაცი და ძველი მწერლობის მკვლევარი მოიგონებდაო ამ სუფრაზე ჩემს სათაყვანებელ პოეტს გრიგოლ ნარეკელსო. ნარეკელი ხომ სომხებისათვის იგივეა, რაც ქართველებისათვის რუსთველიო. მადლობა მითხრა, კიდევ გადამეხვია და წავიდა (ისიც ნასვამი ჩანდა და ამიტომაც უაღრესად გულწრფელი იყო). რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე გაკვირვებული უყურებდნენ ამ სცენას. იოსებ ორბელი მეტი ალარ მინახავს.

1934 წელმა და, კერძოდ, ფირდოუსის იუბილემ დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. სხვაგან დაწვრილებით ვამბობ, მაკრამ გაკვრით აქაც უნდა აღვნიშნო, რომ 1933/1934 სასწავლო წელს ისევ აღდგა თბილისის უნივერსიტეტი. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში და დიდი გამოძახილიც ჰქონდა ჩვენს მოაზროვნე საზოგადოებაში. უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა განათლებული და განსწავლული მეცნიერი, ფართო ეროვნულ-საზოგადოებრივი ინტერესების პატრონი, ენერგიული, შრომისმოყვარე და ჰუმანური კაცი — ლევან აღნიაშვილი. აღნიაშვილის თაოსნობით უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრი, რომელსაც ჯერ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ მისი საქმიანობა გაფართოვდა და ფაქტობრივად მოიცვა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგი და შეერქვა „ელხი“ (ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი). „ელხს“ ჰქონდა თავისი საკუთარი ორგანო „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომლის მხოლოდ პირველი ტომი დაიბეჭდა 1935 წელს. იქ გამოქვეყნდა ჩემი ორი წერილი („ფირდოუსი“ და „შაჰ-ნამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია“).

„ლიტერატურული მემკვიდრეობის“ ფაქტობრივი რედაქტორი იყო გიორგი ლეონიძე.

1934 წელი მიიწურა. დამთავრდა ფირდოუსის ეპოპეა და დაიწყო ცხარე დისკუსია ვეფხისტყაოსნის ახალი (ციკინაძისეული) გამოცემის გარშემო. წინ დიდი ამბები გველოდა...

გ) ქილილა და დამანა

1919 წლის შემოდგომა იყო. ხაშურის გიმნაზიის VIII კლასის მოწაფე ვიყავი. ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა კონსტანტინე (კოტე) გეგელიძე. ქართულის მასწავლებელი გვიყვარდა. მის გაკვეთილებს არ ვაცდენდით და ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდით. ერთხელ კ. გეგელიძე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ საკითხებს გვიხსნიდა. თხზულების გარჩევა რომ დაამთავრა, პორთფელიდან დიდი წიგნი ამოიღო, საბა ორბელიანის ნათარგმნია ვახტანგ მეექვსესთან ერთად, „ქილილა და დამანა“ ჰქვიათ. ეს იყო და ეს. ძალიან დამაინტერესა წიგნის ამ უცხო ეგზოტიკურმა სათაურმა. მაშინ სახელმძღვანელოდ გვქონდა სერგი გორგაძის „ჩვენი ძველი მწერლობა“. იქ ძალიან ცოტა რამ ვიპოვე „ქილილა და დამანას“ შესახებ. გადავიკითხე ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“. იქ შედარებით უფრო საფუძვლიანი ცნობები აღმოჩნდა. მასწავლებელმა კ. გეგელიძემ მათხოვა „ქილილა და დამანას“ წიგნი. შეუდექი კითხვას, მაგრამ ვაი ამ კითხვას! თითქმის ვერაფერი გავიგე, ძალიან მძიმედ მოვეჩვენა მისი ენა, თურმე მართალი ვიყავი. ცნობილი ირანისტი ევგენი ბერტელსი ასე ახასიათებს „ქილილა და დამანას“ ენასა და სტილს: «...цветиста и вычурна до последней степени, запутанные периоды, пересыпанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из Корана и т. д., могут довести до отчаяния самого терпеливого читателя, ибо бездна заключенных в ней премудростей и ученых намеков не может быть понята без обширного комментария». სტუდენტობის დროსაც მხედველობიდან არ გამომრჩენია „ქილილა და დამანა“, ვაპირებდი ლიტერატურულ წრეში წამეკითხა მოხსენება, მაგრამ ვერ გავბედე. თითქოს საგანგებოდ, სახელმწიფო ვამოცდაზეც „ქილილა და დამანა“ შემხვდა. ეს იყო 1925 წლის მაისი თუ ივნისი. გამოცდებს ვაბარებდით ოთხნი (კატო ბერიძე, ვერა ბარდაველიძე, სავლე აბულაძე და მე). საგამოცდო კომისი-

აში იყვნენ გიორგი ახვლედიანი (თავმჯდომარე), კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. გამოცდებისათვის კარგად ვიყავით მომზადებული. გიორგი ახვლედიანმა პასუხი მომიწონა, „ქილილა და დამანას“ საკითხში ახალი სიტყვა ბ-ნ კორნელის ეკუთვნისო, თქვა და ჩვენ მთავარ გამომცდელს გადახედა. ბ-ნ კორნელის ბაგეებზე ღიმი დაეტყო. აბა, რა ვიცი, საკითხი მეტად რთულიაო, ჩაილაპარაკა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ჩემი ცნობისმოყვარეობა. შეუცნობლად ვგრძნობდი, რომ ეს თემა იყო ჩემი წერა.

1925 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში დამტოვეს სპროფესოროდ მოსამზადებლად. იმთავითვე გადავწყვიტე საფუძვლიანად შემესწავლა სპარსული მწერლობა და სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხების კვლევა-ძიებას შევდგომოდი. თავდაპირველად „ეასრამიანსა“ და „შაჰნამეს“ ჩავუჯექი. პარალელურად ვეცნობოდი ლიტერატურას „ქილილა და დამანას“ გარშემო. ვცადე სპარსული დედნის, „ქილილა და დამანას“ „ანვარი სოჰაილის“ რედაქციის კითხვაც. დიდი სიძნელეები შემხვდა, მაგრამ უკან არ დავიხიე. ჩემთვის ვინიშნავდი ქართულ-სპარსული ტექსტების პირველი შეჯერების შედეგებს. ამ შედეგებმა ძლიერ გამიტაცა. დავეწაფე ქართულ ხელნაწერებსაც. აქაც ბევრი რამ ახალი და საყურადღებო ვიპოვე. გადავწყვიტე შევჭიდებოდი ამ ლიტერატურულ კოლოსს. განსაკუთრებით რთული და დახლართული ჩანდა მისი ქართული ვერსიების ისტორია. პროფ. კ. კეკელიძე ამის თაობაზე წერს: „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არა აქვს, როგორც იგავ-არაკთა იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანა ეწოდება“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 462.). წინასწარი შედეგები და გუმანი გავაცანი ჩემს ხელმძღვანელებს — კორნელი კეკელიძეს (ხელმძღვანელობას მიწევდა სპეციალურ საგანში, ძველ ქართულ საერო მწერლობაში) და აკაკი შანიძეს (მასწავლიდა ძველ ქართულ ენასა და არაბულს). მომიწონეს. აკაკი შანიძემ დამისახელა ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ერთი ხელნაწერი, რომელმაც შემდეგ განსაკუთრებით დიდი დახმარება გამიწია. ეს ხელნაწერი კ. კეკელიძემ ლენინგრადიდან გამომიწერა (კ. კეკელიძე იყო უნივერსიტეტის პრორექტორი). იგი რამდენიმე თვე ჩემს განკარგულებაში იყო. ხანგრძლივი, სისტემური და ნამდვილად გატაცებული მუშაობის ნაყოფი ხელთ მქონდა: 1929 წლის 12 აპრილსა და ნოემბრის მიწურულში მოხსენებებით გამოვედი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომებზე. სხვაგან

უკვე აღნიშნული მაქვს, რომ ივანე ჯავახიშვილმა და აკაკი შანიძემ მირჩიეს ეს გამოკვლევა სადისერტაციოდ წარმედგინა. საბოლოო სიტყვა ბ-ნ კორნელის ეკუთვნოდა. დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე წერილით შევსიტყვებოდი. ჩემს არქივში შემონახულია ჩემი მაშინდელი წერილის პირი. მომაქვს მისი ტექსტი მთლიანად და უცვლელად:

დ[ი]დ პატივცემულო ბ-ნო კორნელი!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ბარათით მოგმართავთ, მაგრამ ზეპირ, პირადად ვერ გაგიბედეთ მომეხსენებინა ის, რასაც წერილობით ვაბერხებ. იქნებ თვით მომართვის ფაქტიც კადნიერი თავხედობის ნაყოფი იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაშიც მაპატიებთ.

მოკლედ, საქმე შემდეგშია: ჩემს უკანასკნელ მოხსენებასთან („ანვარი სოჰაილის ქართული ვერსიები") დაკავშირებით პროფესორებმა ა. შანიძემ და ივ. ჯავახიშვილმა მირჩიეს აღნიშნული შრომა საკვალიფიკაციოდ (სადისერტაციოდ) წარმომედგინა. რასაკვირველია, პატივცემული პროფესორების აზრს ჩემთვის დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, გადამწყვეტი ღირებულება ჩემთვის ექნება მხოლოდ თქვენს პირადს შეხედულებას ამ საკითხზე. და ჩემი კადნიერებაც სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული. მგონი ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ თუ არ ზევით აღნიშნული გარემოება, ამ ნაბიჯს ვერასოდეს გავბედავდი რომ გადამედგა.

უკვე მეხუთე წელია, რაც მე სპეციალური ხასიათის მუშაობას ვეწევი და დიდად სასურველი კი იქნებოდა ჩემთვის ერთგვარი ფორმალური ვალდებულების დროული შესრულება. სამწუხაროდ, ე. წ. ზეპირი გამოცდები ამდენ ხანს ვერ მოხერხდა და არც რაიმე პერსპექტივები ჩანს ამ მხრივ მომავლისათვის.

ყოველივე ამის გამო თუ ფორმალურად შესაძლებელი იქნებოდა წერილობითი შრომის ოფიციალურად წარმოდგენა და ამ შემთხვევისათვის თქვენი დასტური მექნებოდა, მე პირადად ამისი დიდი მთხოვნელი ვიქნებოდი.

მარად თქვენი ალ. ბარამიძე

I.XII.29.

წერილი ბ-ნ კორნელის ჩავუგზავნე სიძველეთსაცავიდან (უნივერსიტეტის მესამე სართულზე რომ იყო მოთავსებული), ამ სიძველეთსაცავის ტექნიკური თანამშრომლის ვერა მარიამულის ხე-

ლით. ბ-ნ კორნელის, უნივერსიტეტის პრორექტორის, კაბინეტი პირველ სართულზე იყო, ახლა რომ რექტორატია იქ. წერილის გაცნობისთანავე ბ-ნმა კორნელიმ მიხმო. დაუყოვნებლივ ვეახელი. კაბინეტის კარები შევაღე, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა. ბ-ნი კორნელი ძალზე აღელვებული დამხვდა. გამალებული სცემდა ბოლთას თავის პატარა კაბინეტში. ერთ მომენტში შემომხედა, შეჩერდა, „ეს რა დაგიწერიაო, მითხრა წყრომით და ჩემი ბარათი ჩიჩვენა. „რა გამოდის, — განაგრძო, — თქვენზე თურმე ს ხ ვ ე ბ ი ფიქრობენ და ზრუნავენ („სხვები“ გამოყოფილად და ხაზგასმულად წარმოთქვა), მე კი თურმე ყურადღებას არ გაქცევ! რატომ ერევიან ჩემს საქმეებში? მე ოფიციალური პირი ვარ და მეტი პასუხისმგებლობა მომეთხოვება. იცით თუ არა, თქვენ, რომ დისერტაციების დაცვა გაუქმებულია?“ — მე შეცბუნებული ვიყავი და თავჩაქინდრული, კედელს მიყრდნობილი. სიტყვა არ დამიძრავს. ბ-ნმა კორნელიმ კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მომიბრუნდა და მითხრა; „ახლა წადით, ნაშრომი გაამზადეთ წიგნად და მომიტანეთო“. კარები ნელა გამოვიხურე და ჩუმად გამოვედი. მეც ძლიერ ვღელავდი. მწყინდა, რომ ჩემს საყვარელ მასწავლებელს ჩემდა უნებლიეთ უსიამოვნება მივაყენე. ეს ამბავი მოხდა სამსა თუ ოთხ დეკემბერს (1929 წელს). მთელი ჩემი ენერგიის დაძაბვით შევუდექი მუშაობას და ოთხი თვის შემდეგ, 1930 წლის მარტის ბოლოს მონოგრაფია ბ-ნ კორნელის მივუტანე — „ანვარი სოჰაილის ქართული ვერსიები“ (ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი).

გავიდა რაღაც ორიოდე თვე, სიმონ ყაუხჩიშვილი შემხვდა, შენი წიგნი „მთავლიტირებულიაო“, მითხრა და კორექტურას მიხედეო (სიმონ ყაუხჩიშვილი საგამომცემლო საბჭოს მდივანი იყო, თავმჯდომარე კი კორნელი კეკელიძე). გახარებულმა სტამბას მივაშურე. ჩემ წიგნს მთავლიტის ნებართვის ბეჭედი ჰქონდა დასმული და მიკრული სათანადო ბლანკი № 1217 14 ივნისის თარიღით. 360 ცალი უნდა დაბეჭდილიყო (ამ საბუთების დედნები ახლა ჩემს არჩივში ინახება). დამპირდნენ დღე-დღეზე შევუდგებით აწყობასო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სტამბას გისამართი დავუტოვე და საზაფხულოდ სოფლისაკენ გავწიე. გარნა სოფელი თავის მკვიდრთ დიდხანს ახარებს?!

იმ ზაფხულს დიდი ამბები მოხდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მთავრობის დადგენილების საფუძველზე (კადრების მასობრივად მომზადების ღონისძიებათა ჩასატარებლად) უნივერსიტეტი

გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუტი. უნივერსიტეტის შენობაში დარჩა ორი ინსტიტუტი — ეკონომიკისა (პირველ სართულზე) და პედაგოგიური (მეორე და მესამე სართულებზე). უნივერსიტეტის დაშლასთან დაკავშირებით სიძველეთსაცავი საქართველოს მუზეუმში გადაიტანეს. ჩემდა სამწუხაროდ, გაუქმდა უნივერსიტეტის საგამომცემლო გეგმა. აგვისტოს ბოლოს სტამბას რომ მივაკითხე, მირჩიეს, წიგნი გაიტანეთ, არ დაგეკარგოთო. დიდი გულისტკივილით წავიღე ჩემი ნაჭირნახულევი. სიძველეთსაცავის გადატანისა და ახალ შენობაში დაბინავების ისტორიას კვლავ დავუბრუნდები, ახლა განვაგრძობ „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას“ ამბავს.

სიმონ ხუნდაძისაგან ბევრი სიკეთე მახსოვს. ის ჯერ გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორი იყო (მაშინ დაგვიბეჭდა „ბესიკი“), მერმე „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი და „ნარკვევების“ გამოცემა შემომთავაზა. მირჩია, ძლიერ ვიწრო სპეციალურ საკითხებს მოვრიდებოდი და ყურადღება მიმეპყრო შეთოდოლოგიური მხარისათვის. ასე შეიქმნა ჩემი „ნარკვევების“ პირველი წიგნი, რომელშიდაც შევიტანე გამოკვლევა „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“. გამოკვლევა საფუძვლიანად შევამოკლე, მთლიანად ამოვიღე იქიდან საილუსტრაციო სპარსული ტექსტები. იმდროინდელობის კვალობაზე წიგნი თითქო იდეოლოგიურად გავმართე, ჩავურთე სოციოლოგიური სულისკვეთებით გამსჭვალული თავები, წავუმძღვარე მოკლე წინასიტყვაობაც. რომლითაც ჩემი ლიტერატურული კრედო გამოვხატე. მომყავს ამ წინასიტყვაობის პირველი აბზაცი: „ე. წ. ძველი ანუ, უფრო სწორად, ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობის ისტორია არც ისე დიდი ხანია, რაც სპეციალისტების კვლევის საგნად გამხდარა. მიუხედავად ამისა უკვე ორი ვრცელი კურსი მოგვეპოვება: ალ. ხახანაშვილისა და პროფ. კ. კეკელიძისა. გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი სერიოზული მონოგრაფიული ნაშრომიც (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ნ. მარის დაუფასებელი ღვაწლი). მაგრამ ეს უდაოდ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დღეს უკვე მიუღებელია კვლევის ყალბი მეთოდოლოგიური საფუძვლების გამო. ფაქტიური მასალების მხრივ კი ეს მემკვიდრეობა სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს“.

რაღა თქმა უნდა, მეცნიერული მემკვიდრეობა აქ ძალზე მკა-

ცრადაა შეფასებული. ეს იყო დროის გარკვეული ხარკი და ჩემი დიდი შეცდომა.

ამასობაში 1935 წელი დადგა. გამოქვეყნდა დისერტაციების დაცვისა და ხარისხების მინიჭების ახალი წესები. ვისაც დოცენტის წოდება ჰქონდა მიკუთვნებული, პირდაპირ იცავდა დოქტორის ხარისხს. 1932 წელს მომანიჭეს დოცენტის წოდება. სადისერტაციოდ წარვადგინე „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“, რომელიც „ნარკვევებში“ იყო დაბეჭდილი. ოფიციალურ რეცენზენტ-ოპონენტებად დანიშნეს პროფესორები კორნელი კეკელიძე და იუსტინე აბულაძე (მაშინ ორი ოპონენტი კმაროდა). ბ-ნმა კორნელიმ მისაყვედურა, ახალი შრომა უნდა წარმოგედგინაო, მაგალითისათვის დამისახელა „შაჰნამეს ქართული ვერსიები“ და „არჩილი“. მე დაჩემებული თემა ვირჩიე. რეცენზენტებმა დისერტაცია საერთოდ დადებითად შეაფასეს, თუმცა ბ-ნ კორნელის შენიშვნები მკაცრი ფორმით იყო გამოთქმული. თანაც ოფიციალური ოპონენტი შრომას მცირე მოცულობისად მიიჩნევდა. მოცულობით იგი თითქოს არ დაიწუნებოდა, ათამდე თაბახს მაინც აღწევდა. ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ მე იძულებული გავხდი ტექსტი შემემოკლებინა თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით (1930 წელს რომ უნდა დაბეჭდილიყო ცალკე წიგნად). მთავარი ის იყო, რომ რეცენზენტი, როგორც ვთქვი, მკაცრად აფასებდა შრომას. კრიტიკულ შენიშვნებს დიდი ფორმატის ნაბეჭდი წიგნის ხუთი გვერდი უჭირავს, დადებით კი 13 სტრიქონი. დადებით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია შედარებით უფრო წვრილმან მომენტებზე, მაშინ როდესაც სრულიად არაფერია ნათქვამი სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული უცნობი ვერსიის (ვახტანგისეული თარგმანის) შესახებ, რამაც ახლებურად გადამაწყვეტინა საკვლევი პრობლემის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ფაკულტეტის დეკანმა ბენიტო ბუაჩიძემ დისერტაციის დაცვა შეაჩერა და რეცენზიაზე პასუხის გაცემა მომთხოვა. პასუხი გაანიხილა საგანგებო კომისიამ (ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ლეონ მელიქსეთბეგი). კომისიის დასკვნის შედეგად დაცვა დაინიშნა 1936 წლის 5 მარტს (დაცვის მომზადება ძალზე გაჭიანურდა). დაცვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრი მოელოდა, რომ მოწაფესა და მასწავლებელს, ჩემსა და ბ-ნ კორნელის, შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდებოდა. ნამდვილად ასე არ მოხდა. ბ-ნმა იუსტინე აბულაძემ იმთავითვე აშკარად კეთილგანწყობილებითი ტონი

აიღო. პროფესორ აბულაძის სიტყვებმა გამუხტა დაძაბულობა და პაექრობას შედარებით მშვიდი ხასიათი მიეცა. არც ბ.-ნ კორნელის გამოსვლა იყო გამომწვევი, რიგი შენიშვნა მან გამოტოვა, თუმცა ზოგი შენიშვნის კილო კვლავ ზომაზე მკაცრი იყო. ამჟამად ბ-ნ კორნელის რეცენზია გამოქვეყნებულია (კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 38—43). მე უკვე მქონდა შემთხვევა ამის თაობაზე აღმენიშნა: „ახლახან გამოვიდა კორნელი კეკელიძის «ეტიუდების» მეათე წიგნი, რომელიც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა. წიგნში შეტანილია 1935 წლის 6 ივნისით დათარიღებული რეცენზია კ. კეკელიძისა ჩვენს გამოკვლევაზე ქილილა და დამანას შესახებ. თავის რეცენზიაში კ. კეკელიძე ავითარებს პრინციპული ხასიათის რიგ ისეთ მოსაზრებას, რომლებიც შემდეგ მან თვითონ უარყო. ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია კ. კეკელიძის ადრინდელი (დაუბეჭდავი) რეცენზიის უკომენტაროდ პუბლიკაცია. ამ პუბლიკაციით უგულებელყოფილია ავტორის საბოლოო თვალსაზრისი ქილილა და დამანას ქართული ვერსიების ირთულ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებზე ზოგადოდ, კერძოდ კი მისი შეხედულება ჩვენს ნაშრომზე“ (ნარკვევები, V, 1971, გვ. 337). აქვე დავძენ, რომ ჩემი პირველი „ნარკვევები“, სადაც დაიბეჭდა გამოკვლევა „ქილილა და დამანას“ შესახებ, 1945 წელს ხელახლა გამოვეცი საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებულ-შესწორებული სახით, თუმცა „ქილილა და დამანას“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისათვის ხელი სრულიად არ მიხლია, მხოლოდ სტილისტურ-რედაქციული „ჩალხი გავკარი“. კ. კეკელიძის იმავე „ეტიუდებში“ შესულია ჩემი „ნარკვევების“ შეფასება ბ-ნ. კორნელის მიერ, სადაც აღნიშნავს, რომ წიგნი „ერთერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც კი შეემატა ჰუმანიტარულ ქართველთმცოდნეობას უკანასკნელი წლების მანძილზე“ (ეტიუდები, X, გვ. 133). 1945 წლიდან უნივერსიტეტში საუკეთესო სამეცნიერო შრომებისათვის დაწესდა ყოველწლიური ორი პრემია (პირველი და მეორე პრემიები). ბ-ნ კორნელის წარდგინების საფუძველზე იმ წელს პირველი პრემია მომენიჭა სწორედ „ნარკვევების“ დამოწმებული წიგნისათვის.

აქ უადგილო იქნებოდა დისერტაციის დაცვის თაობაზე სპეციალური მსჯელობა. მინდა შევეხო მხოლოდ კ. კეკელიძის რეცენზიის ერთ საკითხს. გამოკვლევაში მე ვამტკიცებდი, რომ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი S — 31 უნდა ყოფილიყო სულხან-

საბა ორბელიანის ავტოგრაფი (მანამდის სულხან-საბას ავტოგრაფი ცნობილი არ იყო). ეს ხელნაწერი თავის დროზე ხელთ ჰქონდა „ქილილა და დამანას“ პირველ გამომცემელს ილია ჭყონიას, მაგრამ რედაქტორ-გამომცემელმა მისი ფასი ვერ გაიგო, მან უპირატესობა მისცა კაიხელად გადაწერილ ხელნაწერებს. S—31 ხელნაწერის ტექსტი ნასწორებია, ბევრი ადგილი გადახაზულ-გადაშლილია, შიგადაშიგ ჩაწებებულია ქაღალდის ცალკე ნაჭრები ახალი ტექსტებით. მზის სინათლეზე კარგად იკითხება ნაჭრების ქვეშ მოქცეული თუ „დამარხული“ ნაწყვეტები. ამ „დამარხულმა“ ფრაგმენტებმა კი მიმაგნებინა „ქილილა და დამანას“ მანამდის უცნობი შესანიშნავი თარგმანი, რომელიც პირადად ვახტანგ მეექვსეს შეუსრულებია. ჩემთვის ავტოგრაფულად საგულვებელ S — 31 ხელნაწერში მოიპოვება ანონიმურად მიჩნეული ანდერძი, სადაც მოთხრობილია „ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია და სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ურთიერთობის ფრიად საინტერესო ამბები. S — 31 ხელნაწერში ეს ანდერძი დასათაურებულია „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა დიდად შეჭირვებულ შეღონებულისა“. ტექსტში სახელი სულხან ორჯერ წერია. მთელი სათაური გადახაზულია (გადაშლილია), მაგრამ თავისუფლად იკითხება. ეტყობა, საბა მორიდებია თავისითავის დასახელებას და სათაურის ტექსტი მოუხსნია. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა S — 31 ხელნაწერის მნიშვნელობა. იქ დასახელებული აღმოჩნდა ანონიმურად ცნობილი შესანიშნავი ანდერძის ნამდვილი ავტორი. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში (თბილისი, 1924, გვ. 310) კ. კეკელიძე ამ ანდერძს „შემდეგი დროის ინტერპოლაციად“ თვლიდა. ჩემი სადისერტაციო შრომის რეცენზიაშიც იგი ბეჯითად უარყოფდა S — 31 ხელნაწერის ავტოგრაფობას და შენიშნავდა: „მთავარი ისაა, რომ, თუ ხელნაწერი S — 31 მართლა საბას ავტოგრაფია, ეს ჩასცემს ლახვარს წამოყენებულ მოსაზრებას... სახელი «სულხან» ორჯერ ყოფილა გამეორებული ორიგინალში; ნუთუ საბამ თავისი სახელი სწორად შეუმცდარად და გაუმეორებლად ვერ დაწერა?“ (ეტიუდები, X. 41. ხაზი ჩვენია — ა. ბ.). როდესაც ეს შენიშვნა ბ-ნმა კორნელიმ ენერგიული კილოთი გაიმეორა დისპუტზე (დააკვირდით — „ეს ჩასცემს ლახვარს წამოყენებულ მოსაზრებასო“), აკაკი შანიძემ ვერ მოითმინა და ადგილიდან შეესიტყვა: „სულხან რომ ორჯერ წერია და ორჯერვეა გადახაზული. ეს სწორედ ტექსტის ავტოგრა-

ფულობას ამტკიცებსო, საბა ყოყმანობდა, შეეტანა თუ არა ტექსტში თავისი სახელი, დაწერა — წამალა, ისევ დაწერა და ისევ წამალაო". ა. შანიძის შენიშვნაზე ბ-ნ კორნელის არ უპასუხნია. გამოქვეყნებულ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ანდერძის ავტორი საბა არ არის, „ის ვიღაც სხვა, არც ისე ორიენტირებული „პარია (ეტიუდები, X, 41). „ქართული ლიტერატურის ისტორიის" უკანასკნელ, მეოთხე გამოცემაში (თბილისი, 1958, გვ. 455) ამ ანდერძს კ. კეკელიძე უკვე საბას მიაწერს[4].

„ქილილა და დამანაზე" ყველა ჩემი ძირითადი დებულება შემდეგდროინდელმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა. საგულისხმოა, რომ მაგალი თოდუამ ცოტა წიგნი მიუძღვნა „ქილილა და დამანას" საბასეულ ვერსიას (თბილისი, 1967, 346 გვ.) და ამ წიგნში აღნიშნა, რომ ჩემმა გამოკვლევამ „მთელი ეპოქა შექმნა ამ ძეგლის შესწავლის საქმეში" (გვ. 84). მეორე ცნობილი ირანოლოგი დ. კობიძე მ. თოდუას შრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში წერს: „არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიების შესახებ არსებობს მეორე, უდავოდ დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც აღნიშნული თხზულების ვერსიების ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას წარმოადგენს. იგი ალ. ბარამიძეს ეკუთვნის. მასში ბევრი საკითხია აღძრული და გადაჭრილი. მარტო ის რად ღირს აღნიშნოს. რომ ავტორის მიერ აღმოჩენილი და კვლევის არეში იქნა მოქცეული ვახტანგისეული რედაქცია. გარემოება. რამაც შეცვალა მანამდე არსებული მთელი რიგი შეხედულებანი. მ. თოდუა ალ. ბარამიძის გამოკვლევას უწოდებს „მთელი ეპოქის შემქმნელს" ამ ძეგლის შესწავლის საქმეში (გვ. 84) და იგი მართლაც არის ასეთი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ დასახელებული ნაშრომი თავის დროზე რატომღაც მართებულად ვერ შეაფასეს ისეთმა დიდმა მკვლევარებმა, როგორიც კორნელი კეკელიძე და იუსტ. აბულაძე იყვნენ. დღეს ეს გაუგებრობა გადალახულია და ალ. ბარამიძის გამოკვლევას შესაფერისი ადგილი აქვს მიკუთვნებული"[5].

[4] იხ. აგრეთვე „ეტიუდები", VIII, თბ., 1962, გვ. 305; „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომი, რომელიც გამოსცა ლიტერატურის ინსტიტუტმა (თბილისი, 1966, გვ. 464).

[5] დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 332 (დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემ გამოკვლევამდის სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი ცნობილი არ იყო. S — 31 ავტოგრაფობამ კი მიმაგნებინა საბას ავტოგრაფული ლექსიკონები (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 109—114). საბას რამდენიმე ავტოგრაფული მინაწერი ვიპოვე ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეულ ხელნაწერში (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 332—336). 1933 წელს საბას ავტოგრაფული ტექსტები გამოავლინა პავლე ინგოროყვამ (იხ. ჩემი „ნარკვევები", III, გვ. 337). სხვათა შორის, აქვე დავძენ, რომ ჩემი თხოვნის თანახმად პავლე ინგოროყვამ, რომელიც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ანუ პალეოგრაფიის განყოფილებას განაგებდა, შეადგინა სპეციალური კომისია (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი), რომელმაც შეისწავლა სათანადო მასალები და საგანგებო აქტით დაადასტურა S — 31 ხელნაწერის ავტოგრაფულობა (ამ აქტის დედანიც ჩემს არქივში ინახება). 1934 წელს ტრიფონ ჯაფარიძემ, ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის გამვემ გამოაქვეყნა სულხანის ერთი მშვენიერი ავტოგრაფულ-აუტობიოგრაფიული ჩანაწერი (გაზ. „სიტყვა და საქმე», 5. 12. 34, ქუთაისი). ე. მეტრეველმა შეისწავლა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი რედაქციის ავტოგრაფული ნუსხა (საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIX — Ბ 1956). ლილი ქუთათელაძემ ძირითადად „სიტყვის კონის" ავტოგრაფები დაუდო საფუძვლად თავის სადისერტაციო შრომას (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957). სულხან-საბას ავტოგრაფები საბოლოოდ ისე დახვავდა, რომ მკვლევრებმა ნებსით თუ უნებლიეთ დაივიწყეს კიდეც ამ საქმის პიონერი მკვლევრის სახელი. ამ მხრივ საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულის IV ტომი. ესაა საბასეული ლექსიკონი (ორ წიგნად). ტომს სატიტულო ფურცელზე აწერია ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ" (თბ. 1965). ამ მარად ჯეთილად სახსენებელი მეცნიერის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ლექსიკონის ახალი გამოცემა ემყარება ცხრა ავტოგრაფულ ნუსხას. ილია აბულაძე ასახელებს და მადლობას უცხადებს ათ მეცნიერ მუშაკს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს წიგნის გამოსაცემად მომზადებასა და გამოქვეყნებაში. ამისდა მიუხედავად, ილია აბულაძე ერთი სიტყვით არ ახსენებს საბას ავტოგრაფების გამოვლენისათვის ეგოდენ დამაშვრალ ამ სტრიქონების ავტორს. თურმე ასეც ხდება.

დასასრულ, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ კ. კეკელიძესაც დასჭირდა ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფს დაჰკითხებოდა. იგი შენიშნავს, „ჩვენ ვიცნობთ ოთხ ავტოგრაფულ ნუსხასო“ და იმოწებს ამ ავტოგრაფების მონაცემებს (ეტიუდები, VIII, გვ. 349).

ჰეშმარიტად, სანთელ-საკმეველმა ღაჯისი გზა არ დაკარგა. ჩემმა გულმა თავის დროზე როგორღაც გაუძლო დიდი მეცნიერის კრიტიკულ ლახვარს. მე არც იმას ვივიწყებ, რომ ცხარე პაექრობის შემდეგ კორნელი კეკელიძემ პირველმა გულწრფელად მომილოცა დოქტორის ხარისხის მონიშვნა. მამა-შვილურად გაღავკოცნეთ ერთმანეთი. ამ დროიდან მოკიდებული ჩვენი კეთილ-მეგობრული ურთიერთობა გაღრმავდა და განმტკიცდა.

„ქილილა და დამანაზე“ რომ საუბარს მოვრჩე, კიდევ უნდა მოვიგონო ერთი საკმაოდ კურიოზული ეპიზოდი. 1959 წელს სრულდებოდა სულხან-საბა ორბელიანის დაბადების მე-300 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა გამოსულიყო მისი თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. შეიქმნა ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგია (ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე. გ. ლეონიძე, ა. შანიძე). თვითოეულ ტომს მიეჩინა შემდგენელი და რედაქტორი. მეორე ტომი დაეთმო „ქილილა და დამანას“ („ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციას). ტექსტის გამოსაცემად მომზადება და რედაქტირება დაგვევალა მე და ელენე მეტრეველს. ზოგიერთმა მწერალმა ვიქტორ გაბესკირიას მეთაურობით განგაში ატეხა. საბა არაფერ შუაშია, „ქილილა და დამანა“ ვახტანგს ეკუთვნისო.

„მნათობის“ რედაქციამ მომთხოვა განმარტება. ეს განმარტება გამოვაქვეყნე (ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო, „მნათობი“, 1960, № 7, 177—178). წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „მ ნ ა თ ო ბ ი ს“ რედაქციაში შემოვიდა რამდენიმე პირის შეკითხვა: თუ რატომ არის შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში «ქილილა და დამანა», რომელიც მკვლევრების აზრით საბას ნაშრომს არ წარმოადგენს. ამ საკითხის გამო რედაქციამ მიმართა პროფ. ალ. ბარამიძეს, რომლის განმარტებას აქ ვბეჭდავთ“. ეტყობა, ამ განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა საკითხით დაინტერესებული პირები. დისკუსია გაგრძელდა. მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოვიდა სპეციალური განცხადებით („ლიტერატურული გაზეთი“, 28. IV. 61). განცხადებამ ვერ დააცხრო ვნებათა ღელვანი. ვ. გაბესკირიამ მკვახე პასუხი დასტამ-

ბა — „ერთი განცხადების საპასუხოდ“ (ლიტერატურული გაზეთი, 5. V. 61). დისკუსიაში სხვებიც ჩაებნენ, კერძოდ, ელენე მეტრეველი და ალ. გვახარია. „დროშაში“ (1961, № 3) დაიბეჭდა ალ. სიგუას ხელმოწერით არაკვალიფიციური, მაგრამ უაღრესად აგრესიული სტატია „ვინ არის ქილილა და დამანას“ მთარგმნელი?“ მე კვლავ მომიხდა ახალი განმარტების დაწერა: — „ქილილა და დამანას“ ახალი გამოცემის გამო. წერილი რედაქციას („მნათობი“, 1961, № 11, გვ. 180—181). «მნათობის» რედაქციამ ამ წერილით საზღვარი დაუდო დისკუსიას და საგანგებო შენიშვნა დაურთო ჩემ წერილს: „ჟურნალ მ ნ ა თ ო ბ ი ს 1961 წლის № 3-ში გამოქვეყნდა ვ. გაბესკირიას წერილი «ქილილა და დამანას» გარშემო. წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა და «ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გაიშალა საინტერესო კამათი. ამ კამათს ჰქონდა გარკვეული დადებითი მნიშვნელობა.

რედაქციას საკითხის მართებულ გადაწყვეტად მიაჩნია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორის ალ. ბარამიძის განცხადება იმის შესახებ რომ «ამჟამად საბჭოთა საქართველო სცემს ამ რედაქციის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილ ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლიტერატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი».

რედაქცია ამით კამათს ამოწურულად თვლის“.

ჩანს, მნათობის რედაქციის დასკვნამაც ვერ დააკმაყოფილა დისკუსიის ყველა მონაწილე. ზოგმა მათგანმა უკუღმართ ხერხს მიმართა, დაბეზღებასა და ცილისწამებას. ასე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე შევიდა განცხადება 1962 წლის 22 ივნისის თარიღით. განცხადების პირველსავე აბზაცში იკითხება: „ქართული კულტურის დიდი მოამაგის ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანისათვის არავის არ მიუყენებია ისეთი შეურაცხყოფა, როგორც მათ მიაყენეს ალ. ბარამიძემ და ელ. მეტრეველმა“. განცხადებაში მოკლედ და ძალზე ტენდენციურად (ლანძღვა-გინებით!) გადმოცემულია დისკუსიის შინაარსი და ბოლოს აღნიშნულია: „ვახტანგისათვის ავტორობის უფლების წართმევა აღემატება ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის უფლებებს, ვინაიდან ეს არის ჩვენი ეროვნული საქმე და არა რომელიმე კერძო პიროვნების საქმე“.

ცილისმწამებელი ჩივის, თითქოს ჩვენ თვითნებურად მო-

ვეპყარით სხვების მიერ მიკვლეულ თუ აღმოჩენილ დიდებულ ძეგლს, ხოლო „მეცნიერება მეცნიერებაა და არა ლაუ სორტელის ფილოსოფიაო", შეგვაგონებს.

მოჩივარი თხოვს ადრესატს პირადად „ჩაერიოს ამ საქმეში, რათა ვახტანგ VI-ეს დაუბრუნდეს «ქილილა და დამანას» კანონიერი საავტორო უფლება". საჩივარი იხურება ვახტანგის ერთი საწყევარი ლექსით — „არ ვეპრობ, შერჩეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ესე ინება".

ცილისმწამებლის საჩივრის მთელი ტექსტი მე საჯაროდ გამოვაქვეყნე მაგალი თოდუას სადისერტაციო შრომის ოპონირების დროს.

დიახ, „ქილილა და დამანამ" ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.

უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე

1948 წლის ზაფხულში ცოლ-შვილით ვისვენებდი ქვიშხეთში. ივლისი იწურებოდა, რომ თბილისიდან მივიღე ელეგრამა: „სასწრაფოდ ჩამოდი თბილისში მირგოროდში გასამგზავრებლად უკრაინის მინისტრთა საბჭოს მიერ გურამიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოტანილი დადგენილების გამო. საკითხი გადაწყვეტილია. ვიცე-პრეზიდენტი შანიძე". დეპეშას თარიღად ჰქონდა 27 ივლისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის ბ-ნ აკაკი შანიძის დეპეშის ენერგიული კილო აღარ მაძლევდა ყოყმანისა და დაყოვნების უფლებას. იმ დღესვე, საღამოს თბილისში გავჩნდი. გამოირკვა, რომ მირგოროდში მიემგზავრებოდა მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია: შალვა დადიანი (მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი). კრიტიკოსი ლევან ასათიანი და მე.

საქმე ის იყო, რომ იმ ხანად უკრაინელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა მოიპოვა შესანიშნავი დოკუმენტი დავით გურამიშვილის გარდაცვალების თაობაზე — მირგოროდის მიძინების სამრევლო ტაძრის მიცვალებულთა მეტრიკული წიგნი. წიგნის თანახმად, დავით გურამიშვილს ზიარება მიუღია მიძინების ტაძრის მღვდელ რომან შაფრანოვსკისაგან და გარდაცვლილა 1792 წლის 21 ივლისს (ძველი სტილით, ანუ 1 აგვისტოს ახალი სტილით). ამით აშკარა გახდა, რომ გურამიშვილი დასაფლავებული უნდა ყო-

ფილიყო სამრეველო ტაძრის (ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის) ეზოში. მალე მოიძებნა პოეტის საფლავიც (მანამდის უცნობი იყო გურამ-შვილის აღსრულების თარიღიც და მისი საფლავის ადგილმდებარეობაც). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, 1949 წლის აგვისტობი გურამიშვილის საფლავზე დადგმულიყო ძეგლი. გურამიშვილის გარდაცვალების თარიღისა და საფლავის აღმოჩენის სასიხარულო ამბავი თბილისში ჩამოიტანა თვითონ კოსარიკმა. თავის მხრით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულობით მწერალი დმიტრო კოსარიკი და მირგოროდის მკვიდრი ათანასე ლუკას ძე მალიარი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით. დავით გურამიშვილის შესახებ ძვირფასი ბიოგრაფიო მასალების მოპოვებისა და მისი საფლავის მიგნებისათვის. ყოველივე აღნიშნულის გამო ჩვენს სადირექტივო ორგანოს გადაეწყვიტა მირგოროდში მწერალთა და მეცნიერთა დელეგაციის მივლინება (დმიტრო კოსარიკის თანხლებით).

29 ივლისს, ადრე დილით, გავფრინდით მირგოროდისაკენ. თვითმფრინავმა ხარკოვში ჩამოგვსვა. მირგოროდის მიმართულებით იმ დღეს, საღამომდის, არც თვითმფრინავი იყო და არც მატარებელი. იქ კი გველოდნენ. გამოსავალი ისევ კოსარიკმა გამონახა. იგი ტელეფონით დაუკავშირდა კიევის სამხედრო ოლქში გენერალ ვასილ მჟავანაძეს, აუხსნა საქმის ვითარება და დახმარება თხოვა. მჟავანაძემ არ დააყოვნა და სულ მალე ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა სამხედრო თვითმფრინავი (ბომბდამშენი), რომელმაც რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში მირგოროდის მახლობლად მდებარე რომელიღაც აეროდრომზე ჩაგვსხა. აეროდრომის პატარა ავტობუსმა კი მირგოროდის ცენტრში მიგვიყვანა. ჯერ კიდევ ადრე იყო. ბინა გამზადებული დაგვხვდა მირგოროდის სამკურნალო წყლების სანატორიუმის ერთ-ერთ კოტეჯში. საღამოს მიგვიპატიჟეს კულტურის სახლში. სახლის თვითმოქმედმა გუნდმა გაგვიმართა სახელდახელო კონცერტი. მოვისმინეთ უკრაინული საამო ხალხური სიმღერები. კარგად შეასრულეს ჩვენი „სულიკო“ და „ციცინათელა“. გახურდა ცეკვა. გვიან დავბრუნდით ჩვენს სადგომში და მეორე დღის სამზადისს შევუდექით.

მეორე დღეს, 30 ივლისს, 12 საათისათვის დანიშნული იყო მიტინგი გურამიშვილის საფლავზე. დილით შევიარე საპარიკმახეროში პირის გასაპარსავად. უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ხალხი სადღაც გაფაციცებით მიეშურებოდა, მიჰქონდათ დროშები, ტრანსპარანტები, პლაკატები. საპარიკმახერო

თითქმის ცარიელი იყო. ერთმა ოსტატმა მეორეს გადაულაპარაკა: ხედავ რა ამბავია? ქართველები ჩამოსულან და ეკლესიის ეზოში მათი პოეტის, გურამიშვილის საფლავზე მიტინგია დანიშნული. რად არ დაგვიძახეს? საგიტაციო კრებას ხომ არ შეგვარჩენენ! მე გატრუნული ვუსმენდი ოსტატების საუბარს. აი, თურმე, როგორ აფასებენ უკრაინაში ჩვენს დიდებულ, ეროვნულ პოეტს.

მანქანებმა მოგვაკითხა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელთა თანხლებით მიძინების ძველი ტაძრისაკენ გავეშურეთ. ტაძარი მდებარეობს ქალაქის განაპირას, სოროჩინცებისა და პოლტავის ქუჩების გზაჯვარედინზე. ვუახლოვდებით დანიშნულების ადგილს და მღელვარება მატულობს. ყველანი ჩუმად ვართ, ფიქრები გურამიშვილის გარშემო ტრიალებს. შორიდან გამოჩნდა ეკლესიის შენობა. ეკლესიის ეზო და ახლო-მახლო მიდამოები ხალხითაა სავსე. ალბათ. აქაა პოეტის სავანე, გავიქეცი გულში და მანქანებიც გაჩერდნენ. ნერვულმა დაძაბულობამ და უჩვეულო მღელვარებამ დამძლია. ბუნაბში ვარ. მაგონდება: ნიკო მარმა იერუსალიმში მოიპოვა ქართული მწერლობის უშესანიშნავესი ძეგლი X საუკუნისა, გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. იმგზავრა კლარჯეთსა და შავშეთში. დიდი რუდუნებითი ძიების შემდეგ მიაგნო ხანძთას, იშხანს, მიძნაძორს, შატბერდს და ქართული კულტურის სხვა რიგ სავანეს. განსაკუთრებული აღტყინებით ეძებდა მეცნიერი შატბერდს, გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ ამ საკვირველ მონასტერს, სადაც თავის დროზე ყვაოდა მწერლობა. იქაა შექმნილი ჩვენ დრომდე მოღწეული უნიკალური «შატბერდის კრებული“, მიქელ მოდრეკილის მიერ შედგენილი საგალობლების უზარმაზარი წიგნი... უჩვეულო მღელვარებით უახლოვდებოდა მარი შატბერდის შელახულ კედლებს, სახელოვანი მეცნიერი თითქოს აწმყოს აღარ ეკუთვნოდა, ფიქრებით IX—X საუკუნეებში იყო გადაკარგული. „В гостях у Григория Хандзтийского“, გაუელვა თურმე მარს გულში, არც ის გამიკვირდებოდა ხორცშესხმული ცოცხალი გრიგოლი რომ შემხვედროდა წინო. „Я с наслаждением перестугал порог ворот, на душе было хорошо, и я до слез был растроган при мысли, что вступаю в интимный уголок древних тружеников просвещения“, წერს მარი. მაგრამ ვაგლახ, განაგრძობს, ჩემი აღტაცებული განწყობილება გაიფანტა, „и я пришел в неописуемое раздражение, когда увидел, что двор Шатбердской церкви сделан конюшнею, местом свалки нечистот“. თვით წმინდა ტაძარი და მისი საკურთხეველი სიბინძურით ყოფილა შებილწული.

დიახ, მაგონდება მარის ისტორია და მეც გულში ვიმეორებ «в гостях у Давида Гурамишвили, в гостях у Давида Гурамишвили». გურამიშვილის სტუმრად მოვსულვართ შორეული ქართლის ქვეყნიდან მისი თანამემამულენი. მისი ჰირისუფალნი. უცხოეთში გადაკარგული პოეტი ვწარედ ჩიოდა, „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა?“ არა, შენ ცდები, დიდო მგოსანო, — ქართლში, კახეთში, საგურამოში, ლამისყანაში, მთაში თუ ბარში, სოფლად თუ ქალაქად, სკოლის ასაკის ყმაწვილები და გოგონები, კოლმეურნეები, მუშები, სტუდენტები, მწერლები, მეცნიერები, — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, — ყველანი და ყველგან გატაცებით კითხულობენ და იზეპირებენ „დავითიანის“ მშვენიერ ლექსებს. სამშობლო როგორ დაივიწყებს ეგოდენ ამაგდარ პოეტს! მისი სახელი უკვდავია ერის ხსოვნაში. აი, მოვსულვართ კიდეც, რომ თაყვანი ვცეთ შენს წმინდა საფლავს... ყველაფერმა ამან წამიერად გამიელვა გულში. ოღონდ, თუ გაოგნებულ მარს მის საოცნებო შატბერდში შმორის სუნი და ფინთის გუნდები დახვდა, ჩვენ შემოგვეგება ზღვა ხალხის ანთებული თვალები და გულწრფელი, ღრმა სიყვარული.

ხალხის თავყრილობა ორად გაიპო. იქით და აქეთ ჩაჭრიალდნენ გოგონები და ბიჭუნები თაიგულებით ხელში, გზა გაგვიხსნეს საფლავისაკენ. წამოვიდა ყვავილების სეტყვა და გაისმა ტაშის გრიალი. ჩვენ გაოგნებული მივდიოდით და მივთელავდით ყვავილებით დახერგილ ბილიკს. მეც ნამდვილად მეჩვენებოდა, რომ წიხ ღიმილით გველოდებოდა ხორცშესხმული, ცოცხალი გურამიშვილი. მართლაც-და, სახელდახელოდ გაკეთებულ, თუ იმპროვიზებულ ტრიბუნიდან ჩვენ შემოგვყურებდა ჭაბუკი გურამიშვილის დიდრონი თვალები როინიშვილის ცნობილი ფოტო-სურათისა.

ავედით ტრიბუნაზე. ტაშმა შეძრა იქაურობა. მიტინგი გახსნა მირგოროდის რაიკომის მდივანმა ამხ. მაიბოროდამ. მან დამსწრეთ აუწყა, რომ მოძმე საქართველოდან ჩამოვიდა მწერალთა დელეგაცია, რათა პატივი სცეს თავის დიდ თანამემამულე პოეტ გურამიშვილს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში და აქვეა დასაფლავებული მისი ნეშტი. დღევანდელი მიტინგი ეძღვნება გურამიშვილის დაკარგული საფლავის აღმოჩენას და ქართული დელეგაციის ჩამობრძანებასო. თავმჯდომარე მხურვალედ მოგვესალმა და სიტყვა მისცა ჩვენი პატარა დელეგაციის მეთაურს, ბ-ნ შალვა დადიანს. ისევ იგრიალა ტაშმა. წინ არტისტულად წამოდგა ლამაზი, ახოვანი, მხარ-ბეჭიანი, ხუჭუჭა ჭაღარით დამშვენე-

ბული სანდომიანი კაცი, რომელმაც ქესტით გამოხატა მისალმება, ჩვენ გვანიშნა საქმეს შეუდექითო, თვითონ წამოიჩოქა და მშვიდობით დაიქუხა ქართულ ენაზე: დიდო დავით, ქართველის ჭირი მოსპობილია, შენი სამშობლო თავისუფალია ყოველგვარი კირთებისაგან, თავისუფალია შენი მეორე სამშობლოც, შენდამი გულისხმიერი დიდი უკრაინა. გიხაროდენ, გიხაროდენ, დიდო დავით!

ჩვენს დელეგაციას პატარა პარკით წამოღებული ჰქონდა ოთხი მუჭა ქართული მიწა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან. გვქონდა დაფნის დიდი გვირგვინიც, რომელიც საგანგებოდ გაგვიწყო თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა (ნიკო კეცხოველის წინადადებით). ბ-ნ შალვას რომ სიტყვა მისცეს, ჩვენ ტომსიკა შემოგვაჩეჩა. მე და ლევანი ტრიბუნიდან ძირს ჩამოვედით, გვირგვინი საფლავის თავზე მოვათავსეთ, ხოლო საფლავზე მოვაფრქვიეთ უკვე მტვრად ქცეული მთაწმინდის მიწა. ეს იყო დიდებული, განუმეორებელი და დაუვიწყარი წამი. სამი ქართველი ინტელიგენტის სახით მშობლიური ქვეყანა უზომო სიყვარულს უმჟღავნებდა თავის სასიქადულო შვილს და სიმბოლურად ხელახლა აბარებდა მიწას მის ნეშტს. ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დაძაბული ყურადღებით შეცქეროდა ამ საოცარ სანახაობას, აქა-იქ მხოლოდ ქალების ზლუქუნის ხმა გამოისმოდა. შემდეგ ისევ წამოიწყეს ერთსულოვანი ტაში, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადაიზარდა, წამოვიდა ყვავილების ახალი ტალღა (მაინც სად იყო ამ, შედარებით მცირე ქალაქში ამდენი ყვავილი, ამდენი დროშა, ამდენი ხალხი!).

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს დმიტრო კოსარიკმა, გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოხუცმა მასწავლებელმა კოზუტამ, პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანმა ე. ვოლგინმა, ლევან ასათიანმა და ამ მოგონებების ავტორმა. ამხ. ვოლგინმა განაცხადა, რომ საქართველოდან ჩამოსული სტუმრების საპატივსაცემოდ გურამიშვილის დღეები გაგრძელდებაო პოლტავაში. ლ. ასათიანმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება დმიტრო კოსარიკისა და ათანასე მალიარის საპატიო სიგელებით დაჯილდოვების თაობაზე. მანვე საზოგადოებას აუწყა, რომ სწორედ ახლა, როცა მირგოროდში ვზეიმობთ გურამიშვილის ხსოვნის დღეს, დაბა სურამში, იქ, სადაც აღესრულა დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, საზეიმოვე ვითარებაში მი-

დინარეობს მისი გარდაცვალების 35-ე წლისთავის აღნიშვნა. ორივე განცხადებას საზოგადოება დიდი კმაყოფილებით და ვაშას შეძახილებით შეხვდა. ჩემს სიტყვაში მოკლედ შევეხე გურამიშვილის მნიშვნელობას ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში და მადლობა მოვახსენე უკრაინელ ხალხს ჩვენი პოეტის ღვაწლის დაფასებისა და მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

მიტინგი დამთავრდა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ჩვენ კი გავუდექით გზას სოფელ ზუბოვკისაკენ, რომელიც მირგოროდიდან 10 კილომეტრით არის დაშორებული. ზუბოვკაში იყო გურამიშვილის სამფლობელო მამული. ამ უჩინარი სოფლის სახელი ქართველმა პოეტმა სამუდამოდ უკვდავყო სიტყვიერი ხელოვნების ისტორიაში თავისი მშვენიერი ლექსით „სიმღერა დავითისა ზუბოვკა“.

იმ ადგილას, სადაც სოროჩინცების (გოგოლის სოროჩინცების!) შარაგზიდან ზუბოვკისაკენ მიმავალი სოფლის გზა უხვევს, გზის მახლობლად თვალუწვდენელ ტრიალ მინდორში აღმართულია ძველი ყორღანი. დ. კოსარიკის ვარაუდით, სადღაც აქ, ყორღანის მიდამოებში, უნდა გაკვანძულიყო ის ტრაგიკული ამბავი, რომელიც ასე გრძნობიერად აქვს აღწერილი პოეტს „ზუბოვკაში“. მანქანებს ვტოვებთ და ყორღანის წვერზე ავდივართ. ირგვლივ შორს, თვალის საწიერზე ბიბინებს წიწიბურას („გრეჩიხას“) და ჰარხლის ნათესები. კოსარიკმა აიტეხა, აქ, ყორღანზე, უნდა მოვისმინოთო „ზუბოვკა“ ქართულად. საბედნიეროდ, მე ზეპირად მახსოვდა ამ გახმაურებული ლექსის ტექსტი და, რამდენადაც შემეძლო, გამომეტყველად წარმოვთქვი:

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი.
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემომუსრა ძვალი.

ნიავი საამოდ ჰქროდა და შორს გაჰქონდა გურამიშვილის მელოდიური ლექსის წარმტაცი ჰანგი. ალბათ ყორღანის შემოგარენი გურამიშვილის შემდეგ პირველად შეარხია ქართულმა ბგერამ.

ზუბოვკის მცხოვრებმა ორმა მოხუცმა თავკაცმა სოფლის საბჭოსთან მოგვართვა პურ-მარილი. ჩვენ სასოებით ვემთხვიეთ დედაპურს, ცოტა მარილი მოვაყარეთ და პურის ნატეხს გემო გავუშინჯეთ. მოსწავლეებმა და პატარა ბავშვებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მოგვიძღვნეს. სოფლის საბჭოში გაიმართა ცხოვე-

ლი საუბარი გურამიშვილის შესახებ და სოფლის ცხოვრების თაობაზე. გურამიშვილის სახელი იქ ძალიან პოპულარულია. სიამაყის გრძნობით მოგვითხრობენ, რომ დიდი ქართველი პოეტი მეომარი გახდა სოფლის მკვიდრი, იქ ჰქონდა მამული, რომელსაც სათუთად უვლიდა და გლეხობის გულშემატკივარი იყოო. ყველამ კარგად იცის „ზუბოვკაში“ გაჩხელილი სიყვარულის ამბავი. ბევრი ლეგენდაა გავრცელებული პოეტზე, ზოგიც ახლა ითხზვება. სოფლის საბჭოდან გავწერეთ ხოროლისაკენ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა განიერი, ლაქაშებიან-შამბნარიანი მშვიდი, უშფოთველი, მდორე მდინარე. ხოროლზე ძნელია კაცმა თქვას მდინარეაო. ისე ნელად და ზანტად მიედინება, ნაპირები დაჭაობებული აქვს. არა, ხოროლი არაფრით ჰგავს გიჟმაჟ და დაუდეგარ არაგვს, ხოროლის ლაქაშებიანი ნაპირებიც არაფრით ჰგავს არაგვის ატეხილ ჭალებს. ხოროლის გალმა გაშლილი. თავისებურად ლამაზი თვალუწვდენელი სტეპიც სრულიად არ წააგავს გურამიშვილის მშობლიური კუთხის უცხოდ მოხატულ ბუნებას, მუხრანის ვაკეს, ზედაზნის კალთებს, კავკასიონის ბუმბერაზ მთაგრეხილს. „საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული, მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული, სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული“ პოეტი ბედმა აქ მოიყვანა, აქ გაუჩინა ბინა, აქ დაასახლა. ბოლოს და ბოლოს პოეტი ასე თუ ისე შეურიგდა თავის ხვედრს, სახლ-კარს მიხედა, ხვნას და თესვას შეუდგა, ქერი და ფეტვი ბევრი მოიყვანა, მაგრამ ენატრებოდა მშობლიური მჭადის ნატეხი. პოეტურ შემოქმედებასა და სამეურნეო შრომას გურამიშვილი უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ერთგვარ სამეცნიერო საქმიანობას. მირგოროდსა და ზუბოვკაში პოეტს შეუდგენია წყლის წისქვილის პროექტი და წყლის ასამაღლებელი დანადგარის ნახაზები. გურამიშვილის გამოგონებანი გამიზნული იყო გვალვის და ზოუსავლიანობის საწინააღმდეგოდ, „მალოროსიელი“ გლეხკაცის ცხოვრების გაადვილებლად. ჩვენ არ ვიცით, რა პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო ამ გამოგონებებმა, მაგრამ პოეტს რომ მიზანი წმინდა ჰქონდა, ეს აშკარაა. ზუბოვკელმა მოხუცმა კოლმეურნეებმა ჩვენი ყურადღება მიაქციეს ხოროლის წყალში მდგარ ორ ობოლ სვეტს. მათი სიტყვით, ისინი თითქო გურამიშვილის წისქვილის გადმონაშთია...

ხოროლის ნაპირებზე გაგრძელდა სოფლსაბჭოში შეწყვეტილი საუბარი გურამიშვილის თავგადასავალზე, სოფლის ჭირ-ვარამზე, საკოლმეურნეო ცხოვრების ვითარებაზე. მოგვიყვანეს იქაური

ქართველები, უკრაინელი ქართველები. ზოგის გვარს წარხოცილი აქვს ქართული იერი — ბალიბა, რეგედა, საგინაზ... ნამდვილ ქართულ გვარს ატარებს მშვენიერი თვალ-ყურუნა გოგონა ლიდა ოდიშელიძე. მე შევნიშნე, რომ უფრო სწორი იქნებოდა ფორმა ოდიშელიძე, რომელიც წარმოდგება სიტყვისაგან ოდიშელის — ძე. ე. ი. თქვენი წინაპარი-თქო, ავუხსენი გოგონას, უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოდან, ოდიშიდან (სამეგრელოდან). ეს „ლინგვისტური“ ექსკურსი ლიდასაც მოეწონა და ჩვენ კოლეგებსაც. გათამამებულმა დმიტრო კოსარიკმა დაურთო, მე მგონია, რომ ქართული წარმოშობისაა მიკოლა ბაჟანის გვარი. სიტყვა „ბაჟან“-ის ახსნა უკრაინულ ნიადაგზე არ ხერხდება, ეს უნდა მომდინარეობდეს ქართული საკუთარი სახელისაგან ბეჟანიო. შემდეგ ეს ვუამბეთ მიკოლას, გაიცინა, შეიძლება მართლაც ასე იყოსო და მით უკეთესიო, დაუმატა. ერთი სიტყვით, ლინგვისტურმა დისკუსიამ ნაყოფი გამოიღო.

სადილად მიგვიწვიეს კოლმეურნეობა „ჩერვონნი პარტიზანის“ თავმჯდომარის ამხ. ბარდოლას ოჯახში. უკრაინული გემრიელი საჭმელებით მოკაზმული სუფრა გაშლილი დაგვხვდა. კარებთან შემოგვეგება და სუფრაზე მიგვიწვია გარეგნულად ფრიად სიმპათიურმა, მკვირცხლმა, მხიარულმა დიასახლისმა ჰანნა იაკოვლევნამ. დაღლილებიც ვიყავით, მოშივებულებიც. საჭმელს მივეძალეთ, დიასახლისი გვაქეზებდა (გამახსენდა „ხანძს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“), შემოჰქონდა ახალ-ახალი კერძები. უხვად იყო უკრაინული განთქმული არაყი „პერცოვკა“, ოდნავ მოვსვი სირჩა, ყელი დამეწვა, მყისვე შევეშვი, ლევანი ერთხანს სვამდა, ბოლომდე ვერ გაუძლო, სამაგიეროდ „პერცოვკამ“ დიდი სიამოვნება მოჰგვარა ბ-ნ შალვა დადიანს, განუწყვეტლად და ბევრს სვამდა, თუმცა ოდნავი სიმთვრალე არ დატყობია (ოლონდ ლაპარაკს მადა გაუღვივდა). ლევანმა იხუმრა, ბ-ნ შალვას კუჭი მოკალული აქვს და ამიტომაც სასმელს ადვილად იტანსო. პურობა დიდხანს გაგრძელდა. ბევრი სადღეგრძელო შეისვა და კეთილი სიტყვა ითქვა. უკრაინულმა სიმღერებმაც დაგვატკბო. მზე გადაწურული იყო, რომ გამოვემშვიდობეთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს. ღამით დავბრუნდით მირგოროდში.

31 ივლისს დილით მანქანებით ვავემგზავრეთ პოლტავაში. პოლტავა ასიოდე კილომეტრით არის დაშორებული მირგოროდს. ცუდი გზები იყო, ძალზე ცხელოდა, მზე უზომოდ აჭერდა. მტვერმა და სიცხემ შეგვაწუხა. გახურებული ალოობა იყო. იმ

წელს უკრაინამ, საერთოდ, კერძოდ კი პოლტავის ოლქმა მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი მიიღო. ნაშუადღევს ჩავაღწიეთ პოლტავაში. ბინა მიგვიჩინეს საოლქო კომიტეტთან აოსებულ პატარა სასტუმროში. ყველაზე კარგი ის იყო, რომ შემოგვთავაზეს ნელთბილი შხაპი. ნებიერად დავისვენეთ. საღამოს, პარტიული განათლების სახლში, დანიშნული იყო შეხვედრა პარტიულ აქტივთან და ქალაქის ინტელიგენციასთან. მე დამევალა მოხსენების გაკეთება. მომიხდა მოხსენების სქემის შედგენა, მეხსიერებით აღვადგინე საჭირო ცნობები და ზოგი რამ უფრო მნიშვნელოვანი ჩავიწერე. ამან დრო მოითხოვა. ამასობაში სხდომაზეც მიგვიწვიეს. შეხვედრას დიდძალი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა არ იყო, წინ მიგვიძღოდნენ პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივნები ამხ. მარკოვი (პირველი მდივანი) და ვ. ვოლგინი (მდივანი აგიტაცია-პროპაგანდის დარგში). ჩვენმა გამოჩენამ მთელი დარბაზის ერთსულოვანი აპლოდისმენტი გამოიწვია. შეხვედრა გახსნა, ჩვენ მოგვესალმა და გურამიშვილის დღეების მნიშვნელობაზე ილაპარაკა ვოლგინმა. შემდეგ მოხსენებისათვის მე მომცა სიტყვა. მოკლედ დავახასიათე გურამიშვილის ცხოვრების გზა საქართველოსა და უკრაინაში, განსაკუთრებით შევეხე გურამიშვილის შემოქმედების უკრაინულ მოტივებს. მოხსენება იმით დავამთავრე, რომ განვაცხადე — თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და მოღვაწეობით გურამიშვილი ერთნაირად ეკუთვნის საქართველოს და უკრაინას, დიდება ჩვენსა და თქვენს დავით გურამიშვილსა-მეთქი. ამ განცხადებამ ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია და ხანგრძლივი ტაში. შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა. დოცენტმა ჩირკომ, დმიტრო კოსარიკმა, ლევან ასათიანმა და შალვა დადიანმა. გურამიშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა თედორე განრიმ. მოგვესალმნენ და თაიგულები მოგვართვეს პიონერებმა. ჩვენი დელეგაციისა და მთელი ქართველი ხალხის სახელით შალვა დადიანმა მადლობა გადაუხადა პოლტავისა და მირგოროდის პარტიულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებრიობას კეთილი გულით ჩვენი მიღებისა და განსაკუთრებით იმ იშვიათი მზრუნველობისათვის, რასაც იჩენენ დავით გურამიშვილის ხსოვნის მიმართ.

1 აგვისტოს დავათვალიერეთ ქალაქი პოლტავა და მისი ღირს-

შესანიშნაობანი. ქალაქი მთლიანად ნანგრევებს წარმოადგენს. გერმანელ დამპყრობლებს მიწასთან გაუსწორებიათ ოდესღაც მშვენიერი ქალაქი. აღდგენილია დანგრეულის მცირე ნაწილი. ყვავილებით შევამკეთ შევჩენკოს, გოგოლისა და კოტლიარევსკის ძეგლები (შევჩენკოს ძეგლი დაზიანებულია). მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე პოლტავის ისტორიული მუზეუმის ეულად დარჩენილმა კედლებმა. სამუდამოდ დაღუპულა მუზეუმში დაცული ფასდაუდებელი განძი, კერძოდ, მდიდარი საისტორიო არქივი (მათ შორის მასალები გურამიშვილის შესახებ). გულმოდგინედ დავათვალიერეთ ვლადიმერ კოროლენკოს რესტავრირებული (უკეთ, მთლიანად განახლებული) სახლ-მუზეუმი და კარ-მიდამო. ახსნა-განმარტებას გვაძლევდა სახლ-მუზეუმის გამგე, მწერლის ასული სოფიო კოროლენკო. მწერალი დასაფლავებულია იქვე, ეზოში. საფლავი, რა თქმა უნდა, ყვავილებით შევამკეთ, შალვა დადიანი დაიხარა და ემთხვია საფლავის წარწერიან მარმარილოს ფირფიტას. ვლადიმერ კოროლენკო იყო დიდი რუსი მწერალი მოაზროვნე და ხალხოსანი რევოლუციონერი. სოფიო ვლადიმიროვნას ვკითხე, წერდა თუ არა მამამისი უკრაინულად. თავიდანვე არაო, მიპასუხა, რევოლუციის შემდეგ სცადა და ორიოდე მოთხრობაც დაწერა უკრაინულად, მაგრამ კმაყოფილი არ იყო და რუსულად განაგრძო მწერლობა. ეს კია, რომ სულითა და გულით უკრაინელი იყო, თუმცა ნაციონალისტური განწყობილებანი ეუცხოებოდაო.

კოროლენკოს სახლ-მუზეუმმა მომაგონა მწერლის მემუარული შედევრის («История моего современника») ერთი ეპიზოდი. კოროლენკოს ჰაბუკობის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში თურმე მოღვაწეობდა თუმცა ჩინებული, მაგრამ ახირებული პროფესორი პეტრე გიორგის ძე რედკინი (1808—1891), რომელიც ტენდენციურად ეპყრობოდა ჩვენი ერთი მეზობელი ტომის წარმომადგენლებს და გამოცდებზე მათ გასაქანს არ აძლევდაო. ერთხელ რედკინთან გამოცდაზე მისულა ვიღაც კავკასიელი სტუდენტი. პროფესორს მისი სახე არ მოსწონებია და თურმე ჩაჭრას უპირებდა. შეშფოთებულ სტუდენტს მწვავე აქცენტით უთქვამს, ღმერთმანი, ქართველი ვარო, ქართველი «грузын ей богу, грузын». პროფესორს დაკვირვებით შეუთვალიერებია სტუდენტი, შეუნიშნავს — ეს სხვა საქმეაო («а, это другое дело») და ნიშანიც ჩაუწერია მატრიკულში. ცნობილია, რომ ცნება ქართველი სიმპათიურ ასოციაციებს იწვევდა ჩვენი ქვეყნის გარეთაც.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ აგრეთვე პოლტავის 1709 წლის განთქმული ბრძოლის ველი და ამ ბრძოლის ამსახველი საუცხოო არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც უნაკლოდ არის გადარჩენილი.

პოლტავის დათვალიერებით არსებითად დამთავრდა ჩვენი მისია. ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რომ ქართველთაგან პირველს მოგვეცა შესაძლებლობა მოგვენახულებინა გურამიშვილის საფლავი და პოეტის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. საქართველოდან დეპეშაც მოვიდა, მწერალთა კავშირის გამგეობა იბარებდა შალვა დადიანსა და ლევან ასათიანს. საქმე ისაა, რომ გამოირკვა ერთი უსიამო გარემოება. ჩვენი უკრაინაში გამგზავრება მოხდა დ. კოსარიკის სიტყვიერი ინფორმაციის საფუძველზე, ოფიციალური მიპატიჟება არ ყოფილა (კოსარიკს რწმუნება არა ჰქონია მიპატიჟებისათვის), მირგოროდში ჩასვლაზე კიევს არაფერი სცოდნია. უკრაინის მთავრობა და მწერალთა კავშირი გურამიშვილის დღეების ჩატარებას თურმე გეგმავდნენ ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის აგვისტოსათვის, როცა განზრახული იყო გურამიშვილის საფლავზე ძეგლის დადგმა. ჩვენ ნაადრევად მოგვიხდა გურამიშვილის ნაკვალევის მოხილვა. ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ ისინი უკმაყოფილო დარჩენილან, ჩვენ მზად არ ვიყავით ქართველი სტუმრების მისაღებად და ზეიმის ჩასატარებლადო. ყველაფერთან ერთად გურამიშვილის მთავარი უკრაინელი „ჰირისუფალი“ მიკოლა ბაჟანი უცხოეთში იმყოფებოდა. პოლტავას თურმე ურჩიეს გურამიშვილის დღეებისათვის იმჟამად ადგილობრივი, ლოკალური ხასიათი, ასე ვთქვათ, საოლქო მასშტაბის ხასიათი მიეცათ. პოლტავამ და მირგოროდმა ეს მითითება ჩინებულად შეასრულეს. მეტიც, გურამიშვილის დღეებმა მასობრივი, სტიქიური, უმაგალითო დღესასწაულის ხასიათი მიიღო. დღესასწაულის კიევში გადატანისაგან თავი შეეკავებინათ (ეს ამბავი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავიგეთ). 1 აგვისტოს სალამოს შ. დადიანი და ლ. ასათიანი თბილისში გაფრინდნენ, მე და ჩემი მეუღლე დმიტროს თანხლებით კიევში გავემგზავრეთ ინკოგნიტოდ უკრაინის დედაქალაქის გასაცნობად, მანამდის კიევში ნამყოფი არ ვიყავი. 2 აგვისტოს დილით კიევში ჩავედით. დმიტროს დახმარებით რიგიანი ნომერი დავიკავეთ თეატრალურ სასტუმროში და პირდაპირ ქალაქის დათვალიერებას შევუდექით. კიევზე, როგორც „კიევის სახელმწიფოს დედაქალაქზე“, გარკვეული

წარმოდგენა მქონდა შემუშავებული, მაგრამ ნახვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს კოსარიკმა შეგვატყობინა, რომ მიკოლა ბაჟანი დაბრუნებულა უცხოეთიდან, ჩვენი იქ ყოფნის ამბავი გაუგია და მეორე დღისათვის (ე. ი. სამი აგვისტოსათვის) გვიწვევდა მინისტრთა საბჭოში (მიკოლა ბაჟანი მაშინ იყო უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე). ბაჟანს ადრეც პირადად ვიცნობდი რუსთველის პირველი საიუბილეო დღესასწაულის დროიდან (1937 წლიდან). დათქმულ დროს ვეახელით. კაბინეტში მასთან დაგვხვდნენ პოეტი — დრამატურგი ლიუბომირ დმიტერკო (მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილედ ითვლებოდა აგრეთვე პავლო ტიჩინა, ისიც მთავრობის წევრი — განათლების მინისტრი) და პროზაიკოსი სიმონ სკლიარენკო (მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი). ბაჟანმა ალერსით მიგვიღო, მოგვეხვია და გადაგვკოცნა, დაწვრილებით გამოგვკითხა, როგორ მოვეწყვეთ, როგორ ჩატარდა გურამიშვილის დღეები, სინანული გამოთქვა, რომ შ. დადიანი და ლ. ასათიანი პოლტავიდან გაბრუნებულანო. შემდეგ იგი მიუბრუნდა დმიტერკოსა და სკლიარენკოს, შეამოწმეთ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი სტუმრები, თქვენ (ხაზგასმით უთხრა მათ) დმიტრო კოსარიკთან ერთად „მიმაგრებული ხართ“ სტუმრებთან, თქვენს განკარგულებაში იქნება მსუბუქი ავტომანქანა, დაატარეთ და აჩვენეთ ყველაფერი, რაც კი სასიკეთო გაგვაჩნია და რითაც თავი მოგვაქვს, ხომ იცით, ესენი დიდი კულტურის მქონე ხალხის შვილები არიანო, მეც შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ მოგაკლებთო, დაამთავრა, რა უნდა გვეთქვა, გულითადი მადლობა მოვახსენეთ მიკოლას და გამოვეთხოვეთ. დავბრუნდით სასტუმროში და ხუთი დღის გეგმა შევადგინეთ, მეტი ხნით დარჩენა არ შეგვეძლო, თუმცა მიკოლა ბაჟანი მაცთუნებლად გვირჩევდა ლვოვში წასვლას.

დმიტერკო და სკლიარენკო სამაგალითონი აღმოჩნდნენ სამეგობროდ. ლიუბომირ დმიტერკო იყო (და არის ახლაც, ამ მოგონებას რომ ვწერ, მიუხედავად შეჭაღარავებისა) ლამაზი, წარჩინებული, ვაჟკაცური იერით დამშვენებული, ქართველობის უზომოდ მოყვარული. იგი სამამულო ომის მონაწილე ყოფილა, მძიმედ დაჭრილა და სამკურნალოდ ქუთაისის ჰოსპიტალში მოხვედრილა, ქართველის სისხლი გადმომისხეს და სიკვდილისაგან მიხსნესო,

ჩემს სხეულში ქართული სისხლი დისო, სიამაყით დასძინა ამ შესანიშნავმა უკრაინელმა მწერალმა და მოჭალაქემ. სიმონ სკლიარენკო უაღრესობამდე სიმპათიურია, ზრდილი, თავმდაბალი, სანდომიანი, მოყვარული, თუმცა დმიტერკოსებრივი გარეგნობა არ ჰქონდა. მთელი ხეთი დღის განმავლობაში დმიტერკო და სკლიარენკო (აგრეთვე კოსარიკი) არ მოგვშორებია, ყურადღებითა და მზრუნველობით აგვავსეს, თავი შეგვაყვარეს. მათი თანხლებით დავათვალიერეთ ძველი და ახალი კიევის ყველა შესანიშნავი კუთხე. უწინარეს ყოვლისა, ვიყავით სოფიის გრანდიოზულ ტაძარში (ახლა მეზეუმადაა ქცეული), განსაკუთრებული გულისყურით თვალი მივადევნე იმ ფრესკებს, რომლებსაც რუსი და უკრაინელი სპეციალისტების აღიარებით ქართული ხელოვნების ზემოქმედების კვალი აქვთ აღბეჭდილი. საშინელი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ, როცა კიევის პეჩორის ლავრის ეზოში ვნახეთ მიწაზე დანარცხებული ამ ლავრის დიდებული სამრეკლო (ეს გერმანელი ფაშისტების ბარბაროსობის ნაყოფია). ვეწვიეთ შევჩენკოს მუზეუმს და ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარს (XVIII საუკუნის არქიტექტურულ შედევრს); რომელიც დნეპრის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე ამაყად დგას და შორს გასცქერის უკრაინის დედა ქალაქს. აქედან იწყება რაღაც ზღაპრული სანახაობა. კიევის ამ წარმტაც კუთხეს შთაუგონებია ბევრი ხელოვანი, მათ შორის უკვდავი გოგოლი. ანდრიას ტაძრის მინიშნებული კუთხიდან გაჰყურებდა თურმე გოგოლი წყალდიდობისას ზღვად ქცეულ ულაპირო დაბლობს, რომლის გადალახვას ვერ ახერხებდაო ვერც ერთი მარდი ფრინველი. აქ, ანდრიას ტაძრის კედლებთან, ჩასახულა გოგოლის უბრწყინვალესი პოეტური საგალობელი — «Чуден Днепр». ახლა დნეპრის ნაპირებზე თანამედროვე ნაკეთობის კოხტა სახლებია აგებული და გაშენებულია კულტურისა და დასვენების უზარმაზარი პარკი. გმირთა სასაფლაოზე ყვავილებით შევამკეთ გენერალ ვატუტინის და ქართველი მეომრის გოგოჩაიშვილის საფლავები (გოგოჩაიშვილი გმირულად დაეცა კიევის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში). მოვიკითხე, ვინახულე და თაიგულით შევამკე ლესია უკრაინკას საფლავი. ერთი სამახსოვრო დღე გავატარეთ უკრაინის მწერალთა კავშირის შემოქმედების სახლში — ირპენში (კიევის მახლობლად). „ირპენის“ გარშემო სულ ფიჭვნარის ტყეებია, გვერდით ჩამოუდის პატარა (უკრაინული ტიპის) მდინარე ირპენი, სანატრი სათევზაო წყალია. დიდი პატივი გვცეს და გულუხვად გვიმასპინძლეს.

ერთი დღე სტუმრად ვიყავით მიკოლა ბაჟანის ქალაქგარეთ აგარაკზე. სამაგალითო პურობა მოგვიწყო ალექსანდრე კორნეიჩუკმა. იგი ცხოვრობდა ქალაქის ცენტრში, ეჭირა მთელი ორსართულიანი სახლი, რომელიც ფერწერის გალერეას უფრო ჰგავდა. პურობას ესწრებოდნენ უკრაინული მწერლობის თავკაცები — მიკოლა ბაჟანი, პავლო ტიჩინა, მაქსიმე რილსკი, ვლადიმერ სოსიურა, პეტრო პანჩი და, რა თქმა უნდა, ლიუბომირ დმიტერკო, სიმონ სკლიარენკო და დმიტრო კოსარიკი. კორნეიჩუკმა მოიბოდიშა, დიასახლისი (ცნობილი მწერალი ქალი ვანდა ვასილევსკაია) შინ არ არის, დედულეთში, პოლონეთში იმყოფებაო. ბევრი კარგი სადღეგრძელო და სიტყვა ითქვა ძმობაზე, მეგობრობაზე, მშვიდობიანობაზე, პოეზიაზე და სიყვარულზე. მოგვაჯადოვა მასპინძელმა თავისი უშუალობით, გულითადობით, მახვილგონიერებით, ოღონდ ცოტას ამლაშებდა უწმაწური ანეგდოტების მოყოლით. დიდი სიამოვნება მივიღეთ. ყველანი თავს ძალდაუტანებლად და შინაურულად ვგრძნობდით.

კიევში ჩვენს ყოფნას აშუქებდა ლიტერატურული პრესა. ვრცელი ინტერვიუ აიღო ჩემგან და გამოაქვეყნა „ლიტერატურნა გაზეტამ“ საგანგებო სათაურით «Клятва братерства і єдності» (5. VIII. 48). გაზეთის იმავე ნომრის მეთაურ წერილში («Наша дружба непорушна!») აღნიშნულია ქართველ მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლაზე მირგოროდში და გურამიშვილის მნიშვნელობაზე, როგორც ხალხთა ძმობის მომღერალზე. უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოისმინა ჩემი ინფორმაცია ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაზე კულტურის სფეროში. საქმიანი საუბარი გაიმართა გურამიშვილის ძეგლის დადგმის შესახებ მირგოროდში 1949 წლის ზაფხულისათვის და ქართული მწერლობის ნიმუშების პუბლიკაციაზე უკრაინულად. ეს საკითხი ვრცლად არის გაშუქებული წერილში „ქართული მწერლობა უკრაინულ ენაზე. საუბარი მიკოლა ბაჟანთან“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა (20. XI. 49) და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გადაწყდა დაჩქარდეს „დავითიანის“ უკრაინული თარგმანის გამოცემა (მთარგმნელობა ნაკისრი ჰქონდა მიკოლა ბაჟანს) და ქართული პოეზიის ანთოლოგიის მომზადება. პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევის გამოქვეყნება უკრაინულ ენაზე (20—25 თაბახის მოცულობით).

ფრიად სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების (თუ დაუდევრობის) გამო ეს წამოწყება დღემდის განუხორციელებელი რჩება. საქმიანი ღა სასარგებლო საუბარი მქონდა შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ცნობილ მკვლევართან, უკრაინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტ სერგი ივანეს ძე მასლოვთან (ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ბელეცკი შვებულებაში იმყოფებოდა).

უკრაინაში გურამიშვილის ნაკვალევზე პირველმა მგზავრობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრი კეთილი მეგობარი შევიძინე. მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ ხანგრძლივ მეგობრობას, რომელიც მაკავშირებს მიკოლა ბაჟანთან და მის ოჯახთან. გამიძლიერდა და განმიმტკიცდა მჭიდრო ურთიერთობა და ძმობა დმიტრო კოსარიკთან[6]. 7 აგვისტოს, დილით შინისკენ გამოვემგზავრეთ მატარებლით.

სრული ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის 7 აგვისტოს მირგოროდში, დიდი სახალხო ზეიმის ვითარებაში, გურამიშვილის საფლავზე გაიხსნა ძეგლი. ძეგლის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია — სანდრო შანშიაშვილი, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, მაყვალა მრევლიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე. ჩვენ ჯერ კიევში ჩავფრინდით და იქ დავბინავდით. 6 აგვისტოს, საღამოს, მატარებლით გავემგზავრეთ მირგოროდში. თან გვახლდა უკრაინის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია მიკოლა ბაჟანის მეთაურობით (დელეგაციაში შედიოდნენ პავლო ტიჩინა, სიმონ სკლიარენკო, პეტრო პანჩი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ვლადიმერ რუბანი, დმიტრო კოსარიკი, კომპოზიტორი ანდრია შტოგარენკო, მხატვარი მიხეილ ხმელკო, უკრაინის სახალხო არტისტი ალექსანდრე იურაიურსკი, საბჭოთა კავშირის მწერალთა გამგეობის წარმომადგენელი ვიქტორ გოლცევი და გურამიშვილის ძეგლის შემქმნელი კოლექტივი (მოქანდაკე ი. რაჟბა, ქართველი არქიტექტორები შ. ჭედია და კ. ჯანაშია). მთელმა ამ მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ თავი მოიყარა მიკოლა ბაჟანის სალონ-ვაგონში. გზა განვლეთ მხიარულად, იყო ერთი გაუთავებელი ჟრიამული, სიცილ-კისკისი,

[6] უკრაინაში მგზავრობა საინტერესოდ აქვთ აღწერილი შალვა დადიანსა და ლევან ასათიანს: იხ. შალვა დადიანი, გურამიშვილის საფლავთან („ლიტერატურა და ხელოვნება", 8. VIII. 48); ლევან ასათიანი, მირგოროდი. ზუბოვკა (იქვე, 15. VIII. 48), პოლტავაში (იქვე 28. VIII—48).

ხუმრობა, სიმღერები, ლექსების კითხვა. დმიტრო კოსარიკმა მოიტანა ალბომის სპეციალური წიგნი და ზეიმის მონაწილეებს ჩააწერინა შიგ ვინ რასაც ისურვებდა, ოღონდ ჩანაწერი უნდა ყოფილიყო გურამიშვილის სახელის გარშემო. მე წინა წლის ამბავი მოვიგონე და ალბომში ჩავწერე: «Еду в гости к Давиду Гурамишвили. На душе радостно и светло». გვიან, ნაშუალამევს დავიშალეთ. ქართველი დელეგატებისათვის სალონ-ვაგონში გამოყოფილი იყო კუპეები. ერთი კუპე გვერგო მე და ნინოს. მშვენივრად მოვეწყვეთ, მაგრამ ძილი არ გაგვეკარა. ადრე დილით მირგოროდის სადგურში ვიყავით. ვისაუზმეთ იქვე, სალონ-ვაგონში. შემდეგ პოლტავის საოლქო და მირგოროდის საარაიონო პარტიულ-სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანხლებით გავეშურეთ ზუბოვკაში, სადაც გურამიშვილის სახელობის სკოლის შენობასთან დანიშნული იყო მიტინგი. გურამიშვილის ძეგლის გახსნის ამბები ვრცლად და საინტერესოდ აქვს აღწერილი მაყვალა მრევლიშვილს (დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა უკრაინაში. გურამიშვილის დღეები. — გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 21. VIII. 49). მე მხოლოდ ქრონიკული ცნობებით დავკმაყოფილდები. გურამიშვილიც ხომ ამბობს: „შევამოკლო, აწ რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენს ხანსა?“. შეგვეგებნენ ტრადიციული პურ-მარილით. მიტინგი გახსნა მირგოროდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შეიკომ. მირგოროდის რაიკომის მდივანმა შულგამ სკოლის კედელს მიაშედა მარმარილოს მემორიალური დაფა. სიტყვები წარმოთქვეს ზუბოვკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ პასკომ, სანდრო შანშიაშვილმა, მაყვალა მრევლიშვილმა, დმიტრო კოსარიკმა. სახალხო არტისტმა იურა-იურსკიმ წაიკითხა გურამიშვილისადმი მიძღვნილი პავლო ტიჩინასა და გიორგი ლეონიძის ლექსები. მიტინგს მოჰყვა სახალხო გართობა-სეირნობა. სიმღერები. ცეკვა-თამაში. ჩვენ გვეჩქარებოდა მირგოროდში, ძეგლის გახსნაზე. მანქანები აგვივსეს ყვავილებითა და ხილით. გზაში კარგა ხანს გვესმოდა ზუბოვკელი ახალგაზრდების სიმღერის ხმები.

მირგოროდში ნამდვილად დიდი სახალხო-სანახაობა ზეიმი გაიმართა, რომელსაც იქაური პრესის ცნობით ესწრებოდა ოცი ათასზე მეტი კაცი როგორც ქალაქიდან, ისე მახლობელი დაბა-სოფლებიდან. მიტინგი გახსნა პოლტავის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მარტინენკომ. სიტყვებით გამოვიდნენ პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ვოლგინი, პავლო ტიჩინა, ბესო ჟღენტი, ალ. ბარამიძე, ვიქტორ გოლცევი. კარლო კა-

ლაძემ წაიკითხა გურამიშვილის „დავითიანის“ ნაწყვეტი ქართულ ენაზე, იმავე ნაწყვეტების თარგმანები რუსულად და უკრაინულად წაიკითხეს ვიქტორ გოლცევმა და მიკოლა ბაჟანმა. სახალხო სეირნობა-ზეიმმა მირგოროდში საღამომდე გასტანა.

9 აგვისტოს კიევის „მწვანე თეატრში“ (დნეპრის ფერდობზე რომ არის აგებული) გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც გურამიშვილს მიეძღვნა.

საღამოს პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ ერთმანეთს რიგრიგობით ენაცვლებოდნენ ქართველი და უკრაინელი მწერლები. მომხსენებელი ორი იყო (მე და კოსარიკი), სიტყვებითა და ლექსების კითხვით გამოვიდნენ სანდრო შანშიაშვილი და პავლო ტიჩინა, ბესო ჟღენტი და მაქსიმე რილსკი, კარლო კალაძე და ვლადიმერ სოსიურა, მაყვალა მრევლიშვილი და ლიუბომირ დმიტერკო. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ვიქტორ გოლცევმა. საბოლოო სიტყვა თქვა და გურამიშვილის დღეების ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა ალექსანდრე კორნეიჩუკმა. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

მირგოროდში გურამიშვილის ძეგლის გახსნას მიეძღვნა დიდი სალიტერატურო საღამო თბილისშიც, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის თეატრში. საღამოში მონაწილეობა მიიღეს და უკრაინაში ყოფნის შთაბეჭდილებებზე მოუთხრეს დამსწრე საზოგადოებას დელეგაციის წევრებმა. საღამოს მონაწილეთა სახელით სამადლობელი დეპეშა გაეგზავნა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „დავითიანის“ უკრაინულად გადათარგმნა იკისრა მიკოლა ბაჟანმა. იგი იშვიათი გატაცებითა და შთაგონებით მუშაობდა. სახელმძღვანელოდ ჰქონდა პოეტ კოლაუ ნადირაძის მიერ გაკეთებული პწკარედი. ძირითადად დამთავრებული თარგმანის შესამოწმებლად და საბოლოოდ გასამართავად მიკოლა ბაჟანი 1950 წლის ზაფხულში ჩამოვიდა თბილისში. ორი კვირა გაატარა ჩემთან კიკეთში. ყოველ დღე დილიდან საღამომდის ვუსხედით მაგიდას და გულმოდგინედ ვუდარებდით უკრაინულ ტექსტს ქართულ დედანს. პწკარედი საერთოდ კარგად ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ რიგი აზრობრივი შეცდომაც გაპარულიყო. მაგალითად, „ქაცვია მწყემსში“ აღწერილია ქორწილის ამბავი და ნათქვამია: „ფუნდრუკ-ხუნტრუცებით, ქალ-ვაჟნი

ხუცებით იქმოდენ სამას". ტექსტიდან აშკარაა, რომ ქორწილის მონაწილენი ცეკვავდნენ „სამაიას" (იქმოდენ სამას). პრკარედის მთარგმნელს კი საქმე ისე წარმოედგინა. თითქოს ქორწილში იყო სამასი კაცი. ამას და ამისდაგვარ შეცდომებს მიკოლა ბაჟანი იქვე ასწორებდა, ხოლო საბოლოოდ გამართულ ლექსებს მიკითხავდა, ვაკვირდებოდით მუსიკალურ ჟღერადობას. ასე მომზადდა და გაიჩარხა კიკეთში „დავითიანის" უბადლო უკრაინული თარგმანი.

ჩემს არქივში დაცულია ფოტოსურათი: კიკეთში, ჩემი სახლის ეზოში, დიდი მუხის ჩრდილქვეშ, მიტო ქიტიაშვილი და პაპუნა წერეთელი თამაშობენ ნარდს, ხოლო მიკოლა ბაჟანი, არჩილ ელიაშვილი (ჩემი ცოლის ძმა), მე, ჩემი მეუღლე ნინო, მიტო ქიტიაშვილის მეუღლე გუგა და ჩემი ბავშვები ვუცქერით მათ თამაშს. საღამოობით, როცა მუშაობას მოვრჩებოდით, ჩაის შემდეგ, აივნიდან გავცქეროდით ქოროღლის ციხის მიდამოებს და შუაღამემდე ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე, მეცნიერებასა და პოეზიაზე, სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე. საუბრის თემა იყო რუსთველი, გურამიშვილი, შევჩენკო, XIX საუკუნის დიდი რუსული კლასიკური მწერლობა. მიკოლა ბაჟანის თხოვნით, არჩილ ელიაშვილი გვიყვებოდა საკარანგეთში ნახულისა და ვანცდილის თაობაზე (არჩილს სწავლა მიღებული ჰქონდა გრენობლსა და პარიზში). რაღაც ერთბაშად გაიარა, უკეთ, გაირბინა ბაჟანის სტუმრობის დაუვიწყარმა თხუთმეტმა დღემ. ადრე მიკოლამ მთხოვა დამეწერა და მომეწოდებინა მისთვის „დავითიანის" უკრაინული გამოცემისათვის შესავალი წერილი. 1950 წლის 12 მაისის თარიღით იგი მწერდა: «Сердечно благодарю Вас за Ваше милое письмо и за чудесную вступительную статью». მიუხედავად ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობისა, „დავითიანის" ბაჟანისეული თარგმანის პირველი გამოცემის თანარედაქტორად ვარ გამოცხადებული. უკრაინაში დაბრუნებულ მიკოლას ბეჯითი ზომები მიუღია თარგმანის დაჩქარებით გამოსაცემად. წლის ბოლოს (1950 წლის ბოლოს) ტექსტი მთლიანად დაიბეჭდა. 1951 წლის 29 იანვარს მიკოლა აღტაცებული მწერდა (რასაკვირველია, უაღრესობამდე აჭარბებდა ჩემი როლის მნიშვნელობას უკრაინული „დავითიანის" მომზადებაში): «Я выслал Вам первый экземпляр украинского перевода «Гурамишвили». На днях издательство вышлет Вам, дорогой Александр Георгиевич, следуемые авторские экземпляры, а этот примите, как вы-

ражение той моей глубокой благодарности Вам, которую даже трудно передать словами. Без Вашей чуткой, любовной, внимательной помощи я, конечно, не смог бы сделать эту работу. Знаю ее недостатки, ее слабость, но, должен признаться, не могу утаить перед Вами своей радости, что мой перевод, наконец, появился в свет и пойдет к читателю, — мой перевод, очищенный и исправленный Вашими внимательными советами, обласканный (так незаслуженно) Вашим братским отношением, истинным радушием и заботой всей Вашей чудной семьи...» არა, ეთანჯერ არა. მე არ დამიმსახურებია ეს შეფასება. ეს წერილი იმის გამომხატველია, რადენ თავდაბალი, მოყვარული, გრძნობიერი კაცი, ნამდვილი კაცური კაცი, იყო და არის უკრაინის სასიქადულო შვილი, ბრწყინვალე პოეტი-აკადემიკოსი და გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ქართველობის დიდი მეგობარი ჩვენი ძვირფასი მიკოლა ბაჟანი.

გურამიშვილის ნაკვალევს მესამედ მივყევი 1969 წელს, უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის დღეებში (10—19 მაისი). დეკადაზე საქართველოდან გაემგზავრა დიდი დელეგაცია მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის მეთაურობით (ი. აბაშიძე, მ. ბარათაშვილი, ხ. ბერულავა, ო. ბაქანიძე, კ. გამსახურდია, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, ბ. ჟღენტი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, გ. მარგველაშვილი, ი. ნონეშვილი, გ. ცინცაძე, ა. სულაკაური, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში, ა. ბარამიძე). დელეგაციას ახლდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი და მწერალთა კავშირის აპარატის თანამშრომლები.

კიევში ჩავფრინდით 9 მაისს შუადღისას (ი. აბაშიძე და კ. გამსახურდია მოგვიანებით შემოგვიერთდნენ). დელეგაციის ზოგიერთი წევრი სალამოს თავისთან მიგვიწვია მიკოლა ბაჟანმა. მახსოვს, მიწვეულთა შორის იყვნენ გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე მეუღლეებითურთ, დ. ჩხიკვიშვილი, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, მ. ბარათაშვილი, რ. მარგიანი. ბაჟანთან დაგვხვდნენ უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ოლეს გონჩარი, მწერალთა კავშირის კიევის საქალაქო ორგანიზაციის მდივანი ვასილ კაზაჩენკო, მწერალი სმოლიჩი და ორიოდე სხვაც. კეთილი ღიმილით კარებში დაგვხვდა

ბაჟანის მეუღლე ნინა ვლადიმიროვნა. მდიდრული სუფრა გაშლილი იყო, იგრძნობოდა ოდნავი ვიწროობა. სუფრას მივუსხედით. მიკოლამ აიღო სავსე სასმისი და გვთხოვა ჩვენც შეგვევსო სასმისები. მე ბედნიერი ვარო, რაღაც სევდანარევი კილოთი თქვა მასპინძელმა, რომ ჩემი სახლის ჰერქვეშ ვხედავ ჩემი ოჯახის მეგობარ ქართველ მწერლებს. მაგრამ არ შემიძლია დავფარო, რომ გულზე ღრმა სევდაც მაწევს. ბოლო ხანებში ჩვენგან სამუდამოდ წავიდნენ ჩვენი უგულითადესი და უსაყვარლესი მეგობრები — სიმონ და მარიკა ჩიქოვანები, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, ლევან ასათიანი, ნინა ბარამიძე... ჩვენც, უკრაინელებმა, აუნაზღაურებელი მსხვერპლი გავიღეთ, უკრაინის მწერალთა რიგებს გამოაკლდნენ მისი დიდებული წევრები — პავლო ტიჩინა, მაქსიმე რილსკი, ვლადიმერ სოსიურა, სიმონ სკლიარენკო... ყველას ეთბოვ უხმოდ დასცალოს სასმისი ჩვენგან წასულ მეგობართა მოსაგონარად. მიკოლას, ნინა ვლადიმიროვნას და ბევრ იქ დამსწრეს თვალებზე ცრემლები მოადგა... ასე გაგრძელდა ერთხანს, შემდეგ სევდიანი განწყობილება გაიფანტა და პურობაც ჩვეული რიტმით წარიმართა.

ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში ჩატარდა დიდი წარმატებით და გადაიქცა ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობის ნამდვილ დემონსტრაციად. უკრაინის მოსახლეობა ყველგან, სოფლად თუ ქალაქად, დიდი თუ პატარა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული გვეგებებოდა პურმარილით და სასიყვარულოდ გაშლილი გულით, ხვევნა-კოცნით.

განსაკუთრებით აღმებეჭდა მეხსიერებაში ტარას შევჩენკოს ბორცვი კანევში, სადაც განისვენებს უკრაინული პოეზიის დიდება. დიდი კობზარი და სადაც აღმართულია მისი მშვენიერი ძეგლი. კანევში ვიყავით დელეგაციის მთელი შემადგენლობით დეკადის მეორე დღეს, 11 მაისს, თან გვახლდნენ უკრაინის ლიტერატურის მესვეურები. თითოეულმა ჩვენთაგანმა დარგო მუხის ნერგი. იქით და აქეთ (კანევი-კიევი) ვიმგზავრეთ სწრაფმავალი გემით.

მთელი შემადგენლობით ეწვია დეკადის მონაწილე ქართული დელეგაცია დეკადის მესამე დღეს, 12 მაისს, ქალაქ მირგოროდს. ჩვენ გვახლდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პეტრე ტიმოთეს ძე ტრონკო და უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები ოლეს გონჩარის მეთაურობით. ჩვენს ჩასვლას დაუკავშირდა გურამიშვილის მეორე ძეგლისა და მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნა მირგოროდში. სახლ-მუზეუმი-

სათვის აგებულია სპეციალური შენობა. მის წინ აღმართულია გურამიშვილის საუცხოო ძეგლი. სახლ-მუზეუმის მუშაკებს დიდძალი მასალა შეუკრებიათ გურამიშვილზე და მის დროზე. შეკრებილი მასალის მხოლოდ ნაწილი (რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ნაწილი) ექსპონირებულია საქმის ცოდნითა და გემოვნებით. სხვათა შორის, მასალების შეკრება-შერჩევაში სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობას დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა. ჩვენ საგანგებოდ მივავლინეთ მირგოროდში ინსტიტუტის ორი მეცნიერი თანამშრომელი (რუსუდან კუსრაშვილი და ბონდო არველაძე). ჩვენ არც შემდეგ ვაკლებთ ყურადღებას სახლ-მუზეუმს. მჭიდრო, ცოცხალი და საქმიანი კავშირი გვქონდა და გვაქვს სახლ-მუზეუმის დირექტორებთან (ადრე დირექტორად იყო პოეტი ოლეს იურენკო, ამჟამადაა ენთუზიასტი ქალი ნატალია დავიდენკო).

მირგოროდის გურამიშვილისეულ სახლ-მუზეუმს რომ ვათვალიერებდი, გულში გავიფიქრე, რა იქნებოდა ერთი ამდაგვარი რომ ჩვენც გვქონოდა საქართველოში (თბილისში, საგურამოში ან ლამისყანაში).

ჩვეულებისამებრ თუ ტრადიციისამებრ გურამიშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა საყოველთაო-სახალხო ზეიმის ვითარებაში. მე მესამედ ვესწრებოდი იქაურ ზეიმს. ასე მეჩვენა, რომ ახლა ხალხმრავლობამ კიდევ უფრო იმატა და დღესასწაულმაც თითქოს უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო (მაგრამ რა შეედრებოდა სიყვარულის პირველ, სტიქიურ დემონსტრაციას 1948 წლის ივლისის მიწურულში!). უკრაინელ ხალხს თავი მოაქვს, რომ მის მიწა-წყალზე დაემკვიდრა ქართველთა დიდი პოეტი, რომ იქ გაშალა მან შემოქმედებითი ფრთები, იქ იმოღვაწა საზოგადოებრივ სარბიელზე. იქ აღესრულა და იქვე განისვენებს.

გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პ. ტრონკომ, პოლტავის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ბოიკომ, მირგოროდის რაიკომის მდივანმა ნ. შევჩენკომ, ოლეს გონჩარმა, პოლტავის პიონერალთა ორგანიზაციის მდივანმა ა. ჩუჩამ, დ. ჩხიკვიშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა. ლექსები წაიკითხეს მიკოლა ბაჟანმა და იოსებ ნონეშვილმა. სახლ-მუზეუმის ლენტი გაჭრა პოლტავის ოლქის პირველმა მდივანმა ა. მუჟიცკიმ.

როგორც ვიცით, ბედდამწვარი ქართველი პოეტი გულისტკივილით ჩიოდა — „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მო-

მიგონებსა". ან კი რას იფიქრებდა უცხოეთში გადაკარგული კაცი, თუ უკრაინელი თანამოძმენი ასეთი მოწიწებით უკვდავყოფდნენ მის ნათელ ხსოვნას! რას იფიქრებდა, თუ მისი პოეზიის ხმა ჩააღწევდა მის სამშობლოში, თუ შორეული მადლიერი შთამომავლობა უპატრონოდ არ დატოვებდა მის ობოლ საფლავს. გურამიშვილს ანდერძად შეუთხზავს უდიდესი ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული საკუთარი „საფლავის ქვაზედ დასაწერი". პოეტი გოდებდა, რომ მშობლიური მიწა ვერ მიიბარებდა იმის ნეშტს და მკითხველს (მნახველს) უბარებდა:

ვით მე არ მინდო ცრუემან საწუთრომ,
ავრეთვე, ვგონებ, არცა შენ გინდოს;
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!

მირგოროდიდან დეკადის მონაწილენი სამ ჯგუფად გაიყვნენ. მე მოვხვდი პოლტავა-ხარკოვ-ზაპოროჟიე-კახოვკა-ხერსონის ჯგუფში (ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ვასილ კაზაჩენკო და იოსებ ნონეშვილი). მე მინახავს ჰიტლერელებისაგან ნანგრევებად ქცეული და მიწასთან გასწორებული პოლტავა. ახლა იგი დაგვხვდა მკვდრეთით აღდგენილი, წელში გამართული, დამშვენებული. იგი მნახველს ხიბლავს და ატყვევებს თავისი ძეგლებით, მუზეუმებით, პარკებით. ხარკოვი უზარმაზარი სამრეწველო ქალაქია და კულტურის დიდი ცენტრი. დავთვალიერეთ ხარკოვის სახელგანთქმული სატრაქტორო ქარხანა, სადაც ჩვენს თვალწინ დაიბადა ახალი ტრაქტორი, რომელსაც 323620 ნომრით მიეცა სასიცოცხლო საგზური. გაგვაცნა ქარხნის დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის, ხანდაზმულის, მაგრამ ახალგაზრდულად მხნე და ენერგიული ინჟინრის პავლე საბლევის ფართო განსწავლულობამ, ადამიანურმა კეთილშობილებამ და იშვიათმა უბრალოებამ. გულითადად შეგვხვდნენ ხარკოვის მეორე დიდ ქარხანაშიც („სერპ ი მოლოტ"). შთამბეჭდავი იყო შეხვედრა ხარკოვის უნივერსიტეტში. ვეებერთელა სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. გულდასმით უსმენდნენ ჩვენს გამოსვლებს. ხალისიანად წაიკითხეს ქართული ლექსების თარგმანები რუსულსა და უკრაინულ ენებზე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა გოგონებმა. ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორს, ცნობილ ქიმიკოს ვლადიმერ ეგნატეს ძე ხოდკევიჩს, რომელიც ადრე ალპინისტიც ყოფილა, ფეხით ჰქონია მოვლილი მთელი საქართველო. მე სიამოვნებით შევასრულე გიორგი ახვლედი-

ანის დავალება და ხარკოვის უნივერსიტეტის საზოგადოებრიობას გადავეცი მისი მხურვალე მოკითხვა (გიორგი ახვლედიანმა, ისე როგორც სხვა ბევრმა ქართველმა სწავლულმა, უმაღლესი განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო). გიორგი ახვლედიანის მოკითხვა-სალამს მთელი დარბაზი შეხვდა ხანგრძლივი ტაშით.

საქმიანი იყო შეხვედრა შემოქმედებით ინტელიგენციასთან (მწერლებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან). 15 მაისს, საღამოს, მიგვიწვიეს რადიო-მაუწყებლობისა და ტელევიზიის სახლში. ჩვენი შთაბეჭდილებანი და მადლიერების გრძნობა გადავეცით ტელევიზიით.

ხარკოვში ორი დღე დავრჩით (14—15. V). შემდეგ განვაგრძეთ გზა დაგეგმილი მარშრუტით. ბევრი საინტერესო ვნახეთ ქალაქ ზაპოროჟიეში, საბჭოთა ინდუსტრიის ამ ახალ, მაგრამ უკვე თვალსაჩინო ცენტრში. გულდასმით დავათვალიერეთ ერთი მხრივ გრანდიოზული დნეპროპესი, მეორე მხრივ თავისუფლებისმოყვარე ზაპოროჟიელ კაზაკთა ძველი ისტორიული სადგომი — ხორტიცა. დავიმუხლეთ ზაპოროჟიეს ლეგენდური მუხის ჩრდილქვეშ. ნავებით გავისეირნეთ დნეპრზე. დრო აღარ გვყოფნიდა, მაინც შევჩერდით კახოვკაში, თვალი შევავლეთ რომანტიკულ „ტაჩანკას“, კახოვკის კარჩხალს, ახალი სარწყავი არხის მშენებლობას... ჩაგუარეთ კარგად მოვლილ ყანებს, ზვრებსა და ხილის ბაღებს. აგერ ხერსონიც. შავი ზღვის სანაპიროდან წამოუბერა მშობლიურმა სიომ. გაგვახარა ზაპოროჟიეს აღმასკომის დადგენილებამ, რომ ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს ქუჩას ეწოდოს საბჭოთა კავშირის გმირის ლავრენტი ავალიანის სახელი. ავალიანი გმირულად დაღუპულა ზაპოროჟიეს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხერსონის საპატიო მოქალაქის წოდება აქვს მინიჭებული საბჭოთა კავშირის გმირ გიორგი შენგელიას. მისი სახელი ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული საქალაქო საბჭოს დარბაზში, ხოლო პორტრეტი ამკობს ფართო დერეფნის კედელს.

ხერსონიდან თვითმფრინავით დავბრუნდით კიევში, სადაც 19 მაისს დილით უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე შეჯამდა ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში. 19 საათზე კი ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა დიდი დასკვნითი საღამო.

უკრაინამ აგვავსო პატივისცემითა და სიყვარულით. რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს პატივისცემა და სიყვარული ეკუთვნის ჩვენს სათაყვანებელ მშობელ ხალხს, ქართველ

ხალხს. მირგოროდში წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენ შევახსენეთ კეთილ მასპინძლებს, რომ რუსთველის ქვეყანამ იცის ნამდვილი სიყვარულისა და ძმობის ფასი და მნიშვნელობა.

ვასილ კაზაჩენკოს, რეზო მარგიანის, არჩილ სულაკაურის, ჯუმბერ თითმერიას მოსწრებულმა სიტყვა-პასუხებმა, უბოროტო ჭილიკობამ და ლაღობა-ოხუნჯობამ ხანგრძლივი მგზავრობის ტვირთი შეგვიმსუბუქა. არჩილ სულაკაურმა გამოთქვა ვრცელი „გიობა“, რომლის რამდენიმე სტროფიც აქვე მომყავს:

კიევში ერთად შეყრილნა
მირგოროდს გავიყარენით,
ჩვენ პოლტავისკენ გავწიეთ,
გულთაც გავიხარენით.

ცრემლებით მოვიგონებდით
გურამიშვილის ეზოსა;
ღვთისკენ თვალი რჩებოდა
მარგიანს, ჩვენსა რეზოსა.

გაზეთში კარლო ვიხილეთ,
აღარსად ჩანდა გულიკო[7],
გიას[8] ხარკოვში ვეძებდით,
ის ღვოში დაკარგულიყო.

გეგონათ, ღვოვი დაგხვდებათ,
როგორც გეტმანის დარბაზი, —
ხარკოვში ჩამოგვირიგეს
თითოს ორ-ორი საპარსი.

საჩუქრებს გამოაყოლეს
სამართებლების „ზაპასი“,
შოგ ფუნჯი იდო ხუჭუჭა,
როგორც ქოჩორი თარბასი.

ეს არ გეგონოს, კონსტანტინ,[9]
ივავ-არაკი საბასი.

ბევრგან პურ-ღვინო მოგვართვეს
და ბევრგან კიდევ ადრესი.
ჩვენ დაგვყვებოდა ღიმილი
ბატონი ალექსანდრესი.

---

[7] კარლო კალაძის მეუღლის სახელია.
[8] გია მარგველაშვილი.
[9] კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

უკრაინაში სხვა დროსაც ვყოფილვარ. ბარემ ამაზეც ვიტყვი ძალიან მოკლედ.

1951 წელს ნოემბერში მიწვეული ვიყავი უკრაინის რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა მხატვრული თარგმანის საკითხებს. გზაში გავცივდი, კიევში გრიპით დაავადებული ჩავედი, დიდი სიცხე მჭონდა. სხდომებს ვერ დავესწარი, ოღონდ ჩემი წერილობითი სიტყვა სიმონ სკლიარენკომ წაიკითხა. სკლიარენკო ჩინებული ადამიანი და კარგი მწერალი იყო (ახლა გარდაცვლილია), ოდნავ ენა-ჩლიქი. მისი გამოსვლა რადიოთი მოვისმინე მწოლიარემ, მონოტონურად და ბორძიკით კითხულობდა. ავადმყოფს თავზე მადგა ნინო. სამაგალითო სამსახური გამიწია ბაქანის ოჯახმა. მკურნალობდა კიევის „კრემლის“ საუკეთესო ექიმი (ასე წარმომიდგინა იგი მიკოლამ ხუმრობით). საგანგებო წვნიან შეჭამადს მიმზადებდა ნინა ვლადიმიროვნა. დღეში ორჯერ მაინც მნახულობდა. ნინა ვლადიმიროვნა იშვიათად კეთილი გულის პატრონი ქალია, მზრუნველი, დაუზარელი, სტუმართმოყვარე, განათლებული, განსწავლული ბიოლოგი (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), ოჯახსაც კარგად უვლის და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასაც წარმატებით ეწევა.

1954 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ზეიმით აღინიშნა უკრაინისა და რუსეთის გაერთიანების სამასი წლისთავი. ამ თარიღს სპეციალური სამეცნიერო სესიები მიუძღვნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის უნივერსიტეტმა. აკადემიის სესიას დაესწრნენ უკრაინიდან მოვლინებული უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გური ნიკოლოზის ძე სავინი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ივანე კონსტანტინეს ძე ბელოდედი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რასაკვირველია, საიუბილეო-სამეცნიერო სესიები მიუძღვნეს (აპრილის თვის პირველ ნახევარში) უკრაინისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიებმა. ორივე ამ სესიაზე გაიგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია აკადემიის პრეზიდენტის ნიკოლოზ მუსხელიშვილის მეთაურობით. დელეგაციის წევრები ვიყავით მე და გიორგი წერეთელი. აკადემიის დაკვეთით უჩა ჯაფარიძემ შექმნა ლესია უკრაინკას შესანიშნავი ფერწერული პორტრეტი დიდი მოცულობისა. პორტრეტი თან წავიღეთ. როცა ნიკო მუსხელიშვილი ადრესის ტექსტს აქვეყნებდა, მე და გიორგიმ ლესიას პორტრეტი სცენაზე გავიტანეთ. მთელი დარბაზი ამას ტაშის ჭუხილით შეხვდა (სხდო-

მა მიმდინარეობდა კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში). ადრესის ტექსტი მე შევადგინე. მახსოვს, სხდომის დღეს, დილით, სასტუმროში ჩემი და გიორგის თანდასწრებით ბ-ნმა ნიკომ ორჯერ ხმამაღლა ჩაიკითხა ეს ტექსტი, სადმე შეხვილი არ შეეშალოსო, თუმცა იგი საუცხოო მარუსულე იყო (ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა პრეზიდენტი თავის ყველა საქმეს).

სხდომის საზეიმო ნაწილის დღის წესრიგი რომ იწურებოდა (შემდეგ უნდა შემდგარიყო კონცერტი), მიკოლამ ჩამჩურჩულა, კონცერტზე ნუღარ დარჩები, შინ მეწვიე და გიორგი წერეთელიც თან წამოიყვანეო (ბ-ნ ნიკოს ნუ შეაწუხებო). ჩვენი წასვლა რომ არ შეამჩნიონ, ნელ-ნელა, ჩუმად „გავიპაროთო". უარი არ გაეწყობოდა. გიორგი შევიპირე და თეატრის შენობა დავტოვეთ. სასტუმროში შევიარეთ, „ენისელის" ორი ბოთლი წავიღეთ და წავედით. მიკოლა ბაჟანი ახლოს ცხოვრობდა, ჩუდნოვსკის ქუჩაზე № 5 (ახლა რეპინის ქუჩა ეწოდება). ბაჟანთან სუფრას უსხდნენ (მასპინძლებს გარდა) აკადემიკოსები ალექსეევი და გუძი, კომპოზიტორი დანკევიჩი (ომის დროს ის თბილისში ცხოვრობდა). ჩვენი მისვლა გაეხარდათ. კონიაკებმაც შთაბეჭდილება მოახდინა (მიკოლა „ენისელს" გენიალურ კონიაკს უწოდებს). საღამო ტკბილ მეგობრულ მუსაიფში გავატარეთ. სასტუმროში გვიან დავბრუნდით. გზაში გიორგიმ გამანდო, ცხრუკეთის ღვინო მაქვს ჩამოტანილი ტიკპორათი, მოსკოვში მიკოლა ბაჟანს სამაგიერო პურობა გავუმართოთო. ასეც მოვიქეცით. ბინად მოგვათავსეს სასტუმრო „მოსკოვში". საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა განკარგულებაში იყო სასტუმროს რესტორანიც (გარეშეთათვის იმ დღეებში რესტორანი დახურეს). დრო შევარჩიეთ და სტუმრად მოვიპატიჟეთ მიკოლა ბაჟანი, ნ. გუძი, პ. ალექსეევი, გ. სავინი, ი. ბელოდედი, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, გ. ახვლედიანი. ცხრუკეთის ღვინოს დავუმატეთ მოსკოვის ქართული გასტრონომიდან მოტანილი სასმელები (მაშინ გორკის ქუჩაზე იყო კარგად მომარაგებული ქართული გასტრონომიული მაღაზია). სტუმრებმა ძლიერ მოიწონეს. ნიკო მუსხელიშვილის ოხუნჯობამ და მოსწრებულმა სიტყვებმა ყველა მოხიბლა. ერთმანეთს მივეცით ქართულ-უკრაინული ძმობის ფიცი. აკადემიკოსი გუძი ადრე შეზარხოშდა, მის აღტაცებულ სიტყვებს საზღვარი არ ჰქონდა. ბაჟანმა ჩამილაპარაკა ხუმრობით, გუძი ნამეტნავად გაგვიუკრაინელეთო. საქმე ისაა, რომ ნიკოლოზ კალენიკის ძე გუძი წარმოშობით იყო უკრაინელი, უკრაინის აკა-

ღემიის წევრი, მაგრამ არსებითად კი რუსი მეცნიერი. პურობას ყველა მონაწილე აკადემიკოსმა გუძიმ მეორე დღისათვის თავისთან მიიპატიჟა. მართლაც მეორე დღეს დაგვირეკა მე და გიორგის და გვთხოვა ვხლებოდით. ვეახელით, მაგრამ ჩვენს გარდა იქ არავინ ყოფილა. გუძი ცხოვრობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის გვერდით. იშვიათად მდიდრული ბიბლიოთეკა ჰქონდა და პირველხარისხოვანი ფერწერული ტილოების ნამდვილი გალერეა...

რახან მოგონებების ამ ბოლო ფურცელს ერთგვარად გასტრონომიული განხრა მიეცა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ კიევსა და მოსკოვში საიუბილეო ბანკეტები ვაიმართა. უნდა გულახდილად ვთქვა, არ მომეწონა. ცივი და უფერული მომეჩვენა. არა, პურმარილი და სუფრის მადლი ღმერთს ქართველობისათვის გადმოულოცავს. სხვა საქმეა, რომ ბოლო დროს ამ სფეროშიც დაირღვა ძველი, სანაქებო ტრადიციები და პურობამ მავნე ღრეობის ხასიათი მიიღო. იმედია, ამ ჩამომრებ სენსაც მალე დავაღწევთ თავს და ქართულ პურობას დავუბრუნებთ ოდინდელ შნოსა და ლაზათს.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ[1].

1. მამუკა მდივნის „ზააქიანი“

„შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში ერთ ფრიად საყურადღებო საკითხს წარმოადგენს „ზააქიანის“ ეპიზოდი. მის განსაკუთრებულ ინტერესს აძლიერებს გალექსილი რედაქციის შესავალი, რომელიც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მთლიანად შენახულა, თუმცა საკმაოდ დაზიანებულია. ამ შესავალში გამლექსავი, მამუკა მდივანი, ამბობს:

„საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველი“,

და განაგრძობს: „ვერ შეემართა“ შავთელს, სარგის თმოგველს, რუსთველს (კლასიკური ხანის მწერლებს) და ვერც მანუჩარ მწერალს, თეიმურაზს (აღორძინების ხანა). ღვით შრომა გაუწევია პატრონის [ლევან დადიანის] დავალებით:

„პატრონთ მიბრძანეს, გავლექსე ამბავი ზააქისანი“[2].

ამ შესავლის მიწმობით ირკვევა, რომ გამლექსავს ხელთ ჰქონია რაღაც ძველის-ძველი ამბავი. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების (გალექსილის) ერთი ნაწილის გამომცემელმა ბ-მა ი. აბულაძემ მამუკა მდივნის მოწმობას შემდეგი კომენტარი დაურთო: „აქ მელექსე აშკარად გულისხმობს ზააქის შესახებ ძველის-ძველს ამბავს, რომელიც დარჩენოდა საქართველოს. ზააქის შესახებ ამბები რომ ძველ დროიდანვე არსებობდა ჩვენში, ამას, სხვათა-შო-

---

[1] მოხსენებულია საისტ. საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 26 XI-26 წ. სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი აღვნიშნო, რომ შრომა ჩემი ფრიად პატივცემულ მასწავლებლის, პროფ. კორნელი კეკელიძის, უშუალო ხელმძღვანელობით არის დამუშავებული.

[2] ი. აბულაძე. „შაჰ-ნამეს“ ანუ . მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“, თბილისი, 1916, გვ. 3—9; Е. Такайшвили, Описание рукописей общ. расп. гр. ср. груз. населения. I, с. 367—368.

რის, მოწმობს ჩვენი მატიანე ქართლის ცხოვრება». ამ წყაროში ვპოულობთ ცნობებს იმავე პირთა შესახებ, რომლებზედაც მოგვითხრობს ფირდოუსი.

აფრიდონ, რომელმაც შეჰკრა ჯაჭვით გველთა უფალი ბევრასფი, და დააბა მიუვალ მთაზე, არის იგივე შაჰ-ნამეს ფერიდუნი, რომელმაც მიაბა ზაჰაქი (სპარს. ضحاك ქართ. ზააქი) დემავენდს.. დაუმატეთ ყველა ამას როსტომის შესახებ თქმულებათა მთელი ციკლი, რომელიც დაუცავს ქართველი ერის ფანტაზიას, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ ძველის ზააქიანის შესახებ ამბის არსებობა ჩვენში და, მაშასადამე, სარწმუნოდ მივიჩნიოთ მელექსის სიტყვები: „საქართველოს ეს ამბავი...“ („ვერსიები“ გვ. 3 შენ. 2) თავისდა თავად პ-ლ მკვლევრის შენიშვნის ფაქტიური მხარე. რასაკვირველია, სწორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ ერთი პრინციპიალური (თუ მეთოდური) ხასიათის შეუსაბამობას უნდა ჰქონდეს ადგილი. მართლაც, როცა გამლექსავი ზააქის ამბვის არსებობის ფაქტს აღნიშნავს, იქვე უმატებს:

თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიჰყო ერთმან ყელი?!“ ვერ შეემართა (გაელექსა) კლაკიკური და აღორძინების ხანის მწერლებს. „შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი“, — სხვად კი „არად სცალდა“. თვით თეიმურაზმა, რომელიც „ყოველთა უკეთესია, არა ინდომა ესია“ ე. ი. ზააქიანის გალექსვა.

აშკარაა, მამუკა მდივანი ვერ მოითხოვდა ისტორიულ ქრონიკებში შემთხვევით დაცული ცნობები საგანგებოდ გაელექსათ ჩვენს პირველხარისხოვან მწერლებს.

მამუკა მდივანი ჰგულისხმობს არა ჩვენი მატიანის მითიურ ნაწილს, არამედ სპეციალურ თხზულებას[6].

საკითხავია მხოლოდ რა წყარო ჰქონდა მამუკას სპარსული დედანი თუ მისი ქართული თარგმანი. „შაჰ-ნამეს“ სხვა ვერსიების ანალოგიით ვიცით, რომ გამლექსავები თავის შრომის საფუძვლად ქართულ თარგმანებს იღებდნენ. ე. წ. „უთრუთიანის“ გამლექსავი ზონურად მისდევს თავის პროზაულ (ქართულ) დედანს „რაც ამბ-

---

[6] ეტყობა, ეს შეუსაბამობა ბ-ნ ი. აბულაძესაც უგრძვნია და სხვა ადგილას ასე მსჯელობს: „სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვეძლია რაიმე გარკვეული აზრი გამოვთქვათ იმის შესახებ, თუ რომელი ძველის-ძველი ამბავი აქვს. სახეში ზააქიანის გამლექსავ მეფის მდივან მამუკას, როდესაც იგი ამბობს: „საქართველოს ეს ამბავი...“ და დაინტერესებულთ მიუთითებს იმ განმარტებაზე, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ“ (იხ. ვერსიები, XI).

ვად იყო გავლექსე, მიფიცავს ყოვლის მპყრობელი", „დედამ ეს ბითხრა, რაცა ვთქუი".

ან — „ეს ამბავად იყო ნათქვამი, რაც ლექსად დამიწერია", თუ რამე დამაკლდეს:

„მე უბრალო ვარ, იყუენით ამბვის მწერლისა მგმობელი"[4].

გალექსილი „საამიანის" ავტორი ბარძიმ ვაჩნაძეც თავის შრომას შემდეგ ცნობას უმძღვარებს წინ: „აწ ლექსადა ვთქუა ამბავი საამის გმირთა-გმირისა"[5]. და ამით გვამცნობს, რომ დღემდის პროზაულად იყო, აწ კი ლექსადაც გარდაქმნილიაო. აქ ყველა ფაქტის ჩამოთვლა საჭირო არ არის, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს როსტომიანშიც.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა „საამიანი". ბ-ნ ი. აბულაძემ სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ „ბარძიმ ვაჩნაძის საამიანი ამ მამუკას [მდივნის] ნათქვამი ზააქიანის ბუნებრივს გაგრძელებას წარმოადგენს"[6]. მართლაც, გალექსილი საამიანი იქ იწყება, სადაც წყდება მამუკას ზააქიანი. ბარძიმ ვაჩნაძე კარგად იცნობს გალექსილ ზააქიანს და აქედან ცნობებსაც არის დასესხებული. საზოგადოდ მართებულია ბ-ნი აბულაძისვე მოსაზრება, რომ გალექსილი საამიანის წყარო მისი პროზაული ვერსიაა, მაგრამ მას ვერ დავეთანხმებით, როცა პროზაულ და გალექსილ რედაქციათა იდენტურობა აბსოლუტობამდე ჰყავს[7]. ამის მშვენიერ მაგალითს მამუკა მდივნის ზააქიანივე იძლევა. მამუკას, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს, რომ მიჯაჭვულ ზააქს დარჩენია შვილი გაგო, რომელიც „ცხენსა შეჯდა, გარდიხვეწა...

ჩინეთისა ზღვას მიმართა, მას მუქარა ბევრი ეთქვა"[8].

ეს გაგო შემდგომ ჩინეთიდანვე გვევლინება გალექსილ საამიანში, როგორც ფრიდონის მტერი — „ჩინეთით გაგო მოვიდა, ზააქის თესლის ნარგია"[9].

თუმცა ამის შესახებ არავითარი ცნობა ბარძიმის მიერ გალექსილ პროზაულ რედაქციაში არ გვაქვს. მეორე ფაქტიც: პროზაული ვერსიით (ე. ი. პარძიმის წყაროთი) ზააქის ცოლები ჯიშ-

---

[4] ს. ს. ს. ხელ. № 61, გვ. 66.

[5] ვერსიები, გვ. 39, ხანა 115.

[6] ვერსიები, XXVIII.

[7] ვერსიები, XIX.

[8] ვერსიები, გვ. 31, ხანა 97.

[9] ხანა 556—4; აგრეთვე შდრ. ხანა 568—2, 572—1.

შედის ქალებია[10], — გალექსილი საამიანით კი „ჯიმშედს ჰყვანდეს ორნი დანი, ორნივე ზააქ შეირთო“ („ვერსიები“, 71—3)[11]. აშკარაა, მამუკა მდივნის გავლენით, რადგანაც ზააქის ცოლები აქ ჯიმშედის დებია და არა ქალები.

მამუკას მოწმობით ვიცით, რომ მისი გალექსილი „ზააქიანი“ დაწერილია ოდიშს, ლევან დადიანის კარზე, ტყვეობაში ყოფნის დროს („ვერსიები“, გვ. 7). არჩილ მეფის ავტორიტეტული მოწმობით კი:

ბარძიმ ვაჩნაძემ გალექსა საამის წიგნი ოდიშსა“[12].

აქედან პ-ლ. პრ. კ. კეკელიძის სიტყვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბარძიმ ვაჩნაძე ერთ-ერთი ტყვეთაგანი იყო, მამუკასთან ერთად ლევან დადიანის კარზე[13].

მამუკა და ბარძიმის მუშაობა წარმოებულა ერთ და იმავე ადგილას, ერთ და იმავე პირობებში. მათი შრომა ურთიერთის დამატება-გაგრძელებას წარმოადგენს. აქ ერთგვარი შეთანხმებულ-გეგმური მუშაობა წარმოებულა. აშკარაა, ქრონოლოგიურად უსწრებს „ზააქიანი“.

მამუკას და ბარძიმის ამგვარი მოღვაწეობა სიმპტომატურია. სიმპტომატურია, რადგან დღეს უკვე გარკვეულია ბარძიმ ვაჩნაძის ლიტერატურული მოღვაწეობა[14]. მას უსარგებლია „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული თარგმანით, რომელიც, ცნობილი ნუსხებით, „მეფეთ წიგნის“ დასაწყის ამბებიდან ზაალის შობამდე ანუ საკუთრივ როსტომიანამდეა მიყვანილი. ბარძიმს ამ პროზაულ ვერსიის მეორე ნახევარი (საამიანი) გაულექსავს — და ამით, აშკარაა, გულისხმობს წინა ამბების გალექსილი რედაქციის არსებობას; და

---

[10] იხ. ს. ს. ხ. ხელ. № 921 გვ. 54 B; წ. კ. № 1594, გვ. 97A

[11] მამუკას ზააქიანის ერთი შესავალი ხანა „თქვენც გასმია ზააქ რა ქნა“ — მთლიანად შესულა გალექსილ საამიანში (იხილეთ „საამიანი“, ხანა 610).

[12] ცხოვრება თეიმურაზისა, პ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 180; Опис., II, 140.

[13] ქართ. ლიტ. ისტორია, II, 186.

[14] ვერსიები, გვ. XIX—XXX; პრ. კ. კეკელიძე, ქარ. ლიტ. ისტ., II, გვ. 185—186. ოღონდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვერ ვეთანხმებით პ-ლ ი. აბულაძის ასეთი აბსოლუტური ხასიათის დასკვნას: „გაძლესავი (ბარძიმ ვაჩნაძე) სიტყვა-სიტყვით მისდევს პროზითს ჴოთხრობას და ხშირად იმეორებს მის ფრაზებს და თერმინებს და ზოგჯერ სრულიად უცვლელად იცავს მთელ წინადადებებსაც. ზოგიერთი უმნიშვნელო (?) განსხვავება ერთი ტექსტის მეორისაგან შეიძლება მიეწეროს მხოლოდ მელექსის თავისუფლებას“ (XIX). უნდა შევნიშნოთ, რომ „მელექსის თავისუფლება“ მეტად ხშირია და მნიშვნელოვანიც, მაგრამ აქას ჩვენთ საკითხისათვის ამჟამად მნიშვნელობა არ აქვს.

სწორედ გალექსილის, რადგანაც, როგორც ვთქვით, იქიდან თვითონ ცნობებსაა დასესხებული. ბარძიმის წინამორბედი გალექსილი რედაქცია ვერ იქნებოდა ს. ს. ს-ში დაცული ხელნაწერი № 61, რომელიც ჩვენში ცნობილია „უთრუთიანის“ სახელწოდებით. ეს რედაქცია **ჰეშმარიტად** სიტყვა-სიტყვით მისდევს „შაჰნამეს“ პროზაულ ვერსიას. „უთრუთიანი“ მამუკას „ზააქიანის“ შემდეგ უნდა გაჩენილიყო. ამას შემდეგი ფაქტი გვაფიქრებინებს: აქ ერთი ან, „უკეთ, ერთადერთი გამონაკლისი თავისებურება გვაქვს, როცა გამლექსავი თავის პროზაულ ვერსიას შორდება. სახელდობრ, აქედან ვეცნობით რომ: „ზააქს ორნი შვილნი დარჩა **ფარუხი და გაგო**[15], თუმცა პროზაულ ვერსიით (ყველავ ვიმეორებთ, რომელსაც გამლექსავი უმნიშვნელო წვრილმანშიც კი სიტყვა-სიტყვით იმეორებს) ზააქს ერთი შვილი დარჩა **ფარუხი**, მაგრამ მამუკას ზააქიანში ზააქის შვილია **გაგო** და არა ფარუხი. გამლექსავი იცნობს ორივე ფაქტს, ის დაეჭვებულია, ამიტომ ერთგვარი შეთანხმების, თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ადგა და ორივე ზააქის შვილებად გამოაცხადა, წინააღმდეგ როგორც პროზაულ, ისე გალექსილ ვერსიათა ტრადიციისა.

ბარძიმი იცნობს საამის ეპიზოდამდე გალექსილ ამბავს და თითონ აგრძელებს მას.

როცა ბარძიმის შრომას ვუკვირდებით, უნებლიეთ იბადება კითხვა: მამუკას იგივე პროზაული ვერსია ხომ არ ჰქონდა ხელთ, რომლის მეორე ნაწილის გალექსვა, ზააქიანისავე გაგრძელებად ბარძიმს უკისრია. მამუკას რად უნდა ეძებნა, ვთქვათ, სხვა რაღაც უცხო ენაზე არსებული ვერსია, როცა მის განკარგულებაში ხელუხლებელი, მზა-მზარეული, ქართული პროზაული თარგმანი არსებობდა. უფრო ბუნებრივი და გასაგებიც იქნება გალექსილ ზააქიან-საამიანში შენიშნული შესატყვისობანი მათ საერთო ქართულ პროზაულ ვერსიაშიც ვეძიოთ.

ამ ეჭვებს კიდევ უფრო შეესხა ფრთები, როცა აშკარად დადასტურდა ის ფაქტი, რომ მამუკა მდივნისათვის „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსია მართლაც ხელმისაწვდომი ყოფილა, რომ მამუკა ამ პროზაულ ვერსიას კარგად იცნობდა. კიდევ მეტი, ამ ვერსიის გავრცელებაზე მას პირადად უღვაწია. ქ. შ. წ. კ. გ. ს. ყოფილ სიძველეთსაცავში ჩვენ ვიპოვეთ „შაჰ-ნამეს“ პროზაული-

[15] № 61, გვ. 176.

ვერსიის ერთი იშვიათი ეგზემპლარი საკუთრივ მამუკა მდივნის ხელით გადაწერილი ოდიშს, ლევან დადიანის კარზე.

ეს ხელნაწერია № 1594. საზოგადოების დაბეჭდილ კატალოგში ის წოდებულია ყარამანიანად[16]. ხელნაწერი აღწერილი აქვს ბ-ნ ექ. თაყაიშვილს. ეს აღწერილობა საყურადღებოა და ძლიერ მოკლეც ისე, რომ მისი მთლიანად მოყვანა შეიძლება. აღწერელი ხელნაწერს ყარამანიანს უწოდებს: «Караманиани, рукопись в 32×21 сант., в ободранном досчатом переплете, перекрытом черною кожею с тиснениями, писана на бумаге строчным мхедрули второй половины XVIII в. Рукопись обильно снабжена рисунками в красках в персидском стиле, но, к сожалению, она дефектна, листы разрознены и перепутаны. Всех рисунков 72, листов теперь 147. Филиграни бумаги не одинаковы. Одна из них представляет линию в круге. Рукопись начинается с 9 тетради. В середине первого листа — оглавление: აქა ეშმაკისაგან ჯიმშედის მოცდუნება. Последняя тетрадь по счету 33-я. Эта рукопись и древнее и лучше других»[17].

რასაკვირველია, შეცდომაა ამ თხზულების ყარამანიანად მონათვლა. ეს აშკარაა, სხვათა შორის, თვით ბ-ნ-თაყაიშვილის წარმოდგენილ აღწერილობიდანაც. მართლაც „ყარამანიანი" სრულიად არ იცნობს ჯიმშედის ამბავს, და, მით უმეტეს, „ეშმაკისაგან ჯიმშედის მოცდუნებას". როგორც ვთქვით, ეს თხზულება „შაჰნამეს" პროზაულ ვერსიას შეიცავს. ბ-ნი ექ. თაყაიშვილი შეცდომაშია შესული, როცა თხზულებას XVIII ს. მეორე ნახევრით ათარიღებს. ხელნაწერს დასასრულს თარიღიც აქვს დასმული და გადამწერიც კი მოხსენებულია. „ქორონიკონს სამას ოცდა თხუთმეტსა, თვესა ივლისსა ოცდაშვიდსა გათავდა. ე .ი. 1647 წ. (მე-17 ს. პირველი ნახევარი). უფრო საყურადღებოა გადამწერის ვინაობა... **...დაიწერა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონი ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა**". სანამ ჩვენ ხელნაწერს დავუბრუნდებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გადამწერის, მამუკა თავაქალაშვილის, ვინაობის გარკვევა, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ „ზააქიანის" საკითხის გადასაწყვეტად. გალექსილ ვერსიის შესავალში ნათქვამია:

„მეფის მდივანმან მამუკამ ვთქუი ესე ზააქიანი.

---

[16] დ. კარიჭაშვილი, „კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთ-საცავისა", 1905, გვ. 131.

[17] Описание, II, с. 609 – 610.

ოდიშს ტყვედ ვიყავ, გავლექსე, მე თავსა უყავ ზიანი“. შემდეგ — „პატრონთ მიბრძანეს, გავლექსე ამბავნი ზააქისანი“. ეს პატრონია „ჯელმწიფე მანუჩარისძე დადიანი ლევან, ოდიშის მფლობელი“[16]. გამლექსავი ქებათა-ქებას უძღვნის თავის პატრონს აღმოსავლურ საკარო-სახოტბო პოეზიის მანერით. ლევან დადიანი (1611—1657) აქ გამოყვანილია „ყოველთა საყუარელად („ვერსიები“, ხანა 11—1 გვ. 9).

გამლექსავი თავის თავს მეფის მდივანს უწოდებს, რომელიც ლევანთან ტყვედ არის.

მამუკა მდივნის ვინაობის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში სხვა და სხვა აზრი არსებობდა. პირველად ბ-ნი ექ. თაყაიშვილი შეეხო ამ საკითხს. მას მამუკა მდივნად — იმერეთის მეფე გიორგის ბოქაულთუხუცესი მამუკა მიაჩნდა[19]. ამ მოსაზრებას ადგია ჩვენი პ-ლი მასწავლებელი პრ. კ. კეკელიძე[20].

„ზააქიანის“ გამომცემელ ბ-ნ ი. აბულაძის მოსაზრებით: „ეს მამუკა მდივანი უნდა იყოს მანუჩარ დადიანის ერთი იმ ტყვეთაგანი, რომლებიც მან წამოასხა ქართლის მეფე სიმონზე ოფიშკვეთის ბრძოლაში გამარჯვების დროს“[21]. პრ. კ. კეკელიძემ საკმაოდ სამართლიანად უარყო ბ-ნ ი. აბულაძის მოსაზრება თხზულების შესავალში დაცულ ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტების გათვალისწინებით[22]. მართლაც, სხვა რომ არა იყოს რა, ლევან დადიანი, რომლის დავალებითაცაა შრომა შესრულებული, ოფიშკვეთის ომის დროს დაბადებულიც არ ყოფილა. ოფიშკვეთის ბრძოლა მოხდა 1590 წ[23]. ლევან დადიანი კი 1951 წ. დაიბადა[24]. სარგის კაკა-

[19] Описание, I, 368; ვერსიები, გვ. 7.

[19] Описание, с. 366—367.

[20] ქართ. ლიტ., ისტ. II, გვ. 172—173.

[21] ვერსიები; გვ. 6, შენ. 7.

[22] ლიტ. ისტ. II, გვ. 172.

[23] ქარ. ცხოვ., II, გვ, 32, 195, 246. ქართ. ცხოვრებაში, სხვა ადგილას, ოფიშკვეთის ბრძოლის თარიღად 1593 წელია დასახელებული (ქარ. ცხ., II, 300; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 427). ამ გარემოებას პირველად პროფ. კ. კეკელიძემ მიაქცია ყურადღება (იხ. მისი ქართ. ლიტ. ისტ. II, 172 შნ. 5). მაგრამ ეს ცნობები საეჭვოა, რადგანაც, ამ შემთხვევაში ქარ. ცხოვრებით თითქოს ომი მოხდა სვიმეონ მეფის და მ ა მ ი ა დ ა დ ი ა ნ ი ს შორის, რაც შეცდომაა, ოფიშკვეთის ბრძოლის დროს დადიანობდა მამიას შვილი მანუჩარ, ლევანის მამა (ეს შეცდომა განმეორებულია გვ. 304 — სტ. 8). ქრონიკების მოწმობით, ოფიშკეთში (დედანში : ოფიშუჭი) სვიმეონ ალექსანდრე მეფის მიერ დამარცხდა. აქ დადიანი სრულიად არაა მოხსენებული.

[24] ქარ. ცხ., II, 195.

ბაძემ პრინციპიალურად უარყო მამუკა მდივნის და მამუკა ბოქაულთუხუცესის ერთი და იგივეობა"[25].

ამ მამუკა მდივანს ლევან დადიანის კარზე ტყვეობაში ყოფნის დროს გადაუწერია ვეფხის-ტყაოსნის ცნობილი, უძველესი, რედაქცია 1646 წელს[26]. ჩვენი ხელნაწერი, რომელიც მამუკა თავაქალაშვილს შეუსრულებია, ვეფხის-ტყაოსნის გადამწერის მომდევნო წელსაა დასრულებული. ორივე ლევან დადიანის დავალებით. სამწუხაროდ, ვეფხის-ტყაოსნის ეს ხელნაწერი ამჟამად ტფილისში არ იმყოფება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ორივე თხზულების პალეოგრაფიული თვალსაზრისით შეპირისპირება. მაგრამ ჩვენ საშუალება მოგვეცა რამდენადმე მაინც ამგვარი ოპერაცია მოგვეხდინა. ვეფხის-ტყაოსნის მოხსენებული ხელნაწერი დასურათებულია[27], ამჟამად ს. ს. ს. მუზეუმში დაცულია ალბომი (№ 876) მამუკა მდივნის გადაწერილ ვეფხისტყაოსნიდან გადაღებული ფოტოგრაფიული სურათებით. სურათების უმრავლესობას წარწერებიც შემოუნახავს, რომლებიც სავსებით იმგვარივეა, როგორც ჩვენი ხელნაწერის დამწერლობა. დასურათხატებულია ჩვენი ხელნაწერიც, მაგრამ სპეციალისტის, ბ-ნ შალვა ამირანაშვილის დაკვირვებით მამუკას ხელით შესრულებულია მხოლოდ ორი, — სახელდობრ: ფერიდუნი თავის ცოლებით და 2) აქა ფრიდონს ფურისა ძუძუს აწოვებენ. დანარჩენი შესრულებულია მე-XVIII ს-ში — თავისუფლად დატოვებულ ადგილებზე. ბ-მა ამირანაშვილმა ვეფხის-ტყაოსნის და ჩვენი ხელნაწერის ორი მოხსენებული სურათის ავტორის იდენტურობა დაადასტურა. სხვათა შორის, მამუკა მდივანს ჩვეულებად ჰქონდა ტექსტში ჩართვა: „ღ-თო შეიწყალე ამისი მწერალი"[28]. რაც ჩვენს ხელნაწერშიც გვხვდება (გვ. 18B). ამრიგად, აშკარა ხდება, რომ ვეფხის-ტყაოსნის 1646 წ. ნუსხის და ჩვენი ხელნაწერის შემსრულებელი მამუკა ერთი და იგივე პირია: მამუკა მდივანი ანუ მამუკა თავაქალაშვილი. ის თავისი დროის საუკეთესო კალიგრაფი ყოფილა, მხატვარი და უფრო მდარე ღირსების პოეტი[29]. ეტყობა, მამუკას დიდხანს უცხოვრია ლევან დადიანის კარზე. როგორც ბ-ნმა სარგის ყაყაბაძემ გამოარკვია, ის იხსე-

[25] „საისტორო მოამბე", 1925, I, 305—306.

[26] Так., Описание, с. 570.

[27] Описание, II, с. 671.

[28] Описание, II, 570.

[29] მამუკას შრომის პოეტურ ღირსებაზე იხ. ვერსიები, გვ. 12; პროფ. კ. კეკელიძე, II, გვ. 174.

ნება ლევან დადიანის ერთ საბუთში, რომელიც 1628—1639 წ. ეკუთვნის[30]. ალბათ, ლევანი მამუკას მწიგნობრად იყენებდა, შესაძლებელია მას პირად მდივნობასაც ავალებდა. მამუკას სხვა მრავალი თხზულებაც უნდა გადაეწერა, რომელთაც ჩვენამდე არ მოაღწიეს, ან და გამომზეურებას ელიან. ლევან „დადიანის კარზე გაჩაღებული ლიტერატურული მუშაობა ყოფილა. „შაჰნამეს" ვერსიების გალექსვაზე მუშაობენ მამუკა და ბარძიმ, იწერება ვეფხისტყაოსანი. დადიანების კარზე შემოკრებილი წრიდან უნდა იყვეს გამოსული „როსტომიანის" ცნობილი ე. წ. დადიანისეული რედაქცია, ამ ჟამად ყ. წ. კ ს. ჰუზეუმში დაცული № 406[31]. მამუკა ლევანის კარზე ლექსავს ზააქიანს. აქვე მის მხატვრულ გამოცემაზე ზრუნავს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1594 წ-ში არის მამუკას ხელით შესრულებული ორი სურათი. შესაძლებელია, ის სურათები თავდაპირველად გალექსილი ზააქიანისათვის იყო დამზადებული. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ერთ სურათზე გამოსახულია ფრიდონი თაკის ცოლებით (ჯიმშედის დებით) არნავაზით და შირინოზით. პროზაული ვერსია ამ სახელებს არ იცნობს. თანაც აქ ზააქის ცოლები ჯიმშედის ქალებია და არა დები, როგორც სურათების წარწერა გვაუწყებს. გალექსილში კი ზააქის ცოლები სწორედ ჯიმშედის დებად იწოდებიან. აქ სახელებიც შირინოზ და არნავაზია.

მეორე სურათის წარწერაა: აქა ფრიდონს ფურისა ძუძუს აწოვებენ. სამწუხაროდ, არც პროზაულ და არც გალექსილ ვერსიაში არაა მოხსენებული, რომ ფრიდონს ფური ძუძუს აწოვებდა, როგორც ეს სურათზეა გამოხატული და სპარსული ტექსტით დადასტურებული[32]. მამუკას ხელით გადაწერილ „შაჰნამეს" პროზაული ვერსიის გამოაშკარავებას მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია როგორც გალექსილ „ზააქიანისა", ისე, საერთოდ, შაჰნამეს ქართული ვერსიების პრობლემის გასარკვევად. ხელნაწერი საყურადღებოა თავისთავად როგორც ახალი ეგზემპლარიც, თანაც დათარიღებული. დღემდის ჩვენში ცნობილი იყო „შაჰ-ნამეს" პროზაული ვერსიის მხოლოდ ერთი ნუსხა, ს. ს. ს. სიძველეთსაცავის ხელნაწერი № 921, რომელიც მეტად დეფექტურად არის შენახული: აკლია მრავალი ფერცელი შუაშიც, თავ-

[30] „საისტორო მოამბე", 1925 1, გვ. 306; მისივე, დასავლეთ საქ. საეკლესიო საბუთები, 1, 51—52.

[31] ამ ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა იხ. თაყაიშვილი, 1, 358—360.

[32] იხ. Mohl. Le livre des rois, I, სპ. ტექსტი გვ. 80—4, ფრან. თარ. 81—7.

შიც და ბოლოშიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბოლოს დაკარგვა. ამით შეუძლებელი ხდებოდა იმის გათვალისწინება, თუ სანამდის ყოფილა მიყვანილი ამ ნუსხით პროზაული თარგმანი.

პროზაული ვერსიის მეორე ეგზემპლარი უნდა გვქონდეს ლენინგრადის საჯარო წიგთსაცავის № 50-ში" (Собрание кн. Грузинского), როგორც ამას ყურადღება მიაქცია პ-ლმა პრ. კ. კეკელიძემ[33]. სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი ჯერ კიდევ არ დაბრუნებია მშობლიურ კერას. მხოლოდ აკ. ნ. მარის მოკლე აღწერილობით ვიცით, რომ ხელნაწერი დიდად ნაკლულია. „აღმწერელის სიტყვით „დაცულის ფურცლებიდან სჩანს, რომ შეიცავს „შაჰნამეს" პროზაულის თარგმანის ნაწილს, პირველ თავიდგან თურის მოკვლამდე მანუჩარის ხელით და ამ ამბის შესატყობლად წერილის გაგზავნამდე მანუჩარისგანვე ფრიდონის მიმართ"[34]. მაშასადამე, პეტროგრადის ხელნაწერს პროზაულ საამიანის დიდი ნაწილი აკლია. დასასრული არც აქ გვაქვს, თანაც ხელნაწერი უთარიღოა.

ჩვენი ხელნაწერიც (№ 1594), როგორც ბ-ნ თაყაიშვილის აღწერილობიდანაც ჩანს, მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო. ფურცლები სრულიად არეულ-დარეულია და გადასმულ-გადმოსმული. მაგრამ ს. ს. ს. ხელ. № 921 დახმარებით შესაძლებელი ხდება მისი დალაგება. ხელნაწერს შესავალში მცირე აკლია. ამბავი უკვე ქაიამორით იწყება. უთრუთის თავგადასავალი, რომელიც ს. ს. ს. ხელნაწერში ძლიერ დაზიანებულია, აქ თითქმის მთლიანად არის წარმოდგენილი, ისე რომ ორივე ხელნაწერის დახმარებით შესაძლებელი ხდება ამ ეპიზოდის აღდგენა. ძლიერ დაზიანებულა ხელნაწერის უკანასკნელი ეპიზოდი, სახელდობრ, საამიანი. მაგრამ, საბედნიეროთ, ამის დასასრული გადარჩენილია. ჩვენ ჯერჯერობით დაწვრილებით შევისწავლეთ და აღვადგინეთ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ზააქის ეპიზოდი. ეს საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი. დაკარგულა მხოლოდ ორი ფურცელი — სახელდობრ 1) ს. ს. ს. ხელ. № 921 მიხედვით გვ. 43A, სტრიქ. 6, დაწყებული სიტყვებით: „და რა ღარიბი ყარამან დაინახა", — დამთავრებული: „სახელოვანი არის, ამაზედა აღარა..." (იგივე გვერდი, 3 სტრ. ქვემ.). ჩვენი ხელნაწერით 78B და 79 A. ს შუა).

---

[33] II, 169 შენ. 4.

[34] ნ. მ. (ნ. მარი), „ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე"-ს ქართული თარგმანის შესახებ". „ივერია", 1891, № 132.

2) გვ. 82B და 83A-ს შუა აკლია დაწყებული სიტყვებით: „ლილასა დაემსგავსნეს“ (№ 921, 46A—7 სტრ.), დათავებული: „გასწივნა კბილ მოღრჯენიდ“. (46B).

სამაგიეროდ, ჩვენ ხელნაწერს დაუცავს ერთი ეპიზოდი, რომელიც ს. ს. ს. ხელნაწერს აკლია. ჩვენი ხელნაწერის მიხედვით ზააქისგან დამარცხებული ჯიმშედ გაიქცევა ინდოეთში. ირთავს ინდოთ მეფის ჯოგრატის ქალს. შემდეგ სიმამრის და მისი ძმის ბაგრატის დახმარებით გამოემგზავრება ერანში ზააქის წინააღმდეგ საბრძოლველად. ზააქი დაამარცხებს ჯიმშედს. იპყრობს ერანთურანის ტახტს (რაშიდაც არავინ ეცილება). ირთავს ჯიმშედის ორ ქალს. ინდოელებთან ბრძოლაში ზააქი თავისი ხელით ჰკლავს ბაღრატს (გვ. 57B—60A) მომდევნო ამბები გვაქვს № 921-იც[35].

როგორც შევნიშნეთ, ს. ს. ს. და პეტროგრადის ხელნაწერებს აკლიათ დასასრული, რა ნაკლსაც ავსებს ჩვენი ხელნაწერი, ამით წყდება პროზაულ „შაჰ-ნამეს“ ამ ნუსხათა მოცულობის საკითხი. ის შეიცავს ამბებს დასაწყისიდან საკუთრივ როსტომიანამდე. პროზაული ვერსია სწორედ იქ თავდება, სადაც უკანასკნელი წერტილი ესმება გალექსილ საამიანს.

რასაკვირველია, მამუკა მდივნის ხელით გადაწერილ პროზაულ „შაჰნამეს“ არსებობის ფაქტიც არსებითად ვერ გადასწყვეტს მამუკას გალექსილი შრომის ბედს. საჭიროა მისი შინაგანი ბუნების ოპერაცია, რომ ამით შესაძლებელი გახდეს თავისდათავად საგულისხმო დასკვნის დასაბუთება.

საერთოდ სავსებით მართებულია პ-ლ ი. აბულაძის მოსაზრება, რომ „მამუკას გალექსილი ზააქიანი, როგორც შინაარსით, ისე თავის სიმოკლით უფრო ემხრობა ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ მოთავსებულ ზააქის შესახებ ეპიზოდს ვიდრე [ქართული პროზაული ვერსია][36], — მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამუკას ნამუშევარი უაღრესად თავისებურად არის გამართული. ზედმიწევნით შემოკლებულია და, არსებითად, არც ნაკლები საერთო მოტივები აქვს ქართულ პროზაულ ვერსიასთან ვიდრე მის სპარსულ დედანთან.

მართლაც, მამუკას ცნობით, ზააქ მუხვარდის შვილია (15—1), ისე როგორც პროზაული ვერსიითაც. უკანასკნელში ზააქის შთა-

---

[35] ს.ს. № 61 ე. ი. გალექსილ უთრუთიანსაც აკლია ზააქისგან ერან-თურანის ტახტის დაპყრობა. ცოლების შერთვა. ჯიმშედის ინდოეთში შეხიზნვა და დაქორწინება. ეტყობა ამ რედაქციის ავტორს დეფექტური პროზაული ნუსხით უსარგებლია.

[36] ვერსიები, XI.

მომავლობაზე უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი. მურდავი (იგივე მამუკას — მუხვარდი) ჯიმშედის ერთი მთავარი გმირთაგანია — ჭისრეთის და შამის მფლობელი. ზააქ, ჯიმშედ, ფრიდონ — ერთი მოდგმის, ერთი გვარის შვილებია. ზააქ უთვლის ფრიდონს (ჯიმშედის ახლო ნათესავს) „თემი და ქუეყანა შუა გაყოთ ნახევარი შენ და ნახევარი მე. **ერთი გვარნი კაცნი ვართ**“[37] — სპარსულ „შაჰ-ნამეში“ კი ზააქ და მისი მამა გარკვეულად არაბებია[38].

2) გალექსილი „ზააქიანის“ თავები: აქა აფთიონ თავის ცოლს სიზმარს ეუბნების; აქა ზააქ აფთიონ დაიჭირა და თავსა სჭრის (ხანები 37-53) — ისე როგორც მამუკას აქვს, სრულიად უცნობია „შაჰნამესთვის“. სპარსულით, დავაკაცებული ფრიდონ დედას გამოკითხავს მამის თავგადასავალს — (Mohl 1,83—85). იქ არავითარ სიზმარს ადგილი არ აქვს. გამლექსავს ეს ეპიზოდი (საერთოდ საკმაოდ ვრცელი. სულ ზააქიანი შესავალის გამოკლებით, 100 ხანისაგან შედგება — აფთიონის ეპიზოდი კი 13 ხანას შეიცავს) ქრისტიანული ელემენტებით შეუზავებია (52):

„აღაპი უყუეს აფთიონს ჭელმწიფურისა წესითა,
ეფისკოპოზი აწვიეს ქრისტიანობის წესითა,
ჯამი სწირეს და ილოცეს მათის კრებულის წესითა,
თვალ-მარვალიტსა მიართმენ სავსეს ოქროსა თეფშითა:

3) ზააქ-ფრიდონის ომი მამუკა მდივანს ისე აქვს წარმოდგენილი თითქოს ეს **ერან-თურანის** ომი იყვეს:

„ქავამ დროშა გაიღვანა, გიო მოვა ყვირილითა,
თურანელთა დაუძახა: „თქვენ მოჩრჩებით ახლა რითა?“ (84).
ან და: ‖„ქავსა, გიოს გაემარჯვა, **თურქნი ყრიან ზააქისნი**“.

აქ თურანელებად ზააქის მომხრეებია გაჰოყვანილი. სამაგიეროდ აჯანყებული ერანელებია (70):

„მას ქაჟა წინ მიეგება, დროშა თან ახლავს სეიანი,
სხვა ერანელი მრავალი და გიჟი სახელიანი“.

---

[37] № 1594, გვ. 91B; № 921. გვ. 52B.

[38] იხ. J. Mohle. le livre des rois, I, 59 სტ. 5 ; P. Horn. Geschichrte der persi chen Litteratur, S. 10!.

Dr. J. A. Vullers-ის სიტყვით აღმოსავლურ ლიტერატურაში ზააქის (ضحاك) შთამომაელობა სიბნელითაა მოცული. ზოგიერთების აზრით, ის არაბია, ზოგის ასურელი (სირიელი). Vullers-ს უფრო მართებულად მიაჩნია ზააქის ასურეთის შონარქად ცნობა, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო. (იხ. მისი Fragmenten über die Religion des zoroaster. Bonn, 1831. S. 56, Anm. 17). სხვათა შორის, „როსტომიანის“ გამლექსავი ზააქს იცნობს არაბად (ვერსები, გვ. 380, ხანა 1390).

რასაკვირველია, ერან-თურანის ომი ჯერ ნაადრევია. ზააქ-ფრიდონის ომს ასეთი ტენდენცია სრულიად არ ახასიათებს. პირველი დაიწყო ერაჯის მკვლელობის შემდეგ, რაც საამიანშია მოთხრობილი. ჩვენი აზრით, ასეთი ტენდენცია მამუკას სწორედ პროზაულ საამიანიდან უნდა ჰქონდეს აღებული. მამუკამ შესავლიდანვე გვაუწყა, რომ საამიანის ეპიზოდებს კარვად იცნობს (5):

„სალიმ და თურიმ ძმა მოჰკლა, ჯოჯოხეთს ყოფნა ინება“.

ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მამუკას ერანელ გმირებში გამოჰყავს „გივი სახელანი“. „შაჰ-ნამეში“ გივი მართლაც ცნობილია სახელოვან ფალავნად, სახელოვანი გოდერძის ძედ. გივი თურანიდან გამოიყვანს ახალგაზრდა ჭაიხოსროს. თავისდათავად ცხადია, მას ზააქის ეპიზოდთან არავითარი საერთო არა აქვს. ეს მამუკას საკუთარი ფანტაზიის (და ერუდიციის) ნაყოფია.

4) ქავას აჯანყება. ამის გამომწვევი მიზეზები. შვილების ბედი — ამაზე მამუკას ზააქიანში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

5). უკანასკნელი ეპიზოდები **(ნარიმანის გამოჩენა, თამაზის აღა ყალა, გაგოს გარდახვეწა) უცნობია „შაჰნამესთვის“. მამუკას აქ ქართული პროზაული ვერსია აქვს განმეორებული.**

6). მეტად შემოკლებულად არის ფრიდონის აღზრდა. აქ მხოლოდ ნათქვამია, რომ ფრიდონ მთებში იზრდება — მეჯოგესთან. მამუკა არ იცნობს ზააქის ინდოეთში გამგზავრებას. ასეთი დეტალიც: „შაჰნამეთი“ ზააქის ცოლები ჯიმშედის ქალებია[39], ისე როგორც ჩვენი პროზაული ვერსიითაც (№ 1594 გვ. 97A = 921—54B). მამუკას ზააქიანით კი — ჯიმშედის დები (ხანა 71). მამუკა ამბავს იმდენად ამოკლებს, რომ მთელ თხზულებაში ჯიმშედს მხოლოდ ორი სტრიქონი დაუთმო (ხანა 96), თუმცა შესავალში გვარიგებს (5).

„ჯიმშედს და მეფეს აფთიონს ავად არ უნდა ხსენება. ყოველ შემთხვევაში მისი თხრობიდან ვერავითარ წარმოდგენას ვერ იქონიებთ ჯიმშედის შესახებ.

ასე სრულიად მოულოდნელად და მექანიკურად ჩართულია მამუკას ზააქიანში ნარიმანის გაჩენა. რასაკვირველია, მის ვინაობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ეტყობა, მამუკა იცნობს პროზაული ვერსიიდან ვრცელ მოთხრობას ნარიმანის შესა-

[39] Mohl, 1, სპ. ტექ. 98—7 სტ., ქვ.-ფრ. თარ, 99—10, ქვ.

ხებ და საჭიროდ დაუნახავს მისი გალექსილშიც მოხსენება, რომ ამით ერთგვარი გარდამავალი საფეხური შექმნილიყო ზააჭიანს, და საამიანს შორის („საამიანი" ნარიმანის სიკვდილით დწუება.)

საერთოდ მამუკას თხზულება ზააქის ამბების კონსპექტია. საკმაოა თუ აღვნიშნავთ, რომ თვით სპარსულ ტექსტში ზააქის თავგადასავალი 671 ორწყვილედ ლექსისაგან შესდგება[40]. მამუკას შრომა მთელი თავისი თავისებურებით და ჩანართებით (აფთიონის ეპიზოდი, ზააქის მიჯაჭვის მომდევნო ამბები) მხოლოდ 100 ხანას შეიცავს. პროზაულ ვერსიაში ზააქის თავგადასავალს მეტად ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილი, მეტად გაჭიანურებული, ომი ფრიდონს და ზააქს შორის (რაც სპარსულისთვის უცნობია) მამუკას არ აქვს, სხვა კი, საერთოდ. მამუკას გალექსილ თხზულებაში და პროზაულ ვერსიაში ერთგვაროვანია. მამუკას მთლიანად დაცული აქვს პროზაული ვერსიის ჩონჩხი, თუმცა ის თავისებურად და მოკლედ აქვს გადმოცემული. თხზულების სიმოკლეს მამუკა თითონაც არ მალავს და გადაჭრით აცხადებს, პატრონთ მიბრძანეს. „ტკბილთა სიტყვათა შეწყობა მოკლედ ამბისა თქმისანი" (12). რომ ავიღოთ ცალკე ადგილები:

1) საერთოა ორივე რედაქციისთვის ზააქის ვინაობა. ეშმაკის ცდუნება, მურადის მკვლელობა. ამ მკვლელობის ყოველი დეტალი. ზოგიერთი პარალელები;

პ რ ო ზ ა უ ლ ი თ:

„მურდავს ერთი შვილი ედგა, სახელი ზააქ ერქვა".

„რა ასეთი საუბარი გაიგონა, **ზაქ** ასრე უთხრა ეშმაკსა: ვითა ბამა ვის მოუკლავსო?"

„მურდავს ერთი ზევი ედგა თავისათვის სალოცავად და ყოველსა ლოცვის ჟამსა მივიდის სალოცავად. ბერი კაცი იყო და თავისათვის ილოცვიდის. **წავიდა ეშმაკი. გზაზედა ორმო მოთხარა და შიგან ლახვარი და [ა]სო** და ზედა წახურა. და რა ლოცვისა ჟამი მოვიდა, მურადვ სალოცავად წავიდა. **როგორ წაიარა, ჩავარდა ორმოშიგან და მოკუდა.** რა ზაქ მამის სიკვდილი შეიგნა, საყელონი გარდიხივნა. თავსა გარდაიხადა და გლოვა დაიდვა" (№ 1594 გვ. 54B, 55 AB; № 921 გვ. 32B—33A).

[40] Mohl, I, 54—112.

„ზააქ იყო მეხვარდის ძე, ფალავანი გამოთქმული“ (15-1).
„ზააქმა უთხრა ეშმაკსა, ვის ასმია მამის მოკვლა?“
(ს.ს. ს. ხელ. № 56 შეად. „ვერსიები“, 17-1).
ეშმაკმან ორმო გათხარა, მის უცხო არ იქნებოდა.
შიგან ლახვარი დაასო, კაცი ვერ მოურჩებოდა,

ზააქის მამა აბანოს წავიდა, იარებოდა,
რა ცოტა წავლო, ჩავარდა, იმავ წამს სული კლებოდა,
რა მოჰკლა ზააქის მამა, ეშმაკი გაუჩინარდა,
ზააქ ტიროდა, მოსთქვამდა: „ეს რა ვქენ!“ — მეტად ინანდა.
(„ვერსიები,“ გვ. 11).

მამუკას თავისებურებად აქ ის შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მისი სიტყვით კატასტროფა მოხდა, როცა „ზააქის მამა აბანოს წავიდა“, რაზედაც პროზაულ ვერსიაში ცნობა არაა. „შაჰნამეთი“ მურდავს ბაღში სალოცავი აქვს. იქ ბერიკაცი მარტოდ დაიარება ტანისა და პირის დასაბანად და სალოცავად (Mohl, I, სპ. ტექ. გვ. 58_{1-2}-ფრ. 59_{12-13}; P. Hərn. Gesch'chte, 103). აშკარაა, აქ იგულისხმება ლოცვის წინ განბანა. მამუკას ლოცვის მომენტი აღნიშნული არა აქვს და ერთგვარი იუმორით მურდავს აბანოში ისტუმრებს. ასეთი თავისებური გაგება მამუკას შემოქმედებისათვის ფრიად დამახასიათებელია. როგორც უკვე შევნიშნეთ, პროზაული ვერსიით ზააქის მამა მისრეთის მფლობელია. გალექსილითაც ზააქს „მისრეთი აქვს საბატონოდ“[41]. ეს ცნობა კი სპარსული „შაჰნამესთვის“ უცხოა. შედარებიდან ჩანს, რომ ორივე ვერსია ერთი და იმავე სიტყვებით იწყება. ქართული ვერსიებით ამბავი პირდაპირ ზააქით იხსნება, მუხვარდზე არაფერია ნათქვამი იმის მეტი, რომ ის ზააქის მამაა. სპარსულით კი პირველად მოკლე თხრობა მურვადის გარშემოა[42].

4) საერთოა ორივე რედაქციისთვის ზააქის მხრებზედ გვე-

[41] ს. ს. ხელ., № 56 გვ. 1. ეს ადგილი გამოცემულ ტექსტში ბ-ნ ი. აბულაძეს აღდგენილი აქვს შემდეგნაირად. „[ტახტი ჭონდა საბა]ტონოდ... და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ხელნაწერი იყო და ისიც დეფექტური, მიუხედავად ამისა, ტექსტი საკმაოდ მახვილგონივრულად არის აღდგენილი. ს. ს. ს. ინახება „როსტომიანის“ ხელ. № 56. აქ პირველ ეპიზოდად ზააქიანია, რომელიც მეტად ნაკლულევანად არის წარმოდგენილი. სრულიად არ აქვს შესავალი, მაგრამ შენახულა მოთხრობის დასაწყისი, რომლითაც შესაძლებელია ხდება გამოცემის სათანადო ადგილების შესწორება.

[42] Mohl, I, სპ. გვ. 54=ფრ. 55; Horn. Geschichte, გვ. 101.

ლების გაჩენის ეპიზოდი. ეშმაკის მზარეულად შედგომა, სასიამოვნო შეჭამადის მომზადება, მადლობის ნიშნად დაჯილდოვების სურვილი, ეშმაკის სათხოვარი და აქედან გამომდინარე შედეგი. მხოლოდ გალექსილი რედაქციით აღნიშნული ეპიზოდით უშუალოდ მოსდევს მურდავის მკვლელობის თხრობას, როგორც ეს სპარსულშიც არის. პროზაული ვერსიით კი ჯერ ჯიმშედის წინააღმდეგ ბრძოლაა. სანიმუშოდ აქ მოვიყვანთ ვრცელ პარალელს.

პ რ ო ზ ა უ ლ ი თ:

„ზააქმა ასრე უთხრა, ვითა: ამის უკეთესი საჭამადი არა ოდეს მინახავს. ასრე მინდა, რომე კარგად მარჩინო. მერმე ასრე უთხრა ეშმაკმან, **ვითა, შენი წყალობა არა მაკლიან რა. ამის მეტი არა მინდა რა, რომე ორთავე მხრისა თავთა მაკოცნინე. აქა ზაქს ეშმაკის მანქანებითა მხართა გგელნი ამოუვიდეს** (წითურით).

აგრე ამოუყარნა მხარნი და მივიდა. მხრისთავსა აკოცა. **მერმე გაქარდა ეშმაკი.** აგრე ორივე მხრისთავი აქავდეს და მოიფხანა. ფხანაშიგან ორთა გველთა თავი ამოყუეს. ამოეზარდნეს. **ორთავე ყურთა წოვნა დაუწყეს.** მერმე აქიმი მოასხეს. ჰკითხეს, ვერა შეიტყუეს რა. აგრე მოვიდა ისივე ეშმაკი კაცისა სახითა. თავი მოემისქნიდა (?), ასრე თქვა, ვითა: ჩემს უკეთესი აქიმი არა სადა იქნების. მერმე ჰკითხა ზაქ გველთა ამბავი და ასრე ასწავლა, ვითა: **ყოველთა დღეთა ორ ორსა კაცსა მოჰკლევდი, თავის ტვინსა ამოართმევდი,** შაქარსა და[ა]ყრიდი და აჭმევდი და ალარასა გაწყენენ. რა ესე საუბარი გაიგონა ეშმაკისაგან ზაქ ჯელმწიფემან აგრე მოასხმევინა **ორნი კაცნი. დახოცეს და თავის ტვინი ამოართვეს, აჭამეს და რა დაძლეს, სული დაიღეს.** ყოველთა დღეთა გაისმა ამბავი ყოველსა ქუეყანასა. ხუთას წელიწადს ამ ყოფითა იყო“ (№ 1594 გვ. 62A—62B; 921, 34B, 35A.)

გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი თ:

უბრძანა მან მზარეულსა: „წყალობა ვინდა ჩემგან რა?-
ამდენსა მოგცემ, თუ გინდა, დათვლა შეგეძლოს შენ არა.
ეშმაკმან ჰკადრა: „წყალობა მე სხვა არ მინდა თქუენგან რა,
შიშველს მკარს თუ მაკოცნინებ, წყალობა მინდა სხვა არა.
ზაქ თქუა: „მაგას აგრე ვიქ.“ — გარდაიღო, ფიცხლავ მკრებო,
ეშმაკმან ნახა, იმა, მან გამოანთო თვალები,
აკოცა ზააქს. დაუგდო საქმენი ვასაჭვარები.
ფიცხლავ განქარდა ეშმაკი, ვერ ნახეს გზა და კვალები.

რა აკოცა, ფიცხლავ გაჰქრა ის ეშმაკი იბლისია,
ვერ ვინა სცნა, სით წაიდა, ან ნაშობი ის რისია?!
არ ასმია კაცთა ძესა, რომ ნაქმარი ეს რისია?
მკარზედ გველნი ამოუსხდა, თქუეს თუ: „ნეტარ ეს რისია?
ჰაქიმნი სჩრიდეს, ახლავე ის უფრო გაიზრდებოდა,
პირსა დაუწყეს ლოკანი და ყურსა ეჰიდებოდა,
ზააქს მათითა სუედითა ძილიც არ მოუნდებოდა.
ისეე იბლისი მოვიდა, მის უცხო არ იქნებოდა.

აჰა ზააქსა მკარზედ გველები, ამოუსხდა
მან ზააქსა მოახსენა: „შენ თუ მოსუენება გინდა,
დღეში ორ-ორს კაცს მოჰკლაკდე, სხვა მის მეტი არა გინდა.
მათსა ტვინსა გაუკეთებ, სხვა საქმელი არ ერგება,
როგორც სჰამენ, დაწვებიან, მოსუენება შენც გერგება!“
ორი კაცი მოიყუანეს, მოჰკლეს, ტვინი ამოართუეს.
რა აჰამეს გველებს ტვინი, ყურის ლოკვას ჩამოესხნეს:
მოისუენეს, მკრებზედ დაწვნეს, დაიძინეს მათ, ეამეს,
(„ვერსიები, 28—33).

„ამაშიგან წელიწადი გამოვიდა,— დიდი ხანიო“, „ამბობს მაშუკა და თავისებურ ვარიაციას უკეთებს პროზაულს: „ხუთას წელიწადს ამ ყოფითა იყო“.

3) პროზაულ ვერსიაში ვრცლადაა აღწერილი ზააქისა და ჯიმშედის ბრძოლა.

დასასრულ: „მოიყუანეს ზააქის წინაშე ხელშეკრული [ჯიმშედ]. მერმე მოიტანეს ხერხი და და[ა]დგეს თავსა და შუა გახერხეს ჯიმშედ ჴელმწიფე“ (№ 1594 გვ. 61A: 921—34B).

გალექსილით ზააქმა

„ჯიმშედს დასძლია ომითა, აჯობა მისი ხერხითა.
მართლა არ მოკლა წყეულმა, გაჰკუეთა შუა ხერხითა“ (36)[43].

4) ზააქის სიზმარი:

„ზააქ სიზმარი ნახა. ასრე ეზმანა: ერთი სხვილი კაცი მოვიდა, რქიანს ხარსა ზედა ჯდა. ხელთა დიდი ლახტი ჰქონდა იმ ხარის თავის ოდენი. მოვიდა და ზააქს თავს დაჰკრა და კისერზედა დასცა, და ქედამდის ტყავი ააძრო და ხელნი შეუკრა და მოყუანდის. მთაშიგან ბნელი საკანი იყო და იმაშიგან თავდაღმა ჩაჰკიდა. რა გაიღვიძა. მოასხმევინა მერამლენი და მისნი ორნი ცოლნი და ესე სიზმარი უამბო. მათ ვერა შეიგნეს რა. მერმე ზირაქ რამლსა ჰკრა და გაახვნა საეტლონი. ასრე მოახსენა, ვითა, ფრიდონ დაიბადე-

[43] ეს ეპიზოდი ასეა „შაჰ-ნამეშიც“ (Mohl, I, სპ. 64 $_{6-7}$ ქვ. = ფრ., 1, 65 $_{6-8}$ ქვ.)

ბის და ისი მოვა და მისა მძიმეს ლახტსა დაგკრავს. აგრე ხელთა შეგიკრავს. წაგიყვანს და ჰამონისა მთაშიგან ბნელი ორმო არის და მაშიგან თავდაღმა ჩაგკიდებს. რა ზააქ ზირაქისაგან ესე გაიგონა, ასრე უბრძანა, ვითა: რა მიწყენია, რატომ მომკლავს, მან ასრე მოახსენა. ვითა: მამა მისი რომე მოჰკალით აფთიონ და ვეშაპსა შეაჭამეთ — მისთვის მოგკლავს" (№ 1594, 62B—63A; № 921—35AB).

ეს ეპიზოდი ვრცლად არის გადმოცემული გალექსილ ზააქიანში (57—64). რადგანაც გალექსილი ტექსტი ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომია ჩვენ მას აღარ ვბეჭდავთ. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ეპიზოდი ორივე რედაქციაში ერთგვარადაა გადმოცემული. თუმცა არის ერთი განსხვავებაც. სახელდობრ, გალექსილი რედაქციით ზააქს ეზმანება სამი გმირი და არა მარტოდ ფრიდონი, როგორც ეს პროზაულშია; ფირდოუსის „შაჰნამეშიც" სამი პირი ეზმანება ზააქს[41].

საყურადღებოა, რომ პროზაული ვერსიის „ჰამოვანი"-ს ან „ვამანის" მთაა ზააქისათვის განკუთვნილი გალექსილი ვერსიითაც (იხ. 39-2). რაც უცილობლად ქართულ ნიადაგზეა შექმნილი, რადგანაც ფირდოუსი მხოლოდ დემავენდს იცნობს. ამ გარემოებას დაუფიქრებია ბ-ნი. ი. აბულაძე და მას „ვამანი" კითხვითი ნიშნის ქვეშ აქვს დასმული („ვერსიები", გვ. 17 შენ. 3).

5) ფრიდონის და ზააქის ცოლების შეხვედრა.

პროზაულით:

„ჯელმწიფე ფრიდონ და სხვანი თავაჭნი დარბაზის კარსა მივიდეს, სადაცა ზაქის დარბაზი იდგა. მერმე ორნივე ზაქის ცოლნი წინა გამოეგებნეს — ჯიმშედის ქალნი. როდეს ჯიმშედ მოკლა, ქალნი ხელთა დარჩეს. ორნივე წინა მოეგებნეს. ფრიდონ აქეთ მიეგებნა და ორნივე ხელსა შემოეხვივნეს. აგრე საწოლსა შევიდეს. ერთი ერთკენ მიიწვინა და მეორე მეორეთგნით".
(1594—97A; 921—54B).

გალექსილით.

„დარბაზსა შიგან შევიდეს მეტად ტურფადა გებელსა,
ქვეშ ორხოასა მოჰფენენ, ოქსინო ვარდაგებელსა,

[41] Mohl. I, სპ. 90—1 ქვ. ფრ. 93—3.

ჯოშედის დანი იქ უსხდეს, — მთავარეს ვაჟს განაკვეხულსა.-
ფრიდონს სალმად მომართეს, — სამოთხით გვანან რებულნი!
ეათ ფრიდონ წინ მიეგება, საროსა მგზავსი რებელი,
ორნივე გვერდსა დაისვა".

(„ვერსიები", 71, 72—2).

6) ერთგვარადაა ორივე ვერსიაში თხზულების ფინალი: ზააქის შეპარვა თავის ყოფილ სასახლეში. ფერიდუნთან პირისპირ ბრძოლა.

მოვიყვანთ ერთ პატარა პარალელს.

პ რ ო ზ ა უ ლ ი თ:

„ფრიდონ ლახტი დაჰკრა თავსა. ვააგორვა. მეორესა სხვასა რომე ლამოდა დაკრვასა, და აგრე ანგელოზმან დაუზახნა თუ, ნუ მოჰკლავს, ჯერე მაგისი დღე არ გათავებულაო, და ამოვანდისა მთაშიგან ერთი ბნელი ორმო არის და ზურგსა ერთი შოლტი ტყავი ააძრევ და კოჭნი გაუხვრიტენ და იმაშიგან თავდაღმა ჩაჰკიდე".

(№ 1594—98A; 921—55A).

გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი თ ა ც:

„ფრიდონ ნახა ანგელოზი ღვთის ბრძანებით მოვლენილი:
— ჯერ ნუ მოჰკლავ, შეინახე, გაუთავდეს ამას დღენი,
ეგ ჩაავდე ორმოშიგან, ღრმა არის და მეტად ბნელი,
და სადამდისაც გაუთავდეს, შიგ დალიოს მისნი დღენი!" (94)[45]

სპარსული „ზააქიანი" ზააქის მიჯაჭვითა და ფერიდუნის გაშეფებით წყდება. ქართული ვერსიებით კი თხრობა ამით არ თავდება. პროზაულში ვრცელი ამბებია ფრიდონის და ზააქის შვილის ფარუხ ზაქის ომების შესახებ. ამ ომებში სახელს ითქვამს ფალავანი ნარიმანი. მეორეს მხრით, ზააქის ძმა თამაზი გამაგრებულია უძლიერეს ციხე აღა ყალაში.

პ რ ო ზ ა უ ლ ი თ:

„ზაქის ძმა თამაზ აღა ყალას შესულა, რომე მის უმაგრესი ციხე ცათა ქუეშე არა არის" (1594—98B; 921—55A).

[45] შეად. Mohl. I, სპ. 110—3 ქვ. = თარ., 111—4 ქვ.

გალექსილითაც:

ერთი ციხე გავიმაგრდა, არის ყალა თამაზისა.
სრულ კლდით არის ნაშენები, არ თუ არის ალიზისა“ (114).

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, სარიმანის გამოჩენა სრულიად მექანიკურად არის ჩართული გალექსილ რედაქციაში. ეს მომენტი გასაგები ხდება მხოლოდ ქართული პროზაული ვერსიის გათვალისწინებით.

ამრიგად, შედარებიდან ირკვევა, რომ ჰამუკა მდივნის ფრაზეოლოგია-ლექსიკა ძლიერ ახლოს დგას პროზაულ ვერსიასთან. ხშირად მთელი ფრაზები პირდაპირ განმეორებულია გალექსილში პროზაული თარგმანიდან. ორივე ვერსიას აქვს ისეთი საერთო ელემენტები, რაც სპარსულისათვის უცხოა და, მაშასადამე, მათი გამართლება მხოლოდ ქართულ ნიადაგზე შეიძლება რომ მოხდეს.

მაგრამ ჩვენ ვერსიებში საერთო თვისებებთან ერთად განსხვავებაც არის მამუკას თხრობის თანმიმდევრობა სპარსულს უფრო უდგება. ზოგიერთი ეპიზოდები, რომლებიც გალექსილ რედაქციას პროზაულისაგან განასხვავებს, სამაგიეროდ ფირდოუსის „შაჰ ნამესთან“ აახლოებს“. მაგალითად:

1) როგორც შევნიშნეთ, სპარსულით და მამუკას ცნობით, ზააქს სამი ვაჟკაცი ეზმანება. მამუკამ იცის, რომ ფრიდონს ბევრი ჰყავს (69—3) ისე როგორც ეს სპარსულშია[46]. ეს ფაქტი ქართულ პროზაულ ვერსიისათვის უცნობია.

2) გალექსილი რედაქციის ეპიზოდი არამელ და ქარამელის შესახებ (54—55) მოკლედ ახლოს გადმოგვცემს სპარსულის შინაარსს[47].

3) თავი — აქა ქუნდრუ ზააქს ფრიდონის ამბავს ეუბნების — იდენტურია სპარსულთან[48], — რასაკვირველია, აქაც შემოკლებულია თხრობა.

ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა პროზაული ვერსიისთვის უცხოა.

დასასრულ, საკუთარი სახელები: არნავაზ-შირინოზ (ზააქის ცოლები). ფრანგი (სპ. Ċilف-ფრიდონის დედაა) — იხმარება მხოლოდ გალექსილ რედაქციაში და სათანადო დადასტურებას სპარსულში ჰპოულობს.

[46] სპ. ტ. 1, 90—1 ქვ. თარ. 93—4.
[47] Mohl. 1, 69—71.
[48] Moh!. 1, 103—105.

ყოველივე ეს კი ამჟღავნებს, რომ მამუკას წარმოდგენა ზააქიანზე მარტო პროზაული ვერსიით არ ამოიწურებოდა. აშკარაა მამუკა იცნობს სპარსულ „შაჰ-ნამეს“, შესაძლებელია თვით დედანშიც. ეს მომენტიც დამახასიათებელია მამუკას შრომისთვის. მისი თხრობა საერთოდ ზააქიანის კონსპექტია. თხზულება უაღრესი თავისებურობით არის დამუშავებული. ამბავში შემოტანილია ამ ეპიზოდისთვის სრულიად უცხო ტენდენცია (ერან-თურანის ბრძოლა). გალექსილია ქართული პროზაული ვერსიის მიხედვით, მაგრამ აქა-იქ ამ ვერსიისთვის უცხო ხაზებიც არის გაელებული. ჩვენ ახე წარმოგვიდგენია მამუკას „ზააქიანის“ შექმნა; მას ლევან დადიანის დავალებით გადაუწერია „შაჰნამეს“ ქართული პროზაული ვერსია. ამავე დადიანის დავალებით გაულექსავს ამ ვერსიის ერთი საყურადღებო ეპიზოდი. მამუკა აგრეთვე კარგად იცნობს „როსტომიანსაც“. (მას „შაჰნამეს“ ამბავი პირველ წყაროშიც აქვს გაცნობილი) ეს ერუდიცია მამუკას მოუხმარია თავის საკუთარ შრომაში. ის არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ პროზაული ვერსიის უბრალო გალექსვით. ამ გალექსვის პროცესში თხრობა თავის ძირითად წყაროსთვის უცხო ელემენტებითაც შეუზავებია. მხოლოდ ერთი რამ კი უეჭვოა, მამუკას ძირითადი წყარო მის მიერვე გადაწერილი „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსიაა[49] და ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბ-ნ. ი. აბულაძის მოსაზრებას: „ეს კი აშკარაა, რომ ჩვენ ზააქიანსა და პროზით საამიანში [ჰგულისხმობს არსებულ „შაჰ-ნამეს“ პროზაულ ვერსიას, კერძოდ ს. ს. ს. ხელ. № 921, რომელსაც შეცდომით საამიანს უწოდებს] მოთხრობილს ზააქის ამბავს ერთი და იგივე შრომა არ უნდა ედვას საფუძვლად“-ო[50].

პ — მა პრ. კ. კეკელიძემ სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „მამუკას სპარსული დედნიდან კი არ გადმოუღია თავისი შრომა, არამედ **ქართული პროზითი ვერსიიდან**“[51].

---

[49] ამით, სხვათა შორის, ისიც ირკვევა, რომ „შაჰ-ნამეს“ პროზაული ვერსიების გალექსვის პროცესში სამი ტიპიური მიმართულება შემუშავებულა. პირველი ტიპის წარმომადგენელია უთრუთიანის ანუ ფრიდონიანის (ს. ს. ს. ხელნ. № 61) უცნობი გამლექსავი, რომელიც თაიის დედანს მონურად ემორჩილება. მეორე ტიპის— ბარძიმ ვეჩნაძე—საერთოდ ახლოს დგას დედანთან. მაგრამ მას მონურად არ ბისდევს და თავისებურებასაც იჩენს. მესამე — მამუკა ჭდივანი. ეს პროზაულ ვერსიას მხოლოდ ძირითად წყაროდ იყენებს და დამუშავებაში დიდ თავისუფლებას იჩენს.

[50] ვერსიები, XI.

[51] II,173—ხაზი ჩვენია.

მხოლოდ პ-ლი პროფესორი ამ პროზაულ ვერსიად ცნობილ რედაქციას არ ათვლიდა[52].

ასეთი ეჭვი გასაგებიც იყო, რამდენადაც მამუკას ხელით გადაწერილ ვერსიის არსებობა უცნობი იყო. შინაარსი კი ამ ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებდა. მაგრამ ახალმა ხელნაწერმა, ვფიქრობთ, საიდუმლოებას ფარდა ახადა და, სხვათა შორის, რეალური მნიშვნელობაც მისცა მამუკას მოწმობას: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველიო". მე-XVII ს. პირველი ნახევრის მწერალი „შაჰ-ნამე-ს პროზაულ ვერსიას" „ძველის-ძველს" უწოდებს, რომლის გალექსვა ვერ მოუხერხებიათ კლასიკურისა და აღორძინების პერიოდის დასაწყისის მწერლებს.

II. ხოსრო თურმანიძის როლი „როსტომიანის" შემუშავებაში

არჩილ მეფის მოწმობით:

„როსტომიანი უთქოსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა.
დიდის საქმისა უცოდნი, სჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ძევს მაგრამე მოიჯმარების ზოგს დროსა"[53].

ალბათ, ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ „როსტომიანის" გალექსვა მთლიანად ხოსრო თურმანიძის მიეწერებოდა[54]. ამ ტრადიციულ აზრში ეჭვი პირველად ნ. მარმა შეიტანა, მან თურმანიძესთან ერთად სხვა სახელებიც წამოაყენა[55]. ბ-ნი ექვ. თაყაიშვილი თავის „აღწერილობებში" ავითარებს მარის მოსაზრებას[56]. ჩვენმა მასწავლებელმა, პროფ. კ. კეკელიძემ სინათლე შეიტანა ხოსრო თურმანიძის პიროვნების გარკვევაში[57].

---

[52] II,173—ხაზი ჩვენია

[53] Описание, II, 138 – 139. არჩილი, ცხოვრება თეიმურაზისა, პ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 179.

[54] ნ. მარი „როსტომიანი", ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე-ს" ქართული თარგმანის შესახებ („ივერია", 1891 წ. № 132; А. Хаханов, Очерки по истор. груз. слов., III, 116; Такайшвили, Оп. I, 351).

„მცირე უწყებაი ქართველთა მწერალთათვის" ვადმოგვცემს—„თურმანიძე ხოსრო, ამან გალექსა როსტომიანი და გარდმოიღო სპარსთა მეფეთა ამბავი" („ძველი საქართველო", I, განყ. III, გვ. 29)—როგორც ჩანს, ესეც როსტომიანის ერთადერთ ავტორად თურმანიძეს იცნობს. რაც შეეხება „სპარსთა მეფეთა ამბავს", — ე. ი. „შაჰნამეს" ისტორიულ ნაწილს, აღორძინების ხანაში ნათარგმნი არ ყოფილა.

[55] ალ. ხახანაშვილმა გაიმეორა ნ. მარის მოსაზრება, თუმცა მარის წერილი მას წყაროდ არ დაუსახელებია.

[56] იხ. Описание, I. с. 347—378.

[57] ქართ. ლიტ. ისტ., II, 180—182.

ყველა მკვლევარს გამოსავალ წერტილად აქვს აღებული ლენინგრადის ყ. საჯარ. ბიბლ. ხელნ. № 15 (Собрание князя Грузинского) და ყ. ქარ. შორის წ. კ. გ. ს. № 1580-ის იდენტური ბოლოსიტყვაობა. სადაც „როსტომიანზე" მომუშავეთა შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებია თავმოყრილი. ამ ბოლოსიტყვაობაში ხოსრო თურმანიძე ამბობს თავისი მუშაობის შესახებ:

„კურთხეულმც არის უფალი ყოვლის მპყრობელი ზესია,
მე ხოსროვ თურმანიძემან ამბავი ვპოვე ესია,
უცხო. ტურფა და ლამაზი — სპარსულად იყო ესია,
პატრონმა ჩემმან მიბრძანა, ქართულად სწერე ესია.
სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების,
მტერი ორგული ყოველი მეფესამც დაეღონების,
ცხრაას სამოცდა თორმეტსა ლექსს ხოსროვ მოეგონების,
ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვასა ნურავინ დაეღონების.
სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან,
პატრონი ჩემი სვიმიონ. სვიანმცა არის სულთაგან,
მათსაცა ძეთა მიხვდების, რომე. მოირჭონ მტერთაგან,
და ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების ხმელთაგან"[58].

ამ მოწმობიდან აშკარად ირკვევა ხოსრო თურმანიძის ერთგვარი რედაქტორული მუშაობა. მას ხელთ ჰქონია „შაჰნამეს" სპარსული დედანი. უკანასკნელი პატრონის, სვიმეონის, დავალებით შეუწამებია მის დროს არსებულ ქართული თარგმანის, თუ მისი გალექსილი რედაქციისათვის. ამ **შეწამების** შედეგია ის ფაქტი. რომ „სპანდიერ-ბარზუს ამბავი **აწ სრულად** გაიგონების" ე. ი. მის დრომდე ეს ამბავი ყოფილა მხოლოდ ნაკლულად, ხოსროს კი შეუვსია თუ სრულად გადმოუღია. სპარსულ დედანთან შეწამების პროცესში ხოსროს სხვა ბევრი ნაკლიც შეუნიშნავს. „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგანო", მხოლოდ ამათი შევსების შესახებ არაფერს გვეუბნება, თუმცა ღვაწლი კონკრეტულადაც განუსაზღვრავს და გვამცნობს, რომ იგი „ცხრაას სამოცდათორმეტი ლექსია" (972). ხოსროვის მოწმობაში ძირითადი ღირებულებისაა ცნობა:

„სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების".

---

[58] ჭ. შ. წ. კ. გ. საზ. ხელ. № 1580 — ბოლოსიტყვაობა; Описание, I, с. 351—352.

ნიკოლოზ მარს გარკვევით არ აქვს ნათქვამი, თუ რას წარმოადგენს ეს „სპანდიერ ბარზუს ამბავი“, თუმცა მისი საერთო დასკვნებიდან ეს აშკარა ხდება. თურმანიძის წინამორბედ გამლექსავს, საბაშვილს, როსტომიანი ლორასპამდის მიუყვანიაო, ამბობს მარი და „მომავალ დამამთავრებელისთვის წინადვე დაულოცავს სული“[59] და განაგრძობს „ოღონდ გაგრძელებით კი გაუგრძელებია საქმე თურმანიძეს და სპანდიერ-ბარზუს ამბავი სრულ (ხაზი ავტორისაა — ა. ბ.) გასაგონად შეუქმნია ქართულად. მაშ ეგ როსტომიანი დაუწყია საბაშვილს სოგრატიძეს და შეუვსია თურმანიძეს“ — და იქვე საყურადღებო კითხვასაც სვამს: „და რედაქცია ბოლონდელს შემავსებელს ეკუთვნის? დიაღ, შესაძლებელია, მაგრამ სუფევს საფიქრებელი საბუთი, რომ მარტო ხოსრო არ არის შემავსებელი ძველის ნათარგმნის და რედაქცია ბოლონდელს, ხოსროვის შემდეგ შემავსებელს, ეკუთვნის[60]. ერთი რამ ცხადია ნ. მარის მსჯელობიდან: ზაალის შობიდან ლორასპამდე — ეკუთვნის საბაშვილს, ლორასპიდან ბოლომდე — ხოსრო თურმანიძეს. დასაშვებია მესამე პირის არსებობა. უკანასკნელს წმინდა რედაქტორულ მუშაობას თუ მივაწერთ.

ალ. ხახანაშვილის აზრით: «Хосро Турманидзе впервые переводит рассказ об Исфендиаре» და განაგრძობს: «он не только с Исфендиаром впервые знакомит грузинских читателей, но исправляет и дополняет прежний перевод»[61].

ბ-ნ ექ. თაყაიშვილს გარკვეული არ აქვს „სპანდიერ ბარზუს“ ამბავის მნიშვნელობა. ის საერთოდ საკითხს სკეპტიკურად უყურებს და, არსებული მასალით, შესაძლებლად არ მიაჩნია როსტომიანზე მომუშავეთა პირების წილის განსაზღვრა[62].

პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევით — თურმანიძის შრომა შეიცავდა „სპანდიატ ბარზუს ამბავს უფრო ვრცლად და სრულად — ვიდრე ის წინათ იყო ქართულს ენაზე[63].

სამწუხაროდ, არც ერთ მკვლევარს ფრჩხილები გაჰსნილი არ აქვს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას უნდა ეგულისხმობდეთ „სპანდიატ ბარზუ“-ში. მხოლოდ აკ. მარი და პრ. კ. კეკელიძე გარკვევით მიაწერენ ხოსრო თურმანიძეს როსტომიანს ლო-

---

[59] „ივერია“, 1891. № 133.

[60] იქვე.

[61] Очерки, III. 114.

[62] Опис., I. 351.

[63] II, 18.

რასპიდან ბოლომდე. სპანდიატი ან სპანდიერ[64] რვალად ზედწოდებული ირანის გმირული წარსულის უკანასკნელი ტეხილია. ფირდოუსის თხზულებაში გმირული პათოსი უმაღლეს წერტილამდე სწორედ სპადიასტის ეპიზოდში ადის. ხუთასი წლის ბებერი ფალავანი როსტომ და ახლად მოწიფული „ჯეჰანდარი“ ერთმანეთს შეებმის. ამ გიგანტების დაჯახებით არსებითად უკანასკნელი წერტილი ესმის „მეფეთა წიგნის“-ეპიურ ნაწილს. ამიტომ ბუნებრივიც იყო, რომ ქართველ გამლექსავს ვრცელი თხრობიდან (ლორასპიდან — ბოლომდე) მხოლოდ სპანდიატის სახელი აღენიშნა. „სპანდიატ-ბარბუში“ ორი პირია ნაგულისხმევი — სპანდიატ და ბარზუ. ბარზუც მეტად მსხვილი პიროვნებაა „შაჰნამე-ში“[65]. ბარზუ შეიძლება მთელი ეპოპეის მესამე გმირად მივიჩნიოთ (პირველი როსტომ, შემდეგ სპანდიატ, შემდეგ ბარზუ). ქართულ „როსტომიანში“ ბარზუს ეპიზოდს შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. ის თურანელთა ბანაკის ფალავანია და პირველ ბრძოლაშივე დაამარცხებს როსტომს, მხარს მოსტეხს მას. უდრეკი როსტომ ინსტინქტურად გრძნობს დამარცხებას ბარზუს დანახვაზე და ამ ფოლადის კაცს „შიშით გული აუთრთოლდა“ ან „როსტომს გული შიშითა ნაკვეთ-ნაკვეთად შექნოდა[66]. როცა როსტომ მზაკვრობით დაცემულ გმირს ყელში დანას დაუბჯენს, მაშინ გამოირკვევა, რომ ის როსტომის თესლი ყოფილა. ვერაგულად დალუპულის ზურაბის-ძე. როსტომ მას სიხარულით მიიღებს და თავის ოჯახის ღირსეულ წევრის პატივს დებს.

საყურადღებოა, რომ შემდეგ ბარზუ ჩვენ ვერსიებში ერთხელაც კი ხსენებული არაა. არც მაშინ, როცა სისტანის მთელი მოდგმის აღმოსაფხვრელად ილაშქრებენ და ბარზუს ძალ-ღონე ასე საჭიროებას წარმოადგენს. მაგრამ იგი რაღაც მექანიკურად არის ჩაქსოვილი როსტომიანში. როგორც ეტყობა, შემდეგი დროის დანართია და, როგორც ასეთი, ბუნებრივიც არის, რომ მის კვალს ავბების შემდეგ მსვლელობაში ვეღარ ვპოულობთ. ბარზუ შემთხვევით გამოჩნდა მოღვაწეობის ასპარეზზე — და ადრევე მოსწყდება ამ ასპარეზს[67].

---

[64] ყველაზე სწორია „ბაამიანის“ ერთ შემთხვევაში ხმარებული წაკითხვა „ასფანდიერ“ (ყ. სიძველეთა მუზ. ხელ. № 999, გვ. 52 A).

[65] შეად. Moh! le livre des rois, გვ. LXIV.

[66] ს. ს. ს. ხელნ. № 72, გვ. 415.

[67] „ბაამიანში“ ალბად გადამწერის დაუდევრობით ორჯერ „ბარზინის“ მაგიერ შეცდომით „ბარზუ“ სწერია (ყ. სიძველეთა მუზ. ხელ. № 999, გვ. 59B; 67B)

თავისთავად ბარზუ იმდენად მსხვილი მოვლენაა „შაჰ-ნამეში“, რომ მის გარშემო განსაკუთრებული ინტერესი ყოფილა გაღვივებული სპარსულ ლიტერატურაში. „შაჰ-ნამეს“ გამგრძელებელ-წამბაძველებს ამის გარშემო ორი სპეციალური ეპიური თხზულებაც შეუქმნიათ. ერთია უზარმაზარი მოცულობის, დაახლოებით 68000 წყვილედი ლექსისაგან შემდგარი **„ბურზო-ნამე“**[68]. ეს თხზულება, რომლებიც მოცულობით „შაჰ-ნამეზედაც“ აღმატებული ყოფილა („შაჰნამე“ — დაახლოებით 60.000 ლექსისაგან შესდგება). პრ. Nöldeke-ს სიტყვით, თავის პროტოტიპთან ახლოს მდგარა (გვ. 209—210). მეორე თხზულებაა „შაჰრიარ-ნამე“ — ბარზუს შვილის თავგადასავალი[69], აშკარაა ბარზუს ეპიზოდი მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილა „შაჰნამესთვის“, საერთოდ, და როსტომ-ზიანისათვის, კერძოდ. საყურადღებოა ისიც, რომ „შაჰნამეში“ სპანდიატ და ბარზუ მთავარი ფალავნებია როსტომის შემდეგ. ორივეს ბედმა პილოტანთან შებრძოლება არგუნა. თუ არ მზაკვრული ხერხის მოშველება — ორთავესგან როსტომი მარცხდება. ამ ეპიზოდში ჩვენი გმირები ერთი ღირებულების დონეზე დგანან. ბუნებრივია, რომ ბარზუს დანაკლისი „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიას თავის მთლიან შთაბეჭდილებას დაუკარგავდა. ამიტომაც ქართველ რედაქტორს, რომელსაც ჩვენი ვერსიის სპარსულ დედანთან შეწამება მოუხდენია, პირველად თვალში ბარზუს ამბავის ნაკლულოვანება ეცემოდა. მასაც განუზრახავს ამ ხარვეზის ამოვსება. შედეგად ჩვენ მივიღეთ რედაქტორის, თუ გამლექსავის, ამ შემთხვევაში ხოსრო თურმანიძის, კეთილსინდისიერი მოწმობა „სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად ჰაერონების“. მგონი ცხადი ხდება, რომ „სპანდიერ-ბარზუ“ — ერთი და იგივე პიროვნება არაა. აქ გამლექსავს სახეში ყავს ორი, სულ სხვა და სხვა, თანაბარი ღირებულების მქონე გმირის სახელი. მაშასადამე, ხოსრო თურმანიძეს ეკუთვნის „სპანდიერ-ბარზუს“ ამბავის სრულყოფა. მაგრამ შეიძლება ამ დებულების კიდევ უფრო გაფართოება. ხოსრო თურმანიძე ბარზუს ერთადერთი გადმომღები უნდა იყვეს. ეს ეპიზოდი მოთავსებულია „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების იმ ნა-

[68] Theodor Nöldeke. Das iranische Nationalepos. Grundriss der iranischen Philologie. II Band S. 209; Paul Horn. Geschichte der persischen Litteratur. II Ausgabe S. 112; — ან „ბარზუ ნამე“ (Mohl, le livre des rois, LV, LXI, LXIII, განსაკუთრებით; LXIV—LXVII; Hermann Ethé. Grundriss... II, S. 234; А. Крымский, История Персии и ея Литературы, изд. предвар. с. 22:.

[69] Nöldeke, S. 210; Ethé, S. 234.

წილში, რომლის გალექსვა სერაპიონ სოგრატისძე საბაშვილს მიეწერება. ეს გარემოება საგულვებელია იმ მხრით, რომ აკი ხოსრო თურმანიძემ გულწრფელად აღიარა „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან“, აღნიშნა რა სპანდიერ-ბარზუს ამბავის უსრულობა. „ბარზუს“ ეპიზოდით იმის გათვალისწინებაც შეიძლება, თუ რა ხასიათის იყო ხოსროს მუშაობა შემჩნეული ბარვეზების ამოსავსებად. როგორც ჩანს, ის უცვლელად სტოვებდა მის დროს ქართულად არსებულ ტექსტს, მხოლოდ გაშოტოვებულ ეპიზოდებს (რომლებიც მისი აზრით უფრო მეტი ყურადღების ღირსი იყო) თითონ თარგმნიდა ლექსად.

„ბარზუს“ ეპიზოდი არა თუ თავის შინაარსით მექანიკურად არის ჩაკერებული როსტომიანის ქართულ ვერსიაში — არამედ ის მეტად თავისებურებას წარმოადგენს თავისი სტილით. სამწუხაროდ, ეს თავისებურება სრულიად ხოსრო თურმანიძის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. თვით ბოლოსიტყვაობის რამდენიმე სტრიქონშიდაც აღბეჭდილია ხოსრო თურმანიძის ხელში ქართული სიტყვის სივაგლახე. ბარზუს ამბავში ეს სივაგლახე უაღრესობამდე სრულქმნილია. ეპიზოდი საკმაოდ მოზრდილია. შედგება 373 შაირისაგან (ოთხტაეპიანი ლექსი)[70].

მაგრამ იშვიათად რომ აქ ერთი, შედარებით მაინც, გამართლებული შაირი ნახოთ. ეპიზოდი მთლიანად აღებული მეტად უშნო, ულაზათო ენით არის გაწყობილი. გამლექსავი ცდილობს შოთას შაირით მეტყველებას, მაგრამ მეტად მახინჯი, კოჭლი რითმებით დალაგებული სტრიქონებია. არავითარი პოეტური შემოქმედების ნიშან-წყალი აქ არ ჩანს. სანიმუშოდ შეიძლება აქ მოვიყვანოთ რამდენიმე შაირი:

„გოსტამ კაბა ბარწინისა მასვე წამსა ტანს ჩაიცვა,
შეეკაზმა, იმას ქვეშე ბაბრისა ტყავი ჩაიცვა,
ლომმან ვით ქაიანური მშვილდი, მკლავსა უკუ იცვა
და ას ორმოცდაათი ისარი სარტყელშიგა უკუ ირჭვა.
კელთ ზროხის სახე ლახტი აქვს, კელმწიფესა მოახსენა:
შენის ტახტის ფეხთ მტვერნი ვართ, ღვთისაგან გაქვს ბედი შენა,
თქვენის ტახტისას ვეცდებით ცათმდის ავამაღლენა,
და არ დახოცილან თქვენს წინა, მალე მოვასხამ მათ ენა.
ესე თქვეს და იგ ორნივე ვითა ქარნი წამოვიდეს,
შუბი, დროშა ძმას შეევდრა, როსტომ, გოსტამ წამოვიდეს,
ბნელს ღამესა გზად და უგზოდ ვითა ლომნი იპაროდეს.
და ამა წესითა ეძებდეს, ლაშქართა შაეყრებოდეს.

[70] ს. ს. ს. ხელ. № 72, გვ. 402—456; წ. კ. № 406, გვ. 549—623.

უკუნს ღამესა შუაღა? ჯელმწიფის საჯდომს პოვებდეს,
ზოგთ ეძინა, ზოგნი ისხდეს, ხომგუარსა ღვინოს სმიდეს.
თერანელნი თავადებნი ჯელმწიფესთან ტახტზედ ისხდეს,
და ერთსა მხარსა შედა[71] უჯდა, სხვასა ფირან-ბარზუ უსხდეს.
(№ 72, გვ. 406 № 406 გვ. 555).

ბარზუმ უთხრა: ფალავანო, ჭკვიანო, ომ-გარდასულო,
რასა გაგულისებულხარ? გული გაქვს შენ დამწვარიო,
მკლავ-კისერს რას მინდობიხარ? ცივს სიტყვასა მეტყვიო,
და ზაალს შეილი არა ხარ, გივი არცა გოდერძიანო.
ცეცხლი არა ხარ მცხებარე, მე კაპაჭი რომე დამწვას,
ცყაბი არა ხარ — მე ბეზი. შენ ფრუნა არ შეგაძლოს,
ჯამნახელს უნდა ზნენი შენგან ისწაველოს,
და შენ პირს ანძალა აშოგდის, ეს საქმე როდის გეკადროს.
(№ 72. გვ. 416; № 406 გვ. 568).

კელავ ღვთისაგან უმიდოდ ჩემი გული არ ყოფილა უშფოთო,
ქუმი და ხიყანის ომი ამ ომთან მჩნდა სათამაშოდ,
მე მრავალჯერ თერანელნი გამიღია სათამაშოდ,
და ვასკვრმალიც ვყარ, ლახტიცა ვერ დავაკარე საკუნოდ.
(№ 72 გვ. 418; № 406 გვ. 571).

როგორც ჩანს, ხოსრო თურმანიძის ენა გაცილებით დაბლა დგას საბაშვილის ენაზედ[72].

რა უნდა მიეკუთვნოს ხოსრო თურმანიძეს გარდა ბარზეს ეპიზოდისა? ცნობილ ბოლოსიტყვაობაში ხოსრო აცხადებს:

„ცხრაას სამოცდა თორმეტსა ლექსს ხოსროე მოეგონებოს".

აქ ლექსში, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ ხანა (ოთხტაეპოვანი შაირი). ბარზუს ეპიზოდი კი შედგება მხოლოდ 373 ხანიდან. ჩაურთავს თუ არა თურმანიძეს ძველ თარგმანში კიდევ სხვა გამორჩენილი ეპიზოდი, ძნელი სათქმელია. მართალია, როსტომიანში ხშირად შეხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებიც ერთ-

[71] აფრასიაბის შვილია.

[72] ამის ბოძდეკ ერთგვარ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს, სხვა მხრით, „შაჰნაზეს" ქართული ვერსიების საკითხში ფრიად კომპეტენტური პირის ბ-ნ ი. აბულაძის მსჯელობა „როსტომიანის" ერთი ეპიზოდის შესახებ: „უნდა ითქვას, რომ ამ ადგილას ლექსები მეტისმეტად დუხჭირია, რითაც ნაძალადევია, ხშირად ლექსწყობაც ირღვევა. ეს მელექსე სხვა პირი უნდა იყოს, რადგან ხოსრო თურმანიძისთანა პოხდენილი ლექსი ამას დიახაც არ აქვს" (ხაზი ჩვენია) (იხ. „ვერსიები", გვ. 505; შენ. 8). ბ-ნ ი. აბულაძეს აქ თურმანიძე საუკეთესო სტილის ნიმუშად ყავს წარმოდგენილი. თანაც მსჯელობა შეეხება იმ ნაწილს, რომელიც საბაშვილს მიეწერება ჩანს, ბ-ნი ი. აბულაძე უგულვებელყოფს უკანასკნელის (საბაშვილის) ღვაწლს „როსტომიანის" შემუშავებაში და ნას მთლიანად თურმანიძეს მიაკუთვნებს.

გვარ თავისებურებას წარმოადგენს სტილის თვალსაზრისით. ამ მხრით მდიდარ მასალას იძლევა ბ-ნ ი. აბულაძის „ვერსიები“, სადაც გამოცემული ტექსტი სხვადასხვა ვარიანტებით არის შევსებული. მაგ., თეთრი პილოს ეპიზოდი („აქა როსტომისაგან თეთრი პილოსი მოკულა“) [ხანები 1839—1878 ე. ი. სულ 40 ხანა]. ბ-ნმა ი. აბულაძემ თავის დროზე ყურადღება მიაქცია ამ ეპიზოდის სტილის სისუსტეს. ის საერთო თხზულებიდან გამოყო და შემდეგი დროის ჩანართად ცნო — ან, უკეთ, სხვა ავტორს მიაწერა (სხვათა შორის, ამ ეპიზოდს შეეხებოდა ჩვენ მიერ შენიშვნაში ამოწერილი ციტატა ხოსრო თურმანიძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ[73]).

მართლაც, ენის თვალსაზრისით „თეთრი პილოს“ ეპიზოდი მეტად უხეშია. და ამით საერთო წერტილში ხვდება ბარზუს ეპიზოდს. მაგრამ ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნია პირველის (თეთრი პილოს ეპიზოდი) თურმანიძისათვის მიწერა. მართალია, თურმანიძე გადაჭირთ აცხადებს „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან“-ო. მაგრამ თვით „სპანდიერ-ბარზუს“ სრულქმნა უტვირთია. ხოსრო თურმანიძე, რომელიც იმდენად ზუსტია თავის მოწმობაში, რომ ხანების რაოდენობაც კი აქვს ჩამოთვლილი, იმის აღნიშვნასაც მოახერხებდა, თუ სხვა რაიმე ეპიზოდი გადმოეღო.

როსტომიანზე მრავალ პირთ უმუშავიათ, რომელთაც ესა თუ ის თავისებურება შეუტანიათ არსებულ ტექსტში. მაგალითად, დღემდის უგულვებელყოფილია ვინმე ე რ ი ს თ ვ ი ს შ ვ ი ლ ი, რომელსაც, ვინ იცის, რა წილი მიუძღვის როსტომიანში. ერთ ძველ კატალოგში, რომელიც 1810 წელსაა შედგენილი, მოხსენებულია „როსტომიანი, სპარსულიდან ნათარგმნი (ნათარგმნი ერისთვის შვილისაგან როსტომიანი — შაჰნამა“), ქვემოთ: „საამიანი, სპარსულიდან ნათარგმნი: უთრუთიანი, სპარსულიდან ნათარგმნი; ყარამანიანი — დიდი ზღაპრების ისტორია, სპარსულიდან ნათარგმნი დავით სარდრის ორბელიანისაგან“[74]. შესაძლებელია ზოგიერთი

---

[73] იხ. ვერსიები, გვ. 504, შენ. 8; 505, შნ. 8.

[74] А. Цагарели, Сведения о памятн. груз. письменности, III, с. 258; ალ. ხახანაშვილი ამ მოწმობას იცნობს, მაგრამ მისთვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია და მხოლოდ შენიშვნაში მიუთითებს ალ. ცაგარელის დასახელებულ თხზულებაზე («Очерки». III, გვ. 113, შენ. 3.) ჩვენი მოხსენებას გარშემო გამართულ სჯა-ბაასში ჩვენმა მასწავლებელმა, პროფ. კ. კეკელიძემ სავსებით სამართლიანად შემნიშნა, რომ აღნიშნული კატალოგი საერთოდ ნაკლები ნდობის ღირსია.

ჩანართები ამ ერისთვისშვილს (ან სხვა ვინმეს) ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში ხოსრო თურმანიძეს საკმაოდ განსაზღვრული აქვს თავის მონაწილეობის სახე.

ბარზუს გარდა თურმანიძე იხსენიებს სპანდიატს. უკანასკნელის ამბავიც მას სრულუყვია „სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“ო. თურმანიძეს ვერ მივაწერთ მთელ ამბავს, რომელიც ბარზუდან როსტომიანის დასასრულამდე გვაქვს: ჯერ ერთი, როგორც შევნიშნეთ, თვით ბარზუს ეპიზოდი საბაშვილის გალექსილ ამბებშია ჩართული. საბაშვილს გაუღექსავს როსტომიანი ლორასპამდე იმავე ბოლოსიტყვაობის ცნობით, სადაც თურმანიძის ლიტერატურული მოღვაწეობაა დამოწმებული. თანაც მოცულობით ეს ამბები თურმანიძის 972 ხანას გაცილებით აღემატება. თურმანიძის მოღვაწეობა უნდა დაწყებულიყო ლორასპიდან საბაშვილის შრომის უშუალო გაგრძელებად, როგორც ეს უკვე მიღებულია ჩვენ მეცნიერებაში[75]. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს 1) თხზულების ენა და 2) ბოლოსიტყვაობის მოწმობა 972 ლექსის შესახებ. მართლაც, ამბები ლორასპიდან-როსტომიანის დასასრულამდე შედგება ჩვენი ათვლით[76], 639 ხანისაგან+ბარზუს ეპიზოდი — 373=რაც დაახლოებით სწორედ თურმანიძის ციფრს იძლევა (სხვათა შორის, სიმპტომატურია ბარზუს ეპიზოდის და თურმანიძის მოწმობის ციფრების დაპირისპირებაც=373—972.

ენაც როსტომიანის მეორე ნაწილისა (ლორასპიდან დაწყებული) თვალსაჩინოდ განსხვავდება კერძოდ საბაშვილის სტილისაგან. აქაც იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც ბარზუს ეპიზოდში. მეტად ვაჟკაცური, სუსტი რითმები, ფრაზების ნაძალადევი გაწყობა. საერთოდ სრული მოუხერხებლობა. ავტორს (უკეთ გამლექსავს) სრულიად არ ემორჩილება კალამი. სტრიქონები სიტყვათა უხამსო შეკოწიწების შთაბეჭდილებას სტოვებს. მხოლოდ იშვიათ გამონაკლისის სახით თუ შეხვდებით რამდენიმე გამართლებულ ადგილებს (მაგ., გოსტაშაბის და ქეთევანის რომანული ეპიზოდი — საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მლექსავებს რომანული ეპიზოდები ყველას უფრო ეხერხება). ამ მხრით ბარზუს ეპიზოდის და ამ ამბების გამლექსავის იგივეობა უეჭვო ხდება.

---

[75] ნ. მარი „იერია“, 1891, № 133; პროფ. კ. კეკელიძე. II. 180.

[76] ვსარგებლობდით ყოფ. სიძველეთა მუზეუმის ხელ. № 858, ნაკლული ბოლო შევავსეთ წ. კ. გ. ს. ხელ. № 1580 (ბ-ნ. კ. კეკელიძეს 624 ლექსი აქვს აღნიშნული II, გვ. 181).

ამავე მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ბიბლიოგრაფიული ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „პატრონმან ჩემმა მიბრძანა, ქართულად სწერე ესია“. საფიქრებელია, რომ ხოსროს პატრონი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ დაავალებდა როსტომიანის თარგმანში, აქა-იქ, თუ გინდ მნიშვნელოვან, გამოტოვებულ ადგილების აღდგენას. ჩვეულებრივ მკითხველისათვის ეს შეუმჩნეველიც დარჩებოდა. ჩხოლოდ განსაკუთრებით დაინტერესებულ პირს თუ ეხამუშებოდა მაგ. ბარზუს ან თეთრი პილოს ეპიზოდის ნაკლებობა. ხოსროვის პატრონი ალბად მელექსეს რაიმე მთლიანი ნაწილის დამუშავებას დაავალებდა. როსტომიანისთვის სწორედ დამახასიათებელია ძირითადი ნაწილის — სპანდიატის და მისი მომდევნო ამბების ნაკლებობა. ეს ნაკლი თურმანიძის წინამორბედმა გამლექსავმა, საბაშვილმა, ძლიერად იგრძნო. თავის თხზულების შესავალში საბაშვილი ერთგვარ ბოდიშს იხდის სპანდიატის წინაშე, რომ მისი გალექსვის საშუალება არ მიეცა:

ქაიხოსრომდი გავლექსავ, მღვთით ვიტყვი არ სავალია.
ნეტარ რა გიყო[77] სპანდიარ, სოფელი წარმავალია.[78]

თანაც ნაკლულის გამგრძელებლისთვის გზა წინასწარ დალოცვილი იყო, „რაც აკლია, ვინც ათაოთ, სამოთხე ხვდეს სულსა თქვენსა“. (Tak., On., 1, 353). ამიტომაც ბუნებრივი იყო სვიმეონს თურმანიძისათვის სპანდიტის ამბების გალექსვა დაევალებია.

ამრიგად, ყოველი მოსაზრება იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სპანდიატის ამბავი თურმანიძეს გაულექსავს. მასვე ეკუთვნის ბარზუს ეპიზოდის გადმოღება. ამაში გამოიხატება მისი ღვაწლი „როსტომიანის“ შემუშავებაში.

ხოსრო თურმანიძის მოღვაწეობის დროის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ იმ სვიმეონის ვინაობა, რომლის დავალებითაც უშრომია მელექსეს. ქართლ-კახეთის ისტორიაში ცნობილია სამი მეფე ამ სახელით, პირველი „მეფეთ მეფე“ სვიმიონ[79], რომელიც ქართლს განაგებდა 1558—1600 წლებში. მეორე სვიმიონ ცნობილია 1619—1629 წ., მესამე ვახტანგ VI ძმა, რომელიც „დაუტევა [ვახტანგ] გამგედ ქართლისა“[80].

---

[77] ეს წაკითხვა ჩვენ სწორად მიგვაჩნია. სხვა ხელნაწერებში უშინაარსო წაკითხვაა „რა გვიყო სპანდიარ“.

[78] წ. კ. ს., ხელ. № 1580, შესავალი; Описание, I, с. 350.

[79] ქარ. ცხოვ. II, გვ. 297.

[80] ჯ. ც., II, გვ. 77.

პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევით[81] თურმანიძის მოწმობა:

„პატრონი ჩემი სვიმიონ სვიანმცა არის ჴულთაგან,

მათსამცა ძეთა მიხვდების, რომე მოირჩმონ მტერთაგან,

და ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების მტერთაგან“ — უფრო უდგება პირველ სახელოვან მეფე სვიმიონს. ამან დიდად ისახელა თავი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1600 წელს ჩაუვარდა მათ ხელში ტყვედ. სვიმეონს დაშთა ორი ძე: გიორგი და ვახტანგ[82]. ამ უკანასკნელთ უნდა შეეხებოდესო, ამბობს პროფესორი, ხოსროს დალოცვა: ძმებს მამის წყალობა არ მოეშალოს. მეორე სვიმიონს (1619—1629) ჩვენს ისტორიაში რაიმე თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია (თუმცა ამისდამიუხედავად შეიძლებოდა პოეტს მისთვის „მორჩმული“ და „სვიანი“ ეწოდებოდა). მისი შვილების შესახებ რაიმე ცნობა არ გვაქვს. შესაძლებელი კია, რომ ასეთები ყოფილიყვნენ. ქართლის ცხოვრებაში შემთხვევით აღნიშნულია ვახტანგ, რომელიც მეორე სვიმონის ძე უნდა ყოფილიყო[83]. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით — ამ ვახტანგის-ძე ლუარსაბ როსტომ მეფემ (1634—1658) იშვილა და მემკვიდრედ გამოაცხადა. მეორე ისტორიკოსის, ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობით, ლუარსაბ თეიმურაზს მირზას ძეა (ე. ი. ვახტანგის შვილიშვილი). „ლუარსაბ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზას შვილი იყო[84].

მეფეთ-მეფე სვიმეონის დროს (1558—1600), როგორც ჩანს, თურმანიძენი ისტორიულ ასპარეზზე წინ წაწეულან და მეფის ერთგულთა რიცხვში ითვლებიან. ერთ მათგანს ვინმე სულხან თურმანიძეს სვიმეონ მეფემ გორის მოურაობა უბოძა[85]. საფიქრებელია, რომ ჩვენი მელექსეც ამავე მეფის ერთ-ერთი ერთგულთაგანი ყოფილიყო. მეფემ მას ცოდნისა და გამოცდილების შესაფერი საქმე მიანდო. ამრიგად, ჩვენ სინამდვილესთან უფრო ახლოდ მიგვაჩნია, პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრების თანახმად, ხოსრო თურმანიძის მოღვაწეობა სვიმეონ მეფეთ-მეფეს დავუკავში-

---

[81] იხ. II, გვ. 180—181.
[82] ქ. ც., II, გვ. 33.
[83] ქ. ც., II, გვ. 49.
[84] ქ. ც., II, გვ. 531.
[85] ქ. ც. II, გვ. 294.

როთ. მაშინ ხოსრო XVI საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი გამოდის[86].

III. შაჰ-ნამეს პროზაული ვერსიის ახალი ვარიანტი

(წინასწარი ცნობები)

დღემდის ცნობილი „შაჰ-ნამეს" ქართული პროზაული ვერსიები საფუძვლად დასდებია ამავე თხზულების გალექსილ რედაქციებს. ასეთი გალექსვის პროცესი უნდა დასრულებულიყო მე-XVII ს-ში, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამით არ ამოწურულა ქართული მწერლობის „შაჰ-ნამესადმი" ყურადღება. ეს ერთი უპოპულარესი და უსაყვარლესი თხზულებაა ჩვენი ხალხისათვის. შემთხვევითი კი არაა ის ბოლოსიტყვაობა, რომელიც რიტორული ანდერძის სახით დართული აქვს „როსტომიანის" ერთ-ერთ ნუსხას:

„ჰი მკითხველნო! ამ წიგნს ნუ დასცინებთ, თუმცა ვინ გულისხმიერად წაიკითხოთ, ჰპოოთმცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველნი ქართველნი შთამომავლობათა, ანდაზად დაუდებდიან და ამით მათ შორის სიმხნესა და ახოვანსა სულსა განაღვიძებდიან და სასიბრძნოცა მრავალი იპოებაო"[87].

„შაჰ-ნამესადმი" გამძაფრებული ინტერესით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ ვერსიათა გადმოქართულება-გალექსვის პროცესის დასრულების შემდეგ კვლავ იქმნება სრულიად ახალი დამოუკიდებელი პროზაული ვერსია, რომელიც განცალკევებულად დგას როგორც თავის შინაარსით, ისე თავისი ფორმით და

---

[86] ვინმე თაიქ თურმანიძე იხსენიება მეფე ლუარსაბის (1605—1616) დროს. ქართლის ცხოვრებით ცნობილია ვინმე ხოსრო თურმანიძეც—ის მეფე კონსტანტინეს დროს (1469—1505) თათრების წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვში ჩანს (ქ. ც. II, 15). მაგრამ შეუძლებელია ის ჩვენ მელექსედ მივიჩნიოთ, რადგან უკანასკნელი გადაჭრით აცხადებს თავისი პატრონის სახელს. კონსტანტინეს დროს ხოსრო მოხსენიებულია 1490 წელში ბომხდარ ბრძოლის მონაწილედ (ქ. ც. II, 15)—რასაკვირველია ის სვიმეონის მეფობას თუ მოესწრო (რაც საეჭვოა). მელექსობას მაინც ვერ შესძლებდა.

ჩვენ ხოსრო თურმანიძეს ბ. ი. აბულაძე ეხლახან გამოსულ თავის „ვეფხის ტყაოსნის" წინასიტყვაობაში ქაიხოსრო თურმანიძე ციციშვილს უწოდებს (გე. XXVI, -ვ. ტ.", 1926). რა საბუთით?

[87] Описание, I, с. 360.

რომელიც დღემდის ქართული მწერლობის ისტორიისთვის უცნობი რჩებოდა.

ეს ვარიანტი ჩვენამდე შენახულია ოთხ ხელნაწერში. 1) ს. ს. ს. № 900, რომელიც მუზეუმის კატალოგში შემდეგნაირად არის შეტანილი: „როსტომიანი პროზით, ჯიმშედის, ზააქის და საამის ამბავი, მხედრული ლურჯ ქაღალდზედ, **თათრულიდგან** ნათარგმნი". თვით ხელნაწერის სათაურში ვკითხულობთ: „აქა დაიწყების ჯიმშიდ ჯელმწიფის ერანის მპყრობელის ანბავი თათრულიდამ ქართულს ენაზედ გარდმოღებული, რომელსა ეწოდების **„როსტომიანი"**.

ამ ხელნაწერის მინაწერია: „აღიწერა ქედითა ცოდვილისათა **როსტომიანი** ესე, აღმომკითხველნო თუ რაამე შეცდომილი აპოპოვოთ, ჯერ გამოუცდელი ვიყავ წერაჲსი და რომლითაც დედანში ეწერა ისე დაუწერე და რომლითაც შეიძლებოდა ვჰმართე. ერთიც რომ ფ დ ვეჩქარებოდი. ამისათვის ვითხოვ მომიტეოთ ცდომილება. აღიწერა ივნისის იე, წელსა ჩყიზ. 1818 го года, ивныі 15-го дня [რუსული ძლიერ ცუდი ხელით] ფ დ ცოდვილი დიაკვანი რიანადს(?) აბულაზოვ". (აბულაძე?).

2) ამავე საზოგადოების ხელნაწერები № 605, 606 — ესენი გაგრძელებაა ხელ. № 604, სადაც იწყება ნადირ-შაჰის ისტორია. ისტორია დამთავრებულია № 605 და მას უშუალოდ მოსდევს ჩვენი თხზულება. ეს ხელნაწერები შემოწირულია მუზეუმში კათალიკოზ კირიონის მიერ და, ალბათ, უკანასკნელის დავალებით გადმოწერილი უნდა იყვეს ლენინგრადის ყოფ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან[89]. ტექსტს დასაწყისში წამძღვარებული აქვს შემდეგი ცნობები: „ქართული თარგმანი სპარსულ მოთხრობის **ფერიდუნ და ზოაქის** შესახებ. ხელნაწერი ეკუთვნის XVIII ს. დასასრულს და დაწერილია მხედრული ასოებით. ხელნაწერში 128 თაბახია; დასაწყისი ფოთლები დაკარგულია. შინაარსით ეს ხელნაწერი დიდათ მოგვაგონებს ფირდოუსის „შახ-ნამეს". **გადათარგმნილ იქნა ხელნაწერი (?) ქართულად სწორედ მე-XVIII ს. დასასრულს.** ხელნაწერში ხშირად გვხვდება სპარსული და თათრული სიტყვები.

---

[89] ნადირ-შაჰის ისტორიის დედნის მოკლე აღწერილობა აქვს ნ. მარს (იხ. მისი Краткий каталог собрания груз. рукописей приобретенного императорскою публичною библиотекою в 1896 г. С.-Петербург 1900 № 9 (საბინინის კოლექციის № 7).

ხელნაწერი მოთავსებულია ა. ნ. გრენის კოლექციაში № 1.

ა. ნ. გრენის კოლექცია პეტერბ. საიმპ. წიგნთ-საცავს (საჯაროს) შეუძენია 1892 წ".

მაშასადამე, ჩვენი ხელნაწერი პეტრ. საჯ. ბიბლ. კუთვნილი დედნის პირია. 3) ყ. წ. კ. გ. ს. ხელნაწერი № 2393—კატალოგში **საამიანად** არის შეტანილი, ალბად, გადამწერის შემდეგი მინაწერის გამო: „წელსა ჩყლზ (1838) სეკდენბრისასა გადავწერე ესე **წიგნი საამ ფალავნისა** მე დავით ივანესძემ ამირიძემ. მკითხველნო, უკეთუ შეცდომა ჰპოვოთ, გთხოვთ ნუ დამგმობთ, შენდობა ბძანეთ. იყოს მოსახსენებელ და სახსოვრად დამწერი ამის დავით ივანეს ძე ამირიძე" 4) ს. ს. ს. ხელნაწერს დედანი ანუ ლენინ. საჯარო ბიბლიოთეკის გრენის კოლექციის № 1.

როგორც მოყვანილი მინაწერებიც ადასტურებენ, ხელნაწერები საერთოდ კარგი ღირსების ვერაა; ყველაზედ სრულია ს. ს. ს. № 900. № 605—606 შესავალში აკლია რამდენიმე გვერდი (900 შედარებით) და დამთავრებული არაა (900 შედარებით აკლია 17 გვერდი). შესავალი ნაკლულევანი უნდა ჰქონდეს ამ ხელნაწერების დედანსაც (პეტრ. საჯარ. ბიბლ. გრენის კოლექცია № 1). ყ. წ. კ. ხელნაწერს (2393) რამდენიმე გვერდი აკლია, როგორც დასაწყისში ისე დასასრულში.

რადგანაც ჩვენი თხზულება საყურადღებო მასალას შეიცავს „შაჰ-ნამეს" ცნობილ ვერსიებთან შესადარებლად, საჭიროდ მიგვაჩნია აქ მისი მოკლე შინაარსის წარმოდგენა.

იყო სახელოვანი მეფე ჯიმშედ (თუ ჯიმშიდ) ერანის მფლობელი. მას ჰყავს „ერთი ყაფიჩი" სახელად **„მიზმან ყაფიჩი"**. უკანასკნელის შვილია ზოაქი (ან ზოჰაქი) ჯადოქრობაში დახელოვნებული. ეშმაკის შთაგონებით **ზოჰაქი მოჰკლავს** თავის მამას და გვამს ჯიმშედის სასახლეში დამალავს. ჰკვლელობა დაბრალდება ჯიმშიდს. უკანასკნელმა იცის, რომ ტახტი ჩამოერთმევა და დახმარების საძიებლად გაიქცევა ჩინეთში. ერანში გამეფდება ზოჰაქი. უკან დაედევნება ჯიმშედს. დაამარცხებს ჩინეთის მეფეს. ჯიმშედ თავისი ნებით გამოცხადდება ზოაქთან, უკანასკნელი მას არ დაინდობს და ჰკლავს. გამარჯვებული ზოჰაქ ბრუნდება ერანში. ჯიმშიდს ცოლად ჰყავდა ჩინეთის მეფის ქალი, რომლისგანაც დაიბადება ფრიდონ. ზოაქი მესტროლაბეთაგან გაიგებს, რომ ფრიდონის ხელისაგან დაეცემა. ბრძანებას გასცემს, რათა ახლად დაბადებული ყველა ბავშვი დახოცონ. ფრიდონი გადარჩება. ის იზრდება მთებში. ზოჰაქი ეძებს ფრიდონს, მაგრამ უშედეგოდ.

ზოაქს შეუჩნდება ეშმაკი და მოცდუნებას ცდილობს. პირველად მიზანს ვერ აღწევს. ბოლოს მზარეულის სახით გამოეცხადება ხელმწიფეს. ზოაქი აიყვანს. ეშმაკი მშვენიერ საშმელებს ამზადებს. ერთხელ მეფეს აბანოში მიართმევს ეშმაკი უცხო შეჭამადს. ზოაქს ეამება და მადლობას უხდის. ეშმაკი თხოვს ჭრებზე კოცნის ნებას. მეფე დასთანხმდება. კოცნის შემდეგ ეშმაკი გაუჩინარდა. მალე მხრებმა ტეხვა დაუწყო და ორი გველი გამოესხა. გველები ემუქრებიან ზოაქის ყურებს, ისევ მოდის ეშმაკი და ასწავლის გველების მოთვინიერების წამალს. დღეში — ორი კაცის ტვინი უნდა აძლიონ. ზოაქმა ამ გზით დიდი მსხვერპლი შეიწირა. მის საბრძანებელში არის, სხვათა შორის, ერთი მჭედელი სახელად **გოვიაჰგარ** (ან გოვდიაჰგარ). მას 9 შვილი ყავდა. ზოაქის გველებმა 7 შეუჭამა. ჯერი მიდგა დაჩენილ ორ ვაჟზედ: **ყარუნ** და **მურდაზზე**. მამა აჯანყებას აწყობს ზოაქის წინააღმდეგ. 12 ათასი ლაშქრით გაემგზავრება ფრიდონთან. გამოაცხადებს მას მეფედ. ფრიდონი შურს იძიებს ზოაქის წინააღმდეგ. დაამარცხებს, დატყვევებს, გამეფდება ერანში. მაგრამ ზოაქი მაინც ცოცხალი რჩება. ის **გრძნებით გაიქცევა** და უცხო მბარეს გარდაიხვეწება. ამასთან პარალელურად გადმოცემულია გმირის **გარსაშიბის** მოღვაწეობა ზოაქის დროს. გარსაშიბი ითრიოთის შვილია. 10 წლისა ის დაამარცხებს გააფთრებულ ჯადოს. ზოაქი მოიწვევს გარსაშიბს თავის სასახლეში მამითურთ და ცდილობს მის დაღუპვას, როგორც ჯიმშიდის თესლის წარმომადგენელს. მრავალ საფათერაკო საქმეს შეუკვეთს, მაგრამ გარსაშიბი ყოველთვის გამარჯვებული რჩება. ის ჰკლავს მინერა დევს, მარტორქას, ვეშაპებს და სხვ.

ზოაქის აღსასრულის შესახებ არაფერია ნათქვამი, არ ვიცით თუ რა ბედი ეწია მას. ყოველ შემთხვევაში ფერიდუნს თავი დააღწია.

ფერიდუნს მიეცემა სამი ვაჟი: უფროსი **თურ**, საშუალო **სალმ**, უმცროსი **ირაჯ**. მამა ცდის შვილებს. გაისტუმრებს მათ სანადიროდ და გზად ვეშაპის სახით ეჩვენება. მხოლოდ ირაჯი მიხვდება ამ გონივრულ თვალთმაქცობას. მამა მას, როგორც ყველაზედ ჰკვიანს, ერანში გაამეფებს. თურს დაუმკვიდრებს თურქისტანს. სალმი კი ურუმში გახელმწიფდება. უფროსი ძმები უკმაყოფილო არიან თავისი წილით და მზაკვრულად ჰკლავენ ირაჯს. ფრიდონს მწუხარებისაგან თვალები დაუბრმავდება. მალე ირაჯის **ცოლს მიეცემა ქალი**. უკანასკნელის ქორწინების ნაყოფია მშვენიერი ვაჟი, რომელსაც **მანუჩარს** დაარქმევენ. მეტსახელად „მინაჩერ დაარქვეს,

იმიტომ რომ ფრიდონს იმისი ნახვით თვალები აეხილა“ (ფ. 8B). სწორედ იმ დროს, როცა მანუჩარი დაიბადა, გარსაშიბის შვილს, ნარიმანსაც (ამის თავგადასავალზე მოთხრობაში არაფერია ნათქვამი) მიეცემა ვაჟი — საამი. საამი და უფლისწული მანუჩარ ერთად იზრდებიან. მალე შურს იძიებენ თურ და სალმზე. ორივე დატყვევებულია ბრძოლაში და მოხუცი **ფრიდონი თავის ხელით მოჰკვეთს მათ თავს.** ურუმში და თურქისტანში მოკლული ძმების შვილებს გაამეფებენ (თურის შვილია — ფიშანგი, სალიმის — მოხსენებული არაა).

ყოველივე ეს გადმოცემულია 1—15A გვერდზედ. გვ. 15A ასეთი თავია: **აქა იწყების მანუჩარ ჯელმწიფის ანბავი.** ფაქტიურად კი ბოლომდის საამის თავგადასავალია გადმოცემული. ერთ დღეს, ნადიროპისას, საამი კანჯარს დაეძევნება. კანჯარი მას უცხო სასახლეში მიიყვანს. იქ გმირი მშვენიერი ქალის სურათს ნახავს. ის ქალი ჩინეთის მეფის ასული **ფერიდუხტია.** იწყება საამის რომანტიული თავგადასავალი. ის მიემართება ჩინეთში. გზად დაამარცხებს დევებს, ავსულებს. ჩინეთის მეფე **ხაყან ჩინი,** თავის ვეზირის შთაგონებით, წინააღმდეგია, რომ ფერიდუხტი საამს მისცენ, რადგან საამი „საბაოთ“ ღმერთის თაყვანისმცემელია, ესენი კი კერპთთაყვანისმცემლები. ფერიდუხტ და, საამ ურთიერთის სიყვარულით იტანჯებიან. ხაყანჩინი მრავალ საარაკო-საგმირო საქმეებს დაავალებს საამს, მაგრამ ყოველივე ძლეულია მისი არაბუნებრივი ძალის მიერ. მეფე მაინც ღალატის გზას ადგია. ბოლოს ყოველივე ბრძოლით წყდება. ხაყანჩინი მოჰკლეს: მისი ვაზირი ძელზე ჩამოჰკიდეს. ჩინეთი და მაჩინეთი თავის ერთგულებს დაუმკვიდრა საამმა. წინასწარ ყველანი „საბაოთ“ ღმერთის რჯულზედ მოიყვანა. საამ ბრუნდება ერანში, მაგრამ გზად **აბრაჰი** დევი გრძნებით მოსტაცებს ფერიდუხტს. შეჭირვებული საამ მანუჩარის თხოვნით მაინც ბრუნდება ერანში. აქ საამ სახელოვან ბრძოლებს გარდაიხდის დასავლეთის მეფის **ადისძე შადადის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი „წყეულ თავსა თვისსა. ღ[ა]რ ხადოდა“ (59B). დასავლეთის ჯელმწიფეც დამარცხებულია. მისი ქალი **თუთი** საამზეა შეყვარებული. საამ თუთის პირობას აძლევს ცოლად შეირთოს, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ფერიდუხტს დევის ტყვეობიდან გამოიხსნის. შადადის დამარცხების შემდეგ საამ მცირე ხანს დაჰყოფს ერანში და მალე ფერიდუხტის საშველად მიდის. დაამარცხებს და ყმად გაიხდის **შავ დევს. აბრაჰი** დევსაც, რომელსაც მისი სატრფო ჰყავს, დაიმორჩილებს და შეკრული ერანში მოჰ-

ყავს. ამდენი ტანჯვის შემდეგ საამი ეწევა თავის წადილს. დაქორწინდება ფერიდუხტსა და თუთიზე. მთელ დროს განცხრომაში ატარებს ხან მანუჩართან და მის შვილს **ნოვზართან** — ხან კიდევ თავის საგვარეულო მამულში სისტანში, სადაც მისი მშობლები და პაპა ცხოვრობს. საამის პაპა, გარსაშიბი, იმ ხანებში „დიდათ მოხუცებული იყო და წელში ორად იყო მოხრილი“ (59B). მანუჩარის რეზიდენციაა ქალაქი **შამი**.

ფერიდუხტისგან საამს მიეცემა ზაალი, ბავშვი თეთრი თმაწარბით დაიბადება. მამა დანაღვლიანდება. ბრძანებს ბავშვის შორეულ მინდორში გადაგდებას. ზაალს ზრდის უცხო ფრინველი სიმურღი ანუ ფასკუნჯი, რომელიც „იალბუზის კალთებში მკვიდრობდა“ (84A). ღმერთი დასჯის საამს შვილისადმი ასეთი მოპყრობის გამო. ის დასნეულდა და, 7 წელს ლოგინად წევს. მისი სხეული ისეთი მყრალი გახდება, რომ ვერვინ, თვით მისი საყვარელი ფერიდუხტიც კი, ვერ ეკარება. ანგელოზის შთაგონებით საამ მოიკითხავს თავის შვილს. უკანვე დაიბრუნებს, მეფე მანუჩარსაც აახლებს. მანუჩარი ცდის ახალგაზრდა ზაალს. ის მშვენიერი ზრდილი გამოდგება. სიმურღმა მრავალ ზნეობაში გაწვრთნა.

ერანს ახალი მტერი გაუჩნდება. „გუშების ქელმწიფის გუშიბნი გუშ ოცდა ათის ათასის ქილიმ გუშების ლაშქრითა **ასტარხანის** მხრიდამ ჩვენსა საომართა წარმოსულა“-ო (84B). სწერს საამს მანუჩარი. თალავანი სწრაფად გაემართა მაზანდარან-ასტარხანის მხარეს. — ზაალი კი სანადიროდ ქვაბულისტანს ეწევა. იქ ზოაქის ნათესავი **მერაბში** მეფობს. მერაბი დიდი ძღვენით გაუმასპინძლდება ზაალს. ზაალი გაიგებს მერაბის ასულის **რუდაბას** ამბავს და გამიჯნურდება. მამისგან ზაალის ქების მოსმენის შემდეგ გამიჯნურდება რუდაბაც. ძიძა და მოახლეების საშუალებით, რუდაბა თავის სასახლეში მოიწვევს ზაალს. ციხიდან თავისი თმის ერთ ნაწნავს გადმოუშვებს და ისე აიყვანს მაღალ გალავანზე თავის სატრფოს. ზაალ და როდაბ ერთმანეთს ცოლ-ქმრობის პირობას მისცემენ (წერილობით). შეყვარებულთა მეორე შეხვედრაზე მოთხრობა წყდება.

ამ მოკლე შინაარსიდანაც ჩანს თუ რა ურთიერთობაშია შაჰნამეს ახალი ვარიანტი ჩვეულებრივ რედაქციასთან და, კერძოდ, მის ქართულ ვერსიებთან. ზოგიერთი მომენტები ყოველ წვრილმანშიც კი საერთოა. მაგ., ზააქის მზარეულისაგან ცთუნება, გველების გამოსხმა. ფრიდონის შვილებზე სახელმწიფოს დაყოფა, ერაჯის მკვლელობა, მანუჩარის დაბადება, ფრიდონის დაბრმავება

და თვალების ახელა. დასასრულ, ზაალის მანუჩარის მიერ გამოცდა და ზაალის რომანტიული (თუ რომანული) თავგადასავალი. მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს სრულიად ახალი ვარიანტია, რომელიც ძირითადად განსხვავდება ჩვეულებრივი რედაქციისაგან. მაგალითად: 1) ზააქის მამაა „მიზმან ყაფიჩი“, რომელიც ჯიმშედის მოხელეა. ჩვეულებრივი რედაქციით ზააქის მამაა მურვად მისრეთის მფლობელი.

2) ზააქი თვით ჰკლავს მამას. გვამს ჯიმშედის სასახლეში მალავს და სხვ. — ჩვეულ. რედ: ზააქის მამას ჰკლავს მუხანათურად (ორმოში).

3) ზააქი გაიქცევა ჩინეთში — ჩვ. რედ. ზააქ ინდოეთში შეაფარებს თავს.

4) ფრიდონ **ჯიმშედის შვილია** ჩინეთის მეფის ქალიდან, ფრიდონ აფთიონის შვილია, მეფის შთამომავალი.

5) ზააქი თავს დააბნევს ფრიდონს და უცხო მხარეს გარდიხვეწება, ზააქი დემავენდის მთებში სამუდამოდ ჩაკიდულია ღრმა ორმოში.

6) ზააქის დროს მოღვაწეობს ითრიფი (უთრუთი) და მისი შვილი გარსაშიბი (გორჯასპი). ეს ჩვეულებრივი რედაქციისათვის ანაქრონიზმია. რასაკვირველია, თავისებური და სრულიად უცნობია ამ მოღვაწეობის ყოველი დეტალი.

7) ფრიდონი თავის ხელით ჰკლავს დატყვევებულ შვილებს სალიმ-თურს. ფრიდონი ღრმა მწუხარებით და გლოვით დაიტირებს სხვადასხვა დროს ბრძოლაში დაღუპულ შვილებს, რომელთაც თავები მას, თითქმის. სამახარებლოდ მოსდის.

8) შემდეგი ამბები — მანუჩარის ომები და საამის რომანული თავგადასავალი სრულიად უცნობია შაჰ-ნამესთვის. ანაქრონიზმია გორჯასპის და საამის თანადროული სიცოცხლე.

9) თავისებურადაა გაშუქებული ჩვენს ვარიანტში საამის დაეადმყოფება, როგორც ერთგვარი სასჯელი ზაალისადმი არამშობლიური მოპყრობის გამო.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ვარემოებას, რომ იმ მომენტებს, რომლებიც ასე თუ ისე უახლოვდებიან შაჰნამეს, აქ ძლიერ ცოტა ადგილი უკავია. მაგ., მთელი თავგადასავალი მანუჩარამდე მხოლოდ 15 ფურცელზეა. დანარჩენ ამბებს, ე. ი. ფაქტიურად საამის რომანულ თავგადასავალს მთელი დანარჩენი თხზულება (სულ 87 ფურცელია). ამ თავგადასავალს კი სრულიად არავითარი საერთო არ აქვს შაჰნამეთი ცნობილ ამბებთან. არსებითად შეიძლება ით-

ქვას, რომ თხზულება მთლიანად საამის მოღვაწეობაზედ არის აგებული. ამიტომაც ერთგვარი საბუთიც ჰქონდა გადამწერ ამირეძეს, თხზულებისთვის წიგნი საამ ფალავნისა“ ეწოდებია, მეორე გადაწერის სახელწოდებას „ფერიდუნ და ზოაქი“ მთელ თხზულებას თავზე ვერ მოვახვევთ, რადგან-ამას, შედარებით, მცირე ადგილი აქვს დათმობილი.

საამი ახალ ვარიანტში სრულიად ახალი მომენტითაა წარმოდგენილი. „შაჰნამეს“ ჩვეულებრივი რედაქციით ის ცნობილია, როგორც გმირი — ფალავანი, სისტანის ფალავანთა ხერხემლის ერთი მსხვილი რგოლი. იქ ერთი სტრიქონიც კი არაა დათმობილი მის რომანტიკულ-რომანულ ცხოვრებისთვის. ახალ ვარიანტში კი საამი წარმოდგენილია, უპირველესად ყოვლისა, როგორც შეყვარებული ჰაბუკი. ის რომანტიკოსი რაინდია. საამმა ლამაზი ქალის სურათი ნახა, შეიყვარა და თავისი მომავალი ამ ქალის ძიების გზაზე წარმართა. ეს გზა მას ხშირად გააზიარებინებს გახელებული მაჯნუნის ბედს. როცა მას თითქოს იმედიც წარეკვეთა სატრფოს ხილვაში, გაიჭრა უდაბნოში, მთებში (დედნით: ბიაბანში). საამი ცხოვრობს ველურ ცხოველებთან: „მინდვრის მხეცნი და ნადირნი საამ ფალავანსა ესრეთ შემოსჩვეოდენ, რომ აღარ ერიდებოდნენ. და ფალავანისა ტირილსა და ოხვრისათვის ყური შეეჩვიათ. და ფალავნისა პირის-პირ ზოგნი სძოვდნენ, ზოგნი იწვნენ და ზოგთა ეძინათ“ (54B). სიყვარულით გატაცებულმა საამმა თვით ხელმწიფე-პატრონის, მანუჩარის, პირობასაც კი გადასცდა. პირველად ხელმწიფის სურვილის წინააღმდეგ გაუდგა თავისი სწრაფვის გზას. შემდეგ დაპირებულ დროს ხელმწიფესთან აღარ დაბრუნდა. თუმცა საერთოდ საამი, როგორც შაჰნამეს ყველა გმირიც, ხელმწიფეს და მის უფლებას უზენაესობამდე თაყვანს სცემს.

საამი სიყვარულში უაღრესად გულწრფელია და ერთგული. მან არ გაიზიარა შადადი ხელმწიფის ქალის თუთის სარეცელი. თუმცა უკანასკნელი: „ესეთისა შვენებისა და ქცევისა იყო, რომ ფერიდუხტისთანა[90] რამდენიმე მოაკლეთა ფერობდა“ (69A).

თავის რომანტიკულ ბუნებასთან ერთად საამი სახელოვანი ფალავანია. მას შესწევს გამბედაობა ამაყად განაცხადოს მთელი სამყაროს ბოროტი ძალების წინააღმდეგ „სად გარდაურჩებით ხმლისა ჩემისა ნაკვეთსა“ (64A). მისი მკლავი ანადგურებს ბუმბერაზი ძალ-ღონის პატრონ დევებს, ჯადოსნებს, თილისმებს, ურიცხვ ლაშქარს. თავისი გმირული მოღვაწეობის ასპროეზში

[90] ფერიდუხტ საამის სატრფოს სახელია.

საამის წარმოდგენაში გაიელვებენ მისი ხმლის წინაშე წამოჩოჩქილი მტრები: „მე ვარ საამ **ქვეყნის ფალავანი**, ზინდა ჯადოს მკვლელი. ნჰანგალისა, მაქუქალისა, ქეივანისა — მკვლელი. ალმასის თილისმისა დამრღვევი. რიზვან ფერის ჯადოს მკვლელი. ხაყან ჩინისა, ჩინეთისა, მაჩინისა ხვარასნისა, ბალხისა, თურქისტანისა აღმაოხრებელი და დამამარცხებელი, და ამომწყვეტელი — შიმუდადისა და ადიშიმ-უდისა ლაშქრისა. ამომწყვეტელი — შიმუდისა და იმისის შვილისა“ (64A).

საამის ფალავნობას კეთილშობილი სიდარბაისლე ახასიათებს. ის გაურბის უბრალოდ სისხლის დაღვრას. ბრძოლაში მუხანათური ხერხით სარგებლობას. დამარცხებულ მტერს სისხლს არ თხოვს. მონანიებულ მოპირდაპირეს სიამოვნებით უნარჩუნებს სიცოცხლეს და მეგობრადაც იხდის (შავი დევი და სხვ.). მაგრამ გაკადნიერებელ თავხედობას და ღალატს. ის საშინელებს გრიგალად ევლინება. მაშინ საამი „მთვრალი ლომია“ თავხარდამცემი.

ჩვენი თხზულებისთვის, საზოგადოდ, და საამის მოღვაწეობისათვის, კერძოდ, ფრიად დამახასიათებელია რელიგიური მოტივი საამი ერთგვარ მისიონერულ როლსაც ასრულებს. საამი აღიარებს ყოვლისა შემოქმედსა საბაოთ ღმერთს“. მისი პირველი მოთხოვნილება დამარცხებულ მტრის (ან მეგობრად შემომდგარ ფალავანის) მიმართ არის ახალ რჯულზედ მოქცევა. „საბაოთ ღმერთის“ თაყვანისცემა. საამმა ახალ რჯულზედ მოაქცია მის მიერ დაპყრობილი მრავალი ქვეყანა (ჩინეთი, მაჩინეთი, დევუისტანი). ყველგან მმართველებად მისი ერთგული თანამორწმუნენი დანიშნა. ახალ რჯულზედ მოაქცია თავისი სატრფო და ქორწილსაც „საბაოთ ღმერთის“ წესისამებრ გარდიხდის[2]. ამ ძირითად სახეებშია მოცემული საამ ფალავნის ფიგურა: რომანტიკულ-გმირულ-მისიონერული მოღვაწეობა. ამის გარშემო უამრავი ეპიზოდი და ფანტასტიკური თავგადასავალია. წარმოუდგენელი ფანტასტიკა, დაუსრულებელი ხლართები, ბრძოლები, თილისმები, დევები, ავსულები. საამი ყოველივეს ძლევს თავისი სიყვარულით, ძლიერი მკლავით და რელიგიური ტემპერამენტით. ყოველივე ეს (გმირული მომენტის გამოკლებით) სრულიად უცნობია ფირდოუსის შაჰნამესთვის საერთოდ და მისი ქართული ვერსიებისთვის.

ჩვენი ძეგლი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ენობრივი წარმოშობის თვალსაზრისით. როგორც შევნიშნეთ, ერთადერთი სრუ-

[2] მსგავს „მისიონერულ“ მოღვაწეობას ეწევა ყარამანი („ყარამანიანში“) და პეტრე ლარაძის — დილაოიანის“ მთავარი გმირი — დილარი.

ლი ხელნაწერის (ს. ს. ს. № 900) სათაური გვაუწყებს „თათრულ-დამ ქართულს ენაზედ გარდმოღებული“ საკითხავია, თუ რას ვგულისხმებთ „თათრულში“.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მოზრდილი ნაწილის გამომცემელმა ბ-მა ი. აბულაძემ პირველად მიაქცია ყურადღება გამოცემულ ძეგლებში, კერძოდ, საამიანში (აგრეთვე საამიანის გამოუცემელ პროზაულ რედაქციაშიც) თურქული ტერმინების და საერთოდ სპარსული დედნისთვის უცხო კლემენტების არსებობას. ეს გარემოება მან საკმაო საფუძვლიანობით გაითვალისწინა. ბ-ნი მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საამიანის პროზაული და გალექსილი რედაქციის დამუშავება უნდა „ეკუთვნოდეს სწორედ იმ ეპოქას, როდესაც თურქული ლიტერატურისა და ცხოვრების გავლენის ჰეგლები შემოიჭრა ჩვენში“[92].

ბ-ნი ი. აბულაძის მოსაზრება კიდევ უფრო განავრცო აკად. ნარმა. უკანასკნელი სწორედ ი. აბულაძის აღნიშნულ შრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ: «Особенную важность и желанную новость в этих наблюдениях [Ю. Абуладзе] представляет чреватое для истории грузинской литературы указание, что в возрождении грузинской литературы в начале XVI в. особую роль сыграла — турецкая литература»[93]. აკად. მარი არ დაკმაყოფილდა ამ გაკვრითი ხასიათის შენიშვნით და მან სერიოზულად დააყენა საკითხი აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის წყაროების გადასინჯვის შესახებ. ის ამბობს: «Вопрос о том же самом явлении, о возможной и даже вероятной связи грузинской литературы с турецкой, начинает возникать и по фактам и соображениям иного порядка». აქედან: и необходимость пересмотра в частности и вопроса об источниках возрождения грузинской литературы» (ბაზი ჩვენია ა. ბ.)[94].

აკად. ნ. მარის ეს მოთხოვნილება, ჩვენის აზრით, მეტად ჟამწოფებულად და დროულად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ, ვფიქრობთ, ამის საბუთს უნდა გვაძლევდეს „შაჰნამეს“ ახალი პროზაული რედაქცია. ხელნაწერის მოწმობა თათრული ენიდან გადმოღების შესახებ წამოყენებულ დებულების სისწორეს უნდა ადასტურებდეს. მართალია, აღორძინების ხანაში სპარსელები და თათრები თითქმის შესატყვის ცნებებად იხმარებიან. კერძოდ, ამას სისტემა-

[92] ვერსიები, გვ. XXI.

[93] Записки Коллегий Востоковедов. Ленинград. 1925, I, с. 113.

[94] იხ. Записки..., გვ. 114.

ტურად ჩადის ამ ეპოქის ისტორიოგრაფია. მაგ., ვახუშტ ბატონიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე (ამისი მაგალითები მრავლადაა ჩუბინაშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების II ტომში. ს. პეტერბურგი, 1854). მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო რელიგიური მომენტი უნდა ჰქონოდათ მხედველობაში. ენის თვალსაზრისით, დიფერენციაციის საუკეთესო მაგალითი იმავე ისტორიოგრაფიაში გვხვდება. მაგ., მზეჭაბუკის შესახებ ნათქვამია „იცოდა მზეჭაბუკ არაბული და სპარსული და თათრულიცა"[95]. პოეზიაში ეს დიფერენციაცია. უფრო ნათელი იყო. აღორძინების პერიოდის ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა სპარსული შემოქმედების ნაყოფით იკვებებოდა. და ეს ჩვენ მწერლებს სასახელოდაც კი მიაჩნიათ. ამ ეპოქის ისეთი ტიპიური და ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი, როგორიცაა გვირგვინოსანი პოეტი თეიმურაზ პირველი (რომელმაც, სხვათა შორის, დიდად იწვნია სპარსელების მზაკვრული ხელი პოლიტიკურ ასპარეზზე) ქართულ სიტყვას იწუნებს და, სამაგიეროდ, ქებათა-ქებას უძღვნის სპარსულის მშვენობას. თავის ერთი სპარსულიდან ნათარგმნი თხზულების (ლეილ-მაჯნუნიანი) შესავალში ის პათეტიურადაც გაიძახის:

„სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი".

ბოლოს და ბოლოს ჩვენ გვაქვს დადებითი ცნობაც, რომ ქართული მწერლობა იცნობდა თურქულ ლიტერატურულ ნიმუშებს. თავის დროისათვის დიდად ცნობილი ნოდარ ციციშვილი თავის ნათარგმნ „ბარამ-გურიანის" შესავალში აცხადებს, რომ ის („ბარამ-გურიანი") პირველად ნიზამი განჯელს უთქვამს. ნიზამის ბაძავს ხოსრო დაჰლევი, აგრეთვე:

„ნავაისს ესე ამბავი ჩაღათურითა ენითა
უთქუამს და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა"[96].

მართლაც ნევაი (ან ნავაი). ა. მიულერის სიტყვით, ლიტერატურული ფსევდონიმია თავის დროის სახელგანთქმული მწერლის, პოლიტიკური მოღვაწის და მეცენატის მირ ალი შირის[97], რომელსაც სხვა მრავალ თხზულებათა შორის „ბარამ-გურიანიც" დაუ-

[95] ქარ. ცხ., II, გვ. 259.
[96] Описание, II, с. 527—528.
[97] История Ислама, С.-Петербург, 1896, III, с. 405.

წერია[98]. საყურადღებოა, რომ სწორედ ჩვენი ლიტერატურის აღორძინების დასაწყისში, სახელდობრ, XV—XVI საუკუნეში, ფართოდ გაშალა ფრთები ოსმალურმა მწერლობამ. ამავე პერიოდში ოსმალეთთან გაცხოველებული პოლიტიკური ურთიერთობა ლიტერატურული ურთიერთობის საუკეთესო პირობას ქმნიდა.

ფრიად საყურადღებო მასალებს იძლევა ჩვენი თხზულების ენა. საზოგადოდ ცნობილია, რომ თურქული სალიტერატურო ენა არაბულ-სპარსული და ნაციონალური ელემენტების სრული ნარევია, იმდენად დაშორებული სასაუბროს, რომ ჩვეულებრივი გაუნათლებელი თურქისთვის ის გაუგებარია[99]. ისე რომ, ქართული თარგმანის საშუალებით მეტად ძნელია, იმის გათვალისწინება, თუ საიდან მომდინარეობს იგი. ყოველ შემთხვევაში სავსებით მართებულია ხელ. № 605 ცნობა, რომ ჩვენი თხზულება სავსეა არაბულ-სპარსულ-თურქული სიტყვებით. აქ ხშირად გვხვდება სპარსული გამოთქმები, როგორც მაგ., „დასტი ჩუბი“ „ზარზამინი“ („ზარ ზამინში დააპატიმრეს“ (16B). „დივზადი“ „თირა ბარანი („თირა ბარანი უნდა გიყოთო“ გვ. 37A). „ბაზაზი ხამი“ (38A) „მანზილ, მანზილ იერეს“ (12B: 42A). „**ბეიბანს** მინდორსა გაემართა“ (53A). „ბურჯისა ერთსა ქონგურს მოსდო“ (55B). ერთ შემთხვევაში მთარგმნელი თვითონ განმარტავს უცხო ცნების

---

[98] А. Крымский, История Турции и ея литературы, 1910, с. 41—42; აგრეთვე მისი სტატია ბროკჰაუზ-ეფრონის ენც. ლექსიკონში — ტომი 67, გვ. 162.

შესაძლებელია თურქი ავტორი ვიცნოთ თეიმურაზ პირველის შემდეგ მოწმობაში. თეიმურაზი „ლეილ-მეჯნუნიანის“ შესავალში ამბობს, რომ ამ თხზულების დაწერაში ის ვიღაც უცნობ მწერალ „შ ი ხ ზ ე ი დს“ ეცილება. ასე იკითხება ეს ადგილი უმრავლეს ხელნაწერებში. ზოგიერთში არის წაკითხვა „შიხ სეიდს“ (წ. კ. 1508) „შიხ სადრს“ (წ. კ. 3706; 2694) „შიხისლამს“ (წ. კ. 1084) „შიზირმანს“ (1517). სპარსულ ლიტერატურაში, სადაც „ლეილ-მეჯნუნი“ ძრავალ პოეტთა წაბაძვის საგნად ქცეულა ჯერჯერობით უცნობია ეს „შიხ შეიდი“. სამაგიეროდ ოსმალურ ლიტერატურაში მართლაც ვინმე „შეიხს“ XV ს. სპარსულ მწერალთა მსგავსად დაუწერია ჩვენთვის საყურადღებო თხზულება. (А. Крымский, История...», 1910 გვ. 50). ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია თეიმურაზის „შიხ შეიდში“ — ოსმალო შეიხი ვიცნათ. მით უმეტეს თეიმურაზის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მან „კარგად იცის თათრული და სპარსული ენა, რა ენებსაც მჭერმეტყველად ლაპარაკობს“ (თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 102). ცნობილია, რომ თეიმურაზმა პირადათაც იმოგზაურა ოსმალეთში, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თეიმურაზი, ვირტუოზი სპარსული პოეზიის დარგში, ოსმალურ ლიტერატურულ ნიმუშებსაც იქნებოდა გაცნობილი. მით უმეტეს ამ შემთხვევაში მას უნდა სცოდნოდა „ლეილ-მეჯნუნიანის“ არსებობის ფაქტი თათრულ“ ენაზედაც.

[99] შდრ. მაგ., А. Крымский, История.., 1916, I, с. 248, 249, 250 და სხვ.

მნიშვნელობას „სია ქუმთას უწოდებენ რომელიცა ითარგმანების შაკი მთა“ (10B), მართლაც ...-ის მნიშვნელობა სისწორითაა გადმოცემული.

ხშირია ფრაზები: მძიმე ხალათი ჩააცო“, „სარტყელსა ხელი ჩაუგდო“, „საყელო გარდიხივეს“ და სხვ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ არაბულ-სპარსულ სიტყვებთან ერთად წმინდა თურქულიც გვხვდება მაგ., „ყაფიჩი“ „ყარაული“ „უზბაში“ „მინბაში“ „ვახშამი“ „ყულუხჩი“, „ყაფიჩიბაში“ „ჩაფარი“ „ელჩი“[100] (ალბათ თურქული ენის სპეციალისტები კიდევ ბევრ მსგავს ტერმინებს წააწყდებიან ჩვენს ძეგლში).

მოყვანილი მოსაზრებები, ჯერჯერობით, არ გვაძლევს უფლებას დამტკიცებულად ჩავთვალოთ ჩვენი ძეგლის „თათრული“ წარმოშობა, მაგრამ ერთი კი უეჭვოა: არც ერთი მოსაზრება ამ დებულების საწინააღმდეგოდ არ ლაპარაკობს და, მაშასადამე, უფლებაც არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ხელნაწერის ცნობაში: „ანბავი თათრულიდამ ქართულს ენაზედ [ნათარგმანები]“.

ქართული თარგმანის ენა მეტად უხეშია. აქ უგულვებელყოფილია ლიტერატურული ნორმები. არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ვულგარიზმები — დომხალივით ერთმანეთშია არეული. ნორმის გარეშეა უცხო სიტყვების და გამოთქმების ხმარება.

მთარგმნელი ერთი უნიჭო კალმოსანთაგანი უნდა ყოფილიყო. ვინაა მთარგმნელი არ ვიცით, მხოლოდ უეჭვო უნდა იყვეს ხელნაწერის ცნობა: გადათარგმნილ იქნა თხზულება ქართულად მე-XVIII -ს. დასასრულსო. (ს. ს. ს. № 605 წინასიტყვაობიდან).

---

[100] უნდა ისიც ითქვას, რომ ეს ტერმინები შესაძლებელია თვით სპარსულშიაც იყვეს (სპარსულშიც ბევრი თურქული სიტყვები შეჭრილა). აკრეთვე ქართველ მთარგმნელსაც შეეძლო აქა-იქ თავისი საკუთარი ტერმინოლოგიაც გაესალებია.

შენიშვნები

[1] ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე (გვ. 5—25) იბეჭდება პირველად.

[2] რუსთველის დასაცავად (გვ. 26—39). დაბეჭდილია (ჟურნ. „მნათობი", 1973, № 12, გვ. 127—132).

[3] ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო (გვ. 40—56). დაბეჭდილია (ჟურნ. „განთიადი", 1977, № 2, გვ. 158—166).

[4] ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემა (გვ. 57—73). იბეჭდება პირველად.

[5] რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო (გვ. 74—78). დაბეჭდილია (ჟურნ. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1, გვ. 168—171).

[6] ხმა წარსულიდან (გვ. 79—90). დაბეჭდილია (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 10.9.76).

[7] Язык поэтической метафоры и вопрос о датировке поэмы «Витязь в барсовой шкуре» (გვ. 91—96). დაბეჭდილია (Современные проблемы литературоведения и языкознания, М., 1974, с. 362—367).

[8—9] საკვალიფიკაციო რუსთველოლოგიური შრომები:

ა) ივანე გიგინეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1975, მანქანაზე გადაბეჭდილი (გვ. 97—108);

ბ) სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები, თბილისი, 1968, II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა (გვ. 108—125); მანქანაზე გადაბეჭდილი

ი. გიგინეიშვილისა და ს. ცაიშვილის შრომები წარმოდგენილი იყო საკვალიფიკაციოდ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ორივე რეცენზია იბეჭდება პირველად და სრულიად უცვლელად. ორივე ავტორმა თავიანთი შრომები შემდეგ ბეჭდურადაც გამოაქვეყნა:

[1] ივანე გიგინეიშვილი, გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, 426 გვ. 2. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, II, თბილისი, 1970, 348, 208 გვ.

[10] ათასხუთასი წლის ლიტერატურული ძეგლი (გვ. 126—133). დაბეჭდილია („გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 16.7.76)

[11] ქართული მწერლობის სათავეების თაობაზე (გვ. 134—136); იბეჭდება პირველად.

[12] რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVII—XVIII საუკუნეებში (გვ. 137—149). იბეჭდება პირველად; წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა კავშირისა და თბილისის უნივერსიტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე I.XI.76 წელს.

[13] ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (გვ. 150—164). იბეჭდება პირველად. წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და „იმელის“ გაერთიანებულ სესიაზე 17 9.74 წ.

[14] უნგრულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (გვ. 165—175). იბეჭდება პირველად.

[15] ვახტანგ VI (გვ. 176 — 186). მცირეოდენი ცვლილებით დაბეჭდილია ვახტანგ VI-ის თხზულებათა კრებულის შესავალ წერილად (თბილისი, 1975).

[16] თეიმურაზ მეორე (გვ. 187—194). დაბეჭდილია (გაზ. „სამშობლო“, 1975, VIII, № 16).

[17] მცირე განმარტება-შენიშვნა (გვ. 195—197), დაბეჭდილია (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 177, ლიტერატურათმცოდნეობა, თბილისი, 1977, გვ. 255—259)

[18] წერილ-წვრილი შენიშვნები (გვ. 198—200); იბეჭდება პირველად.

[19] სახელდახელო შენიშვნები (გვ. 201—210), დაბეჭდილია ალმანახში „კრიტიკა“ 1974, 9, გვ. 24—34).

[20] Исследователь грузинской литературы (გვ. 211—219). დაბეჭდილია (Литературная Грузия, 1976, 10 с. 83—87).

[21] სიტყვა გალაკტიონ ტაბიძეზე (გვ. 220—224). დაბეჭდილია (აღმოსავლეთმცოდნეობა, IV, 1976, გვ. 99—102).

[22] Звезда венгерской поэзии (გვ. 225—231). დაბეჭდილია (Литературная Грузия, 1973, № 3, с. 69—71).

[23] ავეტიქ ისააკიანი (გვ. 232—234). დაბეჭდილია (მაცნე, 1976, № 1, გვ. 5—6).

[24] ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტიკის ოკეანეში (გვ. 235—237). იბეჭდება პირველად.

[25] დიმიტრი გულია (გვ. 238—240). დაბეჭდილია (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი 17.9.74).

[26] დევიდ ლანგის ვიზიტის გამო (გვ. 241—243). დაბეჭდილია (ჟურნ. „მაცნე“, 1974, № 2, გვ. 190—192).

[27] ელენე მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათება (გვ. 244—251). იბეჭდება პირველად.

მოგონებათა ფურცლები:

[28] პირველი ნაბიჯები: ა) ბესიკის გამოცემა (გვ. 252—257), იბეჭდება პირველად.

ბ) ფირდოუსის იუბილე (გვ. 257—265), დაბეჭდილია (ჟურნ „მნათობი“, 1977, № 5, გვ. 179—182). გ) ქილილა და დამანა (გვ. 265—277). იბეჭდება პირველად.

უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე (გვ. 277—303). დაბეჭდილია (ალ. მანახი „კრიტიკა“, 1976, 4, გვ. 145—164).

დამატება

[30] შენიშვნები „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ (გვ. 304—348) ჩემი პირველი მეცნიერული ნაშრომია; დაიბეჭდა 1927 წელს (საქართველოს არქივი, III, გვ. 62—96). ამ ნაშრომს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ბიბლიოგრაფიულად იშვიათია და ძნელად საშოვარია. ალბათ, ამის გამო მკვლევარნიც კი მას ხშირად გვერდს უვლიან; ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი „ნარკვევების“ წინამდებარე წიგნში შემოტანა დამატების სახით. ჩემი პირველი ნაშრომი დღეს, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილებს, თუმცა მისი უმთავრესი დებულებანი ძალაში რჩება, ზოგი რამ

შემდეგ შეეასწორე და დავაზუსტე (შდრ. ნარკვევები, II, 1940, გვ. 20—85). ეს ნაშრომი ძლიერ მომიწონა ექვთიმე თაყაიშვილმა (მოგონებანი, ჟურნ. „მნათობი“, 1958, № 11, გვ 168). „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ცნობილი მკვლევარი დავით კობიძე ამ ნაშრომის გამო წერს: „აღ. ბარამიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იმთავითვე კარგად მომზადებული და საქმეში ღრმად ჩახედული მკვლევრის უნარი და ცოდნა გამოამეღავნა“. დ. კობიძემ გაიზიარა ჩემი რიგი «მოსაზრებანი; მან კვლევა-ძიება „შაჰნამეს“ ირგვლივ გააფართოვა და გააღრმავა. კერძოდ. ჩემ მიერ გამოქვეყნილი „ფერიდუნ და ზოაქის“ ქართული ვერსიის გამო დ. კობიძე შენიშნავს: „შაჰ-ნამეს ამ ვერსიას მკვლევარნი (ნ. მარი და ი. აბულაძე) არ იცნობდნენ. მისი ა ღ მ ო ჩ ე ნ ი თ ა დ ა შ ე ს წ ა ვ ლ ი თ აღ. ბარამიძემ უეჭველად წინ წასწია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კვლევის საქმე. შემდგომი დროის ძიებამ დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა, რომ აღნიშნული პროზაული ვერსიის სახით ქართულ ლიტერატურას „საამ-ნამეს“ (საამის წიგნის) პროზაული ვერსია შემოუნახავს. იგი სპარსულ პროზაულ ვერსიაზე ყოფილა დამოკიდებული“[1] (საიუბილეო კრებული, 1974, გვ. 134. დაყოფა ახალია — ა. ბ.). თქმულის გამო მთლად ზუსტად არ მეჩვენება ს. ჯიქიას, ელ. მეტრეველისა და ვ. კოტეტიშვილის მოწმობა, რომ ფრიად პატივცემულმა ჩემმა მეგობარმა დავით კობიძემ „საინტერესო ძეგლი „საამ-ნამეს“ ქართული ვერსია ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ა“ (დიდი ღვაწლი, გაზ. „კომუნისტი“, 10.12.76). დ. კობიძემ გაარკვია, რომ „აღმოჩენილი“ ტექსტი წარმოადგენს სპარსული „საამნამეს“ ქართულ ვერსიას.

ძველი ნარკვევი იბეჭდება უცვლელად;

---

[1] სქოლიოში დამოწმებულია: დავით კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი, 1959, გვ. 197—237.

პირთა საძიებელი

აბასი Абас—153, 155
აბაშელი აღ. 259
აბაშიძე ირ. 6, 7, 12, 19, 58, 60, 77, 724, 163, 275
აბაშიძე გრ. 163, 169, 172, 295
აბზიანიძე გ. 198, 199
Або Тбилели, Аво von Tiflis 213
აბრამიშვილი ს. 208
აბრაჰი 340
აბრსკილ 240
აბულაძე ი. Абуладзе И. 5, 74, 114, 133, 245, 264. 274. 275, 304. 305, 306, 307. 310, 314, 317, 321, 324, 331, 332, 336, 345
აბულაძე იუსტ. Абуладзе Ю. 9, 12, 81 85, 109, 258, 261, 270, 271, 273, 345
აბულაძე სავლე 265
აგამემნონი 146
აგლაძე რ. 264
ავალიანი ლავრენტი 299
ავალიშვილი გ. 146, 247
ავალიშვილი ზ. 43
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი") Автандил («Вепхис ткаосани") 12, 13, 18, 21, 22, 23, 37, 43, 50, 52, 53, 60, 82, 86, 94, 95, 103, 106, 107, 194, 305
ავრელიუსი მარკ 146
ათონელი ექვთიმე Афонели Евфимий 152 158, 241, 242, 248, იხ. ექვთიმე ათონელი
ათონელი გიორგი Афонели Георгий 242, 153, 158, 248 იხ. გიორგი ათონელი
ალექსანდრე ბატონიშვილი 137, 142, 143 144, 208, 310
ალექსეევი 302
ალექსი მიხეილის ძე 138
ამარტოლი გ. 141
ამილახვარი ათანასი 140
ამილახვარი აღ. Амилахвари А. 140, 147
ამირანაშვილი შ. 74, 123, 311.
ამირანი 240
ამირიძე დავით 338, 343
ანა დედოფალი 255
ანდრია პირველწოდებული 289
ანთიმოზ ქართველი (იბერიელი) 156
ანტონ I Антон I 146, 217
აპოლონ 73
არაშელი 323
არეოპაგელი დიონისე 243
არველაძე ბ. 297
არნავაზ 312, 323
არჩილ მეფე Арчил 137, 139, 140, 141, 142, 143, 144, 170, 180, 182, 193, 208, 213, 307, 325.
ასათიანი ლ. 146, 254, 277, 281, 284, 285, 287, 288, 291, 296.
ასმათი („ვეფხისტყაოსანი") 15, 16, 19, 26, 107.
Ассфальг Юлиус 93
აფთიონ 315, 316, 321, 342
აფრასიობი 331
აღა მაჰმად ხანი 222
აღმაშენებელი დავით 154, 198
აღნიაშვილი ლ. 258, 262, 263, 264
აღნიაშვილი ჰ. 262
ახვლედიანი გ. 238, 266, 298, 299, 302.

ბაგრატი 314
ბაგრატიონი თეიმურაზ 9, 109, 105

* შეადგინა იზოლდა წაქაძემ.

ბაკირ.ჯიევი სტოიან 163
ბაკურიანისძე გრიგოლ 153, 154, 155
ბალანჩივაძე ა. 173
ბალმონტი კ. Бальмонт К. 35, 56.
ბაქანი მიკოლა 284, 287, 288, 290, 291, 293, 294, 296, 297, 301, 302.
ბარათაშვილი თომა 145
ბარათაშვილი მამუკა 145, 148
ბარათაშვილი მარიკა 295
ბარათაშვილი ნ. Бараташвили Н. 138, 160, 185, 186, 199, 200, 220, 229, 233, 240, 243, 281
Барам 147
ბარამიძე ალ. Барамидзе Ал. 5, 6, 7, 12, 17, 26, 27, 28, 29, 33, 37, 38, 48, 50, 58, 60, 74, 75, 77, 105, 106, 125, 132, 195, 197. 199, 214, 215, 246, 247, 252, 253, 254, 255, 257, 258, 262, 267, 273, 274, 275, 276, 291, 292, 294, 295, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334
ბარამიძე ნინო 292, 294, 296, 301
ბარდაველიძე ვერა 265
ბარდოლა 284
ბარტოკი ბელა 168, 179
ბასილ ბაგრატის ძე 248
ბაუმაისტერი 146
ბაქანიძე ო. 295
ბაქარ ბატონიშვილი 140, 143, 144
ბაქრაძე ვ. 80
ბეატრიჩე 203
ბეგიაშვილი თედო 252
ბევრასფი 305
ბელეცკი 291
ბელოდედი ი. ა. 301, 302
ბერიძე ვ. 8, 9, 11, 12, 15, 17, 19, 74, 88
ბერიძე კატო 265
ბერულავა ხ. 295
ბერძენიშვილი ნ. 72, 164, 274
Бестава швили А. 8
ბიწაძე ივ. 163, 164
ბოიკო ს. 297
ბოლდირევი ა. Больдырев А. 33, 34, 35, 55
ბოლტნიკოვი 262
ბორენა დედოფალი 57, 73
ბოტევი ქრისტო 159, 160, 163
ბრაგინსკი ი. 32
ბრეენევი ლ. 32, 165, 169
ბროსე მ. 9, 42, 49, 109, 115, 202
ბუაჩიძე ბენიტო 270
ბუბნოვი 261
ბულღარელი თეოფილაქტე 152
ბურჯულაძე ე. 81, 85
Бутков П 208
ბუტურლინა ბარბარე 146

გაბაშვილი ბესიკ 149, 240, 252 253, 254, 255, 256, 257, 259
გაბაშვილი ტიმოთე 195, 196, 197, 247
გაბესკირია ვ. 275, 276
გაგნიძე ჯ. 173
გაგო 306, 308, 316
გაიოზ რექტორი 146
გამსახურდია კ. 243, 295
განრი თედორე 285
გარსაშიბ (გორჯასპი) 339, 340, 341, 342
გაწერელია აკ. 23, 24, 46, 139
გეგელიძე კონსტანტინე 265
გელოვანი გაბრიელ 145
გვახარია ალ. 246, 276
გვინჩიძე ოთ. 163
გიგინეიშვილი ივ. 7, 11, 38, 88, 97, 98, 99, 100, 10 1, 102, 103, 106, 107, 108 164
გივი 316, 331
გიორგი ათონელი 42, 153, 158, 248 იხ. ათონელი
გიორგი ბატონიშვილი 144
გიორგი XI 176, 20
გიორგი მცირე 153
გიორგი (სვიმეონის ვაჟი) 335
Георгий III 216
გოგიჩაიშვილი 289
გოგოლი 282, 286, 289
გოდერძი 316, 331
გოვაჰგარ 339
გოლცევი ვ. 291, 292, 293
გონჩარი ოლეს 295, 296, 297

გორგასალი ვახტანგ 127
გორკაძე ს. 252, 265
გორგიჯანიძე ფარსადან Горгиджанидзе Парсадан 216 335, 346
გორდეზიანი ბ. 171
გოსტამ 330
გრენი ა. ნ. 338
გრიბოედოვი 263
გრიგოლ ხანძთელი 72 იხ. ხანძთელი
გრიგოლია ლ. 57, 256.
გრიშაშვილი ი. 88, 232, 256
გუგა (მიტო ქიტიაშვილის მეუღლე) 294
გუდიაშვილი ლ. 173
გულია დიმ. 238, 239, 240
Гупперт Г. 93
გურამიშვილი დ. Гурамишвили Д. 90, 140, 147, 148, 149, 181, 183, 195, 201, 202, 203, 204, 205, 206, 208, 209, 220, 253, 259, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 285, 286, 287, 290, 291, 292, 293, 294, 296, 297, 298
გურამიშვილი მამუკა 145
გურამიშვილი ქრ. 140
გურანდუხტი (დავით აღმაშენებლის მეუღლე) 199
გურგანი Гургани 56, 70, 213
გურგენა 21, 101, 117
გურეშიძე ნ. 295
გურული კ. 173
გუძი 302. 303

დადიანი ლევან 122, 304, 307, 308, 309, 310, 311, 312, 324
დადიანი მამია 310
დადიანი მანუჩარ 310
დადიანი შალვა 277, 280, 281, 284, 285, 286, 287, 288, 291, 296
დადიანი ცოტნე 57
დავიდენკო ნატალია 297
დავითაშვილი მამუკა 209
დავით რექტორი 146, 255
დავით წინასწარმეტყველი 133
დამასკელი იოანე 241
დანკევიჩი 302
დარეჯან ბატონიშვილი 139, 140
დარჩია ბ. 119, 120, 121
დგებუაძე დ. 98
Деетерс Г. 92
დელეარი 241
დელილი 144
დემირჭიანი დერენიკ 263
დილარი 343
Динара 147
დიენოს (დიონოს) 23. 24, 25, 47
დიონისე არეოპაგელი Дионисий 23, 24, 25, 73
დმიტერკო ლიუბომირ 288, 289, 290, 293
დომენტი კათალიკოსი 248
დონდუა ე. 205, 209, 263, 275

ეზრა Эзрос 23, 24, 25
ეკალაძე ია 252
ელიაშვილი არჩილ 253, 294
ელისაბედ პეტრეს ასული 189
ემპედოკლე 70
Ethe Hermann 329
ერეკლე (თეიმურაზის შვილი) 188
ერეკლე I 187
ერეკლე II 138, 146
ერისთავი რ. 162
ერისთავისშვილი 332, 333
ერკელი ფერენც 171
Евстафий Мцхетели 212 см. Мцхетели, Eustatios von Mzchetha 212
ეფრემ მცირე Ефрем Мцире 157, 212, 248
ექვთიმე ათონელი (მთაწმიდელი) 152, 158 241, 242, 248
ეშენბახელი ვოლფრამ 41

ვაზოვი ივ. 159, 160, 161, 163
ვაჟა ფშაველა 220, 233, 240, 281
Варлаам 213
ვარსქენ პიტიახში 126, 127, 128, 129, 130, 131, 132
ვასილევსკაია ვანდა 290
ვატუტინი 289
ვაჩნაძე ბარძიმ 312, 324
ვახტანგ (სვიმეონის ვაჟი) 335

ვახტანგ VI Вахтанг VI, 15, 18, 19, 23, 42, 43, 59, 60,102, 105, 108, 109, 115, 116, 137, 138, 140, 143, 144, 147, 170, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 189, 190, 203, 204, 205, 207, 208, 209, 210, 213, 216, 265, 270, 272, 273, 276, 277, 334
ვახუშტი ბატონიშვილი 137, 143, 144, 147, 177, 207, 208, 302, 316, 335
ვერეში შანდორ 170, 171, 172
Верешмарти Михай 227
ვიკარი ბელა 170
ვირსალაძე ელ. 76, 244
Вис 95, 213
ვოლგინი ა. 281, 284, 292
ვოლინსკი 180
ვოლტერი 146, 148
ვოლფი 146
Vullers S. A. 315

ზაალი 327, 332, 341, 342
ზააქ (ზოაქი) 304, 305, 306, 307, 308, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321
Заверин —ზ.
ზანდუკელი მ. 254
ზარზმელი ბ. Зарзмели Басил 212, 242
ზალკა მათე 172
ზირაქ 321
ზიჩი მიხაი 170, 171
ზურაბის ძე 328

თავაძე ილ. 134, 135, 234, 235, 236
თამაზ 316, 322
თამარ მეფე — Царица Тамара 34, 69, 72, 88, 91, 92, 93, 94, 95, 96, 98, 199, 216, 243
თამარი (თეიმურაზის მეუღლე) 187
თარბა ი. 295
თარხან მოურავი 115
თაყაიშვილი ე. Такайшвили Е. 115, 211, 302, 309, 310, 312, 313, 325, 327
თეიმურაზ I Теимураз I 118, 137, 138, 139, 187, 194, 213, 256, 257, 258, 346, 347
თეიმურაზ II 137, 146, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 307, 325
თემურ ლენგი 222
თითმერია ჯ. 300
თინათინ („ვეფხისტყაოსანი") Тинатин («Вепхистгкаосани») 22, 23, 26, 27, 53, 60, 94, 194
თმოგველი სარგის 304
თოდუა მ. 273, 277
თოფურია ვ. 88, 107, 238, 253, 257
თუთი 340, 343
თუმანიანი ოვანეს 233, 235, 236, 237
თური 313, 316, 339, 340, 342
თურმანიძე თაქ 336
თურმანიძე ხოსრო Турманидзе Хосро 325, 326, 327, 229, 330, 331, 332, 333, 335, 336
თურმანიძე სულხან 335
თურქესტანიშვილი ერასტი 145

იაკობ ცურტაველი 126 127, 129, 130. 131, 132, 142, იხ. ცურტაველი
იბერი პეტრე 241, 242
Иедличка Яромир 92, 93
იესო ქრისტე 151
ივანოვიჩი ი. 161
ითრითი (უთრუთი) 339, 342
იიეში დიულა 169
ილეში ბელა 172
იმედაშვილი გ. 43
ინგოროყვა პ. 24, 30, 45, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 81, 85, 109, 124, 132, 197, 258
Иоасаф 213
იოანე ბატონიშვილი 137, 146
იოანე შავთელი 72, 304 იხ. შავთელი
იოკაი მორ Иокаи Мор 173, 227
იორდანიშვილი ს. Иорданишвили С. 8, 9, 10, 11, 15, 17, 19, 37, 94, 95
იოსელიანი პლ. Иоселиани Пл. 109, 115 124, 184, 307, 325
ირაჯ 339
ისააკიანი ავეტიქ 232, 233, 234, 263

ისკენდერი 42
იურა იურსკი 291, 292
იურენკო ოლეს 297
იყალთოელი არსენ 141
იშტვანოვი მარტონ 173
იშტვანოვიჩი მიხაი 170

კაზაჩენკო ვ. 295, 298, 300
კაკაბაძე ს. 58, 109, 123, 124, 310, 311
კალანდაძე ლავრ. Каландадзе Лавр. 8, 63, 70
კალაძე კ. 291, 292, 293, 300
კარბელაშვილი ც. 116, 119, 121
კარიჭაშვილი დ. 20, 109, 309
კარლოს XII (შვედეთის მეფე) 142, 208
კარტოზია გ. 6, 7, 11, 124
კეკელიძე კ. Кекелидзе К. 30, 45, 64, 81, 85, 88, 90, 93, 94, 106, 127, 133, 134, 135, 136, 158, 164, 196, 208, 212 258, 261, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 275, 307, 313, 324, 325, 327, 332, 333, 335
კეცხოველი ნ. 281
კვესელავა მიხ. 164
კიკნაძე გ. 81, 85
კიკვიძე ც. 7, 11
კინჩევი ნიკოლო 162, 163
კირილე 151
კირიონი 114, 337
კიში მიკლოშ 139, 170
Клапка Дьерд 225
კობზარი 296
კობიძე დ. 34, 273
კოზუტა 281
კონრადი ნ. 32
კონსტანტინე მეფე 336
კონჯოშვილი პ. 78
კორნეიჩუკი ალ. 290, 293
კოროლენკო ვლ. 286
კოროლენკო სოფიო 286
კოსარიკი დმიტრო 277, 278, 281, 282, 284, 285, 287, 288, 289, 290, 292, 293
კოტეტიშვილი ვახტანგ. 253, 254
კოტეტიშვილი ვახუშტი 199, 200
კოტლიარევსკი 208
კოშუტი ლაიოშ Кошут Лайош 166, 167, 228
კოშუტი სვეტლანა 167
კოშუტი სტანისლავ 167
Крачковский И. В. 213
კრეტიენ დე ტრუა 41
კრიმსკი ა. Крымский А. 261, 329, 347
კუპერი ანდრაშ 173
კუსრაშვილი რ. 297

ლაერენტი არქიმანდრიტი 143, 208
ლანგი დევიდ მარშალ Ланг Давид Маршалл 91, 92, 242, 243
ლარაძე პეტრე 116, 343
ლატიშევი 158
ლევან ბატონიშვილი 176
ლევსკი ვასილ 159, 160
ლეილი 54
ლეონიძე გ. 156, 172, 201, 202, 224, 252, 253, 265, 275, 292: 296.
ლესია უკრაინკა 301
ლისაშვილი იაკინთე 255, 256, 257
ლისტი ფერენც 168, 172
ლოლაშვილი ივ. 199
ლომონოსოვი 146
ლორთქიფანიძე ა. 295, 300
ლორთქიფანიძე მ. 58, 72
ლოღოთეტი სიმონ 157
ლუარსაბ 335
ლუი XIV 179

მაიბოროდა 280
მაკედონელი ბასილ 143
მალიარი ათანასე ლუკას ძე 278, 281
მამასახლისოვი ვაჰან 235, 336
მამიკონიანი ვარდან 129, 131
მანი 70
მანუჩარ 313, 339, 340, 341, 343,
მარგველაშვილი გ. 295, 300
მარგიანი რ. 295, 300
მარი იური (გიორგი) 34, 260, 261, 268
მარი ნ. Марр Н. 34, 48. 49, 91, 109, 154, 196, 198, 199, 210, 211 214, 245, 248, 269, 279, 286, 313, 325, 327, 333, 337, 345

მარიამული ვერა 168
მარკოვი 285
მარმონტელი 146
მარტინენკო ი. 292
მასლოვი ს. ი. 291
მაღრაძე ელგ. 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210
მაჰავარიანი. 162, 163
მახარაძე ფ. 261
მაჯნუნი 53, 54, 343
მგალობლიშვილი გერმანე 80
მდივანი (თავაქალაშვილი) მამუკა 122, 123, 304, 305, 306, 307, 309, 310, 311, 312. 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 323, 324, 325
მელაძე კ. 254, 255, 256
მელიქსეთბეგი ლეონ 233, 270
მენაბდე დ. 25
მენაბდე ლ. 98
მერაბშა 341
მეტრეველი ელ. 7, 11, 191, 197, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 274, 275, 276
მიზმან ყაფიჩი 338, 342
Мирианашвили Р. Д. 141
მირიან ბატონიშვილი 210
მიულერი ა. 346
მიქაელ მოდრეკილი 248, 279, იხ. მოდრეკილი
მიქაძე გ. 124
მოდრეკილი მიქაელ 248, 279 იხ. მიქაელ
მონტესკიე 146
მოჰინ ბანუ (შამირა) 33
მჟავანაძე ვ. 278
მრევლიშვილი მ. 291, 292, 293
მუქიცკი ა. 297
მურადი (მურდავი) 314, 315, 317, 318, 319
მურდაზი 339
Мтбевари Стефан 212
მუსხელიშვილი დ. 58, 72
მუსხელიშვილი ნ. 301, 302
Мцхетели Евстафий 212 см. Евстафий

Надибаидзе Н. Г. 144
ნადირაძე კოლაუ 293
ნადირშაჰი 337
ნარეკელი გრ. 264
ნარიმან 322, 323, 340
ნატროშვილი გ. 63, 70
ნაფისი საიდ 260, 261
ნაყაში ოვნათან 177
ნევაი (მირ ალიშირი) 376
ნესტანი („ვეფხისტყაოსანი") Нестан («Вепхисткаосани»)—7, 14, 15, 19, 20, 26, 27, 28, 35, 36, 38, 39, 50, 53, 54, 60, 82, 86, 96, 101, 104, 194
ნიზამი Незами, 28, 31, 32, 33, 34, 35, 53, 54, 55, 56, 70, 244, 346
ნიკოლაძე ნიკო 161
Николоз I 165
ნინა ვლადიმიროვნა (ბაჟანის მეუღლე) 296, 301
ნოვზარი 341
Nöldeke Theodor 329
ნონეშვილი ი. 295, 297, 298
ნორაკიძე ვლ. 50
ნოსელი გრ. 42
ნუცუბიძე შ. Нуцубидзе Ш. 24, 41, 47, 66, 67, 88, 197, 243, 261, 270

ოდიშელიძე (ოდიშელიძე) 284
Орбели И. Л. 91, 262
ორბელიანი გრ. 160, 199, 210
ორბელიანი დიმიტრი 145, 332
ორბელიანი ვახტანგ 145
ორბელიანი ზოსიმე 145
ორბელიანი ნიკოლოზ 145
ორბელიანი სულხან—საბა Орбелиани Сулхан-Саба 38, 116, 172, 177, 178, 179, 180, 213, 246, 247, 259, 262, 263, 264, 272, 273, 274, 275, 276

პაელე მღვდელი 203
პანჩ პეტრო 290
პასკო 292
პაიჭაძე გ. 190
პეეტერსი პაულ 133

პეტეფი შანდორ Петефи Шандор 160, 166, 169, 179, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231
პეტრე I 139, 140, 141, 142, 180, 191, 208
პეტრე იბერი 75
პეტრიწი იოანე 154, 242
პილოტანი 329
პოზდნეევა 32
პოლოცკი სიმეონ 143
პოტიომკინი 210
პროკოპოვიჩი თეოფანე 139
პუშკაში ტივადარ 173
პუშკინი ა. 148

ჟორდანია თ. Жордания Ф. 211, 310
ჟღენტი ბ. 57, 58, 255, 259, 291, 292, 293, 295

რაბი ეუდა 172
რაკოვსკი გიორგი 159, 160
რამაზ („ვეფხისტყაოსანი") 9, 10, 45
Рамин 95, 213
რაჟბა ი. 291
რატიშვილი გ. 203
რაფილი 32
რედკინი პეტრე გიორგის ძე 286
რეინექსი იაკობ 173
რეპინი 302
რილსკი მ. 290, 293, 296
რიშარი აბატი 179
როინიშვილი 280
რომასკევიჩი 262
როსტევან 21, 194
როსტომ მეფე 305, 328, 329, 330, 332, 335
რუბანი ვლ. 291
რუმიანცევი 274
რუდაბა 341
რუსთაველი (რუსთველი) Руставели 5, 7, 10, 18, 19, 20, 23, 24, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 81, 84, 85, 86, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 100, 103, 115, 118, 123, 124, 160, 169, 171, 172, 175, 178, 193, 194, 195, 196, 197, 210, 214, 215, 216, 217, 218, 220, 221, 222, 233, 235, 240, 244, 245, 246, 259, 262, 264, 288, 294, 300, 304, 305, 306.
Русудан 93
რუხაძე ტრ. 141
საკაძე დიმიტრი 145, 210
საკაძე მამუკა 210
საში 305, 306, 307, 313, 337, 338, 340 341, 342, 343, 344
საბანისძე იოვანე Сабанисдзе Иоанн 152, 212
საბაშვილი სერაპიონ სოგრატის ძე 327, 330, 331, 333
საბლუკი პაველ 298
საბინინი 337
სავინი გური ნიკოლოზის ძე 301, 302
საიათნოვა 232
სალაში 167
სალაძე 173
სალი 316
სალმ 339, 340, 342
სამებელი იოსებ 146
სარაჯიშვილი ალ. 109, 115
საძაგლიშვილი გ. 117
სახოკია თ. 161
სენი იშტვან 174
სვანიძე ალ. 81
სეიმიონ 326, 333, 334, 335
სიგუა ალ. 276
სიმონ (ქართლის მეფე) 310
სირაძე რ. 156, 310, 158, 164
სკლიარენკო სიმ. 288, 290, 291, 292, 296, 301
სმოლიჩი 295
სოლოლაშვილი ბ. 141
სორტელი ლაუ 277
სოსიურა ვლ. 290, 293, 296
სოსლანი დავით Сослан Давид 64, 96, 198, 199

სპანდიატი სპანდიერ 327, 328, 330, 333, 334
სტალინი ი. ბ. 258
სტრასბურგელი გოტფრიდ 41
სტურუა დ. 58
სულაკაური არჩილ 295, 300
სუმაროკოვი 164

ტაბიძე გ. 172, 220, 221, 222, 223, 224, 240
ტაბიძე ტიციან 163
ტარდი ლაიოშ 173
ტარიელი («ვეფხისტყაოსანი») Тариел («Вепхисткаосани») 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 22. 36, 37, 42, 45, 49, 50, 51, 52, 53, 60, 82, 86, 94, 95, 101, 103, 104, 105, 106, 194, 305
ტარლოვსკაია ე. 81, 83
ტატიშვილი ვლ. Татишвили Вл. 142, 208
ტვოროგოვი ოლეგ 7
ტირნოველი ექვთიმე 156, 157, 158
ტიჩინა პავლო 288, 290, 291, 292, 293, 296
ტიხონოვი ნ. 31
ტომპოში ერევებეტ ჩემეგი 173
ტოროშელიძე მალაქია
ტრეველი 263
ტრონკო პეტრე ტიმოთეს ძე 296, 297

უთრუთი 313
უკრაინკა ლესია 289
უორდროპი 242
ურუშაძე აკ. 164

ფაელენიშვილი 145
ფარსადანი 10, 19, 20, 82, 104, 194
ფარუხი 308
ფარჰადი 42
ფატმანი 26
ფერიდუხტ 340, 341, 343
ფირდოუსი Фирдоуси 70, 209, 210, 213, 264, 265, 305, 314, 321, 328
ფიროსმანი 173
ფიშანგი 340
ფრეიმანი 262
ფრიდონი («ვეფხისტყაოსანი») Фридон («Вепхисткаосани») 7, 10, 11, 16, 17, 22, 42, 60, 82, 83
ფრიდონ (აფრიდონ, ფერიდუნი) 304, 305, 306, 311, 312, 313, 315, 316, 317, 320, 321, 322, 323, 337, 339, 340, 341, 342
ფურცხვანიძე ბ. 235

ქაიხოსრო (ვახტანგის ძმა) 176, 179
ქაიხოსრო („საამიანი") 316
ქარამელი 323
ქართველი (იბერიელი) ანთიმოზ 156 იხ. ანთიმოზ
ქართველიშვილი 20 109
ქეთევანი (თემურაზის შვილი) 188
ქიტიაშვილი მიტო 294
ქიქოძე გ. 88
ქობულაშვილი ონანა 145
ქსიფილინოსი იოანე 158
ქუთათელაძე ლ. 75, 78, 274
ქუმსიშვილი დ. 24, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 38, 39
ქურციკიძე ც. 245

ღაზნელი მაჰმად 210
ღუილაანთ მიხა 203

ყარაველოვი ლუბენ 159, 160
ყარამანი 343
ყარუნ 339
ყაუხჩიშვილი ს. 57, 88, 154, 164, 197, 268, 274
ყუბანეიშვილი ს. 124, 271
ყურელაშვილი გიორგი 255, 256, 257

შადადი ადისძე 340
შავთელი იოანე 72, 304, იხ. იოანე
შამირა 33, 34
შანიძე ა. Шанидзе А. 5, 6, 9, 12, 15, 23, 24, 37, 59, 77, 81, 88, 102, 105, 106, 154, 155, 164, 197, 214, 238, 258, 261, 266, 267, 270, 272, 273, 275, 277
შანშიაშვილი ს. 240. 291, 292, 293

შარაშიძე ქრ. 208, 245, 277
შარაძე გ. 8
შარია პ. 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 88
შაჰ აბას I 140
შაჰ ნადირი 187, 188, 189
შევარდნაძე ე. 165
შეიკო 292
შევჩენკო ტ. 286, 289, 291, 294, 298,
შევჩენკო ნ. 297
შენგელაია გ. 299
შერვაშიძე ლ. 123
შერმადინი Шермадин 20, 21, 22, 69, 94
შილაკაძე ან. 252
შიმუდი 344
შირინი Ширин 32, 33, 34, 35, 36
შირინოზ 312, 323
შიხ შეიდი 347
შომიაშვილი ნ. 72
შპარვენფელდი იოჰან 139
შტოგარენკო ანდ. 291
შულზა 291
შუშანიკი 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133

ჩარკვიანი კ. 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86. 87, 88, 89, 90
ჩარკვიანი ჯ. 295
Чиконан Михай 231
ჩირკო 285
ჩიქობავა არნ. Чикобава Арн. 91, 100, 338
ჩიქოვანი მ. 296
ჩიქოვანი ს. 172, 296
ჩოლოყაშვილი ნ. 76.
ჩუბინაშვილი გ. Чубинашвили Г. 74, 76, 253, 346
ჩუბინაშვილი დ. 9, 43, 109, 116
ჩუბინაშვილი ნ. 75, 77, 78
ჩუდნოვსკი 302
ჩუჩა 297
ჩხეიძე გაბრიელ 140
ჩხიკვიშვილი დ. 295, 297

ცაგარელი ალ. Цагарели А. 43, 76, 77, 78, 211, 232
ცაიშვილი ს. 6, 7, 8, 11, 20, 23, 58, 59, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124 195, 196. 197, 243
ცანევი გ. 164
ცინცაძე ი. 189, 190
ცისიერი 203
ციციშვილი გ. 295
ციციშვილი ნ. 346
ციციშვილი მანუჩარ 304
ცონევი ვასილ 163
ცურტაველი იაკობ Цуртавели Яков 126, 127, 129, 130, 131, 132, 212, 242, იხ. იაკობ

ძიძიგური შ. 7, 11

წერეთელი ა. Церетели А. 96, 162, 167, 172, 184, 198, 199, 220, 233, 240, 243, 280
წერეთელი გ. Церетели Г. 6, 7, 12, 38, 77, 123, 124, 136, 301, 302, 303
წერეთელი გ. (XIX ს. მწერალი) 161, 254
წერეთელი პ. 294

ჭავჭავაძე ი. Чавчавадзе И. 160, 161, 165, 172, 218, 220, 240, 243, 260, 281
ჭანკიევი 245
ჭედია შ. 291
ჭელიძე ამბ. 33
ჭილაია ს. 58, 163
ჭილაძე თ. 295
ჭინჭარაული ალ. 105, 106
ჭიჭინაძე კ. 3, 81, 83, 87 109, 205
ჭყონია ილ. 272

ჯავახიშვილი ა. 238
ჯავახიშვილი ი. Джавахишвили И. 5, 27, 30, 90, 127, 135, 136, 205, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 219, 267
ჯავახიშვილი მ. Джавахишвили М. 211, 243

ჯავახიშვილი (პოეტი) 145, 243
ჯაკობია გ. 190, 256, 257
ჯალალადინი 222
ჯანაშია კ. 291
ჯანაშია ს. 134, 235, 244
ჯაფარიძე ვ. 190
ჯაფარიძე უ. 301
ჯაფარიძე ტრ. 274
ჯეჰანდარი 328
ჯიმშედი 309, 312, 314, 315, 316, 319, 320, 321, 337, 339, 342
ჯოგრატ 314
ჯოჯიკი 129, 130, 131, 132

ჰანნა იაკოვლევნა 284
Harnack A 211
ჰელტაი ენე 173
ჰიტლერი 167
ჰონიგმანი ერნესტ 343
Horn Paul 315, 329
ჰორტი მიკლოშ 167

შინაარსი

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე 5
რუსთველის დასაცავად 26
ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო 40
ვეფხისტყაოსნის ინგლისური გამოცემა 1970 წლისა 57
რუსთველის იერუსალიმური სერათის გამო 74
ხმა წარსულიდან 79
Язык поэтической метафоры и вопрос о датировке поэмы «Витязь в барсовой шкуре» 91
საკვალიფიკაციო რუსთველოლოგიური შრომები 97
ივ. გიგინეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები (რეცენზია) 97
სარგის ცაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია (რეცენზია) . 108
ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი ათასხუთასი წლისაა 126
ქართული მწერლობის სათავეების თაობაზე 134
რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVII—XVIII საუკუნეებში 137
ბელორუს-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან . . . 150
უნგრულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან 165
ვახტანგ VI 176
თეიმურაზ მეორე 187
მცირე განმარტება-შენიშვნა 195
წვრილ-წვრილი შენიშვნები 198
სახელდახელო შენიშვნები (ე. მაღრაძის „გოდების“ გამო) 201
Исследователь грузинской литературы 211
სიტყვა გალაკტონ ტაბიძეზე 220
Звезда венгерской поэзии 225
ავეტიქ ისაკიანი 232
ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტიკის ოკეანეში 235
დიმიტრი გულია 238
დევიდ ლანგის ვიზიტის გამო 241
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ე. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათება 244

მოგონებათა ფურცლები

პირველი ნაბიჯები; ა) ბესიკის გამოცემა, ბ) ფირდოუსის იუბილე, გ) ქილილა და დამანა 252
უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე 277

დამატება

შენიშვნები შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ 304
შენიშვნები 349
საძიებლები 354

Барамидзе Александр Георгиевич

ОЧЕРКИ И ИССЛЕДОВАНИЯ ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ VII

(на грузинском языке)

ИБ—683

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ბ. თოფურია

გადაეცა წარმოებას 26.12.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.7.1978;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 22.45;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.53;

უე 01099; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 4779;

ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, 380060, Тбилиси, ул. Кутузова, 19

დებულება, რომ ვეფხისტყაოსნის ღმერთი ტრადიციული ორთოდოქსული ქრისტიანული ღმერთია. ამ თვალსაზრისს ბევრი თანამედროვე მკვლევარი იზიარებს. თავის დროზე ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრეს ა. ცაგარელმა, დ. ჩუბინაშვილმა და სხვ." (გვ. 55). წყაროდ დასახელებულია გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიური ლიტერატურა" (გვერდები მითითებული არ არის). საჭირო კი იყო უშუალო პირველ-წყაროს დამოწმება. გ. იმედაშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფია ხომ ორიენტირს აძლევს დაინტერესებულ მკითხველს. მთავარი მაინც ისაა, რომ პ. შარიას თვის გამოსადეგი მოსაზრებანი არ გამომდინარეობს გ. იმედაშვილის მიერ ანოტირებული წყაროებიდან: ალ. ცაგარელი და დ. ჩუბინაშვილი იმიტომ კი არ აკრიტიკებენ ეხტანგ მეექვსეს, რომ ის ვეფხისტყაოსანში ხედავდა ორთოდოქსულ ქრისტიანულ ღმერთს, არამედ იმიტომ, რომ სწავლული კომენტატორი რუსთველის პოემაში ეძებდა მისტიკურ აზრს და ღვთაებრივი სიყვარულის ალეგორიულ გამოხატულებას.

თავისუფლად და დაუდევრად ეპყრობა პ. შარია ვეფხისტყაოსნის ტექსტს (ამას ვთვლი სარეცენზიო ნაშრომის ძირითად ნაკლად). მკვლევარი სრულიად სამართლიანად აღუშფოთებია ზ. ავალიშვილისა და ზოგი მისი მიმდევრის „მკრეხელურ ცილისწამებას" ვეფხისტყაოსნის ერთი გამოთქმის შეუწყნარებელი ინტერპრეტაციის გამო. პ. შარია აღნიშნავს, რომ ცილისმწამებელნი „არ ითვალისწინებენ თუნდაც ტექსტის პირდაპირ მოწმობას.. ტექსტს მაინც სცენ პატივი" (გვ. 103—104).

ჭეშმარიტად. რუსთველის ტექსტს უნდა ვსცეთ პატივი! სამწუხაროდ, ამ მხრივ სცოდავს სარეცენზიო წიგნის ავტორიც. ერთგან მკვლევარი იუწყება: „პოემაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მაჰმადიანურ რეალიებს — მუსაფზე ლოცვასა და ფიცს, ნავრუზობას, მულებსა და მუყრიბებს და სხვ., ქრისტიანული რეალიები სრულიად არ ჩანან" (გვ. 48). ვეფხისტყაოსნისათვის მართლაც ნიშანდობლივია მაჰმადიანური რეალიები, რამდენადაც პოემის მოქმედება გაშლილია მაჰმადიანურ სამყაროში და პერსონაჟებიც შესაფერისად მაჰმადიანები არიან, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოჟონავს ხოლმე წმინდა ქრისტიანული რეალიაც (მაგალითად, აღდგომა). ამიტომაც უადგილოა დამოწმებული ციტატის ხაზგასმული სიტყვა „მხოლოდ". ციტატაში დამახინჯებულია რუსთველის ტექსტი, უკეთ, რუსთველის სიტყვები: რუსთველი არ